ჯემალ აფციაური

არწივები ცაში კვდებიან

(ვაჟას ცხოვრების რომანი)



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1996

83. 3 Б
ᲔᲠᲗᲘ. 631. 09
ა 929

წინამდებარე ნაშრომი პროფ. ჯ. აფციაურის უკანასკნელი წიგნია. იგი ქვეყნდება ავტორის გარდაცვალების შემდეგ. ნაშრომში მეცნიერისა და ბელეტრისტის თვალით არის დანახული და დოკუმენტური პროზის ფორმით გადმოცემული ვაჟა-ფშაველას ცხოვრება და შემოქმედება.

მკითხველი ახლებურად დაინახავს ვაჟას ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ბევრ საკითხს. რიგი მათგანი ავტორის ფანტაზიის ნაყოფია.

წიგნი განკუთვნილია ფართო მკითხველისათვის.

რედაქტორები: თ. სანიკიძე, ც. ჯიშკარიანი
რეცენზენტები: ნ. მესხია, დ. წოწკოლაური

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1996
© მ. ნათენაძე, 1996

4601000000
ა ——————
6Ი8(06)96

ISBN 5—511—00689—0

რედაქტორისაგან

ძნელია ჩემთვის ამ სტრიქონების დაწერა, მაგრამ სინამდვილე, რაგინდ მწარე უნდა იყოს იგი, თვალის ვასწორებას ითხოვს.

დიახ, ფიზიკურად აღარ არის ამ წიგნის ავტორი. წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი, სრულიად ახალგაზრდა, უზადო ნიჭის მქონე, მოხდენილი, ფიზიკურად ძლიერი, სიცოცხლით აღსავსე, სიცოცხლისავე მოყვარული, ადამიანთა გულების შემაერთებელი... სულ იმის ცდაში იყო, ბოროტება არ ყოფილიყო ქვეყნად, მაგრამ...

ულმობელია წუთისოფელი. ზოგჯერ ღრუბელი გადაეფარება ცაზე, ზოგჯერ კი ისე დამკვიდრდება, ისე მოიპირქუშებს ხოლმე, რომ წარღვნით ემუქრება ცოდვილ ხალხს. საუკუნის დასასრულს ბევრი მწარე დღე გვაგემა გამჩენმა ერთმანეთის გაუტანლობის გამო. ძალზე განიცდიდა ბატონი ჯემალი ყოველ წვრილმანსაც კი. ჩვეულებრივი ქართველი იყო, პატარა რამე უხაროდა და პატარავე სწყინდა. პატარა კი არა ისეთი ამბების გამგონ-მნახველი შევიქენით, მგრძნობიარე კაცი რომ ვერ გადაიტანს ვერასდიდებით.

თავისივე დაარსებულ უნივერსიტეტში დაასრულა შინაარსიანი და ლამაზი ცხოვრება. ობლობაგამოვლილმა ბევრი საფიქრალი დაუტოვა ახლობლებს. სული მისი კი ამაღლდა და მარად იარსებებს...

ბოლო წლებში ალ. ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას ბიოგრაფიებით იყო გატაცებული.

„ხევის დიდი შვილი“, რომელიც ალ. ყაზბეგის ცხოვრებას ეხება, ცხედრადქცეულს მიუტანეს მეგობრებმა.

„არწივები ცაში კვდებიან“ მაგიდაზე დარჩა დაუმთავრებელი.

შევეცადეთ არაფერი შეგვეცვალა, მცირე რამ გადავაადგილეთ.

თუ მკითხველს გაუჩნდება უკმარისობის გრძნობა, გვაპატიოს. შეუნდოს ბატონი ჯემალის ნათელ სულს...

თ. სანიკიძე

პავლე რაზიკაშვილი

სამხრობა კარგად გადასული იყო, როცა პავლე რაზიკაშვილის სახლს დუშეთიდან ამოგზავნილი ჩაფარი მიადგა. ხუცესს წმინდა სინოდში სასწრაფოდ იბარებდნენ.

— ხვალ იქ უნდა იყო, მამაო, — სიტყვა ძლივს მოინაცვლა ჩაფარმა და გაფიცხებული ქურანი მაგრად მოზიდული ლაგამით მიწას დააკრა.

— ვიცი, შვილო. ეგზარხოსს ლოდინი არ უყვარს, გადმოხე, პურსავიწი და ერთი ჭიქა არაყი ღარიბ მღვდელსაც გოეძევება...

— არ შემიძლია, პირიმზის მადლმა, ფეხად თუ არ ჩავბრუნდი, მაზრის უფროსი ამიყეფდება.

მაცნემ ენის წვერზე იკბინა და ხუცესისკენ შიშნარევი მზერა გაპარა, რა ვქნა, პურს მეც ამ ცხენ-მათრახით ვჭამ, ხუთი ბალღი ერთად რომ აგიბირდება, იქნება სული ეშმაკსაც კი მიჰყიდო.

— მაშ აგრე, ვიყავ და გითხარი, — ჩაფარმა ბედაურს აღვირი მიუშვა, ხევი გატოპა და ყალყზე შემდგარ აღმართს აუყვა...

— ღმერთო, შენ მოუმართე ხელი ყველა გაჭირვებულს, შეეწიე მშიერსა და დავრდომილს, ნეტავ რა უნდა ეგზარხოსს? რად ან რისთვის გააბსენდა წმინდა სინოდს ბარისგან დავიწყებული ხუცესი?! ძაძიმე დროა, ძმა ძმის სისხლში ბანაობს, იუდა მომრავლდა და იქნებ პავლეს სახელიც ლაფში ამორეცხეს.

იყავნ ნება ღვთისა...

კარგა ხანია, პავლეს თბილისი აღარ ენახა. ეუცხოვა ჭიანჭველების ბუდესავით აშლილი ქალაქი, თუმცა ისევ დაჰქროდნენ ეკიპაჟები, დუქნებიდანაც ისმოდა ღვინის ხორხოცი, მთავარმმართებლის სასახლესთანაც ძველებურად გაჭიმულიყო ხელთოფიანი ჟანდარმი და მოჩუქურთმებული, მძიმე კარებისაკენ გაფრენილ ბუზსაც კი ეჭვიან მზერას გააყოლებდა ხოლმე.

სიონში ზარებს ჩამოჰკრეს.

ხუცესმა ვიწრო პირჯვარი გადაისახა და ნაბიჯს აუჩქარა: სინოდში საქმეს რომ მორჩება, საქულბაქოებს გოიელის, ჯალაბისთვის

წვრილმანს იყიდის და შინ აბრუნდება, თავის მთებში. თუმცა ვინ იცის, რა არის და რა ელის.

პავლეს კარგად გამოხუნებული ძველი ანაფორა აცვია, ძაფი ძაფზე ძლივსღა ჩერდება, მაგრამ ვერ იქნა და ახალი ვერ შეიკერა, მკერდზე გაბარტყული, ფშავის ღამეებივით ბნელი წვერი აფენია, მხარზე მოგდებულ ტყავის გუდაში კი გამხმარი ერბოყველი და ხმიადი უგდია — გზა და საგზალი ერთადო, უთქვამთ ოდითვე.

ჩაფიქრებული მიაბიჯებს ქვაფენილიან ტროტუარზე. ვერ იქნა და აშლილი ფიქრი ვერ დაილაგა. გამელელებმა ცნობისმოყვარე მზერა აადევნეს — ნეტავ საიდან მოიყოლა ამ ხუცესმა ნედლი მიწის, ომბალოსა და სხვა ყვავილ-ბალახის სუნი?

ფიქრიდან ხმაურმა გამოიყვანა. ანაზდად მოვარდნილმა კიჟინამ, ხმაჩახლეჩილმა ღრიალმა ზურგზე ხელი ჰკრა და დუქნის კედელს შეაწყვიტა. წელანდელმა ლოცვამ თუ უშველა — იმავე წამს მის ნაფეზურზე გრიალით ჩაიქროლა ღია ეტლმა. შიგ ორი ყაწიმებიანი თავადი და ბურბუშელაკაბებიანი კნეინები ისხდნენ. წინ მჯდომს შიშველი ხბალი წვერით მეეტლის ზურგზე მიებჯინა და ნახევარი ქალაქის გასაგონად ყვიროდა:

— გარეკე, მუდრეგო, გარეკე!

ჩანდა, ეს სცენა ართობდა მანდილოსნებს, მოწყურებული თვალებით შეჰყურებდნენ ახალგაზრდა თავადის ღვინისგან აშლილ სახეს...

— ოხ, კნიაზო, როგორი დაუდეგარი ხართ...

„დაუდეგარმა“ კიდევ ერთხელ დასჭყივლა მეეტლეს და კნეინას ბრტყელი კოცნა აჩუქა.

კედელს აკრულმა პავლემ დაინახა, როგორ გადმოიხარა სავარძლიდან კნეინა, როგორ გამოიშვირა მისკენ ძვირფასი თვლებით ანთებული თითი და ჩაიკისკისა.

— შეხედეთ, თავადო, ცოცხალი თომა მოციქული...

მეეტლემ სადაეე მოღრიჯა და ეკიპაჟი ვიწრო მოსახვევს ზვავივით მიაწყდა. ახლა უგვე შორიდან ისმოდა დაღლილი ცხენების ფრუტუნი.

პავლემ უფრო ფრთხილი ნაბიჯით განაგრძო გზა. ეს ანაფორა არ ეცვას, მკერდზე თითბრის ჯვარი არ ეკიდოს და სინოდში არ მიდიოდეს. ის თავადი მარტო დაუყენა წინ, რომ ლიტრიანი მუშტი ლოყაზე მსხვილი ძირმაგარასავით დაუსვას. თავისთვის ინატრა და საკუთარ თავს გაულიმა.

ხომ არ შეგეშინდა, რაზიკაშვილო? ძალიან კი გყვარებია სიცოცხლე, ტყლაპივით აეკარი კედელს. ეჰ, მრუდო წუთისოფელო, ზოგი

როგორა და ზოგს კი ხმელა პური ენატრება. სადღაა ქრისტეს მცნება, მდიდარი ტაბლა ურჩეუნიათ ღარიბ სახარებას.

გვერდით გიმნაზიელებმა ჩაუარეს, რაღაცაზე გაცხარებით კამათობდნენ. თამამი ნაბიჯით გაუყვნენ ვორონცოვის სასახლისკენ მიმავალ რიყის ქვით მოკირწყლულ ქუჩას.

კედელს მოსცილდა თუ არა, დუქნის კიბიდან კინტო ამოიკლაკნა. წელზე ვერცხლის ვიწრო ქამარი ისე მაგრად შემოეჭირა, ლამის ორად გაწყვეტილიყო, ლოყაზე მიმხმარი ხალი ამაყად მიჰქონდა და თავზე შემომდგარ ხახალზე ახალი კიტრი, მწვანილი, თვის ბოლოკი და გრილი ხილი ელაგა...

— ვახ, ვახ, ეს რა დაგემართა, მამაო! — გაიკვირვა კინტომ, — იმ მუდრეგმა ლამის პირდაპირ ჯოჯოხეთში გაგაგზავნა, ერთი კარგი შელოცვა მოგიხდება, ჩემმა მზემ...

პავლემ ხმა არ გასცა. განაწყენებულმა კინტომ ხუცესს უწმაწური გინება წინ ჩონჩორიკივით დაუყარა.

— ღმერთო, მაპატიე, — უხმოდ სთხოვა პავლემ მაცხოვარს და იმავე წუთს კინტო ხელებგაშლილი დაენარცხა ფილაქანს, თაბახი დაღმართზე მიგორავდა, ხილი და მწვანილი კი ყოფილი პატრონის გარშემო ეყარა.

სასწრაფოდ გაეცალა იქაურობას, კიდევ კარგი, ვერავინ დაინახა, თორემ ფშავში პატივაყრილი და გაკრეჭილი ავიდოდა, თუ ამას იკმარებდნენ და ვირის აბანოს არ აჩვენებდნენ.

მადლობა უფალს, მადლობა უფალს...

უკვე გოლოვინის ქუჩაზე იდგა. პოლიციელებს თვალს არიდებდა, მარჯვენა ხელს ანაფორის სახელურში მალავდა, როგორც მარტო ქრისტესთვის ცნობილ საიდუმლოს.

მსუბუქად მოუქნია. ცოტა ხანს იწვება და გონზე მოვა.

— ქრისტე, შენ შეეწიე უგუნურთ, რამეთუ არა იციან, რასა იქმიან...

ამასობაში სინოდს მიუახლოვდა კიდეც. მკვიდრად ნაგები შენობა გოროზად გადმოჰყურებდა სიონის უბანს, უფრო იქით კი წუთისოფელივით ბრუნავდა მეტეხის მორევი. წყლის ვეება ძაბრში იკარგებოდა ფშანებიდან ჩამოტანილი ხეები, დაშლილი ტივის ნამუსრევი, ქალაქის ჯუჯყი და ზინთი. ქვემოთ, რიყესთან, შებადურები იდგნენ, წელამდე წყალში იყვნენ და შორიდან ბრინჯაოს ბიუსტებს ჰგავდნენ.

სინოდის აღსავალთან მოზრდილი ჯვარი და თამბაქოში ულვაშებჩამწვარი პოლიციელი დაუხვდა პავლეს.

„ეს თეთრი სახედარი აქ რაღას დაუბამთ?“ საკუთარ თავს უსიტყვოდ ჰკითხა რაზიკაშვილმა და მარჯვენა ხელი უფრო ღრმად შეაცუ-

რა ახალუხის სახელოში, თან ისეთი სახე მიიღო, გოროდოვოის ეფიქრა „მხედავს, მაგრამ რა მოხდა, ალაზანში ჩაგდებული კამეჩი უის გაჰკვირვებიაო...“

„არა, — სინოდის კარებს მიარჭო მზერა პაველმ, — თუ ღვთის სახლია, ამ სატანას და ავსულს აქ რა უნდა? ისე კი დიდი არყის მსმელი ჩანს, დახე, როგორ დასწითლებია ლოყის კვერები, ცხვირი კი ეგზარხოსის ანაფორასავით იისფერი აქვს, ეტყობა, ამასაც წუწკი ჯიბე აკერია და ისა სჯობია, დროზე ვუგანო“.

ჯვარს შეეახლა, მოწიწებით ეამბორა. პირჯვარი გადაისახა და ერთხელ კიდევ დაიხედა კალთებჩამოლეჭილ ანაფორაზე. არც ძველი, მტვრიანი მესტები უვარგოდა „თომა მოციქულს“, მაგრამ სწორედ ღარიბი ხორცით არის სული მდიდარი... მაგრამ ეს ყველაფერი, ეტყობა, პოლიციელისთვის ოცდაათ ვერცხლზე ნაკლები ღირდა — ჯერ ხომ ძეძვივით აეკრა ანაფორაზე პაველს ეკლიანი მზერა, მერე მისი ამონაყეფიც მისწვდა.

— ეი, შენ, მოიცადე!

— მენა? — მკერდზე იტაკა საჩვენებელი თითი ზუცესმა.

ისეთი ნაბიჯით მოდიოდა ის წყეული, იმ მოკლეფაფრიანმა, დონურმა ცხენებმა რომ იციან, მალაკნები რომ აბამენ ხოლმე საშეშე დროგებში. ღმერთო, შენს განგებას ვინ მისწვდება, მაგრამ, ალბათ, ასეთივე პოლიციელები დგანან ჯოჯოხეთის აღსავალთან.

ფუი და ავი ეშმაკს...

ამ ხელს რაღა დაემართა, შეშინებული ჩიტივით შემძვრალა ხუცესის თბილ სახელოში და გარეთ აღარ გამოდის, რას იფიქრებს ეს კანონის კაცი — თუ ოსი ხარ და სინოდთან „სიმდის“ ცეკვას აპირებ, ჭკუას დაჰკარგვიხარ, თუ არა და მაშ რა აფთარი გეცაო...

გაელიმა. ღიმილმა დაუმშვენა მკაცრად ნაკვეთი სახე, რეჩხი თვალები. რაღაც გალღვა და გათბა ხუცესში, მაგრამ, როცა პოლიციელი მოვიდა, მის წინ უკვე გოროზი ბეთელი იდგა და ფშავის კლდე, სიპებზე ნალესი მზერა შიშველი ხანჯალივით მიებჯინა ბრტყელი ქაშარ-თასმებით გადაჯვარედინებული მკერდისთვის.

— მღვდელი ხართ? — ბაყაყივით შიაგდო პაველს პირველი კითხვა პოლიციელმა.

— როგორც ხედავთ.

— Странно, — გაწელა და რაზიკაშვილის ქარ-წვიმიან ჩოხას დაცინვით შეავლო თვალი, — сад мидихартс?

— სინოდში, — აენთო პაველ, — მაშ სად წავალ?

— Вот как? — გაუკვირდა პოლიციელს და ახლა ხუცესის გზაბილიკისგან შეჭმულ მესტებს დაადგა თვალი...

— ასე, — მოკლედ მოსჭრა პაველმ, — ან იქნებ თქვენი მუნდირი გეთხოვებინათ, მოწყალეო ხელმწიფევ...

— Ну и ну, шутник, поп, — გაიცინა პოლიციელმა და ენა ისე გააწკლაპუნა, თითქოს ცხელ ჩაის ჟოლოს მურაბა დააყოლა. განზე გადგა, ხუცესს ერთხელ კიდევ გამოხედა და უზარმაზარი საპოვარივით ათუხთუხდა: — Вот и поп, вот и сатана этакий... ბელზებელი ხომ ვნახე, ახლა ანგელოზთა დასსაც ვეახლოთ, გაიფიქრა პაველმ და მუხის მძიმე გაუპობავი კარი ჭრიალით შეაღო...

შესვლისთანავე გრილ, ვრცელ ტალანში მოხვდა. გაპრიალებული იატაკი ყავისფერი მარმარილოსავით ბზინავდა. კედელზე ჯვარცმული მაცხოვრის ხატება გამოესახათ. მეტყველი თვალები გადმოჰყურებდა პაველს, ხელეულივით დაწნულ ეკლის გვირგვინზე ჭიამაიებივით ისხდნენ სისხლის წვეთები და თხელ სახეს ადამიანური მწუხარების ალი ულოკავდა.

პაველ უცბად გამოერკვა. იქვე, გვერდით, თაგვი წრიპინებდა. შემობრუნდა და ტალანის კუთხეში, სადაც წვრილ ცხაურში დღის სინათლე იცრებოდა, განიერ მაგიდასთან მიმჯდარი ჩინოვნიკი დაინახა. შავი სერთუკიდან პატარა, ვიწროშუბლიანი თავი თეთრი ბოლოკივით ამოსულიყო. სახე ერთიანად დანაოჭებოდა, თითქოს ზედ ობობას ქსელი ეფინა. ითისფერი ტუჩები მაგრად მოეკუმა და, ჰოი, საოცრებავ, წერისას ღამურის ნამლევა, სამკუთხა ყურებს ამოძრავებდა... მიახლებულ პაველს მშრალი მზერა მიაგება და საკუთარ კალამს უჩურჩულა.

— გისმენთ!

— მე მღვდელი, პაველ რაზიკაშვილი გახლავართ.

მოხელემ, როგორც იქნა, თავი აიღო და ხუცესს ქერის ორი მარცვალივით წვრილი ქუთუთოები აცურებული გუგები მიაპყრო.

— ესე იგი თქვენ, პარდონ, აღარ მახსოვს... ბრძანდებით...

— პაველ რაზიკაშვილი, — სასწრაფოდ მიაგება ხუცესმა.

— დიახ, დიახ. პაველ რაზიკოვი, — ჩაიჩსუტუნა და ჯიბიდან გედის ფრთასავით განიერი ცხვირსახოცი ამოიღო, ჯერ თავზე მოისვა, მერე შიგ ფანქარივით წათლილი, წვეტიანი ცხვირი ჩაყო.

— პარდონ, — როგორც იყო მორჩა ნესტოების მილაგებას ჩინოვნიკი.

— პაველ რაზიკაშვილი, — გაიმეორა ხუცესმა, რადგან წელანდელი „რაზიკოვი“ ყურზე ისევ გირივით ეკიდა...

— ბებუტოვ, ბარატოვ, გედევანოვ, სუმბატოვ, — ჩამოყარა ცოცხალი კრიალოსანი მოხელემ და ის ორი ფეტვის მარცვალი ისევ მღილივით ააცოცდა ხუცესს.

— რაზიკაშვილი, — კბილებში გამოსცრა პავლემ და წელში გასწორდა.

— პარდონ, პარდონ, — აიშალა და აიჩეჩა ჩინოვნიკი, — დიახ, გავიგე, რა-ზი-კა-შვი-ლი...

— ჩემი ნებით არ მოვსულვარ, გამომიძახეს...

— Вот оно что, — გააგრძელა მოხელემ. — значит, назначение, сударь...

წელანდელი სიბრაზე სადღაც გაქრა და ახლა პავლე ღიმილს ძლივს იკავებდა. ეს ნამლევა კაცი საოცრად ჰგავდა ცოცხალ ფანქარს, რომელიც ორ პატარა, სამკუთხა ყურს რაღაცა მანქანებით ამოძრავებდა.

პავლე ისევ მარტო დარჩა ვრცელ ტალანში. კედელზე ძველი, ბზის საათი წიკწიკებდა.

ცოტა ხნის შემდეგ შარმარილოს კიბის თავზე ისევ ის მოხელე გამოჩნდა და ხუცესს ზემოდან ჩამოუგდო.

— მობრძანდით, მათი უწმინდესობა გელით..

დარბაზში რამდენიმე სავარძელი, ძველი, ჭიისგან შეჭმული კარადა და ბზის სეკრეტერი იდგა, რომელსაც წვერმოშვებული, ანაფორის შსგავს სამოსში გამოწყობილი შუა ხნის მამაკაცი უჯდა: ცოტა მოშორებით. დარბაზის სიღრმეში, კელაპტარი იღვენთებოდა და საკმევლის სუნი გარშემო იფანტებოდა...

პავლეს არავინ ელოდა. მოხელეც ისე გაძვრა კარებში, თითქოს ამ დარბაზში საერთოდ არც ყოფილიყოს. მხოლოდ სეკრეტერთან მიმუდარი „პისარი“ ხელიკის ცივი, უსიამო მზერით შეეგება ხუცესს. „პისარს“ წინ სუფთა ფურცლები ელაგა. იქვე ბრინჯაოს მასიური სამელნე და საწერი მოწყობილობა ედგა. ძმიმე, ფერისმჭამელებით დაკენკლი ნიკაპი ისე ეკიდა გამხდარ, თხელ სახეს, თითქოს, სადაცაა მოსწყდება და მაგიდაზე დაეცემაო. პაჭუა ცხვირზე შესკუპებული პენსნე ირეკლავდა ფანჯრიდან შემოჭრილ შუქს და ათინათი კედელზე დახტოდა... პავლემ დაინახა, როგორ წასწვდა ეს მრუდე თარგზე მოჭრილი კაცი ფანქარს და ფურცელზე რაღაცის ხატვას შეუდგა... უსიცოცხლო, მშრალ სახეზე ნეტარების მკრთალი ღიმილი შეაცოცდა, მაგრამ მოკუმულ თხელ ტუჩებზე კი გველის წლოკივით გაისრიალა ღიმილმა.

— ნეტავ რას ხატავს? — გაიფიქრა პავლემ, — ან ეს ერთი გირვანქა ნიკაპი რაღაა, რომ თავს ზევით არ აწევინებს.

„პისარს“ მაღალი სახრჩობელა უკვე დეხატა, საგულდაგულოდ გამონასკული ყულფი თითქოს ჰაერში ქანაობდა. ის წყეული კი ახლა

ტაბურეტს დგამდა იმ ყულფის ქვეშ, რომ ვინმე ცოდვის შვილისთვის მერე ფეხებიდან გამოეცალა.

მალე ყველაფერი დამთავრდა, სახრჩობელაზე კაცი ეკიდა და უბედურის ჩრდილი მიწაზე ფართხალებდა.

— Вот так, — ხელები მოიფშვნიტა „პისარმა“ და პავლეს ცალი ყბით გაუცინა...

იმავე წამს ფართოდ გაიღო დარბაზის კარი, რამდენიმე ბერი ანაფორების შრიალით შემოლაგდა, ფეხზე წამომდგარ ხუცესს თავი მსუბუქად დაუკრეს და გრძელ მაგიდასთან ყვავებივით ჩამოსხდნენ.

— გთხოვთ, მამაო, — თქვა ერთმა და პავლეს ცარიელი სკამი უჩვენა.

— თქვენო ღირსებავ, — ფეხზე წამოდგა ახალგაზრდა ბერი, — მისი ყოვლად უსამღვდელოესების განკარგულებით რამდენიმე მოძღვარი უნდა გაიგზავნოს იმ მაზრებში, სადაც ჯერ კიდევ მაცხოვრის ჯვარსა და მართლმადიდებლური ეკლესიის ნებას ქართული სიჯიუტე და სიბნელე ჰზდება.

— წარმართნი, — ზიზღით ჩაილაპარაკა შუაში მჯდომმა მოხუცმა, შერე გაჩუმდა და პავლეს მკაცრი მზერა ხანჯალივით მოუღერა.

— დიახ, თქვენო ღირსებავ, — შუბლი შეიკრა ბერმაც, — ფრიად ურჩი ხალხია. განსაკუთრებით მთიელები. სულ სხვა სალოცავები აქვთ ქვაყორით ნაშენები, ტანსაცმელზე კი ჯვრებს ატარებენ.

— ერეტიკოსები იქნებიან, — დაასკვნა მოხუცმა.

— ნახევრად მორწმუნენი, თქვენო ღირსებავ, იმ მთებში ხომ ბნელი, ველური ხალხი ცხოვრობს. სულიერ მოძღვარს იქ ბევრი საქმე და საზრუნავი ექნება, — პავლეს გადმოხედა ბერმა, — წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით ხუცესი პავლე რაზიკოვი...

— რაზიკაშვილი. — ცივად შეუსწორა პავლემ.

— დიახ, პავლე რაზიკაშვილი, — ხმაჩაგდებით განაგრძო არქიდიაკონმა — მივლინებულია ხევსურეთში, არხოტისა და ლიქოკის მრევლში. მისი უწმინდესობის ბეჭედი უკვე აზის გადაწყვეტილებას.

— რომელი მაზრიდან ბრძანდება ხუცესი პავლე რაზიკოვი? — იკითხა მოხუცმა და მზერა მაცხოვრის ჯვარცმას მიუყენა.

— დუშეთის, თქვენო ღირსებავ...

— კარგია, — თავი დაუქნია გამხდარმა, მაღალმა ბერმა. — საკუთარ ნაგაზს ყველა საკუთარი ცოცხით უნდა ჰგვიდეს მამაო, — მიუბრუნდა პავლეს, — მართალია, რომ იქ, იმ ყრუ და მუნჯ მთებში, ისევ წარმართულ სალოცავებს ეტანება ხალხი?

— ღირსნო მამანო. — ფეხზე წამოდგა პავლე, — მთაც სრულიად საქართველოს ნაწილია და მთიელნიც ისეთივე ჭეშმარიტი ქრისტი-

ანნი არიან, როგორც ბარის ქართველნი. რჯულისა და სამშობლოსათვის ბევრჯერ ულვრიათ მოწამებრივი სისხლი, ქართველი მეფენი მუდამ დიდად აფასებდნენ მათ თავდადებას და ღვთისმოსავობას.

— ეგ ისტორიაა, ნახევრად ტყუილი და გროგონილი, — უცებ აბრიალდა მოხუცი, — მხოლოდ მესამე რომი და სამეუფეო ტახტი მოსკოვისა განწმენდს ყოველგვარ უკეთურებას ქართველებში.

— თქვენო ღირსებავ! — სახრესავით განიერად მოუქნია პავლემ, — ამ უკეთურებს ერთ დროს იმედით შეჰყურებდა მართლმადიდებელი აღმოსავლეთი. აქ შეითხზა ჯვარი ვაზისა წმინდის ქალწულის ნინოს თმითა და ხელით უფლის ჯვარიც მცხეთაში გვისვენია და მფარველად ღვთისმშობელი გვყავს.

ხუცესი ერთიანად ცახცახებდა. ერთხანს ისიც კი გაიფიქრა, ეს ძველი ანაფორა გაეხადა, ამ შავი კრებულისათვის მიეგდო და გამოტრიალებულიყო, მაგრამ იქ, ფშავში, შიმშილი რომ მგელივით ჩამოუჯდებოდა დირეზე, რა უნდა ექნა, რომელ კლდეს შეხეთქებოდა.

მოხუცმა ბერს შეხედა და იმანაც ხოშკაკლასავით გადმოაყარა პავლეს.

— მამაო, მისი უწმინდესობა ეგზარხოსი იმედოვნებს, რომ სინოდისა და ხელმწიფე იმპერატორის ერთგულება მხოლოდ ხევსურეთამდე არ მიგვყვებათ...

* *
*

ხევსურეთში პავლე ხუცესის სახელი ყველას ენაზე ეკერა. ბევრი მოსისხლე გვარი შეარიგა და შეახვეწა მაცხოვარს. ისევ ის ძველი ბერჩოხა ეცვა, აქა-იქ მზისგან ამომწვარი, მიმინოსფერი, ჟღალი თვალები მუდამ სიყვარულითა და სიკეთით უცინოდა. ხატობაში, როცა ხევსურები სატევრებივით იქნევდნენ კაფიებს, პავლეს გამოჩენას ერთი მხიარული კიჟინით, ხმალ-აბჯრის ჟღრიალითა და ლუდის სავსე სასმურით ხვდებოდნენ.

— აბა, ვაჟკაცებო, ხუცესი მოვიდა და თქვენ იცით...

დაჯდებოდა პავლე, აიკეცავდა ნიავისგან მოტაცებულ ანაფორის კალთებს, ხევსურებიც უფრო ალესილ კაფიებს ამოალაგებდნენ ხსოვნის სკივრიდან და ამ დროს ჩანჩქერიც კი გაჩუმდებოდა ხოლმე.

— ჩვენი ას, ჩვენი, — ხორხოცებენ ხევსურები, როცა ხუცესის კაფია ხან მიმინოსავით დააცხრება გაჩუმებულ მოშაირეს, ხან კი კრაზანასავით დაჰბზუის და გზას არსაით აძლევს.

— ანდრეზ ჩვენია, კაფია — ფშაველთა, — დინჯად იტყოდა ვიღაც და ჯვაროსანთა ღრეობა ისევ მთებსა და კლდეებს ეხეთქებოდა.

ერთხელაც პირიმზის ხატობას შეიყარნენ პირაქეთ-პირიქითელები. შემოუსხდნენ თავზე ნისლშომდგარ საკლავის ქვაბებს, ლუდის რუმბებს, ზარმაცი ჟიპიტაურით სავსე თულუხჩებს, მკლავის წაწვედნაზე მიიწყვეს დავითფერულები, პატარა, ნაჭედი ფარები, გაცინებული, ვერცხლით მოსევადებული ხირიმები.

ატყდა ბეწიკა წიკლაური — ფშავი ხევსურთა ალაგ-სახვეწარზე ორბის ჩაფრენით დაბლაა და ლექსსაც თითისტარივით აბზრიალებენ, აი, აქა ვარ და, გამომყვეს, ვნახოთ რა ვაჟი ას. თან მზერა ინაზად ჩამჯდარი ხუცესისაკენ გააპარა.

— გაჩუმდი, ვაჟო, გაჩუმდი, რაებს ჰრატრატებ, — შეუტიეს აქეთიქიდან, მაგრამ ლუდგამჯდარ წიკლაურს ნიავი არწევდა და ბნელში ნაბამი ბულის ანთებული თვალები ავად უკვესავდა.

ცოტა ხნის შემდეგ ბეწიკა წიკლაური იმ ხარსა ჰგავდა, ზაფხულის პაპანაქებაში კუდით რომ იგერიებს ირაოდ წამოსულ ბზიკს...

ხევსურთა ხარხარმა მთებზე ნაწოლი ნისლი გააღვიძა. ისიც ადგა, აიშალა და პირქუშ ნახჩატებში ცივად აბოლდა, სამაგიეროდ ახლა ცას შეწყვეტილ საჯიხვეებს ადგა ღვთის თვალი, სინათლის ჩქერალი ჩანჩქერივით ეკიდათ მზის შუქით ჩარეცხილ კლდეებს და ცას ლამის ფსკერი უჩანდა.

— მაშ აგრე, ბარელო, — დაიჭექა წიკლაურმა და საშუღლოდ აშლილმა ქარქაშიდან ხატევარი ამოაფრინა.

— გონს მოდი, ვაჟო, — მკლავში სწვდა გვერდით მდგომი, — ღმერთსა და ხატს ნუ სცოდავ...

— აი, ჩემი კაფია, — ხმალი შეათამაშა წიკლაურმა, — ჯვარიმც სწერია წმინდა გივარგისა... უკეჭნოდ არ ჩაიგებიან...

პავლემ ჯერ ცაში გაგზავნა შაქედრებელი მზერა, მაგრამ, როცა წიკლაურმა „ბარელი“ ისევ ახსენა, პირჯვარი გადაიწერა და მთვრალ ხევსურს მიუბრუნდა...

— მაიტ ხმალი, თორღვავ, ხომ ხედავ, აღარ ჩერდებიან...

— ვაჟკაც ყოფილა, — გაუკვირდა წიკლაურს, როცა ფარხმლიანი ხუცესი მისკენ დაიძრა.

ცალ მუხლზე ჩაჩოქილი ხევსური შემართული სატევრით და წინ გაწვდილი ფარით ხვდება პავლეს ირიბად მოქნეულ ხმალს. იმავ წამს ასპიტივით დაისისინა წიკლაურის მახვილმა და წვერი ხუცესის მკერდს უწვდინა, მაგრამ ჯიქის რბილი ნახტომით აცილებული ფოლადი თითქოს ჰაერში გაიყინა.

— ვაჟკაც ას, — აღტაცება ვერ დამალა წიკლაურმა.

კიდევ ერთი განიერი მოქნევა და ციცინათელების გუნდი წამოფრინდა გადაჯვარედინებული ჯავარდნებიდან.

კეჭნაობაში ნაცადი ბეწიკა ახლა წელში ნახევრად წახრილი ეპარება ცეცხლის ალივით ფხიზელ ხუცესს. პავლემ იცის, ამ ნაბუსს ან გრძელი და მრისხანე ნახტომი მოჰყვებოდა, ან ფარ-ხმალის არეული და თავგზისამბნევი დარტყმა, ამიტომ თვითონ ასწრებს და ფოლადის ძაფებით დაქსელილ ბადეში ახვევს დაბნეულ ხევსურს. ხუცესის ხმალი შხუის, წივის და ფოლადის ნესტარს ბეწიკას მარცხენა მხარზე დაჰკრავს.

— ვაჟკაც ას, — დაკენჭილ მხარზე ისვამს ხელს ხევსური და ძერე იმ სისხლით საბეს ჩამოიწმენდს, — ახლა ჩემსასაც ნახვიდე, ბარელო...

ხევსურის ხმელი ნაქნევი მისწვდა პავლეს და ანაფორის კალთა ისე ჩამოსხიპა, თითქოს ზედ სამართებელი დაეკრათ. ახლა ნიავი მიაფრიალებდა დაღმა ჯვალოს განიერ ნაჭერს.

— არა გჭირსაა? — გაუკვირდა ხევსურს.

წიკლაური კამეჩივით მიიწევს, ხუცესი ხელში ნაჭერი ქარივით უსხლტება და განრისხებული ახლა მაჯის უცნაური მოძრაობით დაბზრიალებული ხმლის ირიბად ჩამთლელ დარტყმას გზავნის პავლესკენ. რაზიკაშვილი ისევ ნიავივით გაძვრა ხმლის ქვეშ და წიკლაურის მახვილმა ხუცესის ნაადგილარზე სამყურა ამოთიბა.

— არა გჭირსა? — ეს მერამდენედ უკვირს სისხლის გეშით აშლილ ბეწიკას.

პავლემ ფარი განზე ისროლა და ხმალი ძირს დაუშვა. ახლა მის წინ ადამის ძე კი არა, ჩალისფერი ფოცხვერი იდგა, სისხლს მოწყურებული, ავი, ცივი შუქით ანთებული თვალებით.

— არ დამინდობს. — გაიფიქრა პავლემ, — კეჭნაობა სისხლის დაღვრად იქცევა და მერე...

წიკლაურმა მსუბუქი კამარა შეჰკრა, ხელი მოინაცვლა და ახლა შარცხენით უმარჯვა მახვილი ხუცესს, მაგრამ დაბლიდან ნაკრავმა მკლავი წაართვა, ფოლადი კი ხელიდან გაუფრინდა და კაპასი სისინით ჩაეცა შამბნარში...

ის კეჭნაობა ხუთ ძროხად დაუჯდა პავლეს. დასტურებმა ქერის ბუთი მარცვალი ჩააწყვეს ბეწიკას ნახმალევ იარაში, შესარიგი და საკარგყმო დალიეს, საქონელი გაირეკეს და აღმართებს აუყვნენ.

გაეა ხანი და ვაჟა მოიგონებს, როგორ უყვარდა პავლეს ძველი, საგმირო ამბების მოყოლა, მათ შორის კი ყველაზე მეტად „ყარამნიანი“ მოსწონდათ...

რაზიკაშვილთა დაუდეგარი სისხლი ბობოქრობდა, ერთი შეხედვით, მშვიდი, ღვთისმოსავი და უპრეტენზიო ხუცესის — პავლეს ძარღვებში, სისხლი, რომელსაც კაცობრიობისათვის მომავალში ქართული პოეტური სიტყვის მინდია — ვაჟა-ფშაველა უნდა მიეცა.

მწიგნობარი კაცია პავლე... „ქართლის ცხოვრება“ ჯერ კიდევ სიყმაწვილეში წაიკითხა, მერე ძველი, ყდაშემოჭმული „ვეფხისტყაოსანი“ ჩაიგდო ხელში და თვალი გაიმდიდრა. მზე გალობდა ამ საოცარ წიგნში, ქართლის ბაღ-ვენახის სურნელი დაჰკრავდა ვეფხვის ნასტომივით საოცარ შაირს. ხალხური ლექსი, თქმულება თუ ლეგენდა ხომ იმდენი იცოდა, სათვალავი ვერ დაიტევდა... ბრძენია ხალხი. შეხედავ და პაჭიჭიანი მთიელია, სიღარიბის ნაჩუქარი ჩოხისძველა აცვია, ჰაიჰარად ამოსხმული ქალამნები, მიწის შვილია, წუთისოფლის ჩვეულებრივი მგზავრი, მაგრამ ისეთს იტყვის, სიბრძნის ისეთ ანეულს გაშლის, გაკვირვება სკამზე აღარ დაგსვამს. მერე რა მსუბუქია ფშაური ლექსი, ხოხობივით იცის წამოფრენა და სტრიქონებიც ფანდურის ლარებივით აქვს გაბმული.

ფშავში ყველა სალოცავთან მითი თვლემს, ყველა ბებერ მუხასთან ლეგენდა მიწოლილა.

პავლე ბალღი იყო, როდესაც მამამ წინ დაისვა და საიდუმლოებასავით გაანდო:

— ჩვენი მოდგმა, შვილო, ხევიდან არის, სნოდან, ფესვი იქა გვქონია, ტოტი და ვარჯი კი ფშავში გაგვიშვია. არავინ იცის, აქეთ რამ გადმოიყვანათ. ჯერ კიდევ პაპაჩემისაგან გამიგია: „მეფე ერეკლე ცხენზე რომ ჯდებოდა, შვილო, უზანგი ანგელოზს ეჭირაო“, თურმე ბევრჯერ ხდებიან რაზიკაშვილების კაცნი ომში, ლეკი უთიბავთ, ოსმალოც კაჭაჭივით უჩეხიათ, დაელა და სახელიც კარგი უშოვიათ...

მხოლოდ ერთხელ იყო პავლე ხევში. მიწის ყივილმა თუ აიყვანა, თორემ საიქიო არც საქმე ჰქონდა, არც სხვა რამ.

სნოველებმა გულითადად მიიღეს.

თუ ფშავის მთებს ბნელი ტყე ეცვათ, აქ მწვანე ჭათიბი მოესხათ ცაში აშლილ გოლიათებს, სნოს წყალსაც მთების ნამღერი მოჰქონდა ხეობაში და ცხერის ფარა ეფინა დაბლა ჩამოქანებულ ფერდობებს.

— ჩვენი ხარ, ვაჟო, ჩვენი, — უხარიათ სწოველებს და სტუმარს თვალ-წარბში შეჰყურებენ.

ერთ ფეხად მოიარა პავლემ იქაურობა, ძველ სასაფლაოზეც ავიდა, სადაც სიპით ნაშენი პატარა ეკლესია ჯერ კიდევ ებრძოდა დროს, თუმცა ცალი კუთხე ჩამოშლოდა და მუხის ძელიხეებიც ფუტუროს გამოეჭამა... შიგნით რამდენიმე ხატი ესვენა. გამურულ საკურთხეველზე მტვერწაყრილი ლოცვანი იდო.

ზოგი საფლავის ქვა უკვე მიწას ჩაეყლაპა, ზოგიც გვერდულად ყირავებული ეკიდა, ალბათ, უკვე ნახევრად ცარიელ საფლავში, ზოგსაც გარშემო ჭინჭარი და ეკალ-ბარდი მოსდებოდა.

— ძველია, დავიწყებული, — თითქოს თავი იმართლა მეგზურმა მოხევემ, — სასაფლაო, აი, იქა გვაქ სწოველებს, — წყალგასაყართან ჩამუხლული ფერდობისაკენ გაიშვირა ხელი, — თქვენი ბიძა-პერპერა ნიც აქ თუ წვანან, — გარშემო მოავლო თვალი, — იმათ კურთხევა და ჩვენ — მშვიდობა.

— ამინ! — შეაგება პავლემ...

მეორე დღეს ფარაში ნარჩევი ჭედილა ამოაყვანინა წინაპართა საძვალეზე, პურ-არაყიც ამოაზიდინა და შავეთში გაუგზავნა ხევის მიწაში მიძინებულ რაზიკაშვილებს.

ძველ ეკლესიაში ისევ შეირხა სიჩუმე, ისევ გაისმა სანთლების ჩურჩული, ხოლო სადღაც, ბნელ კუთხეში, ქედანი აღუღუნდა.

მეორე დღეს ნისლაყრილი მყინვარიც ნახა, სახლიკაცებს მკერდზე ეამბორა, ლოცვა-კურთხევა დაუტოვა და ისევ ხევსურეთში აბრუნდა.

გადიოდა დღეები...

უკვე ორი წელი მოიყარა, რაც პავლე ხევსურეთს არის. ციკნის კუდივით მოკლე გაზაფხულს, უფრო პატარა ზაფხულსა და გრძელ ზამთარს უკვე შეეთვისა, მრევლიც ჰყავს, მაგრამ გული მაინც იქით, ფშავისაკენ მიუწევს — იქნება ღმერთმა ინებოს და სინოდს გული მოუბრუნდეს. ჩრდილიც კი თავის ხესთან წამოწვება ხოლმე და რა იქნება, პავლე ჩარგალში გაამწესონ? თანაც კარგა ხანია, ხევისბერი ბერდია ხიმიკაური თვალამრეზით უყურებს, სადმე თუ შეხვდა, ხუცესს სახრესავით გადმოჰკრავს ხოლმე ხმელ მზერას და ისე ჩაუვლის, თითქოს ფეხს არიდებდეს.

იმ დღეს ამბავი ჩამოიტანეს — ხეობაში ახალნახადი არაყი უსვამს ბერდიას, მერე განზე გამდგარა, ზარი შემოუკრავს და ხმაჩახლეჩილს უკითხავს:

— ხევსურთ შვილებო, ვინ ას ეს ხატ-სალოცავი.

— ზომ არ გაგიჟდი ბერდიავ, ვისი უნდა იყოს, ჩვენი ას.

— ვინ გაგიმრაველათ ცხვარ-ზროხა, საქონ-საპოხი?

— ხატმა, ბერდიავ, ხატმა, იკურთხოს ბატონის მადლი...

— მაშ, თუ ხატისა ხართ, ხატისა იყავით, ხევსურნო, ჩვენ ჩვენი სანთელ საკმევი და სახვეწი გვაქვს, პირჯვარიც ჩვენი ვიცით, არც ბარულებ ლოცვას გაჰკიდებიან ჩვენი მამა-პაპანი, ასე ვყოფილვართ და, აჰა, აქამდე გაგვიტანიას თავი, ეხლა კი ბარის კითხულნი გავხდით, ეგზარხოსის გამოგზავნილ ხუცეს ს ენათელინებით, გაწყდაა ხევსურთს წინაპართა მადლი? — ისევ ხმამაღლა უკითხავს ბერდიას და თვალებიდან ცეცხლი ჩამოუვარდნია.

დუმილი ჩაჩქნიანმა ხევსურმა დაარღვია. ნაბიჯით წინ წამოდგა, მარცხენა ხელით დავითფერულის ტარი დაბლუჯა და თამამი მზერა ხევისბერს შუბის წვერივით მიაბჯინა.

— ჩვენი ხატ-სანთელი და სახვეწარი გვაქვსო, — იტყვი, ბერდიავ, და, პირიმზე თამარის მადლმა, სწორი ხარ, გრამ ბარელნიც ჩვენი სისხლისა და ხორცის განაყრები არიან, ბარის ღრუბელი აქაც გვიბნელებდა მზესა, ჭირიც ერთი გვქონია, ლხინიც. შენ კი, ხიმიკაურო, ლამის საქისტედ გაიმეტო. ვინც ამას იტყვის, გალეკებულია, ან კიდევ ცალი ულვაშით დავალს ქვეყანაზე, — დაასრულა ხევსურმა და ირგვლივ ცხელი მზერა მოავლო.

— ნუ ჰბედავ, ალუდავ, ნუ ჰბედავ, ხატის კარს სდგახარ! — შეუბღვირა ბერდიამ.

— დასტურ, ალუდავ, — წამოიძახეს აქეთ-იქიდან, — მთა-ბარს ერთი დედა ჰყავს, — საქართველო, შენ კი, ბერდიავ, ავი ქარი გცემია და ისაა.

— მაშ ეგზარხოსის ხუცი დაიყენეთ ხევისბრად, ხევსურნო, ხატის დასტურებიც რუსსა სთხოვეთ, აგე ხალხი რას იტყვის, — ეკლესიები შიგნით თავლასავით უთეთრებიათ, კათალიკოსები ჩვენ არა გვყავს და ჯვარის მამა, ბარიო, — ამბობთ, — სადღაა ბარი...

— პაელე ხუცესი ჩვენი ას, — დაბეჭდა ალუდამ, — აქაველი. არც არაფერი აბადია, არც რამის შოვნა უცდია. ღვთის კაცია, იმასავით შეწირულ-შეხვეწილი.

*

*

იარა წუთისოფელმა.

ღვინობისთვეს პაელე ხუცესი ისევ იხმეს სინოდში. რაზიკაშვილი ფშაველია, მთების შვილი. მაშ, ჩარგალში ავიდეს და იქაური მრევლი ჩაიბაროს.

პავლე თაჭახრილი დაუყვა ღვინის აღმართს. ნარიყალას იისფერი ბინდი მოსდებოდა, ნიავი ქექავდა კედელთან მიყრილ ნაგავს, ბიბილური მტკვარი კი ნელა მიაცურებდა განიერ ტიკს, რომელზეც მაყალი ბოლავდა.

ამაღამ მოკეთესთან გაითენებს ღამეს, ხვალ კი დილიჟანს დუშეთამდე აჰყვება, ცხენს იქირავებს და მზის გადახრამდე ჩარგალში გაჩნდება.

მოენატრა იქაური წყალ-ჭალა, საკურდღლე სერები და საირმე ტყეები, გრილი ფშანები, სათიბში გასვლა, ყვავილისა და ნექტარის სუნით გაბრუებული ფუტკრის ზუზუნი, თუმცა იქაც დახვდება უძღომელი ბოქაული, კვარით შემჭვარტლული სილატაკე და ძველი ქალამანივით პირღია მამასახლისი.

ბილიკი ხევის კიდეზე მიიკვლევს გზას, დაღლილი პავლე უნაგირზე ქანაობს, რულით თვალწინ ღამურასავით უფარფატებს... ნალის წკრიალი და სიპის ნაკვესი იპნევა ფლატეზე.

ამ სერსაც აივლის და შინ იქნება, თავის ჩარგალში. შინ იქნებამეთქი, ჯალაბს მიხედავს, მტერ-მოყვარეს ფშაური რიგით დახვდება, თორემ სხვაგან ყოფნამ ლამის ბალღებს მამა დააკარგვინა. როცა ცოლ-შვილის მონატრება აღარც პურს აჭმევდა და აღარც წყალს დაალევინებდა — შეკაზმავდა ხოლმე ფეხთეთრა ქურანს და ფშავისკენ ჩაღვრილ დაღმართებს ჩაეკიდებოდა. რამდენჯერ მისდგომია დირეს ცივი ქარისგან გაშოლტილი, ყინვისაგან დაკბენილი, თხემიდან მესტების ჭვინტამდე სველი. რამდენჯერ გაჰკვირვებია ჭიჭახევის თხემზე შემომჯდარ მთვარეს მისი ასეთი გამოჩენა.

მიეყრდნობოდა დაღლილი ხუცესი ბანის ბოძს და შემოსძახებდა:

— აბა, ვინა ხართ შინა, ოჯახიშვილნო, გამოიხედეთ კარში...

ბალღები ერთად მიყრილან განიერ ტაბტზე. გარდიგარდმო დაკონკილი ტყავ-საბანი ახურავთ და თავთან ძილის ანგელოზი უზით, სიპის ყორეზე მიდგმულ ბანიანს საჭონლის ფშვინვა და ხარ-ფურის სითბო აუსებს, მთებსაც თავები ჩაუქინდრავთ, დაბლა, ჭალაში ღაკარგული კვიცივით ხვიის და ფრუტუნებს ჩარგლურა, მთის ღარიბი სოფელი გლეხის მოკლე მოსვენებას მისცემია...

შეირხეოდა შიგნით სიჩუმე. აინთებოდა კვარი და ბინაზე ბარბარე კელაპტარივით გამოაშუქებდა. როცა პავლეს ამ ყოფაში დაინახავდა, პირზე მომდგარი სიტყვა გაუცდებოდა. ჯერ ცხენს დააბინავებდა, ხუცესს მშრალს ჩააცმევდა, ცეცხლის პირს დასვამდა და მერეღა ეტყოდა მოკლე საყვედურს:

— რას დახვალ, კაცო, ამ შუაღამისას, ადრე რომ გადაიჩეხო, შე ბეჩავო, და ყვავ-ყორნის დასატირებელი გახდე, ცოლ-შვილს რას

ეუბნები, ვინ გიჭმევს და გისმევს ამ საბრალოთ? — წაახურებდა გა-დმოყრილ ტყავებს თმაგაჩეჩილ, მძინარე ბიჭებს...

— გინდა ხიფათს მიუკლივარ და გინდა თქვენს უნახაობას, — გა-იღიმებდა პავლე და თვალებზე რულმოძდგარი შეჰყურებდა ცეცხლის შუქზე სიპებზე აბორიალებულ ჩრდილებს.

— დაგღალე, დედაკაცო, — შეანაცთებდა ბარბარეს საყველურით სავსე თვალებს, — მთელი ოჯახი და გომ-საბძელი ზურგზე გკიდია, ბალღები მაინც თუ გეხმარებიან რამეს, ხბორებია, ბატ-ინდაური, მოკლე სახრე მიეც და დაუყენე... მეც ეგრე ვიყავ თავის დროზე, მაგ-რამ აგე, როგორი ხუცესი დავდექ, — გაიღიმა პავლემ.

— ენაცვალოთ დედა, ვაჟკაცები მყვანან. წვრილი საქონელია, კო-კა თუ ფიჩხი, სულ ამათი თავში საცემია, ამისთვის ჯერ კი პატარები არიან, მაგრამ გლეხის შვილს როდის გაუხარია, — ცრემლი მოადგა ბარბარეს...

— წიგნი უნდა ვასწაელოთ, — მტკიცედ თქვა პავლემ, — ქვეყანაში უნდა გავრიოთ...

— რითა, ხუცესო, რითა? — გაუკვირდა ბარბარეს — ჩვენც რა, ხელს გავშლით და უზალთუნები დაგვცვივა.

— უნდა ვასწავლოთ! — შუბლი შეიკრა პავლემ, — კლდეს დავეჯი-დები, რკინის ქალამნებს ამოვიცვამ და ვასწავლი.

— გისმინოს პირიმზისამ და ლაშარის ჯვარმა, — ხელები მაღლა აღაპყრო ბარბარემ, — ახლა კი ბატარაი ხაჭო-ერბო შეჭამე ლა დაწექ, თორემ ძვალ-სახსარი წაგერთმის.

*

* *

ბევრი გაჭირვება ენახა პავლე რაზიკაშვილს. ღარიბი გლეხის ოჯახში დაბადებულს წუთისოფელი თავიდანვე პანღურს ამოუჭერდა ხოლმე. პავლეც მოჩიტდა თუ არა, ხელში სახრე შეაჩეჩეს, ტყავის გუდაში ხმიადი, დამბალი ხაჭო ჩაუდეს და ფშავის ველ-მინდორს მისცეს, თან მოკლე დარიგებაც გაატანეს...

— ხბორებს იქ აძოვებდე, სადაც უფრო ნოყიერი, შეკრული ბალა-ხია, საღამოთი მაძღარს მორეკავდე, უკვე კაცი ხარ და ოჯახში ტომ-რით თუ არა, პარკით მაინც უნდა შემოგქონდეს.

თითქოს გათავდა ბავშვობა, წეროებივით უნდა მიჰბრუნდნენ ერთ-შანეთს ერთფეროვანი, უსიხარულო დღეები, მაგრამ მაჭარი ისევ ღუღდა, ჩქეფდა და დაღვინებამდე ჯერ კიდევ კარგა მანძილი იდო.

უბით სალამური, თავისი ხელით გამოთლილი სტვირი დაჰქონდა

და, თუ სადმე ჩამოჯდებოდა, იქ ხან ბულბული უსტვენდა, ხან ცასწავლა წკრიალებდა.

ხანდახან ცაში არწივი დაიჭექებდა, წამოვიდოდა ირაოდ იმ ფასკუნჯის წივილით, ზღაპარში რომ მზეთუნახავს იტაცებს და ბოჩოლებს დაელერება, მაგრამ პავლე რაზიკაანთი იყო და ცის მეკობრეს ისე მიუვარდებოდა ხოლმე შიშველი სახრით, თითქოს ხელში ქონით ნაპოხი ფრანგული სჭეროდეს. შეშინებული ხბორები ერთმანეთს ეკვროდნენ, უცახცახებდათ თხელი ფერდები.

არწივი კი ისევ მეფურად შემოუვლიდა მთებს, მერე ცას მიეკერებოდა, მაგრამ შეშინებული ფრინველი და წვრილი ნადირი კიდევ კარგა ხანს იყო ჩაყუჩებული ეკალ-ბარდებში, დახლართულ ღიჭინაში, მხოლოდ ვასაკები ისხდნენ თამამად ძირხვენის ბრტყელ ფოთლებზე.

მერე სიმწვანე შეირხეოდა, წიობში გადმოხრილ ტოტზე ჩამოსკუპდებოდა დედა ჩიტი და სწყევლიდა თავისი შვილების მტერსა და ავს, ბეჩავის დამჩაგვრელს, ობლის განუკითხველს.

ტყეში უხვად იყო მაჟალო, წითელი ცრემლებით ატირებული შვინდი, დათვისთხილა, მძივივით გაპნეული კუნელი, ტყემალი, მაგრამ პავლეს უფრო პანტა-მსხალი ჰყვარებია, ჩაშაქრული, სიმწიფით ჩაშავგულებული.

აკი ასეთი მსხალი სდგომია რაზიკაანთ მეზობელს! ხეხილს რა უჭირდა, თავის რიგზე მწიფდა, მაგრამ პატრონი ჰყავდა მკვახე და ძუნწი, ტოტს რომ ერთი პანტა ჩამოეგდო, ნარ-ეკლით თავპირს დაიწიწკნიდა და იმასაც არ დაკარგავდა. ამიტომ ქარ-ნიავიც ხშირად დასცინოდა და ტატულაშვილიც მაჩვივით დაძვრებოდა მსხლის გარშემო გაბნეულ ბარდებში.

ერთხელაც პავლეს ეშმაკმა უჩურჩულა, — ადი და დაკრიფეო. ისე მარდად აძვრა გაფიჩხულ ტოტებზე, ბებერი ნაძვის მორზე დასკუპებული ციყვიც კი გაკვირვებით შესცქეროდა. მერე კუდი მაღლა ამოიჭირა და თათებში მოქცეულ თხილს დაუწყო კვნეტა.

გული იჯერა იმ ტკბილი პანტით, მაგრამ რა, საიდანღაც ტატულაშვილი გამოძვრა, მსხლის ქვეშ გალაჯული დადგა და დაბლიდან ცეცხლივით შეუნთო მზერა.

— ჩამოხვალ, თუ დაღამებამდე მანდ იჯდები? — აუგდო კითხვა პავლეს.

— ჩამოვალ, თუ არა მცემ.

— ემაგის პირობას კი ვერ მოგცემ, ამ სახრეს უქმე არა აქვს.

ხელში მართლაც სახრე ეჭირა, ისიც იფნისა, კარგად გასხეპილი, გულდაგულ გამოყვანილი.

— პანტაა, ოქრო ხომ არა არის, — შეეკამათა პაულე.

— პანტა როა, ვიცი, ინდი-ხურმა ფშავში არა ხარობს, — ტკბილად ჩაიცინა ტატულაშვილმა. — ჩამოდი, საქმეს რაც ადრე მოვრჩებით, ისა სჯობია. მეც არა მცალია, საქონელი მყავ წყალზე ჩასარეკი...

— მაშ უნდა მცემო?!

— ჯერა გცემ და მერე ყველაფერს თქვენებს დავუთვლი, — მრუდე მხრები შეარხია მსხლის პატრონმა, თან პანტის ძირისკენ გააპურჭყა. მეტი რა ჩარა იყო — მაღლა ჯოჯოხეთი, დაბლა კი განსაწმენდელი ელოდა. ტატულაშვილმაც რამდენიმე მოქნევა კარგად უჭირა, მერე ძირს დაიდო და სანაბდე მატყლივით მოთელა, — თან ხმამაღლა იტყოდა, — დახე, რო არცა ტირის... იტირე, ბალღო და გაგიშვებ, თორემ, პირიმზის მადლმა, ძვლებს გაგითქვეფ.

როგორც იქნა, გამოუსხლტდა შემაღლებულ სახრეს და ღობეში ნიავივით გაძვრა.

წელან ვთქვი, ტკბილი ესხა-მეთქი ტატულაშვილის პანტას. არა, მწარე იყო, მწარე...

ზაფხულს კიდევ რა უჭირდა. გაკეთებული საქონელი კანში ცურავდა. მაძღარი ხარ-ფური გრილოში მიეყრებოდა და მშვიდ ცოხნას მიეცემოდა, მაღლა, მთებზე კი ქარისგან ნადღვები ნისლი ხეობისაკენ დაიძვროდა. გაღმა შეფენილი ტყე კიდევ უფრო ჩალურჯდებოდა, მგზავრები გულისპირს ჩაიხსნიდნენ და ახლა ხევებს აუტყდებოდათ მთქნარება, სერებს გაებმებოდა ცისფერ ორთქლად ქცეული მიწის ოფლი. ყვავილთაც შუადღის რული მოერეოდათ, შორს, თავქვეზე, შიშველი მახვილივით ბრწყინავდა არაგვი. უფრო ახლოს კი, ძველ ეკლესიასთან, კურატივით წამოქცეულ ბექობზე ქედანი ღუღუნებდა.

რა არის გლეხის ცხოვრება, ფიქრობს პაულე, ერთი გრძელი ამოკვნესაა და მეტი არაფერი, ღმერთს მიწაზე დაუხლია, მაგისი ხარ და მანდ იყავიო. სულ ბნელში დაფათურობს, ან წიგნი ვინ გისცა, ან ანაბანა ვინ ასწავლა. ზამთარი რომ თეთრი მგელივით მოვარდება, მაშინ არის უფრო საცოდავი. არის ასე და ლოდივით ჰკოდავს თავის წუთისოფელს.

უნდა წავიდეს, სადმე უნდა გაექცეს მშიერსა და შიშველ სიღარიბეს, წერა-კითხვა ისწავლოს, თორემ ნასწავლი თვალით ფცქვნიდა და უსწავლელი ხელითაც ვერაო.

აკი გაუწყრა ღმერთი და ეს სურვილი მამა-ბიძებს არზასავით მიართვა. ამ ცნობამ ჩვეულ, ტრადიციულ ყოფას შეჩვეული ჯალაბი აშალა, — ნეტავ რა ავი და ეშმაკი შეჰყრია ამ ბიჭს, რომ ფშაველობაზე ხელს იღებს. რაც ცა მიწას დაჰყურებს, გლეხი სულ საგლეხოს

აკეთებს — საქონელია, სათიბია, სამკალი, გუთანი თუ წისქვილი — ეს ყველაფერი ღვთისაგან კალთაზე აქვს დაწერილი, ამას კი გულში გვარის შერცხვენა სდებია. ვინ რას იტყვის, — „რაზიკაანთი წიგნსა სწავლობსო.“ — მთელ ფშავში ხმას გაგზავნიან და ჩვენსას ან ცხენს რაღა ფასი ექნება, ან თოფსა და იარაღს, — ცხარობდა ბერო და პავლეს ისე უყურებდა, თითქოს ეს ბიჭი მისი სისხლისა და ხორცის ნაწველ-ნადღვები არ იყო.

— მაინც წავალ, — რიყის ქვასავით ისვრის პავლე და ბარისკენ წასულ გზას გაჰყურებს.

— წავა და მოვკლავ, — საკუთარ თავს უმტკიცებს ბერო, — მგელმა ხომ არ დაცოფა, ან ხატი გაუწყრა, ისწავლი და წიგნი გამოგხრავს, ემაგ ტყავივით გამოგახმობს, რაც ჩვენს გვარში არა ყოფილა, არ იქნების სანამ ეს ქუდი მზურავს...: ადრე ნუ მომკლავ და ამ თოფ-ტიალში საძეო ტყვიას ნუ ჩამაგდებინებ.

მოვიდა ზამთარი. ჩაშოეძინა თოვლს ფშავის ალმართ-დალმართზე და, ვინ იცის, როდის გაიღვიძებს. ბროლის მსხვილ ნატეხებად ჰკიდია ჩანჩქერი პიტალო ფლატეს. მსხვილი ნადირი ბუნაგში შეიხიზნა, უფრო წვრილმა კი ხეობაში, მთების თბილ იღლიაში დაიდო ბინა. აქ უფრო მეტი ნეკერია, თოვლქვეშ კი ხმელი, მაგრამ ჯერ ისევ ყუათიანი ბალახი იმალება. ხანდახან მგლის ყმუილი გამოვარდება ტყიდან, ხან კიდევ ზვავის გრიალი ეცემა შიშველ კლდეს.

გარეთ ცივა. ისე ცივა, ღობესთან აბუზული ნეკერჩხალი ლამის სახლში შემოვარდეს, სადაც შუაცეცხლი ლოკავს შემურული ქვაბის ძირს. პავლემ ამ ყიამეთში საქონელი უნდა ჩარეკოს ჭალაში, მერე მისდგეს და ნეკერი უჭრას შიმშილისაგან დაჩუტულ ფურებს... რომლებსაც ნაღეჭი ჩერებით ჰკიდიათ ცარიელი ცური. ყინვა დაუსივებს პავლეს ხელებს, ტყავ-ჯუბის საყელოში თოვლი ეყრება. კბილი კბილზე აღარ უჭერდება და თეთრ დუმილში წასულ ფშავს, წიფლის შაღალ ხეებს, ჭალის პირას მიწოლილ ბექობებს, რძისფერ უსიერში ჩაკარგულ მთებს ერთხელ კიდევ ეუბნება:

— წავალ, აუცილებლად წავალ, ვერაფერი გამაჩერებს.

წავა, მაგრამ ჯერ საქონელი უნდა გააძღოს, მერე შინ მირეკოს, თვითონაც გათბეს და ისინიც გაათბოს...

ფერდობზე ფურებს ფესი უსხლტებათ — წამოვლენ მაღლიდან, მარხილივით დასრიალდებიან და თოვლწაყრილ საფლობში ჩაეცემიან... ბიჭი გქვია და ააყენე ეს შიმშილისაგან შეჭმული, გრძელი ზამთარით დაბეგვილი საქონელი... ეწევა პავლე, ხან მხარს მისცემს დაბლიდან, ხან მუდარით ჩაჰყურებს სევდიან ლამაზ თვალებში, მე შენ გეტყვი, სახლში მადლობა ელოდება, მაშ, როგორ გინდაო, რომელი

თავადიშვილი შენ ჰყუდიხარ, თეთრი გეცვას და თეთრი გეხუროსო, გლეხის საქმე ეგ არისო.

წავა, აუცილებლად წავა.

გამოხდა ხანი...

პავლეს ახლა კომბალი უჭირავს და ცხვარშია. ზამთარ-ზაფხულს დაჰყვება მთა-ბარში. ბეჩაობაა მეცხვარის წუთისოფელი, თუ მოკლე ხნით წასთვლემს, მაშინაც მუთაქად საკუთარი მკლავი აქვს. მერე რამდენი მტერი ჰყავს ცხვარ-შიშაქს — აქეთ ნადირი, იქით კიდევ ქურდი და ყაჩაღი, მუდამ თვალმშიერი ყაზახები, „საბალახოს“ დახარბებული, ჯიბეგაცვეთილი თავადები, ანაზდად შეცვლილი ტარო-სი, ქარწვიმა. მოდი და გაიგე, თვალის გამომჭმელ ნისლში საით გაირეკა ელვის შოლმა ასხლეტილი ცხვარი. ნაბადი რომ წვიმით გაიჟღინთება, კლდის კალთასავით დამძიმდება და შიგაც თავით ფეხამდე გაჟიებული ჰხვევიხარ, ეგება ლოდქვეშ ამოფარებული მკვდარი შეწზე ბედნიერი გეგონოს.

აქაც შეუსმენელის სახელი დაიგდო პავლემ. წინ რომ წმინდა გიორგი გადაუდგეს, გზიდან არ გადავა, ჯიუტია, ფეხმოუცელელი. დღე არ გავა, ბერომ არ შეახსენოს:

— გლეხი ხარ, ვაჟო, გლეხი და ხანდახან თავის დაბლა დაკერაც იცოდე, თანაც ცხვარი სხვითა მიწაზე გვიყენია.

— მერე რაი, საბალახო ხომ მიეცით, — მკვახედ ამბობს პავლე.— ჩვენთან რაღა ხელი აქვთ?

თითქოს ამის პასუხად შორიახლოს რამდენიმე ცხენოსანი გამოჩნდა. მაღალი ნაბიჯით მოდიან, ბუღებივით მოარღევევენ ჰაერს.

მოვიდნენ და პავლეს ახლოს ფალავნურად დადგნენ. მზერა აქვთ ისეთი, ცეცხლიდან ამოყრილი შაფი შამფურები გეგონება. არ მოეწონა პავლეს მათი განიერი დოინჯი, ასე დგომა და ისე მოსვლა.

— რა გინდათ? — ქამანდივით ესროლა სამივეს, — თუ მოხვედით, თქვით კიდეც!

— ცხვარი უნდა დავსხლიტოთ, — ისე მშვიდად მიუგეს, თითქოს პირობა ერთი კვირის უკან შეეკრათ.

— ვისები ხართ?

— ჩერქეზიშვილის მწყემსები...

— ამ ადგილების პატრონისა?

— ჰო...

ისევ ბუღებივით გამოქანდნენ და პავლესაც რა ექნა, იმ ორს ცხვირპირი წითლად შეუღება, მესამე კი მაღლა წაიღო და მიწას ისე დააწვიტა, წუხანდელი წვიმისგან დამბალ ნაფუზარში კარგა მოზრდილი ორმო გაჩნდა... მერე თოფი გამართა და შეუკივლა.

— ახლა, გაჰქრით, თორემ ლაშარის მადლმა, უნიშნოდ ვერ წამიხვალთ! — წელან თუ ნავაზებივით მოვარდნენ, ახლა ფინიებივით წკმუტუნებდნენ და გზადაგზა მუქარას ჰყრიდნენ...

— ბატონს ვეტყვით და მერე ნახეთ, ძვალი და რბილი ცალ-ცალკე თუ არ დაგლეგოთ.

ოდითგან ასეა: ვაჟკაცობა ჩუმად იყო, ლაჩრობა კი ყბედობდაო...

არც პაველეს დასდგომია კარგი დღე. მხარი დაჰბეჟოდა და თვალის ცალი უპეც ღიღილოსავით ჩალურჯებოდა. მთელი ღამე იფხიზლა. თივაზე გულაღმა გდია და თავზე ფუტკრის მართვესავით დაჰბზუის ფიქრები, მთვარე კი გაივლის და გამოიელის იასამნისფერ ცაზე. რა ენაღვლება, თუ დაბლა რაზიკაანთ პავლეს ჭინჭრის ლოგინი აქვს გაშლილი. წეღანდელი გულადობა არც მეცხვარეებმა მოუწონეს.

— წინ რომ კლდე შეგხვდეს, იმასაც შეუბღვერ. — მანდ რატომ დგებარო. ასე არ იქნება, ვაჟო, გლეხი მიწასავით ჩუმი უნდა. ემაგ ხანჯარს რომ არ ეშველა, ისე გაგხდიდნენ, ეელარ აგკრეფავდით.

— მაშ ყველა თავზე გადაიელივეთ, — აბრიალდა პავლე, — თავადიც, ურიადნიკიც, ულვაშზე ხელი არ გაიელოთ, ცხვარი თუ ჩუმია, იმიტომ არა ჰკლავენ და პარსვენ.

— ეგენი ხვალ უთხარ, ჩერქეზიშვილი თავისი კაცების ცემას არ გაპატიებს, ალბათ, ერთი შენი მართალი უთხრეს და ათი თავისი ტყუილი, თანაც, იმის საბალახეზე ვდგავართ, ადგება და გაგვყრის.

— ის თუმნიანები რო ჯიბეში ჩაიფინა, აღარაფერია?

— სად ეძებ, ძმისავ, სამართალს, — გაიცინეს მეცხვარეებმა, — ყაზახებს მაიყვანს და ისეთ პანღურს ამოგვიჭერენ, შენ თვითონ შოგეწონოს. სამართალიო, — ძძიმედ ჩაიქნიეს ხელი და წავიდნენ.

მეორე დღეს, მართლაც, მოვარდა ის თავმომწონე თავადი. მოდის, მოათამაშებს ნაჩხატის ქაფივით თეთრ ცხენს. სანადიროდ გამოსულ ხელმწიფეს ჰგავს, უკან კი გუშინდელები ჰოსდევენ ნაგეში მწევრებივით...

— თავადს ვახლავარ, — უზანგი დაუჭირა ბერომ, — ჩერქეზიშვილმა ცალი წარბი მაღლა ისროლა და პაველესკენ მთრახი გაიშვირა.

— ეს იყო? — მიუბრუნდა ყმებს.

— ეგა, ბატონო, ეგა, — ისე დაგვხადა, დედაკაცებმა ეელარ გვიცნეს.

— მოიცა, ნუ წკმუტუნებთ, — სახეზე აცურებული ღიმილი მოისხიპა თავადმა. — მართალია? — თვალამრეზით შეხედა პაველეს.

— უმიზეზოდ არ იყო, — ცხვარში გაერივნენ, საცა კაი მსუქანი ჭედილა ნახეს, თავისი ეგონათ.... — ხმამაღლა მიაგება პაველემ.

— ბიჭო, ე ჩემი ყმები ლეღვივით მიფცქვნია და უმიზეზოდ არ იყოო, კიდევ ამბობ, მაშ მე ვიღა ვყოფილვარ.

— მეცხვარეც ღვთისაგან არის, რისთვის ვყუდიეართ, თუ საქონელს ყურს არ ვუგდებთ?

— ეგეც სწორია, ღვთის მადლმა, — გაიცინა თავადმა, — მაგრამ იმების ცემა მაინც არ უნდა გაპატიო, იმიტომ რომ თავადი ვარ, ბიჭო, — თავმობრუნებით გასძახა უკან მდგომებს, — მიდით და ტანსაცმელი გახადეთ.

პავლემ უკან დაიხია, ქვმარზე ხელი იკრა და დილის მზეზე აპრიალებულმა ხანჯალმა ცივად გახედა შეცბუნებულ ბატონს. არც ყმებს ეღოთ ადამის ძის ფერი.

— მიდით-მეთქი, ღორის შვილებო, — დასჭყივლა ჩერქეზიშვილმა, — კაცია, ბირთვისის ციხე ხომ არა.

— აქ დაგვხოცე, ბატონო, შენი ხელით მოვკვდეთ, რალა მაგ ხეპრე ფშაველისა, — ხვეწნად იქცნენ გლეხები.

— იქნებ მეც დამკრა? — გაუკვირდა თავადს.

— პირიმზის მადლმა, დაგკრავ! — წარბი წარბს გადააწნა პავლემ, — გითხარ, მომივარდნენ-მეთქი, ცხვარის წართმევა იზრახეს, მე კი უბრალო ვიყავ, აგრემც არ გამიწყრეს ლაშარის ჯვარი.

თავადი შეცბუნდა. პავლეს ისე ულულღა თვალები, ისე ჩაებღუჯა მახვილი, რომ მის შუქარას სისხლიანი ბეჭედი ზედ ეკრა.

საქმეში ისევ ბერო ჩაერია:

— მე მაპატიე, ბატონო, კერპია, ღვთის პირიდან გადამდგარი, არც ჩვენ ვიყავით კარგ დღეში, რამეს ვეტყვი და მზერას ისე გაიმრუდებს, ისეთ ღრუბელს წამაიბურავს, ბალახივით გავჩუმდები ხოლმე. გვიპატიე და აღდგომას თავი ყველი და ერთი ბატკანი შომირთმევია.

— კარგი, კარგი! — მოლბა ჩერქეზიშვილი, — ოღონდაც ეს კერპი მეორედ აქეთ აღარ წამოიყვანო.

— ვინ ოხერი, ბატონო, ვინ ოხერი.

ასე დამთავრდა პავლეს ცხვარში ყოფნა, ჯალაბმა ერთხმად გადაწყვიტა: — მაგის მეცხვარეობა არ იქნების.

იმ დღიდან პავლე სახლშია. შინა საქმეს აკეთებს. ფიჩხია, საქონელი, წისქვილი, გასატან-შემოსატანი — ყველაფერი მის ხელებს შესცქერის. უკვე ოცი წლისაა. ტანდაბალია, მაგრამ ისეთი მხარბეჭი დააქვს, ცხენ, ნალს ცომივით აიზელს თითებში. როცა ვინმეს თვალი არ უყურებს, ჩამოუჯდება შიშველ სიპს, ჯიბიდან ნახშირს ამოიღებს და ასოები გამოჰყავს. აი ეს ნამგალი „ა“ არის, ეს სურა — „ბანი“, ეს ქვევრი „განი“, ეს ნალი — „ი“, ეს კავი „ე“, ეს ფარცხი „ო“ — ... რა ლამაზები არიან, კაცო, როგორ უხდებიან ერთმანეთს... ნეტავი ქა-

ღალდზე როგორ გამოიყურებიან, ალბათ, „ზ“ საყურესავით ჰკიდია, „ტ“ პირმოკრული ტომარასავით დევს, „ს“ კიდეც ასტამივით არის ხოლმე მიყუდებული ფურცელზედ.

სწავლის წადილმა ჯებირი არ იცის. ჩარგალში ერთი მღვდელი ამოვიდა, ღვთისნიერ კაცს ამბობენ. სახლში საღვთო წიგნები ულაგია და მზე ვახშმად ისე როგორ დაჯდება, ხუცესმა რომელიმე მათგანი არ ჩაიკითხოს და ჩაიგალობოს.

მეორე დღეს პავლე მღვდლის ღობესთან იდგა. გული ხმამაღლა უცემდა. ფშაველი რომ ფშაველს შეხვდება, ხმიადივით გაუწვდის „გამარჯვებას“, მეორე ეტყვის „გაგიმარჯოსო“ და ასე მოითავებენ ხოლმე ამ ღვთის საქმეს, მაგრამ ხუცესს ამას ხომ ვერ ეტყვის. ნეტავ როგორ უნდა უთხრას?.. ბედად მნათემ ჩამოიარა ქვის კიბე.

— აქ რა გინდა? — ჰკითხა პავლეს.

— წიგნი უნდა ვისწავლო.

— წიგნი? — ჩაფიქრდა მნათე.

— ჰო... ხუცთან მოველ.

— მერე მანდ რას უყურებ?

— როგორ ვუთხრა, რო არ ვიცი?..

— მაკურთხე, მამაო-თქო და ხელზე ეამბორე, ასეთია წესი და ადათი...

— მაშ არ გამომაგდებს?

— სარქალი კი არ არის, მღვდელია, — გაიცინა მნათემ, — შედი, შედი...

ამ დროს შიგნიდან ხმა გამოვიდა:

— ემანდ ვის ელეპარაკები, ლექსო?

— რაზიკაანთ ბიჭია, პავლე.

— მერე რატომ ზევით არ ამოდის?

— ერიდება, მამაო.

— მოდი, შვილო, მოდი, ყველანი ღვთის შვილები ვართ, — ხუცესი აივანზე იდგა, ჭაღარაშერეულ წვერს ნიავი უწეწავდა და საშინაო, გამობუნებული ანაფორა ეცვა.

— მაშ სწავლა გინდა? — ჰკითხა ხუცესმა და თვალებში ღრმად ჩააცქერდა.

— მინდა, მამაო, — სწრაფად მიუგო პავლემ, — პირიმზის მადლმა, ძალიან მინდა.

— კითხვა თუ იცი?

— ცოტა-ცოტას წამოვკენკავ ხოლმე ასოებს, გადაბმით მიჭირს.

— ეგეც იქნება, აბა არაგვს გახედე რა დღეშია, სათავეში კი ერთი პეშვი თუ გამოვა.

— შარშან ხარი დავკალით და იმის ბეჭი მაქვს საბძელში გადამალული, იმაზე დავწერ ხოლმე.

— ეგრე ქენი, ახლა კი, აი, ეს თხელი წიგნი წაიღე, პირველ გვერდს რომ ჩააარაკებ, მოდი და მიამბე.

პავლემ წიგნი უბეში ყრუდ დამალა, ხუცესს დაემშვიდობა და შინისაკენ გაფრინდა... მეორე დილით საქონელი გარეკა საძოვარზე. ძროხები ფერდაზე გაიფანტნენ, თვითონ კი მუხის ძირას ჩამოჯდა, წიგნი მუხლებზე დაიდო და პირველ სიტყვას ენა ძლივს მიუყენა. „განიხარეთ“... როგორც იყო, გარკვევით ჩაიკითხა, რომ ახლა რუსავით მიგდებულ სტრიქონებს სათავიდან დაბლა ჩაჰყოლოდა.

— მეცხვარეობაზე ძნელი ესა ყოფილა, იქ ან ძაღლი გიშველის, ან კომბალი, აქ კი მარტო ხარ მთელი ციხქვეშეთის საიდუმლოების პირისპირ. კვალი უნდა აუღოს, კვალი... ეს მეორე სიტყვა „რამეთუ“ უნდა იყოს, ეხლა თუ თვალით ჩიჩქნის ასოებს, ხვალ უფრო ხალვათად იქნება. „კაცნი ხართ“... ჩააწნა მზერა ამ ბოლო ორ სიტყვას და თავი აიღო. აქ გაჩუმების „წერტილი“ ზის, ეს კი „მძიმეა“, აი, გუთნისდედა თავს რომ აიღებს ხოლმე და სახელოთი შუბლიდან ოფლს ჩამოიწმენდს, ისეთი შეყოვნებისა.

„გიხაროდენ, რამეთუ კაცნი ხართ...“

წიგნი დაკეცა და მთის თხემზე ჩამომჯდარ მზეს გახედა. გაღმა-გამოღმა ჩარგალს შუადღის არილი მოსდგომოდა, ჭრიჭინობელა ბრავდა ირგვლივ ჩამომდგარ სიჩუმეს. ხეებს ჩრდილები ბევში ჩაეგზავნათ და ფშნებში ისეთი სიმყუდროვე იდგა, მიტოვებულ საყდარში რომ იცის, მაღლა ზარივით ეკიდა ცასწავალა. სადღაც, ტყის სიღრმეში კი ქედანი ღულუნებდა მტრედის სიმღერას. წიფლის ხავსიან, წაქცეულ მორზე ვასაკა შემომჯდარიყო, პავლეს ლიპი თვალებით შეჰყურებდა და წყლიდან ამოყოლილ სისველეს ღერიდა ბურნუთივით მშრალ ფუტუროზე.

„გიხაროდენ, რამეთუ კაცნი ხართ...“

ბევრი ზღაპარი იცის პავლემ, ბევრი კაფიაც, მაგრამ ამისთანა სიტყვები ჯერ არ მოუსმენია. „გიხაროდენ“ — გასძახა გალმა აყუდებულ კლდეს. „გიხაროდენ“ — უკან დაბრუნდა სიპებს შენარცხებული ექო.

„კაცნი ხართ“, „კაცნი ხართ“, „კაცნი ხართ“... ახლა ქვემოთ, ჩარგლისაკენ გაიჭრა ნიავისაგან მოტაცებული ხმა.

ჰაერი გალღვა, იქვე, მზეზე ტყის აზნაური, მწითური მელა დასკუპებულა. კუდი ამოუჭერია და აქეთ ისე გამოიყურება. თითქოს პავლეს იმისი ქათამი ემართოს. მაგრამ უცბად ცაში არწივის წივილი გაისმა. მინდორ-ველი სასწრაფოდ მილაგდა, გულგახეთქილი მელა

ადგილზე ახტა, ჰაერში შეტრიალდა და წითელი ელვა გაეკრა მხარ-თეძოზე მიწოლილ მზვარეს. იმავ წამს მელის ნაალაგარზე ფრთებ-აწურული არწივი დაეცა. გაქცეულის გეში მაშინვე იკრა, მხარი გა-ბალა და ტან-კუდიანად გაჭიმულ მელას ფრთების ხმამაღალი ტაში-თა და ტყლაშუნით გამოუდგა.

ტყის პირას ის ღიჭიანი ეკალ-ბარდი არ ყოფილიყო, მაშინ კი აუხდებოდა მელას წუხანდელი ავი სიზმარი.

ასეა, ფიქრობს პავლე, ეს ქვეყანა ძლიერითაა. ძალა კი ცოდნა-შია, წიგნშია, უსწავლელის თვალთა ისარი ახლოს ეცემა. არც ცი-საა, არც მიწისა.

კითხვაში მალე გაიწაფა.

ხარის ბეჭი მინდორში აქვს გადამალული, ნახშირით გათხუნულ ხელებს წყაროზე ჩაიბანს ხოლმე და ჯალაბს ისე მიუვა, თითქოს მთელი დღე საბრისა და საქონლის მეტი საფიქრალი არა ჰქონდეს.

— კაცო, გახედავ და ბალახს მიაქვს მთაბარი, ეს საქონელი კი ლამის მშიერი მოუდის პავლესა, — გაიკვირვა ერთხელ ბერომ, — ბი-ჭო, ალი ხომ არ შეგიყვარდა და იმასთან ალერსობ, საქონელი კი მთელი დღე გრილოში გიყრია? წუხელისაც ტახტზე გძინავს და ხმა-მაღლა კი ამოსთქვომ, — „ვიხაროდენ, რამეთუ კაცნი ხართო“ — ლა-შარის მადლმა, მაცილსა ჰყავხარ დაჭერილი...

პავლე ჩუმად ზის, ცეცხლს ჩასცქერის, გუნებაში კი საბოლოოდ ასკვნის:

— უნდა გავიქცე, კახეთში გადავვარდები, ბერებს მიუვალ მონას-ტერში, საგლეხოს იქაც გავაკეთებ, სამაგიეროდ წიგნი და ხელნაწე-რი იქნე მექნება, არც არავინ კითხვას დამიშლის.

როგორ გაგრძელდა ის ღამე, თითქოს ჯინაზეო, მთვარეა კაშკაშა, შუქიანი, ვარსკვლავებსაც ერთმანეთისკენ ერთი გახედვ-გამოხედვა და ჟრიამული აქვთ.

გოლიათის ძილით სძინავთ ფშავის მთებს. ჩუმად დგება, თვალს ტახტებზე მიყრილ ჯალაბს მოავლებს და გარეთ წყალივით გაიღვ-რება...

— მშვიდობით, ფშავის მამულ-დედულო... სახვეწარ-სალოცავო...

* * *

ნელა მიიღვრება ჭალაში ღონიერი ალაზანი. ლეკის მთები გად-მოჰყურებენ ბაღ-ვენახიან ველს. როცა დღე მიილევა და კამეჩივით წევს ხოლმე ღამე გალმა ჭალებში, მთის ზურგს უკან დამალული მო-

ნასტერიც გაყუჩდება. მხოლოდ სამრეკლოს შეხიზნული ქედნების ფრთხიალი არღვევს მყუდროებას. აქა-იქ მიმოფანტულ სენაკებში სანთელი ტეხს სიბნელეს, ხელნაწერზე წახრილი ბერის აჩრდილი კედლებს აწყდება და კალმის წრიპინი გაისმის.

პავლე სარკმლიდან გაჰყურებს მდუმარებაში ჩაძირულ არე-მარეს. აი, იქით ალავერდის ტაძარია, უფრო ზევით შუამთის ძველი მონასტერი, შორს კი ფშავია, ისევ ძველებურად მოიყუფება არაგვი, ნაქარგი გულისპირით თავს იწონებს მზვარე-ნაჩხატი, ძველებურად გამოიხედავს ტყიდან შველი და ცხვარ-საქონლის ბღავილი ჟრუანტელად მოედება ჩარგალს.

მონასტერში პავლე კიდევ უფრო გაიწაფა „ჟამნისა“ და „დავითნის“ კითხვაში, ისეთი ბუბუნა, ცოტაზე წაქცეული ბანით ჩააგალობებდა „უფალო შეგვიწყალეს“, ლამის ტაძრის გუმბათი აეყარა. ტალღასავით აზნექილ მკერდში უგუგუნებს ძველთა ძველი და ლამაზი საგალობელი, ჟღალ თვალებში კი სიკეთე უზის ომახიან ხუცესს. ნეტავი ღმერთი ინებებდეს და ფშავში გაგზავნიდნენ. შინ იქნება, ოჯახებში, თორემ ისე ენატრება იქაურობა ლამის სიზმარი და ცხადი ერთმანეთში აერიოს. იმ დღესაც წირვის შემდეგ კაკლის ქვეშ ჩამოჯდა, გარინდებული გაჰყურებდა კავკასიის მთებს. თოვლის თეთრი გაჭონაშუქი ლღვებოდა ცისიერის სილურჯეში. ალაზნის ველზე ჩამობერტყილი ქობა-კალთა მზისათვის მიეშვირათ ერთმანეთს ადევნებულ ქედებს.

ახლა ფშავის ველ-მინდორი საგაზაფხულოდ მოირთვება. მერე როგორი მოსვლა იცის ამ დალოცვილმა მთაში. ჯერ ყოჩივარდას გაშოგზავნის წითელი მოსახვევით თავდახურულს, თოვლის ნადნობში ამოიყვანს, მზეზე გაათბობს, მერე ენძელები და თავდახრილი იები გაებმებიან მყუდრო ადგილებში, ბერწი ხეევები აქაფდებიან, აქეთ-იქიდან ნაწურ წყალს შეხვრეპენ, ზათქით ეძგერებიან ფესვებგაშიშვლებულ ბებერ წიფლებს. ნაზვავარზე შერჩენილ მორებს ჩალის ღერებივით აიტაცებენ და ბარს ჩაუტანენ. ცხვარ-ბატკანს ხომ ნუღარ იტყვი, მათი ბღავილი რომ ჩაესმის მიწაში ჩაბრუებულ ბალახს, იმიტომ ამოდის ასე იჩქითად, იმიტომ გაჰფენს ხოლმე მწვანეს ცისქვეშეთში. მთებიც შეირხევიან, მხრებიდან თოვლის ნარჩენებს გადაიყრიან და დაბლა ბილიკებს ჩაჰკიდებენ — საძოვარია, ტყეა — ერთი თუ ფშაველის ცალი თვალის სიმდიდრეა, მეორე — მეორისა.

აი ასე, თეთრი მგელივით გადაიკარგება ხოლმე ზამთარი და ჭრელი გაზაფხული თოხისთვის, ბარისა და სახნის-საკვეთისთვის კარზე ბიძგება ფშაველ გლეხკაცს.

სალუდე ქერი ხომ შაინც მოვა იმ ერთი ნაბდის გაშლა მიწაზე თუ შირაქის პურეული არა.

ოცნებიდან გვიან გამოერკვა პავლე.

თავზე მონასტრის იკონომოსი წასდგომოდა. მზე კიდევ უფრო მაღლა წასულიყო. მოლაღულები სტვენდნენ ხევსგაღმა ჯერ კიდევ ორთქლავარდნილ ხნულში. აღსრულდა — სინოდის უზენაესი ბრძანებით, პავლე რაზიკოვი დუშეთის მაზრის, სოფელ ჩარგლის მართლმადიდებლური მრევლის ბუცესად ინიშნება.

დიდია უფლება უფლისა, უფრო მეტი კი სურვილი ეგზარხოსისა...

* * *

პავლეს ლიტერატურული ნიჭი ეჭვს არ იწვევს. თანამედროვენი და თვით ვაჟა იგონებენ, რომ ხუცესს ყველაფრის დაუკარგავად შემნახველი მეხსიერება, დახვეწილი გემოვნება და მელექსეობის ნიჭი ჰქონია. დროს შემორჩა მისი ბიოგრაფიული ჩანაწერი, რომელშიც რაზიკაშვილთა მარადმწვანე გენეალოგიური ხე შრიალებს. ეს ძვირფასი მასალა ვაჟას უფროსი ძმის — ისანდროს ქაღალდებში აღმოჩნდა. ლამაზი, წვრილად ნაწერი სტრიქონები ღაღადებენ, რომ ეს იმ კაცის ნაფიქრალია, ვისაც ხელში კალამი უმღეროდა, ვისთვისაც ასო-ფურცელი სულის წყურვილად, ხელის შიმშილად ქცეულა.

რატომ დატოვა პავლემ ეს დოკუმენტი? დაე, იცოდეს, მისმა მოდგმა-ნაყარმა საიდან მოდის, როდის და ვისგან დაემგზავრა წუთისოფელს, რა ლხინი და ჭირი ელაგათ წინ წინაპრებს, როგორ უცხოვრიათ, რა დაუტოვებიათ მზესთან გაყრისას, სად გათხრილა და ჩაბნელებულა მათი საფლავ-სადგომი.

დავიწყებული წარსული ხომ გონების სიბრმავეა, ჩაწყვეტილი აპეურია. უიმისოდ ვერ გასწევ და ვერც დასძრავ სიცოცხლის მძიმე ტვირთს. როგორ გხიბლავს ამ ნაწერში სათქმელის უშუალობა, ყოველი სიტყვა პავლეს თითქოს უბიდან ჩიტივით ამოუფრენია. არა, ვაჟას მამას შეღავათი არ სჭირდება, მისი სტრიქონები თხილის ვარჯიდან აჭრილი ის ნედლი დუყია, რომლისგანაც მშვენიერი სალამური გამოითლებოდა, თავის დროზე ოსტატის ხელი რომ შეხებოდა.

პეიზაჟის პოეტური აღქმის, ცხოვრებისეული პასაჟის ბელეტრისტული გაცოცხლების განსაკუთრებული უნარი ჰქონია პავლეს, იუმორსაც ბატის ფრთასავით მოგისვამს ხოლმე ტუჩებზე. თვალებში უსხედან გოლიათი მთები, ზედ შეფენილი საქონლით, მწყემს-მეცხვარით, მოსულ-წასულით. საჭრელის რამდენიმე დაკვრით გამოკვეთს

ხოლმე ისეთ პლასტიკურ სურათს, რომ აღტაცება ფეხზე წამოგაგდებს.

თუნდაც გლეხური ცხოვრების ერთი უბრალო სურათი — საქონლის საძოვრად გასვლა და იმისი აღწერა ავიღოთ — თითქოს შენც მიაბიჯებ ბალახის სიგრილეში, ხედავ კისერგაწვდილ ხარ-ძროხას, მდიდარი ნებიერობით რომ გაფენილა მსუყე საძოვარზე. იმ საქონელში ერთი ხარიც ჰყოლიათ რაზიკაანთ, ხარ-ირმის ტან-ფეხი ამაყად დაჰქონდა, შუბლზეც თეთრი ხალი ეკრა წმინდა გიორგის ამბორივით. თამამი ყოფილა, მოურიდებელი, საქონელში ბელადობდა და, ალბათ, წიქარას შორეული შთამომავალი თუ იყო, ან მზის სალოცავიდან გამოქცეული. პატრონად პავლე კი არა, ლაშარის ჯარი უნდა ჰყოლოდა იმ პატიოსან საქონელს. ნახირს მეფურად გადაავლებდა ხოლმე თვალს — აბა, ვინ სად სძოვს და რას აკეთებსო. მერე ფართო მკერდიდან ამოვარდნილ ზმუილს მიაყოლებდა — აქა ვარ და გახსოვდეთო. უმძრახი წყალი ჯერ იმას უნდა დაელია, გრილოშიც პირველი თვითონ შესულიყო. ხანდახან მზე დაჰკრავდა ხოლმე ნესტარს საქონელს, კუდქვეშ ბუზანკალიც აუბზუილდებოდა. ამ დროს ჩრდილის თხელ ფარდაგზე წამოწოლა სულის მეორედ ჩადგმაა, მაგრამ ამას როგორ გაბედაედნენ, თუ ის შვინდა ხარი ფეხზე იდგა. ისეთი ნავარდით წამოვიდოდა, გათამამებული ქვეშევრდომი ისევ თავის დაკვრითა და მძიმე თაყვანისცემით გაეცლებოდა ხოლმე.

გრძნობდა ის დალოცვილი თავის უპირატესობას, გრძნობდა, რომ რჩეული იყო. ალბათ, ამიტომაც აღარც პავლეს ეპუებოდა, ხაოიანი ენით ულოკავდა ხელებს — ბევრს კი არა, ქვამარილს პატარა ნატეხს სთხოვდა სამეფო ხარკად...

პავლეს არც მწყემსის მძიმე ცხოვრება დაუტოვებია აღუწერლად. იმისი ცის ქვეშ გდება. ზედ ქარის წახურვა, მოკლე ძილი და დიდი ღვიძილი.

ბუნების მხატვრული განცდაა მაინც პავლე რაზიკაშვილის კალმის სტიქია. თხრობის თითქოს ყაზბეგისეული, ენერგიული მანერა, გაუსხლავი სტილი მაშინვე გეცემათ თვალებში. ეს არ არის პეიზაჟის ასლის უბრალო გადმოღება — ყველაფერი სულის მოგიზგიზე ქურაშია გამოვლილი, ფიქრისა და განცდის სადღვებლიდან ამოყვანილი.

უბრად დგანან ელვით ნაკაწრი კლდეები. დაბლა ღაცურებული ფლატეებიდან ქვიშა და ღორღი იშლება უფსკრულში ან კიდევ მოწყვეტილი ლოდის გრიალი ჩაიფშვნება ხოლმე ხევის სიმყუდროეში. მაღლა მთების კლდოვან ქიმს ჩანჩქერი ჰკიდია, ლოდებზე იმსხვრევა ბროლივით შეკრული წყალი, მზე მაშინვე აიტაცებს მაღლა ამნეულ ალმასს, რომ იმისი თვალისმომჭრელი ათინათი აათამაშოს ნამიან

ფერდობებზე, ზოგი ველ-მინდორს მიაყაროს, ზოგი კიდევ დაბლა ჩამყუდროვებულ ფშანებს.

ფსიტები უსტვენენ ჭიუხებში, კლდეზე ნაცვეთი ჩლიქების ჩქამი მოაქვს მთის ნიავს, ლაჟვარდში შეცურებული შევარდენი შავ წერტილად დააჩნდება ლურჯ ცას... მიწას ადენილი ორთქლი თხელ ნისლად გაიძაბება გალმა-გამოღმა.

დიდება შენდა, ღმერთო, ამ სილამაზისათვისაც. ნეტავ ვინა სთქვა მთების სიმუნჯე, ქვის სიყრუე, ყვავილ-ბალახის უგრძნობლობა? აბა, გახედე, შიშველი სატევარივით თუ არა დევს მზის სხივი მთის კალთაზე, თუ არ გამაიცქირება პირიმზე მზვარედან. გარშემო კი სეფექალები უსხედან: შროშანი, ღილილო, ლაფნისყურა, რაღაცით დაღლილი კესანე და ჩიტუსილა.

ვინა სთქვა, ვისა ამათი უსიცოცხლობა. მაგრამ ეს სხვა სიცოცხლეა, უფრო დიდი, უფრო საოცარი იდუმალებით სავსე, ვიდრე ადამიანისა. იმ მუხას რაღაც აწუხებს, ისეა ფიქრში წასული. იმ ნეკერჩხალს კი, ეტყობა, წუხელის ცუდი სიზმრები უნახავს. დახე, როგორ უთრთის ტან-ფეხი.

ყველაზე დიდი გამოცანა მაღლა ცაა და დაბლა დედამიწა. ფშავიც მისი ნაწილია, მისი ტან-ხორცისა.

ფიქრმა დაღალა პავლე, მაღლა აიხედა. მთის კონუსიდან დაძრული ნისლი ღრუბლად იღვრებოდა.

როგორ მიყვარხარ, ტიალო,
არაგვო, ჭალა-ტყიანო,
ცაზე მავალნი ღრუბლები
ნეტავი რას იტყვიანო...

კარგად უთქვამს, ვისაც უთქვამს, კარგად...

გულქანი

გულქანი გაჭიდაურთა გვარიდან ყოფილა. საშუალო ტანის, ხელფეხზე ლამაზად მორგებული მოძრაობითა და მიხვრა-მოხვრით. ფშავის ლურჯი ცა ჩასცქეროდა გრძელი წამწამებით დამშვენებულ ფართო თვალებში. გულისპირთან ჩარაზული ვერცხლის ყელსაბამი ძილსა და სიზმარში თან დაჰქონდა, ხშირად იცოდა ხოლმე თქმა:

— გლეხი ის არის, მზეს რომ თვითონ გააღვიძებს და არა მზე იმასო.

როგორ აუდიოდა იმდენ საქმეს, არავინ იცის. რაზიკაშვილთა სახლში მჭვარტლის შავი პეპელა რომ სადმე აფრენილიყო, ან ცეცხლი გაბუტულიყო და ნაცარი გადმოეპნია, გულქანი თავის თავს აღარ ჰგავდა — ეს რა დამემართა, თავიმც მოგიკვდება, გულქან, თავიმც მოგიკვდებაო. თვითონ დაჰქონდა საფქვავი, ტყისპირის დაღმართზე დაკლაკნილ ბილიკს თიოქოს უხაროდა იმისი გავლა, დაბლა ჩქერადან მიწნულ-მიშენებულ წისქვილთან ჩაიყვანდა, სამფეხზე დასვამდა და ისევე უკან აბრუნებდა ხოლმე.

იჯდა ასე გაყუჩებული, დედის ფიქრებში გზაარეული.

— შენ რათა, გულქან, — ეტყოდა თეთრი მეწისქვილე, — ბალღებს რატომ არ გამოატანე?

— ჯერ ბატარები არიან, ძმისავ, — თითქოს გარშემო შემომსხდარ ანგელოზებს გაუღიმებდა ხოლმე გულქანი, — გლეხის შვილმა მერე რა გაიხარა, ე ბალღობაც რომ ბატკანივით წაართვას ცხოვრებამ, ხვალაც ეყოფათ, როცა წუთისოფლის საპალნეს აიკიდებენ...

— ღვთისა ხარ, გულქან, ღვთისა, — ეტყვის მეწისქვილე და ხან რეტდასხმულ დოლაბს ჩასცქერის, ხან ძაქოსავით აქეთ-იქით მოსიარულე სარეკელას...

სანდრო, თედო, ნიკო, მიხა, ლუკა — ჩამოთვლის სარეკელა და ახლა ბოლოდან იწყებს: ლუკა, მიხა, ნიკო...

ყველანი კარგები მყვანან, ღვთისმშობელო, მრთელები და მეტი რა მინდა, ჩვენებურ მახოხს და ქერის პურს როდის დაუზრდია ცუდი ვაჟკაცები, რომ ესენი დაზარდოს, ენაცვალოთ დედა. ლუკა მივის ცოტა სხვანაირი, დაბადებისთანავე ისეთი გრძელი, შავი თმების ბლა-

ბუდით მომეც, ლამის გამეცინა ბედნიერს. ეხლაც ეს სჭირს — გაუშტერდება ამ ჩვენს ფშავის მთებს, თვალწინ დაგუკარგება, მობრუნებულს კი ისეთი სახე აქვთ, თითქოს ლაშარის ჯვარს შემოესვას იმ თავის თეთრონზე. კეთილად მივლიე, დედავ, მტერს გაჰყარე, მოყვარეს შაჰყარე.

გულქანის სიკეთეს მარტო ძირგავარდნილი საწყაო თუ დაიტევს. სოფელში ჩასვლისას სიკვდილსაც კი ლრცვით ხვდება.

— რა მაგის ბრალია, თუ ცრემლათ სავსე სიცოცხლე მაგით ფასობსა, — შესძახებდა ხოლმე ზრუნით მტირალ დედაკაცებს.

ამ სიკეთემ ერთხელ სასაცილო ამბავიც უყო ზუციანთ გულქანს.

მკათათვე დგას. წკეპლებივით გადამტვრეული მზის სხივები ჰყრია რაზიკაანთ ბანზე. ბალღები ხბორებს გაჰყოლიან აფხუშოს აღმართებისაკენ. სახლის წინ ზარმაცი ჩრდილი წევს. გულქანი ზის და საჩოზე მატყლს ჩეჩავს. ჟამიდან ჟამზე ისეთი ფთილა ამოაქვს, თვალიდან არ გაიშვება.

უეცრად ნახიდურის აღმართებზე ჭრელი ბრბო ამოიღვარა. ჩარდახიანი საზიდრები გრილოში მიაყენეს და წელანდელი სიჩუმე ისე ააკივლეს და ააყვირეს, ყურთასმენა აღარ იყო. კაცებს ჩექმებში ჩატანებული ნიავი აცვიათ, ქალებს კიდევ განიერ კაბებზე ველ-მინდვრის წითელი პეპლები ასხედან, სანახევროდ შიშველ, გარუჯულ მკერდზე ჩვრებში შეხვეული ყმაწვილები მიუკრავთ და ისეთი ცეკვა-თამაშით მოდიან, თითქოს ქორწილზე დაჰგვიანებოდეთ. აქეთ ორ ფეხზე შემდგარი დათვი მოუძღვით. წინა თათებში დაირა უჭირავს, უკანებით კი კარგი ლხინი გაუმართავს. ადგილზე ბზრიალებს, ბუქნავს, ჰაერს აწყდება და ფეხქვეშ შელერილ ყიჟინას თავის აქეთ-იქით ქნევით ასდევს. კაცებს მხრებზე შამფურები, ასტმები და სხვა რკინეული უწყვიათ, ხელში გრძელი შოლტები უჭირავთ, ცხენის ოფლის შწავე სუნი ასდით და თავზეც გრუზა თმების შაიი ჯანღი ადგათ.

მალე სოფლის ბოლოსაც მოადგნენ. ახლაღა დაინახა გულქანმა, როგორ ლოღნიან ძუძუთა ბავშვები, ურძეო, შავ ჩვარს, როგორ ფანტავს ფშავის ნიავი მათ ტან-ფეხზე აკრულ უცხო გზების მტვერს...

— რა დღეში არიან ეს გასახარებლები, — გაიკვირვა და იმავე წამს სახე მოეღუშა.

— პური-ოთ შიათ ამ საბრალოებს.

დაირა ახლა ახალგაზრდა, ეშხიან ქალს ეჭირა და ნაპერწკლებს აყრევინებდა, თვითონაც ისეთი სისწრაფით ტრიალებდა, გულქანი აქედან მხოლოდ კაბა-ქობის ჭრელ ძაბრს ხედავდა. დანარჩენები განზე იდგნენ. შორიდან უტყლაშუნებდნენ შოლტებს, ზანზალაკებს არ-

ხევდნენ და თეძოების ნელი რხევით ასდევდნენ ველის ლაღ სიმღერას.

ნეტავი იმ ცეცხლს რაღა შეკეთება უნდოდა.

დათვი ახლა მალაყებს გადადიოდა, მერე პატრონის ფეხებთან მოიბუზა, დაპატარავდა და სევდიანად გახედა შუადღის მყუდროებაში ჩაძირულ ტყეს.

ბოშები სოფელში გაიფანტნენ. ჩარგალი კი ფრთხილმა ხმამ დაირბინა.

— ციგნები მოვიდნენ და ფრთხილად იყავით, კარები ჩაკეტეთ და თქვენც იქვე მიჯექით.

— რა ხუნძახის ლეკები ესენი არიან, რომ აგვიკლონ, — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა გულქანმა, — ნეტავ ვის რა დაუშავეს ამ ღმერთის გერებმა, დღედაღამ გზას აკერიან...

ბოშების ერთი ჯგუფი რაზიკაანთ ბანს მოადგა. ყველაზე წინ დედაბერი იდგა. კანის მაგივრად სახეზე ობიანი ტყლაპი ეკრა, შამფურებივით შავ მკლავებზეც წუთისოფლისგან გალეულ ძვალს დაღლილი ხორცი ეკიდა. ჩამოვარდნილი ნიკაპის ზევით ტუჩის წითელი ნახევი მოუჩანდა, რომლის კუთხეშიც ნერწყვით დამბალი პაპიროსი ჯერ კიდევ ბოლავდა. მიმჭკნარ ბიბილოზე მძიმე საყურეები ეკიდა, მაგრამ ამ ცოცხალ სიკვდილს ისეთი ხალისიანი, ცისფერი თვალები ჰქონდა, თითქოს იას ეს-ეს არის გამოელვიძაო. ქამარზე თუთუნის ქისა ეკიდა, ცხენის ბრტყელ, ჩაყვითლებულ კბილებზე ეტყობოდა, რომ თამბაქოს ღეჭვა იმისათვის სიცოცხლის ერთადერთი სიამოვნებაღა იყო.

დედაბრის ზურგს უკან მიჭუჩებული ბოშები სახლის მიხურულ კარებს ისრებივით დააყრიან მზერას და ახლა ეზო-კარ-მიდამოს ჩხრეკენ, — სად ინდაური იფხორება, სად კვერცხი დევს საბუდარში, სად კიდევ ქათამი და ვარიაა.

დედაბერმა გვერდზე გააპურჭყა და გულქანს შავი, მოკალული თითი უჩვენა.

— ქალო, მოდი, მოდი გიმკითხავე.

— მე რა უნდა მითხრა, შე ბეჩავო, — შესტირა გულქანმა, — დახე, როგორი დაუდიხარ ღმერთსა.

ბოშა კიბეზე ჩამოჯდა, უბიდან გაცვეთილი კარტის დასტა ამოიღო და გულქანს უჩვენა:

— მე ყველაფერი გითხრა, შენი ზროხა როდის მოიგო, კრუხი როდის ციცილა გამოჩიკა.

— აჰა, დაეჯექ, — გაიღიმა გულქანმა, — ქმარ-შვილისა რაიმე მითხარ, თორო ეგენი ხომ მეც ვიცი.

ბოშა უფრო განიერად მოირთხა, პაპიროსი ტუჩის ერთი კუთხიდან მეორესაკენ გაასრიალა და წეკოს მყრალი ბოლი გამოაფრქვია.

გულქანს ისეთი სუნი ეცა, ჯითქოს ახლოს წივა იწვოდა. „ამას გამოუშრია და გამოუხმია“, — გაიფიქრა და თვალი ბოლის ფთილას აყოლა.

შუადღის ალხი ახლა ჩარგლურას რიყეს დაჰბზუოდა, რაზიკაანთ ფერდაზე კი ნიავი დასუნსულებდა, ფეხზედაც თუშური ჩითები ეცვა და უხდებოდა გრილი ბალახით აბიბინებულ კარ-მიდამოს.

დედაბერმა ქაღალდი გაშალა. კალთაზე ყვავები ჩამოუსხდნენ, ზოგიც ისეთი დააწყო, ზედ საფლავის ჯვრები რომ ეხატა, წინ კი სულ მხიარული კარტი დაილაგა. ახლა ფუტკარივით ფუსფუსებს მისი მზერა გულქანის სახეზე, ნაქარგით დამშვენებულ გულისპირზე და ვერცხლის ყელსაბამთან ჩერდება.

— შენ დიდი ოჯახი, — დაიწყო ბოშამ — ზროხა, ხბორები, შენ სულ ბევრი იმუშავე, გათენდება, იმუშავე, დაღამდება, იმუშავე, ღამეც იმუშავე.

— მაშ რა ვქნა, დალოცვილო, ოჯახს წყალს ხომ არ წავაღებინებ? მზე რო გადავა და ბალღები მოვლენ, ხელ-ფეხი არ დავბანო, საჭმელი არ მიეუდგა? პავლეა და, ცალი ფეხი სულ მთაზე უდგას.

— შენი შვილები კარგი შვილები, ჩაშაქრდა მკითხავი, — ნახე, როგორი ლამაზები, — დედაბერი ქაღალდს დასწვდა და გულქანს დაანახვა.

— ისემც ლაშარი შეგეწევა, ეგრე იყოს, მაგრამ ჩემები ჯერ კიდევ ბალღები არიან, ემაგ ბარელი აზნაურივით არც ულვაშები აქვთ, არც ეგეთი ქუდები ჰხურავთ.

— გაიზრდებიან და ესეთები იქნებიან, — დაასკვნა მკითხავმა.

გულქანმა დაკვირვებული მზერა შეავლო ქაღალდს, კაცს მდიდრულად ეცვა, მკერდთან მიტანილი მახვილიც ამაყად ეჭირა. ზედ ეტყობა, არც არასოღეს უხნავს და არც უთესავს, სულ ფარჩა-აბრეშუმში გახვეულა. ოღონდ გულქანისა და პავლეს შვილები ასეთმა სიმდიდრემ იპოვოს და ამ კაუჭიან ულვაშებს არა უჭირს რა.

მკითხავმა არაფერი დაიშურა — მთელი ფშავის სიმდიდრე გულქანს მოუზიდა, ცხვარ-საქონელიც ისე გაუმრავლა, მათი სიმძიმით მიწა იძროდა, პავლეს დიდ ოჯახსაც ხაჭო და მახოხი დაეწყნია — წინ ნატვრის სუფრა უფენიათ და ზედ ისეთი ნუგბარი უწყვიათ, მაძღარს რომ შიმშილს ანატრებინებს. უკვირს მათი სახლის წინ ჩავლილ მთების ქარავანს ფშაველი გლეხის ასეთი ხელმწიფობა, თურმე ბიჭებსაც სულ ვარსკვლავიანი ცა ებერტყებათ მხრებზე, ფშავში კი

არ ჩაიკეტებიან, ხალხში გამოვლენ, რომ გულქანს არც ნავთი მოაკლდეს, არც მარილი...

— მართალია, აიმ მზის არდაბერებამ, — თავს უქნევს მკითხავს გულქანი, — აკი პავლეც სულ იმას ამბობს, წიგნი უნდა ვასწავლოთო... ახლა წამოდექ და შინ შემო, ესენიც შემოიყვანე, შემოდით, შემოდით — წინ გაუძღვა რაზიკაანთ გულქანი ბოშებს.

ამასობაში მრუდე ხელს თავისი საქმე გაეკეთებინა. სადღა იყვნენ წეღანდელი სტუმრები, როცა გულქანმა ახდილ სკივრში ვერც თავისი ლამის უხმარი კაბა-ქობა ნახა, ვერც პავლეს ახალოხი და ვერც ვერცხლის მძივები. ზოგი სხვაც აკლდათ რაზიკაანთ.

იცინოდა სერზე შემომჯდარი მთვარე.

— დედაკაცო, ნამდვილად ქრისტეს ნათლული თუ ხარ, — იცინის პავლე, — ემაგ სიკეთეს ხარჯავ და აქ გელევა.

— რა ქნან, ბეჩავებმა, ალბათ, უჭირდათ და მოიპარეს, — იღიმება გულქანი, — მე რაღა უჩინარმა ამაფარა თვალებზე ხელი, რომ ვერაფერი ვინიშნე.

— მაგათ ხელობა ეგ არის, თუ უნდათ, გაფრენილ ჩიტსაც მოიპარავენ.

— დაკარგულს რაღა ეშველება და, ღვთისმშობელო დედავ, სიკეთეში მოახმარე აქედან წაღებული ბავშვების დაზრდაში, იმათ ლხინსა და ქორწილში, — ილოცება გულქანი, ხუცესი კი თავს აქნევს და ღიმილი უთბობს სახეს.

*

მზემ ჩაიბუდა კუზიანი ბექობის გადაღმა. იასამნისფერი ჩაჯდა ხევებში. ნიავმა გაჰფანტა ცაზე დამსხდარი ღრუბლის ბულულები. ტყე უფრო ჩაყუჩდა, ბინდი შავი მოზვერიკით იწვა ნაჩხატებში, ჩამყუდროებულ ფშანებში, როცა საქონლის ზმუილი გაისმა და დარჩენილი სინათლეც ჩამოიცრა, აფხუშოს ადგილიდან დაბრუნებული ბიჭებიც გამოჩნდნენ. კაცებივით შემოაბიჯეს ეზო-ყურეში, სახრეები ღობესთან მიჰყარეს და ყორეზე ჩამოსხდნენ.

ყველანი აქ იყვნენ. მარტო ლუკა არა ჩანდა.

— სად არის? — მოკლედ იკითხა პავლემ.

— უკან მოდის, — გაიცინა სანდრომ, — ხის პირას მკვდარი ჩიტი ნახა და იმას მოასვენებს.

ორღობეში ლუკა გამოჩნდა. ხელში, მართლაც ფრთაწითელი, თვალღია ჩიტი ეჭირა.

— წიფლის ძირას მომკვდარიყო, ძირხვენის ფოთოლზე, — ჩუმად თქვა და თავი ჩალუნა.

— უკედავი ვინ არს, შვილო, რომ ეგ იყოს, — თავზე ხელი გადაუსვა გულქანმა, ბედნიერს თავის მიწაზე დაულევია სული.

— მაშ თუშივით გზაზე კი არ მომკვდარა, — გადასძახა ნიკომ, — ლუკამ სულ ეგრე იცის, იმ დღესაც ხის ნაჭრევთან დამშრალ წყაროს ეჩურჩულებოდა — ასე ვინ მოგკლა და გაგიმეტაო...

— მართლა, ლუკავ? — გამოსძახა კარებთან მოფუსფუსე ხუცესმა...

— მართლა, — თავი აიღო ბიჭმა. — ტყე დიდია, ხმელი ვერ მოსჭრეს?!

— განა ხმელს არ ეტკინებოდა, შვილო, განა ბებერი სიბერით ცოდო არ არის? გალმა, უძილაურთა ნაფუძარში, ხმელი წიფელი დგას. მთელი ტყე იმას შესცქერის, ნიავიც კრძალვით ჩაუვლის ხოლმე გვერდით. მერე როგორია, რა მეფურად გადაჰყურებს იქაურობას.

ვაჟას დედა სულ ასე მოუცლელი ახსოვდა. სულ ოჯახს ეჭირა კალთით. ამ პატარა ქალს წყლის ძალა და ზვავის ღონე თუ ჰქონდა, დღიური შრომით დაღლილი, ღამე ხან საჩეჩელს მიიდგამდა, ხან კიდევ ნემსსა და მახათში იყო გაყრილი ან ხელში წინდისჩხირები ეჭირა, ქმარ-შვილს საზამთროდ სითბოსა და სიხარულს უქსოვდა. შერე როგორ უყვარდათ ბალღებს ჭრელი წინდები, თანაც ისეთი მსუბუქები იყვნენ, მაღლა რომ აგეყარა, დაბლა ხოხბის ბუმბულივით დაეშვებოდნენ ხოლმე.

მარტო დიდ უქმეში მოიცლიდა გულქანი, ისიც პატარა ხნით. დერეფანში სამფეხაზე ჩამოჯდებოდა, კალთაზე ხელებს დაიწყობდა და ასე გაურინდდებოდა ამ მშვენიერსა და უცნაურ წუთისოფელს.

ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, სიკეთის წყურვილი ვერ მოიკლა...

იმ დღესაც ცუდი ამბავი ამოიტანეს, აქა-იქ ხორველა გაჩენილა, ჩიკვდილი სათიბში გასულა და ბებერი და ახალგაზრდა ხერელიევით გაუტანია.

შავი თავშლები ფშავშიც ბევრს დაუხურავსო. პავლემ წირვა გადაიხადა. სახვეწარიც დაკლეს, მაღალი კელაპტრებიც დაანთეს, მაგრამ წყალს ცეცხლი მაინც წაეკიდა.

გოგოლაურთა ბებერი ჩავარდნილიყო ლოგინად, ჯერ მხურვალებას ჰყოლია დაჭერილი, მერე ბოდვა დაუწყია და ტანზე ფორაჯებს დაუყრია, სულ ნეკერჩხლის წითელ ფოთოლში გახვეულა. აბა, ვის უნდა მიეხედა. ჯალაბს შიშის ქორი დასცემია. ბოსელში შეყრილან და საქონლის ანგელოზებს შეჰხვეწნიან...

გულქანი ხომ ჯერ ცრემლად ჩამოიწურა, მერე საკურთხი დადგა და პავლეს „სულის გაშვებისა“ ალოცინა.

— ნუღა აწვალებს იმ უბედურს. არის და აღარც არის, იმის საცოდაობით მთელი სოფელი იწვის.

მაგრამ სიცოცხლეს გოგოლაურთა ბებრის სული ჯაჭვით ება და სიკვდილიც ჯერ კიდევ ყორანივით იჯდა სახურავზე.

მეორე დღეს გულქანმა ხმიადი გამოაცხო, დოქი მღვრიე წაქით აივსო, მჭიდრო პირჯვარი გადაიწერა და კარი გამოიხურა.

— სად მიხვალ, დედაკაცო? — გაუკვირდა პავლეს, — ან ეგ მოსაკიხი რა ამბისაა...

— გოგოლაურთა გადავალ. — მოკლედ თქვა გულქანმა.

— გოგოლაურთა?! — გაკვირვებამ ხმა წაართვა ხუცესს.

— ჰო... წყალს მაინც მივაწვდი, თორო იმის ცოდვა არც დამასვენებს და არც დამაძინებს...

პავლე სახტად დარჩა, გაკვირვებამ გააქრო. მარტო ხევის ნიაღი უფრიალებდა ანაფორის კალთებს.

— მერედა, იცი, რა სჭირს? — თითქოს მიწამ ამოიბუტბუტა ხუცესის მაგივრად.

— ვიცი, სახადია, მაგრამ ყველანი ღვთის შვილები ვართ, რაც ვალი გვადევს, აქვე უნდა გადავიხადოთ, საფლავიდან ვიღას რას ამოვაწვდით.

— ღვთის პირით ლაპარაკობ, მაგრამ...

— ნუ გეშინია, ღმერთი არ გამწირავს ქმარ-შვილის პატრონს.

წავიდა გულქანი, აღარ დაანახა პავლეს ფეხზე წამომდგარმა ბექმა. ჩაფიქრებული ხუცესი კი იმავე ადგილს იდგა. უცნაურმა ფიქრმა შუბლი აუწვა — როგორ ჰგავდა იქით მიმავალი გულქანი ღვთისმშობელს, მკლავებზე რომ უწევს ღვთიური ყმა ჩარგლის ეკლესიაში.

— დიდ არ, უფალო, საკვირველება შენი.

თითქოს ცა გაიხსნა და ეთერის სილურჯეში გაისრიალა გაცინებულმა ანგელოზმა.

სასწაულს უფრო ის ჰგავდა, რომ ხორველას გულქანისაკენ არც გაუხედავს, მხურვალება ისევ გოგოლაურთა ბებერს დაჰბზუოდა თავს, ხან თონესავით აანთებდა, ხან თოვლივით გააცივებდა და სხვა არაფერი უკეთებია, სანამ იმ დალეულ სანთელში პატრუქიც არ ჩაიწვა.

ხუცესი კი ეკლესიაში ახლა უკვე შიშს შეჰყავდა, უნდოდა თუ არ უნდოდა, ისევ ხატისკენ გააბამდა მზერას და ისევ შემოსცინებდა გულქანის სახე.

შინ მობრუნებული შეცბუნებით ახედავდა ხოლმე თავის დედაკაცს.

ბალღები იცინიან.

გულქანი კი მოვის გულისპირს იჭუჭკავს.

— ნეტაი რა მოგდის, ვიცოდე. — ქალიშვილობის ღიმილი ეფურჩქნება სახეზე...

მთვარე კი ფანჯარას აჰკვრია და შიგნით იყურება. რაზიკაანთ რაღაც ხდება და უნდა ვიცოდეთ.

ბალღების სიხარული მაინც უქმეს მოჰქონდა ხოლმე. ასეთ დღეს „ჯერით“ ხვდებოდა ფშაველი გლეხი და გემრიელს გადაჩეჩული კბილი აექავებოდათ ხოლმე.

პავლე სახინკლე ხორცს ჩაუჯდებოდა საკეპად. თან გარსშემომსხდარ ბალღებს ჩამიჩივით ჩამოურიგებდა ძველ-ძველ ამბებს. ვინ როდის ყარაბანობდა ამ ჩვენს მტრიან საქართველოში და სააღდგომო კვერცხებს მტრის სისხლში ღებავდა, ვინ კაცის მძიმე ულვაში ატარა და ვინ კიდევ დედაკაცის მსუბუქი თავშალი.

გულქანი შორიდან უსმენდა ამ საარაკო ამბებს, სანამ ადულებული წყალი ქვაბიდან ამოხტომას არ მოინდომებდა და ჩასაყრელ ხინკალს არ მოიკითხავდა.

მერე როგორის მოხვევა იცოდა ამ დალოცვილმა, იმდენი ნაოჭი ბოშას კაბას არ ექნებოდა. დაიბერებოდნენ ხინკლები საძოვრიდან დაბრუნებული თხის ჯიქნებივით, ჩაიყენებდნენ გემრიელ წვენს და ისეთები დახდებოდნენ, რაც ქვეყანაზე შიმშილი იყო და ყოფილა, ყველას ის ერთი ამოყრა დააძღობდა.

სხვა დროს კიდევ ან ხავიწი ბრწყინავდა ტაბლაზე, ან ქადები ეხუტებოდნენ ერთმანეთს.

დრო კი მიდიოდა, მიიღვრებდა და მიჰქონდა დღეები, წლები...

იმ დღესაც საწაძლე ბალახების საკრეფად წავიდა გულქანი, ლუკა და თედოც გაიყოლა. მშვენიერი დღე გაეთენებინა არსთა გამრიგეს. ზეზეს თავისი ნახევარი საბატონო მოეარა და ახლა ფშაველის მთებს ეალერსებოდა. ისეთი ნათელი ჩამდგარიყო ველ-მინდვრებში, თვალი ზედ დაგრჩებოდა. ფერდობს მოხატული მზვარეც ლამაზად გამოიცქირებოდა. ტყისპირთან გაწყვეტილი ბილიკი ისევ უკან გარბოდა.

ჩიტბატონები გალობდნენ ვერხვის ტოტზე, ფალავნებივით იდგნენ ფესვებგაბარჯღული მუხები. მასრებში ჯერ კიდევ მწვანე რკო ელაგათ. მაღლიდან ჩამოსცქეროდნენ დაბლა ნაბდებივით მიყრილ ჩრდილებს, კარგა მანძილზე გაბმულ ბარდებს, ძირხვენების ბრტყელსა და განიერ ფოთლებს...

აქეე, ახლოს, ფშაველის ჭახჭახი ამტვრევდა სიჩუმეს. კორომებში ვაშის სხივი იხლართებოდა და სინათლის ამ ლოლოჭრილოში ცის სილურჯე ჩამჯდარიყო.

ნაშალი კლდის ძირას წყაროს ამოეხეთქა. დაბადებით გახარებული, სიპებზე მისრიალებდა და ხანაც ხშირ ბალახებში მიიგნებდა

გზას დიდი წყლიანეთისაკენ. უცბათ, თედო ლუკას ხალათს ბოლოზე ჩასწვედა და აღელვებულმა უჩურჩულა:

— შეხედე, შეხედე, მშველი...

— მშველი?

— ჰო, სულ ჩვენ ხბოსა ჰგავს, აგე ეხლა, ვერხვს მოეფარა...

ბუნების პატარა შვილი, მართლაც, გამოჩნდა ტყის ღიობში. ვერხვის ფოთლებივით ეკრა ხალები. სინათლის ჩქერალი ზედ მისდგომოდა და იმას უფახულებდა დიდ, ლამაზ თვალებს, ცალი ყური მაღლა აეცქვიტა, მეორე კი ისე სასაცილოდ დაეშვა, იფნის ტოტზე გაულია ჩხიკი გაკვირვებით ჩამოჰყურებდა. ეს უსუსური არსება მიწას ჯერ არ ეშვილებინა, ჯერ კიდევ ეკეცებოდა სუსტი ფეხები, მოწიწებით შესცქეროდა ირგვლივ ყველაფერს — ბალახის ღეროდან ამხტარ კალიას, თელახაშის მუხლზე მოფუსფუსე მახრას, ამრეზილ ჭინჭარს, ანაზდად წამოფრენილ ჭიამაიას, მოვის წითელი პერანგი რომ ეცვა. აკვირვებდა ის ლურჯი ცა, მწვანე მიწა და გაღმა-გამოღმა საქართველო.

გულქანმა ბალღებს დაბლა ჩასხდომა უთხრა.

— ნადირია, გეშს იკრავს და დაგეკარგება, — თვითონაც რბილ ნაფუზარზე მოიკეცა.

— ჩლიქები სისხლიანი აქვს, — ამოიკვნესა ლუკამ, რიყეზე თუ იარა... ნეტავ დედა სადა ჰყავს?

— იქნება მონადირემ მოუკლა, ან ნადირმა დაგლიჯა, — თვალები მოუწყლიანდა თედოს.

— უდედოდ ის კლდეც კი ცოდოა, შვილო, — გაღმა აყუდებულ ფლატეს გახედა გულქანმა.

შიმშილს თავისი ექნა. ნადირი ახლა ტყის პირას ახლადმოყრილ ბალახს წიწკნიდა.

— ეხლა რა გიშავს, ბეჩავო, — ჩაილაპარაკა გულქანმა, — ზამთარში რას იზამ, ან ნადირს სად წაუხვალ, ან ყინვას.

— ამისათვის თოვლიც თეთრი მგელია, განა, დედავ, — ნაღვლიანად თქვა ლუკამ.

— ეგრე, შვილო, ეგრე, ყველა სუსტსა და უღონოს ემტერება, მაგრამ ნუ გეშინია, ობლის კერს ღვთისმშობელი კალთაზე იცხობს, ესეც გაიზრდება, დარქიანდება და ივლის ამ მაღლიან მიწაზე.

ლუკა ანაზდად წამოდგა, ფრთხილად ნაბიჯი გადადგა ნუკრისაკენ, მერე ხელებჩაშვებული გაჩერდა და ნადირს დაენახვა.

„ნუ გეშინია, შე ბეჩავო, ნუ გეშინია... ხომ ხედავ, როგორ ცარიელი ედგავარ... რა კარგი ხარ, რა ლამაზი ყელ-ყური გქონია..."

ნუკრმა თავი აიღო, ლუკას გამოხედა. ნაღვლიანი თვალები შეანათა და ვითომც აქ არაფერიო, ძოვა განაგრძო.

იმავ წამს შორიახლო თოფმა დაიგრიალა. ტყვიამ ნადირისაგან ხელის გაწვდენაზე გაიწივლა, ნეკერის ფოთლები ჩამოსხიპა და ნამეხარ მუხას ეცა.

შველმა მაღალი კამარა შეჰკრა, ჰაერში გაჭიმა და ტევრში შევარდა.

— დასწყევლოს ღმერთმა, წაგვივიდა, — გაისმა გაბრაზებული ხმა, — მერე რა კარგად იდგა, ზედ ნიშანზე მესვა ეს ოხერი... ემაგის დედა იქნებოდა, იმ კვირას არყიანში რომ მოვკალით.

— აბა მწვადს ეს დაყრიდა, აი, — გაეხმიანა მეორე, — არა უშავს, ეს ტყე არსად მიდის. დღეს გაცნობისა იყოს.

ფერდობზე მონადირეებმა ამოიმაღლეს. ჩოხის კალთები აეკეცათ, ზურგზე თოფები გაედოთ და ბრტყელ ქარქაშიანი ხანჯლები ნაკეცში მოექციათ.

— წავიდეთ, — ძლივს ამოთქვა ლუკამ, — აქაურობას გავეცალოთ.

— დღეს დიდი ცოდვა ნახეთ, შვილებო, — ამბობს გულქანი, — კიდევ კარგი, ნადირის ღმერთმა შეიბრალა ის საცოდავი, მაგრამ რატომ ადამიანი ასეთი გაუმაძღარი, შეუბრალებელი, განა ნადირს სული არ უდგია, სიცოცხლე არ უნდა?

მიდიოდნენ კორომებით ჩაგრილებულ, ნიაღვრისაგან გადარეცხილ გზაზე.

— აი, აქედან დავიწყოთ, — ხელი გაიშვირა გულქანმა მზერისაკენ, — საწამლე ბალახი მანდ იცის.

ფუტკარიბზუოდა ასკილის ბუჩქთან...

ყვავილებს ქორწილი თუ ჰქონდათ, ისეთი ხალისიანები, ხმამაღლა გაცინებულები და საგარეოდ მორთულები ჯერ არ ენახა ლუკას.

ბრძნულად სდუმდა მიწა.

ბროლის მძივებივით გაპნეულიყო წუხანდელი ნამი მზვარეზე.

წელში წახრილი გულქანი დაკვირვებით ჩასცქეროდა მწვანე საიდუმლოს. აი, ეს ღეროწვრილი ბალახი დასიცხულიაა, მუქი ფერის ნახარში იცის, მწარე სუნი აქვს, მაგრამ მომაკვდავს შუა გზიდან გამოაბრუნებს, ის კიდევ ხველებისაა, ოღონდ ამისი წვენი ცოტა თაფლით უნდა გაატკბო, თორე ისე დოქსაც კი ყელს დასწვავს... შენც აქა ყოფილხარ, შენს მეტი ვინ დაუცხრობს გასიებულ ნაღველს ავად მყოფსა...

კრეფს გულქანი, თითების ფრთხილი მოძრაობით აგნებს საჭირო ღერო-ფოთოლს.

თედო ზურგზე გაშოტილა, თავთან ხელები ამოუწყვია და ცას შეს-

ცქერის, — სად ღრუბლები წავლენ და სად ქორის ნაგრილი გამოჩნდება.

ლუკა გვერდით ჰყავს დედას, მუხლებზე დაცუცქული აღევნებს თვალს გულქანის ხელის მოძრაობას.

— განა ყველაფერს არჩენს? — ნახევრად საესე კალათას დაადგა თვალი ლუკამ.

— არა, გენაცვალოს დედა, ყველაფრის მორჩენა რომ იყოს, მაშინ სიკვდილიც აღარ იქნებოდა. ჯერ ღმერთმა უნდა შეგიბრალოს, მერე წამალმა გიშველოს.

— განა არ იქნება, დედავ, ყვავილმა თვითონ გითხრას, რისი წამალია, რას არჩენს და რას ვერა, თვითონ ხო ყველა იცის.

— ეტყოდა, შვილო, ადამიანი ცოდვილი რომ არ იყოს, რატომ არ ეტყოდა?

— ცოდვილი?

— ჰო, წეღან ხომ ნახე...

— არც რო ნადირი მოკლას, არც რო ბ[illegible]ლახი თიბოს, ხის კოდგაზეც ხელი აიღოს, მაშინა? — თვალები გაუფართოვდა ლუკას.

— მაშინ რაღა დაუშლის, ბევრ სხვასაც ეტყვის, მთელ თავის საიდუმლოს გადმოულაგებს.

— მერე, დედავ, უშეშოდ ზამთარში რას იზამს, ან უხორცოდ ბალღებს როგორ დაზრდის?

— აბა. რა ვიცი, შვილო, მაგ კითხვის პასუხი მარტო ღმერთს თუ აქვს უბეში შენახული.

მზე უფრო მაღლა აიწვერა. შორს, აფხუშოს კლდეებისკენ ყორანი მიფრინავდა.

დაგრძელდნენ ხეების ნაგრილები.

მინდვრის სუნი დატრიალდა.

„რა კარგი ხარ, დილის ცვრით პირდაბანილო ქვეყანავ!“

•

ღამეა... მარტო მთვარესა და ვარსკვლავებს ღვიძავთ ფშავის ცარგვალზე. პაელე დილით აფხუშოში წავიდა და ჯერაც არ დაბრუნებულა. ბალღები განიერ ტახტზე მიწოლილან, ფოცხვერივით წევს მთვარის ყვითელი შუქი მუხის ტოტზე, ნათიბივით ჰყრია ცაზე მნათობთა ცრიატით შუქჩამდგარი ღრუბლები. საქონელი ნებიერ ცოხნას მისცემია. გაღმა, ტყიანში, ხან ტურა აკივლდება, ხან აფთარი ხარხარებს, ხან კიდევ ღამის შავი ფრინველი შეხმიანდება.

ზეზეულად სძინავთ მთებს. მხოლოდ ეს არის, მძიმე ჩაჩქნები მო-

უხლიათ და ცისთვის შეუშვერიათ ჭაღარა თავები. ნეტაი, რას ფიქრობენ, რა ვარამი უდუღთ გულში, ვისთვის რას იტყვიან.

ძირს გაშლილ ნაბადზე ზის სიჩუმე.

კერაზე ცეცხლი ანთია. ალი ხანდახან დამფრთხალი მამალივით შეხტება, წითელ ფრთებს დაიქნევს და ისევ შეაფრინდებიან ლანდები ღარიბული სადგომის კედლებს.

გულქანი ფერხთით უზის შვილებს, ტყავებს უსწორებს, საბანს განივრად ახურავს და ეკითხება.

— არ გეძინებათ, განა?

ბიჭები შეირხნენ და ძველმა ტახტმა ისე დაიკვნესა, თითქოს შუხლებიდან ნეკრესის ქარები გამოუშვაო...

— მაშ წამოსხედით და ლობიოს დარჩევაში მომეხმარეთ.

მალე ხმელი ჩენჩო გატყვრა სიჩუმეში. ცეცხლი ახლა რცხილის კუნძს სჭამდა და მხიარული ვახშამი ჰქონდა.

მერე როგორი მოყოლა იცის გულქანმა. მისი ზღაპარი ლუკას ერთ ჯამ ქიშმიშს ურჩევნია. რამდენჯერ ზმუილით მოვარდნილა წიქარა მათი სახლის კარებთან — ხომ არაფერი გიჭირთ გლეხის შვილებო. მფრინავ ხალიჩაზეც ბევრჯერ დამსხდარან, ფშავისათვის ზემოდან გადმოუხედავთ და იმისი ბეჩავობით ცრემლი გასცილებიათ.

ღრმად მოკეცილი გულქანი ჯერ ჩაგალობებით იტყვის ზღაპრის სალოცავს:

— ღმერთო, შენ უშველე მთქმელსაც და გამგონებელსაც, ღარიბს ჩააცვი, დაჭხურე, ახალი ქალამნით ავლივე, პური არ გამოულიო, ქერის ნახადი და საქონლის ნაყარი.

ერთხელ შვილებო, დიდი ხნის წინათ, ერთ ხელმწიფეს უცხოვრია. ბროლის სასახლეც ჰქონია და ნაზირ-ვეზირიც ჰყოლია. ისეთი გვირგვინი სდგმია, თურმე მზესაც კი ენატრებოდა. ცხოვრობდა ხელმწიფურად, მაგრამ ერთი უცნაური ზნე ჰქონია — ადგებოდა თუ არა, დაიბარებდა მსახურებს და კირკიტი კაკალივით ჩხრიალით გადაუყრიდა გამოცანებს — ერთიც არ დაგრჩეთ, სულ შუბლზე იმტვრიეთ და ჩაღამოთი პასუხი მომართვითო.

ვაი იმას, ვინც დახლართულ გორგალს წვერს ვერ უპოვიდა, მზეს უნდა გამომშვიდობებოდა, მეორე დღეს კი იმისი თავიც მეფის ფეხებთან გაგორდებოდა ხოლმე.

გამარჯვებულს სულ მზის სხივებით ნაქარგ ხალათს უბოძებდა, ტახტის ახლოს დაიყენებდა, სანამ ისიც გამოცანის ცხრაკლიტულში ადგე არ დაიკარგებოდა და გარეთ გზას ვერ გამოიგნებდა.

გაკვირვებულები იყვნენ უცხო ქვეყნის ელჩები — მეფე ჩვენცა გვყავს, მაგრამ, ღმერთმა დაგვიფაროს ამისთანას ყოლისგანო.

— რა გიკვირთ? — დასჭყივლა ერთხელ იმ ხელმწიფემ დესპანებს, როცა კიდევ ერთი უბედურის თავმა დაუკოცნა ცივი ტუჩებით ბალათის კალთა.

— გვიკვირს, მაშ არ გაგვიკვირდებაო, — თავები დაუქნიეს დესპანებმა, — ასე ხომ ყმასაც გაითავებს და ქვეყანასაც დალუპავს.

— სულელი ყმის ყოლას არყოლა სჯობიაო, — უთქვამს იმ ხელმწიფეს.

ერთხელაც იმ ქვეყანაში ერთი დერვიში გამოჩენილა. ინით შელებილი წვერ-ულვაში ჰქონდა, ყურებიც წვეტიანი, თვალები კი მწვანე, რ ოგორც ხავსის ბურნუთი. თხის ტან-ფეზზე ისე ეცვა, არც მოკლე კუღი გამოსჩენოდა, არც ნაცვეთი ჩლიქები. ციკნის რქებიც წითელ ჩარში ჰქონდა შემალული.

მიდის ეს დერვიში ხელმწიფესთან და ეუბნება:

— გინდა ერთი ტომარა გამოცანა დამიგდე, საღამოთი სულ დაჩურჩულს და გარჩეულს მოგართმევთ.

— თუ არა, ხომ იცი, რა მოგელის? — დაიქუხა ხელმწიფემ.

— ვიცი, მბრძანებელოო, — უთქვამს ამ დერვიშს.

საღამოთი მოიყარა თავი ერმა. მოდგა ის დერვიში და კრიალოსანივით ასხმული პასუხები მიართვა მეფეს.

სიბრძნის სიყვარულმა მოსვენება დაუკარგა ხელმწიფეს.

— მე უნდა ვიცოდე ყველაფერი, მზეს ად სძინავს, მთვარე სად მივა, ყვავილებს რა აცვიათ, მიწა რას ფიქრობს,ან მთები რას ელიან, რად დგანან და აღარ იღლებიან... გესმის, მოხუცო? — ტახტიდან გადმოსძახა იმ უცნაურ დერვიშს.

მაშინ კი გადაუძერია ფლასები და ბანჯგვლიანი ტან-კუდი გამოუჩენია სატანას. ერთიც თხასავით დაუკაკინია და შეშინებული ხელმწიფისათვის უკითხავს:

— მაშ ბალახისაც გინდა იცოდე, ხისაც, სულიერისაც და უსულოსიც?

— მინდა, მინდა! — უყვირია სიბრძნის მოყვარულ მეფეს.

— მაშ ჯერ ეს მიირთვით, — გაწვდილ ხელებზე გაწოლილი მოხარშული გველი გაუშვერია სატანას, — ისე სიბრძნე არ მოგეცემა. შეჭამე და მაშინ ნახავ, ეგ შენი ლაპარაკი სიმუნჯე რომ ყოფილა, შენი თვალხილულობა სიბრმავე, შენი ძლევამოსილება კი მოკლე სიზმარიო.

დაუხუჭავს თვალები ხელმწიფეს და შეჰყოლია გრძელ ვაზშამს. ჭამს შვილებო, ჭამს და აღარ თავდება ხორცის ის ცივი თოკი. მერე, როგორც იქნა, მოვიდა წვრილ კუდამდე ღა ისიც გადაუყლაპია.

სატანა უცებ გამქრალა და მისი ნაადგილარზე ჰაერი აიმღვრა.

მიიხედ-მოიხედა ხელმწიფემ, აღარც სადმე სასახლე, აღარც ნაზირ-ვეზირები. მარტოა ერთ დიდსა და ტრიალ ალაგას, მაღლიდან ცა დაჰყურებს, დაბლიდან მიწა ამოსცქერის. მიდის ამ გაუთავებელ ქვეყნიერებაზე. ის მეფური ტანსაცმელი ეკალმა ჩამოახია, გვირგვინიც მოეხადა, ამაღლდა, ამაღლდა და წავიდა ცისკენ, თანაც ისე მოშივდა, ღამის რიყის ქვა მოხარშოს.

ერთ ცარიელ ადგილს დაუღამდა. მიწვა საკუთარ მკლავზე, შაგრამ რა დააძინებს. თანაც ისეთი ღამეა, ცის იქით რა არის, იმასაც დაინახავ. მთვარის შუქი დაბრძანდება დედამიწაზე, ხან ტყეში შეიხედავს, ხან ხევში ჩავა და წყალში ოქროს ჩაყრის, ხან კიდევ მთის წვერზე შემოჯდება.

უცბად მაღლიდან რაღაც ხმა შემოესმა, ერთი ვარსკვლავი მეორეს ეჩურჩულებოდა.

— შენ აქ რომ არ იყო, ამ ცაზე რა გამაჩერებდა, ისეც ძლივსღა ვანთივარ შენი სიყვარულით, ნეტაი ასე ცივად რატომ მიყურებო...

იმ მეორე ცთომილმა კი სერზე მოზეტიალე მთვარისაკენ გაიხედა და ამოიტირა.

— იქნებ მე შენზე უბედური ვიყო, ხომ ხედავ, ისე ამივლ-ჩამივლის, ზედ არ შემომხედავს.

— მაშ, მშვიდობით, მშვიდობით, — თქვა იმავ ვარსკვლავმა და ჩუმად მოსწყდა ცას. ჯერ მაშხალასავით აენთო, მერე სულ ჩაქრა და მხოლოდ ჩამწვარი სინათლის ფერფლი ჩამოყარა დედამიწაზე.

ხელმწიფე ფეხზე წამოვარდა, სადღაა შიმშილი. სადღაა დაღლა. ისევ ადამიანის ხორცი ასხია — ადამისა და ევასი.

ჯერ გონზე ვერ მოსულიყო, რომ ახლა ბალახის ხმა ჩაესმა. ეს რა სიზმარი ვნახე, ქა, მომდგარა ნაპატივები ხარი და სადაცაა, პირი უნდა გამისვას. ვკანკალებ, ვცახცახებ, აღარ ვიცი რა ვქნა.

— ხალხო, აღარ უნდა დაიბინოთ? — გაბრაზდა მინდვრის ვარდი, — თქვენ რა გიჭირთ, მე კიდევ ალიონს ისე ვერ დავენახვები, ნაშით თუ პირი არ დავიბანე, დამაბინეთ, მზის მადლსა, დამაბინეთო...

ხელმწიფემ ყურებზე ხელი მიიფარა — ხომ არ ეჩვენება, ხომ არ გაგიჟდა და შუბლი იმიტომ უბჟუის?!

არა, მრთელი იყო, ჭკუა-გონებაც სკაში ჩალაგებული ფიჭასავით ადამიანის წესსა და რიგზე ჰქონდა.

ახლაღა მოაგონდა ის დერეფანიც. ის გაუთავებელი გველიც და გაცემული სულიც...

ახლა ყველაფრის ცოდნა შეეძლო სიბრძნის მოყვარულ ხელმწიფეს.

გათენდა დილა ღიმილიანი.

ხელმწიფემ ყვითელი მაჟალო დაკრიფა, ძირს ნაყარი პანტაც კალთაში მოიგროვა და შიმშილი გაინელა. ვინმეს რომ ერთი ხმიადი შიეწოდებინა, ნახევარ სამეფოს აპატრონებდა, ეტრატზე დაწერილ ჯიგელ-გუჯარსაც თავისი ხელით მიართმევდა.

გავიდა ხალიჩასავით გაფენილ რბილ ველზე. დაინახეს თუ არა, ატეხეს ყვავილებმა ჟივილ-ხივილი.

— მოდის, მოდის, აბა, გოგოებო, თქვე გასაქრობებო, რომელი უფრო მოეწონებით ხელმწიფესა, — კისკისებდა შროშანი და თეთრი ზეპელასავით იჯდა მწვანეზე.

გაიარა მეფემ. ისე ჩაიარა ცხენისთვალას, ხარჩიტასა და მაკიტელას არც კი მიხედა.

— სად მიხვალ, სად? — გაბრაზდნენ დობილები, — მერე რა, რომ ვაზვა ხათუნები ჩვენა გვჯობია, აი ესა ბურვებას არჩენს, ეს — ყივანა-ხველას.

მე გაციებისა ვარ.

მე — კბილის ტკივილისა.

მე — პარტახტისა.

მე — ჭრილობაის გასაბლანდი და პირშესაკრავი.

მე — დაგესლილისა...

გადაავლო გულქანმა თვალი ბიჭებს, ნიკოს ჩასძინებოდა, თედოს მუხლებზე ედო თავი და ფშვინავდა.

— მერე, დედი? — თვალები შეანათა ლუკამ.

— მერე რაღა შეილო, იცხოვრა იმ ხელმწიფემ ჩვენსავით, გლეხის პურ-წყალით, თვითონ ხნავდა, თვითონ თესავდა, ლეწავდა და ანიავებდა.

— მართლა, დედი?

— არადა ზღაპარი ტყუილს იტყვის? — გაიღიმა გულქანმა, — ტყუილი იმას ეგონება, ვინც არ დაუჯერებს.

— მერე რა ქნა იმ ხელმწიფემ? — იკითხა ჩაფიქრებულმა სანდრომ.

— რა უნდა ექნა, ველარც ხე მოჭრა, ველარც ბალახი გათიბა, ველარც ნადირი მოკლა... ყველას ენა რო ესმოდა იმიტომ, ებრალებოდა...

— უბედური, როგორ მოუტყუებია სატანას? — შეებრალა თედოს ნამეფარი.

— არა, შვილო, ბედნიერი, უბედური რათა, — ტკბილად ამბობს გულქანი, — აბა შენ იფიქრე, ყველაის ლაპარაკი გესმოდეს, ბალახისაც, წყლისაც, მიწისაც... ყველა თავისას გეუბნებოდეს...

— სული რომ სატანას მიჰყიდა?!

— ჩამაგიეროდ სიბრძნით აივსო. აკი მამათქვენიც იტყვის ხოლმე — შიეცი და მოგეცემაო...

დამთავრდა ზღაპარი. გულქანმა ქატო და ფქვილი ცალ-ცალკე დაალაგა და თავისთვის ჩაილაპარაკა: სად არის ის კაცი აქამდეო...

ბიჭებს ტკბილი ძილით ეძინათ...

* *

ერთხელაც ლუკა სადღაც დაიკარგა. გზას ჰკითხეს, არ მინახავსო, წყალს ჰკითხეს, — არ ვიციო. სადღა არ ეძებეს, არც წისქვილზე გაუტანებიათ საფქვავი, მაშ სად იყო ის ბიჭი, დევმა მოიტაცა თუ უჩინმაჩინის ქუდი სადმე იპოვა.

პავლე გაღმა უბანში გადავიდა. გულქანი გამოღმა ჩარგალს აუყვა...

— ლუკა, ლუკა! — ჰკიოდა შიში...

მაგრამ ამ ხმას ყველგან ყრუ-მუნჯი ხვდებოდა. მხოლოდ კლდეები აბრუნებდნენ უკან აბრიალებულ ექოს.

— იპოვე? — გასძახებდა გულქანი პავლეს.

— ვერა, ვერა! — ყორანივით მოფრინავდა პასუხი.

ბიჭები ველ-მინდორს მოედვნენ, ჩიტის ბუდეებიც თვალებით გადმოჩხრიკეს, მაგრამ ლუკა არსად იყო, — ცა ხომ არ დასტაცებდა ხელს. აქ სადმე უნდა ჩანდეს. ალბათ ჩამოიძინა, ან იქნებ გველმა დაგესლა და ახლა შავი მუთაქასავით გდია სადმე?

გაღმიდან დაბრუნებულმა პავლემ ცივი ოფლი ჩამოიწმინდა და სატის წინ ჩაემხო.

სადაც იყო მზე დატალღულ სერებს გადაივლიდა, წავიდოდა და ღამებნელში გინდა ბალღი გიძებნია, გინდა მორევში გადაგდებული კენჭი.

სახეგაკერპებული გულქანი ვერც ბექმა დაღალა, ვერც დაბლა დასრიალებულმა დაღმართმა. ოღონდ ლუკა იყოს კარგად და პირს ქვეშით დაიბანს, წყალს საცრით დალევს. გვერდით ბილიკმა ჩამოიარა, არაფერი უთქვამს, მაგრამ ლუკასი თუ ვინმემ რამე იცოდა, იმას უნდა სცოდნოდა.

საიდანღაც მზეწვია მოფრინდა. ურთხმელის ტოტზე ჩამოჯდა და გულქანს ბალახის თესლივით წვრილი და შავი თვალებით გამოხედა.

ადგა გულქანი, სათავისკენ აუყვა ბილიკს.

მზეწვია ახლა წინ დაუსკუპდა, მერე მხიარული წივწივით დაუფრინდა რამდენიმე ნაბიჯზე და ჩაიღუღუნა.

— ჩიტის ფაფა... ჩიტის ფაფა...

მზემ კარგად აიმანძილა, როცა გზამ ღელის პირას მიქუჩებულ ჩრილნარში გადაიყვანა გულქანი. ბექობზე სოკოები ისხდნენ. გაბმულ ბალახში წყალწვრილი მიიხლართებოდა. ბებერი მუხის ქვეშ კი ლუკას მისძინებოდა იმ თავისი ჭრელი ხალათით, დაკერებული შარვლითა და პატარა მესტებით.

მაღლობა უფალსა... მაღლობა...

გლეხის შვილს ღრმა ძილით ეძინა. ლუკა ბიჭს გულქანი გვერდით ამოუჯდა, ალერსით გადაუსვა ხელი აბურდულ თმებზე.

— თავიდანვე ასეთი მყვანდი, შვილო, თმიანი, კაჟიანი...

შეშინებულმა ჩხიკვმა ტყეს გასძახა — ნადირ-ფრინველო, იცოდეთ, აქამდე ერთი იყო, ახლა ორნი არიანო.

გაეცინა გულქანს.

— ჭორიანი ხარ, დედაკაცო, ჭორიანი, — გასძახა იფნის ფოთლებში მიმალულ ჩხიკვს.

— მაშ, მაშ, მაშ, — კერი დაუკრა ხევიდან ამოფრენილმა ჩხართვამა...

ლუკას თავთან მიედო ქაღალდის მოზრდილი ნაგლეჯი, ზედაც რიყის ქვა დაედვა.

გულქანმა თვალი გაავლო მსხვილი ასოებით ჩახერგილ სტრიქონებს... აი, თურმე რისთვის დაგვემალა.

— ლექსი რამ უწერია, — ჩაილაპარაკა თავისთვის, — სულ კი პავლეს ბრალია, ამ ჩვენ ფშაველში იმდენი ჩიტი არ გალობს, იმან რომ შაირი იცის, „ლექსო, ამოგთქომ, ოხეროო“... რო იტყვის ხოლმე და ლამის ცაში გაფრინდეს, იმის ბრალია...

მძინარეს კი ალერსიანად ჩასჩურჩულა:

— ადექი, შვილო, გასცივდები.

ლუკა გველნაკბენივით წამოხტა.

— დედა!

— მე ვარ, შვილო, გენაცვალე, სხვა ვინ იქნება, ასეთები ვართ, ლაშარის მადლმა, ლამის თავები დავიხოცეთ, შენ კი, აი, სად ყოფილხარ...

— ტყემ გამომიტყუა.

— გამოგიტყუებდა, გამოგიტყუებდა მამაშენის შვილსა, — თვალი აარიდა ქაღალდს გულქანმა, — სოკოზე თუ წამოხვედი!

— ჰო, სოკოზეცა...

— ახლა წაიღეთ, თორო ცალკე ხუცესი წაიკიდებს ცეცხლსა, ცალკე შენი ძმები...

— მეძებდით? — ნაწერი უბეში ჩაიჩურთა ლუკამ.

— რაღა არ ვიფიქრეთ, ტყეა, ნადირია.

— აკი მეუბნებოდი, სამსონი ხარო, ვინ რას დამაკლებს? — გაიცინა ლუკამ.

— დედის გულს რომ შიში უკბენს, მაგას აღარა კითხულობს, შვილო... „ლექსო, ამოგთქომ, ოხერო...“

ჰოი, პავლეე, ჰოი, ხუცესო, ამ ბიჭს რომ მიწამ დასცადოს, მაშინ დამიდექ შინა.

ლაშაზი, კაშკაშა მთვარე ამოდიოდა. მთებმა ნაბდები მოიხსნეს და ფრთხილ ძილს მისცეს თავი.

* *

გავიდა შემოდგომა, ჩაიცვა ზამთარმა თეთრი წინდები. ირგვლივ ყველაფერი გაშიშვლდა. ხევის წყალიც ჩაჩუმდა. ადრე თუ ხევებს თრთვილის არშია ესხათ, ეხლა მძიმე თოვლს დაუზნექავს რცხილის თუ ურთხმელის ტოტები. გატკბა ცეცხლი. გარეთ რომ ყინვა ბრაზობს, ქარი ახველებს, ჭიუხებზე ნისლი ფუთფუთებს, რაზიკაანთ ბინის თავზე ჩრდილი იგრიხება. კალთაჩაშლილ ფერდობებზე საწყლე ბილიკით გაუტეხავთ თოვლი. იქვე მიყუჩებულ წივაზე ბელურები სხედან, საქონლის ნაკელმა თბილი და გემრიელი მატლი იცის.

გუშინ თედოს ღობის ძირას კაკანათი დაეგო. შორიდან ის ადგილი ხელისგულივით ცარიელი ჩანდა. მარტო ხორბლის მსხვილი მარცვალი ეფანტა ღობის პირას.

ლუკა სარკმლიდან გასცქერის იმ ალაგს და რაღაცას ფიქრობს. კუნელის ტოტზე შაშვი შემოჯდა. აშლილი ბუმბული დაილაგა, მოწითალო ნისკარტი თოვლს დაჰკრა და ხორბლისკენ გაიხედა. ნეტავ ეს სუფრა ვისთვის არის გაშლილი, ან მასპინძელი სად არის? ჯერ ჩიტების წუთისოფელი რა არის, რომ ისიც მათრახივით დაიმოკლოს. სიფრიფანელეს არც თავი სტკივა, არც სხვა რამ აწუხებს, გაუფრთხილებლობა კი ან ეკალზე ზის, ან ცეცხლში ბანაობს. ადგილზე წრიალებს შაშვი. თავი მოუკიდეს შიმშილსა, თავი. რატომ არ აფრინდება და გაეცლება ეშმაკსა და მაცილს. რატომ გაურბის გულისყური იმ მარცვლებისაკენ? იმისთანა რაღაცეების გაშართვა იციან ხოლმე ფშავის ბალღებმა, გაგიკვირდება. რომელმა ტაფამ დაიწუნა მსუქანი შაშვი, ძვლებსაც კი სულ ტუჩებზე დაიმტვრევენ ხოლმე. შიშმა აუჭნია ხელები, მაგრამ შიმშილი არ უშვებს, მაგ მგლის შიშითა და რიდით ცხვარმა არ დაიბღავლოს? ვითომ რა იჭნება, რომ

უფრო ახლოდან შეხედოს, გაუარ-გამოუაროს იმ სასუსნავს, დიდის რიდითა და თავაზით?

...აგე მზე სად არის, საცაა დაღამდება, იმას კი არაფერი უჭამია, ეს ზამთრის ღამე ხომ მაღრიბის გზასავით დაგრძელდება ხოლმე და მშიერზე რა გაათენებს.

ან ამ დოვლათს ხვალისათვის ვიღა გააჩერებს? რატომ არის ადამიანი ასეთი უნდო და ხარბი? ან გუშინდელს რა დაავიწყებს? იჯდა თავისთვის მუხის ტოტზე და ზამთარს გასცქეროდა, როცა დაბლიდან ძაღლების გნიასი ამოვარდა მინდორზე. მწევრები იყვნენ. გადაუწერიათ უკან გრძელი ყურები და გაჰკვრიან თოვლიან ვაკეს, წინ კიდევ თეთრ კორიანტელში გახვეული დაფეთებული კურდღელი მიურბით.

ის საწყალი ხან გვერდზე გაუხტება ძაღლებს, ხან მაღლა შეხტება და გაწვება ჰაერში...

— ჰაი, ჰაი, ჰაი! — ჰკივიან მონადირენი, — თითქოს სიკვდილი მარტო კურდღლებს გაუჩინა ღმერთმა.

დიდ ველზე დაეწია წივილით წამოსული ტყვიები, ერთმა ბალანი აპარსა, მეორე კი გვერდში ეცა და ბექობზე მიაგდო.

თოვლზე წითელი ხალები ეყარა, როცა ის საბრალო დიდის ამბით ჩამოიკიდა ქამარზე ერთმა აბმახმა, ტყვია-წამალში ჩამჯდარმა კაცმა.

— ყოჩაღ, ვანოო, — შეაქეს სხვებმა.

— ასეა, ძმისავ, ეს აღმართ-დაღმართიანი წუთისოფელი.

შაშვი უკვე ღობეზე იჯდა, კუდი მაღლა წაეღო და ასე ჩაკიდებული დასცქეროდა მარცვლეულს.

არაფერი ჩანს საფარსაგო; მარტო ერთი ხე რომ გდია, არც იწკის, არც ბოლავს.

ლუკა ფანჯარას აეკრა, თან გუმანი თედოსკენ აქვს.

მიუჯდა შაშვი თავის უბედურებას, რამდენიმე ხორბალი წამოკენკა, როცა კაკანათმა დაიჩხაკუნა და აფართხალებული ჩიტი ცალი ფეხით დაიჭირა. იმავ წამს ლუკა გარეთ გამოვარდა. შაშვი უფრო მაგრად გახლართულიყო ძაფ-გორგალში, ფრთაჩამოშლილი მორჩილად იწვა თოვლზე.

ლუკამ საჩუქრად შეხსნა ბაწარი, განზე მიაგდო და ჩიტი უბეში შეისვა.

მერე, თედოს რომ არ დაენახა, ისე გამოახედა გარეთ და ცას აუგდო.

შაშვი მდუმარე რიყისკენ მიფრინავდა...

თურმე დედა გულქანის ლოცვაც გაჰყოლია იმ მგალობელ ჩიტს, დიდი ჯალაბიდან მარტო იმას დაუნახავს ყველაფერი.

მერე რა რომ, თედოს ტაფა მშიერი დარჩა, აგე, რამდენიმე წაქი გვიდგას ქილებში, შენ კი, დედა გენაცვალოს, კეთილი საქმე ჰქმენ, ზის ახლა ის შაშვი ბუდეში თავის ქმარ-შვილთან და ილოცება — წითელო მზეო და მწვანე ბალახო, მაღლა ცაო და დაბლა დედამიწავ, შენ გაახარე რაზიკაანთ ლუკაი, — და-ძმანი გაუმრავლე და გაუზარდე, დედ-მამაც კარგად უყოლიეო...

მთვარე კი ამოდის მედიდურად. სულ ვერცხლის ძაფით უქარგავს გულ-მკერდს ფშათის საფიხვნეზე ჩამომჯდარ მთებს, შეენთება ხარის ფაშვივით გაბერილ ღრუბლებს, მზესავით შეაყრის სინათლეს სარქლებივით ზვიად მწვერვალებს, თოვლის პერანგი რომ ამოსჩაჩვიათ და უფსკრულებში ჩაუკიდიათ თამამი მზერა. ნიავი გაჰკრავს ფრთა-ბუმბულს ზეზეულად ჩამოძინებულ კლდეებს, მღვრიე ნაჩხატებსაც ხმა დაუბოხდებათ ამ ღამეულ სიჩუმეში, ძირს კი, მიწაზე, ხან მკლავმოტეხილი ხე გმინავს, ხან გაოცებული ბალახი წამოიკვნესებს. იმ ნუკრსაც, ალბათ, სადმე ფერდის ძირას, მთვარის თბილ კალთაში სძინავს და ობლის სიზმარს ხედავს. იქნებ არყიანებში მოკლული დედა აგონდება, იმისი განწირული, ცრემლიანი თვალები.

რატომ არის ადამიანი ასეთი ცოდვიანი? აგერ იმ დღესაც წოწკოლაურთა წამააქციეს ხარი და ყელში ხანჯალი გაუყარეს, ბექვით იდგა ის საბრალო, უწვიმდა ლამაზი თვალები. ჯერ მიწას ჩაჰზმუვლა: შეგერგოთ, შეგერგოთ ჩემი ოფლი შენცა და ადამიანსაცო, მერე განწირული მზერა ხიწვივით შეატოვა გახალისებულ ფშაველებს, თითქოს კითხულობდა, რატომ მკლავთ, თვალებში მზეს რატომ მიქრობთო, იქნებ არც ქორწილი გადამიხდია თქვენთვის, არც მკვდარი დამიმარხავს, არც მიხნავს და არც მითესიაო. ვისმა სამართალმა დაწერა ადამისაგან ნადირ-ფრინველის ხოცვა? მერე რა, თუ ისინი ჩვენსავით ლოგინში არ იძინებენ, გონება არა აქვთ და წუთისოფლის უმცროსი შვილები არიან?! მწარეა მათი ცრემლის მარილი, მათი ძვალ-ხორცის შეჭამანდი.

ნაწვიმარი ნაბადივით დამძიმდა ფიქრი.

ეს მეორე ამბავიც წასული წლისაა.

ლუკა მაშინ რაღაც ექვსი წლისა თუ იქნებოდა. დაბლა უბანში, ხევის პირას თურმანაულის ქოხი იდგა. უმძრახი კაცი იყო თურმანაული. დილით ისეთი სახით ადგებოდა ხოლმე, თითქოს ლოგინში მთელი ღამე გველი ეწვა, თანაც ისეთი ძუნწი, პირის ნაბან წყალს არ გადაღვრიდა, შავჩოხიანი ქვრივი ერქვა, მაგრამ, ცოლის საფლავზე საკურთხს არ გაიტანდა. ასეთი იყო, სოფლის თვალში ჭინჭარზე ღარიბი, სინამდვილეში კი სულ სხვა... სადღაც ძველ სალოცავთან განძი ეპოვა. მას შემდეგ წუთისოფელს გაებუტა, მიწაზეც თითქოს

უფრო ფრთხილად დადიოდა, ისე ააცლიდა ხოლმე ფეხის გულებს, თითქოს ცოდვას რასმე სჩადიოდა. ერთი მუხა ედგა ყორესთან, იმაზეც სულ მგლოვიარე ყორანი იჯდა.

„გამარჯვებასაც“ უგემურად, ტუჩის კუთხით გააფურთხებდა ხოლმე და ისევ სახედარივით ჩაჰკიდებდა თავს.

აფხუმოში ქალ-სიძე ჰყავდა. შვილიშვილებიც ესხა, მაგრამ მათ გახსენებაზე მარტო ცალ ლოყაზე თუ ჩამოპარსავდა შავ ჯაგარს ღიმილის მსგავსი რაღაც, ისე კი დავიწყებული ჰყავდა, დავიწყებული, დედ-მამის საფლავივითა...

მას შემდეგ ხომ უფრო ჩაბნელდა, რაც აფხუშოდან ქალის ნათქვამი მიუვიდა.

— მაგას ჩემი ცრემლი არ ეღირსება, ციემა წვიმამ და სეტყვამ დაიტიროს ეგ სულ-ხორციანად აყროლებულიო.

რა უნდა შეგშურებოდა თურმანაულისა იმ ძაღლის მეტი, ბანთან რომ ება. თეთრი იყო, ისეთი თეთრი, რომ თოვლის ნაშობი გეგონებოდა. ფშავის მთებს მარტო იმისი ყეფისა ეშინოდა. განიერ მკერდზე შავი მთვარე ამოსვლოდა, ჯიქის რბილი სიარული იცოდა, ღონე ხომ არაგვისა ჰქონდა. იმის აშვება სამგლეთის აკლება იყო. რამდენჯერ მიუტანია შინ კისერზე აცმული ჩანგლით სისხლიან ბილიკებზე ნათრევი მგელი.

თურმანაული თხელი სალაფავის მეტს რას გაიმეტებდა იმ პატიოსანი მყეფარისათვის. თანაც გეჯაში ჩასხმულ შრატს საყვედურის ისეთ ლენცოფს ჩააყოლებდა, საცოდავ პირუტყვს ძვალივით ადგებოდა ყელზე.

გახდა ნაგაზი, დაბერდა კიდეც. ფერდების ალაგას მხოლოდ ორი თეთრი ფიწალი მოუჩნდა. და ბოლოს ლამის საკუთარი ჩრდილიც კი სჯობდა.

ისეთი ბებერი, დასაწყლებული და ძალაწართმეული ახსოვს ლუკას ის ერთ დროს ოც ჭედილად საღირალი მყეფარი.

ერთხელაც ამოიარა თურმანაულმა აღმართი. თოკი იმ ძაღლადქცეულ სიბერეს მოათრევს. ფთილებივით ჩაფენილა უფსკრულში შაჯი ფრინველი. იმასაც იქით უჭირავს გეზი. მძიმედ მიდის, ხვნეშით, შუბლიდან ოფლის წმენდით. ძაღლი უძალიანდება. ერთი ნაბიჯით რომ წინ მიდის, ათით უკან გარბის.

— წამო, შე სამგლევ, დახე, რა დღეშია, დახე! — უკვირს თურმანაულს ცოცხლისაგან სიცოცხლის სიყვარული.

ლუკა რაღაც ძალამ ისროლა ქოფაკისაკენ. აპეურივით გაჭიმულ თოკს ხელით ჩააფრინდა და უკან დაწია.

ახლაღა დაინახა, რომ თურმანაულს თვალების ადგილას ორი ბნელი ჭა ჰქონდა და ნიკაპიც გადამწიფებული მაჟალოსავით ეკიდა.

— არ გაგატანთ! — მტკიცედ თქვა ბალღმა.

— არ გაგატანთ! — კვერი დაჰკრეს ძმებმა.

აქეთ გულქანი ამოუდგა სიკეთეს გვერდში, იქით კიდევ პავლე.

ბებრის მზე არა თბება. თეთრი ჩალივით ეგდო ხოლმე ქოფაკი რაზიკაანთ ბანთან და სულ სციოდა, სულ ბაბანებდა.

ლუკას კი ერთი კითხვა კრაზანასავით დაჰბზუის თავზე...

— რატომ, დედი, რატომ?

— ეს ქვეყანა შვილო, თურმანაულისაც არის, სიკეთეს მკლავზე ძწევს ბოროტება...

* *

ისევ დადგა ფშავში გაზაფხული. გადაიძრო მიწამ საბანი. ყორუღებში მზე ბულრაობდა. ტყემ კვირტი აისხა და, საცაა, შინდი თეთრად აბრიალდება. გადმოსცქეროდა მაღალ მთებზე ჩამომძღარი ზამთარი გაზაფხულის მოსვლას, მთებზე იების გაღვიძებას, იმათ სიხარულსა და თვალების ფშვნეტას. ამოანათეს გაფუებული მიწიდან სხვა ყვავილებმაც. უფრო თამამები აქა-იქ შერჩენილ, ატირებულ თოვლშიც გამოჩნდნენ. ზამთრის ნადნობი დაბლა დაიძრა და მღვრიე ზეეებმა კლდეებს შეჰყეფეს. შავი ბზინვა გაუდით წყალნალოკ სიპებს. ხანდახან ღვარისაგან მოგლეჯილი ლოდი წყეელა-კლულვით, ღორღის ხრიალითა და მტვრის კუდის ქნევით წამოვა დაბლა, ხევში ღასხეპილ ტოტებს, ხავსიან კუნძებს, ფლატეების ქვიშა-ნაშალს ჩაჰყრის და მორევს გააჩენს.

თბილ წეიმად გამოხდილი ნისლი იმცვრევა ეელ-მინდვრებზე, ხან აიდეე ელეის ტკაცუნი და ღრუბლების გმინვა ჩამოისმის ციდან, ზოგჯერ ისე ჩამოიწმინდება ზესკნელი, გედის ფრთასავით თეთრი ღრუბელიღა თუ ფარფატებს სადმე, ღამით კი ვარსკელავები ბიბინებენ.

გუგულები ადრე მოფრინდნენ, წელს კარგი მოსავალი იქნება.

ეს ფერთა ლიცლიცი, განაბული ჰაერი და ყაყაჩოებით სავსე ცა აკვირვებს ლუკას. დედა გულქანის ნათქვამი სულ ახსოვს — ეს წუთისოფელი, შვილო, ორი დისაა, ერთი თეთრია, მხიარული, მეორე კი ზანგივით შავი და მოწყენილი.

— თეთრი დღე იქნება, შავი — ღამე, — გაეღიმა ლუკას, — მზე სად ჩიდის ხოლმე, დედი? — ჭიჭახვეის გალმა ჩადაღმართებულ შნათობს გახედა ლუკამ.

— ფშავში კი არ დაბადებულა, რომ ჩვენსავით სულ აქ იყოს, — სახარება გვერძე გადასდო პაველმ, — ახლა სხვათა ქვეყანაში გადავა, იმათაც სიხარულს მიუტანს.

— იქაც ჩვენსავით ქრისტიანები ცხოვრობენ?

— მარტო ქრისტიანები რათა, სხვა რჯულისანებიც არიან? თაბაც ზოგს თუ ჩვენსავით თეთრი პირი-სახე აქვს, ზოგიც შავია, ზოგი კიდევ ბზესავით ყვითელი, მაგრამ ყველა მაინც ერთი მოდგმისა, ადამისა და ევას ნაგრამი ვართ.

ჩაფიქრდა ლუკა.

— მაშ ქისტიც ჩვენიანი ყოფილა, ლეკიც...

— ორთავე, შვილო, ორთავე.

— ბალღებს რომ ჰპარავდნენ დედებსა? — გულქანს მიეჭუჭკა ლუკა.

— განა ცუდი ჩვენში არ არის? გახსოვს ყორღანაშვილის ამბავს რო გიყვებოდით? — წიგნიდან თავი აიღო ხუცესმა.

„ყორღანას ძე ქარავინდა, ხელი ჰკრეს და გადაფრინდა...“ — ჩაულექსა ლუკამ.

— გხსომებია, შვილო, გხსომებია და არ დაივიწყო. ადამის მოდგმის ყველაზე დიდი რჯული სიკეთეა. ქუდოსანი ხარ თუ დედაკაცი — ჯერ ადამიანი იყავ. ბეჩავები გებრალებოდეს, ობლის ცრემლს უბეში ჩაიყრიდე, მშიერს პურს გაუწვდიდე. ასეთები ცოტანი არიან.

— მაშ ცუდას რა მტერობა უნდა? — ჩააკერა გულქანმა, — ისეც ქაბლიდან მიწა უჯავრდება და მაღლიდან ცა...

— შენი თითო სიტყვა თითო უზალთუნი ღირს, ჩემო გულქან, — ჩაიღიმა ხუცესმა, — ხმელი ნათქვამი იცი, ხმელი.

— ისე მეუბნები, თითქოს რაზიკაანთა ენა-პირის სიმუნჯე გჭირდეთ, ლამის სულ ლექსებით ჰლაპარაკობთ... ეს ბალღებიც რო თქვენ ჯილაგზე წავიდნენ.

პაველე ფანღურს გადასწვდა.

„ეჲი, ტიალსა სიკვდილსა
ბებერი ხარირმისაო...
ვეღარ მოსელია ნაფრენი,
წერა გამხდარა მგლისაო...
ვაჟკაცსა გული რკინისა,
ნავარდი შევარდნისაო...
დიაცსა ქობა-ჩიქილა
მიწას — წყალობა ცისაო...
ღმერთო. ეს მართვე მიმრავლე,
ნაჩეკი გულქანისაო...

თითო ისეთი გახადე,
როგორც მორევი ზღვისაო...
ღმერთო, სამშობლო უცოცხლე,
ყმანია ლაშარისაო..."

— აგე, ხომ ვთქვი, ლოცვითაც სიმღერით ლოცულობს, — გაიცინა გულქანმა, — შენ კიდევ რა გიჭირს, ხუცესი ხარ, ანაფორის კალთაში ხან საკურთხს ვინმე გამოგიხვევს, ხან საღმრთოს. მაგრამ ამ ბალღებმა რო მართლა მელექსეობას მისდიონ, ხომ შიმშილით გასწყდებიან.

— სამაგიეროდ, ჩემო გულქან, ლექსი დაჭრილი სულის მალამოა. ზოგჯერ პურსა და წყალზე უფრო საჭირველებელი. აბა, ერთი ილია და აკაკი არა გვყვანდნენ, ეს ჩვენი ბეჩავი ქვეყანა ცალი ყურით ყრუ იქნებოდა და ცალი თვალით ბრმა.

— აბა, სად ეგენი, ქრისტიანო, და სად ფშაველი მელექსე, — კალთაზე ხელი დაიცა გულქანმა, — მეორისა თოვლზე ნაწერია, გადნება და წყალი წაიღებს.

— ე მაგის ყაბულს კი არა ვარ, ნამდვილი შაირი არსაით დაიკარგება, ჩვენი საქართველო ლექსისა და ვაზის სამშობლოა.

— შენ სიტყვაში ვინ გაგისწრებს, — დათმო გულქანმა, — წიგნი და ქვეყნის ავ-კარგი შენ იცი. მე მარტო ის მინდა, ამათი ბეჩავობა საფლავშიაც არ გავიგონო, ლუკმა-პურისთვის ჩვენსავით სულ მიწას არ ჩასცქერდნენ.

— ოღონდაც, ოღონდაც...

— უნდა სკოლაში მივცეთ.

— კარგი მოგეცეს, მაგრამ რითა... რომელი ბლაყოჩინას ლურჯი ანაფორა მე მაცია, სოფლის ხუცი ვარ, ჭიწას გამობმული.

— მიდექ-მოდექი, ქალაქს ჩადი, ამ ბალღების ცოდვაში კი ნუ ჩადგები, აგრემც ლაშარი შემეწევა.

დაღამდა ის ღღეც, წუთისოფლის ის ერთი გაელეშებაც.

„ეშვიდობით საჯიხვეებო“...

პარასკევი გათენდა, ღვინობისთვის ოცი. ლუკა დილიდანვე საგარეოდ გამოაწყეს. ლამაზი პაჭიჭები და ახალი მესტები უხდებოდა თასმის ქამარში ჩაჩრილ სატინის ჭრელ ხალათს, გულქანის შეკერილი შარვლითაც ნემსი და ძაფი ამაყობდა.

კამოდის თავზე შემოდგმული სარკიდან შავქოჩორა ბიჭი უყურებს ლუკას. ისეთი გაუტეხავი მზერა აქვს, გაფრენილ შევარდენს თვალით ჩამოიღებს. წელზედაც ხელადის დოინჯი შემოუდგამს და დედამიწაზე ვეღარ ეტევა.

საგზალი წუხელისვე ჩაუწყო კალათში გულქანმა. ერბო-ყველით მაძღარი ქადები, კამეჩის მაწონი, რამდენიმე ღოლოწნული და შაშხის განიერი ნაჭერი მარტო ლუკასია, — ეს აჩვენოს და შიმშილი ერთი კვირა ახლოსაც არ მიეკარება.

გარეთ შეკაზმული ცხენი იცდის. აიღებს ტორს მაღლა, დაჰკრავს მიწას და ხეობაში ჩაკლაკნილ გზას გასცქერის. ხან ნიავი შეუმღვრევს ფაფარს და მაშინ ტალღებივით გადასდის ტანზე შუქ-ჩრდილის ციაგი.

სანდრო ჩქარობს. ცალი ფეხით უკვე თელავშია და მალი-მალ საათს დასცქერის.

— **დუშეთზე თუ დილიჟანსს არ ჩავუსწარით, თელავში ზეგაც ვერ** 1იქნებით, — ეუბნებოდა პავლეს, — უნდა ვიჩქაროთ.

გულქანი კი ისევ ლუკას უტრიალებს და ეს მერამდენედ ავედრებს ღვთისმშობელსა და ფშავის სალოცავებს:

— თქვენ უპატრონეთ და შაგზიარეთ, ბალღია, უგეშო და უვალი.

— კარგი, დედაკაცო, სალდათში ხომ არა გზავნი. საქართველო არაგვთან ერთად კი არ თავდება. იქაც ჩვენები არიან, ჩვენი ძვალ-ხორცის განაყრები, ისწავლის, კაცი დადგება, აკი აქამდე სულ იმას იძახდი, — ვითომ წყრება პავლე და ის მზიანი თვალები მაინც ცრემლით ევსება.

— რა ვიცი, როზგს რასმე ამბობენ, ყმაწვილმა თუ დააშავა, თურმე წამოაქცევენ და იქამდე უქნევენ, სანამ თვალი უხელიაო.

ლუკას ყური აქეთ აქვს და ყველაფერი ესმის.

ეს რა წესები ჰქონიათ სემინარიაში. ცხრა მთას გადმოიელის, ცხრა ზღვას გამოტოპავს, ფშავში ფეხით ამოვარდება და როზგს კი არ დაირტყამს. ნეტავ ბალღის ცემა ვინ მოიგონა. ან ღმერთი რას იტყვის, ან ხატი.

— ჭკვიანად იყავ, შვილო, ჭკვიანად, — ჩურჩულებს გულქანი, — წიგნს დაუკერე, ოსტატებს კარგად მოუსმინე, ჯვარიმც გწერია ჩვენი მაცხოვრისა.

ლუკა მიდისო, — მთამ მთას გასძახა და ყველამ ერთად გამოიხედა რაზიკაანთ ბინისკენ.

იფნის ტოტზე შაშვი ტრიალებს, მერე აშლილ ბუმბულს იწყნარებს და გალობას მოჰყვება.

ლუკა მიჰყავთ, — ნიაღმა მოუტანა ამბავი მყუდროში განაბულ მწყერს.

ბედნიერი იყოს, ბედნიერი...

უკვე გაღმა იყვნენ, როცა ლუკამ უკან დარჩენილ ჭიუხებს გამოხედა. აქა-იქ, პირღია უღრან-ტყეების პირას ნისლის თეთრი ძონძები ეკიდა, საკალმახე წყალივით ლურჯ ცაში კი არწივები ბოინობდნენ. უცბად ერთი იმათგანი ქვასავით მოსწყდა და ბზრიალით წამოვიდა ძირს. ცის მეფემ მსხვერპლზე მისვლა სხვანაირად იცის, სხვა გოროზითა და მეხით.

— საბრალონი, ცაში თუ კვდებიან... — გაიფიქრა ლუკამ და თვალი იმასღა შეასწრო, როგორ ჩაყლაპა უფსკრულმა ნამეფარი.

სანდრომ ცხენს მათრახი უჭირა.

— მაგრა ,დაჯექ, ლუკავ, მაგრა...

იწყინა მერანმა, გავა-ფაფარი ამაყად შეარხია და გზას მგელივით გაეკრა.

მშვიდობით...

მშვიდობით, მთებო, ფშავის აღმართ-დაღმართო, მშვიდობით საჯიხვეებო...

* *

აბა კახეთს ლუკას დასაწუნი რა ჰქონდა...

— შეხე, ლუკავ, როგორ ჩარაზმულები დგანან, — დაანახა სანდრომ მწკრივად გაბმული ზვრები, მერე შორეთის ცრიატში გახვეული, მაღლა აფრენილი ალავერდი გამოუჩვენა. ეს გაფენილი ვაკე კი ალაზნის ველისააო, — გაღმისკენ გაუშვირა ხელი.

აბა, ამდენ სილამაზეს ორი თვალი რას ეყოფოდა, მაგრამ ლუკას

მაინც მთებისკენ გაექცა მზერა. ამაყად იდგნენ საქართველოს დარბაისელნი, მხრებზე თეთრი ნაბდები მოეგდოთ და მთიულის სიდინჯით ჩამოჰყურებდნენ მოფუსფუსე წუთისოფელს.

დილიჟანსი ზარების წკრიალით გამოგორდა მტვრიან გზაზე. გაღმა ხილნარი ჩაგუბებულიყო, გამოღმა კი ძველი ტყე ჩანდა, ცულითა და ხმლით ნაკოდი, მაგრამ მაინც რცხილისა და წიფლის კორომებად შეკრული, ჩრდილის ფარდაგები გადმოეფინათ გზაზე, უფრო განზე კი ჭიზიყელებივით იდგნენ მუხები...

აქაური კილოც ეუცნაურა ლუკას. თუ ფშავში ყვავილ-ბალახს ამოედგა ენა, აქაურ კილოში მაჭარი დუღდა, სველ ნაპერწკლებს ისროდა და დაღვინებულ ქართულს გვერდით უმცროსად ედგა.

კახელებსაც ფრთიანი მზერა, ლაღი მიხვრა-მოხვრა და კეთილი ჭული ჰქონიათ.

ლუკას წინ რომ მოხუცი ზის, საბუელია. ძველი თუშური ქუდი ახურავს, გვერდით კი ლეკური, დიდი ხურჯინი მიუდგამს და ძმებს ათვალიერებს.

— სადაველები ხართ, შვილებო?

— ფშაველები, — მიუგო სანდრომ.

— სტუმრად თუ მიდიხართ?

— არა, თელავში მომყავს, სემინარიაში, — თავი ლუკასკენ გაიქნია ბიჭმა.

— ჰო... — გააგრძელა ბერიკაცმა, — მაშ, კახეთის ჰაერმა რომ არ დასცადოს, ჯერ ეს უნდა მიირთვას...

მოხუცმა ტაბიკივით მსხვილი ჩურჩხელა გაუწოდა ლუკას, მეორე კი — სანდროს.

ძმებმა მადლობა გადაუხადეს.

— აბა იმ ზაქებს გახედე, — ყორეზე შემსხდარი ბიჭებისკენ გაიხედა ბერიკაცმა და ლუკას მიუბრუნდა, — დაეჭიდები?

— დავეჭიდები!

ბერიკაცმა ხმამაღლა გაიცინა.

— ეგრე, შვილო, ეგრე, ჩვენმა ჯილაგმა შიში არ უნდა იცოდეს, ჯისთან არ გვაჭიდავა ამ ტიალმა წუთისოფელმა, მაგრამ გახე, ისევ როგორი კახეთი გვაქვს...

ლუკა ტანმაღალი იყო. ისეთი გაფრენილი მხრები და გრძელი ჭკლავები ჰქონდა, ეს თორმეტი წლის ბიჭი ლამის თექვსმეტისაც გეგონებოდა.

ერთხელაც, ალავერდობას, ლუკას საჭიდაო ჩოხა ჩააცვეს და წრეში ჩააყენეს. პირველად ერთი ტანდაბალი, მაგრამ ტახივით უკის-

რო ბიჭი გამოუყვანეს. რაზიკაანთ სისხლი აჩქეფდა სემინარიელის ძარღვებში, ჯიქურად წამოსულს ზურგი დაუხვედრა და წაფართხალებულ მოწინააღმდეგეს ფოცხვერივით დააცხრა. როცა გაამყებულმა ლუკამ გამარჯვების ლეკურით მეოთხედ ჩამოიარა, აი, მაშინ დაუყენეს წინ ერთი ტანთხელი, აწოწილი მენახირე. ისე უხერხულად მოჰქონდა ხელ-ფეხი, ლუკას საულვაშე ღიმილმა მოუფხანა, — ნეტავ, რის იმედით მოდის აქეთ ეს უხერხო და მოუფონავი ბიჭიო. რახან ასეა, ჯერ სახრესავით გაიღებს მხარზე, მერე კი ბეჭებით დააკრავს ხლაევრდის თბილ მიწას.

თურმე ბედი სხვანაირად ჭრიდა და კერავდა. ის წყნარი ბიჭი უცბად ქარიშხალივით ამოვარდა, დაბნეული სემინარიელი ორი გრძელი მარწუხით დაითრია, მერე მიწა აყირავდა, ცა დაბლა წამოვიდა და ძაღლიდან წამოსულ ლუკას სიზმარივითღა ახსოვდა, რომ თეითონ ორივე ბეჭით დაბლა იწვა, იმ არსაქნელს კი განიერი დოინჯი შემოედგა და ზემოდან დაჰყურებდა.

ძაფიც წვრილია, მაგრამ ღონე დიდი აქვს.

ერთი კვირა გუნებაზე ვერ მოვიდა რაზიკაშვილი. თავი ყარამანი ეგონა, გრძელთმიანი სამსონი, იმ მენახირემ კი ეს ოცნება ასე ერთბაშად მოუკლა. მაგრამ არა უშავს. ფალავნობამ თუ სირცხვილი აჭამა, მომღერლის სახელს აუცილებლად გაიგდებს. აბა, ვის აქვს თელავში ყველაზე დიდი ბანიო, იკითხავენ... ვისა და რაზიკაანთ ლუკასო, — ასე იტყვიან კახეთში და მერე ეს ხმა ფშავშიც ავა.

თავს დაიმარტოხელებს თუ არა, ხმამაღალი მოძახილით იმუშავებს ბანს, ბუნებამ ხმა რომ მოგცეს კიდეც, სალამურად ყელი ისე არ გაკეთდება, დიდი ოფლი თუ არ დაღვარე.

მოკლედ, ლუკა ან ბანი უნდა იყოს, ან არც სიცოცხლე უნდა, არც დედ-მამა და არც და-ძმანი.

არც ამ ცდიდან გამოვიდა სიკეთე. ის კი არა, სემინარიის მგალობელთა გუნდში ლუკას ხმა მტრედებში შეფრენილი მიმინოსავით იკლებდა იქაურობას. გალობის მასწავლებელსაც მეტი რა ექნა, მუდარას და მუქარას ერთად გაუგზავნიდა ლუკას.

— გაჩუმდი, რაზიკოვ, რას ღრიალებ?

აბა უქმე ისე როგორ ჩაივლიდა, თელავის უბნებში ან კრივი არ გამართულიყო, ან ლახტის ცემა და ჭიდაობა. ამ დროს კუტიც კი ფეხს აიდგამდა, რომ სხვაზე წინ დამდგარიყო იმ მორევივით ატორტმანებულ ხალხში. დაცურავდნენ ჰაერში თუშური ქუდები, კრაველის ბოხოხები, სად დოლს სცვიოდა ნაპერწკლები, სად ზურნა კვნესოდა, სად კიდევ გამარჯვებული ფალავანი მამლის ნაბიჯით შემოუვლიდა ხოლმე წრეს საჭიდაო მოედანს.

ლუკაც ფოლადის ძაფით იყო ნაქსოვი და ასეთ შეყრილობას აბა რატომ გაუშვებდა. სანამ მეტოქე ტანზე ხელს შეავლებდა, ჯერ იმის უტეხ მზერას უნდა დასჯახებოდა, მერე კი ფშაური სარმა, კაცს კი არა, მთას წამოაქცევდა.

ყველაზე მეტად მაინც ალავერდობა უყვარდა. იმდენი ხალხი მოიყრიდა ხოლმე თავს, ალაზანს ერთ დაწაფებაზე ამოაშრობდა. ლუდის რუმბებთან ლეგა ხეცსურები ჩასხდებოდნენ და მიმინოსავით ააფრენდნენ სიმღერას აპარეკას ბიჭობაზე, ღრუბელივით რომ გადადიოდა ხოლმე ქისტეთს და ნარბევი არხოტს მოჰქონდა, მერე, საშულოდ აშლილები, თვალებით ბასრავდნენ მოშორებით დაბინავებულ ლეკებს... გალავანთან ოსები გაშლიდნენ ჯეჯიმებს და მალე ალავერდის მინდორზე მთა და ბარი ერთად შეიყრებოდა.

• •

ზაფხული იდგა. ხვატი მტკვარს დაეწაფა და წყალმა ისე იკლო, ალაგ-ალაგ მუხლსაც ვეღარ სწვდებოდა. ამ გაგანიაში სემინარიის ეზოში მდგარი კაკლის ხის ჩრდილი ერთი წყალკურთხევა იყო. ლუკასაც აქ ნახაედით. გვერდით მუდამ წიგნი ედო. სანამ თვალი ბოლო სტრიქონს არ ჩაირბენდა, თავს არ აიღებდა, წიგნს დაკეცავდა და წამოდგებოდა ხოლმე ნამარხულევი ბერივით სახეგაბრწყინებული.

ერთხელაც, ის იყო, შუადღე ოდნავ განელდა, რომ სემინარიის ეზოში ხალხის გნიასი შემოგორდა. ამას ზარების გრძელი რეკვა მოჰყვა. მტკვრისპირიდან ნიავი მობარბაცდა და სემინარიის კედლებთან მიწვა. გარეთ ისევ სიცხე ენთო. დილით ერთადერთი ღრუბელი აბოლდა ცაზე, მაგრამ ისიც ისე ჩაიფშვნიტა, ნამი არ გაავარდნია.

გუგუნი ახლა მტკვრის გალმა გაიჭრა, რასაც უფრო პატარა ზარების გალობა მოჰყვა.

აივანზე შეშფოთებული სემიონოვი გამოჩნდა, ცხვირსახოცით შეოფლილი შუბლი ჩამოიწმინდა და ლუკას ზემოდან ჩამოუგდო.

— რაზიკოვ, გეთაყვა, გაიგე, რა ამბავია.

ლუკა გარეთ გავარდა და დაბრუნებულმა სული ძლივს მოითქვა. სახე დამძიმებოდა, სიტყვის ნაკუწებს ისროდა და განიერი მკერდი ჰაერით ვეღარ აევსო.

— თქვი, კაცო, ლეკი ხომ არ დაგვეცა? — შეუძახა ლადო აღნიაშვილმა.

— კალია... მთელი ქალაქი სავსეა... — ძლივს ამოთქვა ლუკამ, — ყველა გარეთ არის...

მართლაც, ჯოჯოხეთის კარი გაწელო განგებას... ვერც თვალის

სიღრმე და სიგანე იტევდა ამ შემაზრზენად აფუთფუთებულ მწერს, ვერც გორის ქუჩა-უბანი.

ამდენი წვეთი, ალბათ, დიდ ავდარსაც კი არ ექნებოდა, აქ რომ საზიზღარი მკალი დაბობღავდა.

სახეგანაცრებული სემიონოვი კიბეზე დაეშვა, მოწაფეებს მოუხმო და აღელვებისგან სანახევროდ ჩამქრალი ხმით თქვა:

— ხელცარიელი არავინ დარჩეს. ხის ტოტები აიღეთ და გამოშყევით, კალია მხოლოდ გლეხის შიმშილით ძღება, გზა რომ მივცეთ, ერთ დღეში მოჰკორტნის მთელი ქართლის მოსავალს...

წინ სემიონოვი მიუძღვის სემინარისტებს. უკან მასწავლებლები და გრძლად გაბმული ბავშვები მიჰყვებიან, ლუკა ბოტივით მიაბიჯებს... კაი ყმა ვინ არის და ხმალმა თქვა, ფშავში იტყვიან... ჰოდა, აბა, ლუკავ, შენ იცი, ჩასძახის იდუმალი ხმა.

ყაზარმებთან ნაარყევი როტმისტრი აყუდებულა. პაჭუა ცხვირი იისფრად უყვავის, ღერღეტის თვალებს უაზროდ აცეცებს და სემიონოვს ეუბნება.

— ქვაბში გვიძვრებიან, სემიონ პეტროვიჩ, სალდათები მშრალ ლუკმაზე გვყვანან... ერთ როტას გაგატანთ, მოგეხმარებიან...

ეს მართლა ბრძოლა იყო, უკანდაუხეველი, მედგარი ბრძოლა...

კალია წინ მოიწევს, სასწავლებლის ბაღებისკენ, სემინარისტების ცოცხალი ჯაჭვი მაინც ვერ გაწყვიტა. ტოტების ფოთლიანი ვარჯებით ნაცემი მკალი ახლა მღვრიე ტალღასავით მიაწყდა ციხისუბანს, აქ აიკრიფა, და მინდვრებს მოედო.

ასე სწრაფად ცეცხლი დადის ხოლმე ხმელ-ჩალაბულაში.

— არიქათ, ორმოები, — დაიძახა ვიღაცამ, — შიგ ჩავყაროთ და მიწას მივცეთ.

შიშის გრძელმა ხელებმა დაიტაცეს რაც ქალაქში ბარ-ნიჩაბი მოიძებნებოდა.

ლუკა მუშებში ჩადგა, იმ არეულობაში სემინარისტები სადღაც დაკარგა. წეღანღა დაინახა სემიონოვის ჩალის შლიაპა და ამ მირბენა-მორბენაში თვალში ვეღარ გაიჩერა.

მიწაც თუ შეშინდა .ზაფხულის ქარ-ნიავით გამომშრალი მინდორი ისე იოლად ითხრებოდა, თითქოს სათონე თიხას სჭრიდნენ.

დათხარეს ბნელი ორმოები, შერე ვარჯებით გაირეკეს წინ კეტკალია, ნათხარი ამ ცოცხალი სიბილწით გაავსეს და მიწა მიაყარეს, მერე კი ნაშალი ბანივით გატკეპნეს.

ლუკა დაიღალა, ის იყო, მზემ მთის იქით დაიბუდა, რომ კალიის დიდ ნაწილს უკვე მიწის სქელი საბანი ეხურა. ბედად საიდანღაც

ტარბის გუნდი გაჩნდა, იმას სხვა მოჰყვა და ყაშყაშით დაეშვნენ ყანისპირა ნაფუზარზე.

ლუკას გასაწური ხალათი ეცვა. მკლავებზეც თითქოს ქვები ეკიდა, მაგრამ მაინც ბედნიერი იყო.

ეხლა ძალიან დაღლილი რომ არ იყოს, ამ დაღმართს სულ ასკინკილით ჩაირბენდა იმ თავისი საყვარელი სიმღერით:

„წაწალ წაწალთან დაწვება...“

* *

დიახ, ლუკა ბევრს კითხულობს, უფრო ბევრს ფიქრობს და ფეხდაფეხ ადევნებულ კითხვებს დაწურულ პასუხს უძებნის. რა იყო წინათ საქართველო? რა არის ახლა და მომავალში რა იქნება? საით გაირეკა ისტორიამ ის ხალხები, სხვისი ცრემლით რომ იკლავდნენ წყურვილს და სისხლით შეღებილი ხელებით აშენებდნენ იმპერიებს? რამ დასცა ბრწყინვალე რომი? რამ ჩაუქრო ფარაონებს შუბლზე ანთებული დიდება? ნაცრად გაჰფანტა კართაგენი, მონღოლებმაც კუშისივით ხერიპეს სხვისი სისხლი და მოჩვენებასავით გაჰქრნენ?

რამ და ძალმომრეობამ! სხვათა სალოცავის წაბილწვამ, ენის შეგინებამ. ასეა. დიდი თუ მცირეს მოერეოდა, ფეხებით შედგებოდა, შუბის წვერით უწერდა თავის ადათს, სამართალს, ცხოვრების წესს.

ასე იარა ისტორიამ.

გველეშაპი მხოლოდ გველეშაპს შობს. იყო ბიზანტია... ეს ორთავიანი არწივი ერთით აღმოსავლეთს ჰკორტნიდა, მეორით — დასავლეთს, ბრჭყალებით კი მცირე აზიას ჩაჰფრენოდა, მაგრამ ისიც კუჭის სიმაძღრეს გადაჰყვა. და ახლა ჩრდილოეთში იშვა მისი ასლი და ავალი... მესამე რომი — ისიც იმ ორივით თვალმშიერი, მუდამ სხვისი თავისუფლებისკენ ბრჭყალგაწვდილი, ისიც ცეცხლივით დაუნდობელი და წყალივით მოუთოკავი.

ამ გოლიათს ცხვირს რომ დააცემინებს, ბარე ხუთი ოკეანე მაინც ეწყება ღელვას.

აბა, რა არის იმისთვის საქართველო? მაგრამ რუსეთი მხოლოდ იანოვსკები და კატკოვები არ არის. რუსეთი ჩერნიშევსკის მაღალი შუბლია, ტოლსტოია, პუშკინის კეთილშობილი ლექსი და ლერმონტოვის ქარიშხლისგან აფრაშემოხეული პოეზიაა.

რუს გლეხსაც ზურგზე ჰკიდია ეს ამდენი ჩინოვნიკობა, მეფე და დიდკაცი. მისი ტკივილიც იკლაკნება ვოლგელი ბურლაკების სიმღერებში, ბლინებივით მსუბუქ ბილინებსა და არყის ხეების ნაამბობ ზღაპრებში. ეს კარგად იციან რუსი ხალხის საუკეთესო შვილებმა,

ამიტომ სძულთ ჟანდარმის ორ ჩექმაში ჩამდგარი რუსეთი, მონობისა და ბატონების ქვეყანა.

აი, თუნდაც სემიონოვი, სემინარიის დირექტორი. თვალ-წამწამითაც რუსია, თვალით შემოუვლელი ტრამალებისა და სტეპების შვილი, მაგრამ როგორი დიდი გული უდევს მკერდში, როგორ დაიმყნო ამ არყის ხემ ქართული ვარჯი და ტოტი. ყველა ქართული საქმის წარმატება უხარია, სემინარისტებს ხომ თავზე ევლება.

— პატარა ქვეყნის შვილები ხართ და ისეთები უნდა გამოხვიდეთ, ერის წყლულს უაქიმოთ და უწამლოთო, — ისე ეტყვის ხოლმე მოწაფეებს, ისე აუცისკრდება ის ცისფერი თვალები, უკოდავი ქვა უნდა იყო, ამ ნათქვამმა სიისხლი არ აგიჯანყოს.

გორის ჟანდარმერიის უფროსი ისეც არ იყო და ახლა ხომ ნაროდნიკობამ ნამდვილი ცოფი შეჰყარა. ალბათ, ამიტომ სემიონოვიც შეეჩვია ჯაშუშის უხმო ნაბიჯებს და ფრთხილ მზერას. ჯანდაბამდის ჰქონიათ გზა...

დირექტორს განსაკუთრებით უყვარს ლუკა. შეხვედრისას თბილი ხელით აუჩეჩავს ხოლმე ჩაწყდიადებულ თმას და თბილად ეტყვის:

— ღამით მთები ხომ არ გაღვიძებენ, ფშაველო?

— მაღვიძებენ, სემიონ პეტროვიჩ.

— ასე, ძმობილო, ასე, მეც ხშირად ვხედავ ტკბილ სიზმარს — თითქოს სტეპზე ვაციწვერა ჰყვავის, გაბრუებული ფუტკარი ბზუის და წეროებივით ცალ ფეხზე დგანან ოწინარები. მონატრებული ვუყურებ სტანიცის შუკაზე ბატებივით გაბმულ თეთრად შეფეთქილ ხატებს. ასეა — სამშობლოს ბოლიც კი ტკბილია.

— დიახ, სემიონ პეტროვიჩ...

ლუკა ზოგჯერ ისე გაქრება ხოლმე სემინარიიდან, თითქოს იქ საერთოდ არ ყოფილიყოს. ეს უფრო გაზაფხულით მოსდის, როცა აქაიქ ია თვალს გაახელს და თეთრი ზამთარი მარტო ღრმა ხევ-ხევებში და მთის კალთებზე-ღა ზის საცოდავად მობუზული, ძალადაკარგული. სადღა აქვს ის ძველი რიხი, ხელმწიფური მედიდურება და მრისხანება? ცალი წინდა სადღაც დაჰკარგვია და ცალითღა იწონებს თავსა...

სად არის ამ დროს ლუკა, ვისი ხმა ეძახის?

ხან ხელთუბანშია, ხან კასანხევში, ხან კიდევ უფრო შორს გაიმანდვრებს. წყაროსთან ჩამომჯდარი ფიქრებს მიაქვთ — ნეტავ რა ძალა განაგებს ბუნების ამ საოცარ ფერისცვალებას? როგორ პადებს სიკვდილი სიცოცხლეს, სიბერე სიჭაბუკეს? ნუთუ ის ყვავილნი, მზვარეზე რომ ლამაზი ქალებივით ჩამომსხდარან, არც რასა სედვენ და არცა გრძნობენ, ან ის ბერმუხა ასე მწარედ რამ ჩააფიქრა — ვინ

აცის, რამდენჯერ მეხი დასცემია, რამდენი უბრძოლია ქარიშხალთან და მაინც როგორ მედგრად დგას დიდი ღირსებით, რაინდული ქცევისა და დიდებულებით, როგორი თავაზით შესცქერიან ხევის პირას თავშეყრილი ახალგაზრდა თხმელები....

აგერ კუნელის ბუჩქზე ჩიტი დაფრინდა. ლამაზი კაბა-ბუმბული აცვია, გულისპირთან სოსნისფრად აჟურული, მაგრამ როგორი სევდით გასცქერის თხელი ნისლით აბოლებულ ველებს, ცაში ამგზავრებულ მწვერვალებს, გაზაფხულის ჟრუანტელით გამოფხიზლებულ ნაფუზრებს.

იქნებ მიმინომ ცალი მოსტაცა და ახლა იმას გლოვობს, ან თავის პირველ წუთისოფელს დასტირის რაღაც დარდით გულამოსკვნილი?

ვინ იცის? ჩვენ კი, კაცნი, ვიტყვით ხოლმე: ეს ხეა და ეს ბალახი, ეს კიდევ სხვაო... მაგრამ განა ამ ყველაფერს სხვა რამ საიდუმლო არა აქვს? ადამიანის თვალისთვის დაუნახველი და ყურისთვის უსმენელი?

* *

იმ დღეს სამეფო ქუჩას მოუყვებოდნენ ლუკა და მისი მეგობრები. გორში იასამანი ყვაოდა და ისეთი სუნი იდგა გარეთ, სახლში შესვლა არ მოგინდებოდა.

— ნაროდნიკები ხალხის მეგობრები არიან, — ამბობს ლუკა და თავისებურად ცხარობს, — საბჭელი იმათთვის ტაძარი გახდა, სადაც ლოცულობენ და მომავლის ფილოსოფიას წერენ.

— შენ რა მიშიკო ყიფიანიეით ლაპარაკობ, ლუკავ, — ჩაიღიმა ნიკო ლეონიძემ.

— ბრძოლაა საჭირო, ხალხო, ბრძოლა და არა ლაპარაკი, — ჩაერია საუბარში ლავრენტი ოქროპირიძე — ყველამ რო წიგნი ისწავლოს, გლეხი ვიღა იყოს? მე რომ მკითხოთ, ჯერ მეფე უნდა ჩამოვათრიოთ ტახტიდან, მერე იმის ნაზირ-ვეზირებს, პრისტავებსა და სტრაჟნიკებს მივდგეთ და ზურგზე ბოლი ვადინოთ.

— ეგ ხომ სოციალისტობაა, — წამოიძახა ნიკომ.

— იყოს, — დაეთანხმა ლავრენტი, — რა ცუდი რამ ეგ არის?

— სისხლით მორწყულზე რა მომავალი გაიხარებს, ბიჭო, — ლაშის ჩურჩულით გაეპასუხა ნაპირას მიმავალი სემინარისტი.

ეს ბიჭი ქვემო ქართლის რომელიღაც სოფლიდან ამოეყვანათ გორში. სემინარისტის ფორმა რომ არა, რომელიღაც მონასტრის მორჩილი გეგონებოდათ. სიარულითაც ისე ფეხმსუბუქად მიაბიჯებდა, თითქოს ეშინია, მიწას არაფერი ატკინოსო. საღეთო სჯულშიც

ხომ ყველაზე წინ იყო. გალობისას ისე შეიცვლებოდა ხოლმე, ისეთ ტკივილიან სიხარულს ჩაიგუბებდა კამკამა ცისფერ თვალებში, რომ წარმართსაც კი პირჯვარს გადააწერინებდა.

— რათა, ვანო, რათა? — ჩაუტკბა ნიკო, — მაშ იყოს, როგორც არის. ერთმა თავისი ოფლით მიწა პოხოს, მეორე კი იმის ზურგზე წამოწვეს, იმის ნავაიაგლახარი სვას და ჭამოს.

— არა, კაცო. მაგას კი არ ვაძბობ. — შეიშმუშნა ვანო, — უნდა შეეგნებინოთ, რომ ყველაზე მდიდარი მაშინა ხარ, როცა არაფერი გაბადია, მოყვასის სიყვარულის მეტი.

— ერიჰაა... — გასტვინა ლუკამ, — ჩვენი ვანო კარგა გალმა გასულა... მაშ, როგორც სახარებაში სწერია, ლოყაზე რომ სილა გამკრან, იმაზე ბრტყელი მადლობა მე უნდა მივართვა არა? არა, ძმაო, ისეთი ალიყული უნდა აჭამო, აღდგომა ნათლისღებად მოეჩვენოს.

— ბოროტებით ბოროტება არ ამოიგდება, — ისევ თავის ბანს ტკეპნის ვანო.

— ემაგეთი სიკეთით კი რა იქნება, — ცხარობს ნიკო. — ვის რად უნდა ეგეთი მყრალი ვარდი. კაცნი იმიტომ გვქვია, თავისუფლებად ვიყვნეთ, ერთმანეთისა გვესმოდეს.

— მარტო ერთმანეთისა? — იდუმალად ეკიმება ლუკას.

— მაშ კიდე რისა, ლუკავ? — უკვირს ლავრენტის.

— რისა და ყველაფრის — ხისა, მთისა, ყვავილ-ბალახის... ხომ გახსოვთ რა უწერია ბარათაშვილსა.

— აბა, გაგვახსენე, შენს გაზრდას. — გაუცინა ნიკომ.

— „მწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთა და უსულთ შორის...“

— ხედავ საით გაუტია ლუკამა, ასე ივლი, ივლი და რუსოს მიუხვალ, ჩემო რაზიკოვ, მაშ რაღას ვუყურებთ, დავიხადოთ შარვლები, წელზე ცხვრის ტყავები შემოვიკრათ, ქამარზე ქვის ჩაქუჩები დავიკიდოთ და ისევ ბუნებაში შევევარდეთ.

*

ფიქრებიდან ვიღაცის ყვირილმა გამოიყვანა. საბაყლოს წინ ხალხი შეკრებილიყო და ღრიანცელიც იქიდან მოდიოდა.

ლუკამ ნაბიჯს აუჩქარა. თვალში ჯერ სქელი პოლიციელი გაეჩხირა, თამბაქოს ბოლით შეყვითლებული ულვაშები მაღლა აეპრიხა, ხელა ვაღაზე ედო და ლამის მთელი ქალაქის გასაგონად ყვიროდა.

— იარაღის ტარება მთავარმართებელმა აკრძალა, ამ ველურებს კი არაფერი ესმით.

„ველური," შუახნის ხევსური, ცალი ხელით დავითფერულს ჩაჰფრენოდა, ცალს ხანჯრის ტარი ჩაებღუჯა და პოლიციელს წინ ბირთვისის ციხესავით ედგა თვალანთებული.

— რაი უნდა ამ ვაჟსა, — ეკითხებოდა გარე მოჯარულ ბრბოს.

— ხმალ-ხანჯალი უნდა აიხსნა, ქალაქში ეგრე არავინ გაგიშვებს, — უპასუხა გაშსდარმა, სერთუკში გამოძწყვდეულმა კაცმა, — წესია, — პოლიციელს ფართოდ გაუღიმა.

ხევსური ჯერ უკან მიაგდო სერთუკიანის პასუხმა, მერე ავაზის ნახტომზე დასცილდა პოლიციელს, ხმალი ამოიწვადა და ჩამავალ ჰზეს გახედა.

— მოვიდეს, წაიღოს...

ხმოვანი მთიელისთვის სიბრაზეს ლოყები ჩამოეხია, ხახმატის ღრუბელივით მაღლიდან უბღვერდა ტანდაბალ პოლიციელს. საჩიხეში მოხვედრილი ფოცხვერივით ყვითლად უელავდა დაფანჩული წარბების ჩეროში მიმსხდარი თვალები, სახეზე კი მხოლოდ ლუკასთვის წასაკითხი გაოცება ეწერა — რა უნდათ, გზას რატომ არ მისცემენ, იარაღაყრილი საით მიუვიდეს ჯალაბს. მთები რას ეტყვიან, ხატი როგორღა იყმობს, ქალ-რძალი ხომ თიხისტარზე დაიხვევს იმის გვარსა და სახელს, მერე, ვაჰმე, მკვდარო ვაჟკაცობავ...

პოლიციელი ჯერ ინდაურივით გაიფხორა, მერე გაბმით აკაკანდა და კლდესავით ჩამდგარ მთიელს კრუხის ნისკარტი ჰკრა.

— სჯობია იარაღი ნებით ჩამაბაროთ, მთავარმართებლის ბრძანებაა, — საჩვენებელი თითი ცისკენ აიშვირა და ისევ კანონის ძეგლივით გაქვავდა.

— დიაცი ყოფილხარ, — მიუგდო მთიელმა და ნაბიჯი წინ წასდგა.

ეტყობა, პოლიციელს მკერდზე მობჯენილი მისი წვეტიანი მზერა ეტკინა, კოკარდზე ხელი წაივლო და ამოიკვნესა.

— Ох, чёрт этакий.

დღე იწურებოდა, ნიავის ნათიბი ეყარა მთაწმინდის კალთებზე, შაშვის დვრინი მოჰქონდა ფრთამოტეხილ ქარს მტკვარს აღევნებული ფშანებიდან...

ლუკამ ხალხი გაარღვია. ახლოდან უფრო ვერ ჩაეტია თვალში ეს ვეება მთიელი. შეცბუნებულ პოლიციელს სასტვენი ამოეღო, ბატივით სისინებდა და საცაა ცეცხლი ამ ფუჩეჩსაც წაეკიდებოდა.

ამ დროს საიდანღაც რამდენიმე ყარაჩოელი გაჩნდა. ჯერ ხალხი მიყარ-მოყარეს, მერე პოლიციელს წინ დაუდგნენ.

— თავს უშველე, ძმაო, — მიაძახეს ისეც აზვავებულ მთიელს.

— Разойдись! — დაიკივლა გოროდოვოიმ, მერე კი სასტვენს ღო-

ნიერად ჩაჰბერა. და ის იყო, ცალი ხელი ხევსურისკენ გაიშვირა, რომ მკერდზე კამარაშეკრული ყოჩი ეტაკა. პოლიციელი წაბარბაცდა და მიწას გაეკრა.

— გავიქცეთ, ბიძავ! — შეჰღიმილა ლუკას მთიელს. სანამ აქ ალიაქოთი იდგა, ისინი უკვე მტკვრის სანაპიროზე გაიყვანა სწრაფმა ბილიკმა. ახლა შორიდან ისმოდა სასტვენების წკრიალი და პოლიციელის ქოთქოთი.

— ფურებივით ბღავიან, — გაიცინა ლუკამ.

— ვაჟი ყოფილხარ, — მხარზე დაჰკრა მძიმე ტორი მთიელმა, — რა გინდა ამ მყრალ ქალაქში, ხევსურეთს წამო, კაი ყმას დაელა და სახელი იქ ეპოვების.

ლუკამ ფართოდ გაიღიმა.

— სადაველი ხარ, შვილო? — მოტკბა ხევსური.

— ფშაველი, ჩარგლის კარიდან, აქ სასწავლებლად ვდგავარ... ლუკაი მქვია, რაზიკაშვილი...

— პავლეს თუ იცნობ? ხუცესსა?

— მამაჩემია.

— დიდება გედანის ხატსა, — ჩაიბუბუნა სტუმარმა — აგრეა, ლომის ნაშობი ციკანი ვერ იქნების.

იმ ღამეს მონაფეებმა ისტუმრეს ბერიკა აბდიაური, მეორე დილით მცხეთამდე გააცილეს და თვალი არ მოუცილებიათ, სანამ დილიჟანსი მთის ზურგს არ მოეფარა.

* * *

I

ზანი გამოხდა...

რუსულ ზამთარს რუსული გაზაფხული მოჰყვა. ლოსიევით მოამტვრევდა აპრილი ჯერ კიდევ თრთვილშერჩენილ ტყეებს, ველ-მინდორი აჭრელდა, საზამთრო ქობები გაიხადეს არყის ხეებმა და საგაზაფხულო კაბები გადაიცვეს, ნისკარტებით მოჰქონდათ სამხრეთიდან მოფრენილ წეროებს გაზაფხული, ერთი ქოთქოთით, ფრთების ცემითა და ყივ-ყივით გადაუფრინეს ქალაქს და სატახტოსთან გარსშემომდგარ ჭაობებში ჩაეცნენ. სტეპის ნიავი მოაპნეედა ნედლი აფშანისა და აყვავებული ყვაეისფრჩხილას სუნს. ნევამაც გამოიფხიზლა. და ნაპირიდან ნაპირამდე გაძაბულ თბილ ნისლში იპენტებოდნენ ზამთრისგან დაღლილი, ფშავური თეთრი ჭუკებივით ტანსავსე თოლიები...

მხოლოდ ღამით თუ დაჰკრავდა ისევ სიცივე. ნესტიანი ქარი და-

ლასლასებდა ქალაქის ქუჩებში, აბრახუნებდა სამიკიტნოების დარაბებს, აწყდებოდა ღობეებს, იქექებოდა აქა-იქ მიყრილ ნაგავში, ხან კიღეე უპატრონო ძაღლივით ყმუოდა ნევისპირას.

სამაგიეროდ დილა ჰგავდა სილამაზითა და ბედნიერებით სახეაყვავებულ ქალიშვილს. აანთებდა ხოლმე ეკლესიების ოქროცურვილ გუმბათებს და ქალაქს უალო და უნაცრო ცეცხლი ეკიდა. მზე ხან ნევის ტბორებში იძირებოდა, ხან ცის უსიერში დაგორავდა მხიარული, ცეცხლოვანი ბურთი.

რა სჯობია ამ დროს პეტერბურგის შემურული ცის ხილვას. აქ თუ სკვითივით აბოყინებს ჭაობს და ისლი სისინებს, იქით სტეპი გარინდულა, არავი დაჰქროლებს და ისეთი ღვთიური რამ ხმა გადაუვლის ხოლმე ამ უმანძილო, თვალს გასწრებულ ტრამალებს, თითქოს უსინათლო მოხუცს დომბრის სიმებისთვის ჩამოეკრას ხელი.

ღამით კი ჩვენებური მარწყვივით წვრილი ვარსკვლავი იცის აქაურმა ცამ, მხოლოდ რამდენიმე ანთია გამორჩეული სითამამით, მერე თეთრი ღამეებიც ჩამოდგებოდა და, თუ თვალი კარგად გიჭრის და ზესკნელს სჩხრეკ, იმასაც დაინახავ, როგორ დგანან სამოთხის აღსავალთან ანგელოზები...

მთვრალი კაზაკივით დადის ამ დროს პეტერბურგის ქუჩებში სიხარული, მხრებით გამელელებს ეჯახება, მღერის, ხითხითებს, ხარ-ხარებს და გაღეღილ მკერდს უკოცნის ბოშასავით თამამი ნიავი.

საფუტკრესავით ზუზუნებენ მოედნები. არხებში გედები დაცურავენ რომაელთა თეთრი გალერებივით.

იმართება ღამის სეირნობა. ბუქნავებ, ტ'ნ-ფეხზე ხელებს იტყაპუნებენ წვრილი ჩარჩები, ქუჩის მოვაჭრეები და დარაიის ცხვირსახოცებს აფრიალებენ კუპჩიხები, და ბრუნავს, დაგორავს ხალხის ეს ჭრელი გორგალი.

ახლაც გაზაფხულის დილაა.

ლუკა ცუდ გუნებაზეა. შინ უნდა წავიდეს, ფშავში. ველარ გასწვდა პავლე ხუცესის არშინი ათასობით ვერსით დაშორებულ პეტერბურგს, უცხო ქალაქში ორი ვაჟკაცის შენახვას ბლაღოჩინის ქონება მაინც უნდა, ის კი ღარიბი მღვდელია, აბა მარტო ლოცვამ იმას რა მისცა, ლუკას და გიორგისაც რომ ეყოს?!

ეგება ღმერთმა ინებოს და გიორგიმ მაინც დაასრულოს წიგნი და სწავლა. ქამარი ერთი ნაჩვრეტით კიდევ ვიწროდ შემოიკრას.

გულდაძმარებული გამოვიდა გიორგა ქუჩაში. გაჩქარებული მიდის, მიათრევს იმ თაკის მძიმე ფიქრებს...

ნეტაი ეს მდიდრულად ჩაცმული კაცი რას ეუბნება, ხელში

ტროსტს რომ ათამაშებს და ქუდი მოუხდია? ევროპელი ჩანს. იერზე სცნობს გიორგი ზღვას იქიდან მოსულებს.

— ბიდიში, — ამბობს უცნობი, — ბიდიში, რომ შეგაჩერეთ, მაგრამ ცნობისწადილმა წამძლია, კავკასიელი ხომ არ ბრძანდებით?

— გახლავართ...

— ქართველი...

— დიახ...

— შეიძლება კარგად არ გახსოვთ, შეიძლება ვცდები, მაგრამ გაზაფხულს თქვენ არ იყავით, იქ, საბილიარდოში, რომ...

— მერე რა გნებავთ? — წარბი შეიკრა გიორგიმ.

— ო, ეს კავკასიელები... — კეთილად გაიცინა უცნობმა, — ცეცხლოვანი ხალხი ხართ. მეც გახლდით იმ ბატალიის მოწმე და მონაწილეც.

— ნუთუ? — ირონიულად ჩაიცინა პაულეს ბიჭმა.

— დიახ, დიახ, ჩემდა სამწუხაროდ, — სასწრაფოდ დაუდასტურა უცნობმა, —ეს არამკითხეობა ოთხი თვის წოლად დამიჯდა, თქვენთან რომ იყო, მეორე, ისეთი მუშტი მკრა ფერდში, გრძნობა დავკარგე. სხვათა შორის, პროფესიული მოკრივე ვარ, ევროპის ჩემპიონი და ასეთი დარტყმა არასოდეს მიგემია, არც სხვისი მინახავს... ეს დარტყმა კი არა, აქილევსის წიხლი იყო.

ვინ გახლდათ ის ყმაწვილი?

— ჩემი ძმა, ლუკა რაზიკაშვილი.

ნელი ნაბიჯით მიჰყვებიან ორნი ნევის გაღვიძებულ პროსპექტს. ისააკის ტაძარში ზარებს ჩამოჰკრეს. ხმამ ქალაქი გადაიარა, შორეთს გასწვდა და ბალტიკის ტალღების გრიალს შეუერთდა.

— საქართველოს ხილვა მენატრება. — ხმადაბლა ამბობს უცნობი, — ამბობენ ადამიანი მეორედ მაშინ იბადება, როცა დარიალს ნახავსო, მართალია?

— სრული ჭეშმარიტებაა.

— უჰ! — გვერდზე ხელი მიიდო უცნობმა, — ეხლაც გამახსენებს ხოლმე ნაჟეჟი ფერდი თქვენს ძმას, მართლა, იქნება დღეს სადმე ჩავშხდარიყავით და ერთმანეთი უფრო ახლოს გაგვეცნო, მოკლედ, პატივი დამდეთ და სადილზე მეწვიეთ.

— ბატონი ბრძანდებით.

— ის თქვენი ჰერკულესიც მოიყვანეთ.

— მაქვს პატივი. — თავი დახარა უცნობმა.

— ნახვამდის...

სამნი უსხედან მაგიდას პირველი კლასის რესტორანში, ფრანგული შამპანური შიშინებს ბროლის მაღალყელიან ჭიქებში...

* * *

დაკვირვებული თვალი იოლად ამოიცნობდა ვაჟაში დახვეწილ არისტოკრატს. არ უყვარდა საკუთარი დამსახურების ხაზგასმა. როცა ვინმე ნაწერს .შეუქებდა, ულვაშებში თავისებურად ჩაიცინებდა და იტყოდა:

— იცის ბიჭმა და...

სასახლის პაჟის უმადობა არ სჭირდა, მაგრამ მსუბუქად ჭამა-სმა კი პავლესი გამოჰყვა, ცხონებულმაც ასე იცოდა — როცა ხორცი ლხინობს, სული ტირისო.

ქოსები ლუკას რომ თვალს მოჰკრავდნენ, მაშინვე გასძახებდნენ:

— არიქა, ბიჭო, წითელი ღვინო და შავი ხიზილალა ჩამოდგი მაგრდაზე, ვერა ხედავ, ვაჟა მოდისო...

გადაავლებდა ლუკა თვალს სუფრას და, თუ ლოქოს მოისაკლისებდა, ხელაშვილებს ძერასავით აუფრენდა კაფიას.

— მე პურ-მარილი მეგონა, თქვენ კი დიაკვნის ტრაპეზი დაშახეღრეთო.

ცოტას მიირთმევდა, თითქოს წიწკნიდა საჭმელს. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ ხმელი, გამოქარული, მაგრამ ძელქვასავით მაგარი სხეული და განიერი მხარბეჭი მაშინვე თვალში ეცემოდა ადამიანს.

საუბრისას სიტყვას გულდაგულ სწონიდა. მანამდე იცდიდა, სანამ სათქმელს შინაარსით პირთამდე არ აავსებდა, ამიტომ ლუკასთან საუბარი მარტო იმას უჭირდა, ვისაც სიტყვა და საქმე სხვადასხვა ულელში ება.

პირდაპირი იყო, აუცდენელი. უსამართლობას ფეხდაფეხ დასდევდა და დიდსულოვნური მიტევებაც მაშინ იცოდა, როცა დაატყობდა, რომ კაცს თავის ჩაღუნვისა და მონანიების უნარი ჯერ კიდევ შერჩენოდა.

— ქუდოსანს ენა რომ გაუდედაკაცდება, ნოქარს სამანდილე ფარფალიც უნდა ჩამოაჭრევინოსო, — ხშირად იცოდა ხოლმე ამის თქმა, — რაღა ყბედი და რაღა აშვებული ძაღლის ღაღვავი, სწორს ბრძანებს ილია — სიტყვა საურველი არ არის, არც ბალღებისთვის დასარიგებელი შაქარყინულია. ეს დალოცვილი მუდამ სიმართლეს თუ არ უდგას მცველად და მსახურად, ძველი ქალამნის ფასიც არ დაეღებაო.

რამდენი წყენა, ბრაზი და უამურობა შეგყარა, ლუკავ, ეამასთანა ზნე-ხასიათმა, მაგრამ შენი უკანდახევა არავის უნახავს, მუდამ არაგვივით მიიბრძოდი, უსამართლობითა და უკაცურობით, სიცრუითა და ორპირობით ჩახერგილ წუთისოფელში.

არისტოკრატიულ სალონებში ფეხნაჩვევი დენდივით თამაშობს ვაჟა ბილიარდს. მოსეირენი გაკვირვებული შეჰყურებენ შინდისფერ-ჩოხიან, წულა-მესტებიან გლეხს, ულანთა პოლკის დარდიმანდი ოფიცერივით ხელმსუბუქად რომ ჰყრის ბურთებს ბილიარდის კალათწნულში.

ელიმება ლუკას... პეტერბურგი ახსენდება... სუსხიანი, ნაცრისფერი დღე... გარეთ სიცივე ბაზანებდა, მზე ოქტომბერშივე დაქვრივებულ მზეთუნახავს ჰგავდა და ახლა იანვარი იდგა. ქუჩებში მარხილები დაჰქროდნენ, საადმირალოს შპილები რძისფერ ეთერში გამქრალიყო და კვნესოდნენ ყინვით შეწუხებული არყის ხეები. ბეჩაო სიღარიბევ, შენა გცივა და შენა გშია, თორემ აბა გახედე, სიახამურის როგორ ქურქებში ჩათბუნებულა სიმდიდრე — ფანჯრიდან გაჰყურებს ლუკა სადიდკაცო, ზანზალაკებიან ეკიპაჟებს. დილაა, ყინულის სქელი ლიბრი გადაკვრია ნევას. აქაურები იმე არხეინად დადიან ზედ, ისე სრიალებენ, თითქოს ზამთრის საბანქეშ ზვიადი, შავად ჩაწყვდიადებული, მძიმეტალღებიანი ჩრდილოური შავწყალით სავსე ნევა არ იწვეს, რომელიც მხოლოდ პეტრემ გახედნა ველური ულაყივით და ისიც რუსეთის მომავლის სამსახურში ჩააყენა...

შეხედა ლუკამ ლოგინიდან კვნესით წამომდგარ გიორგის — სახე ნამარხულევი ბერისა აქვს, განჯინაში კი კვინწი შაქარიც აღარ არის, მარტო პურის პატარა ნატეხი გდია, ისიც გამოღრღნილი და ნათაფური...

— ერთი ფშაური ხინკალი, — ეშმაკებს აძღობს გიორგი.

— ზედაც პანტის არაყი, — თვალები უბრწყინდება ლუკას.

— მამაჩვენის, პავლეს დაკეპილი ხორცისა...

— დედაჩვენის, გულქანის, მოხვეული.

— შენ თავს გეფიცები, ლუკავ, ცხელი ჩაი წაწლის კოცნას თუ არ მერჩიოს, — ამბობს გიორგი, — აფსუს ჩვენებური ზამთარი...

— ჩაიცვი, — ხმამაღლა უთხრა ლუკამ.

— ეხლავ, ძმისავ, ეხლავე, — აფაცურდა გიორგი, — დამავიწყდა, რომ თავრილში ვართ საუზმეზე დაპატიჟებული. სად მიგყევარ, ლუკავ, ის მაინც მითხარ.

— იცის ბიჭმა...

გამოვიდნენ დიდი პირქუში სახლის დიდი ბჭისკარიდან პაველას და გულქანის ბიჭები — ორივე მზარბრტყელი. ლუკა უფრო მაღალია, ბეჭგანიერი, გიორგი კი ერთი კისრით დაბალი, ბუღასავით ჩადგმული და ძვალმსხვილი.

ულიმიან რაზიკაანთ ნაყარს წითელი თაგშლებით თავდაბურული

კუპრიხები, თვალებით ეძახიან შინისკენ ნევის პროსპექტზე გამოფანტული მეძავები.

— ნეტაი თქვენა, — იღრინება გიორგი.

— მეტი საქმე არა აქვთ, — უმოწმებს ლუკა. აქვე, ქუჩის კუთხეში, სარდაფებია. პეტერბურგელი შულერების, ყომარბაზებისა და აზარტული თამაშების მექა. ერთ დარბაზში ბილიარდებიც დგას. ცდა ლუკასი და ლოცვა ლაშარის ჯვარისა.

— მაიცა, ისეთი სუფრა გაგიშალო, სუნი ბაღდადსა სცემდეს. შენ აქ დაჯე და მიყურე.

— დგომის თავი მაინც არა მაქვს, — იცინის გიორგი, — აქ ისეთი ღვეზელი იციან ბუფეტში, პირში ტყვრება...

დადგა ლუკა, ბურთის საცემი ჯოხი აიღო, წერილი თვალით გახედა თავიდან ბოლომდე. ცარცი გაუსვ-გამოუსვა და დარბაზს ის თავისი ქორული მზერა მოავლო.

აუწურია მხრები მიმინოს და ელის, როდის გამოგოგდება კაკაბი... რაღას უყურებთ, ბატონებო, მოდით, მობრძანდით, ხომ ხედავთ, გიორგის შია, და არც ლუკას უდგას ცხელი ყაურმა...

კიბეზე ახალგაზრდა კაცი დაეშვა. კუბოკრული შარვალ-პიჯაკი აცვია. შეოფლილი თმები განიერ შუბლზე აკერია. დაღლილის გამოხედვა აქვს. ნელი ნაბიჯით მიდის ლუკასთან და თავაზიანად უკრავს თავს.

— შეიძლება?..

— ბატონი ბრძანდებით, რაზე?

— რაზეც ინებებთ.

ლუკამ ფართოდ გაიღიმა და დარდიმანდულად უპასუხა:

— ორი პარტია რესტორნის სადილზე.

ნეტავ შეგეტყო, ლუკავ, როგორ შეუწითლდა ყვრიმალები ამის გაგონებაზე იმ ქერა ბიჭს, როგორი ნერწყვი გადაყლაპა იმ საცოდავმა.

რესტორნის სადილზეო, — ლამის სკამიდან გადმოვარდა გიორგი, — არა, გაუგიჟდა ძმა, ნამდვილად გაგიჟდა ან იქნებ ოქროს თუმნიანი იპოვა და გიორგის უმალავს?..

იყავნ ნება ღვთისა... დასცხე ლუკაიკავ, დასცხე...

ებჭო იმ დილას ღმერთსა და ლუკას გამარჯვება ეთქვა.

პირველმა პარტიამ ცალი ყბა ჩამოუბნელა ჭაბუკს, მეორის გათავებისას კი ეშაფოტზე შემდგარის განწირული თვალები განზე გაბედეათ დაუშალა ძმებს, მაგრამ თავს მოერია და ბედნიერის ღიმილით თქვა:

— მომილოცავს, დიდებულად თამაშობთ, მე ახლავე ხელებს გა-

დავრჩებით და დიდ პატივად ჩავთელი თქვენთან სადილობას, ანუ წაგებულის ანაზღაურებას.

— ჩვენც, დაგვერწმუნეთ, ჩვენც, — დელიკატურად ანიშნა ლუკამ კუთხეში მომყუდრებულ გიორგიზე.

— ახლავე, ამ წუთს, — ქერა კედელს მიეფარა.

— იცის ბიჭმა, — თვალი ჩაუკრა ძმას ლუკამ. წელან თუ გიორგი ბნელი, უმთვარო და უვარსკვლავო ღამე იყო, ახლა მზით გაჩახჩახებული დღე, ბედნიერი კარნავალი და მზიარული შადრევანია.

— ყოჩაღ, ლუკაიკავ, ყოჩაღ, ეგ რა ჰქმენ, კაცო, მკლავშიმც გენაცვალოს შენი ძმა, მკლავშიმც...

სწორი უთქვამს ჩვენს წინაპარს, „ჯერ ქორწილი და მერე მაყარიო“...

გაიარა ათმა წუთმა, გაიარა ორმოცმა... სად არის ის ცით მოვლენილი მახპინძელი? ეცა ლუკა გარდერობს.

— ქერა თმები... კუბოკრული კოსტუმი... გერმანული წუღები, — მიაყარა პორტიეს.

— დიახ, წავიდნენ, ჩაიცვეს ქურქი და წავიდნენ, — არყით ჩამწვარი ხმით ამბობს ჟღალთვალებიანი, წვერგაბურდული მოხუცი.

ჰოი, მუხთალო წუთისოფელო...

ჰოი, ცბიერებავ, დაუნდობელო.

შეუნდე, ლუკავ, შეუნდე ეს შეცოდება. გცოდნოდა მაინც, რომ ის ღარიბი სტუდენტიც შენსავით ეძებდა სველ ლუკმას. გიორგისთვის ასი სადგისი რომ გეკრათ, ერთი წვეთი სისხლი არ დავარდებოდა...

მოგორდა სარდაფის პატრონი.

— ბილიარდის ფული, ბატონებო.

— არა გვაქვს. — მოკლედ მოუჭრა ლუკამ.

— როგორ?

— ისე, — დაწვრილებით აუხსნა გიორგიმ, — ფერშტეენ?

— როგორ ფერშტენ, — რუსული ჩექმები აუბაკუნა ძმებს მეპატრონემ და უცებ კუდში ხელწავლებული მაიმუნივით აჭყიულდა, — გოროდოვოი, პოლიცია, დაიჭირეთ, დააპატიმრეთ, არ გაუშვათ...

— ყაჩაღები...

— მათხოვრები...

— წყეული კავკასიელები, მოდით, დასცხეთ, სცემეთ, არ დაინდოთ. — გრიალებს დარბაზი.

— ნუ გეშინია, ლუკაიკავ!

— გამაგრდი, გიორგი!

ძმებმა ზურგი ზურგს მისცეს. გორსა და თელავში ნასწავლი კრიე პეტერბურგში უფრო გამოდგა.

კომბალივით ზუზუნებს გიორგის მუშტი. იქით კიდევ ხან ლუკას სილა გაიტკაცუნებს, ხან კიდევ მჭახე დარტყმის ხმა მიეფშვნება ხოლმე კედლებს.

რა ჰაამო სანახავი ყოფილა ანტილოპების ბროვაში გარეული ლომები.

— ლუკაიკავ, დაჰკა ამ რუსულ სამოვარს, — მეპატრონეზე ანიშნა გიორგიმ და თვითონ ერთ მოზრდილ მწითურთმიანს ჩააფრინდა, რიგორც იყო მიწას ააცილა, ჩვენებური გოგრისხელა მუშტი ჯერ თვალებთან დაუტრიალა და მერე ფერდში აძგერა. ის საცოდავი ახლა ძირს ეგდო და მოსაწველი ფურივით ზმუოდა.

— დაჰკარ, ლუკაიკავ!

— მიდი, გიორგი!

გაუგებარ ენაზე ნათქვამი ეს სიტყვები ძალას მატებს ამ ორ საოცარ ჭაბუკს.

სად იყო და სად არა, კიბეზე პოლიცმეისტერი ჩამობრწყინდა... თვალი მოავლო აქა-იქ მიყრილ ნაცემ ხალხს, კოკარდიანი ქუდი თითის აკვრით აიწია და გაკვირვებულმა თქვა.

— ეს რა ბოროდინო გაგიმართავთ, ვინ ჩხუბობს?

ლუკა და გიორგი კედელს აჰკვრიან. ძაღლებისაგან მიმწყვდეული მგლების თვალები უნთიათ და მძიმედ სუნთქავენ.

— ვინა ხართ? — ეკითხება პოლიციელი.

— ძმები, რაზიკოვები...

— ქართველები?

— ქართველები...

— ამდენი ხალხი ორმა სცემეთ?

— ორმა.

— ეს როგორ?

— როგორც ხედავთ, — განუმარტა გიორგიმ.

— აბა, ბროხებო, ადექით! — დასჭყივლა პოლიცმეისტერმა, — არ გრცხვენიათ, ორმა კაცმა ამ დღეში როგორ ჩაგყარათ.

პოლიციელმა პროტოკოლი შეადგინა. ლუკას ნამბობი წერილად ჩაწერა და განაჩენი გამოუცხადა აკენესებულ დარბაზს.

— რაზიკოვები ცამდე მართლები არიან, ის კი არა, დაზარალებულებიც გახლავან, — და ძმებს გაუღიმა.

— ყოჩაღ, ბიჭებო... ახლა კი წადით, წადით, თორემ თქვენ პეტრეპავლე არ აგცდებათ, მე კი ჩამოქვეითება.

პეტერბურგიდან დაბრუნებულ ლუკას ისევ ფშავის მთები შემოეხვივნენ გარშემო. ჩარგალშიც არაფერი შეცვლილიყო — ძველებურად ჩამოიწურა ზამთარი. მოვიდა გაზაფხული და ამოიღიღინა ნამძინარევმა მიწამ. აქა-იქ ცხვრის ტყავებივითლა ეფინა მზისგან აცრემლებული თოვლი. ღრანტეებში ნისლი ბოლავდა. ამოვიდოდა მაღლა, ამოახელდა თვალს და შეუყვებოდა მთისპირებს, მხოლოდ ცას დატოლებული მთიდან შამილის ნაიბივით გადმოჰყურებდა ზამთარი გაზაფხულით კალთააჭრელებულ ფშავს. ლილოჭრილობში პირველი ყვავილები მაშინ ამოჩნდნენ, როცა ნაზამთრი მიწა ჯერ კიდევ ბერწი ფურივით ფშვინავდა და დიდთოვლობით დაელმებული მზე უხალისოდ გადაგორდებოდა ხოლმე აფხუშის თავზე...

აბა, ამ დროს ლუკას შინ რა გააჩერებდა. ის თავისი ქალაქური ტანსაცმელი კიდობანს მიუყარა, ფშავური მოკლე ჩოხა გადაიცვა, მხრებზე დუმით ნაპოხი ტყაპუჭი მოიგდო და გაზაფხულს გზაში დახვდა.

როგორ მოენატრა ეს ხალიჩასავით ნაქსოვი ფერდობები, ხანჯლებივით ამოწვდილი ჭიუხები და ეს ღრუბლებიც კი, სვავებივით რომ სხედან მთის თხემზე...

იქ, ჩრდილოეთში, მზეს მოკლე წამწამები და ვიწრო მზერა აქვს, თითქოს ტყვიისფერი ცით დაღლილი იშვიათად გაიხსნის შუბლს, რომ მაღლიდან გადმოხედოს ცივ ზღვებსა და გაუთავებელ ტრამალებს.

ლუკამ ის ორი პეტერბურგული წელიწადი ორი ჭიქა არაყივით ზედიზედ გადაჰკრა და ახლა აქ არის, თავისი სულის ნამდვილ სადგომში. აბა, ვის ეტყვის, მაგრამ დარწმუნდა, რომ ფშავის პურ-წყალით გაზრდილი სხვაგან თვალით შეიძლება ცოდნას იმკიდეს, მაგრამ სული მაინც ამ გოროზ მთებს დასტრიალებს, აქაურ სალოცავებს უდგამს საკურთხსა და სავედრებელს.

იქაც მისწვდა მიწის ყივილი.

ახლაც ისე შესცქერის ცაში აყუდებულ კლდეებს, როგორც აქამდე უნახავს საკვირველებას. იქნებ ამ უკანდაბრუნებაში განგების ხელი ურევია, იქნებ ლუკამ უნდა წაუკითხოს კაცობრიობას ვარსკვლავიანი ცა, ყვავილ-ბალახით ნაწერი ველ-მინდორი, განა ტყუილად ჩასჩურჩულებს ყურში კვალდაკვალ ადევნებული სტრიქონი?

„მწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო
უსაკოთა და უსულთ შორის...“

რა ენაა ეს, რა ბგერა ხმისა, ან განა ეს მთები მარტო მთებია და არა ფიქრობენ, არა სცხოვრობენ, ერთმანეთს არც სიხარულზე მიუვლენ და არც მწუხარებაზე? მაშ, ასე უტყვად ჰყუდიან მიწა-ლოდით სავსენი, უგრძნობნი, უგონონი? მაშ, რად დაიფენენ ხოლმე მუხლზე ასე მედიდურად ცის ლურჯ კალთას, ღმერთთან ასე ახლოს რატომ არიან, თუ დაბლა ქვეყნიერებისა არც ცრემლი ეკითხვით, არც ბედნიერება?

გზა დაბლა ჩაქანდა და მერელა შეუყვა გაბმული ღვიით სავსე აღმართს. ლუკას აქ უყვარს ჯდომა. მთელი ფშავი აქ მომდგარა თავისი სახვეწარ-სალოცავით, საძოვრითა და სახნავ-სათესით. გადაივლის მზე საშუღლოდ ალესილი ხევსურებივით წამოშლილ მწვერვალებს, მთა-ბარს დაეპკურება ვარსკვლავების შუქი და მიიძინებს მთების კალთაზე თავმოდებული ჩარგალი. მთვარე კი რის მთვარეა, რომ არ დაიგვიანოს... მერე კი, იცოცხლე, ამაყად ჩამოუვლის აკანკალებულ ვარსკვლავებს და, გორის ფხაზე შემომჯდარი, ბზეს მოაპნევს მიჩუმათებულ ნაფუზრებში, უფსკრულებში ჩაჰკიდებს იმ თავის ცივ მზერას.

ახლა კი დღეა და მზე ისე სჩხვერავს ნაფუზრებს, როგორც მყვირალობის ხარ-ირემი აპრილის სუნთქვით გაფუებულ მიწას.

დაილოცე, სიცოცხლევ, დაილოცე, თვალი რომ ჩამიდგი და ვხედავ, გული რომ ამიძგერე და ვგრძნობ, გონება რომ მომეც და ვფიქრობ. შენაც დაილოცე, სიკვდილო, შავფერო და ცივშუბლიანო, ყველა იცი, ვინ სადა ვართ, სად სიკეთე კელაპტარივით გვინთია და სად ცოდვა შავი მატყლივით გვიგროვია. მოხვალ და წაგვიყვან. შენ რომ არა, ისე ტკბილი არ იქნებოდა ეს მათრახის ტარივით მოკლე წუთისოფელი.

იქვე, ამაღლებულზე, მიწიდან ამომძვრალი ლოდი ეყუდა, ლუკა ჩამოჯდა და ახლა ხევსურეთის აღმართებისკენ წაუვიდა მზერა.

საოცარი მხარეა აქეთური საქართველო. მერედა რა სიბრძნე უგროვებია საუკუნეთა მანძილზე. ტირილისასაც მიწას ჩამღერის. ლოცვაა და ისიც ლექსს უგავს. ისე უბრალოდ უწერია ის თავისი ზეპირი ფილოსოფია, როგორც ტაბაკი უთლია და სახნისი უკვერავს. ოღონდ ეგ არის, ყველაფერი ლექსად უდედებია. ამიტომ უმღერის ხმა ფშაველს, სიტყვაც იმიტომ მიუგავს ლარს ასხლეტილ ისარს.

ლუკა ლაშარის ყმა არის, ამიტომ მისი ლექსების ენასაც ცალი ყბა ფშაველისა აქვს — სწორედ ეს არის მიზეზი, რომ მისი ნაწერები ზოგიერთს თურმე თვალს უმღვრევს და ყურს ულანძღავს. რატომ, ძმისავ, რატომ? განა ამ ბეჩავი ფშაური წისქვილების ნათქვამიდან

ქართული პური არ ცხვება, განა ჩვენც ერთი ცური არა ვართ იმ საავსე ჯიქნისა, აქამდე უკვდავება რომ გვაწოვინა?

უჭირს საქართველოს, უჭირს...

ბევრს ინტელიგენტად მოაქვს თავი, ერისწყლით კი ტუჩები არ გაუსველებია. ქართულად დედას ვერ მოეფერება, მტერს ვერ შეუყიკლებს და კვასივით მოიყუდებს ხოლმე რუსულს.

დიახ, ბატონებო, ერის ზედაშე საერთო ქართული ენაა, საერთო ბუდიდან წამოფრენილი ღვთიური ფრინველი.

!

* * *

ოთარაშენი ქართლში რიყის კენჭმაც კი იცოდა. ოთარ ამილახვრის მამულებს სიგრძე-სიგანედ ლამის ნახევარი მაზრა ჰქონდა. ბაღ-ვენახიანი თავადი ბევრი აღარ ჰყავდა საქართველოს და იმ ცოტაში ოთარს სახელიც დიდი ჰქონდა, შეძლებაც. სოფლის თავში ედგა ძველებური ქვითკირით ნაშენები, ქვისპერანგიანი სახლი. იქვე გვერდით, მაღალ კოშკში, წარსული ცხოვრობდა. მუხის ლავგარდანებზე ობობას ქსელი ეკიდა, სათოფურეებში კი მტრედები ღუღუნებდნენ. მუმლი ირეოდა კოშკის თავისკენ აპარულ გვირაბში.

თვითონ თავადს ხომ ამილახვრობა ზედ ეხატა — სულ უცინოდა თითქოს მზეში ამოვლებული წაბლისფერი თმა, მსუბუქად დაჰქონდა წელისკენ ჩასხეპილი მხარბეჭი, გაიღიმებდა — მზე იყო, მოიწყენდა — მთვარე. ჯერ კიდევ მამაპაპეულ ხმალს უნთებდა სანთლებს და ძილის წინაც „ყარამანიანი“ ედო სასთუმალთან.

ასეთი იყო ამილახვართა გვარმოდგმის ნაშიერი.

აქა-იქ კეთილ კაცს ეძახდნენ, მაგრამ ეს კი იყო, სადმე ლამაზ ქალს თუ დაიგულებდა, სულს ეშმაკს მიჰყიდდა, იმ კეთილშობილებასაც ზედ მიუწონიდა, სანამ იმის სილამაზეს უკვდავების წყალივით არ დაეწაფებოდა.

მაგრამ ამ წვიმასა და წყალდიდობას ისევ გვალვა შესცვლიდა ხოლმე — მეორე დღეს ის უბედური ამილახვარს ჩაიზე გაკვნეტილი შაქარივით ავიწყდებოდა. ვერა და ვერ მოიშალა ხორცის ასეთი წუწკობა.

ერთ ბედნიერ დღესაც ნებიერიძის ქალისათვის დაუდგამს თვალი. ჯერ თურმე შორიდან დაუნთო ის თავის მომხიბლავი ღიმილი, მერელა წამოუქროლა მიმინომ ამილახვრიანთ ფართო ეზო-ყურეში მოგოგმანე კაკაბს.

აბა, რა გაუვიდოდა ყმა-ქალს ზვავივით წამოსულ ბატონთან? სამთავისსაც რომ დაეწყევლა, ამილახვარი მაინც თავისას იზამდა.

ასე მოევლინა ქვეყანას კეკე, რომელიც შემდეგში ვაჟას ცხოვრების წიგნში გამზმარი იასავით უნდა ჩატოვოს უღელტეხილივით მრუდე წუთისოფელმა.

კეკე მოიზარდა თუ არა, მოახლედ მიუგდეს ქალბატონს. აქ კიდევ გლეხური სახელი თავშალივით გამოუცვალეს და კელაპტარივით ჩამოსხმული „ეკატერინე" დაარქვეს.

დილით კეკეს ქალბატონი ჯერ ფარშევანგივით უნდა მოერთო, მისი სადგომი დაელაგებინა, ხალიჩა-ფარდაგები დაეწმინდა. აბრეშუმის განიერი მუთაქები დაეფუვებინა, მერე სხვა საშოახლო საქმეები ეკეთებინა, სანამ მზე სადღაც იკორთის შემაღლებულისკენ არ ჩაიწურებოდა.

მაინც სულ სიკეთე ეწერა სახეზე, სულ სიწმინდეს ეძებდა იმდენი უწმინდურებით სავსე ცხოვრებაში.

ტანმორჩილი იყო, სანდომიანი. წყლიანი თვალები მაინც ადამიანის სიყვარულით ჰქონდა სავსე.

უკვე თექვსმეტი წლის იყო. და, რახან ბავშვობას გაექცა, წყაროს მიდგმული სურასავით ივსებოდა, უმწიფდა თითქოს გაბუტული, ალისფერი ტუჩები. ჩვიდმეტისა ხომ უფრო გაივსო და ხართუთასავით ჩატკბა. ცისფერ თვალებში ქალობის ისეთი მადლი ედგა, იმისი ერთი შემოხედვა მშიერს დააპურებდა. სულ მზიანი შუბლი დაჰქონდა, რა სამკაული არ ინატრებდა იმ ნატიფად მოყვანილ, წნორის ფოთოლივით პატარა ყურებს, ლამაზად აღერილ ყელს. ხან მხრებზე აწვიმდა ოქროცურვილი თმა, ხან ორი მსხვილი ნაწნავი სცემდა ლერწმის წელზე.

ბევრ იქაურ ვაჟკაცს წაართვა ძილი ამილახვრიანთ კეკემ, ბევრმა კარგი ოჯახის შვილმა დასცვითა ქალამნები ოთარაანთ კარისკენ მიმავალ გზაზე; მაგრამ კეკე იასავით თავჩაღუნული იდგა ხოლმე, როცა ქალბატონი ურისხდებოდა.

— მაშ, რა გინდა, გოგო, ხელში ხომ არ უნდა ჩაგვაბერდე, კაბის წესი არ იცი? რაღა გაუთხოვარი ქალი ღა რაღა ულოცავი ხატი

ჩუმად არის კეკე, სანამ ქარ-ბუქი გადაივლის და ქალბატონი ჩაცხრება. ან თავშლის ბოლოს წიწკნის, ან ჩუსტების ჭვინტებს ჩასცქერის. მერე კი უფრო ცდილობს, სამი-ოთხი ხელისას აკეთებს — მართლა არ ადგნენ და სააღდგომო ბატკანივით არ გამატანონ ვინმეს, ისეც გამწარებული ცხოვრება უფრო არ გამიმწარონო.

მიდის დრო...

შავ ღამეს თეთრი დღე სცვლის და ერთხელაც ოთარ ამილახვარს ვიღაც ახალგაზრდა კაცი ეწვია.

თავადმა გრძელი სუფრა გაშალა, ყანწები დატრიალდა, ჭირვეუ-

ლი ჭინჭილები ჩამწკრივდა. გარეთ უკვე კამეჩივით წევს ბინდი. მოქეიფეებმა არწივივით წამოაფრინეს ძრავალჟამიერი, როცა კეკეს ქალბატონმა უხმო.

პირველად მაშინ ნახა ეკატერინემ ის ზემოსოფლელი მასწავლებელი. იმისი სიმდიდრე წიგნების სავსე სკივრი, „დედა ენა“ და იაკობ გოგებაშვილის სურათი იყო, რომელიც ხატივით ესვენა კამოდის თავზე. თვითონ მთელი დღე საქმეს არის გამოკერებული. ფარღალალა ოთახში სიცივე სრუტუნებს, ღუმელს მიფიცხებული შეგირდები გაფართოებული თვალებით უსმენენ მასწავლებელს, გარეთ კი თეთრი ზამთარი იფიფქება.

აქაური მამასახლისი არც ურემზე ფ-ქრობს და არც შეშაზე. გლეხს რომ სწავლით შუბლი გაუთბება, მერე აღარც ხელმწიფე უნდა, აღარც ნაცვალი და აღარც დიამბეგი. გლეხი მიწისაა... ეს უჩიტელი კი დიდი ხანია წამწამქვეშ უზის — ბუნტისთავები სულ ასეთი გამხდრები და წვერიანები არიან. გინდა ასეთი შემოგიშვია სოფელში და გინდა თივაში ცეცხლი დაგიმალავს. ამიტომ იმისათვის არც შეშა აქვს და არც ნავთი, არც ქაღალდი და კალამ-კარანდაში, იქნებ ან გაჭირვებამ აუკრას გუდა-ნაბადი, ან გულგატეხილობამ... არც საჩივარს დააკლებს, ჩამოვლენ, შეამოწმებენ და შარს რა უნდა, რატომ სამოთხი ბალღი უზის და მეტი არა, დათვის ტყავი რატომ არ ღრიალებს.

კეკეს გული შეუვარდა უჩიტელზე. ამიტომ, როცა ქალბატონთან უხმეს, გული ლამის მკერდიდან ამოუფრინდა. იგრძნო, ეს დაძახება უამბოდ არ იყო, არც იმ მასწავლებლის თბილი მზერა დავიწყნია.

— უჩიტელი გთხოულობს, — მძიმედ თქვა კნეინამ და ყურთბალიშს მიესვენა, — მართალია, ღარიბია, მაგრამ დიდი სწავლისა და გონების ყოფილა, ბატონისათვის შენი თავი უთხოვნია.

ხანმოკლე გამოდგა კეკეს ბედნიერება. ერთხელაც უჩიტელი შინ ჩვეულებრივზე ადრე მოვიდა. სახეზე ცეცხლი ეკიდა. იმ დღიდან რომ ჩაწვა ლოგინში, აღარ ამდგარა. გაბმული ხველა მკერდს უნგრევდა, ერე ვარდისფერიც ამოახველა და კეკეს უკვე მაშინ გაუშავდა თავშალი. სიკვდილის წინაც გულზე ედო ეკატერინეს აცახცახებული პატარა ხელი

ასე დაღამდა ის ნათელი დღე.

რაღა უნდა ექნა. ერთხელ კიდევ შეავლო თვალი ცრემლით სველ საფლავს, ორიოდე კაბა ბოხჩაში გამოიკრა და ქვრივი ისევ ამილახვრიანთ მიადგა.

თავსგადახდილმა კიდევ უფრო ღვთისნიერი, უენო და კეთილი გახადა, სულ იმის ცდაში იყო, ვისთვის რა ეამებინა. წელამდე იდგა საქ-

ბეში. ქალბატონი ხომ სხვის გამოწვდილს არც წყალს დალევდა და არც პურს შეჭამდა, ძილისწინაც ფსალმუნი ეკატერინეს უნდა წაეკითხა.

ასე მიბორწიკობდა მისი წუთისოფელი, როცა ლუკამ შეიტყო რომ ოთარაშენში შინა მასწავლებლის ადგილი გამოჩენილიყო. ოთარ ამილახვარს ერთი ოჩანი, ცეცხლივით თავნება ბიჭი ჰყავდა. მუდამ ჩანჩქერივით ქუხდა და თუმცა საულვაშეზე უკვე ღინღლი ეყარა, წიგნის დანახვაზე თვალები უბნელდებოდა. სამაგიეროდ, ცხენ-იარაღი ყველაფერს ერჩიენა. ნადირობას ხომ მთელ ამილახვართ საგვარეულოს ანაცვლებდა.

რა უნდა ექნა ლუკას... სამსახური ვერსად იშოვა. ყველგან ცივი „არა" დაახვედრეს და ღრუბელს ხომ ვერ გადაახტებოდა. ამიტომ ერთ დღეს საქალაქო ტანისამოსი ჩაიცვა. ფშავს თავი დაუკრა და გორისკენ მიმავალ ხმაურიან დილიჟანს გაჰყვა. მცხეთამდე ყეფითა და ჟივილით მიაცილა არაგვმა. მეორე დღეს უკვე ამილახვრიანთ კარზე იყო.

ბატონი გულთბილად შეხვდა...

— მაშ თქვენ ბრძანდებით ლუკა რაზიკაშვილი.

— დიახ, ბატონო, მე გახლავართ.

ოთარმა გრძელტარიანი ჩიბუხი გამართა და ერთხელ კიდევ დაკვირვებით შეათვალიერა მხარკვერიანი ჭაბუკი.

— მსმენია თქვენს შესახებ, კალამიც ნიჭიერი გაქვთ, ისიც გავიგე, რომ პეტერბურღიდან დიდი ხანი არ არის დაბრუნებულხართ. სხვა რა არის ახალი სატახტოში?

— რა უნდა იყოს, ბატონო, წუთისოფელი იქაც ცალი თვალით ტირის და ცალით იცინის, — ფშაურად მოიქნია ლუკამ. მდიდარნი იქაც მდიდრობენ, ღარიბები ღარიბობენ.

— ხალხოსანი ყოფილხართ...

— ეგ სიყმაწვილის სენი, კარგა ხანია, მოვიხადე, — გაიღიმა ლუკამ და გამოწვდილ პაპიროსს გადასწვდა.

— დიდი მოჩხუბარიც ყოფილხართ, — ჩაიცინა თავადმა, — მთას რომ შემოუქნიოს, ფეხზე არ გააჩერებსო, ასე მითხრეს.

— კრივისა, აბა რა გითხრათ და ქართული ჭიდაობაში კი ვარგივართ.

— აი, ჩემი გიორგიც ასეთია. დათვის ბელივით ყველას ებღლარძუნება. იქნებ მიშველოთ და წიგნი შეაყვაროთ. ასე ხომ არ მეყოლება უკითხავ-უსწავლელი, ისე კი კეთილი ბიჭია, ალბათ შეეგუებით ერთმანეთს.

— ვეცდები, ბატონო, ვეცდები, — დაჰპირდა ლუკა, — თუ ერთხელ ეგემრიელა, შერე ფიქრი აღარაფრისაა.

— ღმერთმა გისმინოთ, — ცას ახედა ამილახვარმა, — თუ იმ ქარიშხალს ქარად მაინც მიქცევთ, ამაზეც მადლობელი დაგრჩებით.

მოეწონა ლუკას თავადი. ოთარაშენიც დიდებული ყოფილა, ფშავის ბატის ჭუკებივით მიჭუჭკულ სოფლებს კი არა ჰგავს.

ქალბატონი კი ბარე მეათედ ეკითხება ბატონს:

— რაღა ეგ ფშაველი, ქა, რაღა ეგა...

— ეგ ფშაველი, ჩემო კარგო, ქართული მწერლობის უფლისწულია და ხვალ მეფე იქნება, — ასე უბრძანებია ილიას, — საჩეენებელი თითი მაღლა შემართა თავადმა.

ლუკა აივანზე დგას და დაცემულ ვაკეს გაჰყურებს. მაღალი მზე დასცქერის ქვეყნიერებას, ირგვლივ ყველაფერი ჰყვავის და გაზაფხული ლამის ოთახში შამოვარდეს. დილით ადრე გაიღვიძა. გრძელფეხა წვიმამ გაირბინა ლუკას სარკმელთან და ზემოთ სანახირე მიწებისკენ წავიდა. მერე უფრო გალამაზდა ამინდი. ზესკნელი კამკამებდა, მარტო ეს იყო. ცისიერსა და ულევარში მზის მანდილივით ირხეოდა რძისფერი ნისლი.

საიდანღაც ტოროლა წამოფრინდა, კულზე შემდგარი ზემოთ აიჭრა და მიწის ლოცვა მიუტანა ცას.

შორს, დიდ თაქვეზე სანთელივით ენთო დღის შუქით გასპეტაკებული სამთავისი.

ღმერთი თუ მართლა სადმეა, ახლა უნდა გამოჩნდეს, ცის ამ კრიალა სარკეში.

დილა ჯერ კიდევ თვალებს იფშვნეტდა, მაგრამ უკვე კარგა ხანია, გაელვიძა აბილახვრიანთ სახლ-კარს. ფართო ეზოში მოურავი ავი ნაგაზივით ტრიალებს — ზოგს შეუღრენს, ზოგს შეუყეფს, უფრო ზარმაცს კი თვალით აწვება ზურგზე, რომ სანამ ბატონები აბრძანდებიან, ყველაფერი დამში მოიყვანოს და ჩაშლილი ძნასავით შეკრას.

მოურავს ვირთაგვას ტუჩ-პირი და მსუნაგი ულვაშები უჩანდა. დახე, როგორი ეზერა გააყოლა იმ ბერწი ფურივით ჩავლილ ქვრივსა. მერე, რა ყინჩად დგას თუშური ქუდის ქვეშ, თითქოს წუთისოფლის ბატონი ეგ იყოს, — ლუკამ გაიღიმა, ქალაქს ნაყიდი პაპიროსი გააბოლა და ახლა გზაზე, სახაბაზოსთან გნოლ-კაკბებივით გამოშლილი ქალებისკენ გაექცა მზერა. გრილი, გლეხური თავშლები ახურავთ, ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიან და აივანზე გადმომდგარი უცხოსაკენ ათას უცხო კითხვას გზავნიან. ნეტავ ეს ჟღალი მიმინო აქ საიდან მოფრინდა. არიქათ, გოგოებო, არიქათ, აბა ვინ შეაბამს ეჟვანსა. საყვარლად იცინიან და ერთმანეთს მხრებით ეხლებიან. ქარტო ის

ერთი დგას უხმოდ. ჩითის კაბაში ისე უჭირავს მძივივით ასხმული ტანი, თვალს ვერ მოაცილებ. სახეზე სცემს სევდის არილი და დათრთვილული ვარდივით ჩანს თეთრად შეფეთქილი ნუშისა და ალუბლის ხილნარში. ფშავის ახოებში ამოსული იასავით ნაზია, ყვავილივით გაუბედავი, ფიქრივით ჩუმი. ვისი ხარ, ქალავ, აქ საიდან გამომიჩნდი. მზის ნამი ხარ, თუ ცას აწყვეტილი ვარსკვლავი, ცოდვილს მიწაზე ადამიანის სახით მოსული, რომ ნახო, როგორი მრუდე ნაბიჯით დავდივართ წუთისოფელში, როგორ ვძღებით და ვმუშაობთ, როგორ გავუგდებთ ხოლმე ყელში ცელსა და ნამგალს მინდვრის ბალახს, როგორ ვღვრით ცოდვილნი ხის უხილავ სისხლს, სანამ მიწა არ ჩაგვითრევს თავის მოუსავლეთში.

ასე მეორედ შეუქანდა გული ლუკას. ერთხელ მაშინ, როცა მოლოდინიანთ სალომეს ყურის ძირში სველი ფოთოლივით აკრული კოცნა გაატანა ხევსგალმა, მეორედ კი — ახლა. თუ ბედის ნათქვამი არ არის, მაშ ეს თბილი ჟრუანტელი რამ შეუყენა ტანში, ამ პატარა ქალმა ასე უკითხავად როგორ შემოუნთო გარშემო ცეცხლი?

ბორგავდა ლუკა...

თამბაქოს ბოლში ისე იყო გახვეული, როგორც ბორბალოს მთა ნისლში, როცა კარებში ჯერ ზღარბივით შემოძვრა დიდი ხნის დაუელარცხნელი თაიე, მერე მისმა პატრონმაც შესცინა იმ თავისი გამურული ღიმილით.

— ბატონებმა საუზმეზე გეეახლოსო, — შეჰგალობა ლუკას და ნახშირიანი ხელი ხალათზე შეისუფთავა.

— შენ ვინ იქნები, ძმობილო? — ჰკითხა ლუკამ.

— განა არა მხედავ, ვინცა ვარ? — ყურიდან ყურამდე იღიმება ბიჭი, — ხაბაზსა ვშველი, სათონეზე ვდგევარ, მა სად ვიქნები...

— მაშ სათონეზე, ჰა...

— მაშა, კარგი ლავაში თუ არ გამომივიდა, ვაი ჩემს დღესა... გადმოდგება ქალბატონი და მოურავიც, რაღა თქმა უნდა, ყურებით ამწევს.

— მერე შენა? — უკვირს ლუკას.

— რა მენა?

— ეგ ხელები მარტო თონის გასახურებლად ხომ არ მოგცა ღმერთმა, ადექ და ისეთი გააწან, ოთარაშენი მეჯვრისხევად მოეჩვენოს.

— ეჰ! — ჩაიქნია ხელი ბიჭმა, — სათონეზე ვგდივარ. ხაბაზსა ვშველი-მეთქი, წელან არ გითხარ? მერე მოწირპლული თვალები გაუსწორა და იმისი მზერა ბუზივით ხან შუბლზე აზის ლუკას, ხან ცხვირზე, ხან ხელ-ფეხზე.

— შენზე ამბობენ, უჩიტელიაო, მართალია?

— ეგრეა...

— ერთი ურემი მარტო წიგნი მოიყოლაო, ეგეცა?

— მანდ კი შეჭამანდში ცოტა ბევრი მარილი მოსვლიათ, — გულიანად გაიცინა ლუკას.

— აბა რა ვიცი, ეგრე კი თქვეს და... — თითქოს ეწყინა ბიჭს იმედის გაცრუება.

— ერთი ზანდუკი კი მართლა ჩამოვიყოლე. ისე, თუ გინდა, შენი ხათრით ცოტას კიდევ დავამატებ...

— ვის უნდა ასწავლო წიგნი?

— ბატონიშვილს.

— გიორგისა?

— იმას... რაო, გაგიკვირდა?

— აბა რა ვიცი, ეს ჩვენი ლიახვი სულ დაბლა მიდის და, რომ მითხრა, ალმა შემობრუნდებაო, არ გამიკვირდება?

— რალაცას მიმალავ, ძმობილო, — მხარზე ხელი დაჰკრა ლუკამ.

— მე რა მაბადია, შენ რა დაგიმალო, — გლეხური ეშმაკობა შეაგება ბიჭმა, — ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

კიდევ რალაცის თქმა უნდოდა, მაგრამ დაბლიდან ვიღაცამ შემოუკივლა:

— ბიჭო, თედო, აკი გითხრეს, უჩიტელს ბატონებთან უხმეო...

— მოურავი, — ყურზე ხელი წაიკრა ბიჭმა და მოჩვენებასავით გაქრა.

— სად დაიკარგე, შე ძაღლის სალაფავო, შენა.

მოურავი იყო. ბიჭი მართლა ცალი ყურით ეჭირა და ის საცოდავი ფეხის წვერითღა იდგა მიწაზე.

ალბათ მეტსაც იზამდა, აივანზე გამოსული უჩიტელის ალესილ მზერას ხელიდან რომ არ გაეგდებინებინა.

ნირწამხდარი მოურავი ქვემოთკენ წაჭუკდა, თან ფეხზე ხელს ისვამდა და უკვირდა, რომ ფშაველის თვალებით დახანჯლულს არც სისხლი სდიოდა, არც სადმე ჭრილობას დაეღო პირი.

— ეს რა მიყო, კაცო, ეს რა მიყო, უჩიტელიო, ერთი ვინმე მეგონა, უწყლო და უპურო, იმან კი დახე, რა დღეში ჩამაგდო.

ამ დროს კი ლუკა დინჯად ადის ქვის განიერ კიბეზე. ამილახვარს სტუმარს რა დაულევს — მაგიდას ბატონებთან ერთად ახლაც უზის ჩინოვნიკის ქურთუკში ჩამხვრჩალი კაცი და ის ვიღაც ხუცესი, რომელიც შორიდან ასაფრენად გამზადებულ ყორანსა ჰგავს. თითბრის ჯვარზე გაკრული მაცხოვარი თითქოს გაკვირვებით აჰყურებს ხუცესის გუდა-ლელვივით დაბერილ ლოყებსა და ნაიარევ სახეს. ქალამნის ჭვინტივით პატარა ცხვირი და ვაცის წვერები კიდევ უფრო გაქსუე-

ბულ იერს მისცემდა, ფათალოსაით გარიერი, მხიარული ყურები რომ არა.

ამილახვარი სუფრის თავში ჩამჯდარა. ქალბატონი კი გაბუტული ქედანივით ზის და შემოსულ უჩიტელს თავის მაღლა აწევით ხვდება.

— მობრძანდით! — მიაგება ამიღლახვარმა.

— ჩვენ გიორგის უნდა წიგნი ასწაელოს, — სტუმრებს მიუბრუნდა კნეინა, — ლუკა რაზიკოვი გახლავთ.

— ფშაველი? — გაიკვირვა ხუცესმა.

— დიახ, — მიაგება ლუკამ, — ფშაველი.

— ცოტა ურჩი ყმაწვილი გვყავ გიორგი, — შესჩივლა კნეინამ, — წიგნსა და კარანდაშს ჯირითი და ჭიდაობა ურჩევნია, კიდეე კარგი გოგოებზე ჯერ თვალი არ მიუდის, — და საყვედურით გადახედა ჭამაში გართულ ამილახვარს, — ეგება თქვენ რამე უშველოთ და ამ გასაჭირიდან ამოგვიყვანოთ.

— ვეცდები, ქალბატონო, — დაჰპირდა ლუკა, — განა ისეთი რა ბედაურია, გახედნა არ შეიძლებოდეს.

— ამილახვარი, ჭაბუკო, ქართველმა მეფეებმა ვერ გახედნეს, — ამოიგრიალა ხუცესმა.

ლუკას გული გარეთ ეწეოდა. იქნებ დილით ნანახი მშვენიერება-სათვის თვალი კიდეე სადმე მოეკრა. ან ეს გიორგი ისეთი რა ეშმაკის ფრჩხილია, ახლოს ვერ მიუდგეს.

ბოდიში მოიხადა, მასპინძელს თავი მდაბლად დაუკრა და წამოდგა.

— ნება მიბოძეთ...

— წადი, შვილო, წადი, — გათბა კნეინა, — აქაურობას თვალი მოაელე, შეეგუე.

გარეთ კიდეე უფრო მოდიდებულიყო დღის ნათელი. ნარინჯისფერი ედოთ გაღმა გაშლილ ხოდაბუნებს. ჰაერი ოდნავ შემღვრეულიყო და გორის მხარეს უკვე დამცხრალი დაფიონი წელანდებურად აღარ ვარვარებდა. ახლა ფშაველი ღეთის თვალი ტრიალებს — კლდიდან გადმოიხედავს ჩანჩქერი, თოვლი შეიძვრის და ნაფუზარიდან ყოჩივარდნები ამოიხედავენ. ალბათ ახლა ნისლი იჩეჩება ჭიუხებზე, საქონლის ზმუილი ეძახის გაზაფხულს და ისიც ჩქარობს, რომ ზამთარს წინდები დახადოს, ნამძინარევი მთები გააღვიძოს, ცელი და ნამგალი მოპიროს.

რა საყვარლად კარგია ამ დროს ფშავი. ლუკა კი აქ არის, აქეთურ საქართველოში ლუკმა-პურისთვის გადმოვარდნილი.

ნელი ნაბიჯით მიჰყვება კარგა გრძელზე გაწელილ ხეივანს. ალბათ, მისმა ქორულმა მზერამ დააფრთხო დილას ნანახი ხოხობი.

„იას ვუთხარი ლამაზსა“...

რატომ აეკვიატა ეს სტრიქონი, ან ეს მოუსვენარი ბორგვა რას ნიშნავს?

ვილაცის კივილმა უკან გაახედა. ამილახვრიანთ მეჯინიბეს თავლიდან თეთრი ულაყი გამოეყვანა. ისეთი იყო ის დალოცვილი, ზურგზე მარტო წმინდა გიორგის თუ შეისვამდა. ყალყზე დგებოდა, ჰაერს კბეჩდა და თითქოს გაფრენას ლამობდა. ეტყობა, გაზაფხულის სუნთქვამ დასცადა. შეშინებული მეჯინიბე განზე ედგა ამ აზაფრებულ ოეთრ მორევს, მაგრამ ბატონიშვილს ებრძანებინა შემიკაზმეო და ახლა იმის ცდაში იყო, ცეცხლისთვის შარვალ-ხალათი როგორ ჩაეცვა.

აი, ის შავჩოხიანი ყმაწვილი კი გიორგი უნდა იყოს.

თურმე დედ-მამას ვარსკვლავიით უზით ცაზე და, ალბათ, ამან უფრო აუშვა ისეც თავკვერა ამილახვარი.

აქაიაბაში ულაყი წინა ტორებით ცას შესწვდა, მაღალი ნახტომით აღვირი წაართვა მეჯინიბეს და ეზოში გაიჭრა.

ქალების წიოკი ყვირილსა და ზათქში აირია.

— არიქათ, უშველეთ. დაიჭირეთ.

ლუკამ თვალი შეასწრო, გიორგის ორივე ხელით ეჭირა აღვირი, ცხენს ცალ-გვერდად ეკრა და ულაყი სანახევროდ მიწაზე მიათრევდა.

— ყოჩაღ, ბიჭო, ვაჟი ყოფილხარ! — გულში შეაქო ლუკამ და თვალი შეასწრო, რომ თეთრი ელდა ახლა ხეივნისკენ მიაქანებდა ამილახვარს.

ვერავინ დაინახა, ლუკა ბედაურის გვერდით როგორ გაჩნდა. გონს მაშინღა მოვიდნენ, როცა უკვე ველის მგელივით ეკიდა ცხენის კისერს. ულაყი ახლა ღრმად და დაღლილად ფრუტუნებდა.

ფერწასული გიორგი ჩამქრალი კელაპტარივით იდგა ლუკას წინ.

იღიმებიან და იმ ორის მზერა ერთმანეთზე დაკრული ხანჯლებივით ნაპერწკლიანია.

— ვინა ხარ? — ეკითხება ამილახვარი.

— ლუკა ვარ, რაზიკოვი.

— უჩიტელი?

— დიახ.

— მითხრეს, მასწავლებელს უნდა მიგცეთო, მაგრამ მე უფრო ხვანაირი მეგონე.

— მაინც როგორი?

— აბა, რა ვიცი...

ერთხელ კიდევ შეჰღიმა ამილახვარმა და ბედაურს მოახტა.

უჩიტელმა ბატონიშვილი გადაარჩინა, სასახლის კუთხე-კუნჭულს ცოდო ეს ახალი ამბავი.

ბატონებმა მადლობით აავსეს ლუკა. მარტო მოურავი იდგა ბნელი თვალ-წარბით და თავს ღერღეტივით ასავსავებდა.

— აქ არ ვიყავ, თორემა... იმასაც ვნახავდი, ის ვერანა როგორ გამექცეოდა...

— ეგ არ იყო, შიშით რომ შარვალი გაებერა, — იცინოდნენ მოახლეები. — საჯინიბოში შემოვარდა და წეღანდელ ამბავს ფანჯრიდან უყურებდა? მაგრამ აბა, პირში ვინ რას გაუბედავდა, ამიტომ, ვინც აბლო ედგა, ყველამ ერთხმად დაუმოწმა.

— მაშა, თედო, მაშა...

ლუკამ თვალი შეასწრო, მისი თვალის სიხარული შორიახლოს გამოსინათლდა. წყლიანი თუნგი მხარზე შეედგა და თვალებიც მზით ჰქონდა სავსე. აღარ სჩანდა დილანდელივით დაღონებული, თითქოს თავისთვის ჩაიღიმა კიდეც და ლუკას მკერდზე მიაღვარა ის თავისი თბილი მზერა.

დღე ძალაში შედიოდა...

ბრწყინავდა, ელავდა მტკვარში ჩათლილი ვერცხლი...

ერთი თევა, რაც ლუკა ამილახვრიანთაა, ერთი თევა, ქვას ხარშავს და კლლეს ასკდება. ოღონდ გიორგის წერა-კითხვას ნუ ეტყვი და გინდა უკედავების წყალზე გაგზავნე.

არა და არ იქნა მიმინოს მოთვინიერება...

იმ თავის ამილახვრობას ხანჯალივით მოუქნევს ხოლმე გიორგი გაბრაზებულ ლუკას, გარეთ გავარდება და საღამომდე უჩინ-მაჩინის ქუდით დადის, ხან კიდევ სასაცილოდ ებღლარძუნება უჩიტელს, სანამ ლუკა მწიფე პანტასავით არ დაბერტყავს, ან კიდევ განიერად დაგებულ სარშას არ წამოჰკრავს ფეხს ახალგაზრდა ამილახვარი.

ამიტომ წყალკურთხევამდე მხოლოდ რამდენიმე რუსული სიტყვა პელმენივით გადააყლაპა ლუკამ, „ვეფხისტყაოსანიც" ბოლო სტრიქონამდე ჩაუკითხა, მაგრამ გიორგის თვალი მაინც სულ გარეთ ეჭირა, ან კიდევ ზარმაცად ამოქნარებდა.

— აბა, ასე რა ვამოგვეია, — ხელებს შლიდა ლუკა, — ასეთ გვალვაში რა მოსავალი უნდა მოგვეიდეს.

— ლუკავ, უთხარი თავი დამანებონ და ჩემ კვიცს გაჩუქებ, — ეხვეწებოდა გიორგი, — თავი ხომ არ უნდა მომაკლევინონ.

ერთხელაც გიორგიმ ძალიან აიშვა, გადატეხილი კალამი ოსტატს ესროლა, განივრად მოქნეული წიგნიც კედელს შეანარცხა, თან ისეთი ცხრაფუთიანი გინება მიაყოლა, უჩიტელს ყურები შეუწითლდა.

გაცვეთილა ამილახვართა ცისფერი სისხლი, ესეც დუქნებში ჩაზარჯავს საამილახვროს და გვარიშვილობას.

ერთხელაც გიორგი რაღაცაზე ამრეზილი მიუვიდა უჩიტელს. გაკეთილი ხომ არ ესწავლა და თვალებითაც ისე უტიფრად ჩმეტდა ეზოში ჩავლილ მოახლე გოგოებს, ლუკას ხელის გული მოექავა. მასწავლებლის შეკითხვებზე ზაქივით ზმუოდა და ტუჩებზეც დამცინავი ღიმილის არშია ჰქონდა მოელებული.

დიდ დარბაზში იყენენ მარტონი, კედელზე გაკრულ სპარსულ ხალიჩაზე ძველებური, სპილოს ძვლით გაწყობილი სიათა და ხმალ-ხანჯალი ეკიდა. გიორგი ხშირად მიხტომია ამ შიშველი ლეკურით თავლასთან ჩადგმულ თივის ბულულებს, ერთხელ ლუკასაც თამაშით გაუწვადა ციცი ფოლადი, მაგრამ ოსტატმა ისე მსუბუქად მიჭუჭკა კუთხეში, თითქოს წკეპლით ხბო გაეგდო წინ.

ვერ დაივიწყა ის წყენა გიორგიმ. იმის შემდეგ უჩიტელის დანახვაზე კუპრი უდუღდა თვალებში. ოსტატის ლაპარაკი არც ახლა ჩაიყენა ყურში. მაგიდასთან ყრუ-მუნჯი იჯდა და ლუკასაც გაუწყდა ფოთინება — ისეთი ბრტყელი სილა გააკრა ამილახვარს ლოყაზე, ჰაერი შეშინდა...

გიორგი ჯერ გაოგნდა, მერე ცეცხლივით შეხტა და თოფს ეცა, მაგრამ ლუკამ ეს მუქარა აინუნშიც არ ჩააგდო.

— რა ვუთხრა, დროებასა, რომ ამილახვარს ვილაც ფშაველი სცემს, — ქუხდა გიორგი...

კეკეს იშვიათად ხედავს ლუკა. ეს გოგო ქალბატონმა ლამის კაბაზე მიიკეროს. იმ ბედნიერ დღესაც შემთხვევით ნახა. მხრებზე შალი წამოისხა და სადღაც მიიჩქაროდა, როცა ფშაველის მზერა დაეწია.

— დაიცა, გოგოვ, — უხმოდ ჩურჩულებს ლუკა, — ეს ერთი სიტყვა მათქმევინე, მერე ან მომკალ, ან მაცოცხლე...

გიორგის გაწვრთნა ისე არ იქნება, როგორც მგლის სარქლობა. ისევ ისა სჯობია, ლუკა ფშაეში დაბრუნდეს და კვერივით ათრიოს თავისი წუთისოფელი, შინამასწავლებლობა მისი ხელობა არ არის, მთებს უნდა ეძმოს, მათ მკერდზე მიდოს თავი, იმათ გულის ძგერას უსმინოს, თორემ აქ ლექსი უჭკნება, სისხლი უცივდება და საკუთარ თავს ხელისცეცებით ეძებს.

წავა, სხვასავით იშრომებს, მისი ოფლიც ჩამოღარაას მთისპირებზე აკრულ ნაფუძრებს. საქონელს მოუვლის და წინაპართა ნაადგილარზე კეკესთან ერთად მუხასავით დარგავს იმ თავის ბედნიერებას. მაგრამ, ვინ იცის, იქნება კეკე მისთვის არ გაუჩენია განგებას? ფშაველის ცხოვრებაც რა არის? დილიდან საღამომდე თითისტარივით თუ არ იბზრიალა, ოჯახს ისე ვერ აუვა. ასე გალევს ხოლმე წლიდან წლამდე პანტის ჩირივით ასხმულ დღეებს. კეკე კი სასახლეშია გაზ-

რდილი, ცალი ფერდითაც ამილახვარია და ვინ იცის, ლუკას სიყვარული ახლოსაც არ მიიკაროს. არა, ხვალვე გააგებინებს თავის გულისნადებს, მერე კი ბატონებს გაუგზავნის თხოვნას — ან ნებით გაატანონ, ან ძალით წაიყვანს. და მერე ვნახოთ, ვინ იქნება ისეთი, მის ჭექა-ქუხილს დაბლა გაუჩერდეს...

ამიტომ მეორე დღესვე დაიხელთა ქალბატონის მოახლე — მეჯვრისხველი ნინო, წინ ფარდაგივით გაეფინა და სთხოვა:

— კეკესთან მიმეგზავნე, დობილო, უთხარ ლუკას ცოლად უნდიხართქო, შენი სიყვარულის გვალვით ხმება-თქო და „ჰოს" მოიტან თუ „არას", ეს საკაბე მაინც შენი იქნება, — ლუკამ გორში ნაყიდი ისეთი ქიშმირი დაუდო წინ ნინოს, საცოდავი გოგო, ალბათ, მარტო სიზმარში თუ ნახავდა.

— მაშ მიხვალ? — გულისკანკალით ეკითხება ლუკა.

— ეგ რაღა იყო, — საკაბეს უღიმის ნინო, — განა ისე კი უარს გეტყოდი?

— მაშ აქ გიცდი და, აბა შენ იცი.

— უი, ქა, ჩვენს ენაზე ვეტყვი, ქალურად და უარს რატომ გამოაძახანს, შენ არ იცი, კეკე როგორი გულისაა, ისეთებს ვეტყვი, ისეთებს, რო ჰა...

— ეგრე, ეგრე და თავს შემოგევლება ლუკაი... — ქართლურად მოუქცია უჩიტელმა...

— მე უფრო სხვა მაფიქრებს...

— ჰო?

— ქალბატონმა რო არ მისცეს ნება?

— მარტო კეკეს ვუნდოდე და...

— ღმერთმა ხელი მოგიმართოთ...

ის ლამაზი დღე არასოდეს დაავიწყდება ლუკას — კეკეს თანხმობამ ბედის ისეთი ვარსკვლავი აუგორა ცაზე, იმაზე ბედნიერი კაცი დუნიაზე არცა ყოფილა, არც არის.

ქალბატონი კი მართლა შემოდგომის ღრუბელივით გაქსუვდა.

— ვითამ სხვა ვერ ნახა, რომ იმას დაადგა თვალი, კეკე ჩვენი საბლისაა, ხელშინაური, ფშაში რა უნდა აკეთოს, იმიტომ ხომ არ გაგეიზრდია, იქ გამოიღამოს წუთისოფელი.

— დავუძახოთ გოგოსა და, თუ გადავარდნაა, თვითონ გადავარდეს კლდეზე, ჩვენ კი ხელები დაგვიბანია, — ხელისგულები ერთმანეთს შიაფშვნა კნეინამ.

გამოიყვანეს კეკე, უხმო, თავჩაღუნული, ხომ ასეთი ცივი ნიავი უბერავს, ის კი მაინც სათნოდ ანთია ხატის კარზე მიკრული სანთლივით.

— გთხოულობენ, გოგო, და რა ვუთხრათ, — ლუკას გადახედა კნეინამ, — ერთხელ გამობრუნებული ჭერქვეშ შეგიფარეთ, აქეთ აღარ წამოგესვლება, — ცივად უმზერს კეკეს კნეინას ჩიხტიკოპზე მონებივრე ალმასი.

ოთარი კი, გრძელ ბოლთას სცემს განიერ აივანზე. მხოლოდ ხანდახან ისვრის აქეთკენ თბილ მზერას. ღმერთის წინაშე ვერ შესცოდავს, მოსწონს ლუკა. ამის ხელში მაინც იყოს კეკე ბედნიერი, ბოლოს და ბოლოს მისი სისხლიც ჩუხჩუხებს ამ გოგოს ძარღვებში.

ჰოი... ისევ ეს ჩვენი ძველი და წამწამადახრილი „ქალვაჟიანი"... ფუტკარივით ფუსფუსებს ლუკას მკერდზე კეკეს ჩუმი მზერა, მზის სხივები ჩაუწნავს წაბლისფერ ნაწნავებში. თვალებშიც მზე უცურავს, და ამ მთრთოლვარე დუმილში, ამ განაბვაში ჰკივის მდედრის ძველთაძველი გენი.

— სადაც კლდე, იქაც წყარო, — წაიყვანე, მაგრამ მზითვად ნახევარი საამილახვრო არ მომთხოვო, — ულვაშები აიგრიხა ოთარმა.

— მე ეს სიმდიდრეც მეყოფა. — კეკეს გადახედა ლუკამ.

მეორე დღეს ბარგი შეკრეს, ცხენები იქირავეს და წასვლა კვირისთვის დათქვეს. ლუკას წერილი უკვე მტრედივით მიუფრინდებოდა პავლეს, — ცოლი შევირთე და, აბა, თქვენ იცით, მცხეთის თავს თუ ჩვენებური ფშაური მაყრიონით დამხვდებითო.

ბედნიერი იყო ლუკა. თავქვეშ ხელებამოწყობილი იწვა და ფიქრებს ელაპარაკებოდა. ამინდი კი უცებ შეიცვალა, მეხის გრიალი აზანზარებდა ამილახვრის სასახლეს. მთელი ღამე ხარხარებდნენ ღრუბლები ელვით განათებულ ცაზე.

მართლაც, თავისი სახელის საკადრისი ქორწილის თადარიგი დაეჭირა პავლეს.

მცხეთასთან მაყარი იცდიდა. ლაშარის თორმეტი ყმა წმინდა გიორგის მხედრებს ჰგავდნენ შორიდან. დარაბტული ბედაურები ბორგავდნენ არაგვის ხივილზე. ტორებს სცემდნენ მიწას და აღვირებს ხრავდნენ.

ნეფე-დედოფალს პირველი ბაჩანა შეეგება. ისეთი ბზრიალით წამოვიდა, კეკეს გული მაღლა ამოუქანდა. ხან მუცელზე ეკრა ცხენს, ხან ფერდებზე. ხანაც ცალგვერდად იჯდა უნაგირზე და ქარისაგან გატაცებულ თეთრ ყაბალახს მოაფრიალებდა.

— მშვიდობა შენს მოსვლას, რძალო, — მკერდზე ჯვარივით გაიკრა მკლავები, — ბომილოცავს, ძმაო, — გადაჰკოცნა ლუკა და კეკეს ყვავილ-ბალახით დაწნული გვირგვინი გაუწოდა.

შუბლი დაუკოცნეს კეკეს ფშაის მთა-ველის ყვავილებმა...

დაიძრა მაყრიონი. გადათქერეს დაბლა ჩამოგორებული ბექობი, შუბებსავით სტყორცნეს მზერა ანანურის ციხეს და პირველად მაშინ მოისმინა კეკემ, როგორ ჰყივიან მთის არწივები.

აქლემივით წამოდგა უღელტეხილი.

— ამას გადავივილით და ფშავიც დაგვენახება, — გადაულაპარაკა ლუკამ, — მოგწონს აქაურობა?

— ჩემი დასაწუნი რა აქვს, ლუკავ!

კეკე გაკვირვებით შეჰყურებს არაგვის გალმა-გამოღმა ციცაბოებზე აბღატებულ სოფლებს. ღმერთო და სამთავისის ძალო, სადღა არა ჰყავს წუთისოფელს ადამიანი. აგე, წამოუბოლა ნისლმა და აღარც კედლის თავზე ცერივით ამართული კოშკი ჩანს, აღარც სანახევროდ მიწაში შემძვრალი, ბანიანი სახლები.

ამ ფიქრში იყო, როცა წყაროსთან გამართულ პატარა დუქანს წაადგნენ.

გაქონილ ტაბლას რამდენიმე ფშაველი უზის. სასმელით აჭრელებული თვალებით დასცქერიან ხინკლის ჭიპებს და ღვინის ქარი ხან იქით გაიქნევთ, ხან აქეთ შეაწყვეტს ერთმანეთს.

მაყრიონიც გამოჩნდა. ლუკას იორღა თავაღერილი მოდის ქვიანზე და ნაპერწკლებს მოაპნევს. გვერდით თაფლა ცხენი უყენია. პატარძალი გვერდულად ზის რბილ უნაგირზე, სიძის ქურანი ზოგჯერ წინ გაიჭრება და მაშინ ლუკბექივით ერთი ნაბდის გაშლაზე ეფარება ხოლმე კეკეს. ცის ლურჯ მორევში გედებივით დაცურავენ პატარა, გასაპენტად გაშლილი მატყლივით თეთრი ღრუბლები.

მაყრიონი ხან წრედ შემოერტყმება ახალდაქორწინებულებს, შემოუმღერებს, შეეხუმრება და ისევ შორი-ახლო აედევნება.

ბაჩანას გარმონივით გაწელილი სიცილით ხომ ორივე ყური სავსე აქვს ლუკას.

— მოდიან. — მიიტანეს ხმა დუქანში.

მზე და მთვარე, აბა, ერთად სად ენახათ და ყველა გზაზე გამოლაგდა.

წელანდელ მოქეიფეებში მალაროელი ქურსიკო გიჟაშვილიც ზის, სახეზე ჟიპიტაურის თეთრი ალი სცემს, სკამზე ბორგავს, აშლილ მხარ-ბეჭს ეელარ ილაგებს და ვერც რაიმე საშუელოს ეძებს.

სწორედ ამ დროს შემოუგდეს ღია კარიდან:

— მოდიან, რაზიკაანთ ლუკას ცოლი-ოთ მოჰყავს...

— წავიდეთ, — აიზლაზნა ქურსიკო, — კაფია მიეუბოლოთ უჩიტელს, — და ხელით ხანჯლის ვადა მობლუჯა.

ამასობაში ლუკამაც მოაგდო ცხენი, ჩამოხდა და კეკეც მსუბუქად ჩამოსვა ძირს.

— ლაშარის ჯვარი გწყალობდეთ, ფშაველნო!..

— თქვენიანად, თქვენიანად! — გაისმა არეული ხმები.

მარტო ქურსიკო იდგა ქამარში თითებგარჭობილი. მერე წინ წამოქანდა, პილწი მზერა ლუკას შუბლზე მიაჭყლიტა და ნეხვის კელასავით აზზუელდა.

აბა კაფია ლუკას რად ეწყინებოდა, მაგრამ ვაჟს ის გაუკვირდა, ამდენ უწმაწურებას კაცის ყელი როგორ იტევდა. ამიტომ ისეთი განიერი სილა აჭამა გიჟაშვილს, გაფიცხებულ ხელისგულს ლამის ყბაც თან აჰყვა.

— დამიდეგ, შენი — დასჭყივლა ქურციკომ და იმავე წამს ლუკასაკენ ასპიტმა გაისისინა. თვითონ ხანჯალი არ ერტყა. მაგრამ გიჟაშვილი მაინც სახატე მოზვერივით გაიგდო წინ. ახლა სხვებმა იკრეს ხმლებზე ხელი.

— მაშ ეგრე, დიაცებო! — დასჭყივლა ლუკამ, — ვიღაცას ქარქაშიდან ხანჯალი ამოსტაცა და მახვილის პირი მოშუღარს უწვდინა.

ქურციკოს ყურის ნათალი ლუკას ფეხებთან გდია, გაავებულ ვეფხვს კი უდაბნოს ალმური ასდის და ახლოს მისვლა ვერავის გაუბედავს.

მერე ის იყო მაყრებიც მოცვივდნენ და დანარჩენებიც აღდგომის კვერცხებივით დაღებეს.

მერელა მოაგონდათ ვერხვის ფოთოლივით აცახცახებული კეკე. ლუკასაც ვიღაცის მაგრად მოქნეული მუშტი ახლაც აჯდა სახეზე. მარტო ბაჩანას უცინის თვალები.

— ყოჩაღ, ძმაო, კარგად უქნივე, — შეაქებს ლუკას, ჩოხის ჩამოხეულ კალთას აიკრეფს, ცხენს მოახტება და მთებს შესძახებს.

— ქორწილია, ქორწილი!

მერე მთის პირის ვიწრო გზას მუცლით გააკრა ქურანი. პავლეს დროზე უნდა აუვიდეს, რა თადარიგი ქნა, სად ქვაბი თუხთუხებს და სად ღვინის რუმბი გდია.

მოდიან... მოჰყავთ დედალი ხოხობი...

* * *

დაიწყო ლუკასთვის ქანცგამომცლელი, მძიმე ცხოვრება. ხარივით უბია წუთისოფელს უღელში და იშედის სხივი ჩალის ღერივითაც კი არსად გდია. ჩამოსცქერიან მთები მაღლიდან. მის სიღარიბეს, დღიური ლუკმისთვის წვალებას. უფრო ის აწუხებს, რომ საწერად ველარ მოუცლია, კალამი გაუშრა. ზოგჯერ ნავთი არ არის, ისიც კი არა

აქვს. მაგიდაზე ფიჩხის სინათლეს გაიფენს და, როცა ჯალაბი ძილს მიეცემა, მაშინ მაინც გაუღებს კარს გარეთ ატუზულ მუზას.

მძიმე ყოფილხარ გლეხის წუთისოფელო, სულ აღმართზე გივლია, სულ მთას მიაგორებ და არ განიკითხავ მრუდსა და მართალს. ერთნი ოქროთი იბანენ ხელებს, მეორენი შიმშილით წივიან. თუმცა დღედაღამ მიწას ჩასცქერიან. მაშ, ვინა სვამს მათ ოფლსა, ვინ უვარდებათ ჯამში ამ საცოდავებს? — ვინა და მდიდრის ხელეჩოთი გაჩორკნილი უსამართლობა, რუსის კანონი, პრისტავი, ნაჩალნიკი, დიამბეგი, მუდამ პირღია თავადი და გაუმაძღარი ვაჭარი.

რაც ოჯახს არჩენს, ყველაფერი ლუკას მკლავებს უნდა ესხას, ხელისგულზე უნდა ეფინოს.

ებრალება კეკე, ნაზია, სულ იასავით თავჩახრილი, უფრო მსუბუქისათვის გაჩენილი. ლუკამ კი რა მისცა, რით გაახარა. გეტყვი და ტანზე აბრეშუმი უცინის, ხამის კაბა-პერანგი აცვია, გულ-მკერდზე ლუკას დედისეული შიბი უწკრიალებს. ხმაშიც ფშავური კილო ჩაწნა და აქაურ ყოფას ისე სწრაფად შეეგუა, თითქოს თვითონაც ამ წყალ-ჭალის შვილი ყოფილიყოს.

რაღაც გუმანით ხვდება კეკე, რომ ლუკა სანახევროდ სხვაგან არის. მაშ, ხანდახან ასე რატომ გაირინდება, თითქოს თვალღია რაღაც სიზმრებსა ხედავდეს, რას ჰბუტბუტებს ხოლმე გუთანზე ჩახრილი, წელან კიდევ ფიქრების ისეთ აბლაბუდაში გაბმულიყო, ისე უკვესავდა თვალები, კეკემ კაბის კალთაზე ჩაისვა ხელი — ტანზე ცეცხლი ხომ არ წამეკიდაო...

— ლუკავ, ჰაი, ლუკავ!...

— ხო, — შეირხა ლუკა.

— ისე მომეჩვენა, თითქოს რაღაც მითხარ, სად იყავ, ლუკავ, სადა? — ჩაეკითხა კეკე, — შემეშინდა, ეს ჩემი კაცი ხატმა თუ არ წამართვა-მეთქი.

— ჩემნაირი ღარიბი არც ხატს უნდა, — ეწარედ ჩაჰკრა დაბლა თავი ლუკამ, — გამფცქვნი, ხახვი ვარ, დამნაყავ — ნიორი.

— სიმდიდრეს რაღა თავში ვიხლი, შენა მყავდე კარგად და მეტს არას ვიტყვი.

— ოღონდ ორნი როცა ვართ, ნუღა გამექცევი ხოლმე.

— გიყურე, გიყურე და ლელა ბაჩლელი დამიდგა თვალწინა. აბა უყურე, — ფანდურს გადაწედა ლუკა.

„ქალი ჰგავ სამოთხის ყვავილს,
ნარწყავსა უკვდავებითა,
ხორცშესხმულ სიყვარულსა ჰგავს,
აუწყველს ეწყავებით...“

— აი, თურმე ვისზე ფიქრობ ხოლმე, — გაიკვირვა კეკემ, — აბა სად ეგა და სად მე...

— თათრებმა ასჩეხეს ლელა-ქალი ბახტრიონის ციხეში, — შუბლი შეეშლერა ლუკას, — კვირია და ლელაი...

— უბედური, უბედური...

— უბედური რათა, ბედნიერი, — ფეხზე წამოხტა ლუკა. — უბედურნი ჩვენა ვართ, რომ საკუთარს ჯიბეებში ვცხოვრობთ. მამული კი წამწამის ღერადაც არ გვეღირს. ცხვრებივით დაპარსულები საცოდავად რომ შევბღავით ჩვენს წარსულს. ადამიანის ძვალ-ხორცი მიწისაა, მთავარი სულია, ის არ უნდა დაუმძიმდეს კაცსა ლეშნაჭამი სვავივით, თორემ დანარჩენი რა ბედენაა...

კეკე ზის, შესცქერის აზვავებულ ქმარს და ისევ თავისას ფიქრობს.

— სამთავისის მადლო და ძალო, ფშავის სალოცავ-სახვეწარო, შენ მიეც სიცოცხლე ჩემს ლუკას. სხვა ნიშატისაა, სხვა შუბლისა, მხარზე ტყუილად კი არ აზის მთვარე.

მართლაც მხარკვერიანი დაბადებულა ლუკა.

კეკე თავს ევლებოდა ქმარს. გულითაც ისეთი იყო, სიკვდილსაც უნდა შეჰბრალებოდა, მაგრამ ვერც მისი სიცოცხლით გაიხარა ლუკამ — ძეობას გადაჰყვა და რაზიკაანთ კარზეც ყორანი ჩამოჯდა.

მოვიდოდა ხოლმე ზამთარი, ჩუმი თოვლი დაფარავდა ირგვლივ ყველაფერს, ბარის გზებს ნამქერები წაშლიდნენ და ფშაურ ოჯახს ამ დროს თუ სამყოფი პურეული თუ სხვა სურსათი არა აქვს, შიმშილი სახლში შეუვარდება და გარეთ აღარ გამოვა. ამიტომ დეკემბერი მოდგა თუ არა, ლუკამ სამზადისი დაიჭირა.

— ყვარელში ჩავალ, მართასთან, კარგა ხანია, არ მინახავს. თვალს გადავავლებ და მალევე ამოვბრუნდები.

კეკეს თვალები ჩაუწყლიანდა.

— იას რომ ნამი დასცვივა, იმასა ჰგავს ეგ შენი ცრემლები, თათარში ხომ არ მივდივარ, კახეთს ჩავალ-მეთქი.

— გული რაღაცას მითქვამს ლუკა, — მხარზე მიადო თავი კეკემ, — თანაც აგე, როგორიღა ვარ. მეშინია...

მართლაც ბოლო თვეში გადამდგარის შუცელი დაჰქონდა კეკეს და ახლა წასვლა ჭკუისა არ იყო, მაგრამ რა ქნას ლუკამ, ცოლ-შვილი რით გამოკვებოს, კარზე ვის მიადგეს. არ ეტყვიან? ჯალაბი თუ გყვანან, იმის შენახვაც უნდა იცოდეო. წავა, კახეთი მდიდარია. მეროჭიკე ბერივით ჩამოივლის მოკეთეებს, რომ მზის მობრუნებამდე ხმიადი ცაინც ჰქონდეთ. თანაც ამ დროს ოჩხის ჩადგმა იციან კახეთში და კეკეს დურუჯის თევზიც ეამება.

მეორე დღეს ლუკამ შინდის კერკი ჩაიყარა ხურჯინში, პანტის არყით სავსე ჩარექიც ჩაიდგა, კეკეს ალერსიანი მზერა დაუტოვა და თავქეზე დაეშვა.

გალმიდან კიდევ გამოხედა ბექობზე გადამდგარ ქალს, ნიავი უფრიალებდა კეკეს ლეჩაქის ბოლოებს, მსუბუქად იდგა მიწაზე და ისე ჰგავდა ცაში გასაფრენად გამზადებულ ანგელოზს, ლუკას გული შეუქანდა. რატომ ჩაეფინა სულში რალაც სევდა, რატომ მოჰყვება თან კეკეს თვალების უხმო ძახილი?!

მაგრამ ფშავის გრძელ ზამთარს რით დახვდეს. აბირებული ცოლშვილი რით დააპუროს, შიმშილი რით გააბრუნოს უკან?!

მიდის, წინ იმედის აჩქარებული გეერდით ადევნებული არაგვი მიუყვება ვიწრო ბილიკებით ჩალმა მიმავალ მგზავრს.

ძნელი ყოფილა გლეხის წუთისოფელი, ძნელი... ბეჩაობით გასავლევი და გასალევი.

*

ლუკა სანდროსთანაც კი არ მისულა, ისე მიადგა „ივერიის" რედაქციას. ნელა აუყვა კიბის ძველ საფეხურებს.

— ო... ვაჟას ვახლავარ, — თავისებური ქოთქოთითა და ღიმილით შემოეგება ოთახიდან გამოსული გიგა ყიფშიძე, — სადა ხარ, კაცო, სად დაგეკარგე, ამდენ ხანს რომ აქეთ თვალი არ გამაახილე, ყელი ხომ არ გაგიშრა, ლუკაჯ, სიმღერა ხომ არ გაგიფრინდა. აგე, ილიაც წუხდა, — წავიდა და აღარ გვეჩვენაო. ის მაინც მითხარ, როგორა ხარ ჯალაბით, საქონ-საპოხით?

— არა მიჭირს, — მწარედ ჩაიღიმა ლუკამ, — ვყავარ სიღარიბეს.

— შენ თუ ღარიბი ხარ, მდიდარი ვილაა? — გაიკვირვა გიგამ, — მაშ, ვის კალამს სცვივა მარგალიტი, ის მაინც მითხარი. თუმცა ამაზე მერე, ეხლა ილიასთან შედი, ეგ ხურჯინი მიართვი და გაახარე.

— როგორ ბრძანდება? — რედაქტორის კაბინეტისკენ გაიხედა ლუკამ.

— არის... იმ ლომივითა, ტურები რომ შესწკავიან, ამ ბოლო ხანს, შენც იცი, ძალიან დაუშინეს, ის კი ავიწყდებათ ამ საცოდავებს, რომ ოლიმპო ღმერთებისაა.

— ეგრე, ეგრე, — დაუმოწმა ლუკამ, — ქართველი ისე როგორ დაიხრება, თვისტომის დასაკრავად ქვას არ დასწვდეს.

ლუკამ ნელა შეაღო კარი.

ილია მაგიდას უჯდა, მოღლილი ჩანდა, რალაც ცუდი სათეთრე

მისჭკნობოდა სახეზე, შუბლი შეეჭმუხნა და თვალგაყოლებით წერდა რაღაცას.

— ვაჟა... — ფეხზე წამოდგა ლუკას დანახვისას, — უპირო კაცი ვარ, ჩემო ლუკავ, უპირო, როდისა ვთქვი, ძველებმა კალამი გვერდზე უნდა გადავდოთ, გზა ვაჟას უნდა დავუთმოთ-მეთქი, მაგრამ აგე, მაინც ჩემსას ვიქმ, — სანახევროდ გავსებულ ფურცელს დახედა ილიამ.

არ მოეწონა ლუკას რედაქტორის ციცი, ოფლით დანამული ხელიც.

„კარგად ვერ არის", გაიფიქრა თავისთვის, ღმერთო და ლაშარის ჯვარო, შენ გამოულიე, თუ რამ სატკივარი ჰქონდეს.

— აბა, მთებმა რა გამოგატანეს, ილია რით გაახარეო, — მოკითხვის შემდეგ ხურჯინს დაადგა თვალი ჭავჭავაძემ.

— არის რალაც... თუ მოგეწონებათ...

— შენი კალმიდან ჩამოლვრილი მელნის წვეთიც კი უნდა შეინახოს ქართულმა მწერლობამ, ჩემო ლუკავ, მაგრამ ამეებზე მერე ვილაპარაკოთ, ახლა კი უფრო ახლო მოიწიე, რომ მტრისა და ავის ყურმა არაფერი გაიგოს, — კედელზე აკრულ იმპერატორის სურათს გახედა ილიამ, — ხომ ხედავ, თვალი ისედაც აქეთ უჭირავს.

ვაჟა სმენად იქცა. ეჭვი არ იყო, ილია რაღაც დიდ საიდუმლოს ანდობდა, რომელიც ლუკას გულის ყველაზე შორეულ კუნჭულში უნდა გადაემალა.

— კახეთი ხომ კარგად იცი? — თვალებში ჩახედა ილიამ.

— და იქა მყავ გათხოვილი, ყვარელს. — ხმამაღლა უპასუხა ვაჟამ.

— ვიცი და იმიტომ შეგეკითხე, მაშ შირაქიც გაგეგება...

— როგორ არა, მშრალი მიწებია, მთის ხალხს იქ საქონელი უჯდგას ზამთარში, საძოვრადა აქვთ.

— გცოდნია, მაგრამ ეხლა ისიც გაიგონე, რომ ხვალ-ზეგ შეიძლება რუსის მთავრობამ ეგ ველი საპარტიანკე ნაჭრებივით გაჭრას და „ატსტავკაში" გასულ ჯარისკაცებს ჩამოურიგოს.

— ეგ როგორ იქნება? — წამოიწია ლუკამ.

— იქნება, ჩემო კეთილო, იქნება, — დინჯად გააგრძელა ილიამ, იქნება, თუ ხელი არ გამოვიღეთ, რუსის თმოგვი და ბირთვისი სალდათის ჩექმაა, მერე ფეხს ველარ მოაცვლევინებ. მერე შიდა გუბერნიებიდან აყრილ ხალხსაც მოგვაყენებენ კარზე დედა-წულით და მთელ შირაქს აავსებინებენ.

ვაჟას ხანჯლის ტარი ჩაებღუჯა. მზერა კედლისთვის მიერჭო და ისე უსმენდა ჭავჭავაძეს, — მაშ, საქართველო საჯდომი ცხენი ყოფილა, რომ ვისაც უნდა, ზედ მოახტეს... თავი მოაბრუნა, იმპერატორის სურათი თვალებით დაცხრილა და ისევ სმენად იქცა.

ნისლებივით ეხვევნენ ფიქრები.

ილია მძიმე ბოლთას სცემდა კაბინეტში, მერე თითებში გაჩრილ, ყუამდე დასულ პაპიროსს გაკვირვებით დააცქერდა და საფერფლეში ჩასრისა.

„კიდევ კარგი ცას ვერა სწვდებიან, თორო იმასაც თავზე ჩამოგვეფხრეწდნენ, ფიქრობს ლუკა, მაგათთვის ჩვენი სიმღერა კრუხივით კაკანებს, ჩვენი ენა ჭოფაკივით იყეფება და ჩვენი მთებიც აქლემებივით უნდათ დააჩოქონ, საყელოდან ძვრებიან, რომ თავზე ფურთხის წვიმა დაგვდიოდეს“.

ილია ახლა საკარძელში იჯდა. ჰალსტუხი მოებოშა და სარკმლის იქით გამოჩენილ, გაზაფხულით სავსე ბექებს გასცქეროდა. ფუტკარივით შეჰბზუოდა რაღაც ფიქრი, მერე თითქოს ძილ-ბურანიდან გამოერკვა, სათუთუნედან პაპიროსის ახალი ღერო აიღო და, წამომდგარმა, ვაჟას მხარზე ხელი დაადო.

— იჯექი, იჯექი, — უთხრა ვაჟას, — მოკლედ, ჩემო ლუკავ, ეს საპალნე შენ უნდა აიკიდო, მთები მარტო შენ გიჯერებენ და შირაქიც შენს კაცობაზე იყოს.

— მე რა შემიძლია, — გაიკვირვა ვაჟამ, — ჩოხის კალთაში ხომ არ გამოვიხვევ იმ მიწებს, ძალა იმათ ხელშია, კანონი და სალდათი.

— უნდა დავასწროთ,— შუბლი შეიკრა ილიამ, — მთიელებს უნდა დავაჭერინოთ შირაქი, ფესვი გავაშვებინოთ და მერე ენახოთ, ხომ იცი, ჭინჭარი ღობის იქით იცდის ხოლმე. მერე რა საყანე სავარგულებია, რა სავენახე ნაფუძრები. ის ნოყიერი მიწა, ის მდიდარი მზე, ჩვენებური გლეხის მუყაითობა და ეგება, მოსავალი აღარსად ეტეოდეს, ხომ იცი, როგორი ფეხმძიმობა იცის კახეთში შემოდგომამ.

ილიას სახე გაუთბო ღიმილმა. ღრმა ნაფაზი დაჰკრა და ლუკას თვალებში ჩააცქერდა. სხვა გზა მოჭრილი გვაქვს, ჩემო ლუკავ, გვინდა არ გვინდა, ეს მთა უნდა გადავაგოროთ, ამ მძიმე უღელში კამეჩებივით უნდა შევებათ.

— აქამდე შირაქი თუშებს უჭირავთ საძოვრებად. ზამთარში იქ უყენიათ ფარები, ვაიგებენ თუ არა, ამ საქმეს კომბლებს დაუშენენ, ჩერე ცხვარ-ბატკნით მდიდრები არიან, კანონს იყიდიან და მთიულებს არ მიუშვებენ.

— ბაგაზეც ვიფიქრე, — ხელისგულები ერთმანეთს მიასრისა ილიამ, — ოავში რომ საკუთარი ხელი არ გვცემდეს, რაღა გვიჭირდა, ბაგრამ შირაქის პატრონი საქართველოა და თუშთაც ეს უნდა იცოდნენ.

— აბა, რა ვიცი, დღემდე სანთელივით კი აკრავ ზეზვას სახელი

პატრიონის ციხე-ნაშალს და რა ღმერთი გაუწყრებათ, — ჩაფიქრებით თქვა ლუკამ.

— ჰოდა ეგრე, იმედიანი სიტყვა სულის პურია, — გაბალისდა ილია — შენ კი, ბერო მინდიავ, მგლის მუხლი და კოჭი ჩაიდგი, ცალი ფეხით შირაქში იყავ ხოლმე, ცალით ჩარგალს, ახლა კი ახლოს მოიწი და შენი მიმინოები ამოსხი, — თვალი ბურჯინს დაადგა ილიამ.

ვაჟამ ქაღალდების დასტა დადო მაგიდაზე, მერე ღაზლის ძაფით შეკრული გრაგნილი ამოაყოლა. ჯერ კიდევ ჰაერში დასწვდა ამ ფშაურ ნობათს ილიას მზერა.

— პოემაა, ივანე კოტორაშვილის ამბავი, — დაასწრო ლუკამ, — დღემდე ამბობს ხალხი იმის გმირობას. საკვირველი ჯანისა ყოფილა, იმის შემდეგ წუთისოფელს ისეთი ვაჟკაცი არა ჰყოლიაო.

— ქართველის სული ისევ მთაში დულს, ჩემო ლუკავ, იქ ქართულ ენასაც სხვა ტუჩ-კბილი აქვს, სიტყვა არ უბერდება, ამიტომ შენი ნაწერების ერთი სიმდიდრე ისიც არის, რომ ამ სალაროს ინახავ, სხვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, თუმცა კი, აგე, აკაკის არ მოსწონს შენი ფშაური კილო...— ჩაიღიმა ჭავჭავაძემ.

— ფშაში ემაგ კილოზე ლაპარაკობენ ყვავილ-ბალახი, მთა-ლოდი თუ წყარო-ჩანჩქერი, მე კი ყველა ამათ ყმადა ვყევარ და სხვანაირად სიტყვერა ყელიდან ვერ ამომეტევა.

— ვიცი... ვიცი. — ჩააკერა ილიამ, — ისე მეუბნები, თითქოს არც შენი მოთხრობები მეკითხოს, არც წერილები.

— აბა, შენ იცი, — დააწია ილიამ უკვე რედაქტორის კარებიდან გახსულ ლუკას.

* * *

დროს რა გააჩერებს — აგვისტომ ალაზანში დაიბრჩო თავი და ღვინობისთვე ჩამოდგა.

არც ლუკამ იცის მოსვენება და არც ნიკორმა. ხან ფშავის დაღმართებს ჩაეკიდება, ხან შირაქის ველზე მიფრინავს — წამოაფრთხობს ხოლმე მხარ-წითელ პეპლებს. ზოგჯერ ხოხობი აუვარდება ცხვირწინ. მაშინ ნიკორი ყალყზე დგება და მზეს შესჭიხვინებს, თვალს გაყოლებს ტრიალ სილურჯეში გაუჩინარებულ ფრინველთა დედოფალს.

ზაზუნები და მინდვრის თაგვები წრიპინებენ გორსალებთან. აქაიქ ლეკვივით დგას ჭინჭარი, მხარნაქცევი ბილიკი იკარგება ბალახში და სიჩუმე წევს შირაქის ველობზე.

ნიკორს ცივმა ჟრუანტელმა გადაურბინა. წინა ფლოქვები მაღლა

აჰყარა და იმავე წამს მიწაში ჩასრისა კუდზე შემდგარი უხსენებლის წივილი.

ლუკამ თვალი ჰკიდა, როგორ იგრიხებოდა თავგაჭყლეტილი და ჯერ კიდევ ცოცხალი გორგალი.

რიჟრაჟი დაფრინდა შირაქის ველზე.

თვალს კავკასიონის მთებისკენ გაურბის დაცემული ვაკე. ყანაში ჩამდგარ მუხაზე ქედანი ზის და თავის ძველ საგალობელს ამბობს. ნიავის წამობერვაზე ირწევიან მზეს მიფიცხებული თავთავები, მშრალი ხევის იქით კი ყვითელქოჩრიანი სიმინდი შრიალებს. ამ მდიდარ მიწას ღვთის თვალი დასცქერის, აქაურ სოფლებსაც იმდენ მოსავალს მიუზიდავს ხოლმე შემოდგომა, თითო გლეხი შეძლებით ასევე ლამის ამილაბვრის აზნაურს სჯობდა.

აქაური პურის სუნი მკვდარს საფლავში თვალს გაახელინებს. შირაქული ღვინოც შუბლზე წასაცხები მირონია.

ზემო ქედი, ქვემო ქედი, არხილოსკალო და ზოგი სხვა სოფელი თავის დროზე მთიდან აყრილი მეკომურებით გაჩნდა შირაქში.

რომელ ოჯახში უნდა შეხვიდე, რომ ვაჟას სადღეგრძელო პირველ სასმისად არ მოგაწოდონ. დიდი ფშაველი რომ არა, ვინ იცის, ამ ველობს ვისი გუთანი მოხნავდა, ვისი საფლავი ჩაღრმავდებოდა ამ ოდითგან ქართულ, მადლით მორწყულ მიწაზე.

შირაქის ოდისეა ცალკე ფურცელია ვაჟა-ფშაველას ბიოგრაფიაში, მართალია, მთიელებს სიმართლე ზანჯალიევით ეკრათ, მაგრამ მთავრობა უკან არ იხევდა — მეფის კანონიც ობობასავით დაბობღავდა და ზან აქ ჩაწნავდა უსამართლობის აბლაბუდას, ზან იქ.

დედოფლისწყაროში ცხენოსანი პოლკი იდგა. არაყში ულვაშებჩამწვარი სალდათები მთელი დღე უსაქმოდ ეყარნენ გრილოში — ზოგჯერ გარმონსაც გაწელავდნენ, შინლის კალთებით ჰგვიდნენ „პლატცის“ მტვერს და ოფლის სუნით აქოთებულ ჩექმებზე იტყაპუნებდნენ ხელებს — დიდ სიცხეშიც თეთრი კამეჩებივით ჩაეყრებოდნენ ხოლმე მორევში და თან ამ ქართულ „ლუჟაიკას“ დასცინოდნენ. „ეხ, ვანია, რუსეთი სხვაა, წყალიც სხვანაირი გვაქვს — აქაურ „რუჩეიკებს“ კი არა ჰგავს, ესენი კი ღელეებსაც მდინარეს ეძახიან, მოწყურებული კამეჩი რომ დაწაფოს, მშრალი ფსკერიღა დარჩება“... ამ ბრძნულ განსჯას ისეთი ხარხარი მოჰყვება ხოლმე წყლის დგაფუნიც კი აღარ ისმის წნორებით ჩამყუდროებულ ფშანებში.

დიახ, რუსეთში კარგია, აქ არ ვარგა, მაგრამ დარჩენა მაინც უნდათ, კარგი საყანე მიწებია, მზესუმზირაც კარგად გაიხარებს, აქაურ ენასაც მარილივით გაკენტენ — საფუძველს ჩაყრიან და გამრავლდებიან.

დილით საყვირს დასცემენ ხოლმე და გრძელი ყაზარმა კრაზანების დანგრეული ბუდესავით აბზუილდება. ფელთფებელი განიერი სამოვარივით მანამდე თუხთუხებს, სანამ როტა კომბოსტოს წვნიან შეჭამანდს და ქერის ფაფას არ მიუჯდება.

იმ დღეს ოფიცერს ჩამოეელო საჯინიბოში. ერთი ულაყი, ცოტა ტანშემღვრეული ენახა და შუადღისას პლატცზე სალდათების წრე შეიკრა. კოლია ეგოროვი იდგა შუაში საცვლის ამარა და შეშინებული მზერა წყლით სავსე გობში ჩამბალი როზგისთვის შეეტოვებინა.

ასე გმინავს ხოლმე მიწა, როცა გრიგალი იბადება ღრუბლებში...

ასე ოხრავს ხოლმე ბურლაკების სიმღერა ვოლგაზე...

ასე ტირის „დუბინუშკა“ ფოლოგდალი გლეხის ხატაში...

მერე დაუყრუვდა ტან-ფეხი კოლიას, მხოლოდ როზგის შხუილი ამტკრევდა სიჩუმეს, ასწიეს კოლია ეგოროვი და გამობერტყილი ტომარასავით მიაგდეს ყაზარმის ხის ნარებზე. ვითომ ეძინათ სალდათებს, ვითომ არ ესმოდათ ნიკოლოზის კვნესა, მაგრამ ჩუმი მრისხანება მაინც ზღარბივით დაცოცავდა ყაზარმაში, ალბათ ამიტომ იყო, რომ კარი მალ-მალე გაიჭრიალებდა და, დირეზე შემომდგარი ოფიცერი ჩამომდგარი სიჩუმეს შეჰყვიროდა, „Молчать“...

ეს რომ მოხდა, იმის შემდეგ ორი კვირა გავიდა...

აღარ იყო ყაზარმაში ნიკოლოზ ეგოროვი. არც მისი შაშხანა ეყუდა ადგილზე — დარაჯისთვის თავში კონდახი ჩაეცხო, იმისი თოფიც მეორე მხარზე გადაედო და დაღესტანში გადავარდნილიყო. იმ მთებში კი კაცის ძებნა იგივეა, მორევში რომ ნემსი ჩაგივარდეს.

ლმერთმა ნუ ქნას, ასეთი ბუნტოვშჩიკები ჩასახლდნენ შირაქს, აქაურობას ააშლევენ, ამოსჩეჩენ და მეფეზე ისედაც გულშორეულ ხალხს ააჯანყებენ.

მანამდე კი ოფიცრები ჯარისკაცულად ერთობიან — ბანქოს თამაშობენ, „პიკნიკებზე“ გადიან ტყისპირებში, ადგილობრივ დიდკაცობასთან „ვიზიტებზეც“ დაბრძანდებიან.

დედოფლისწყაროსთან, ჩაბნელებული მუხნარის პირას, მუხლამდე ავარდნილ ბალახში, მზე წევს ხოლმე, ირგვლივ უკაცური ველის დუმილი ჩამომდგარა, რომელსაც ხანდახან დამბაჩების გრიალი არხევს. დენთის ბოლი გაიძაბება ჰაერში, ტყე შეკრთება, შეშინებული ფრთოსნების კრიახი მისწყდება და დაბლა დარჩენილი საურმე გზაზე გამოჩნდებიან ყაზარმებისკენ მიმავალი ეტლები. ცრიატში მიცურავენ ოფიცრების კოკარდინი ქუდები.

მართალია, დუელები ჯერ კიდევ ნიკოლოზ პირველმა აკრძალა — თითქოს მიჰწყდა დაშნების წკრიალი, სქელტუჩიანი დამბაჩების ყეფა, მაგრამ მისი ექო ამ ღვთისა და კაცისგან მივიწყებულ ადგილებში კიდევ გაისმის.

მაშ რა ქნან, რით გაერთოს ყაზარმის არისტოკრატია — ისიც ეყოფათ, რომ მზერა უჭუჭყიანდებათ სალდათების შინლებისა და ყეყეჩი ფელდვებელების ცქერით. აქაური მასდილოსნებიც ისე გაურბიან, თითქოს სახადი სჭირდეთ. ეხ, „ჟიზნ სოლდატსკაია"...

შეფეს ეს უსაქმო პოლკი შირაქში ტყუილად არა ჰყავს — სახრე უქმად რომ ეგდოს, მაინც სახრეა, თვალს აშინებს.

ასეთი იყო შირაქი მე-19 საუკუნის ოთხმოციან წლებში, თითქოს დანარჩენ კახეთზე გაბუტული, ქარითა და მზით სავსე, ურწყავი და უხნავი.

მხოლოდ ეს იყო ზამთრობით თუშთა ფარები ათბობდნენ დიდ ძილში წასულ ველობს, მწყემსების სტვენა, ცხვრის ბღავილი აღვიძებდა სიცოცხლეს ამ თითქოს სულთა საცხოვრებელ ალაგებში.

მოვიდოდა ზაფხული და ჩამოდნებოდა მიწაზე მზე, ციდან იღვრებოდა გამდნარი სპილენძი, იხლართებოდა ქვეწარმავალი — ცოცხალ ლუკმებად ყლაპავდნენ გიურზები ყელში გახერილ თრითინებს, მარდი ხელიკები ხატავდნენ ნაცრისფერ ელვას სიპებზე. სიცხე ბუქნავდა და ენკენისთვე ისე ჩაილეოდა, ღრუბელს ცრემლის წვეთიც კი არ დაჰცდებოდა ხოლმე.

ხომ ასეთია შირაქი — თვალებზე ხელაფარებით სანახავი, მაგრამ, არა, წყალი მიეც, გული და საგულე უპოვე, გონი ჩაუდგი, მერე ნახე, როგორ გამხიარულდეს ყანა-ვენახით ეს უხასიათო ველი. ქართულს მიწა. ისე არ გაბერწდება, ცური და ჯიქანა გაუხმეს, — ფიქრობს ვაჟა და მიაცურებს ნიკორს ველზე ჩამომდგარი ლაჟვარდის უსიერში...

ჯერ კიდევ დიდი ბრძოლა უცდის. წვერი გამოუშალა თუ არა, გორგალი აგორდა და იმდენ ნაკადად დაიხლართა, სათვალავი აღარ ექნა...

მთიელთა ჩამოსახლების განზრახვა შეიტყვეს თუ არა, თუშები ბორბალოს მთასავით ნისლსა და ავდარში გაეხვიენენ — ვის რა ხელი აქვს შირაქთან, როცა ეს მიწები მათ საძოვრებად უთქვამს მაღლა ღმერთსა და დაბლა კაცს, მათი პაპა — პერპერა აქ ჩამოლალავდა ხოლმე თუშეთიდან თოვლ-ყინულისგან გამორეკილ ცხვარს. ფარა აქ შიშაქობდა, დოლსაც აქ იყენებდნენ და გზაზე მკვდარი მეცხვარეც აქ დაუმარხავთ, საფლავზე კი ჯვრის მაგივრად ბევრის მნახველი კომბალი ჩაურჭვიათ ავისა და მაცილის შესაშინებლად.

ახლა კი იმათ გახურებულ თონეში ვინ უნდა ჩააკრას? — რა ხელი აქვთ შირაქთან მთიულებს, ფშავ-ხევსურებს, თავიანთი იკმარონ — ჩვენაც ხომ თქვენიანები ვართო, ერთი დედა-მთის შვილებიო, იბარებენ, შაგრამ შირაქი მარტო თუშეთს ჰყოფნის. სხვისთვის ფეხის ჩასადგამი აღარ არის და გაიგონ.

ჩვენაც ხომ თქვენიანები ვართო.

არ დაუჯეროთ... ეშმაკიც ხანდახან ციკანივით კიკინებს ხოლმე, — დალის თუშეთში ხმა და კედლიდან ხან ტყვია-წამალსა და თოფ-იარაღს ხსნის, ხან ოქროს თუმნიანებს აგროვებს.

რას იზამ, მარტო ძალა ზოგჯერ არაფერია, ისევ ოქროს, ამ ძველ მეძავს უფრო მეტი შეუძლია. და ვაჟაც აღმართს ხნავს — ხან თბილისში ჩავარდება ხოლმე, ხან პრისტავ-ურიადნიკთან დაობს, ხან კიდევ თუშების თავკაცებთან კამათობს. ადვილი არც მთიელთა დაყოლიება გამოდგა.

— აბაიმე ლუკაის ჭირი შემეყაროს, — შესჩივლა იმ დღეს გუდამაყრელმა ბერამ, — ჩემი წუთისოფელი ამ მთებში გამაიჭყლიტა და სხვათა ადგილას როგორღა გავძლო. წინაპართა საფლავის ქვები საღაც ჰყუდიან, ჩვენაც იქ უნდა ვიყვნეთ. შირაქს ცხელს რასმე ამბობენ, ნათიბ-ნამკალივით ჩავხმებით, ლუკავ, იქა და ჩვენი ცოდვა საითღა მოგეფონების.

— სხვათა რად არის, — შესჭექა ლუკამ, — ის მიწებიც ქართველის სისხლით გაპოხილა, მისი ძვლით ავსილა და თქვენ კი სხვათაო — გაიძახით. მაშ, რუსმა წაიღოს. იმან სთიბოს და იმან სთესოს?

— რუსმა რათა? — წარბები ერთმანეთს გადააწნა ბერამ, — ქართველი დაილია?

— დაილია, ჩემო ბერავ, დაილია... აქაც უნდა ვიყვნეთ და იქაც. მთა ღარიბია, დალოცვილი, იქ კი ბარია, თანაც ისეთი საყანე მიწებია, თვალი უკან აღარ გამოგიბრუნდება, სავენახე და სასიმინდე სავარგულებს ხომ ნუღარ იტყვი... გდია ის ბარაქიანი ველი და გლეხკაცი ესიზმრება, მაშ არ მივხედოთ, არ ვუპატრონოთ?

მთიელის ჩაფიქრება ხომ თავის ქექვაა.

შეუტარებია ბერასაც ის თავისი ტაბაკივით თითები ჭალარა თმებში და ბურსაჭირივით ჩაღრუბლულა.

ბოლოს მაინც გატყვრა ნავსი და შირაქში მთიულ-ფშაველთა რამდენიმე ოჯახი გაჩნდა. მათ შემდეგ სხვებიც ჩამოიხვეტნენ და შირაქის ველზე ორბებივით დაფრინდნენ.

სწორედ ამ დროს ჩამოვარდა განხეთქილების ვაშლი. თუშებმა ეს ახალი ამბავი ისე იმტკიცეს, თითქოს ბახტრიონის ნაციხართ ისევ თათარსა და მურდალს აევსო.

ძნელი გამოდგა პირველი ხნულის გავლება. ბედისწერასავით ჩამოდგა თუში შირაქსა და ჩამოსახლებულებს შორის.

რამდენი გუთნისდედაც ხნულში წაიქცა, იმდენის წუთისოფელს ესვა ტყვიის ცხელი წერტილი. და ფშაველ-გუდამაყრელთაც ყევარით აჰქონდათ მთაში თავიანთი დახოცილები. ქალების „ავაი“ გლეჯდა კლდეებს და მათი გლოვა ხეთქავდა ლოდებს. მიჰქონდათ, რათა მკვდრები მაინც „შინ“ ყოფილიყვნენ. მათი ჯერ ისევ თბილი საფლავებისთვის მთის ნიავს წაეფარებინა ფრთა, იმ დახუჭული თვალებით მაინც ენახათ კიდევ ის თავისი სამამაპაპე, წინდის ყელივით ჭრელი მთა-მინდორი.

„თუშო, შე თუშის გაზრდილოოო...“ რა იყო ეს, მუქარა, მუდარა თუ შირაქის მიწიდან ამოვარდნილი საყვედური?

რუსის მთავრობაც თუშებს მიუდგა — ისევ ძველსა და ნაცად პოლიტიკას აულესა პირი — დაე, ადგილის მგლებმა ერთმანეთი დაჭამონ და შირაქი ისევ წითელ ტურას დარჩება.

სასამართლოა... კედელზე იმპერატორის ისეთი ცოცხალი სურათი ჰკიდია, კაცი იფიქრებს, სადაცაა ჩარჩოს გადმოაბიჯებს და დარბაზში გადმოვა, რომ ეს ტყაპუჭიანი მთიულ-ფშავ-ხევსურები ცხვარივით ბღავილით მიაწყდნენ კარებსაო.

მაგიდის შუაში დაბღვერილი მოსამართლე ზის, ალაზნის ლოქოსავით ჩაუშვია დაბლა ორი გრძელი ულვაში და თვალებით ბურღავს სათვალის სქელ მინებს. აქეთ-იქიდან „დეისტვიტელნი“ თუ „სტატსკი სოვეტნიკები“ უსხედან. ცალი ყბით რომ თუშებს ულიმიან, მეორით — მთიულებს ტუქსავენ.

სანდრო ციკარიშვილი ნაცადი ადვოკატია. პეტერბურგში აქვს იურიდიული დამთავრებული, იმიტომ უელავს თეთრად მანუეტები და შავი სერთუკიც ფრანგი ოსტატის ნახელავი უნდა ჩანდეს. მაგიდაზე უსვენია მაღალი ცილინდრი, ხელში კი მოხარატებულ, ძვლისტარიან ტროსტს ისე დარდიმანდულად ათამაშებს, თითქოს ბულვარზე მისეირნობდეს. ერთი დაიწყოს საქმის გარჩევა, რომ ამ ფშაველებს კუდით ქვა ასროლინოს. ხედავთ რა მომინდომეს — შირაქიო, თითქოს ოუში იქ არ იყოს...

კუთხეში პროკურორი დავანებულა. აქლემის სახე აქვს და დუმილით ამოკერილ ტუჩებს აცმაცუნებს. ეტყობა, იმისი ჯიბეც მოუნათლავთ თუშებს. ისეთი მზერა დაუშინა კარებში გამოჩენილ ტანჩოხიან ვაჟას, იცის ლუკამ, უსამართლობა ბნელი ბუღაა — რქით კლდეს გაიტანს, მაგრამ ზვავი დაიძრა და მთაში ველარ ააბრუნებენ.

ჩუმჩუმად ელიმება ლუკას ვიწრო მაგიდასთან მიმჯდარ ჩინოვნიკზე. ასე ფხაკუნობს ხოლმე თაგვი განჯინაში, იქ ჩარგალში რომ უდ-

გას იმ საქათმეში, მთელი საქართველო ვაჟა-ფშაველას სახლს რომ ეძახის. დახე, როგორ საქმიანად ამოალბო მელანში კალამი, როგორი ცივი მედიდურობა გადასდის სახეზე. ბუნებას უხუმრია და დაუმთავრებელი ყურები ჩამოუკიდია აქეთ-იქით, თუ ხორცის იმ სირსველებს ყურები დაერქმევა...

— ეს საცოდაეები რა დასაკლავი ყოჩებივით შეგროვილან, — თვალი მთიელებს დაადგა ლუკამ.

მთელი ორი საათი ლანძღავდა თემიდა მთიდან აყრილ მთიელებს, მერე ცისკარიშვილიც წამოდგა და წარბებს ლარს ასხლტილი მზერა ისარივით გაგზავნა ლუკასკენ. განათლებული კაცია სანდრო, ამიტომ თავის სიტყვაში ხვავი თუშებს მიუზიდა, ნამჯა და ფუჩეჩი კი ხმთიულებს მიუყარა.

არა, ვაჟას თვალი არ ატყუებდა — იმპერატორს თითქოს ირონიულად უცინოდა თვალები, წელშიც უფრო ამაყად გამართულიყო და დიდი ინკვიზიტორივით ზემოდან დასცქეროდა ჩინოსან სამსჯავროს.

რაც მაშინ ვაჟამ იმას ჩუმად გაუგზავნა, აქ არ დაიწერება...

ცისკარიშვილი კი ხან ბულბულივით გალობს, ხან შევარდენივით წივის, ხან კიდევ ლოგიკის ისეთ ჯაჭვსა წნავს, თვალი არ გავარდება. პირველად გახდა ლუკა იმის მოწმე, თუ როგორ შეიძლება თურმე ტყუილი ისე დაემგვანოს სიმართლეს, ნაკერ-ნანემსარიც კი ვერ უპოვო.

სანდრომ ის თავისი „სიმართლე" ლაყე კვერცხივით დაახალა მთიელებს და ის იყო, თავის სკამს უნდა დაჰბრუნებოდა, რომ წინ შაკ კლდე გადაეღობა. შეხედა — ლუკა იყო.

მერე რაღაცამ იჭექა დარბაზში...

ცისკარიშვილი სახეს იზელდა. ლუკას განიერ სილას მარცხენა ლოყა ორჯერ გაედიდებინა და ახლა ისე უვარვარებდა, თვალი ვერ მიუდგებოდა. სანდროს ის ყბა-ყურა დაუცხრა, მაგრამ შირაქის მტრებმა ახლა ლუკას გვარ-სახელი აჰკიდეს სახედარს. ისეთი ხმები დაუყარეს, რომ მთიელთა ქომაგი ხალხის თვალში ჭინჭისთავივით დაპატარავებულიყო და მისი დიდი ავტორიტეტიც მწიფე პანტასავით ერთი ღონიერი შერხევით ჩამოებღერტათ. თურმე ლუკა შირაქით ვაჭრობს, თავის სიღარიბეს შველის, ისედაც ხმიადსშერჩენილი მთიელები გაუძარცვავს, ათასი მანეთი ქრთამად წაურთმევია და იმიტომ არის შირაქს სიარულით ფეხისგულები რომ გაუცვდა. აბა, ისე რა ძალა აღგას, რომ იქ ოჯახს აკლია და აქ კიდევ თავის თავსაო.

ამ ბოროტმა ხმამ ვაჟა მორიელივით დაგესლა.. თურმე სადამდე მიდის ადამიანთა გარყვნილება, თუმცა საკვირველი არაფერია — ლაფი ღორისთვის აბანოა. აბა, ვინ ამოუკერავს პირს ამდენ ავყიას,

დღეს რომ ჰყავს ამ ჩვენს უბედურ საქართველოს? — ფიქრობს ლუკა და ველზე მიქუჩებულ სოფელს გაჰყურებს.

— ა ის განაპირა სახლი ბურდულებისაა, იქით კობაიძეები და გოგოლაურები დგანან, ის კიდევ იანვარაშვილებისა უნდა იყოს...

ქრთამიო... როდის იყო, რომ ოცდაათი თუმანი ძალით შეაჩეჩეს ხელში ფშაველებმა, — ჩვენს საქმეზე დადიხარ, ლუკავ, და ეს ფული დაგჭირდება, ბარი მსუნაგია, ხარჯი და ბორჯი იცისო.

ეს იყო და ეს...

მაშ რა ექნა, როცა ორწყალს შუა იდგა — როცა სიღარიბე თვითონაც ვერ მოიცილა. გალმა გავიდა — გაჰყვა, გამოღმა გამოვიდა — გამოჰყვა.

რა ხანია, თამარს კაბა ვერ გამოუცვალა, თავისთვისაც ერთი საჩოხე შალის სამყოფს ვერ მოუყარა თავი. ღმერთმა დალოცოს ქუთათურები, მათი ნაჩუქარი ჩოხა-ახალუხი დააქვს, თორემ ზამთარ-ზაფხულს ცხვრის ტყაპუჭში უნდა შემძვრალიყო.

ცოტა ხანში გაზეთმა „კახეთის ხმამაც“ კამეჩის რქა მიაბჯინა ლუკას. ცილისწამება იყო ჩაღრმილი ყველა სტრიქონში, სადაც კი ვაჟა-ფშაველა და შირაქი იხსენიებოდა.

მართლა მიწაზე დაბალია ზოგი ქართველი, მართლა ველარ უცვნია ამერს — იმერი, თუ მეტს ვერ მიმშვდარან და ერის სასიკეთო სალანძღავად გაუხდიათ. ყველგან პირადულს ეძებენ, იმის რწმენა კი დაპკარგვიათ, რომ საერო საქმე შეიძლება ისე წმინდად აკეთო, ვალმოხდილი, ტაძრიდან გამოსულს ჰგავდე.

— არიქათ, მამული იღუპება, შირაქი ლუკას თავისთვის უნდა, ღობე უნდა შემოარტყას და შიგ ცალთვალა დევივით ჩაჯდეს, უშველეთ საქართველოს, უშველეთ... — ჰკივიან სინდისგაყიდული მედროეები.

ვაი, ჩვენს თავს, თუ მეტი ვერ გაგვიგია, თუ თვალი მეტზე არ მიგვიწვდება, მაშ რაღა ქართველი ხარ, თუ მამულიშვილობას ზანდუკში გადანახული მამაპაპეული ჩოხასავით მაშინ მოირგებ, როცა კიდობანის თაგვიქით შაქრის დიდ ნატეხს სადმე დაყნოსავ ხოლმე.

ნუთუ მეტი შეგნება არა აქვთ, მეტი ქართველობა? მაშ რა უფლებით შესცქერიან ამ ლამაზ მთებსა, სვამენ ამ პატიოსანს წყალსა და სჭამენ პურსა? — ეს მთავარი კითხვა გზინავს იმ წერილში, რომელიც ცილის პასუხად გაუგზავნა ლუკამ „სახალხო გაზეთს“ და „დაგვიანებული პასუხი“ დაარქვა.

მაინც ქირქილებენ შურით თვალამღვრეული კალმოსნები — ვაჟა ვინაა, რომ ამირანის ნაბიჯით დადიოდეს საქართველოში. ის სქელი ყბებით ნამფერიც იქნებ მართლა დიდი რამ ეგონოს. პოეზია ქერა

ზუთანახავია და განა იმ თავის იქროსფერ თმებს საურველით უნდა ივარცხნიდეს? აბა სად ლუკა ფშაველი და სად ესთეტი? შეცდა ილია, შეცდა — მაგისთანა პოეტი რუსთველის შემდეგ არა გვყოლიაო, ძველებმა კალმები გადავდოთო, ახლა კიდევ ის უნდა, შირაქმა დაადგას გვირგვინი.

ჰოი, შურო, ქართველო შადიმან!

ძაღლები ჰყეფენ, ქარავანი კი მიდის. მთიელთა ბარში ჩასახლება ზღვის მიქცევ-მოქცევას მანამდე ჰგვანდა, სანამ შირაქის ველზე ფშაველის პირველი საფლავი არ გაიჭრა.

ასე ყოფილა და ასე იქნება — ქართველი მანამდე იქართველებს, სანამ თავისი მკვდრის საფლავ-სადგომი ემახსოვრება.

ასე გაიჩინეს ახალი სამკვიდრო... აქა-იქ ნასალდათარმა რუსებმაც ჩაყარეს საძირკველი, პირველად თვალამრეზით შეხვდა შირაქელი ახალგლეხობა იმათაც და იმათ ყაზარმულ რუსულსაც, მაგრამ როცა შინლები დაიხადეს, ფეხი ქართულ ქალამნებში ჩადგეს და ჩვენებურ სადღეგრძელოებსაც ენა შეაჩვიეს, ყინული გალხვა.

შირაქმა ისინიც იშვილა.

პირველსავე წლებში ისეთი მზესუმზირა მოიყვანეს, იქაურობა ღამეც კი ჩახჩახებდა.

პურისა და ქერის ყანებშიც, ქართულ პაპუნასთან ერთად, რუსული „ზაზულინკოც“ ისმოდა...

უხაროდა მოყვარეს...

სწყინდა მტერს...

ამ ბრძოლაში დიდი ფშაველის მადლი ერია...

გახედე, მკითხველო, შირაქს — აიმ ყანებს, აიმ ლურჯად ჩადებულ ვენახებს, ხილნარსა და ბაღჩოვანს, გახედე და მუხლი მოიყარე იმ სახელის წინაშე, რომლის ხსენებასაც შირაქელი პირველ სასმურს შეაგებებს ხოლმე.

* * *

ალაზანი ალმასებს ისვრის, მოკლეჩოხიან, ჩაუქ ჭაბუკს ჰგავს იმ თავისი დაუდეგარის ხასიათით, მხიარული მგზავრობით, ალგეთი კი ჭარმაგი ქართლელია, ლეგაჩოხიანი, ტალღაც უფრო საესე იცის. მოდის, მოლოკავს ნაპირებს, შეჰყურებს ტყიან-ჯაგიანში ბუნაგთან მობუღრავე მგლის ბალანაშლილ ლეკვებს, წყალში შიშინებს იმათი მზერა და განიერი თათებით ღონივრად დგანან მშობლიურ მიწაზე.

რა გაშოლევს მგლის ჯილაგს ამ მთებზე,

კიდევაც დაიზრდებიან, კიდევაც...

შაჰყმუვლებენ ცაზე დაკიდებულ, თითქოს რაღაცით გაკვირვებულ მთვარეს.

სკოლა მაღლობზე დგას. საბძელივით გრძელი და ვიწრო შენობა გადაჰყურებს სანახევროდ მიწაში შეცვივნულ ბინებს, რომლებზედაც თებრონესავით ჩამოჯდება ხოლმე ნამძინარევი ცისკარი.

ქვემოთ, დაცემულ ველზე, ყანებია, ზევის პირას კი სვიითა და ეკალ-ბარდით შეკრული პატარა საყდარი, ქვის ხავსიანი, მკლავჩამოტეხილი ჯვარი დროს დაუკორტნია, ჩოფური ქვებიც მღვრიე ფერს რასმე დაუფარავს.

ჩავარდნილ საფლავებში ჩაკიდულან ნაკოდი ქვები. იქ ხნავს და იქა თესავს ხოლმე აქაური ფეხმანძილიანი გლეხი, საბძელსაც რა უჭირს, თუ ბობოქარმა სიცხემ თავთავი ნაადრევად არ მოფშვნიტა და ზენა ქარს არ გაატანა.

ალბათ, ამიტომ უწოდეს თონეთი.

ღარიბი სოფელია, მღვდლით, ეკლესიით, ნაცვლითა და აშვებულით ქოფაკივით ავი მამასახლისით.

გლეხკაცის სიხარული ფრჩხილზე დაიტევა, დარდსა და გაჭირვებას კი ფავლენიშვილების გომ-საბძელიც არ ეყოფა.

ზემოური თავადები არიან. ყავრიაანთ მიჯნაზე დგანან, მამულდედული არ აკლიათ.

აქაურის ქონება საქონელია.

გლეხს თუ ყელი ერბოთი აქვს სავსე, მდიდარია.

მანგლისისკენ კარგი საურმე გზა მიიზლაზნება. ეს მშრალი მდინარე შუაზე გასწყვეტს თიანეთს და ველობზე გავა, საიდანაც კარგა ჩანან კლდეკარის ლომისფერი მთები. წიწვნარის მწვანე ეკლით სავსე ტყიანეთი, უფრო მაღლა კი მუხლამდე აყრილი სათიბებია, სანამ ის დიდი ვაკე საბეროს პატრიარქალური ტყისკენ არ დაექანება.

აქ ადრე მონასტერი ყოფილა. ქვანაშალით სწერია ეს იმ უდაბურების კარგა ფართოდ შემოღობილ ალაგზე.

ისეთი წიფლებია მაღლა აყრილი, თვალი ძლივს ააცოცდება კენწერომდე. კორომებში სძინავს უკაცური ადგილის სიმშვიდესა და ბუნების პირველყოფილობის სიწმინდეს.

ლუკას ფეხით აქვს მოვლილი ეს კუთხე-კუნჭული. თან ის თავისი აინალი ახლდა, თორემ რას იზამდა, როცა ტევრიდან წიფლით გაბრუებული ტახი წამოუხტა და ალესილი ცულივით გაიშხუილა ნაკერჩხლის ტნატოტს ამოფარებულ ლუკასთან?

არ აპატია აინალმა ეს გულადობა. ტყვიამ ჯერ მუხას მიანარცხა, მერე ჰაერში ააგდო და ზევის პირას ჩამყუდროებულ იფნებს ესროლა.

შეეჩვია ლუკა აქაურობას: წყალ-ჭალას, სოფელს, აქაურ ავსა და კარგს.

მარტო ხომ აღარ არის, ახლა ცოლი ჰყავს, ოჯახის პატრონია და ვასწავლებლის ხელფასი თუ ვარსკვლავიან ცას ვერ უყიდის, თავის გასატანად მაინც ეყოფა, დედ-მამაც მოასვენა. სერის გადალმა, სადაც საურმე გზა მიიკლაკნება, ძველი ნასოფლარია და სამების ერთნავიანი ეკლესია. ცალ მხარეს ჩამორღვეულ ბექობზე სასაფლაო ყოფილა. ქვასიპებიდან გამოჩრილან მიწაში გდებით დაღლილი, დაფუტუროებული ძვლები.

ლუკა ხშირად ჩამოატარებს ხოლმე აქეთკენ ბალღებს, შორიდანვე გააშვერს ხელს დამერცხლილი ტაძრისკენ და ხმამაღლა იტყვის.

— აი, ჩვენი წინაპრების სალოცავი ეს არის, ის კიდევ, — გახედავდა სოფლის სასაფლაოს სერზე მოწყენილ საყდარს, — არც მიწას სჭირდება, არც ცას, მეფის კაცებმა ააშენეს, რომ ისეც მოტყუებული გლეხი კიდევ უფრო წიხლქვეშ გაიგდონ, გაძარცვონ და გაატყავონ. აბა, თონეთის მთავარდიაკვანი რა მოძღვრობას გასწევს, როცა თვალი მხოლოდ გამორჩენაზე უჭირავს.

— ეგრეა, ეგრე, — თავს იქნევენ შეგირდები.

— სულ ჩვენი ბატივით აცანცარებს წვერსა, — აღმოაჩინა ლავრე ბეჟუაშვილმა და სიცილმა მიწაზე გააგორა.

— თვალებიც ქორისა აქვს, სისხლიანი...

— წირვაზე, ცალი თვალი წიგნში აქვს, ცალი კიდევა ქალებში დააქვს, — ხითხითებს თედო გოგიჩაიშვილი.

— იმიტომ ვერ უბია სახლში ოთხი ძროხა და ვერ უყენია მოჯამაგირე, — შეეშველა ბიჭებს ბარაანთ თებრონე, — სახლიც მაღალზე უზის ჩვენებიანთსავით მიწაში კი არ არის ჩამძვრალი.

ლუკას ეღიმება. ხან ერთს აუჩეჩავს თმებსა, ხან მეორეს. თავისიც გაახსენდა.

იმ დღეს სოფლის ბოლოდან მოდიოდა, სკოლაში მიუხაროდა. წირვა დამთავრებულიყო და მთავარდიაკვანი შავი ბატივით მობაჯბაჯებდა ღორღიან გზაზე.

ლუკას დანახვაზე პირჯვარი იკრა და მერელა გადაულობა გვერდზე გასავლელი ქალაქში ნაყიდი „ზონტიკით“.

— წირვაზე რატომ არ დადიხარ,, მარხვას რატომ არ ინახავ? — ისე სწრაფად მიაყარა, თითქოს ეს-ეს არის დუმილის აღთქმა უნდა დაედო, — იქნებ არც ღმერთი გწამს და არც ხელმწიფე-იმპერატორი? — ახლა უფრო განიერი პირჯვარი მიიკრა ხუცესმა.

— მეორეზე რა გითხრა და პირველი კი რატომ არ უნდა მწამ-

დეს, — გაეცინა ლუკას, — ლეკი ხომ არა გგონივარ, მამაო, ფშაველი გახლავარ, ლუკა რაზიკაშვილი, მამაჩემი პაულეც მლვდელია.

— ასე შეგირდები ეშმაკთან მიგივლენ, — საჩვენებელი თითი დაუშიზნა ვაჟას ხუცესმა, — გზას ასცდებიან და დაილუპებიან.

— კიდევ კარგი, აქამდე ციკნის რქები არ ამოუვიდათ და ძალლის კუდი არ გამოებათ, ალბათ, ისევ თქვენი ლოცვა-კურთხევა შეეწიათ, — ხმამაღლა გაიცინა ლუკამ.

მამასახლისი ყველაფერს ხედავდა, ყველაფერი ესმოდა.

ლუკას დოინჯი მიედგა, ის თავისი განიერი მხრები ლაღად გაეშალა, სქელი ხუცესი კი ორლობეს მიარღვევდა, „ზონდიკი“ ყავარჯნივით დაებჯინა და ერთსა და იმავეს ჩურჩულებდა; „წარმართი... წარმართი“...

თონეთის გალმა-გამოღმა ადრინდელი ტყიდან მეჩხერი ბუჩქნარი დარჩენილა. ხვეისპირა ფშანებიც მზეს ამოულოკავს და ნიავის წამოქროლვაზე ხმელი ისლიღა სისინებს. შემოდგომა აცრემლდება თუ არა, ყავრიანთ მთები ნისლებს შემოიხვევენ და მოახლოებული ზამთარი სოფელს დიდი თოვლით, ნამქერითა და მაღრიბის გზასავით გრძელი ღამეებით ემუქრება.

არ უყვარს ლუკას ზამთრის თეთრი უდაბურება. გაკვეთილების შემდეგ ფანდურს უზის ხოლმე და ფშავის ამბებს ეკითხება, ნახევრად ბნელ სადგომში კელაპტარიეით უნთია კეკე იმ თავისი გამოულეველი სიკეთით, ხმადაბალი სიტყვა-პასუხითა და მხარს ზემოთ აფრენილი ფარტენით.

როგორც იქნება, მოვა გაზაფხული.

დამშვიდდება ჰაერი, ამომწვანდება ბალახი და გაიმართება მზისა და მთვარის ქორწილი.

აბა, ამ დროს ლუკას შინ რა გააჩერებს — ხან ალგეთის ჭალებს მიარღვევს მყვირალობაზე გადმოვარდნილი ხარირემივით, ხან ველმინდორს მოღდება, ხელის გულზე დაისვამს ხოლმე პირმორცხვ იებს, თავჩალუნულ ენძელებს. გულში იკრავს მონატრებულ მთებს.

შეგირდებიც ხშირად გაჰყავს სოფლის გარეთ. გაუღებს ხოლმე ბუნების კარს და შიგ ბატკნებივით შელალავს, ასწავლის, რა არის და როგორ არის, რა რის წამლად თქმულა, როგორ სძინავს და როგორ იღვიძებს. ყველაფერში დიდი სიცოცხლე სდუღს, ფიქრი ბრუნავს, გრძნობა ბობოქრობს და მზის ქვეშ მკვდარი არა არის რა.

ჩამოჯდებიან სადმე მზით გამთბარ მზვარეზე, შეჰყურებენ ნიავის ალერსით გაბრუვებულ ყვავილებს, ჟრუანტელად შეუჯდებათ მშობლიური მიწის სითბო და სიყვარული.

— აბა, ვინ რა სიმღერა იცის? — კითხულობს ოსტატი.

მჭედლიანთ ბერა მამამ ხბორებში გააგდო, სანამ ლუკა ქორივით არ დაეცა, წიწილასავით არ მოიტაცა და კლასში არ დასვა, ამიტომ „ურმული“ ეშარჯება, ღამის მეხრე, ცეცხლი და სიმღერა უერთმანეთოდ არ ვარგანან.

ეჰ, ვინ მისცა გლეხის შვილს ბავშვობა, ამათ რომ ჰქონდეთ, — ფიქრობს ლუკა და შეგირდის სიმღერას თავჩახრილი უსმენს, — ეს რა დიდი ტკივილი ჰკიდია ჩვენებურ „ურმულს“, რა ბელტივით მძიმედ არის მოჭრილი ყოველი სიტყვა, როგორ იზნიქება მიწისკენ გუთნეულივით გაბმული ჰანგი. ასეა, ეს დალოცვილი მზე გლეხისთვის დედინაცვალია, და ლუკა ყველაფერს გააკეთებს, რომ ამ გოგო-ბიჭებს ავისა და კარგის დასანახი თვალი აუხილოს.

მალე თონეთელმა შეგირდებმა იმდენი ხალხური სიმღერა იცოდნენ, ხმებსაც ისე მწყობრად მიუმარჯვებდნენ ერთმანეთს, ბულბულიც კი გაჩუმდებოდა ხოლმე აყვავებული კუნელით გაბმულ ჭალაში. მანგლისში ჯარის ნაწილი იდგა. კარგა გრძელზე გაჭიმული ყაზარმები უხეში და უსახო ქვით იყო ნაშენები. მოშორებით „პლატცი“ მოეწყოთ. ის არემარე გარშემო ეკლიან ღობეს შემოერბინა და შესასვლელთან მიყუჟულ საყარაულოსთანაც თოფიანი სალდათი ეყენათ.

ნეტავ რომელ ღმერთს ლოცულობდნენ ეს სიმინდის ულვაშივით ქერათმებიანი აფიცრები, რომ სალდათებს ასე ექცევიან. საცოდავებიც ხომ ადამიანები არიან, — ფიქრობს ლუკა და ღობესთან მიმდგარი გაჰყურებს მარგილებივით ჩარიგებულ სალდათებს. წინ რომ ფელდფებელი უდგათ და ავი ნაგაზივით ხან ერთს მივარდება, ხან მეორეს.

მაღალი ცაცხვის ქვეშ რამდენიმე პორუჩიკი შეყრილა. ულაყებივით ხვიხვინებენ და უწმაწური ანეგდოტებით იტკბობენ ტუჩებს. იქვე, ბალახზე, კროლა კაკალი უყრიათ, სიპი ქვით ამტვრევენ და შეექცევიან.

— გნებავთ გართობა, ბატონებო? — ამბობს მაღალი, სუფთად გაპარსული პოდპორუჩიკი და თან სტეკს ხელში შეათამაშებს.

— ვიცით, შენი გართობა, ორლოვ, ვიცით, ქალები, კარტი, დუქანი, — შეაწიეს აქეთ-იქიდან.

— არა, ბატონებო, გაძლევთ კეთილშობილ სიტყვას, არა...

— მაშინ, ალბათ, პიკნიკზე გეპატიჟები.

— ამჯერად იმედს გაგიცრუებთ, — ხმამაღლა თქვა ორლოვმა და კაკალს დასწვდა, რამდენიმე მუშტში მოიმწყვდია და მაგრად მოუჭირა.

— მაგარი კაკალია, იზმაილივით მაგარი, როგორც პაპაშა სუვორაჟა იტყოდა, მაგრამ რუსი ჯარისკაცი იზმაილზე მტკიცეა, ბატონებო, და ამას ახლავე შეიტყობთ.

ორლოვმა გარშემო თვალი მოავლო და მიწაში ჩარგულებივით გაშეშებულ ჯარისკაცებს გასძახა.

— პოპოვ, ჩემთან!

მწკრივს ხელთოფიანი სალდათი გამოეყო, სირბილით მივარდა და პორუჩიკს წინ გაეჭიმა.

— ბრაეო, პოპოვ, პრავო! — მოუწოდა ოფიცერმა.

— გმადლობთ, თქვენო კეთილშობილებავ!

— იცი, პოპოვ, ვინ იყო სუვოროვი?

— ჯარისკაცების მამა, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, მეფისა და რუსეთის ერთგული...

— ვისი არმიაა დაუმარცხებელი?

— რუსეთის, თქვენო ბრწყინვალებავ!

— ყველაზე კარგი სალდათი?

— რუსი...

— აი, აქაურ ტუზემცებს კი არ სჯერათ ეს, — ღობესთან მომდგარ ლუკას გამოხედა პორუჩიკმა...

პოპოვი ლუკასკენ შემოტრიალდა და მერე ისევ „სმენაზე“ გაჩერდა.

— ვნახოთ, პოპოვ, ვნახოთ, — თქვა ოფიცერმა და კაკლები ჩაბღუჯა, მეორე ხელით კი სიპს დასწვდა, — მოიხადე ქუდი...

— არის მოვიხადო, თქვენო აღმატებულებავ!

თმათხელი, ლამის ბეჭებში ჩამძვრალი თავი აღმოაჩნდა... ოფიცერმა შუბლის ასწვრივ დაუსვა კაკალი ჯარისკაცს, სიპი მოიქნია და დაბლა ჩაცვივნულ ნაჭუჭებს თვალი ჩააყოლა.

— გეტკინა?

— არა.

— ამ ტუზემცებს კი ჰგონიათ, რომ ძალიან გეტკინა, პოპოვ, — ზითხითებს პორუჩიკი...

ისევ შეუმაღლა აფიცერმა ქვა და უფრო გამეტებით დასცხო კაკალს. პოპოვი ადგილზე შექანდა, მაგრამ ისევ ყოჩაღად გასწორდა. მხოლოდ ეს იყო, სისხლის ზოლი, წვრილი წითელი ლენტივით დაადინდა შუბლზე.

ლუკას სიბრაზისგან სახე შეეჭირხლა, კარებს ფეხი ჰკრა და წინ გადაღობებულ ჯარისკაცს შეუბღვირა.

— გამიშვი...

— რას ამბობ, რას ამბობ, არ შეიძლება.

— რას დგეხარ, რეგვენო, — უყვირა ოფიცერმა პოპოვს და კარებისკენ შებრუნდა.

— რა ხდება, ვინ არის?..

გავიდა ხანი...

ლუკა თონეთის დუქანში ზის. როცა ლოქო მოენატრება აქ მოდის ხოლმე.

ის იყო, ადგომას აპირებდა, რომ გარეთ დროშკა გაჩერდა და დუქანში რამდენიმე ოფიცერი შემოლაგდა. იქაურობას თვალი მოავლეს, არ მოეწონათ არც დუქნის კარებთან აღრუტუნებული გოჭებიანი ღორი და არც სოფლური სავახშმოს მოწყობილობა.

— დიახ, რა თქმა უნდა, პეტერბურგის რესტორანი არ არის, — ტუჩები ჩაიწკლაპუნა დაბალმა შტაბს-კაპიტანმა, — ბატონებო, მეშინია ამ დაწყეველილმა მხარემ ჩვენც არც გაგვაველუროს და საერთოდ ქართველები აზიატები, ბინძური ხალხია.

— შენ ეი, ბალვან, რა გაქვს ისეთი, რომ კბილი დაეკარებოდეს? — შესძახეს დახლსუკან აქსუებულ მედუქნეს... მაგრამ, სანამ პასუხს მიიღებდნენ, ლუკა ოთხივეს წინ გადაუდგა და ხანჯლის ვადაზე ხელდადებულმა დაწმენდილი რუსულით მოსთხოვა:

— ახლავე უკან წაიღეთ თქვენი სიტყვები...

— შენ ეი, ვის უბედავ! — გაუკვირდა კაპიტანს.

პასუხად ფერდში ლუკას მუშტი ეცა და ცარიელი ტომარასავით ჩაიკეცა.

ახლა სხვებს დაუტრიალდა თონეთის „უჩიტელი", მაგრამ არც ისინი გამოდგნენ გამოუმცხვარი ვაჟები. რამდენიმე ოტროველა მუშტი ლუკამაც შეირგო. მაგრამ ნაბეჭი ოფიცრები დიდი გაშველების შემდეგ სალახებივით იყვნენ სისხლში გასვრილები.

წავიდნენ და ლუკას კანონით, მაზრის უფროსითა და პრისტავით დაემუქრნენ.

თონეთის მამასახლისი სიხარულით აღარ იყო...

— ეხლა მაინც მოაშორებენ ამ დაწყეველილ ფშაველს. — რაც ეგ აქ მოვიდა, მოსვენება დაეკარგა, გლეხობამაც სასაცილოდ აიგდო, გზაზე ქუდსაც კი არ უხდიან.

პირველად სულ რამდენიმე ყმაწვილი დაუდიოდა ლუკას სკოლაში. მოვიდოდნენ და მოიყოლებდნენ ხოლმე გომისა და ნახირის სუნს. იცის ლუკამ, ამ თხილის ნედლი დუყებიდან კარგი სტვირების დათლას დიდი ჯაფა დასჭირდება, ამიტომ კარდაკარ დადის და ნამარხულევი ბერივით ქადაგებს.

— გაიგეთ, ხალხო, უსწავლელობა სიბრმავეა, განა არ გინდათ თქვენმა ყმაწვილებმა წიგნი იცოდნენ, ქვეყნის გაღმა-გამოღმისა რაიმე გაიგონ, ავი და კარგი არ აერიოთ...

— როგორ არ გვინდა, შენი ჭირიმე, როგორ არ გვინდა, — თავებს

იქექავენ გლეხები, — მაგრამ მორბედი რომ სახლიდან გაგვექცევა, ან საქონელს რა ვუყოთ ან სხვა გასარბენ-გამოსარბენს.

— ქათმის წუთისოფელი გვაქ, ჩემო ლუკავ, ქათმისა, — წაილაპარაკა კომბალზე ჩამოყრდნობილმა ვანო ბადალაშვილმა, — გათენდება — ფეხზე ვართ, დაბინდდება და შევუცვივდებით ლოგინებში იმ ჩვენს დედაკაცებს. ასე ჩამოუძახია მაღლიდან ღმერთსა.

ზემოდან დასცქერის ლუკა თუშურ ქუდებს, სიძველით ფერამღერეულ ახალუხებს, პირღია ქალამნებს.

როდის გაიღვიძებს ხალხი, როდის მოუქნევს კეტს ათას მუქთამჭამელს, მკბენარივით რომ აღოღებულა ამ საცოდავების სხეულზე? ფიქრობს და სიტყვით კი სხვას ამბობს.

— მე არ ვიცი, ვინც შეგირდად მიწერია, კლასში უნდა იაროს, — ხომ გაგიგიათ, ძნელად სახნავმა კარგი მოსავალი იცის.

სკოლის გრძელი აივანი პირდაპირ ფლატესავით ჩაქანებულ ფერდობს გადაჰყურებს, უკან კი ზემოუბნის სასაფლაოა. მიწაზე სხედან თლილი ქვები ზედ გამოსახული ჩიხტიკოპიანი ქალებით, ხელნამგლიანი კაცებით, ვინც მეცხვარე ყოფილა, იმას ფეხებთან უწყვია დუქარდი, ნაპარსი მატყლი, ან კიდევ ხუჭუჭა ბატკანი უზის — ყველა წამწამზე მოკლე წუთისოფელს უჩივის — გათენებულიც არ გეეგონა, რომ უკვე დაღამდაო.

ამ ადგილას სკოლის ჩადგმა იგივეა, უდაბნოში რომ წისქვილი გამართო, წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ეს მაღლობი, ალბათ, ეკლესიის გამო შეარჩია, ჩვენი რწმენა წიგნია და საღმრთო რჯული ხალხში განათლების შეტანაო.

დიდ დასვენებაზე შეგირდები სწორედ ამ სასაფლაოს მოედებიან ხოლმე — ნიბლიებივით სხედან საფლავის ქვებზე. ბიჭები თუ საფდართან ლახტს გამართავენ, გოგოებმა რა ქნან, იმათ ანთებულ ქამრებს უყურონ თუ აჭრელებულ წეივებს, ამიტომ „მკვდარის დატირებას“ თამაშობენ.

დაჯდება ერთი შუაში, ვითომ ცოლი, ვითომ დედაკაცი, შემოისხამს გარშემო ცრემლადქცეულ ქალებს, ჩამოიშლის ჯერ კიდევ კვიცის კუდივით მოკლე ნაწნავებს, დაიბნელებს სახეს და მოჰყვება კალთაზე ხელების ცემას, თავის აქეთ-იქით ქნევას, თან წაქცეული ხმით მოთქვამს თავის უბედურებაზე, გარდაცვლილი ვინ ყოფილა, იმისთვისაც როგორ უკრეფინებია წუთისოფელს ჭინჭარი.

— ვაი ჩემს თავსა, ქალებო, ვაი ჩემს მოსწრებასა, ჩემი გლახოი აღარა მყავს მე უბე... დურ... საა...

მოზარდებიც ქვითქვითით აჰყვებოდნენ და ეს თამაშიც იქამდე ძრძელდებოდა, სანამ „მიცვალებულს“ გულაღმა თვალდახუჭული

წოლა არ მობეზრებოდა და ტანსაცმლის ფერთხვით არ წამოდგებოდა.

ესეც თურმე ლუკას ბრალია — ამ მკრეხელი ფშაველის, თორემ, აბა მკვდრის დატირებით ასეთი მასხრობა ვის გაუგია. განა ღმერთი ყველაფერს მოითმენს — ერთს რისხვით ჩამოიხედავს და ყანას კალია გაკენტს, ყვითელი გვალვა მინდვრებიდან ფეხს არ მოიცვლის. ლეკავით შემოვარდება შიმშილი სოფელში და მაშინ ან მტერს რას ეტყვის თონეთი, ან მოყვარეს? ასე სჯერა აქაურ მღვდელს.

— გვასწავლე, მამაო, რა ვქნათ! — ეუბნება საკურთხეველს მომწყდარი ხალხი? რა ქნან და უჩიტელს ცივი ზურგი უნდა უჩვენონ, შეგირდები დაუმალონ, მთავრობასთან უჩივლონ, ამცნონ მეფის კანონსა და პრისტავის მათრახს გააგდებინონ. ისიც კარგად იცოდნენ, რომ ეს ფშაველი ახალგაზრდა მუხას ჰგავს, პატარა არავი ვერ წააქცევს, დიდმა ქარიშხალმა უნდა მოჰგლიჯოს, ადრე სად იყო თონეთში ამდენი უბედურება — გუშინ ბადალაანთ ყევარი კლდეზე გადაჩეხილა, ნაცვლიაანთ ფურს ცალთვალა ხბო მოუგია, ყავრიანთ ადგილებში თუშ მეცხვარეებს კი შიშით თავზე ქუდი არ უჩერდებათ — ბატკანს ციკნის ყურები და კატის კუდი გამოჰყოლია, თურმე ძაღლივით იყეფება. ამას წინათ, კიდევა, თაყნიაანთ ბერიკაცი ლამის ჭკუიდან გადამდგარა — მთვარიანში ურმით მოდიოდა და მიტოვებულ კალოზე ეშმაკების ქორწილს გადაჰყრია. სახლში შიშით აბაბანებული მოსულა — შეულოცეს, ნახშირიც გადააყლაპეს, მაგრამ ხურვება მაინც ვერ გამოუნელეს. ეს ეშმაკები ამ უჩიტელმა ჩამორეკა ფშავის წარმართი მთებიდან. თვითონ ხომ არც ეკლესია იცის, არც მირონცხება და არც ამაღლება.

მღვდელი პატარა ტანისაა, ლაპარაკის დროს გრძელი ტუჩები ცალ მხარეს გაურბის და ჩალისფერი წვერი სასაცილოდ უტოკავს ხოლმე.

დიდი ხანია, რაც ლუკას წვეთ-წვეთად უგროვებს საწამლავს.

ყველაფერი კი იმ დღიდან დაიწყო, როცა ტუნიანთ ვანამ სული დალია და ბანიან მიწურში ხუთი შიშველი ბალღი, ას წელს მოყრილი ბებერი და მწუხარებისგან ლამის შეშლილი ქალი ერთად აღრიალდა.

გომში ორიოდე ცხვარი ტრიალებდა და ისიც მკვდრის სულმა მოითხოვა.

განიერ ჭილოფზე თავად ვანაი ესვენა დიდის განცხრომითა და ნებივრობით. გლეხის სიცოცხლეს სიკვდილი სჯობნებია, მტრედივით გამოფრინდა ბნელი მიწურიდან ვანაის უცოდველი სული და დაღლილი ლეშიღა გდია ტუნიანთ უბანში.

წესი ქრისტიანულად აუგეს. ხუცესმა მატიტელაზე მიშვებული ინდაურივით რაღაც ირუტრუტა, ლოცვანი დახურა, მიცვალებული აკურთხა და წავიდა, რომ მეორე დღეს ისევ მოსულიყო.

ლუკა გზაზე შეხვდა.

დილა-სისხამი იყო.

მღვდელს იღლიაში ტუნიანთ ჭილოფი ამოეჩარა და იუდასავით მიეპარებოდა მამლის ყიივილს.

ვაჟას განიერმა სილამ ლოყა შეუბრუნა და ქვის ყორეს მიანარცხა.

ამის შემდეგ, ხუცესი საყდარში ისე არ შეეიდოდა, ვაჟაზე საჩივარი და ანათემა არ შეეტანა.

განა არ იცის ლუკამ, ქრისტიანობა ქართველი ხალხისთვის რა იყო, მაგრამ ის ძველი წმინდა მამები სხვანი არიან და დღევანდელი წუწკი ხუცესები მათთან რა მოსატანია. თითო-ოროლას თუ დააქვს სინდისი. ეს ხალხი რაღამ დააბრმავა, განა ვერ ხედავენ დიდ მარხვაში როგორ სუქდებიან, როგორ აბრუებენ ჭრელი ტყუილით, როგორ ჩაუჯდებიან ხოლმე გასაპარსად.

იმიტომ არ უნდათ, რომ წიგნმა თვალები აუხილოს, მზეზე გამოიყვანოს ათასი მაძღრისა და მშიერის საჭმელი გლეხი.

ამ ეკლესიასაც კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოებას რომ აუშენებია, ქართული არა სცხია რა, რუსული სინოდის ჩინოვნიკივით ცივია და ბნელი.

მაშ, რახან ეგრეა, დანარჩენი ლუკას „აინალმა“ თქვას...

კედლიდან თოფი ჩამოხსნა, ტყვიები წამოკრიფა, ჯიბეში ცარცი ჩაიგდო და საყდარის ალმართს აუყვა. ეკლესიის კედელზე მრგვალი ნიშანი დასვა. აინალის ქუხილმა ცაში ღრუბლები წამოაფრთხო...

ლუკას კარგი მსროლელი ეთქმოდა, ტყვიებს ცარცის წრიდან ქვანაშალი ჩამოჰქონდათ და კირის თეთრ მტევრს ნიავი აღმართზე მომავალ მამასახლისს, ნაცვალსა და ხუცესს სახეზე აყრიდა. მამასახლისი ახლა მართლაც ჰგავდა აშვებულ ქოფაკს იმ თავისი ჯაჭვის ჩხრიალითა და ბალნის აშლით, სიბრაზისგან სახეზე მძორისფერი დასდებოდა, ბარე ერთი ყეყარის გაწევით უსწრებდა წინ თანამგზავრებს.

როგორც იქნა, ამოუშვა სამივე ალმართმა.

ამასობაში ლუკას აინალმა ერთხელ კიდევ შეჰყეფა საყდარს.

— ეს რა ამბავია, მამაო, — ხუცესს შეხედა მამასახლისმა, — ხალხი რას იტყვის?

— მაშ, მაშ, რას იტყვის, — ხელთოფიან ლუკას შიაბჯინა მზერა ნაცვალმაც, — ესლაე აქ მოდი და ეგ თოფი მომიტა, თორემა...

მამასახლისი ჯერ კიდევ განზე იდგა ხელისუფლების ძეგლივით, მისოლოდ ამღერეულ შუბლზე გადასდიოდა ჭირის ოფლი.

ლუკამ აინალი მზარზე გაიდო და ფართო ნაბიჯით წამოვიდა დათა ბადალაშვილისკენ.

— არ დაგავიწყდეს, რო მამასახლისი ვაარ, — ჯაჭვი შეარხია დათამ, — ახლა უკვე ორი მტერი ჰყავს ვაჟას, აქეთ სოფლის მთავრობა, მაძლარი ბობოლა, იქით — ეკლესია. ან ერთი მოიქნევს აქედან, ან — მეორე.

ამას სხვა ამბავიც დაემატა.

ერთხელ, დილით, გაკვეთილიც ჯერ არ დაწყებულიყო, რომ აღმართზე მამასახლისი ამოქანდა, კამეჩივით შეერია შეგირდებში, ერთი იმათგანი ყურით გამოათრია და ისეთი სილა სტკიცა, ლამის ხელისგული გაუსკდა.

მერე რა მოხდა, ყველაზე კარგად ვაჟას მუშტებს ახსოვთ.

ლუკამ მამასახლისი ჯერ კარგად მიბეგვა, მერე ჯაჭვი ჩამოჰგლიჯა, დაბლა აყეფებულ ძაღლს გადაუგდო და თვითონაც გაქნეულ წიხლს გაატანა.

ბადალაანთ დათას, ეტყობა, გვერდების ქავილი აწუხებდა, თორემ სკოლაში რამ მოიყვანა.

შეგირდები რაღაცაზე წაკიდებულიყვნენ და მამასახლისის ბიჭისთვის ერთი კარგი სილაქი ეჩუქებინა ქვემოუბნელ მოსეს.

— როგორ თუო... — დაუღრიალა დათამ — სამართლის მომყვანიც მე ვარ და დამკრეფიცო...

საერთოდ ასეთი ზნე სჭირდა იმ მრუდე ვარსკვლავზე დაბადებულს — გლეხს ჯერ ენით ატკენდა რამეს და ამ გაცემულ სიკეთეს თავის მძიმე მუშტსაც ზედ დააწონიდა.

ახლა დაბლა ეგდო, ფეხდადგმული უხსენებელივით იგრიხებოდა და ცას შეჰყმუოდა.

ამ ამბის შემდეგ მამასახლისი ისე არ გადააფურთხებდა, თან ლუკას სახელი და გვარი არ გადმოეყოლებინა. ვისაც ბალღები სკოლაში დაუდიოდა, იმათაც წკეპლასავით გადაჰკრავდა ხოლმე მზერას და შემთხვევას ელოდა, რომ რაიმეთი გაემწარებინა.

ითმინა ლუკამ, ითმინა...

ცოტა ხანში მთელმა თონეთმა იცოდა მამასახლისზე გამოთქმული ლექსი. ბადალაანთ დათას ვირის ყურები და ღორის თვალები ჰქონია, ულვაშზეც მუდამ ბუზი აზის, ნაცვლიანთ აშვებული ქოფაკივით დააყეფარუნებს მამასახლისის ჯაჭვსა, საქათმესავით ყარს და მორიელივით იგესლება.

იცის დათამ, იცის, ვისი კეტი სცემს — ეს ფშაველი აქედან თუ არ

მოიშორა, თონეთში არ დაედგომება, ამიტომ ბეჭებზე კუზიც რომ დადგას, საჩივრების წერას იქამდე არ მოეშვება, სანამ თბილისიდან კომისიას არ ჩამოუყვანს. ბლაღოჩინთანაც დაასმენს, პრისტავს კი ისეთ ამბებს მიუზიდავს, იქნება აქედან პირდაპირ ციმბირში ისროლონ. განა არ იცის დათამ, რას ელაპარაკება ხოლმე უჩიტელი აქაურებს. გლეხობა, ისეც ხმელი აბედია და რაღა კვესი უნდაო. ამას რო ჰკითხო, არც ხელმწიფეა საჭირო, არც დიამბეგი და არც მამასახლისი, ის კი არ იცის, ფ არას თუ შიშაკი არ უდგას თავში, ღრანტეში რო ჩაიხვეტება მთიდან დაძრული თოვლივით.

მართლაც, ხან სინოდში წკმუტუნებს თონეთის მამასახლისი, ხან წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში იღრინება. ხმა გუბერნატორსაც მიაწვდინა, — არიქათ, უშველეთ, თორემ ეს მთის ნაშობი ფშაველი ხელმწიფეს ჩექმაში სწვდომია და საცაა ტახტიდან ჩამოათრევს კიდეც.

აქამდე თონეთი სოფელს ჰგავდა, მიწასავით ჩუმი გლეხით, ძაღლითა და მამლით, მღვდლითა და ურიადნიკით, ახლა კი მამასახლისის გავლაზე ეს ტეტიები ქუდსაც არ იხდიან, თანაც ისეთი წვეტიანი მზერა ისწავლეს, გულში კარგს არ უნდა ფიქრობდნენ. სკოლა და შეგირდი კი არა, ბუნტოვშჩიკი უჩიტელი კატორღაში უნდა იგროვებდეს ჭკუას, სამი-ოთხიც სხვა უნდა მიაყოლონ, ვისაც ლუკა რაზიკაშვილი იოანე ნათლისმცემელი და თომა მოციქული ჰგონია.

ამდენ ქუხილს წვიმაც მოჰყვა. ვაჟა ჩარგალში იყო ასული. შეგირდები დათხოვილი ჰყავდა. თვალმა მოიშატრა დიდი ხნის უნახავი ფშავის წყალ-ჭალა. წერა-კითხვის საზოგადოებიდან იაკობ მანსვეტაშვილი გამოეგზავნათ შესამოწმებლად, თან მკაცრად გაეფრთხილებინათ, — წადი და ემაგ ჩანთით თონეთიდან სიმართლე ჩამოიტანეო...

იაკობი გამხდარი, შაღალი კაცი იყო, საცა დაბურთულ ნართს წვერი ჰქონდა საპოვნი, იმას მიუგდებდნენ ხოლმე. იცოდნენ, შეიძლება ეშმაკი მონათლულიყო, მაგრამ მანსვეტაშვილის კალამი იმას არ დაწერდა, რაც მის პატრონს თვალით არ ენახა, ყურით არ გაეგო და მისხალ-მისხალ არ დაელაგებინა.

ჩამოვიდა იაკობი, აწონ-დაწონა, მისხალ-მისხალ აკრიფა ყველაფერი და ამბავი ქალაქს ჩაიტანა.

— არ უნდა ექნა ლუკას საყდრის დათოფვა, არ უნდა ექნა...

და რახან გასროლილ ტყვიას უკან ვეღარ დაიბრუნებ, თონეთი დატოვოს, ისეც შავი ცეცხლივით უნთია წინ ამ სოფლის სახელი...

* * *

ვაჟა მღვდელ-დიაკვანს ისე როგორ გასცდებოდა, პირი გვერდზე არ შეებრუნებინა, მაგრამ ამ სამგლეთშიც ეგულებოდა რამდენიმე მართლა მოძღვარი, ვინც მრევლის ჭირ-ვარამს მკერდზე ინაყავდა და თავის სამწყსოს ავსა და ბნელს არიდებდა.

ასეთი იყო გიგო სონღულაშვილი. ახალგაზრდა, ლამაზ ხუცესს ლოცვითა და ცაში ცქერით გალურჯებოდა თვალები. უხდებოდა იასაქნისფერი თხელი ანაფორა, სავსე ფიჭასავით სულ თაფლად და ნათლად იწურებოდა, ხმაც ისეთი ჰქონდა, იმის გალობაზე გალმა აუდებულ ყინულიან მთას ცალი გვერდი ჩამოადნებოდა ხოლმე, ცოლიც ატმის ხესავით უყვავოდა. ჩარგლელებმა მალე შეიყვარეს, რადგან დაინახეს, რომ გიგო გულს ამოეყვანა ფშავში და არა ხუცესის ჯამაგირს. მერე და მერე კაფიებშიც გაიკვეთა ენა, არსად არც ხატობას გამოაკლდებოდა. მუდამ კეთილი ღიმილი ენთო სახეზე ჯალაფსაც.

— აი, მოძღვარი ეგ არისო, — იტყოდა ხოლმე კმაყოფილი ლუკა.

ერთხელაც წირვა აქვს გიგოს ჩარგლის პატარა ეკლესიაში. გალობას რომ მორჩა, ქადაგებაზე გადავიდა ყველა მოციქული ჩამოასახელა და ახლა ლუკას სახარებას ისე დაჰბზუის, როგორც ფიჭას ფუტკარი.

უსმინა ვაჟამ, უსმინა, — ეს რა რბილ ისრებს უშენს ქრისტიანობა ამ მართლა ცხრათავიან გველეშაპს, რომელსაც ოდითგან ადამიანისგან ადამიანის ჩაგვრა, მდიდრისაგან ღარიბის ქელვა ჰქვია. არა, ახალი სახარება მეფის, ნაჩალნიკების, დიამბეგებისა და სტრაჟნიკების სისხლით უნდა დაიწეროს.

— მამაო, — დააწია ვაჟამ საყდრიდან გამოსულ ხუცესს.

— ლუკას ვახლავართ, მიხარია, აქ რომ დაგინახავ ხოლმე, ერთი არეული ცხოვარიც შემოვაბრუნე-მეთქი უფლის ფარეხში, — გაიღიმა გიგომ.

ღიმილი ჰქონდა, ხართუთასავით ჩამტკბარი, რაღაც სიწმინდედ და სინათლედ დაეფინებოდა ხოლმე სახეზე.

ბოიშლებიან შინისკენ ფშაელები, ყურს უგდებენ იმათ ნაუბარს. გაბათლებული ხალხი, დახე, როგორ სხვანაირად ლაპარაკობს. განა იმათსავით საქონელივით შეჰბღავიან ერთმანეთს.

— მაშ, ერთ ლოყაზე თუ ალიყური აგაკრეს, მეორე მიუშვირეო, ჰა, მამაო, — მჭახე ხმით შესძახა ლუკამ.

— ყველაფერი პირობითია, სიმბოლურია რწმენაში, ვაჟავ, — ნე-

ლი, რბილი ხმით ამბობს ხუცესი, იმ თავისი სემინარიული რუსულით.

— არა, გიგოს შეშოველე, არა, ჩემი სახარება ის არის, ამ ბეჩავებს რომ თვალს აუხელს, მტერ-მოყვარეს დაანახებს, ადამიანურად აცხოვრებს, ხოლო ყველა მტაცებელსა და აფთარს ცეცხლში შერეკავს. საქართველოც მარტო ქრისტიანობამ კი არა, ამ სახატე-სალოცავებმაც შეგვინახეს, ამ ხევისბრებმა და დასტურებმა, ნიშებმა და სასანთლე საპებმა, ლუხუმის და ღაჯურას მსგავსმა კლანჭებდაცვეთილმა ვაჟებმა, სიბნელეს უნდა წავკიდოთ ცეცხლი, ხალხი შვილები ცოდნას დავანათლინოთ, მჭაბელი და მპარავი მივიშოროთ, ძმობას, ერთობასა და თავისუფლებას შევუწიროთ — აი, ლუკას სახარება, ფშაველებო...

— სისხლი სიცოცხლის წვენია, ლუკავ, სიცოცხლისა. მისი დაქცევა არ ეგების, თორემ ადამიანი აფთრად იქცევა, დაჩლუნგდება, დაბნელდება და მოყვასის სიყვარულს როცა დაკარგავს, ვინ იცის, რა ცოდვას დაატრიალებს, ვინ იცის, რამდენი უდანაშაულოს ძვლებს დაჰკვნეტს ის საშინელი აფთარი, — პირჯვარი გადასახა გიგომ და ცას ახედა.

— ღმერთო, მოდი სუფევითა შენითა...

— ამიტომაც გითხარ, ჩვენთან იყავ-მეთქი ემაგ ჯვარ-პატიოსნით, — გაიმეორა ვაჟამ.

— არა, ლუკავ, არა, დახე, უკვე როგორი სისხლის წყურვილით ღნავიან ეს აფთრები, დახე, რაებს წერენ იმ თავიანთი მრუდე თათებით გაზეთებში, როგორ მიათრევენ ილიას გოლგოთაზე, რა არის მაგათთვის საქართველო? ქადასავით დასჭრიან და, ვინ იცის, ვის ჩამოურიგებენ, შენ კი მეუბნები, ჩვენთან იყავიო. ჩემი გზა ტაძრისკენ მიდის, ლუკავ, და, ვინ იცის, იმათი საით წავა.

მოიშლებოდნენ ფშაველები შინისაკენ. მზე კი ლამაზად ჩადის კაწალხევას თავზე წამოყუდებული ბთის უკან.

— მართალია, მართალი, — გრიალებენ მთები.

— ლუკას სახარება გვინდა, ლუკასი, — ცას შესჭექეს ფშაველებმა, — სადამდე უნდა ვიაროთ სახედრებივით თავჩალუნულებმა?

— ხედავ? — მიუბრუნდა ვაჟა ხუცესს, — მორევიც წვეთისგან არის. შენ კი, ჩემო გიგო, ეს პატიოსანი ჯვარი, მტარვალების, ხალხის მწვალებლების სისხლში ამოავლე და წინ გაგვიძეხ, ჩვენთან იყავ!

— განა იმ ცხოვრებას, თქვენ რომ მომავალში ეპირებით, რწმენაღა დასჭირდება, ლუკავ? — ჩაფიქრებით თქვა გიგომ, — მოყვასის სისხლის დაღვრა ანტიქრისტეს მოავლენს ამ ისედაც ცოდვილ მიწა-

ზე. ძმა ძმას თვალებს ამოსჩიჩქნის, ცოდვა და გეჰენია მოედება ქვეყანას, თუ კაენმა აბელს კეტი მოუქნია. ძმათა კვლით მოპოებული ის ვერ აქნება, რასაც შენ საძართალსა და სამართლიანობას ეძახი.

— იმიტომაც გითხარ, შენც ჩვენთან იყავ-მეთქი...

* *

მომდგარიყვნენ ფშაველები აფხუშის კარზე. ხატობა აქვთ, დააქვთ დასტურებს ღაჭაურას მუზარადი. სვილისფერ ლუდს სმენ და ილხენენ. ცეცხლებიც დაუნთიათ. საარყე ქვაბებზე ნისლი ტრიალებს, საკლავი იხარშება და ორთქლი იძაბება ჰაერში.

ახალუხლებს ყაბახი ჩაუდგამთ და დიდი შედლუხი გაუმართავთ. უბრწყინავთ ხელში გახურებული მაჟარები, მაგრამ ტყვია ნიშანს გაურბის და მარტო გაღმა წამოყუდებული ბექი იჩიჩქნება აქედან ნასროლით.

ლუკა თავის ხნისანებში ზის, უყურებს ახლების წვალებას, მერე გაწუწდილ სასმისს ჩამოცლის, მზის ქვეშ ნაწოლი ვეფხვივით წამოდგება და ახალგაზრდა ფშაველს ეტყვის.

— მოიტა ეგ მაჟარი, ბიძაის კაცო!

შესჭექა ცას ლუკაის თოფმა. ტყვიამ „ლიშანი“ მოსხიპა, ჯერ ჰაერში შეაბზრიალა, მერე კი დაბლა ისროლა.

— ასე იცის, ბიჭმა, — ჩაეღიმა ვაჟას. ისევ დინჯად ჩამოჯდა საფიხვნო ლოდზე — მიმინოსავით ჟღალი, თვალწეეტიანი...

ხატობა აქვთ ფშაველებს, სმენ და ილხენენ...

ორთქლი იძაბება ჰაერში...

ტრიალებს ცარგვალი, მიიღვრება წუთისოფელი, ათას ხმაზე გალობს ჰაერი. მთვრალი ხევსურივით იბღვირება გორის თავზე წამომდგარი სამზერი კოშკი.

— ხატობას ხმარბილი ლოცვა უხდება, ფშაველებო, სმაც ზომიერი, სიმღერა და თამაში — ფიქრობს ლუკა და ცის ნაკიდურზე აცურებულ უგზო ღრუბელს გაჰყურებს.

შორიახლოს გაღმელი ჭრელა ჭირვეულობს. სასმელი მოსძალებია. სახე უგიზგიზებს, თვალებით სჩხვერს მიწას. ველარ ეტევა მთიდან მთამდე გაფენილ ველობზე. ყბებში ჩაგუბებულ რაღაც სიმღერას ღნავის, საჩხუბრად აღერილა და ხან ერთ ბინასთან მიეარდება ნიაღვარივით, ხან მეორესთან.

მიუბრუნა პირი მზემ, სახატის იქით წამომდგარ ტყიან ბექს გადაეფარა, წამოაფრთხო საყურს შეფარებული ნადირი.

ჭრელა კი ისვე სადღეგებელივით ქანაობს, ხანჯლის ვადას ფშვნის, მთვრალის მოკლე მზერა ცხელ შამფურებს უგავს და მაძღარი სვავივით დაბაჯბაჯებს

წამოდგა ლუკა. მიუვიდა ახლოს, ჩუმად უთხრა რაღაც — სულ თაფლივით დაწურული, მაგრამ ის საუნჯე ჭრელასი არ იყო.

— ვცოფდები, ბიძაის შვილო, ვცოფდები, — ასძახა ორი ადლით მასზე მაღლა წასულ ლუკას და ამ სიტყვებს ისეთი ყუათიანი გინება დააყოლა, მზვარეზე ჩამომსხდარმა ყვავილებმა თვალები დახარეს.

— შენ თუ ცოფდები, მე ვგიჟდები, — შეაგება ლუკამ და ისეთი სილა გააკრა, სიპსაც კი გაბზარავდა.

საწყალი ჭრელა ნაკრავმა მიწას მოსწყვიტა. ლეგა ფშაველი ორი ნაბდის გაშლაზე გაფრინდა, რბილ დეკიანში ჩაეცა და იმავე წამს ისეთი ხვრინვა ამოუშვა, თითქოს ხეობაში ფლატედან დაცურებული ღორღი ცვიოდა

თვითონაც ჩავარდნილა ვაჟა სასაცილო მდგომარეობაში. ეს თავსგადასახედი იმწინებზე შეემთხვა. სახლის ახლოს, აფერდებულზე ბოსტანი ჰქონდა თამარს. როცა კი დროს მოიხელთებდა, სულ მიწას ჩიჩქნიდა, ავ ბალახს არიდებდა იმ კეთილ ჭირნახულს. თურმე სულ ტყუილად, სულ ეშმაკის სამხიარულოდ.

გამოდის კარში ლუკა და რას ხედავს — მეზობლის ინდაურები დასცემიან ბოსტანს. რამდენიმე სვრელი გაუცნიათ, ახლა აქა-იქ მიქუჩებულან და რუტრუტებენ.

ვეფხვის ნაფრენი რომ გამიგია, ლუკას იქ გაჩენა იმას უნდა შევადარო. გამწარებულმა ჯერ მამალ ინდაურს უქნივა ხმალი, თავი წასწყვიტა და ახლა სხვებს დაერია.

ფხა ჰქონდა ლუკას გორდას, მზის სხივს შუაზე გასწყვეტდა. აბა ჭუკ-ინდაურს რას უზამდა ის მჭრელი, ბრაზიანი ფოლადით.

დიდ ბრძოლას დიდი სისხლი სდის.

გადაწითლდა ნაჭუკარი მიდამო.

ის იყო, დაღლილი გორდა ქარქაშში იკრა ლუკამ, რომ დაბლიდან თამარი ამოჩნდა, კაბის ქობა მაღლა აეკრიფა და ქართველი დედაკაცის უსიტყვო საყვედური მოჰქონდა ლუკასკენ, თანაც თალხი ღიმილი უცურავს სახეზე.

— ეს რა გიქნის, ლუკავ, — დაიკრა ხელი კალთაზე, — ავი ქარი ხომ არ გეცა, კაცო, ძლივს დავზარდე ეს ბეჩავები... ჩვენია, ლუკავ, ეს ინდაურები, ჩვენი.

— აქამდე ლუკა გამარჯვებული ცისკარი იყო და ამის თქმაზე ჩა-

მოლამდა, — სიცილით იგონებდა ამ ამბავს წლების შემდეგ უკვე ღრმად მოხუცებული, მაგრამ ჩარგალში ლუკას ცოცხალ სულად დარჩენილი თამარი, — ასეთი იყო, შვილო, ასეთი, არავის შეარჩენდა მრუდე სიტყვას და საქმეს. ერთხანობას ფშავ-ხევსურეთზე რკინიგზის გაყვანა თქვეს. ინჟინერი ამოსულიყო, საგზაო ალაგებს თუ ათვალიერებდა. ჩემს მამამთილს, პავლე ხუცესს, ჭალაში ნამყენი ვაშლი ედგა. მე რომ ლუკამ მომიყვანა, უკვე გაბერწებული იყო, ადრე კი მსხვილი, წითელი ვაშლი სცოდნია.

პატუჟენებიათ მუშები და ჯერ ტოტები ჩამოუკაფავთ, მერე ძირშიაც გაუჭდიათ ხერხი.

ამოუტანეს ლუკას ეს ახალი ამბავი. ისეც აშლილი იყო აბეშიკებზე და ახლა რომ სვილივით გამწარდა.

— დახე მაგათ რა ვუყო, — მეტყვის და შემომხედავს იმ თავისი ჟღალი, ვეფხვის თვალებით, დახე, რა ვუყოო... ვხედავ, არც „აინალი“ ჩამოუღია კედლიდან, არც ხმალი უჩანს წელზე.

რითაც ეგენი ხნავენ, მეც იმ გუთანს ჩავუდგამო, — თქვა და ჩავარდა თიანეთს. — მირავი სუდიასთან უჩივლა ინჟინერს, მეო, იმ ხელით ვაბირებდი ბალღებს, მოსავალით ერთი ამბარი მევსებოდა და ვიხღონო. უკან ამობრუნებისას ერთი ხურჯინი მართლა ჯიშიანი ვაშლი ამოიყოლა. ერთხელაც არ დაგვაკარებინა ხელი, უკლებლივ იმ ჩამოჩეხილ ტოტებქვეშ მოაპნია — ვითომ მოელენ და ნახვენ, რა მსხმოირე ხე წამიქციესო...

— უზღეს... — იცინის თამარი, — უზღეს ჩემ ლუკას, თხუთმეტი თუმანი ამომიტანა შინა, თან ამაყად გადის და გამოდის, როგორი ბიჭი ვარო, — მეკითხება...

— კარგი-მეთქი, ლუკავ, კარგი...

*

ჩრჩილი რომ შეუჯდება რასმე და ხრავს უპირ-უკბილოდ, ისე ჰყავდა ლუკას შეჩენილი ბაჩანა, სულ თავის ქებაში იყო ნიკო, — ფშავის ბაჩუა ვარ, რომ მწყადღეს, მთასაც გადავყლაპავ, ჩემი მომრევი ზღაპარში თეთრი დევიც არ დადისო... თუნდაც დავსხდეთ, ასე ძმურად, ჩამყუდროვებით და ვთქვათ, ვის უფრო კარგი ცოლი ჰყავს. რა თქმა უნდა, ჩემი ყველასას სჯობია, სიბრძნეში მარტო ცა და მიწა თუ შეედრება. გენიოსია, ნამდვილი გენიოსი, — ამბობს ბაჩანა და არ ვიცი, სჯერა, არ ვიცი, ხუმრობს.

ამ დროს სანდრო სიცილის შადრევნად იქცევა ხოლმე. ლუკამ ჰშამაღალი სიცილი არ იცის. ღიმილი მარტო ულვაშებს აუფუებს

ხოლმე, უწვრილდება მოჭუტულ თვალებში სინათლის სხივი და ეს სიჩუმე კიდევ უფრო აღიზიანებს ბაჩუას.

— აქა ხართ და თქვით, თქვით, ასე თუ არ არის...

ამ ხალისობაში მხოლოდ თედოა ცივი წყალი. თვალები უდუღს, ბაჩანას უბღვერს და ოხვრას მხოლოდ ამ რამდენიმე სიტყვას ამოაყოლებს ხოლმე.

— ვინა, ჩემი თიკო? აფსუს!...

უყურებს თამარი მაზლებს და უხარია. ხარლაღებს ჰგვანან, მზერაც ლარში გაგდებულ ისრებს მიუგავთ, პავლესა და გულქანის შვილებს — სიხარული თუ გინდა, ამ ოთხის ერთად ნახვა უნდა ინატრო.

სანამ ბაჩუა დაცხრება, ლუკა თავისას ფიქრობს — სად იფერფლები წუთისოფლისგან ჩამხმარო იავ, საცოდავო კეკე... ღამით შენს საფლავს რომ ვარსკვლავი ადგას, ლუკას სალი თვალია. შენთან ერთად მოუკვდა ახალგაზრდობის სიხარული. მადლობა უფალს, რომ შენს შემდეგ თამარი მისცა. განა ბალღებს ობლობა აგრძნობინა — დაუნთო კელაპტარივით და შემოისხა გარშემო, ლუკას ცალი მხარია თამარი, და, ლაშარის ჯვარო, დიდხანს უყოლე ეს ღვთისნიერი დეღაკაცი.

განა ცოლის ქება დაანაყრებს ბაჩანას. ამიტომ გაშლილ სუფრას ადრინდელზე მეტი ხალისით მიუჯდა, მაგრამ აქაც არ მოისვენა, გამოსჩმიტა ლუკას ფერდი.

წვეთის შეწუხებული კლდეც მინახავს და ლუკამაც ვეღარ მოითმინა, წამოუხტა ბაჩუას. ისიც თითქოს შურდულში იჯდა, გავარდა გარეთ და გაიყოლა გამოდევნებული ვაჟა.

— რა გინდა, კაცო, რატომ არ მასვენებ, — მიჰყვირის ლუკა ავაზის კამარით გაფრენილ ძმას.

— შენ რატომღა არ ასვენებ ტყის მცველებს, აბეშიკებს? — უკან უბრუნებს კითხვას ბაჩანა.

— კაცო, — ეუბნება ბაჩანა უკან მობრუნებულ ლუკას, — ჩემს მასხრობას რომ ხანჯლით დასდევ, შენსას რატომ აღარ იტყვი. დაგავიწყდა, რა დღეში ჩაყარე ის საცოდავი მთიბავები, ზეზე ვეღარ იყვნენ, ფეხები ეხლართებოდათ, შენ კი ლამაზად იწექ რბილზე და ცას შეჰყურებდი, დაგავიწყდა?

არა, ლუკას არ დავიწყებია ეს სალხენი ამბავი. მაშინაც სათიბში იყვნენ გასული. დაიღალნენ კაცებიც და ცელებიც. თანაც იმ ადგილებში ერთმანეთზე ჩაბმული, ღნიოში ბალახი იცის. ისეთია ლუკა, მოყვრის თვალით არ შეეხედება, ჩამომდინარე ოფლს მიაქვს, სოფლამდე კი ჩაკიდული დაღმართებია, სულ წელში მოხრილმა და მუხლჩატეხილმა უნდა იაროს.

საიდანლაც გაუჩნდა წითელი ეშმაკი ლუკას, გაუჩნდა და რაღაც უჩურჩულა.

ცოტა ხნის შემდეგ კი უკვე დეკიანში გდია, გველნაკბენივით იგრიხება, განწირული თვალებით ცაში ღმერთსა და ანგელოზს ეძებს.

კვდება ლუკაი, ფშაველებო, კვდება. მუცელს ერთმანეთში არეული ნაწლავების გორგალი თუ ჰგვრემს. თქვენი დედ-მამის ცხონებას, აჩქარდით, ლასტის საკაცე შეჰკარით, ზედ დააწვინეთ და თამარს ჩაუტანეთ, იქნება სიკვდილის წინ საკუთარი ჭერის ახედვა მოასწროს, იქნება ზიარებასაც ელირსოს (თამარის დაყენებული ცივი დო რომელ მირონს არა სჯობია?)

— ლუკაი კვდებაო! — გასძახეს მთებმა ერთმანეთს. დაბზრიალდნენ ფშაველები, შეცვივდნენ ტყეში და, სანამ აფრენილი ორბი ფრთას ფრთას შემოჰკრავდა, ლასტის საზიდარი მოწნეს, ზედა კიბეზე ნაგლეჯი ქუჩის, სამყურასა და ჩიტოულას მწვანე ლოგინი გაუშალეს... — დაწექ, ლუკავ, და იყუჩე, სად მისდიხარ, ვაჟო, იმ წვრილშვილს ვისღა უტოვებ, ვინ აჭშეევს ქერის პურსა, ვინ დაახურავს და შემოსავს? მოგიკვდეს ჩვენი თავი, ლუკავ, მოგიკვდეს, როგორ ჰკენესიხარ, როგორი სჩანხარ.

თავქვე მირბის ნიავიც, მაგრამ ვერ ეწევა ბილიკზე გამალებულ ფშაველებს...

თამარს ლუკაზე ადრე იმისი ცუდად ყოფნის ამბავი ჩამოუვიდა. მწუხარებამ ჩაუტეხა წარბი, მარტო გული კი არა, თმა-ნაწნავებიც კი სტკივა ამ უეცარი ელდით.

ქატო იქა, ფქვილი აქა, მკითხველო...

ლუკა რომ მაშინ იყო, ისე მყვანდე ამ წიგნის წაკითხვიდან კიდევ ასი წელი — ის იყო შეელვარენ სახედაღვრემილი მთიბავები რაზიკაანთ კარს, რომ ღობიდან მამალი რომ გადმოხტება, ისე გადმოფრინდა ლუკაი ჯერ კიდევ ძირს ჩამოუდგმელი ლასტებიდან.

— გიშველათ ლაშარის ჯვარმა, მგლისმუხლიანებო, — დალოცა მთიბავები და შეეფარა ბანიანი სახლის შუქ-ბნელს...

ერთი კვირა იცინოდა ამ ამბავზე წინა ფშავი.

— ეს ცალთვალა დევი მელიის ტყავში როგორ ჩაეტია, კაცო, აბა ერთი სარკეში კარგად ჩავიხედოთ, ბუს თავები ხომ არ გვაბიაო, — სიბრაზენარევი სიცილით ამბობენ მთიბავები და განზე იფურთხებიან.

ასეთია ვაჟა, ჩვეულებრივი, ამაზე არც მეტი, არც ნაკლები. ფშაველია, ჩარგლელი. გლეხი ზნითაც, ხასიათითაც, ოღონდ მაშინ არ ნახო, როცა ღმერთები მიუვლენ ხოლმე სტუმრად, როცა კალამთან მარტო რჩება და მზე და მთვარე გულზე უსვენია.

სადღაა მაშინ ლუკა. ეს უკვე სხვაა, და ამ სხვას ვაჟა-ფშაველა ჰქვია.

* *

მძიმე ცხოვრებამ, ბედთან ჭიდილმა ვერ ჩაუქრო ლუკას ბუნებით მომადლებული იუმორის ნიჭი. რამდენ ლექსს, რამდენ მოთხრობას ულიმის ვაჟასებური, მსუბუქად ნაქსოვი სტრიქონი, რამდენ პასაჟს ამშვენიერებს რიჟრაჟივით მხიარული განწყობილება. ჯერ მარტო „ჩხიკვთა ქორწილი" რად ღირს! ან კიდევ ფშაური მთვარის სიმფონია „ამოდის, ნათდება"! გავიხსენოთ! ზოგჯერ საესებით სერიოზული შინაარსის ლირიკულ ლექსშიც მზის ათინათივით გაიელვებს ხოლმე ხალისიანი იუმორი, რომელიც ხან მხატვრული სახის, ხატის ჩამოქნას ემსახურება, ხან კი, უბრალოდ, სულის სილაღის გამოვლენაა, წუთისოფელთან შეხუმრების, თავის მწარე ხვედრთან შეთამამების მაჩვენებელია.

საიდან მოგდგამს, ლუკავ, ასეთი ღიმილიანობა, იქნება მამისგან? იგონებენ, რომ პაველე ხუცესი ანაფორით თუმცა სანთლის მსახური იყო, მაგრამ დიონისესავით მხიარულიც ბევრჯერ უნახავთ. მართალია, ის კვირტი ბალღობისას მუდამ გაუჩერებელი, მუდამ ნიავზე გადამჯდარი და ენამოსწრებული ფშაველი ბიჭი ბოლოს პავლე ხუცესად იქცა, მაგრამ მერეც ენაზე მუდამ ფუტკარი აჯდა. ხშირად იცოდა ხოლმე თბილი იუმორით გულქანის მეტისმეტ სიკეთეზე საუბარი. როცა საიდანმე დაბრუნებულს შინ არ დახვდებოდა, ანაფორის კალთებზე დაიცემდა ორთავე ხელს და გარეთ წიწილებივით გამოფანტულ ბალღებს დაუძეხდა:

— არიქათ, შვილებო, აფხუშოს თავზე მგზავრი თუ გამოჩნდა და ჩემი ჯალაფიც კალთაახვეული ჩაეგება, — პურიოთ გშია, ბეჩავო, ჩამოხე და დანაყრდიო...

ჩარგალში ძმების ერთად შეყრა ხომ ერთი სანახაობა იყო.

უსხედან ხოლმე გაშლილ სუფრას, სახეზე ლალისფერი ღვინის ნაპერწკლები აცვივათ და იმათი ქილიკი, ხმამაღალი მასხრობა ფასანაურამდე ჩააქვს ჩარგლის ნიავს. სადგისივით ბრუნავს ბაჩანა, ხმიადივით იმტვრევა თედო. ნაბოლარა სანღრო ფოსტის მოხელეა, ქალაქური ზნე უჭირავს და სიცილიც მარაოს რხევას უფრო უგავს. სამაგიეროდ ლუკაა ხოლმე ჩუმად, მარტო ეს არის, ძმების ოხუნჯობაზე შუბლზე მირონი სდის და თითქოს პირქუშ სახეზე ღიმილის ნასერი დაეტყობა ხოლმე.

მაშინ ჯერ კიდევ ტანმომაღლო ბიჭი იყო ლუკა, როცა ეს ამბავი

მოუხდა. ზემო მხარეს რომ მიდიოდა და ერთ მეცხვარეს დაემგზავრა. თვითონ ჩუმად არის, მეცხვარე კი მიიხვნეშება ალმართზე, ბეწვიან ტყაპუჭში ჩაფლული, ნისლივით მიიწელება წინ და პატარა ფშაველს თავისი ბიჭობისას უამბობს, სად ლეკი გადმოუხტა და თავი ხმლით წასთიბა, სად კიდევ მთის ყელზე გადმოვლილი ქისტები მამალი ინდურებივით დაირეკა ფშავისკენ. ახლაც ყმადა მყვანანო — ზოგი ჯალას მიბლანდავს, ზოგს წყალი ამოაქვს, ზოგი კი საქონელში ^ა-ყენია. ასე იცის ბიჭმა, თუ ვარგიხარ, ვეფხვებსაც კი ციცებად გახდიო, ამბობდა მეცხვარე და თან მთებს ეტოლებოდა.

— აბა, შენ იცი, ვაჟო, — მიუბრუნდა ლუკას, — როცა გაიზრდები და დასდულდები, ჩემი ნახევარიც რომ დასდგე, ფშავს რალა უჭირს, ისეც ედემია და მერე ხომ ნატვრის ხეც აქ გაიხარებსო.

ლუკას თვალები უცინის, სახე კი მოტყუებულისა აქვს. ღმერთო და ლაშარის ჯვარო, ეს როგორი ხმაური სცოდნია ქარის წისქვილს...

— იმ წინებზე ღაჭაურა მესიზმრა, — არა ცხრება მეცხვარე, — დაბოცილ ლეკებში იდგა. ახლოს მისელა მითხრა. მიუვედ ფეხ-მუხლის კანკალით. გამომიწვადა თავისი ფარ-ხმალი.

— მერე? — ყელში გაჩრილი სიცილი ჩაიბრუნა ლუკამ.

— დედაკაცმა რასმე გამომაღვიძა, ველარ გამოვართვი, — სახეზე წყენა აიკრა მეცხვარემ, — ასე, ძმისშვილო, ცეცხლისმყლაპავი ვარ, ცეცხლისა, ერთ დღეში ორი თოხლი მინდა, — ერთი აქეთა ყბისთვისა, მეორე კიდევ — მეორისთვისა, მააშ, — დაბეჭდა ცეცხლისმყლაპავმა და ჩამავალ მზეს გახედა, — დახე, როგორ გადაიპარა გორის იქით, მალე ბინდი დაეცემა, ამ ქედობაზე ცივი ქარი იცის, ცეცხლი დავანთოთ და მივუწვეთ.

შეაგროვეს ფიჩხი, ხმელი ხის ამოყრილი ძირები და მართლა კოცონი გააჩაღეს. აცეკვდნენ ჩრდილები ცეცხლის გარშემო: ადგა იმ ადგილიდან სიბნელე და გავიდა განზე.

რიჟრაჟზე შურთხმა რომ დარეკა, ლუკა რაღაც ყვირილმა გამოაღვიძა, მერე დევის ძუნძულმა აატოკა გენია, გაახილა თვალი და რას ხედავს — იმ თავის ტყაპუჭზე წაჰკიდებია ცეცხლი მეცხვარეს, თეთრი სავივით ბაბანებს, ფრთებივით იქნევს გრძელ ხელებს და იქრობს ტანზე აბღატებულ ალს.

მანამ უგორავებია სიცივეს, სანამ ცეცხლის ენა არ მისწვდენია ტყავ-ბეწვზე.

ადგა ლუკაც. კალთაშემომწვარი გმირი ნაცარში შეგდებული კარტოფილივით კი გახუხულიყო, მაგრამ ცოცხალი იყო და ცოტა ნაწყენი.

ნაცეცხლართან ახლა ცხელი ნავლი-ღა ბუტბუტებდა და აბა იმას რას უზამდა, ისევ ლუკას შეუტია.

— რატო არ გამალვიძე, კაცო, ხომ ნახე რო ცეცხლი მეკიდა, ჰა...

— რად უნდა გამეღვიძებინე, — გაიკვირვა ლუკამ — აკი თქვი ცეცხლისმყლაპავი ვარო.

იცინოდა ორივე, კეთილი, ფშაური სიცილით, მიჰყვებოდნენ დაბლა დაშვებულ ბილიკს, რომელსაც ჯერ კიდევ ეტყობოდა ღამის ნადირის ნავალი...

სხედან ძმები მოლზე, მამაპაპური სახლის წინ. ღვინოსაც სმენ, სიმღერასაც იტყვიან და ბაჩანა ისევ ვაჟას უტრიალებს: თქვას ლუკამ, თქვას, როგორ იყიდა თბილისში ათ თუმნად ოთხი კიტრი.

იყო, იყო... არ მალავს ლუკა, სანდროსთან მიდიოდა, ხურჯინში ორაგულის ნაჭერ-ნათალი ელაგა. ხომ იცით, თევზის როგორი ჩახოხბილი იცის მარიამმა, შესჭამ და დილამდე თითებს გალოკინებს. ათთუმნიანი დაახურდავა და ვერას ჩადაბლებაზე ერთი ავლაბრელი კინტოსაგან იყიდა კიტრი. მოვიდა შინ და რას ხედავს. ჯიბეში კაპიკიც არ უზის, ისე ამოუფხეკიათ ქალაქელ ჯიბგირებს ლუკაის ქონება.

— უჯიბგირო ქალაქი და უმგლო ტყე ერთია, ძმაო, — ამბობს სანდრო, — ერთხელ მეც იმ შენი კიტრებივით გამფცქვნეს, კონკის ფულიც აღარ დამიტოვეს და სახლში სულ თოხარიკით მიველ.

— თქვენა ხართ ასეთი რბილები, თორემ აბა მე გამიბედონ, — ხანჯალს დაიცა ხელი ბაჩანამ, — ხომ იცით, შამილის ნაქონია.

— შამილს თურმე თავთან ეკიდა, ხალიჩაზე ხელს არავის ადებინებდა, რაზიკაანთ ნიკოს ვუნახავო, — ახლა თედომ აუკრა ჩილიკი ბაჩანას...

*

თამარი მაღალი, ტანჩამოსხმული ჰყავს ვაჟას. შიბს რომ შეიბამს, იქროს წყალში ამოვლებულ ნაწნავებს რომ მხრებზე გადაიყრის და ტუჩებთან მიჭუჭკული ლიმილით გამოხედავს თავის ლუკას, მაშინ ხომ აფხუშოს თავზე წამონთებულ ცისკარს ჰგავს. თეთრი გედივით ეაერევა ხოლმე ქალებში, ირხევა ალვის ხესავით, მიჰყვება ხილულ-უხილავი ნათელი.

შენ ცხონდი, გიორგა დიდებაშვილო, ასეთი დედაკაცი რომ გაუზარდე ლუკას გაჭირვებას, მის წვრილშვილობასა და მარტოხელობას.

ზის ვაჟა სამფეხზე, თვალით ჩხრეკს ნაკვერჩხლებს გამჭვარტლულ ბუხარში და წარსულს იხსენებს.

იმ ბედნიერ დღეს ბაჩანა ჩამოუვიდა მაღაროსკარიდან. ისეთ და-

რახტულ ბედაურზე ზის, ვერცხლით შეჭედილი ისეთი უნაგირი უდგას, უჩვევ თვალს მეფე ერეკლეს ვაზირი ეგონება. ტანად ბატარაა, მაგრამ ასეთი სიმარდე მხოლოდ ფოცხვრისა უნახავს ვაჟას საბალურის ტყეში.

ძმებმა უკვე იციან, რომ ზემოველ გიორგას სახლში გასათხოვარი ქალი უზის — დღისით რომ მზე შეჰხარის და ღამით — მთვარე.

— აჰა, ბადრი მოგიველ, — იცინის ბაჩანა, — თედო უსუპობას გვეპირება. თუ შენც იამირანებ, ყამარი ჩვენ დაგვრჩება... მაგრამ, ძმაო, ჯერ არსაით წამოგცდეს, სახლში ოთხი ცხვირპირგამურული ობოლი მიზისთქო. ჯერ ერთაი გამოვუჩინოთ, თორო გიორგაი ისეთია, აპრეხილი ულვაში ისედაც ცას მიუწვდება.

— ჩვენ ავიდეთ და იცის ბიჭმა, — ჩაიცინა ვაჟამ.

— ემაგ ფოლადიანობისთვის მიყვარხარ, ლუკავ, ემაგ ვაჟობისთვის, — ხარხარებს ბაჩანა, — არც მაყარი გყავარ ურიგო, მითხარ და შენი გულისთვის მთებს შევებმი.

შეკაზმა ლუკამაც თავისი ნიკორი, ხმალ-ხანჯალი შემოირტყა და ნეტაი როგორ იქნება, დიდებაანთ ქალს მოვეწონები თუ არაო, — კამოდზე მიდგმულ სარკეს შეეკითხა.

აუვიდნენ დიდებაანთ გიორგის. ბინის გარედან ტკბილი მოკითხვა შეუგზავნეს და მერეღა გამოჩნდა ნისლგადაყრილი მთა.

დიდებაშვილი თითქოს არაფრის გუმანში არ იყოს, თითქოს არ იცოდეს, რომ ეს ორი არწივი მიწაზე ტყუილად არ დაფრენილა. მაგრამ კაკაბი ჩარაზული კარის უკან ჰყავ და ანანურის ციხესავით უდგას წინ მოსულებს, თანაც სიპი ქვასავით შორს გაუკრა.

— ვხედავ, რო სადღაც მიხვალთო...

— ნუ გეშინია, ლუკავ, ერთი შალოცვით მეჭეჭიც არა რჩება, — ლაღობს ბაჩანა, — ხვალ კიდევ ამოუვიდეთ ღვინო-ჭედილით და მაშინღა ნახოს გიორგიმ, რო რაზიკაანთ სიტყვას ისრის პირი აქვს.

მიუვიდნენ მეორედ.

ცოტა გამლხვალიყო თოვლი მთაზე. ლილოჭრილებზე კესანესა და იებს ამოეყოთ თავი. გუშინდელი ცივი გიორგიც გაზაფხულის არავითით გამთბარიყო.

შეიტანა ბაჩანამ ის თავის განიერი მხარ-ბეჭი დიდებაშვილის დარბაზში... და იმ ნახევრად ბნელში მთვარესავით აზრიალდა. შეჰყვა ლუკაც, ზის გიორგა ფშავის პრეზიდენტივით, ენაწყლიანი ბაჩანა კი მართლა სენატორივით ლაპარაკობს — ხან იქიდან მიუდგება უხმო დიდებაშვილს, ხან აქედან, აბა, ჩვენს პატარა ფშავში რა დაიმალება, ჩიტმა ჩიტს რა უთხრა, ისიც ვიცითო. გიორგავ, ქალი გყავ გასათხო-

ვარი და თან რო ძმა ამომიყვანია, ვაჟა-ფშაველაა, ლუკა რაზიკაშვილი არ გეგონოსო...

მოკლედ, ასეო... უქალოდ აქედან წამსვლელები არა ვართო, — დაამთავრა ბაჩანამ და აწრიალებულ დიდებაშვილს ისეთი სახე უჩვენა, არაგვსაც კი აღმა შეაბრუნებდა.

— ბაჭანკალი მაინც მოგეგზავნათ, კაცო, პირის სანახავი მოგეტანათ — ყველას მაგიერად უკვირს გიორგის, — ქალსა მთხოვთ, თოხლს ხო არა.

დგას თურმე ამ დროს თამარი კარს უკან, ღიობიდან უცქერის ლუკას. აი, თურმე როგორი ყოფილა... მაღალი ჩანს, მხარკვერიანი, ბალიშად კი ეს განიერი მკერდი ექნება დიდებაანთ თამარს, ცალი თვალი გაჰფუჭებია, მაგრამ ლაშას უხდება კიდეც ასეთობა... ღმერთო დიდებულო, რას იფიქრებდა, რომ იმ გრძელი ლექსების მთქმელი ასეთი უბრალო ფშაველი იქნებოდა. ემაგ თითებმა თუ დაწერეს, კაცო, „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“, უკვირს თამარს და თვალს არ აშორებს ლუკას ნაჯაფ, დაშაშხულ ხელებს.

რაღა იქნებოდა... გიორგამ თანხმობა კი თქვა, მაგრამ ქალსაც შეკეკითხოთ, იქნებ რა არის, იქნებ გული სხვაზე უფრთხიალებსო.

— ქალო, თამარ, ვიცი, რომ ახლოს ხარ, უფრორე კარს უკან იქნები, — ჩატკბა დიდებაშვილი, — გამოხე და სათქმელი გვითხარ. ეს კაცი, — თავი ლუკასკენ გაიქნია, — ცოლადა მთხოვს შენს თავსა, გაჰყვები?

გაჰყვება, მამავ, გაჰყვება, მაგრამ ამის თქმას ხმამაღლა ნუ მოსთხოვ, ოდნავ ჩაიჭნია თავი თამარმა.

— ერთი ობოლი ჰყოლია, ქვრივი ყოფილა ლუკაი, გაჰყვები?

გაჰყვება, მამავ, გაჰყვება...

ახლა ტაბლას უსხედან — დიდ მზეს პატარა მთვარე მოუსვეს გვერდით, ცალ-ცალკე ხომ ხართ და ერთად თქვენს ნახვას რა უნდა სჯობდესო, შეუმღერა ბაჩანამ.

უხვი კაცია გიორგა დიდებაშვილი.

ჭედილა წამოაქცია, რქით მიწას ხნავდა. დოქით ქერის არაყი შემოდგა, მუნჯს აამღერებდა. სიმღერა თქვეს — ქვამაც ყური გამოიბა.

წამოიყვანა ლუკამ ის თავისი დედალი ხოხობი, ჩამააყენა ჩარგალს და მერეღა აფრინა თედო დასთან იმ სამი უდედოს გამოსაჩენადაც.

მოიყვანეს ობლურად ჭუჭყიანები, ობლურად ნახევრადმშივრები, ობლურად საცოდავები...

ოთხივე უბეში ჩაისხა დიდებაშვილის ქალმა, მიუტირა, მიუალერსა...

ეს რამხელა გული გქონია, თამარ...

ნამდვილი დედობა გაუწია დიდებაშვილის ქალმა ვაჟას ნაგრამს, თვითონაც ერთი ბიჭი აჩუქა, სულ ლუკას თარგზე მოჭრილი, სულ ლუკას ძაფითა და მახათით ნაკერი.

სახელად ვახტანგი დაარქვეს.

უყვარს ვაჟას, როცა თამარს კოხტად აცვია, როცა ახალი უხდება და ძველს კი ბებერი კიდობანი გადუშალავს ხოლმე.

— შენს თავზეც იფიქრე, კაცო, აბა დაიხედე, როგორი დახვალ, ჩამოიძენძები ხოლმე ღრუბელივით. ერთი ჩოხა მაინც იყიდე ქალაქში, ან ღუშელ თერძს შეაკერინე, ჩექმებიც აღარ გივარგა.

— შენ არარაი გაქვს და თვალი მაინც სულ სხვისკენ გიჭირავს, სხვის ტანშიშვლობა უფრო გაწუხებს, კაცი ხარ, ლუკავ, ღვთისშვილი ხო არა, — მოთქვამს თამარი და ლუკას დახეულსა და ძველს დასტირის.

მართალი იყო დიდებაშვილთა ქალი.

იმ დღესაც დუშეთისკენ აევლო ქალაქიდან წამოსულ ლუკას. ნიავი იხლართებოდა ფერდოზე შედედებულ ბალახში. ნასუქი საქონელი ცურ-მუცლით ცურავდა იმ სათიბივით აყრილ საძოვარში. დაიქნევდნენ ფურები საესე ჯიქნებს, თეთრი მთვარე უცურავდათ შუბლზე ჩარებს, მძიმედ იდგნენ მიწაზე ზავთიანი ბულები.

ეს ამოდენა საქონელი ერთი საბრის სიმდიდრე ყოფილა. კუნელის ბუჩქთან პატარა მწყემსი იდგა. თმაგაჩეჩილი, მინდვრის შვილსა ჰგავდა, ქამარში სალამური გაეჩარა და ამოვაკებულ ვაჟას გამოსცქეროდა.

საქონელი როგორ არ უნახავს, მაგრამ ასეთი რამ თვალს არ დაავიწყებია...

თორმეტი წლისა ვერ იქნებოდა ის ბეჩავი. საფრთხობელამ თუ გაიხადა და იმან ჩაიცვა: ძველი ჯვალოსაგან გამოჭღანული ხალათი, ქვემოთაც ეკალ-ბარდით ნაძენძი, ნაირფერი საკერებლით აჭრელებული შარვალი უჩანდა, მესტებიდან გამოყრილ თითებში მტვერი და აყალო ჩასჭედოდა.

აქ დაჰკარგვოდა წუთისოფელს, მაგრამ დიდი კაცივით კი დაჰყურდნობოდა საბრეს.

— ვისი ხარ, შვილო! — ხმა გაუწყლიანდა ლუკას.

— ბერდოანთი...

— ვის საქონელს უდგეხარ?

— ტოკლიკაანთს...

იცნობდა ქართლელ ბერდოს ვაჟა. იმაზე ღარიბი კენჭიც არ ეგდო

არაგვის რიყეზე. საქონლის პატრონთანაც კარგი ამხანაგობა და კეთილი მისვლა-მოსვლა ჰქონდა, მაგრამ არ იცოდა, თუ მის სიმდიდრესაც გველის ტან-ხორცი ესხა.

— სულ საქონელში ხარ?

— სულა, ჯერ ღამის მეხრედ ვედექი, ეხლა კი მწყემსადა ვყევარ, — სიამაყე გაკრთა ბიჭის ხმაში.

— ეგრე როგორ გამოგიშვა, კაცო, — აენთო ლუკა, — ან ღმერთი არ ჰყავ, ან ხატი?

— როგორა? — გაუკვირდა ბიჭს.

— შინ რომ მოხვალ, უთხარ, ახალი შარვალ-ხალათი გიყიდოს, წინდა-მესტები კიდევ ცალკე, თორემ ლუკამ თქვა, ჩვენი მეგობრობა გათავდება-თქო... ეტყვი?

— ვეტყვი, — დაჰპირდა ბიჭი, — ასე მითხრა აღდგომისთვის გიყიდიო...

— აბგაში რა გაქვს?

— ხმიადი და ყველი, გინდა? — სახე გაუთბა ბიჭს.

— არა, ძმობილო, დიდი მადლობა, — გაუღიმა ლუკას, — აჰა, დაიჭი! — და თამარისგან გამოტანებული ცივად მოხარშული დედალი და ნაზუქი შეაჩეჩა ხელში. მერე ახალუხის ღრმა ჯიბეში ჩაიყო ხელი.

ერთი კვირაა ეს ოქროს მანეთიანი დააქვს, გულქანისთვის უნდოდა წითელი ჩუსტები.

— ესეც შენა, — ხელში ჩაუდო ფული ტოკლიკაანთ მეხრეს, — შენ რამ იყიდე, მამაშენს არ მისცე, თორემ არყად გამოხდის.

— არ მივცემ, — დაჰპირდა ბიჭი.

ლოთი რამ იყო ქართლელი ბერო. სულ დუქნის კარებთან ეგდო, წიხლით ხან შიგნით შეიტანდნენ, ხან გარეთ გამოიტანდნენ ხოლმე.

მოუვიდა ლუკა ჯალაფს, ნახევარი სახე ბედნიერი აქვს, ნახევარი ჩამოსტირის.

უამბო თამარს იმ ტიტველა სიღარიბის ამბავი.

— ღმერთმა გილხინოს, ლუკავ, — ატირდა თამარი, — როგორ გაიმეტებენ ხოლმე ასე ადამის შვილს, რატო ან ცეცხლი არ დასწვამთ, ან წყალი არ დაახჩობთ?..

— რა უშავს, ჩემო ქალო, — აიყვანა ლუკამ ხელში პატარა გულქანი, — მალე ისევ ჩავალ ქალაქში და ისეთ ჩუსტებს ამოგიტან, უშენოდაც დარბოდნენ...

იცინის თამარი...

იცინის ლუკა...

იცინის ქედს გადმომდგარი მთვარე...

* * *

თუ ვინმეზე იტყვი, ლუკაზე თქვი, — გაიხდის და სხვას მისცემსო. აქაც ჩარგალში, ხევსგალმა რო მამისთვალა ცხოვრობს, ისეთი გაჭირვებული ნეტავ რამდენი გინახავს. წუთისოფელს ასე უთქვამს, წყალი გამოიცხვე, შენცა ჭამე და ცოლ-შვილსაც აჭამეო...

ზამთარია, ისეთი ზამთარი, რომ ყინვა სულ შაშვივით ჭახჭახებს.

იმ უბედურს კი არც თივა აქვს, არცა ჩალა სადმე უყრია. უბღავის საქონელი.

მიადგა ისევ ვაჟას.

ღმერთთან ვერ მივიდა და ისევ შენ უშველე — ახოტი გაუმართე. თითო ბულული გაიმეტონ და ამ საცოდავსაც გაუთენდება... მაგრამ ახოტს ხმიადი და არაყი სჭირდება.

— სადა მაქვს, ლუკავ, არაყი, — უკვირს მამისთვალს, — რაით უნდა გამომეხადა?

— ქერს მე მოგცემ, შენ მარტო საარყე დადგი.

— მართლა?

დიდი სიკეთე, ზოგჯერ ხომ პატარა საქმითაც ითქმის.

სიყვარულისთვის მოხვედი, ლუკავ, ამ ქვეყნად, მაღალი პოეზიისთვის მოხვედი, დიდ საკვირველებად მოხვედი.

ესმის თამარს ეს ყველაფერი და უჩუმრის ფიქრით ჩურჩულებს:

— ღვთის შვილია, ლუკაი, ღვთისშვილი. ჩვენს სანახავად კი ადაჟიანის ტანი და სახე დააქვს.

ჩარგალში, ხევგალმა, წამოყუნტული ბექის ძირას, ერთი ბეჩავი ოჯახი ცხოვრობდა. იმათ კარმიდამოზე სილარიბეს არც ცხვარი გაეპარსა, არც ფური მოეწველა, არც კალო გაელეწა. უფალიც თვალს არიდებდა იმათ გაჭირვებას. ვაი-ვაგლახით გაჰქონდათ თავი წლის თავიდან წლის ბოლომდე. არც შვილი მიეცა განგებას ამ უილბლო ცოლ-ქმრისათვის და შესტიროდნენ თავიანთ გაუქმებულ წუთისოფელს.

შეპბრალდა ღმერთს კაცი, გამოუგზავნა ანგელოზი და აიყვანა ცად.

დარჩა დედაკაცი მარტო. რა ცეცხლში ჩაიწვას, რა წყალში ჩაირჩოს, ან სამკვდრო პური რით გამოაცხოს, ან საშარხი ტანთ საცმელი სად უშოვოს ამ თავის კაცსა...

ისევ ლუკასკენ გაუწია გულმა. სხვა გულისაა ლუკაი, ისევ ის თუ გაულებს კარებს იმის გაჭირვებას.

„ტიალო, სიღარიბეე, ტიალო", — ბუბუნებს ვაჟა და კოდს ქერით უვსებს ცრემლებით მკერდჩამორეცხილ დედაკაცს, ნახევარი ტომარაც ახლადდაფქული გამტკიცული ფქვილიც გაუდგა დერეფანში და მერე თამარს გასძახა:

— ჩემი ჩოხა გამოიტა...

დამარხეს ის ცისა და მიწის გერი, ის ღარიბი ფშაველი, ლუკას პურ-არყით, ლუკას ჩოხით... კაწალხეველი მდიდრები კი ისევ იმის საკეთეს უღრენენ.

— აქვს და იმიტომა... ქალაქიდან თურმე პარკებით ამოაქვს ფულები, ართანასა და ახმეტაშიც ვენახები უმწიფს, მეზვრეც უყენია, აქ კიღევე, აგე, სათიბ-სამკალი და წისქვილ-საძოვარი...

მიუდის ეს ხმა ლუკას, მიუდის და მწარედ ჩააფიქრებს.

მარტო თამარი თუ ხედავს ხანდახან როგორი სევდა წაეკიდება ხოლმე სახეზე, როცა თავის ცოლ-შვილს ასეთ ყოფაში უყურებს — ნახევრად ფეხშიშველები ჰყრიან, ნახევრად ჩაუცმელები, წამოიზრდებიან და მოზვრებივით უნდა გახედნოს ლუკამ ფშაველი გლეხის მძიმე უღელში შესაბმელად.

აგე ვახტანგი, ნაბოლარაა, ლუკას სიბერის საკერებელი, მაგრამ ისიც კი გვერდში ამოიყენა, რომ საქმეს როგორმე აუვიდეს. აბა, რა შეუძლიან 9 წლის ბალღს? პატარა, ძვალ-სახსარი ჯერ არ ჩაჰკირვია, ხელში კი უკვე პატარა ცელი უჭირავს, მამასთან ერთად თიბავს დუყიანს.

მართლაც, გულისტკივილით იგონებს ვახტანგ რაზიკაშვილი ამ ეპიზოდს.

შუადღეა... ცხელა... გადიგრიალა ელიას ეტლმა, მაგრამ ცას წვეთიც არ გავარდნია, შორიახლოს ფურები სძოვენ, დაიქნევენ სავსე ცურებს, ფრუტუნებენ, ფერდებზე კუდებს იშენენ ბუზანკალას მოსაცილებლად... ლუკას ლეგა ჩოხა აცვია, კალთებაკეცილი, ძველი, უკვე ჭაღარა თავზეც ჭრელი ხილაბანდი წაუკრავს და განიერი სვრელი გააქვს, ოფლით ჩამოღარული, ფიქრიანი სახე აქვს. მხარს იქით კი ვახტანგი უდგას, გულდაგულ უშენს ცელს გაბმულ, ჯიუტ ბალახს.

იქვე, ახლოს, იფნის ხე მდგარა, სულ რომ ნიავი ეცელქებოდა და ტოტზე ველზე ნაფრენით დაღლილი ქედანი ეჯდა.

იმის ძირას ჩამომჯარა ლუკა. უყურებს, თურმე, უყურებს პატარა ბიჭისა და პატარა ცელის წვალებას.

წაუღია დიდი პოეტი მღვრიე ფიქრებს. რას ფიქრობდი იმ დროს, ლუკავ? იქნებ შენს განახევრებულ წუთისოფელზე? იქნებ სიკვდილის

წინათგრძნობა გეწვია და ბედისწერალმა რამ ჩამოგძახა ციდან? ან იქნებ შენი ერის შვილთა ცივგულობაზე აგემღვრა შუბლი?

რა გაგიჭირდა ისეთი, საქართველოვ, ქართლ-კახეთიანო, რიონ-ალაზნიანო, რაჭა-ლეჩხუმიანო, რომ შენს გენიოს შვილს ცელზე ღლი და გუთანზე ჰკლავ?

რამდენი ვაჟა-ფშაველა გყავს, რომ ერთისთვისაც ვერ გიპატრონებია?...

ერო თარგამოსიანო, იცან შენი დიდი შვილი, იცან, სანამ ფერდში გამჯდარი სენი თბილისში არ ჩაიყვანს, ჰოსპიტალში არ დააწვენს და თვალებს სამუდამოდ არ დაუხუჭავს...

* * *

იცნეს...

როგორც იყო, მადლობა ღმერთს. ბარმა მთა დაინახა, თვალხილული ყოფილა საქართველო, თვალხილული...

ლუკას იმერეთში იწვევენ, ასი „მობრძანდი" მაინც გამოუგზავნეს ლიხს-იქიდან. ტკბილი ადრესებით წინასწარ მოემზადებინათ.

წადი, ლუკავ, კალთა დაუკოცნე შერიგებულ დედას... მაინც შვილი ხარ და მაინცა...

მაგრამ ჯერ ბარი თქვი და მერე იმერეთი... მაგ ძველი ჩოხით წიფის გვირაბი არ გაგატარებს, ჯიბეც ცარიელი გაქვს.

— რა ვქნა, დიაცო? — მეათედ ეკითხება თამარს.

— არ ვიცი, ლუკაის ჭირიმე, არ ვიცი...

— ქალაქს ჩავალ, ავანსს რასმე გამოვართმევ რედაქციებს.

— შენ იცი...

მიხვედრილმა ქუთათურებმა შორიდან უწამლეს ლუკას გაჭირვებას — ახალი ჩოხაც მიართვეს და სამგზავრო ფულიც.

გამოეწყო იმ ახლებში. ისეთი, ისეთი, როგორც ვერცხლის ქარქაშში შავტარა გორდა.

შეხედე, თამარ, შეხედე, ზედმეტი ნაოჭი ხომ სადმე არ აყრია.

იღიმება დიდებაშვილის ქალი...

ლუკასაც წვერ-ულვაში უცინის...

— იცის ბიჭმა, და...

იმერეთი...

მხიარული, მზიანი, ქარიანი ქუთაისი...

ქაფიანი რიონი... ჯაჭვის ხიდი, ლოცვად გადმომდგარი გელათი...

დავით კლდიაშვილიც აქ არის იმ თავისი თხელი წვერით, კეთილი გულითა და მზიანი იუმორით...

ყველგან სიყვარულით შეხვდნენ, ყველგან ღიმილი და გაშლილი გული დაახვედრეს.

დგას ხოლმე სცენაზე მარჯვენა ხელაწეული, ტანჩოხიანი, ქობა-ახალუხიანი ლუკა და დარბაზში შეყრილ ხალხს ლექსად უყვება თავის ქართულ ფიქრებზე, ფშავურ წუთისოფელზე, ყვავილ-ბალახის ცხოვრებაზე, ცა-ღრუბლისა და ჩვენი რჩენით დაღლილი მიწის სიყვარულზე...

ნერც გამიწყრება პირიმზე,
ნურც დამწუეელიან იანი,
რომ მათის დედის ძუძუთი
ვსუქდები ცოდვილიანი...

— არწივია, არწივი, — გუგუნებს იმერეთი...

ლუკას მაღლა აღუპყრია თვალები, ახლა იქ არის, ღმერთთან, ღმერთთან თუ ღმერთებთან. მისი ომახიანი ხმა, მართლაც, დაჭრილი არწივივით აწყდება კედლებს.

სმენად მომდგარა მთელი საქართველო... ნეტავი შენა, იმერეთო, ბედნიერი ლუკას ნახვისთვის...

*

არაგვის ქალებმა გაახალისეს ნიკორი, ლალი ირემით კრეფდა მანძილს და ჯიქახევას ქედზე გადმომდგარი მზისკენ მიფრინ ვდა.

გაზაფხულის დღეა. მოწმენდილ ცაზე ერთადერთი ღრუბელი ფარფატებს, ისიც მზისგან შეწუხებული, გედის ფრთასავით თეთრი და მარტოობით დაღლილი. მიდის ნიკორი, ბესო შანიძის დუქნისკენ მიაფრენს ფიქრით დამძიმებულ ლუკას... ვერ იქნა და ვერ შეეგუვნენ ბარელები ფშაურ კილოს, არც ის აინტერესებთ, ამ მთებს რა უზარიათ და რა აწუხებთ, თავის რა სატკივარს იტყვის ხოლმე ეს ბებერი მიწა. რის მაქნისია, ვაჟა-ფშაველა გადმომდგარა იმ თავისი მთებიდან და სიბნელეს ეძახის, პრიმიტიულობს, ჩამორჩენილობას ქადაგებს ეს შუბლგაუხსნელი წარმართი. მისი გმირები ქართულ მწერლობაში ვერ დასახლდებიან, ეს სასახლე მათთვის არ არის, ისევ ხალხურის ღია კარში შეცვივდნენ და ფშავ-ხევსურეთიდან ფეხი არ მოიცვალონ, ასეთი იყო ლუკას ნაწერებზე კრიტიკოსთა მათრახივით აწნული აზრი.

იგვიანებდა საყოველთაო აღიარება... ბესოს ღვინით სავსე რუმბები ეყარა თვალიეურ დუქანთან, იქვე თვითონაც ბზრიალებდა, ხელფეხიანად საქმეში იყო, მაგრამ ვაჟას დანახვაზე სავსე მთვარედ იქცა.

— მომიხველ, ცალთვალა დევო? — შორიდანვე შეუძახა.

— მოგიველ, შე ქვეყნის მყლაპავო, შენა, — ცხენიდან ჩამოხტა ლუკა. — რასაც შენა ვაჭრობ, ქვასაც კი ფცქვნი და ოქრო მაინც გაგირბის, ქონი ვერ მოიკიდე, რათაო, ვერ იტყვი? — ღიმილმა გაუთბო სახე ლუკას.

— იმიტომ, რომ ეგზეკუციასავით ჩამოდგები ხოლმე დუქანში, — მიაგება ბესომ, — ეხლაც მოხველ და ეს რუმბები შემიშინე, დახე, როგორ მიჰხუტებიან ერთმანეთს!

— ბარაქალა, შენმა ნაკრავმა აჯობა, — ხელები ასწია ლუკამ.

ცოტა ხნის შემდეგ სახელდახელო სუფრას უსხდნენ.

გაჭრა შავმა ღვინომ...

უყურებს ბესო შანიძე, როგორ ეცლება მწვერვალს შემოხვეული ნისლები, როგორ ეწმინდება შუბლი და როგორ იძირება ლუკას თვალებში ფშავის ლურჯი ცა.

— ბესო, — დაიწყო ლუკამ, — გურული კაცი მოხვედ და ამ მთებმა გიშვილეს, უბეშიც მართალი გული გიზის და მითხარ, ეს ჩვენი ფშაური კილო მართლა კოჭლი მზეთუნახავია, თუ არა...

ლუკას ცალი თვალი უნათებს ბესოს გაოცებულ სახეს დუქნის ბინდ-ბუნდში, მეორეზე კი ჩამოხეული ქუთუთო ჰკიდია. ციმბირის წყლულის ნაიარევს ჩაუბნელებია პოეტის სახის ნახევარი.

— მაგას რატომ გეკითხები, განა თვითონ არ იცი? გაიკვირვა ბესომ, — აქაური ქართული შენსავით ამაყია და ჩემსავით უბრალო, ადრე, სანამ ხმას ფშავურად მოვუქცევდი, მარტო თვალი ხედავდა ამ უეხზე წამოშლილ მთებს, კლდეებიდან ჩამომხტარ ჩანჩქერებს, აქაიქ მიფენილ მზვარეებს, ქვეყნიერებაზე გაბუტულ ნისლსა და გრილოებში დაბადებულ წყაროებს, მერე კი მათი ხმაც გავიგე, მათ ფიქრსაც ჩავხვდი, ამაში, რა თქმა უნდა, ცოტას ვაჟა-ფშაველაც მომეხმარა..

ლუკას სიამოვნების ღიმილმა შეუთამაშა ულვაში:

— რა ვიცი, ძმაო, შენი დავიჯერო, თუ ქალაქისა, დაბლა ჩემი არაფერი მოსწონთ: არც ჩაცმულობა, არც ლექსის კილო და არც ნაწერის აზრი. ხომ გახსოვს, ადრე ილიას რა მისწერეს: ეგ ვიღაც ვაჟა-ფშაველა ყოფილა, თუ მაგის ნაჩხაპნებს კიდევ დაბეჭდავთ, გაზეთს აღარ გამოვიწერთ, ის თავისი ლექსები გომურში საქონელს უკითხოს, ჩვენ კი ისლა გვაკლია, ფრაკის ჯიბეში ნიორი გვეგდოსო...

— რას არ იტყვის გაბოროტებული შური! — მიუგო ბესომ, — შენ რა გული გაგტეხია. ველარა გცნობ, ლუკავ, ველარა გცნობ!

— არა, არა, — თავი გაიქნია ლუკამ, — მაგას ტყუილად ამბობ. იმას ნუ იფიქრებ, თითქოს ჩემი მაზანდა არ ვიცოდე, ზოგიერთი მარ-

თლა მრხაპნელივით მეც ღმერთის გერი ვიყო. არა, ბესოს ჭირიმე, შეილადა ვყავარ, საყვარელ შვილადა, — გაიცინა ლუკამ იმ თავისი ხმამაღალი, ჭახჭახა სიცილით, — მაგრამ ქვეყნის სიყრუე და სიბრმაქე მაკვირვებს...

— წყალნი წაელენ და წამოელენ, ქვიშანი დარჩებიანო...

— როდისღა, ბესო, როდისღა, როცა სიღარიბე წამაქცევს და დამრეცავს, მაშინა? ჯანი ეხლაც აღარ მივარგა, დამღალა ორწყალს შუა დგომამ. საქმეს ვაკეთებ, პოეზიაზე ვფიქრობ, საწერად ჩავჯდები და ოჯახის სარჩენზე მეზიდება აზრი...

— სად არის, ლუკავ, ქართველ საზოგადოებაში ამდენი შეგნება, მაგრამ ეს მითხარ, იმ ხუთ თუმანს რა უყავ, ბანკმა რომ თვიურად დაგინიშნა?

— დამცინი? — სიტყვა გაუმწარდა ვაჟას.

— არა, ლუკას სიცოცხლემ, — ხელები გაშალა ბესომ, — მართალს ვკითხულობ.

— რაღა დროს, ძმაო, რაღა დროს...

დაკარგა ლუკამ ის ხუთი თუმანი. დაიდო ბანკმა მისი შვილების ცოდვა. ლევანს, ასე თუ ისე, მიხედა, თბილისში ჩავიდა, ყველა ნაცნობს გზაზე გადაუდგა და, როგორც იქნა, გიმნაზიაში მიაღებინა. ჩარგალში რომ სახარე ნუკრიევით დახტოდა ლევანი, ახლა ნადუღი მაჭარივით დაჯდა, გულმოდგინებას უქებენ. ყოჩაღ, ვაჟო, ყოჩაღ, ტყუილად ჰგონია ზოგ მაიმახს, რომ გლეხის ნიჭი ჭრაქივით ბუჟუტავს, ჭკუაღაც თავში დამბალი ხაჭო უდევს და ამ ქვეყნად მარტო იმისთვის გაჩენილა, მიწა ოფლით გააძღოს. მერე ისიც არ დაგავიწყდეს, ვისი შვილი ხარ, მამაშენს ის მუშლიც ეყოფა, კალმის ხელში აღებიდან დღემდე თავზე რომ დასტრიალებს.

ქალებს კი ვერ მისცემს სწავლას ლუკა. ისევ ფშაურ წუთისოფელს დასჯერდნენ, დათხოვდნენ, კირკიტა ბიჭებით და თვალმზიანი გოგოებით გაახარონ დედა თამარი და მამა ლუკაი. რას იზამთ, ბეჩაებო, რას იზამთ, ვინმე სოვდაგრის ან ჩინოვნიკისა კი არა, ვაჟა-ფშაველას შეილები ხართ და მეტი არ გეკუთვნით. იქნება ასეც სჯობდეს, აღარ დაინახავთ ბარულ ორპირობას, სიყალბის ზეიმს, ვერც იმას გაიგებთ, ზოგი როგორი უნათლავი და უმადური შვილი ჰყავს ამ ჩვენ საქართველოს, როგორ თუხთუხებს ცარიელი ქოთანი.

აქ იყავით, მთაში, თქვენი მამა-პაპის სალოცავებთან, აქაური სიწმინდე ისე არ აიმღვრევა, კაცს თავზე ქუდი არ შერჩეს და დედაკაცს მანდილი, ბარი და სწავლა უფრო დაგღლით, გახურებულ თონეში ჩაგსვამთ, ადამიანის სიჭრელის ყველა ფერს დაგანახვებთ და ცხოვრებას შეგაძულებთ.

აქ იყავით ლუკას სახელზე დანთებული სამი კელაპტარივით...

შენა მარიამ, შენა თამარ და შენა, ჩემო გულქან...

ვახტანგი ჯერ პატარაა, მაგრამ ისიც სულ ლუკას სახიდან ჩამორეცხილი... ძალიანა მგაუს და ნეტაი ჩემი ბედი არ დაჰყვეს... ეხლა უკვე დიდები მყავხართ, საქმეს არ ემალებით, დედაც ჯარასავით გიტრიალებთ შინა და მე გამიშვით... ერთი წლით პომინატრეთ. წავალ, დიდ ქვეყნიერებას ერთხელ კიდევ თვალს გადავავლებ, იქაურ ამბებს ქითაბში ჩავილაგებ და მთელ ამ სიმდიდრეს სულ ჩემს მომავალ ლექსებს ჩამოვუტან, კალამს გავიმდიდრებ, რამდენიმე პოემა კიდევ მაქვს უზურში და იქნება იმათაც ხერხემალი გავუმაგრო, თორემ ფშაური ამბები მეც მახოხიევით მომწყინდა. არ მოგწონთ, განა, ბატონებო, ვაჟას ფშაურად ნამღერი? კეთილი და პატიოსანი. იქიდან დაბრუნებულმა ისეთი შაირები უნდა მოგართვათ, ყველა ლექსი ქერა ევროპელს ჰგავდეს...

გადაწყდა, თამარი ერთი წლით ცოცხალი ქმრით დაქვრივდება და ლუკას თანხმობას მისცემს. თუ რამ გაუჭირდათ, ძმები გარშემო არა ჰყავს! ისეთები არიან, ლაშარის მადლმა, გაჭენებულ ცხენს დაჭედავენ, ისე ჰყვანდეთ ჩემს მისვლამდე, რო დღისით მზე არ გაკლდეთ, ღამე — მთვარე.

რატომ იღვრიმები, თამარ, რატომ გიტირის ნიკაპი? დაგღალა გაზნა, ბეჩავო, ლუკას ვაჟა-ფშაველობამ, და ვაჟა-ფშაველას ლუკაობამ. დალოცა ღმერთმა გიორგი დიდებაშვილი, რომ ასეთი გულმადლიანი გაუზრდიხარ, შენ რომ არ ჰყავდე ხიდად ორ ნაპირად ქცეულ ლუკას, წუთისოფელი აქამდე სადმე მირიყავდა, ზედ შესტკებოდა და სიცოცხლეს გაუცუდებდა...

თქვენ რაღა მოგივიდათ, ქალაშავებო? — ისეთი რუსული ბაშმაკები ჩამოგიტანოთ, თავად თამაშობდნენ გარმონზე, კაი კაზაკური დარაიის საკაბეებიც ჩემზე იყოს.

იცინიან...

მამი, ჯერ არ წასულხარ და უკვე მოგვიხვედ კიდეცო...

აემგზავრა ლუკა. ეჭვი არ ეპარება, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ერთი წლის სტიპენდიას არ დაამადლის. ბოლოსდაბოლოს ეს ფული ლუკას ქონიანი დუქნებისთვის ან აფეთქებული შამპანურით თავმომწონე რესტორნებისთვის ხომ არ უნდა, საქმისთვის სჭირდება, დიდი საქმისთვის — ერის პურს თუ გიცხობთ, ფიჩხის მოსატანადაც გაუშვით.

თვის თავზე თხოვნაც ჩაიტანა ქალაქში.

ახედეს, დახედეს — ლუკაა — ისევ ის ძველი და ბნელი ნაბადი, ქა-იქ რომ სინათლეს უკრავს ნისკარტი, ისევ ის ირმის ყელის ყა-

ბალახი, ყელიანი მესტები და ქარქაშიდან ამოწვდილი სატეარივით გაშიშვლებული მზერა.

მაინც ვერ იცნეს...

თუ ლუკა ხარ, ეს რა დაგიწერია, ხომ იცი, გომს შეჩვეული საქონელი იალაღზე რომ აღარ გაიგდება, ეს რა მოგიგონებია, იქნება სიზმარში ნახე და ცხადში გამოგყვაო.

ეს ხუმრობით. სინამდვილეში კი ეს ხუმრობა დიდის სერიოზულობით ჩაატარა საზოგადოებამ. შეიკრიბნენ, სკამები გასწი-გამოსწიეს, მაგიდაზე თითები აკაკუნეს, მძიმე შუბლები დაბლა ჩაჰკიდეს და ლუკას დამხრჩვალი ქათამივით მიუგდეს პასუხი.

— სტიპენდიები ჩვენ სტუდენტებისთვისა გვაქვს და შენ კი აბა წვერ-ულვაშზე ხელი მოისვი, რამდენი ხნისა იქნები.

ძლივს ამოიტანა ნიკორმა ჩარგალში ღუკა და ეს პასუხი.

უფრო ჩამმარდა წუთისოფელი...

ვაჟა-ფშაველასთვის არაფერი ემეტებათ სიღარიბის, სიშიშვლისა და შიმშილის მეტი. თამარს რომ ჰკითხო, ქალაქში ცარიელი წახვე და უფრო ცარიელი ამოხვეო. ეს ჩვენი გულქანი სიზმარში სულ იმ შენი დაპირებული წითელი ჩუსტებით დარბის, გაიღვიძებს და ფეხშიშველი გამოუდგება ხოლმე ხბორებს, გენანებოდეს, კაცო, გენანებოდესო .

ვასო აბაშიძე თავისებური ქოთქოთით შემოვარდა სახლში, შლიაპა სავარძელზე ისროლა, ცალ ფეხზე შემოტრიალდა და ქსოვაში გართულ საფაროვას თავი მდაბლად დაუკრა:

„ბონჟურ, მადამ, ბონჟურ“...

მაკო იმ თავის ქათქათა ღიმილს საგულდაგულოდ მალავს და ვასოს საჩვენებელი თითით უწყრება.

— კაცო, გამიგია, ხანმა სიბრძნე იცისო, შენ რაღა გემართება?

— ჯანდაბა და დოზანა, ქაჯან, — თავი იმართლა ვასომ, — ეტყობა, ბერიკად დავიბადე და ბერიკადვე მოვკვდები. აბა, შენ იცი, მაკოჯან, როგორ ხმამაღლა მიტირებ კუბოში ლამაზად გამოჭიმულსა...

— არა, მაინც სად შეგხვდა ის ავარა ბახუსი, აგრე რო გაუხდიხარ? — ყაისნაღი ააჩქარა მაკომ.

— ქოსების დუქანში, ქაჯან, სხვაგან სად უნდა ვყოფილიყავ, ისეთი შიქასტა ვთქვი, დუდუკი სულ ცრემლსა ყლაპავდა.

— კაცო, თეატრი არ გეყოფა. რო იმის გარეთაც არ ისვენებ?

— ჩემთვის, მთელი ქვეყანა სცენაა, ქაჯან, და მე კი, ვასო აბაშიძე ვარ, შენი გულისა, თანაც ასეთი თეთრი ანგელოზი აქა მყავხარ, სულ წამწამზე მიზიხარ შენის კაბა-ქობითა და რა დამაღონებს? არა ის თუ იცი, ვისთან ვიჯექ...

— აბა რა ვიცი, ქა? შენ იქ იყავ, მე აქა ვარ.

— ვაჟა-ფშაველამ მიგვიპატიჟა, ქაჯან, აი, იმან ფშაურ ლექსებს რომ ჰგალობს.

— ლუკა რაზიკაშვილმა?

— გამოცანა ერგება მაკოსა, — ახლა მეორე ფეხზე დაბზრიალდა ვასო, — უნდა გენახა, როგორ ამზევდა, როცა შენგან იმისი ნაწერების სიყვარული ვუთხარ... ძალიან გაიხარა, ფაიტონი სულ მაღლობით ამიესო და შენთან გამომატანა, თანაც კნეინას ხელზე ეამბორეო, მე კიდევ ტლინკები ავუყარე, რათა რა ურიგო ტუჩები იმას აქვს, რო ხელზე არ გავცდე-მეთქი.

— რას იზამ, — ფიქრობს მაკო, — აყარე, ჩაყარე, ვასო ვასოა.

ამის შემდეგ კვირაძალსაც არ გაუვლია, რომ ლუკა დრამატული საზოგადოების რამდენიმე წევრთან ერთად აბაშიძეების დიდ „ზალაში“ ფარჩის წითელ სავარძელში ყელამდე ჩაფლული იჯდა და მაისის ღამეში ბულბულივით აგალობებულ მაკოს მოკრძალებით უსმენდა...

ცოდვა შენდობილი სჯობია — ცოტა სხვანაირი კი წარმოედგინა ეს მთიელი, ვის სახელიც, აგე, რა ხანია, ყბიდან ყბაში გადადის. ეგონა, შავის კლდესავით შემოეყუდებოდა წინკარში, ტლანქი მთიელი, ის კი არწივივით შემოფრინდა. თანაც ამ გოლიათი სხეულის პატრონს ლომის ჰერალდიკური მოძრაობა კი არა, ავაზის არისტოკრატიული მიხვრა-მოხვრა აქვს. თანაც შინდისფერი ჩოხა უხდება. მტკიცე ნაკვთები აქვს, და ისეთი გასხლული ქართულით ლაპარაკობს, იქნებ არც დაიჯეროთ, რომ ის ფშაური კილოთი ნათქვამი ლექსები მისია.

— ხომ გითხარი, კლდის ვეფხვია-მეთქი, — არ ისვენებს ვასო, — ტყუილად კი არ შეაქო ილიკომ, — როგორ იყო, შენი გულისა, — მიუბრუნდა ვაჟას, — ჩვენ, ძველებმაო... ბრძენკაცია ილია — წინასწარ იცის მზისა და მთვარის პაემანი როდის იქნება.

გულით მოიღხინა ლუკამ ამ სტუმართმოყვარე ოჯახში. ხუმრობას ბოლო არ უჩანდა. კეისაბედივით იყო ცოლ-ქმარი, გაჰკრავდა ტალ-კვესს ვასო, აენთებოდა მაკო და ისეთ პასუხს დაუბრუნებდა, ჰაერიც ხარხარებდა.

მაკოს თვალები ვარსკვლავებად უნახავს ლუკას ფშავის ცაზე, მისი ნაბიჯით ნიავი დადის ხოლმე აფხუშოს სამკალ-სათიბში.

შეეჩვია წყვილი სანთელივით ანთებულ ცოლ-ქმარს. გული დაჰყარა.

— ეჰ, ჩემო ლუკავ, — ამოიკვნესებს ხოლმე ვასო, — მარტო ცალუღელა მონდომებამ რა ქნას, როცა ჩვენს დრამატულ საზოგადოებას ჯიბეში თაგვები უსხია. თეატრი ერის სარკეა, მაგრამ ამ ოხერმა უფულობამ ესეც არ დაგვიბნელოს, არტისტები თვიდან თვემდე უხელფასოდ გვყავს, ტაშს ვაჭმევთ და ტაშს ვასმევთ იმ საცოდაევებს, — მწარედ ჩაიცინა აბაშიძემ.

— ვიცი, ვიცი, — ხმადაბლა თქვა ვაჟამ.

— იცი და გვიშველე, კაცო...

— მე? — გაუკვირდა ლუკას.

— შენა, შენს დიდ სახელს შევარხევთ და ეგება მწიფე და კარგი დავაყრევინოთ.

— ეს ერთი ჩოხა მაბადია და თქვენი იყოს, — გაიღიმა ვაჟამ.

— გეცვას, კაცო, გეცვას, ნუ იხდი, მაკო არ შემოვიდეს, — აქოთქოთდა ვასო, — ერთი კარგ. პიესა გვაქ — „ხევსურული ქორწილი", ადექ და სიძის როლი ითამაშე, რა დიდი ამბავი ამას უნდა, გაუსვი და გამოუსვი მეხტეები, აქა-იქ წაიმღერე კიდეც, აფიშაზე რო გნახავენ, ეგება მაყურებლებმა კედლები გაბზიქონ, მერე კი ძვალი ეშმაკს და ხორცი ჩვენა. დედოფლად მაკო იქნება, შეილოსა, — წარბები მაღლა ასწია ვასომ.

— ასეთი დედოფალი თუ გეყოლება, დიდის სიამოვნებით, — დასთანხმდა ლუკა, — მაგრამ ერთი კოცნა თუ გაჯუტკაცუნე, არ გეწყინოს...

— შეეჩვიე, ქაჯან, შეეჩვიე, რამდენჯერაც ჩემი მაკოი გამითხოვებია, იმდენჯერ რომ გული გამსკდომოდა, სადღა ვიქნებოდი, ერთხელ ჩემი სიდედრიც იყო, რამდენჯერმე კიდევ სცენაზე ისე კარგად მომიკვდა, იქაურობა ტაშმა დაანგრია.

ვაჟას სახელმა მართლაც მაგრად დაიჭუხა. აქა-იქ ეჭვმაც იფეთქა — ლუკაც მთიელია და სცენაზე ეგეც სანდრო ყაზბეგივით არ აბორძიკდესო.

არ ეგონა ლუკას, თუ არტისტობა ცეცხლში ასეთი შეეარდნა იყო. სცენაზე კამეჩივით დადის, მაკოს უბღვერის და კულისებში ახარხარებულ ვასოსაც სულ ცხელ-ცხელს უგზავნის.

ლეკურიც ისე იცეკვა, თითქოს იატაკზე წინდაწინ წებო მოესხათ.

არც სიმღერა გამოუვიდა — სიტყვებს უსასრულოდ წელავდა, ფრაზას ღეჭავდა და სათქმელი ახრჩობდა.

გულფიცხი იყო, ჩარგალში გულბრაზიანსაც ეძახდნენ. უპატიებელია ლუკაი, ძარღვებში გოროზი სისხლი უღრინავს და თუ აუგი დაგიმახსოვრა, თავსაც არ დაგიკრავსო...

ამ შრატიდან ყველივით ამოყვანილი სიმართლე ის იყო, რომ ვაჟა, მართლა, არავის შეარჩენდა შეურაცხყოფას, სხვისთვისაც ხმალი და ფარია. იმ ხანებზე ქალაქში მოუხდა ყოფნა. ვერის გზაზე ერთ წავკისელს ედგა დუქანი. მედუქნე მედუქნეა, მაგრამ ისეთი ხარბი, წარბგაუტეხელი და გაჭირი ჩანდა, დანარჩენები იმასთან ტაძრის მტრედები იყვნენ.

უპატრონოს რა გამოლევს ამ უსწორ-მასწორო ქვეყანაზე, იმასაც ეყენა სავაჭროში ერთი გამურული, მუდამ სამოვართან ჩაჩოქილი ბიჭი. დღე ისე არ გათავდებოდა, იმ საცოდავს ტირილით თვალებმოწირპლულს არ დასძინებოდა. აექავებოდა ხელი მედუქნეს და წაუსვამდა კინკრიხოში, ხანაც ისეთ პანღურს ამოუჭერდა, ერთი საბელის აბმაზე შეხტებოა ხოლმე ზევით.

მიდის ლუკა თავის გზაზე. წერა-კითხვის საზოგადოებაში რაღაც შელაპარაკება მოუხდა კოლოსავით აბზუებულ თანამშრომელთან და ახლა იმას ფიქრობს, ხომ არა სჯობდა, ერთი ფშაური სილა გაეტანებინა სახლში.

ამ უგუნებობაზეა და უღელს ნაჩვევი ხარივით მძიმედ მიაბიჯებს.

დუქნის კარებთან ის ჩვენი ნაცნობი ბიჭი ჩამომჯდარა, წინ ერთი დოქი ცრემლი უღვრია და მეორეც სანახევროდ ჩამოუცლია.

მოგიკვდეს მომზელი, ობლის კვერო...

ახლოს მიუვიდა ლუკა, თავზე წამოადგა ასლუკუნებულ ყმაწვილს:

— რა გატირებს, შვილო? — წყნარად ჩაეკითხა. ყვირილს ნაჩვევ ბიჭს ის ჩაჩურჩულებაც ცის ჭექად თუ მოეჩვენა, ფეხზე წამოხტა და თოფდამიზნებული ნუკრივით შეკანკალდა.

იმავე წამს დუქნის კარებიდან მსუქანი ვირთხასავით გამოძვრა წავკისელი მედუქნეც:

— გათავდა, ბიჭო, წყალკურთხევა. ეხლა შენ შემო, თორემ მამაჩემის თედუას ცხონებამა, ლავაშივით გაგაბრტყელო...

ღმერთო ჩემო, რა დიდი თვალები ჰქონია შიშს — ლუკას ორი დიდი ცივი მთვარე შეჰყურებდა.

ხურჯინი იქვე მიაგდო, ჩოხის სახელოები აიკვართა და დუქანში მთას მოგლეჯილი ლოდივით შეევარდა...

მედუქნეს გაქცევა მოესწრო, მაგრამ ელვას სად წაუვიდოდა? ლუკამ ტახტის ქვეშიდან გამოყოფილ ფეხზე სტაცა ხელი, გამოათრია,

საყელოთი მაღლა აბღუჯა და ისეთი სილა ჰკრა, ხმა დიდუბეში გაეარდა.

მედუქნე მგელივით აყმუვლდა. თვალებს აცეცებდა და გარეთ გასავარდნს ეძებდა. მაგრამ დუქნის ოთხივე კუთხეში ლუკა იდგა.

— მოერიე განა ობოლს, უპატრონოს, უნამუსოვ, ჩარჩო! — კიდევ ერთხელ დაჰკივლა შაგმა მოჩვენებამ და ახლა დაკრული მუშტით ჩამოუღო მართლა ვირთხის წინა ღოჯები.

— იცოდე, ეს ბიჭი ჩემი ძმისშვილია და სულ ერბოკვერცხზე გყავდეს, თორემ ამ აღდგომის შემდეგ ამაღლებას დაგიყენებ, — მიაძახა ლუკამ, ძირს აფორთხებულ მედუქნეს ფურთხი მიაგდო და გარეთ გამოვიდა...

— ნუ გეშინია, შვილო, ნუ გეშინია, ნეკსაც ველარ დაგიქნევს, — თავზე ხელი გადაუსვა ბიჭს, — აქა ვარ და ნუ გეშინია.

* * *

ალიხანოვ-ავარსკის შავი დროშა აფრიალდა საქართველოში. ჟანდარმებმა აიკლეს თედოს სახლიც. სოფლიდან სოფელში სიკვდილი დააბიჯებს, ცრემლი დაგორავს და სისასტიკე აბრიალებს თვალებს.

საზარელი ამბავი ამოუვიდა ლუკას ჩარგალში... ხელთუბანსაც მისდგომია სალდათი და ზარბაზანი. მის ძმას თედოს კარგად მოწყობილი კარ-მიდამო ჰქონდა ამ სოფელში. კარწინ ხეხილის ისეთი ბაღი გამართა, დღისით მზე არ სცილდებოდა, ღამით — მთვარე. თედოს ხილი გორის მაზრაში შორს იყო განთქმული. ლოყა უცინოდა სახლეჩ ატამს, ნიავის შემოკვრაზე ირხეოდა საკუთარი ნაყოფის სუნით გაბრუებული ხეხილი. იმ არემარეს ღვთის თვალი დასტრიალებდა და ადამი და ევალა აკლდა, რომ სამოთხედ გეწამა.

ფუტკარიც იმდენი ჰყავდა, სათვალავი აგერეოდა ან რიცხვი დაგელღებოდა.

მიწას უყვარდა თევდორე. რასაც ხელი დასდო, ყველგან ბარაქა ამოჩუხჩუხდა. არც ქართლული მარანი აკლდა კოხტა აივნიან-რიკულებიან, ჩარდახებით გაწყობილ სამოსახლოს და არც დათვის სისხლივით სქელი საფერავი. რქაწითელის მზით სავსე მტევნები ხომ მტკერს ორივე თვალით დააბრმავებდა და მოყვარეს წუთისოფელს დაუტკბობდა.

ესეც არ იკმარა. სოფლის ბოლოს, ჩალიანი ხევის პირას ერთი ჭაობიანი ალაგი შეიგულა. ალაგს ვამბობ, თორემ ის ადგილი წყლულივით აჩნდა მიწას, მწვანედ ლაპლაპებდა მყრალი წყალი, გომბეშოები ისხდნენ ბუერას ფოთლებზე და ლელში ქვეწარმავალი წიოდა.

აქაურები იქით ჩაელისას პირჯვარს გადაიწერდნენ ხოლმე — ციებამ არ დაგვცადოს, წყლის ავადმყოფობამ არა გვტაცოს ხელიო.

ეს აქაურები, თედომ კი სხვა ფიქრი და საქმე იცის.

ის ნაკვეთი რამდენიმე თუმანს აყიდვინა, მერე რეზინის მაღალყელიან ჩექმებში ჩადგა და იობი გააკვირვა იმ თავისი მოთმინებით. განიერი რუები გაუჭრა, ვინ იცის, როდიდან ადგილზე დგომით დასნეულებულ წყალს, საწრეტებად დასერილმა მიწამ მაღლა ამოიწია, სიმყრალე კი ხევში ჩაიქცა და დიდ წვიმებში მოვარდნილმა ნიაღვარმა ჩარეცხა.

სად ეცალა თედოს ოფლის შეწყმენდისთვის. ცეცხლი მისცა აწრიალებულ წელსა და ისლს.

ასე გამოხდა ხანი...

ნაჭაობარი დაჯდა და ახლა ის სახადმოხდილი მიწა ისე გამოიცქირებოდა, თითქოს ერთმანეთის გვერდით გაწოლილ ნიანგებს აევსოთ იქაურობა.

ერთი წელი კიდევ გავიდა...

უკვირდა იობს, უხაროდა ღმერთს...

იმ ნაჭაობარში ისეთი ვენახი გამოუვიდა ადგილზე დაუყენებელ თევდორეს, ერთ ბატონს რომ უვალოდ და უვახშოდ აცხოვრებდა.

არც შურს ეძინა...

— რატომაო, — ავი ქოფაკივით იღრინებოდა, — ასე მეგონა ეგ ფშაველი მარტო მაჟალოსა და პანტის დასარხევად იყო გაჩენილი და ეს ამოდენა ქონება-რისთვისაო...

ჯერ სავსე სკები მოჰპარეს, მერე ვენახი აუკაფეს. აკლებული ვაზი მარტო შაჰ-აბასს თუ გააცინებდა, ისე იყო მუხლგადაჭრილი და გადაზელილი.

გაიხარე შურო, გაიხარე, გასჭერ ქართულო ბირდაბირო.

არც ახლა უგმია უფალი იობს...

ისევ თედო იყო, სოფლის მასწავლებელი, ისევ ის მშრომელი თევდორე, ისევ გულსალი რაზიკაშვილი.

ალდგენილ ბაღ-ვენახს ღამღამობით თოფით უტრიალებდა, თუშ შეცხვარეებს ლეკვები დაატოვებინა და ახლა ლომის ბოკვრებივით დაძუნძულებდნენ ბაღის აღმა-დაღმა.

ამბავი ამოუვიდა-მეთქი ლუკას... შავრაზმელებს ზარბაზანი მიუყენებიათ თედოს სახლისთვის და ის კოხტა მარან-აივნები ქვად და ღორღად უქცევიათ. კიდევ კარგი, თვითონ წინასწარ გახიზნულიყო თავისი ჯალაბით.

— ეხლა ადგეს და ისოციალისტოს, — უთქვამს უფროს უანდარმს და ხეხილისთვის მიუშვერია ზარბაზანი.

ძმა ძმისთვისაო და ამ დღისთვისაო, — ლუკამ ნიკორი შეკაზმა, მცხეთაში არაგვს ჩაასწრო. თედოს, რძალსა და ძმისშვილებს უნდა იქ დახვედროდა, თორემ თედოს არც ღამე ჰქონდა, არც — დღე. ვინ იცის, რა იქნენო, ვინ იცის, როგორა მყვანანო...

აფსუს, ჩემო თიკო, აფსუსო...

ეს ბოლო სიტყვები დანგრეული სახლ-კარის გამოტირება თუ იყო...

შუადღე ჯერ არ გადახრილიყო, რომ ლუკამ ჯალაფი ამოუსხა... გაიხარა თეოდორემ...

გადი-გამოდის მამისეული სახლის წინ და ეხლაც იმასვე ამბობს:

— აფსუს, ჩემო თიკო, აფსუს...

— კაცო, და, მართლა ძვირი დაგიჯდა სოციალისტობა, — ახლაც არ ისვენებს ბაჩანა, — თქვე კაი ხალხო, — მიუბრუნდა ძმებს, — იმ კაცს რომ კანჭში სწვდით და ჩამოგდება მოუნდომეთ, მა რას იზამდა, ერბო-კვერცხს ხომ არ შეგიწვამდათ, მეფეა, ნაზირ-ვეზირის პატრონი...

— წაწყმდეს, წაწყდმდეს! — კალთაზე იცემს ხელს თამარი და თიკოს ამშვიდებს.

— ის როგორლა იყო, თევდორე, ნიკალას სურათი თავდაყირა რომ გეყუდა ბუხარში? ჩემო რძალო, აბა, გაიხსენე, ამ ჩემმა ძმამ, — გაიქნია თავი ლუკასკენ, — რა უთხრა აფიცერს?

— კარგი-ღა ბაჩუა, — სევდიანად გაიღიმა თიკომ.

— რა ვუთხარ და ყველა ნაგავს თავისი ადგილი აქვს-მეთქი, — ამიუგო ლუკამ.

— აკი ამიტომაც აჰკიდეს ჩვენს თევდორეს თორმეტი წლის სასპალნე. კიდევ კარგი რუსეთში ის რევოლუცია გააჩაღეს, თორემ ახლაც ციმბირში გვეყოლებოდა. ირმების მარხილით ივლიდა, იქაურ ქალს შეირთავდა და ეს ჩემი რძალი აქ უიმისოდ დაგვიბერდებოდა.

— აფსუს, ჩემო თიკო, აფსუს, — გაბრაზდა თედო.

იკვლებოდა საკლავი. მზე ლოკავდა დაღერილ სისხლს და სალუდე ქვაბების ხორხოცი, ცხვარ-ბატკნის ბღავილი, საქონლის ზმუილი ერთმანეთში ირეოდა.

სანთლები ლოცულობდნენ სახატე ნიშებთან.

ეწვანეზე ეყარნენ ქერის არაყ-ნახადის სავსე რუმბები. დედაწყლიანად აყრილიყვნენ ვალმა-გამოლმა სოფლები, ბატონის კარზე იდგნენ ხატს შახვეწილი ფშაველები.

ნისლი ფუსფუსებს მთის პირებზე, შორიახლოს ჩანჩქერი სცემს და კლდეების გუგუნი აწყდება შორეთს.

ნიავზე რაღა ვთქვა — ცელქობს, დადის კაბის შარიშურით, ყვავილებს ეალერსება, ჩოხის კალთებს უღეჯავს ხატიონებს, ხან კიდევ სათიბში გაინაბება, რომ ისევ ჩუმად და უხედველად მოვარდეს.

ბროლივით წკრიალებს ჰაერი, როცა ვინმე ფანდურის ლარებს შეარხევს და ან ღაჯაურას ბიჭობისას იტყვის, ან კიდევ მაჭანკლად და შუაკაცად სიმღერას მიუგზავნის მოწონებული ქალიშვილის მამაბიძებს.

ყელყელაობენ მთები, ყველას უნდა მეორეზე მაღალი გამოჩნდეს. დაღამდა. აბრიალდა მთვარე... შეუკივლეს ზარნაშოებმა ერთმანეთს — დაფრთხა სიჩუმე. აბაჯბაჯდნენ ხევებში დევები, ჯიჯახევის მორევიდანაც ალის კისკისი გაისმა. მოღრუტუნებენ სიბნელეში მაჩვები, სანთლებივით ციმციმებენ ცაზე ვარსკვლავები.

ლუკა გადმომდგარა სერზე და დაკარგულ ცოლ-შვილს შინ ეძახის.

— გაჩუმდით, შვილებო, გაჩუმდით, იქნებ შეშინდეს, ეგება შეინანოს და ეს ზნე დააგდოს...

— იპოვე? — გასძახა გუგულმა გუგულს.

— ვერა, ვერა — გაისმა გაღმიდან.

ღამე შუაძილში იყო. როცა თამარმა ბალღები შინ შეაფარა და ტახტზე თავ-თავის აღაგას მიაწვინა.

საწყალი ლუკა! დურა ტყავზე გაუხდელს მისძინებოდა, სახეზე მოუსვენრობა შერჩენოდა, ეტყობა, ძილშიაც ეძებდა ჯალაფს.

— ეს რა ვქენ, მე კალთადამწვარმა, ეს რა ვქენ, — წუხს თამარი და ლუკას თბილად წაახურებს.

ურემივით მოგორავ, გლეხის წუთისოფელო, სულ ფიქრით, სულ ტანჯვით, სულ დარდით სავსევე.

მარტო მთვარე იყო, არაფრისა რომ არ ადარდებდა, იჯდა ცერზე და ღამეს გასცქერდა.

სხვაზე მაღალი გამოჩნდეს — ხან ნისლის თეთრ ყაბალახს მოიგდებენ მხარზე, ხან მზის სხივებით ნაქსოვ გვირგვინს დაიდგამენ, ხან კიდევ გაკვირვებულები შესცქერიან ცას, საიდანაც არწივის წივილი დაეცემა ხოლმე სახატოდან ერთი გუთნეულის გაშლაზე დაშორებულ კაკბიან ბექობს...

ჩაჰბღავიან სანიშე ხარები მიწას — გუმანით თუ სცნობენ, რომ მალე ტყავ-ხორცად უნდა იქცნენ.

გრგვინვა რამ მოისმის კავკასიონის მხრიდან. ეს მკრეხელმა თუ უქნივა ურო ამირანის ჯაჭვსა და პალოს.

ფშაველი ტანთ უფრო გვიან გაიხდის, ვიდრე ნასუქ ხარს ჩამოატყავებს, თანაც ისეთის ხელოვნებით, რომ დანის ნასერი არსად ეტყობოდეს.

— ბატონის წყალობა მოგცეთ, ხატიანნო, — ისმის ახალმოსულთა შეძახილი.

— თქვენიანად, თქვენიანად, — ერთხმად შეაგებებენ და ისევ თავის საქმეს უბრუნდებიან.

ნიშთან თავხევისბერი დგას...

დაბერებულხარ ხარჯიხევო, ჰაი დედასა მტრისასა... დგას თავდახრით, წუთისოფლისგან ნაცვეთი სხეულით, სიბერისგან ყვითლად შეღებილი თმა-წვერით. სიბერე ლომისთვისაც სიბერე ყოფილა, რომ ასე უშლია და უნგრევია ერთ დროს ფშავში განთქმული ვაჟკაცი.

ზის ლუკა საარყე ქვაბთან და ამ ცოცხალ ზამთარს გასცქერის.

— ფშაველთ შვილებო! — ხატის დროშა შეარხია თავხევისბერმა, — გწყალობდეთ მახვეწართ ბატონის მადლი, შაიწიროს საკლავ-საპონი, სანთელ-ნათელი...

— ამინ!

— იმას დიდება და თქვენ დღეგრძელობა.

— ამინ!

— შაგერგოსთ მისი წყალობა!

— ამინ!

— ახლა კი სხვა მისმინეთ, მოძმე-მოყვარენო, ეს დღეები სულ მარტო ვიყავ და ლოცვით გასუფთავებული წავუდექ ბატონს.

— იდიდოს, იდიდოს!

— შაგბრალდი და შავეცოდე, თქვენაც ხომ ხედავთ, რა ცივმა ქარმა შამომქროლა, რომ აღარა დნება თოვლი მთაზედა, — თავზე წაივლო ხელი ხევისბერმა, — არცა ვდგავარ და არცა ვზივარ, თვალის ჩინიც დამიმოკლდა. სანამ შემეძლო, უფალია მოწმე, თავი არ დამიზოგავს ხატის სამსახურისთვის, ახლა კი მიწა მეძახის, ვენაცვალე იმის მადლსა, და თავხევისბერად სხვა უნდა თქვათ, ვისაც ფშავის ჭირი და ლხინი თავისად ექნება, მტერს არ შეუშინდების და მოყვარეს არ გაექცევის.

წამოდგა შვიდი ხევისბერი შვიდი დაფაფრული ლომივით, აქეთიქიდან ამოუდგნენ მოხუცს და მკლავი შეაშველეს.

სულ შენ გსატრულობთ, თეთრო სიბერევ, მოხვალ და აღარ გვინაბარ...

— თქვით-ღა, ფშაველნო, ვის ეხვევის თქვენი ფიქრი და გული... ახლავ თქვით, უსმურებმა, კარგად გასინჯეთ სასინჯარი, ხევისბეროზა სახინკლე ხორცის კეპვა არ არის.

აჩოჩქოლდა ბერი... აიშალა ხატობა...

— მე თუ მკითხავთ, — დროშა შეარხია მოხუცმა, — ლუკას ვიტყვი, რაზიკაშვილის, ვაჟა-ფშაველას, ფშავისა სხვამ ვინ იცის იმაზე წვრილად, ბარშიც ეთქმის სიტყვა და მთაშიცა, გვინდომოს და გვიპატრონოს.

— ლუკაი, ლუკაი...

— ვაჟია, ვაჟი...

— ვიცნობთ, ვიცნობთ...

აზავთდნენ ფშაველები და ათასობით ანთებული მზერის შუქში გახვეულ ვაჟას მიუვიდნენ.

ხატის სურვილს უარი არ ეთქმის. რას ჩაფიქრებულხარ, ლუკავ, რად ჩაგიხრია თავი, ფშავის ცალთვალა ღევო. რა ფიქრი გიხნავს შუბლსა და გინისლავს სახეს? აბა შეხედე, რა ნდობით შემოგყურებს ერი. მაშ, ადექ, რკინის ქალამნები ჩაიცვი, თავს ღაჭაურას მუზარადი დაიდგი და ფშავ-ხევსურეთის მტერს ვრიგალივით მიუხე, მთის ცივს გაატანე ყვავ-ყორნების ნაკრტენი და ბუმბული. მგლის მუხლი შაიბი, ლომის ნაკვთები აისხი და ერის სატკივარს წამალი უპოვე, უკვდავების წყალი აკურე მომაკვდავ საქართველოს.

წამოდგა ლუკა. მძიმე ნაბიჯით მიეახლა ხატის დროშას, მუხლი მოიყარა და კალთაზე ემთხვია.

ხევისბერებმა შუაში ჩაიყენეს.

— ფშაველნო, გაუმარჯოს თავხევისბერს! — იგრიალა ერმა.

— ხატის წყალობა ნუ მოგვაკლოს, ბატონის შეგვასმინოს, ლაშარის ჯვარი გვიდიდოს!

მზე აფხუშოს თავზე შემომჯდარიყო და იქიდან დაჰყურებდა ხატიონებს...

ლამაზ ქალს ჰგავდა,
ერდოზე გამოსულს...

ვაჟა დიდად აფასებდა ქვეყნისთვის თავდადებულ, ერის სამსახურში მარჯვენადაღლილ ადამიანებს. ხშირად იტყოდა ხოლმე — ეგენი რომ არ იყვნენ, ეს სოფელი მართლა მარტო ჭამა-სმისა ეგონებოდა კაცსა, მოგიკვდეს ლუარსაბი, საქართველოვ, რისთვის უნდა ვიწვოდეთ, და ჩვენ კი სტომაქს ჩავყურებთო.

ეს რა ქნა ილიამ, კაცო, ეს რა ქნა, რა გრძნეულმა კალამმა დააწერინა ეს საოცრება, მერე რა ღონიერი სიტყვა იცის, სავსე, თავთავი-

ანი, სტრიქონში ბელტივით მიწვენილი. დიდია ილია, საკვირველად დიდი — იტყოდა ხოლმე ვაჟა და ღრმა ფიქრებში გადაიკარგებოდა.

ალ. ყაზბეგის სიკვდილმა ხომ მკერდი დაუღარა. მერე რა საბრალოდ აღესრულა მთების ჰომეროსი, რა შხამი ასვა წუთისოფელმა. მხოლოდ იმას უყვებოდნენ მთები თავიანთ ჭირსა და ლხინს, თერგი უქუხდა სტრიქონში და საქართველოს მომავალს ზრდიდა იმ თავის დალოცვილი კალმით...

შვილო ტანჯელო ქვეყნისა,
სულ დალიე ტანჯვითა...

სანდრო ყაზბეგი რომ არა, ქართული მწერლობა სიმჩამოწყვეტილ ჩანგურს დაემგვანებოდა, ღმერთს თვალებში ვერ ჩახედავდა და ვერც რაინდული სულის იმ გაქროლებას იხილავდა, ასე რომ ამშვენებს მის ნაწერებს.

მშვიდად იძინე, სტეფანწმინდას, მთაწმინდის ღირსო, ერის ცრემლი მანდაც ამოგივა, ხოლო შენი ღვაწლი უკვდავი იქნება, ფიქრობს ლუკა და იგონებს ალექსანდრესთან შეხვედრებს, სურათის გადაღებას როინიშვილის ატელიეში.

თვალებზე ჯერ ცრემლი არ შეწმენდა ლუკას, რომ ახლა ეგნატე ნინოშვილი წააქცია სიღარიბემ. მასაც სველი კალამი დარჩა, მერე როგორ საჭირო, როგორი სიმართლით გაფხავებული. თავის დროზე მასაც უქნიეს თითი და უღერეს კეტი — ლამის არის ქართული მწერლობა ტეტიების სიტყვა-პასუხითა და შარვალ-ხალათით გაიცხოს. საცა ჭუჭყიან კონკებსა ნახავენ, სტრიქონზე უნდა გაფინონ. არიქათ, მოსჭერით თავი საქართველოს, ქვეყანას დაანახეთ, რა მუნი გვქავა და რა პარტახტი გვაყრია. ეს ვიღაცა ინგოროყვაა, სულ თავს გავიდა, თავზე ნაცარს რომ იყრის და იერემიასავით დასტირის გურიას, რომელი დაქცეული იერუსალიმი ის არსო...

აგე, ღარიბ გოგიას, უიშვილს, საახალწლო სუფრაზე ხაჭაპურიცა ჰქონია, მრგვალი დედლებიც და მისაჭმელ-მისატანებელიც. ერთი ბურვაკიც ხომ დაკლა... ღვინო კიდევ სხვა... მაშ რაღა გინდათ, თქვე დალოცვილებო, რომელი ღარიბი ესა ყოფილაო... თუ რამ წაართვეს — კანონმა წაართვა, ხემწიფესთან პირშავად ყოფნა ვის ეპატიება, ბეგარა და გადასახადი ვის შერჩენიაო. მაშ, რად გიკვირს, ლუკავ, შენი ბედი, როცა სიმართლის მთქმელს ქართული ჭიტლაყი არ ასცდება ხოლმე და შეკაზმული ცხენიც კართან უჭიხვინებს?

არა, ნინოშვილი მარტო გურიას არ დაჰკლებია — საქართველომ დაკარგა დიოგენიით ხელლამპრიანი, უნიჭიერესი მწერალი.

სხვაც კიდევ რამდენი...

ვინც დარჩა და ქართული საქმის გუთანში გაბმულა, იმასაც გულ-
ცივობის ისეთი სუსხი ეხვევა, ლამის ყველაფერზე ხელი ააღებინონ.

თუნდაც ზაქარია ჭიჭინაძე და პეტრე უმიკაშვილი ვთქვათ...

ეს ჩვენი ზაქრო, მეწვრილმანე ურიასავით რომ ზის ცხენზე და
ღმართ-დაღმართს ასდევს და ჩასდევს, რა დაჰკარგვია? ან პეტრე,
ან ხევსურეთში რატომ არის, ხან ფშაველში, ხანაც რაჭა-იმერეთში?

ორივე ნამცეც-ნამცეც აგროვებს, თუ სადმე ხალხის ნიჭს თავთავი
და მარცვალი დასცვივნია.

გაიგე, შეიგნე ესა, ტახტზე წამოგორებულო ქართველო ლუარსაბ!

თაყვანს სცემს ლუკა ამ ორსავე მამულიშვილს...

იმრავლონ და იბევრონ ამათთანებმა...

უღიმილოდ, როგორ მოიგონებს ვაჟა პეტრეს ხევსურულ თავგა-
დასავალს.

უმიკაშვილი ტანჰატარა, საყვარლად ბაჩუნა კაცი ბრძანებულა. კა-
თოლიკური ორი თითით იწერდა პირჯვარს და წვერულვაშიც წმინ-
დად ჰქონდა გაპარსული.

ცხარე კამათიც რომ ყოფილიყო, სანამ სიტყვას ათჯერ არ ასწო-
ნიდა, ხმას არ გაიღებდა, ბორძიკობდა, იტკეპნებოდა, მაგრამ იმის
ნათქვამს სამაგიეროდ ჭეშმარიტების ისეთი ბეჭედი ესვა, ერეკლეს
სიგელზე რომ გვინახავს.

საქმე რამ გასჩენია უმიკაშვილს ხევსურეთში — რამდენიმე ბალა-
და უნდა ჩაეწერა, სანამ ხალხის ხსოვნას არ დაეკარგა, ან კიდევ
დროჟამს ჭიუხების თავზე გაბმული ნისლივით არ აეშალა და გაექრო.

ამოუვიდათ ხევსურებს ეს უწვერულვაშო კაცი. მისდგომია ერთ
ბანს ბატონი პეტრე და ღამის სათევ-სადგომი უთხოვია ხევსურულ
წესსა და რიგზე.

უცლიან პეტრეს გარშემო ხმალზე ხელდადებული ხევსურები, თან
ჰქა-იქ პირჯვარს იწერენ.

თუ ადამიანშვილია, ხორციელი, ხმლისაა, თუ ეშმაკი — პირჯვრი-
სა...

ვერ მიმხვდარა უმიკაშვილი, რაზე გაბრაზდეს ან რაზე გაიცი-
ნოს...

გათენებით როგორ არ გათენებინეს. ცეცხლთანაც დასვეს, ხავი-
წიც მიუდგეს. ლუდიანი თუნგიც მიუჩოჩეს, მერე ამ ყველაფერთან
მარტო დატოვეს, თვითონ შორიახლოს ლეგა მგლებივით მიქუჩდნენ
და დილამდე არც სტუმარს მოუხუჭავს თვალი, არც მასპინძლებს.

გარეთ კი ზაფხულის ღამე განაბულა. მხოლოდ ნიავი გალობს და
ცაა ისეთი, სიმღერა აგმოხდება. საამურად ბიბინებენ ვარსკვლავები
და ხევისწყალი ებრძვის დაბლა ჩამოწოლილ კლდეებს.

ამ ამბავს რომ ჰყვება ხოლმე, ლუკა გულიანად იცინის და მერე ფიქრიანად დააყოლებს.

ასეთია ჩვენი პეტრე, ღმერთმა არც ჯანი გამოულიოს და არც მუხლი...

→

კარგ ყმად ვინა ვთქვათ. ვაჟებო,
ნათქვამ-ს არა გვრცხვენოდეს?!

იაკობ გოგებაშვილს აღმერთებს ლუკა. „დიდ იაკობს“ ეძახის და წინ მუდამ თავის ღრმა დაკვრით ეგებება. დიდი პედაგოგიც ამ დროს ხალისიანად შესძახებს ხოლმე:

— მთის არწივს ვახლავარ, როგორ ბრძანდები, ლუკავ, როგორ გყავ ჯალაბი, საქონ-საპოხი?

— კარგად, მოძღვარო, კარგად.

— უცნაური ძალა აქვს, ჩემო ვაჟავ, ნააკვნარ ალაგს, აი, მე სულ ქალაქსა ვარ, მაგრამ ისე მომენატრება ხოლმე ჩემი ღარიბი ვარიანი, ადგილს ველარ ვპოულობ.

— ნუთუ მართლა არასოდეს აბრძანებულხართ მშობლიურ სოფელში? — ეკითხება ლუკა.

— არასოდეს, რაც იქაურმა ციებამ დამცადა და ფილტვებში გამიჯდა, არასოდეს, — ნაღვლიანად თქვა გოგებაშვილმა, — ძაან ხაშმი ადგილი კი არის, ის ჩემი ვარიანი, იქაური ისლის სისინი ახლაც ყურებში მიდგას, ქარიც ხომ გაუჩერებელი იცის, მაგრამ მაინც მენატრება... ნეტაი შენა, რომ იქ ხარ, შენს მთებში, შენს ალუდასთან, შენს ჯოყოლასთან...

გრძელი, კეთილი სახე ნატვრამ გაუნათა იაკობს.

— იცოდე, ჩემო ვაჟავ, შენზე დიდი იმედი ჩვენს მწერლობას დღეს აღარა ჰყავს და ხელში სულ კალამი უნდა გიმღერდეს, წინ სულ მარგალიტები უნდა გეპნიო... იცოდა ილიკომ რასაც ამბობდა, ილიას ნათქვამს ადგილიდან ასი უღელა ხარ-კამეჩიც ვერ დასძრავს...

— აბა, რა მოაქვს ჩემს ნაწერებს, მისდგომიან ჩემს ფშაურ კილოს და წეწვაენ, ენას მილანძღავს, ცენზურა ხომ შამფურზე მატრიალებს, — გაიცინა ვაჟამ.

— ეგ ყველაფერი დროის ხავსია, — დარწმუნებით ამბობს იაკობი, — დროვე ბურნუთივით ჩაახმობს და ნიავს გაატანს, სამაგიეროდ მარტო მართალნი ცხონდებიან, — იაკობმა საჩვენებელი თითი მაღლა შემართა, — ხედავ, როგორ მეტყობა მღვდლის შვილი რომ ვარ და სასულიერო სემინარიაში მისწავლია. ისე კი ლუკა ისარლოვები ისე შერჩება ვაჟა-ფშაველას, როგორც ასწლოვან მუხას ზედ აბღატებული ფითრი.

გოგებაშვილისადმი მოკრძალებამ და რიდმა უქნა ლუკას ერთი სასაცილო ამბავი. გალავინსკზე იროდიონ ევდოშვილსა და შიო მღვიმელს გადაეყარა ჩარგლიდან ჩამოსული ვაჟა. უცოლო სანდროს ღარიბ სუფრას დუქანში სჯობიაო და მაიდანისკენ ჩაუხვიეს, მაგრამ დახე, ბედის ანცობას, პირდაპირ მათკენ მობრძანდება იაკობი, დინჯი, მძიმე ნაბიჯით, ტროსტის მსუბუქი დაბჯენით:

— ყმაწვილებს გაუმარჯოს!

იროდიონი დაიკლაკნა და მუცელზე ხელი იტაცა.

— რა დაგემართა, ყმაწვილო? — შეშფოთდა იაკობი. მიხვედრილი შიოც მაშინვე შეეხიდა.

— ისევ, იროდიონ? — ჰკითხა მწუხარე ხმით.

— ისევ... რაღაცა მიკუწავს ნაწლავებს, თავბრუც მესხმის...

— დილიდან ასეა, — უფრო ჩაიღრუბლა შიო მღვიმელი, — თავს არ უვლის და მეტი დამარწმუნებლობისთვის დაუმატა, — პაპიროსსაც ეწევა...

— შინ წავიყვანთ, — ფეხზე წამოდგა ლუკაც, — ბატონ იაკობს ბოდიში მოვუხადოთ, ყმაწვილებო.

— არ უფრთხილდებით, ახლგაზრდებო, ჯანმრთელობას არ უფრთხილდებით! — გაწყრა გოგებაშვილი.

— დიახ, არ უფრთხილდება. — ისევ იროდიონს შეხედა შიომ, — ეწევა, ხანდახან ღვინოსაც გეახლებათ, არავისი არ სჯერა, — და ხელები გაკვირვებით გაშალა.

— გააცილეთ, გეთაყვა, გააცილეთ და ფერდებზე თბილები შემოაკარით, ფეხებიც ცხელ წყალში ჩააყრევინეთ, უშველის.

— ნახვამდის...

— კარგად ბრძანდებოდეთ!

გარეთ მხიარულად ანათებდა მზე, ქალაქს თბილი ცა დაჰყურებდა, მტკვრის სანაპიროზე ორთაჭალელი მეთევზეები შლიდნენ ბადეებს... და ვიღაცა მღეროდა დედას ლევანას შიქასტებს.

— მესია ხარ, ნამდვილი მესია, — შეემხიარულა შიო ნაკრეფი ვაზივით წელში გამართულ ევდოშვილს.

— იცის ბიჭმა — ლუკას გადახედა იროდიონმა და ულვაშების ბოლოები აიგრიხა, — ცხოვრება რომ მარტო ძალა იყოს, კამეჩს უღელში ვინ შეაბამდა?

მიხვდა ვაჟა, ევდოშვილს იმასთან ადრინდელი ჭიდაობა და ბეჭებზე გაშლა ვერ მოენელებინა... ამიტომ ალერსიანად დაჰკრა მხარზე ხელი...

— ვაჟი ხარ, ვაჟი...

— ჯერ ღმერთმა შეგვინდოს და მერე ბატონმა იაკობმა...

ამის შემდეგ რამდენიმე თვე გავიდა. ზაქარია ჭიჭინაძის წიგნის მაღაზიის წინ დგანან ვაჟა, შიო და იროდიონი.

ხედავენ, მკლავგაყრილები მოაბიჯებენ აკაკი და გოგებაშვილი. იაკობს ტუჩ-პირი უცინის.

— რა ქენით, ყმაწვილებო, ხომ კარგად იქეიფეთ მაშინ, აგერ ახლა აკაკის ვეუბნებოდი. მეც წამოვიდოდი, მაგრამ ღვინოს გაგიმწარებდით, ხომ იცით, რა მსმელი და მოქეიფეც გახლავართ.

— აწი, ყმაწვილებო, სადაც ერთი თქვენი თქვათ, ორი იაკობისაც გააყოლეთ, — გადიხარხარა აკაკიმ და იროდიონს მიუბრუნდა:

— როგორ ხარ, ყმაწვილო, ხომ კარგად?

*

ჩაილია დიდი მეცხრამეტე საუკუნე. 1901 წელია. რას მოუტანს ეს ახალი ასწლეული ქართველ ხალხს, რას უმზადებს ბედი ტანჯულ საქართველოს? ჩასწვდება კი ქართველის ხელი ბაზალეთის ტბაში ჩაძირულს ოქროს აკვანს, ვინ მოუტანს ერს ცხრა ზღვისა და ცხრა ცის იქით გადამალულ თავისუფლებას, ვისი ხმალი გაჰკვეთს მაცილის ხელით ასხმულ იმ ჯაჭვს, რომელსაც „იმპერია“ ჰქვია? — ფიქრობს ვაჟა და შორეთს გაჰყურებს. თეთრი ნაბდებივით მიუყრიათ ნისლები ფშავის გოლიათებს და თავშიშველები დგანან ხატის კარზე მლოცველი ხევისბერებივით. მარტო აი, ის თოვლიანი უღელტეხილი თეთრი აქლემივით სულ სადღაც მიდის, მიდის და ისევ აქ არის...

ცუდი დროება ჩამოდგა, ძმისავე, ცუდი, ყველა თავისას ქადაგებს, ერი და ბერი ერთმანეთში აირია, ჩვენში, სადაც ორმა კაცმა პირი შეკრა, ყველამ პარტია დაირქვა, საქართველო კი დიდი ბოსტანივით შემოიღობა და შიგ საფრთხობელასავით ჩადგა, ჯობის წვერი კი ვაჟასაც ატაკებს — თითქოს მისი ნამღერი ქვეყნისთვის არაფერი იყოს, სულ მაჟალოს ბერტყავდეს და ერის სატკივარი ერთხელაც კი არ აეკვნესებინოს. თითქოს ვაჟას ლექსები მარტო კალმის გასართობად იწერებოდეს, ამ შეევარდენს კრუხის ნისკარტი ჰქონდეს, ხოლო თვითონ მთას ამოფარებული უბრიალებდეს საქართველოს მტრებს თვალებს. მისი არც კილო მოსწონთ, არც სიტყვის მუხლი და ძალა. აბა, რაღა დროს ეს არის, რომ ლუკა ფშაველამ საფლავებში მიძინებული წინაპრები ფეხზე წამოყარა, ხელში ისევ ფარ-ხმალი მისცა და მზეს დააწაფა — თითქოს ისიც ჩვენს დროში, რუსის ჩექმის ქვეშ არა სცხოვრობდეს, თავზე ცეცხლი არ ენთოს და საქართველოც თავისუფალი ჰყავდეს. აბა, რაღა დროს ქისტობაა, რომ ფშავ-ხევსურეთში

დადის და იმ თავის ლექსებსა და პოემებს კლდეებზე წერს ან ეს ყვავილ-ფოთოლთა ლირიკა ვის რას არგია, რომ ლამის მთელი საქართველო შვლის-ნუკრის დარდით გაავსო, ჩხიკვთა ქორწილი გამართა, ხმელი წიფელი ააბუტბუტა, თითქოს მართლა ცოცხალი რამ იყოს და არა ცულით ჩამოსაკაფი შეშა.

ენაც ფშავის ნიავისა აქვს ფარდაგივით ნაქსოვი. სხვისი ყელისთვის ისიც ფშავური დამბალი ხაჭოა და მეტი არაფერი.

ურქინეთ მთასა, ურქინეთ, — ფიქრობს ვაჟა, — ერთი ვნახოთ, წინ როგორ აგორებთ.

განსაკუთრებით აკაკის საყვედურმა დასწყვიტა გული. ადგილს ველარ პოულობდა, მთებს აწყდებოდა, სუნთქვა დაუმოკლდა და მკერდშიც ტკივილი ჩაუჯდა. კარგა ხანი კალმისკენ არ მიუხედავს, ფანდური არ აუჩქამებია. ისევ ჯაფაში პოვებდა შვებას, ნიავი ულოკავდა მლაშე შუბლს, ყვავილები თავისას ეტიტინებოდნენ, გარშემო მთები ეხვევნენ, თვალებით სჩხვერავდა მღვრიე სივრცეს და ისევ ვაჟა იყო ჩოლმე, ჯანით გაუტეხელი, მკლავით მოუღლელი, ორბივით თვალწვრილი და ყოვლისმხედველი.

განა რანიღა ვართ ქართველნი, რომ ერთმანეთისა არ გვესმოდეს, ქართული ხმანიც ერთი ჯიქნის ცურებია, ერთი ფესვის ამონაყარი და განა ფშაურ კილოს ისეთი რა სჭირს, ლიტერატურაში არ შეიშვებოდეს. უიმისოდ მისი ნაღვაწი ლუკა რაზიკაშვილის ნაწერები იქნება და არა ვაჟა-ფშაველას შემოქმედება. ჰაი, შე ხვადო ლომო, ყელფაფრიანო და ტანმძიმევ, რატომ ქალის ნაზი წელი არა გაქვს, შენი ხმის ამოღებაც ვულკანის ამოფრქვევას რატომ ჰგავს და არა ტურის კივილს? გადმოდგება ხოლმე ხარ-ირემი ფშავის მთებზე და მისი ყვირილი აღვიძებს ნაზამთრალ მიწას. მაშ რას ეძახის, თუ არა გაზაფხულს? ლუკაც ასეა და ასე იქნება, სანამ მისი სიცოცხლე მზეს შეჰყურებს, სანამ პირში სული სჩრია. და მაინც დღე ისე არ გავა, მის სახელს ვინმემ კალმის წვერი არ წაჰკრას — ვითომ რა არის, ხურჯინში რომ უსხედან ის თავისი, უკაცრავად პასუხია, პერსონაჟები, ეს უბირი გლეხები, ბრტყელი ფეხისგულებით რომ დატყაპუნებენ ქართულ მწერლობაში. ვისი ბრალია, თუ არა ლუკა რაზიკაშვილისა, ფაფახივით რომ ჩამოუფხატია ვაჟა-ფშაველას სახელი. რაღა დროს შუა საუკუნეების რომანტიკაა, როცა ევროპა ქერა ქალბატონივით მოსდგომია საქართველოს დაბშულ კარებს, ვაჟა კი წარმართივით უზის თავის სხვა სალოცავს, მისი პოეტური მარბიელი ფანტაზია ხან ქისტებს მისდევს მარჯვენის მოსაჭრელად, ხან სვილისფერ ლუდს აღულებს ხატობაში, ხან კიდევ დევების ქვაბში ყრის ასხმარტალებულ გველებს, რომ კაცობრიობას ვითომ სიბრძნის შეჭამანდი მოუ-

ხარშოს... ან თვითონ როგორი ჩამოვა ხოლმე თბილისში... მოდის და ზვავს მოაგორებს. ყაბალახად მთის ნისლი მოუგდია, ნაბდად ფშავის-შავი ღამე წამოუსხამს, მზერაც შიშველი ხანჯალივით უელავს. განა ასეთი უნდა იყოს ქართველი მწერალი? მიიხედ-მოიხედოს მაინც, სხვები როგორები დადიან, მტვრის ხსენებაზე გულარეული როგორი თეთრი საყელოები დააქვთ, ამან კი, მგონი, ტროსტის დაჭერაც არ იცის.

ყაზბეგმა ხომ ცხვრის ფარები და ფეხბანდულიანი მწყემსები შემორეკა ქართულ მწერლობაში, ახლა ეს ტანგაპობილი ფშავ-ხევსურები გვაკლდა თავისი საქონ-საოხრით.

ვაჟას იმწინანდელი ამბავიც გაახსენდა — ქალაქში ლადო მესხიშვილის იუბილეს იხდიდნენ. ლუკამ ყველაფერი გვერდზე გადადო, ნიკორი შეკაზმა და დაღლილი მზე უკვე მთაწმინდაზე იჯდა, როცა დილმის კარს მოადგა. თეატრთან ხალხის მორევი ტრიალებდა. ყველას უნდოდა, საყვარელი მსახიობისთვის თბილი ტაში დაეკრა, უსიტყვო მადლობა მაინც ეთქვა, მაგრამ იმ წყალკურთხევაში ვაჟას წვეთიც არ მოხვედრია — არა თუ მიიპატიჟეს იუბილეს თავკაცებმა, მოსაწვევი ბარათიც კი არ გაიმეტეს. წამოვიდა ვაჟა, თავჩაქინდრული, გულმოკლული. როგორც ჩანს, არაფრად უღირს საზოგადოებას, იწვის და არ ანათებს, არ ათბობს, თორემ რომელი კულტურული ერი მოექცევა ასე თავის მწერალს, თავისი ბედის გამრიგეს, თუ მისი ფიქრის აფრა მიაქნევს მას მომავლისკენ?

თაგვის ფხაკუნია, ლუკავ, ეგ შენი მწერლობა და მეტი არაფერი — აგე როგორი ჭიტლაყი გიკრეს. ვისი ხარ და ვის დაჰკარგვიხარ, ამ პატივცემულ გვამებში რა შენი ადგილიაო.

სანდროსთან ავა ვერაზე, ამ სირცხვილის წითელასაც იქ მოირჩენს, შინაურებში, თორემ ისე ამ ჩუმ დარდს ვერ მოერევა.

თათრის მოედანი სხვადასხვა ენაზე ყაყანებდა, შარვალდაბერილი კინტოები დუქნებთან ტრიალებდნენ, მეთევზეები წნელზე ასხმულ ცოცხალს სთავაზობდნენ გამყელ-გამომვლელს. ვაჟამ ერთი ასხმა იყიდა, ხურჯინში ჩაიგდო და აჯაყჯაყებულ კონკას შეახტა — იქვე კარებთან მიჯდა და მიიხვეტა ის თავისი ბნელი ფიქრები.

გაჩერებაზე ვიღაც ლამაზი ქალბატონი ამობრძანდა. ნაბდიანი მთიელის დანახვაზე სიფრიფანა ნესტოები აატოკა, კაბის ბოლოები აიკრიფა და ცხვირზე ნაქარგი ხელსახოცი მიიფარა.

ადგილი როგორ არ იყო, მაგრამ მებილეთემ ლუკას ჯერ თვალებით შეაგინა, შემდეგ თავზე დაადგა და მაღლიდან ჩამოჰყეფა:

— შენ. ეი, ვიგინდარავ, რომ დამჯდარხარ და დაგანიერებულხარ, ვერა ხედავ, ქალბატონები ამობრძანებულან! — ხმაში მოწიწება ჩაიწ-

ნა მოლარემ. — ახლავე ჩაეთრიე დაბლა, სანამ „გარადაეოი“ არ მაშიყვანია.

ლუკა ისეც ცეცხლი იყო და რაღა შებერვა სჭირდებოდა. ფეხზე დინჯად წამოდგა და ისეთი ფრთიანი სილა გააწნა, ხმა მტკერის გაღმა გავარდა. მებილეთე ჯერ ჰაერს მიეყუდა და მერე ძირს მოწყვეტით დაეცა...

— უჩველეთ, მოკლეს... — აკაკანდა წელანდელი ქალბატონი, — არ უნდა შეეროშვან ქალაქში ეს მწვირიანები, არ უნდა შემოუშვან...

მალე „გოროდოეოიც“ გაიჭიმა წესრიგის ძეგლივით.

— რა მოხდა? — იკითხა არაყში ამომბალი ხმით.

— აი, ამან, — ლუკასკენ გაიშვირა თითი ქალბატონმა, — აი ეს, — ახლა გონებაზე მოსულ მოლარეს დახედა, — სცემა, არა, სცემა კი არა, ლამის მოკლა...

— კი, მაგრამ... ეს ხომ... ვაჟა-ფშაველაა, — დაიბნა „გოროდოეოი,“ — არა, ნამდვილად სცდებით... გამარჯობათ, ბატონო ლუკა, — ჭუდი მოიშვლიპა პოლიციელმა, — თქვენს გაცნობას ვნატრობდი და, აი... რა ვითარებაში...

— ღირსი იყო. — ამოსცრა ვაჟამ.

— ღირსი ყოფილა, — ქალს გახედა „გოროდოეოიმ“, — ღირსი ბარ, — მიახალა ფეხზე წამომდგარ მოლარეს, — შენ, შენ ამის სილადაც არ ღირხარ, შე ღორო, შენა...

ასეთია ბარის აზრი ვაჟაზე, ხშირად მოხვედრია ვაჟას ბარიდან ამოგდებული ქვა, მაგრამ, აბა, სხვის სიბრიყვეს რა პასუხი გაეცემა, მაშ იმ უბირმა ფშაველმა რატომღა ჰკითხა ვაჟას, ეგ შენი ლუხუმი საქართველო ხომ არ არის, ლაშარის გორზე შადგომა ეღირსებაო, რომ სწერ, მაგ იგავში მის გაცოცხლებასა და ალდგომას ხომ არ იტყვი?

— იქნებ ვამბობდე კიდეც, — ჩაიღიმა ვაჟამ და სახლში ერთი კონა სიხარული წამოიღო. თუ ამ მთებს მისი კალმის ენა ეყურებათ, ადრე თუ გვიან ბარიც გაიგებს, რა ტკივილი იკლაკნება მის ლექსებში, ცრემლის როგორი თბილი სეტყვა სცვიოდა ლუკას თვალებიდან, როცა ფანდურს ააჩქამებდა. ნუთუ მისი პოეზია მხოლოდ კალმის ნებივრობაა, მხართეძოზე გაგორებული უზრუნველობაა და მეტი არაფერი? აბა, ისეთ მწერლობას რა ფასი აქვს, თუ ერის სახნავში გუთნისდედად არ ჩამდგარა, სამშობლოს მთაბარს მეველედ არ უდგას, რომ შტრისა და მაცილის თვალმა არ დასცადოს.

წავლენ და წამოვლენ წყალნი. მხოლოდ ქვიშანი დარჩებიან იმის ნიშნად, რომ, რაც მართლა მძიმეა, იმას ვერც ქარიშხალი შესძრავს და ვერც გრიგალი შეარხევს.

იმ ღამეს სანდროსთან დარჩა. ძმის თბილმა მზერამ, ოჯახურმა სითბომ ცოტათი გამოუკეთა განწყობილება. მერე ის იყო, სანდრომ ჩაწყვდიადებული ღვინით სავსე ჩარექიანიც შემოდგა მაგიდაზე და ლუკამაც გამოიდარა...

* * *

ზოგს იმის გაგებაც სწადია, ლუკას ლექსებში სად ხალხური პოეზიის ძარღვი სცემს და სად თვითონ ვაჟას უხნავს და უთესავს. ამას წინათ ახალგაზრდა კრიტიკოსმა იპოლიტე ვართაგავამ საჯაროდ დაუსვა ეს კითხვა თავის წერილში, — გვითხრას ფშაველამ, ან სათაყვანო სადა აქვს, ან ბოლო, თორემ ამ მაღალ კლდეზე დაკიდებულ ჩანჩქერს, მისი შემოქმედება რომ ჰქვია. ისე ახლოს ვერ მივუვალთო.

აბა, როგორ აუხსნას ლუკამ, ცეცხლის ალი რით არის ნაქსოვი, ან სიცოცხლე როგორ იბადება. როგორ ელის ხოლმე შთაგონების იმ მტანჯველსა და ტკბილ წუთებს. რომ ხან თბილ წვიმად, ხან თოვლად და ხან კიდევ სიტყვად წამოვიდეს ის, რაც ღრუბელივით უსრუტავს და უგროვებია? ხალხი ბრძენია, მაგრამ თუ მასში ნაპოვნი მადანი შენი ცხელი სუნთქვით არ გამოადნე, მეორე სიცოცხლე არ მიეცი ისე რა გამოვა? სიტყვა ვერ აგალობდება, აზრი ვერ ამოთავთავდება.

ბევრი ამბავი დადის მთაში... და, თუ ყური არ უგდე, თუ იქ გაგონილი სიბრძნე შუბლზე არ გაიკარი, ისე არაფერი გამოგივა კალმის ფხაჭუნის მეტი. უამისობა არც იყო და არც იქნება ჭეშმარიტი მწერლობისთვის. აბა, ვის მოუწველავს გაქცეული ფურ-ირემი, ან ქარისთვის ვის დაუჭრია ფრთები? მისი პოემების დერიტაც ხალხიდან არის ამოღებული — ეხლაც გაიგონებს კაცი ხევსურეთში ალუდა ქეთელაურის ამბავს — მთაში ნაქები ვაჟკაცი ყოფილა, მისი ნაქნევი ხმალი და აუცდენელი ტყვია ახსოვდათ კლდიანეთში არწივის ბუდეებივით შეხიზნულ ქისტის სოფლებს. ცხენი ჰყოლია ალუდას. ირემივით წვრილფეხა, ოქროსფაფრიანი და სითეთრეზე თეთრი. შესჭიხვინებდა ყალყზე შემდგარ კლდეებს, დარბაისელ მთებს, ჭიუხების თავზე შემომჯდარ მზეს. აკი გასწყრომია ბედი-მდევარი ერთ ქისტს და მოუტაცნია ის პატიოსანი ზერდაგი, შეხმლიანებულა ალუდა, გაფრენილა მიმინო და ხეობის ვიწრო ყელში გახერილ ცხენკაცს ერთი ფეხად დასწევია. რახან თვალი მიუწვდა, ტყვიას რაღად დააცდენდა, მაგრამ არც ქისტისშვილი გამოდგა უცადი. იმანაც უქნივა შორიდან მუშტი ალუდას, იმის სიახაც ავად აყეფდა, მაგრამ ლაშარის ჯარი გვერდით ედგა ხატის ყმას და შავხალიანი ყაყაჩოსავით დააჩ-

ნდა ღილღეელს წითელი ნატყვიარი. დაჰქვითინებდა ცა მკვდარ ქისტს, დალონებული ყვავილები შემოუსხდნენ გარშემო მგლოვიარე ქალებივით, ნიავმა წააფარა ფრთა. დაცემისას მიწა ჩაეზნიქა და ყირული ადნებოდა სახეზე, მაინც ფრანგულზე შერჩენოდა ხელი, ტუჩებზეც ზიზღი ესვა, თითქოს შატილიონს ასაყვედურებდა — ხომ დამასწარ, რკულძალლო, ხომ გასძვრე სიკვდილით, ავი ხმლები გაბიათ ბევსურებს, ომში სისხლით სთვრებით და ლუდივით შახვრეპთ ხოლმე მტრის სიცოცხლეს, მაგრამ ქისტის შვილებსაც აუყენებიათ ქვენთვის ქარ-ბუქი, ურძევ-უყველოდ დაუგდიხართ, დეკასავით უთიბიხართ და ურავევიხართ.

წამოვიდა ალუდა, თავის თეთრონზე უფრო გამტკნარებული, მოდის და მოათრევს ღრუბელს.

ამის შემდეგ სად უნდა ყოფილიყო, რომ იმ ქისტის მოსაგონი არ შეესვა. დიახ, არც ურჯულოთ სდგმიათ მკერდში დედაკაცის გული. ჩვენ კი გავკივით — ძარტო ტანჯვრიან ბევსურს სწყალობსო მზე და მთვარე. არც ეგრეა, ძმისავ, არც ეგრეა, — იტყოდა ხოლმე ალუდა და ჩაჰკიდებდა იმ თავის ფაფრიან თავ-კისერს.

აი, რა ამბავი მოისმინა ლუკამ, რა ძვალ-სახსარი ჩაუდგა თავის ალუდას. განა უცხო რა ქნა? განა შექსპირის ტრაგედიები თავიდან უცხო ხომალდებივით არ მოადგნენ ინგლისის ნისლიან ნაპირებს, მაგრამ მანამდე რა იყვნენ, სანამ გენიოსმა კატიდან ვეფხვი არ გაზარდა და მჭლე სიუჟეტი თავის გრდემლზე არ შეაგდო გამოსაკვერად? ფაუსტიც მხოლოდ გოეთეს კალმის ქვეშიღან წამოდგა ცოცხალ საკვირველებად, თორემ სხვებსაც უცდიათ ზღვის შეხვრეპა.

თუ ვართაგავა მართლა კრიტიკოსია, ვაჟას უკითხავად უნდა მიხვედრილიყო თავისივე კითხვის პირმოკუმულ პასუხს.

ბრაზობს ლუკა. ალბათ, ამიტომაც გაუცხარდა კალამი და მათრახივით იქნევს სტრიქონს თავის წერილში — კეთილი ინებეთ, ბატონებო, თვალებმოწკურვით კი ნუ კითხულობთ ფშაველას ნაწერებს, გონების შუქიც მიუმარჯვეთ, მაგრამ ჯერ ეგ შურის პარტახტი მოირჩინეთ.

ვაჟას ალუდა ჰგავს კიდეც და არც ჰგავს თავის ხალხურ სეხნიას. ბევრი ჰყავს ბევსურეთს გულიანი ხატის ყმა, მაგრამ ქეთელაური მაინც სხვაზე წინა დგას — მისი სიტყვა სალოცავთან ანთებული სანთელია, მისი ფიქრი ჭიუხების თავზე გაელებული ნისლია, მისი ხმალიც ვაჟკაცობას არტყია წელზე. ადათი ჯერ არ გაუცვეთავს ალუდას — წინაპართა ნაქსოვი რვალი აცვია და, ვაი იმას, ვისაც მისი ხმალი აუსისინდება. წესი იყო ბევსურეთს ასეთი — მოკლული ბეტრისთვის მარჯვენა უნდა ჩამოესხიპათ. ეკიდა ხოლმე ციხე-ქავის

ჭორფლიან კედლებს ლეკ-ქისტთა ბრჯღალები. მოვიდოდა ქისტეთის მთებიდან გამოფრენილი ნიავი.

„ვაჰ, მკვდარო ვაჟკაცობავო", — შესტირებდა კლდეებს და აბრუნდებოდა უკან.

რა აზრი მარხია ამ ჩვეულებაში, რად უნდოდათ ხევსურებს მოკლულის ხელმეორედ დაკვლა? ამ კითხვას ბევრი პასუხი გასცემია და ერთი მათგანი იმას ამბობს, რომ მკლავმოკვეთილი მტერი შავეთში გადაფრილ ხევსურს ხმალს ველარ მოუქნევდა, ვერც მშვილდის ლარს მოზიდავდა.

გვიჭირს ამ აზრის მიღება — აქ უფრო სხვაგან უნდა ეძებოთ ამ ცოდვიანი ჩვეულების სათავე. მაგრამ ჯერ ის უნდა ვიცოდეთ, რა სუნთქვით ცოცხლობდნენ ადრე შუა საუკუნეებიდან გამოულწეველი ხევსურები, რა სიხარული და ტკივილი ჰქონდათ, რით იწონებოდა მამრის კაცობა და მდედრის ღირსება.

ეჭვი არ არის, რომ საქართველოს მთიანეთის დანარჩენ კუთხეებთან შედარებით ხევსურეთი უფრო მიუვალად იყო ჩარაზული, უფრო მიუწვდომელი იყო ბარისთვის. ეს მის მეტყველებასაც კარგად ეტყობა.

* * *

1909 წელი შიმშილიანი დადგა. ჯერ გვალვამ გადააყვითლა სანაბები, მერე სეტყვამ დაჰკრა და გაბერწებულ მიწაზე მხოლოდ მშრალი ღრუბლების ნაგრილიღა ეყარა.

ასეთ დროს ფშაველის იმედი კავკავი იყო — ურმების ქარავანი მლეთის ალმართებს აივლიდა, დარიალის ვიწროებში წამომხობილ კლდეებს თავს დააღწევდა და ჩრდილო კავკასიის დიდ ვაკეზე გაებმოდა ხარ-კამეჩის უღლეულები.

კავკავში ნაყიდი სიმინდი ნახევარ ზამთარს მაინც გასწვდებოდა ჯალაფს. მერე კი ღმერთისა და ლაშარის ჯვრის წყალობა შეეწეოდათ.

ახლაც მზის ამოსვლამდე ლუკამ თავისი ნიკორი შეკაზმა, უნაგირს მოევლო და ქარავანს თავში ჩაუდგა.

ცრიატი დილა იდგა. დაფიონს უკვე შეეწითლებინა მთის წვერები.

მლეთის თავზე შეაჩერა ვაჟამ ცხენი, უზანგებზე წამოიწია და მეურმეებს გასძახა.

— ერთი გადახედეთ, რა ლამაზია ჩვენი მთიანეთი, როგორი ცა დასცქერის ჩვენს სახლ-კარს.

ესა სთქვა და ისევ ალმართზე ააფრინა თავისი ნიკორი.

მართლაც, მშვენიერი იყო არაგვის გაღმა-გამოღმა საქართველო. ფლატეებზე გადმოკიდებული ჩანჩქერებით, ფიწალო კლდეებითა და ნიავისგან შემწვრეული სათიბებით.

დაბლა, ფასანაურის იწრებში, თეთრი და შავი ავაზა ჩახვეოდა ერთმანეთს — მთიულეთისა და ფშავის არაგვი სცემდა კლდეებს ტორსა და მათი ღრიალი აქ, მლეთის აღმართზეც ამოდიოდა.

ჯვრის უღელტეხილზე ისეთი სიჩუმე იდგა, თითქოს ცა და ხმელი ჯერ არ გაჩენილიყო.

ქვაჯვართან შეჩერდნენ და ხევს გახედეს. კლდეებში გამომწყვდეული თერგის გმინვა შემოესმათ, ორბები დასტრიალებდნენ ცაში აჩრილ არშის ციხეს.

რიყეზეც, წყალსაყართან, დაკბილული ციხე-კოშკი იდგა, ხავსი ჰიცოცავდა ქვის პერანგზე, ბზარის ელვას დაეცლო კედლებისთვის და ქვანაშალი ლიბოსთან ეყარა.

გალაღდა ნიკორი, ლუკას მოსართავი წაართვა და ლურჯ ცასიერს შეერია.

აქედან კარგად ჩანდა მყინვარი.

ეტოლებოდნენ მთები ერთმანეთს, ცახცახებდა ეთერი და გრილი ნიავი აკრთობდა სათიბსა და საბალახეს.

მალე სტეფანწმინდაც იქნება. სანდრო ყაზბეგის სტეფანწმინდა. დიდი ხანია ლუკას აქეთკენ ეძახდა გული, მაგრამ ვერ გამოექცა წუთისოფელს. ახლა კი უბეში წყვილი სანთელი უწყვია. ორივეს სანდროს საფლავზე დაანთებს მისი ტანჯული სულის საოხად.

დიდი შვილი დაკარგა საქართველომ, ღიდი ფიქრისა და კალმის კაცი. ბეჩავო სანდრო, როგორ დახვიდოდი იმ შენის ნაცვეთი ჩოხით, ბოკლე ნაბდითა და თუშურის ქუდით, ბევრჯერ მშიერი, ბევრჯერ მწყურვალი. შენაც სიცოცხლეში წიხლი გიქნიეს და მარტო სიკვდილის შემდეგღა გიკმიეს საკმეველი...

რატომ წაერთმის ხოლმე მაძღარ ქართველს მზის დანახვის ნიჭი?

სტეფანწმინდის გაღმა აყრილ საჯიხვეებს, ყუროს ქვა-კლდიან მთას დაადგა თვალი ლუკამ.

ფშავის მთებს თუ ტყე აცვიათ, აქ შიშველნი დგანან და მარტო ნისლის თეთრ პერანგებს შემოიცვამენ ხანდახან.

ალექსანდრეს კერასთან სიჩუმე ზის. ქვის სვეტებს დაჰყრდნობია თითქოს მოგონებებისგან დაღლილი სახლი. ფილაქნიან აივანზე აქაიქ ბალახს ამოუყრია. ქედანი ღულუნებს კარის ეკლესიის სამრეკლოში.

ესეც სანდროს საფლავი...

აქ ინაცრება მისი დაღლილი სხეული. სული კი აგე, სად ანთია, — მყინვარის თავზე დამხობილ განათებულ ცას გახედა ლუკამ, — სწორი ბრძანა ილიამ: უკვდავთან სიკვდილს რა ხელი აქვს?!

ეგება ტყუილიც იყოს, მაგრამ ფშაველიც კი ჩამოვიდა უცნაური ამბავი. თურმე, როცა თერგიც კი მიიძინებს, ჯერ უცხო რამ შუქი მიადგება ხოლმე სანდროს საფლავს. მერე მტირალი ლამაზი ქალაი გამოვა სიბნელიდან, დაუჯდება თავთით ალექსანდრეს და ტირის, როგორც შეუძლია ტირილი უსხეულო და უხორცო მოჩვენებას, ერთი გზაგვიანი მწყემსი შესწრებია ამ სახილავს. ჯერ შეშინებია. მაგრამ მერე გული გაუმაგრებია, დაუდგია ხანჯალზე ხელი, უხსენებია წვერის სპარს-ანგელოზი და ყორეს ამოჰფარებია. უცვნია და მეორე დღეს მთელი ხეთისთვის მოუდია საკვირველი ამბავი.

— ძიძიაი მიუდის ხოლმე სანდროს ყოველღამ, ჩამოიშლის ხოლმე თმებს და ტირის, უხმოდ, უჩქამოდ.

ახლაც სველი იყო საფლავის მიწა. იქვე, ქვის ყუაზე, მიაკრა ლუკამ სანთლები და თავჩახრით დადგა საკვირველ სამარესთან.

ღმერთო დიღებულო, როდის მოვირჩენთ ქართველები იმ სიყრუეს, იმ სიმუნჯესა და სიბრმავეს, სანდროსთანა კაცების დანახვაზე რომ გვემართება ხოლმე?

ვინ აამეტყველა ეს მთები. ვინ ამოადგმევინა ენა ამ ნიავს, ვინ წაკითხა ამ ქვა-ლოდების ფიქრები?

ვინ უთხრა ქვეყანას, რომ მთიელს ტყაპუჭის ქვეშ კეთილშობილი გული უცემს და მისი სულიც ღვთის ეშბაზშია მონათლული?

ვინ დალია თავისი ხანმოკლე სიცოცხლე ყველასგან მიტოვებულია, უფერებელმა, დერვიშივით ბოგანომ სილატაკესა და სიშიშველეში?

გრცხვენოდეს ერო!

ვრცხვენოდეს, რადგან მოვიდა და ვერ იცან, იყო და ვერ შეგასმინა, წავიდა და გაუშვი.

მზე აიწია ცაზე, წავიდა ზევით და ოქროს წეიმად მოუვიდა ზევის მიწას.

აქ იწვა სანდრო ყაზბეგი...

არ უყვარს ლუკას რესტორნების ვარაყინი სიმდიდრე, ღარიბის შესელაზე გაკვირვებული სუფრების ქათქათა სითეთრე. ისევე ქონიანი დუჭანი ურჩევნია ან უბრალო, მიწაში ჩაძირული ღვინის სარდაფი, დუდუკის ჩაძინებული, წელში გაწყვეტილი ჰანგით, მამლის ყივილივით უბრალო და ხმამაღალი სადღეგრძელოებით საესე.

ახლაც ასეთ დუქანში ზის. გვერდითაც პატარა შიო, ნაპოლეონ პაველიაშვილი და იროდიონი უსხედან. მოშორებით ვიღაც თავადი ქეიფობს — წელზე ვერცხლის ქამარ-ხანჯალი უჩანს და კამეჩის რქებივით გადაგრეხილ ულვაშებს ჟამიდან ჟამზე ხელის გულში გამოიწკეპს ხოლმე. კუთხეში არღანი ტირის. თამადად ნაპოლეონი ჰყავთ.

ჰყავთ და იმიტომაც უჭირავს ნერონის პოზა. ახლაც, დაფნის გვირგვინივით დაწნული სადღეგრძელო მიუძღვნა ლუკას, ჯამი დაცალა და პატარა შიოს გადაულოცა.

— რაც მე ვერა ვთქვი, ღმერთმა შენ გათქმევინოს.

იროდიონი იცინის.

— მე და შიომ რალა უნდა გითხრათ, კაცო — მიუბრუნდა ვაჟას, — შენ სალოცავი და ჩვენ მლოცველები, დიდხანსა გვყავდე, ჩემო ლუკავ, შენს ფანდურს სიმი არ ჩასწყვეტოდეს.

— ამინ შენს მადლსა, — ფშაურად მოუქცია პატარა შიომ და ღვინით სავსე ჯამი გადაიყირავა.

— ასე... დიდ გვალვას დიდი წვიმაო, — ახლა ლუკას ჩამოუდგა სასმური.

— თქვენი თავი მიცოცხლოს ლაშარის ჯვარმა, ვაჟებო, თქვენაც კარგად ჰყავდეთ ჩვენს მწერლობას, ერის ლხინსა და სატკივარს.

— აბა, ჩვენ რა სახსენებლები ვართ, — გაიკვირვა ნაპოლეონმა, — ჩვენა ვჩიჩქნით, შენ კი ხნავ, ჩემო ლუკავ.

— ყველას თავის ხნული გააქვს, ჩემო დავით, ხვნით კი ერთი ილია ხნავდა, აკი ამიტომაც შეუმტვრიეს შუბლი სატანის ძუძუთი გაზრდილებმა.

შიომ სასწრაფოდ შეავსო ჯამი.

— თქვი, ლუკავ, თქვი, თორემ ჩუმად ფიქრმა სული გამიწვრილა. ლაშას ჩემი ქართველობა თავხეზე თოკად ჩამოვაბა და ზედ თავი ჩამოვიხრჩო. ეს რა ვქენით, კაცო, ეს რა წყეული დაგვეწია.

— იმ ხანებზე აკაკი ენახე, — ჩუმად თქვა ეედოშვილმა, — ძლივს შეიკრიბნდა ნაბიჯი, ილიას შემდეგ ჩატყდა, ჩანახევრდა. უხმოდ მისდევდა ყავარჯენს, განზე არ გაყურებოდა, თითქოს არავის დანახვა არ უხდებოდა.

არღანი გაჩუმდა და ახლა ზურნა აჩქამდა. თითქოს სადღაც შორიდან მოიპარება ცრემლგარეული ხმა. დუდუკმა ამოიკვნესა და დაბალი დატალღული ჰანგი შემოილვარა დუქანში, დუდუნით ჩაუარა მაგიდებს. მოქეიფეებს რაღაც შესტირა და მერე ფრთამორჩენილი გედივით აიჭრა მაღლა, მაგრამ კედლებს მიხლილი ისევ დაბლა დაეშვა, ჰაერში გაწვა და ცახცახით გაირინდა. ახლა მხოლოდ დერვიშის ლოცვალა ისმოდა, სიცხე ლოკავდა მტკვარს და ორთაჭალის ბაღებში

შაეი გედივით კვდებოდა ღამე. ცისფერ თვალებს ახელდა რიჟრაჟი, ლვიძებდა მაჯნუნის მკლავზე ჩაძინებული ლეილი და უკვირდა დუნუკს თბილისის ასეთი სილამაზე, ქუჩებში გადმომღვარი აივნები, ცაში გაჭრილი სარკმელები, საიდანაც ღმერთი უმზერდა ადამიანთა ცოდვა-მადლს, უკვირდა ლამაზის კოცნით სახედამწვარი ყარაჩოხელი და კინტოს თავზე შემოდგმული, ვერცხლისფერი ცოცხალით სავსე ხონჩა.

ახლა ძმისგან ძმის გაუტანლობაზე მღეროდნენ დამკვრელები, წელანდელი კეთილი ჰანგი კობრასავით აიკლაკნა, ცივი სისინით აავსო ჰაერი, დაიხლართა და ნართივით ჩახვეული უცბად გაიშალა.

დამკვრელებს თითქოს დუდუკებზე ჩასძინებოდათ, თვალები დაეხუჭათ და ტკბილ ნირვანაში იყვნენ.

აგერ, ერთმა ჰანგმა მეორეს გაუსწრო, ხოხობივით ასხლტა, მაგრამ მალე მიმინოსავით დააცხრა მეორე, უფრო ფრთალაღი ხმა, პირველი კი მიიწრიტა, მიილია და დუდუკში ჩაძერა, რომ სული მოეთქვა, გაგრილებულიყო, რათა წამის შემდეგ მზეთუნახავის სიზმარი ეამბნა ამ გაქონილი, ღვინის ორთქლითა და ხორხოცით სავსე დუქნისთვის.

ლუკა ფიქრებს წაელოთ, დუდუკის ხმები სადღაც შორს ირხეოდნენ, და შირაზის ვარდები უცინოდნენ ცხრათვალა მზეს.

აი, ეს ხმა უკვე სხვანაირია, თითქოს ავაზა იზმორება ჩალისფერ ლელში...

ეს კი გაქროლილ ქურციკს ჰგავს ათას ერთი ღამის ზღაპრიდან...

ის მესამეც მინარეთივით თელემს და სიმღერის აგონია ავსებს თითოეულ ბგერას...

დამკვრელებმა დუდუკები დაუშვეს და გაოფლილი სახეები წითელი ბაღდადებით შეიწმინდეს

კედელზე შვლის ნუკრი ეხატა. მუხლამდე იდგა მწვანე ბალახში და დიდი, ბრიალა მთვარე დაგორავდა ღამეულ ცაზე. მოყავისფრო ბუსუსი ეყარა ტყიურს ამოჩხვლეტილ რქებზე. გარინდული უგდებდა ყურს საკუთარ გულისცემას, ირგვლივ ჩამომდგარი ღამეული მყუდროება ხიფათის ნაბული თუ ეგონა და თითქოს მზად იყო, მცირე ფაჩუნის გაგონებაზე კედლიდან დაბლა ესკუპა, მუხლზე მიჰკვროდა მაგიდასთან მჯდარ ადამიანს, ცალი თვალის ქუთუთო რომ ჩამოხეოდა და ასეთი აღტაცებით შესცქეროდა შავ-თეთრი ფერების თამაშს უცნაურობით სავსე სურათზე. ალაგ თუ ახლად ნაწველი სითეთრე იტაცებდა მზერას, ალაგ კიდევ ფერთა ისეთი ტრფიალება სუფევდა, მოკვდავის თვალს აქამდე ჯერ არსად რომ არ ენახა. ვის უნდა დაეხატა ფერთა ეს სიზმრები, მიწის ასეთი ბალღური სიხარული, ფერ-

თა ასეთი შეკრთომა, მთვარის ასეთი მოვანება, თუ არა ღმერთთან ნამყოფს? რაღაც იდუმალი შუქი ალგას შვლის ნუკრს... სად იცის ასეთი, ალაზანზე ჩაყრილი კამეჩებივით, მშვიდი ღამეები? იქ, კახეთის ფშანებში უნახავს ლუკას ეს ყველაფერი.

— ძაან თვალი მიგივიდა, ლუკას ჭირიმე, — თავი კედლისკენ გაიქნია ნაპოლეონმა.

— ვისია, კაცო? — იკითხა ვაჟამ, — ვისი ნაკურთხი მარჯვენისა?

— მღებავია ერთი, ლუკმაპურს დაჰყავს დუქნებში. ხელადა ღვინო და ყველ-პური ჰყოფნის, მეტს არაფერს ითხოვს ამ თავის ნახატებში, ღარიბია, ეიღაცის კიბის ქვეშ უცხოვრია.

— აქაურია?

— არა, მირზაანელი, ფიროსმანაშვილი, მაღალია, აწოწილი, გრძელი ნაბიჯით იცის სიარული, ამ ქვეყნისა არც რამე უხარია, არც რამე სწყინს. არის თავისთვის, ხატავს. ერთხანს რძის სავაჭრო ეღგა ორთაჭალაში, მაგრამ მალე გაკოტრდა, მერე სირაჯობა დაიწყო, ამაზეც დაუსხლტა ფეხი და ახლა, ეს რამდენი წელიწადია, ასე დადის. ო.უ რამ იშოვა, იმასაც ღვინით ალბობს. აი, ჩვენი ბეგო კარგად იცნობს. ბეგოჯან, ერთი აქეთ მოგვხედე.

მოვიდა ბეგო იმ თავისი ხუთჩაფიანი მუცლის ზანზარით.

— აი, ლუკას იმ სურათის ამბავი აინტერესებს, ნიკალას შენ კარგად უნდა იცნობდე.

— ვიცნობდე რომელია, — გაიკვირვა მედუქნემ.

— მართლა ჩემზე ღარიბია? — გაიცინა ლუკამ.

— სხვანაირი კაცია ნიკალა, სხვა ვარსკვლავის. ნემსში გასაყრელი ძაფი არ აბადია და ხომ გაგიგიათ, ერთხელ რა ქნა?

— მიდი, ბეგოჯან მიდი, გაუტიე, — მხარზე დაჰკრა ხელი შიომ.

— ჰოდა იმას გეუბნებოდით, ნიკალამ ერთხელ რა ქნა-მეთქი, — წითელი ბაღდადი ტუჩებზე მიისვ-მოისვა მედუქნემ, — ერთი ფრანგი არტისტკა ჩამოგვივიდა — მარგარიტა რქმეოდა. ისე აკაკანებდა ხმასა, ცეკვაშიც ისე ისროდა ცაში ფეხებს, მთელი ქალაქი დაგვაგიჟა. აბა, ნიკალა სადღა წაუვიდოდა. „ოლიმპში“ იდგა, გოლოვინცკზე, გაიხედა დილით ფანჯრიდან და რას ხედავს, თაიგულის მთა მოგორავს, კოფოზე კი ეს ჩვენი ფიროსმანი არა ზის კუჩერის გვერდით... ვახ, კაცო, სიყვარული რას არ გაქნევინებს, მუნჯს აამღერებს, ჩემმა მზემ...

— მერე? — ვერ მოითმინა ლუკამ.

— რაღა მერე, ლუკაჯან, ჩვენმა ნიკალამ ის ყვავილები ერთ ღიმილში გაუცვალა მარგარიტას და უკან გამობრუნდა. მთელი ის ღღე ამ დუქანში დულუკების წინ იჯდა.

ნაპოლეონი ფეხზე წამოდგა.

— ნიკალა ფიროსმანს გაუმარჯოს, ყმაწვილებო, ჩვენს ღარიბ ნიკალას, მაღლა ცა რომ ჰყავს პატრონად და დაბლა — მიწა, ეხატოს საქართველოს პატიოსანი სიზმრები, სოფლის ხარ-კამეჩი და ქალაქის ჭირ-ვარამი.

— გაუმარჯოს!

ლუკას არაფერი უთქვამს. ჯამი უხმოდ გამოსცალა და რაღაც ფიქრს გაჰყვა.

ნუთუ მუდამ ასე იყო და ახლაც ასეა, რომ მზის დანახვას დურბინდი სჭირდება? ნეტავ როგორ ხატავს მთვრალი ნიკალა ასეთი ფხიზელი ფერებით? რომელი უხილავი ანგელოზი დაჰყვება გვერდით. დადის ქალაქში და ლოთის სახელს დაათრევს. მარტო ფუნჯმა იცის მისი ნამდვილი ფასი, ფუნჯმა და დრომ. მეორედ რომ ჩამოვა, აუცილებლად ნახავს, გაეცნობა ფერთა ამ მგოსანს, ამ იდუმალ საკვირველებას?

ისევ მუხლამდე იდგა მწვანე სათიბში შველი და ლამაზი, მრგვალი თვალებით გამოჰყურებდა წუთისოფლისგან დაღლილ, ფიქრით ნახეჩამოგრძელებულ, მაგრამ მაინც არაგვიეით მხნესა და ზავთიან ლუკას, პატარა შიო რომ რაღაცას ეჩურჩულებოდა.

შუადღე გადაეიდა, სიცხე ჩამოიფერფლა მტკვრის გალმა გაბმულ ნერებზე. გახალისებული ლუკა ფშაეურ სიმღერას ღიღინებს და პატარა შიოს მეორე ხმას ეხვეწება, მაგრამ არაფერი გამოსდის, სამაგიეროდ პაელიაშვილს კახეთის ქორეპისკოპოსის დერინი აქვს და ისეთ „მრავალჟამიერს“ აგუგუნებს, ალბათ მეფისნაცვალსაც კი ესმის. ასეთია დავითი, იმის ბანი კამეჩს წააქცევს. სიმღერისას ბონაპარტეს პროფილს გვერდზე მოიქცევს ხოლმე და ვულკანივით იფრქვევა.

ბედს გაეღიმა ლუკასთვის — დუქნის კიბეზე ნიკალა ჩამოდიოდა მოტეხილი, დაღლილი ნაბიჯით. შუბლზე ჩამოჰყროდა უკვე ჭაღარაშემჯდარი, თეთრად აბოლებული ქოჩორი, დათოფილი ხარ-ირმის დამფრთხალი მზერა ჰქონდა და ნიკაპისკენ ჩამოღვენთილი გრძელი, ხმელი სახე. დაბლა ჩაეყარა გრძელი მკლავები, ცალ ხელში თეთრი, საღებაეით სავსე პატარა ვედრო ეჭირა, იღლიაში კი გაზეთში გახვეული ნახშირი და ფუნჯები ამოეჩარა. სატინის გრძელ ხალათში უფრო გამხდარი და მაღალი ჩანდა. ყელის აყოლებაზე ცისფერი ძარღვი უტოკავდა. შემოიტანა მზით დაკბენილი კისერი, ქალაქის ქუჩების ჭორ-მართალი.

გრძელი შარვალი ეცვა. საწვიმრის მილივით მრგვალი ტოტები შერწასულ ფეხსაცმელზე ეფინა, აქა-იქ საღებავი ეცხო. ვიწრო, წვეტიანი მხრები უნიათოდ ეჭირა, წელზე შემორტყმულ ტყავის წვრილ ქამარში კი გაზეთების დასტა და სალამური გაერჭო.

დაღლილი ჩანდა.

ბეგო ხალისიანად მიეგება.

— ნიკალას ვახლავარ, სად დამეკარგე, კაცო, რომ აღარა სჩანხარ, აღარც სალამი, აღარც ქალამი, უჩინმაჩინის ქუდი ხომ არ შეაიქ ვინა მყავს?

ფიროსმანი შეირხა. საღებავიანი კედრო კიბის საფეხურზე ჩაჰყოლგა და ფიქრიანი თვალები სარდაფს მოავლო.

წუმი კაცის ხმა ჰქონია ნიკალას, წუთისოფელთან შერიგებული კაცის.

— სად ვიქნებოდი, ბეგოჯან, სირაჯებსა ვყვანდი, ღვინოს ვხატავდი, სუფრაზე დაქცეულ ღვინოს...

— აქეთ კი აღარ გამოიხედე და ეს შველი ლამის ქალაქში გამოვარდა, სად არისო.

— სადაც ღამე დააძინებს და დილა გააღვიძებს ნიკალა იქ არისთქი. რატომ არ უთხარ?

— ნიკოჯან ერთი ისეთი მთვარე დამიხატე, ალაზნის ველზე რო იცის და წყალზე წაბრილი იფნები.

— ისეთ მთვარეს მარტო ღმერთი ხატავს ბეგოჯან, მე კი ერთი საწყალი მღებავი ვარ, ფიროსმანაშვილი.

— არა, ბატონო, თქვენ დიდი მხატვარი ბრძანდებით, ფიროსმანი, — ხმამაღლა წამოიძახა, მაგიდიდან წამომდგარმა, ევროპულად ჩაცმულმა კაცმა და კიბისკენ წამოვიდა, — ბედნიერი ვარ, რომ გაგიცანით.

— მხატვარი? — მწარედ ჩაიცინა ნიკალამ და მუხლებშემოცვეთილ შარვალზე დაიხედა, — მხატვრებს ასე არ აცვიათ, მხატვრებს საღებავები აქვთ, თეთრი ტილოები. დიდი სწავლა და ჰაირათი. მე კი, აბა, ესენი ვინ მამცა.

— ეჰ, ჩემო ნიკოჯან, განა წუთისოფელი ტკბილი ბაიათი არ არის, დრო მოვა და ყველას მიწაში ჩაგვრეკავს. ისევ ისა სჯობია, ყველი გავინეძლოთ, აი, ის პატიოსანი ხალხი თავის სუფრაზე გეძახის, — ლუკასკენ გაიხედა ბეგომ.

ფიროსმანმა თავი გაიქნია.

— აქ სადმე კუთხეში მივჯდები, ერთი ხელადა ღვინო, ყველი და პური შეყოფა, არც ქრისტეს ჰქონია მეტი.

— როგორა, კაცო? — იწყინა ბეგომ.

— გენანება? — სახე მოენისლა ფიროსმანს, — მუქთად და ნისიად არ მინდა, იმ მთვარის საფასურში იყოს, ალაზნის ველის მთვარისა...

— სუ, კაცო, არ გაიგონონ, — მამალივით შეხტა მედუქნე, — იცი, აქ ვინა მყავს?

— ვინც უნდა იყოს, ღმერთმა ხელი მოუმართოს.

— ლუკა რაზიკაშვილი, ვაჟა-ფშაველა...

— აბა, რომელი? — მზესავით გამოშუქდა ნიკალა.

— აი ისა, ჩოხიანი, ყინჩად რო ზის.

— ეს შველი მაგის მოთხრობიდან გადმოვხატე, — კედელს გახედა ფიროსმანმა.

— ჰოდა, მით უფრო, — გახალისდა ბეგო.

— ფიროსმანს ვახლავართ, — მიეშაქრა ნაპოლეონიც, — დაჯექი, ნიკალავ, დაბრძანდი, — გამოუწია სკამი, — ეს პატარა გოლიათი შიო მღვიმელია, ეს კლდის ნახეთქი კი ვაჟა-ფშაველა, ჩვენი დიდი პოეტი.

— ვიცი, ვიცი, — ჩურჩულებს ნიკალა და ლუკას საღებავში გასერილ გრძელსა და ხმელ ხელს უწვდის.

უხერხულად ზის ფიროსმანი, მალიმალ ისწორებს ჩაშვებული ხალათის ბოლოებს და სადღეგრძელოსაც მოკლედ ამბობს.

— გაცოცხლოთ, გადღეგრძელოთ, გაგახაროთ.

— შენით, ნიკოჯან, შენით, — იღიმება ნაპოლეონი, — აი, ლუკამ შენი შველი ნახა და ლამის ფშაში წაიყვანოს.

— იქ ურჩევნია, — ჩურჩულებს ნიკალა, — მეც მირზაანში მირჩევნია, მაგრამ ქალაქი არ მიშვებს.

— უშენოდ, ნიკალავ, რა ქალაქი ჩვენ გვექნება, — ქედანიეით ღუღუნებს პატარა შიო.

— ასეა, ასე, — სიტყვას ართმევს ლუკა, — თქვენს ნახატებში თითქოს ცა-ქვეყნის დაბადებას ვხედავ, იმ საოცარ სიმარტივეს, რაც გარსულების სიბრმავემ წაართვა ქვეყანას.

— რა ვიცი, იქნებ ეგრეც იყოს, მაგრამ ეს ხელობა მე ბავშვობის მონატრებამ უფრო დამაწყებინა — მირზაანის, იქაური გლეხკაცობის, ხარ-კამეჩის, კალო-საბძელის მონატრებამ, მოდით, ბიჭებო, მონატრებას გაუმარჯოს.

— გაუმარჯოს...

— ბეგომ მითხრა, იქ ვაჟა-ფშაველა ზისო და გამახარა, ქაღალდი მიყვარს. დღე სადა მცალია და ღამით, თუ ნავთი მაქვს, გვიანობამდე ეკითხულობ ხოლმე, სიტყვას სხვა ეხო აქვს, სხვა ჯავარი.

— განა მხატვრობა კი იოლია? — გაუკვირდა ნაპოლეონს.

— ადვილია, — მიუგო ფიროსმანმა, — ნახშირი დანაყე, ზეთში აუ-

რაე და ფერი დააყენე, მერე ის ფერები აალაპარაკე, ამასობაში ხან რა გამოგივა, ხან რა, რის გუნებაზეც ხარ...

— ფშაში ადი, ნიკოჯან, და ლუკას სიღარიბე დახატე, იქნება ჩვენს ინტელიგენციას თვალები აეხილოს, — ამბობს ნაპოლეონი და ნიკალას მხარზე ხელს გადახვევს, — ასეა ეს უკულმართი ცხოვრება.

— ავალ, რატომ არ ავალ... ხომ გითხარით, სოფელი მენატრება-მეთქი, გული ისეც სულ მირზაანისკენ იქცევრება. შერე რა ღამეები იცის ალაზნის ველზე, — ამოიოხრა ნიკალამ, — ისეთი მთვარე გამოვარდება ხოლმე ციდან, სულ მაღლა ყურება მოგინდება. ჩაიცქირებიბ ალაზანში ჩვენებური გლეხკაცებივით დინჯი მურყნები.

ნაპოლეონი ფეხზე წამოდგა.

სმენა იყოს და გაგონება. ალაერდი ლუკასთვის მომირთმევია, უპრიანი იქნება. სიღარიბეს გაუმარჯოს, ძმებო, სიღარიბემ მოგვცა ვერსშანი, სიღარიბემ გვიკურთხა დიდ პოეტად ვაჟა-ფშაველა.

ისევ დაიბერნენ მედუქნეები, მედუქნეც კასრივით დაგორავს. ახალ მუშტარს ლუკასკენ გამოაბედებს და ერთსა და იმავეს ეჩურჩულება: — ვაჟა-ფშაველა ქოსების დუქანში თუ არ არის, ბეგოსთან ნახეთ, ის გამხდარი, წუთისოფლისგან გამოწიწკნილი კაცი კი ფიროსმანია, დიდი მხატვარი, შააშ.

დიდი, ფარცხალა მთვარე ანთია თბილისის ცაზე. ვარსკვლავების შუქი აწვიმს მთაწმინდის უბე-კალთას.

ფიროსმანი ღვინით სავსე ჯამს ჩასცქერის და ჩუმად ამბობს.

— მირზაანში უნდა დავრჩენილიყავ, მეზნა და მეთესა, ალაზნის ჭალაში კამეჩის ფერდზე თავმიდებულს მძინებოდა, ნაბდის ქუდი არ უნდა მომეხადა, დალოცვილი, — ძველი შლიაპა ხელში მოჭმუჭნა ნიკალამ, — იქნება მაშინ მართლა ბახტვარი ვყოფილიყავ... ისე კი, ძმებო, მოდით ჭონაზე დავდგეთ, შესაწევარი ავკრიფოთ. მერე იმ ფულით ერთი დიდი სახლი ვიყიდოთ, დიდი სამოვარი დავდგათ და მხატვრობაზე, მწერლობაზე ვილაპარაკოთ.

— იცოცხლე, კარგი იქნებოდა, — ჩაიცინა პატარა შიომ. მერე წარბი შეიკრა და ნაპოლეონს მიუბრუნდა.

— მაშ, სიღარიბე რომ არა, ლუკას კალამს წვერი წასტყდებოდა, ჩვენს ნიკალას კი ფუნჯი გაუხმებოდა, ჰა, დავით, ერთი ეს მითხარი, კაცო, როდის უნდა ვისწავლოთ ქართველობამ ავისა და კარგის გარჩევა? თავი მოუკვდა სიღარიბეს, თუ ვაჟას ფიჩხის სინათლეზე აწერინებს და ფიროსმანს დუქან-დუქან ატარებს.

— სამაგიეროდ ერთი ვაჟა-ფშაველაა, მეორე — ფიროსმანი, — გაცხარდა ნაპოლეონი, — ერთში პოეზიის ღმერთი სუფევს, მეორეში — მხატვრობისა...

— კარგი მოგეცეს, — გაიღიმა შიომ, — ქრისტეც იმიტომ თუ ვიწამეთ ღმერთად, რომ ჯვარს აცვეს და შუბლი ეკლის გვირგვინით ჩამოუკაწრეს.

— ეეჰ! — ხელი ჩაიქნია ნაპოლეონმა და შედუდუკებს გასძახა.

— შიქასტა, ბიჭებო, შიქასტა...

ღამეა...

ფანრების დაღლილი შუქით მორწყულ ქუჩას ორნი მიჰყვებიან. ერთი მაღალია, გამხდარი, ნაცვეთი, მოკლე პიჯაკი და აქა-იქ საღებავით დალაქული შარვალი აცვია, შუბლზე ჩამოფხატული შლიაპა კიდევ უფრო უგრძელებს სახეს, მეორე მრგვალგანიერია, ჩოხოსანი, ფშაურად ქოჩორშეკრეჭილი.

ორივე უბრალო, ორივე წუთისოფლის დაღლილი მგზავრი...

ორი გრძელი ჩრდილი გაწოლილა ფილაქანზე.

— აგე, ჩემი სახლი, — სინათლეებით აციმციმებულ თბილისს გადახედა ფიროსმანმა.

მტკვრისპირიდან დაგვიანებული მოქეიფეების ხორხოცი და დუდუკის დაბალი დვრინი ისმოდა.

— ქეიფობენ, — ჩუმად ამბობს ფიროსმანი.

— ჰო, ქეიფობენ, — უმოწმებს ვაჟა.

შუშტაიდის ბაღის ხეივნებში სიბნელე კისკისებს...

— უხარიათ, — იცინის ფიროსმანი.

— აგრეა, — იღიმება ვაჟა...

* *

განა ვინ არის ლუკა? გომის სუნი იმასაც ასდის. ხან პანტის არაყიეით მწარეა, ხან გატეხილი საფუტკრესავით ტკბილი. ხან თუ უბიდან მიმინოებს ამოაფრენს, ხანაც ეს ამოდენა კაცი ბულბულის გალობაზე შეკრთება, ცრემლი რამ მოუვლის თვალში, სხვაფრივ კი შავი ფშაველია, ჩვენსავით ღარიბი, ჩვენსავით უკენესის ძვალ-სახსარი მძიმე შრომისგან, ფიქრობენ ვაჟას მეზობლები და ვერ გაუგიათ, რაზიკაანთ გორზე მართლა ღმერთი ცხოვრობს, თუ მათსავით ნაქსოვნაკერი ფშაველი. მართალია, ლუკა ლექსებს წერს, მაგრამ ამით რა არწივის მხარი ვამოება? უშაიროდ არაგვის ჭალებში მენახირე სახრეს არ ჩამოეყრდნობა, დედაკაცი წყაროს კოკას არ შეუდგამს, ?კვდარი არ დაიმარხვის და ცოცხალი არ იდღეგრძელებს...

ამიტომ ისევ ცნობისმოყვარეობა თუ აუხირებთ ხოლმე ვაჟას — ხატობაში თვალებით სჩმეტენ, აემრიზებიან, როცა ან ხევსბერი გა-

მოარჩევს ან კიდევ დასტურებით ქუდმოხდით მიართმევენ ახალნახად ლუდს. თუ ლომია, ტორის დაკერაც ლომური უნდა ჰქონდესო.

არ იშრნევს ლუკა — მხარს დაბლა დასწევს, რომ სხვაზე მაღალი არ გამოჩნდეს, ვაჟკაცობას ორივე ხელით ჭერა უნდა, მაგრამ, თუ ვინმე ზომას გადავიდა, რაზიკაულის განივრად მოქნეული სილა ან ლოყას შეუბრუნებს, ან ციბრუტივით დააბზრიალებს ხოლმე.

ეს უკვე რამდენი წელიწადია, ლუკას სახლში უყენია ნისლივით ჰაღარააბოლებული, სახენასერი ხევსური, კეჭნაობებში ხმლის წვერით ნაჩიჩქნი ლოყები შეთრთვილული ჯაგრით ჰქონდა დაფარული, ტანადაც ციხის ნაშალ გოდოლს ჰგავდა წუთისოფლის ეს უცნაური მგზაური, კეთილი იყო, უბოროტო. ხელისგულებზე ეწვინა ყველა ობოლი და უპატრონო. თვითონ ერთი თხილისგულით გაძღებოდა, ოღონდ თავისი ლუკმით მშიერი და გაჭირვებული გაეკითხა. გარეკავდა დილით საქონელს ახუნის მთაზე და შებინდებისას მოწყვეტილი მეწყერივით დაეშვებოდა დაბლა, ღრუბელივით ბანჯგვლიანი, ზამთარ-ზაფხულს ცხვრის ტყავ-ტყაპუჭში ჩამჯდარი. ამ ქვეყნად არავინ ჰყავდა, არც ვინმე უცინოდა, არც უტიროდა, შეეჩვია ლუკას ოჯახს, მლოცველივით ტრიალებდა ვაჟას ახლო-მახლო. რაღაც გუმანით თუ გრძნობდა, რომ ეს თვალადი ფშაველი ღმერთების მსახური იყო. თვითონაც ლექსით ცხოვრობდა ამ რთულსა და მრუდე წუთისოფელში. ჩამოიღებდა კედლიდან ფანდურს, აუსხამდა ლარებს და დაბალის ხმით ჩაუმღერებდა, როგორ ჰკაფავდა ხევსური ხირჩლა ციხე-გოდოლში ჭინჭარივით ჩამდგარ ლეკს, როგორ სცვიოდა აბჯრიდან ნაპერწკალი. მერე გაჩუმდებოდა და აბრუნდებოდა ხევსურეთში, შესცქერდა ორბების ნაფრენით დასერილ ცას, ერთმანეთზე ალესილ საჯიხვეებს, ჭიუხებზე გადმომდგარ ქერათმიან მზეს.

შეუმცდარად გრძნობდა ჩონჩქარა ვაჟას სახეზე წამონთებულ შთაგონებას. ასეთ წუთებში ლუკას წარბზე ჩამომჯდარი ფიქრი ქალღლსა და კალამს ითხოვდა და ხევსურიც უხორცო ლანდად იქცეოდა ხოლმე, რომ ახლომახლო სულიერის სუნთქვას ხელი არ შეეშალა იმისი სათაყვანებელი ფშაველისთვის.

— ღმერთი ას, ლუკაი, ღმერთი, — იტყოდა ხოლმე ჩონჩქარა და ცას ისე არ ახედავდა, ვაჟას დღეგრძელობა არ ეთხოვა,

— ამ პატარა სახლში ორი პოეტი ვცხოვრობთო, — ამაყად ამბობდა ლუკაც, როცა ვინმე ჩონჩქარას უხსენებდა.

გავიდა ხანი...

მოიფშაველა ჩონჩქარამ და მყვირალობისას გადმოვარდნილი ჰარირემივით აუბრუნდა ხევსურეთის მთებს.

ლუკა ხომ თანასწორივით ექცეოდა ყველას, ვისაც პოეზიასთან რაიმე ახლობლობა ჰქონდა.

ეს ამბავიც ამიტომ გამახსენდა. მაშინ კახეთისკენ მიდიოდა ვაჟა. მიაფრენდა ნიკორი შეალმართებულზე. სადღაც წყლის დგაფუნი და დოლაბის ხვნეშა ისმოდა. წისქვილიც გამოჩნდა ბუერის კავ-ფოთლით ჩაგრილებულ ფშანებში. კართან თეთრი მეწისქვილე იდგა და უცხო მგზავრს გამოჰყურებდა. ლუკამ ცხენი მიღრიჯა და საწისქვილე რუში აგორებულ წყალს მიაყენა.

— სად მოხვალ, კაცო, ზემო ფონი რისთვის არის, ჰა? გამოვიდეს ერთი გუგუდაშვილი...

— გუგუდაშვილი ვიღა ოხერია, — კითხვისთვის იკითხა ლუკამ, თორემ იმ მხარეში ცხვარ-საქონლით განთქმულ პაველს კარგად იცნობდა.

— ვინა და ამ წისქვილის პატრონი, — აიგოზა მეწისქვილე, — მამიჩემის ცხონებამ იმან სახრე არ გამოგილიოს, — თან ამ დაპირებას ისეთი მყრალი რაღაც მოაყოლა, ლუკას სიბრაზემ სახე აურია, ნიკორი წინ გაიგდო და აწიველებული მათრახი დასცა მარცხენა მხარზე.

სანამ გუგუდაშვილის მოჯამაგირე წელში გაიმართებოდა, ნიკორი უკვე ლურჯ სივრცეში მიცურავდა ზღაპრული რაშივით.

— მოვკლავ, მოვკლავ! — ღრიალებდა მეწისქვილე და კოდის წყლით იზელდა ნამათრახევ ბეჭს.

ბედმა ისევ შეახვედრა ლუკა ამ მეწისქვილეს, გუგუდაშვილიც თან ახლდა.

— იცი ეს ვინ არის? — იკითხა მდიდარმა პაველმ.

— ვინც უნდა იყოს, უნიშნოდ არ გავუშვებ, როცა იქნება, — მოიღრუბლა მეწისქვილე, — იმის შემდეგ მხარი წესიერად ვერ გამიმართავს.

— ვაჟაა ეს კაცი, ვაჟაფ-შაველა...

— ვინა?

— ვაჟა-მეთქი, გითხარი.

— თვითონ ისა? — გაიკვირვა მეწისქვილემ, — პოეტი?

— კაცო და ხატზე ხომ არ დაგიფიცავ, — ხელები გაშალა გუგუდაშვილმა, — რაო, მათრახის დაკვრაზე ვერ იცან?

ჩასხდნენ სამხრად. ლუკას ხან ერთი ყური ატყუებს, ხან მეორე. ამ თითქოს უბირმა მეწისქვილემ ჯერ ხომ იმის ლექსები ჩამოფქვა, მერე მისდგა და მართლა საწისქვილე რუსავით მიუშვა თავისიც.

— კაცი შენა ყოფილხარ, ძმაო, — გადაეხვია ლუკა, — ქუდი შენა ვსურებია.

მაცნე მოვიდა ფშავში...

ქისტები თუშეთსა და ხევსურეთს დასცემიან, უტირებიათ არღუნის წყალი, მუცოს ციხესთანაც უგელვებიათ ცხენები. სალაშქროდ აჯრილან მთები. ქუდზე კაცი გამოსულა, ლეგა ღრუბლებივით შეყრილან შატილის კართან და მომხდურებისთვის თავები უყრევინებიათ. უცხონებელი მკვდარი იქ დარჩენიათ, ცოცხლები კი კლდეების ხარხარში გაქცეულან უკან.

არც თუშებს უფქვავთ და უცხვიათ სირცხვილი. იქაც ძეძვივით უკაფავთ მტერი. ნამგლევ ფარეხივით აშლილა ქისტების ბანაკი, მაგრამ ცხვარ-ძროხის გარეკვა კი მოუსწრიათ.

ზეზვას თეთრონივით გადმოდგა ნისლი ბორბალოს მთაზე, როდესაც მდევრებმა იწროებში აბღავლებულ ნაჩირს ხეობის ყელი შეუკრეს.

დახოცილ ქისტთა სულები ყვავებივით აფრინდნენ ცაში. სკორესავით ცვიოდა იმათი ყრანტალი და ომალოს თემამდე აღწევდა დაჭრილთა კვნესა.

რით ვერ გაიგე, საქართველოს მტერო, ამ მიწაზე ოდითგან თავისუფლება ცხოვრობს და მისი ყმობა ისტორიამ ვერ შეძლო. ტყუილად არ სხედან თეთრი არწივებივით კავკასიის მთები, ტყუილად არ იქნევს საუკუნეთა მანძილზე ქართველი ელვის საბელზე გამობმულ მეხს.

წინაპართა სული სახლობს ყველა ციხესა და ნაციხარში.

გახსოვდეს და იცოდე.

იცოდე და გახსოვდეს.

ახლა თურმე აქეთკენ უჭირავთ თვალი ქისტებს — სულს ძლიევს ითქვამდა მაცნე — თუშ-ხევსურთა ჯაჭვი უნდა იყაროს ჩვენზე ის თუ უნდათ, სხვისი ნაწველ-ნადღვებით გასუქდნენ, აკენები ცეცხლს შეაჭმევინონ და ფშავის ველ-მინდორსაც მარტო ღრუბლები სძოვდნენ.

ლაშარის გორზე შეიყარა გალმა-გამოლმა ფშაველი. გამოაგელვა ხატმა ლურჯაი, დაენახვა ყმებს და ისევ მოჩვენებაში გაქრა.

— ლუკაი რასმე ამბობს, ლუკაი, — დაირხა ხმა.

ვაჟა მომაღლო ბექზე შედგა, დიდ ხელში დიდი ფაფახი მოჭმუჭნა და ცალი თვალი მზესავით ააბრიალა, მეორე კი ჩამქრალი თონესავით მოუჩანდა.

— ხალხო, — ხმამაღლა თქვა ლუკამ, — კარს საფრთხე მოგვდგომია. მტერი მოდის, რომ ცოლ-შვილი შეგვიგინოს, სალოცავი შეგვიმურდლოს, ქალ-რძალი შეგვირცხვინოს. მერე ვინ? კარსიქითა მე-

ზი:ბელი. მართალია, ადრეც ასე იყო, მაგრამ ის „ადრე" წავიდა და აღარ უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ ვინ არ იცის, ძაღლის ლეში სად მარხია. ხელმწიფეს უნდა, მთებმა ერთმანეთი დაჭამონ, ხალხი ხალხს წაჰკიდოს, რომ თვითონ განივრად იჯდეს იმ თავის სისხლიან ტახტზე.

აქ ისე არ ჩამოვბრუნდები, ერთ-ორ ღილღველას მარჯვენა არ მოვკვეთო და ქავზე არ გავიკრა, — ამბობს ბაჩანა და ხეობას გაჰყურებს, — იქ ჩავდგებით, — იწროებში ჩამოყუდებული ლოდებისკენ გაიშვირა ხელი, — შენა კი, ლუკავ, აგე ის გადმოსავალი შეჰკარი, არავინ შეინდოთ და შეიბრალოთ, ხმალი თუ არ მიგიწვდათ, დათოფეთ, გვეყო, ამდენი მოხტომა.

ამოყელყელავდა ნისლიდან თოვლიანი მთა, გადმოაველო თვალი ხეობას, მერე ისევ ღრუბელი წამოიბურა და იმის ნაადგილარზე ახლა მხოლოდ რძისფერი ცრიატი ბოლავდა. ირგვლივ ყველაფერი გაყუჩებულიყო, ლამის ბალახის სუნთქვაც ისმოდა და ვინ იტყოდა, რომ ეს ლოდებს მიციებული მზირები ადამიანები იყვნენ, ხორცი ესხათ და სული ედგათ.

ტკბილი ხარ სამშობლოს მიწავ და ცაო, როცა შენთვის ვკვდებით, ის სიკვდილი უკვდავების ღია კარისკენ წაგვიძღვება ხოლმე.

— აქ არც კანონის თვალია, არც ყური, მარტუონი ვართ ჩვენ ჭირთან და ლხინთან, თავიც მარტუებმა უნდა დავიცვათ, ან ისე დავიხოცნეთო, რომ წინაპრებს ვალმოხდილნი და ხელსანთლიანნი მიუვიდეთ, — თქვა ეს ლუკამ, შეკრული შუბლ გაშალა და განზე გადგა.

ახლა ისევ ბაჩანა გამოვარდა აყაყანებული ბრბოდან ფოცხვერივით ტანშეკრული, ფოცხვერივით ჩალისფერი ბაჩანა, თვალი გადაავლო გაუჩებულ მიდამოს, სიპზე აკრულ კლაპტრებს და მწარე ღიმილმა გაუსერა ტუჩები.

— როცა ვინმეს სიკვდილი მოუნდება, ფშავში სამტროდ მოდის ხოლმე. ხმლები დალესეთ, ფშაველებო, ერთხელ კიდევ ვუჩვენოთ ქვეყანას, რა ხარებს ზრდიან აქაური დედანი!

— ამინ შენს მაღლსა, ლაშარის ჯვარო! — გრიალებს ხეობა და ეს ხმა ზათქად აწყდება დაბლა მიწას და მაღლა ცას.

რამდენიმე გუნდი შეკრეს ხატის ყმებმა, წყალ-კერა დიაცებს დაუგდეს და გავაზებივით გაფრინდნენ.

ერთ რაზმს ბაჩანა უდგას სათავეში, მეორეს — ლუკა. ნიკორი ლავამს ხრავს, სივრცეს განიერი მკერდით მიარღვევს და რიჟრაჟის ცრიატს ჟღალ ფერად შერევია. უცბად გაელმა თოფი გატყვრა და ის დიდი სიჩუმე ფეხზე წამოაგდო.

ტყუილად არ დაუქადნია ბაჩანას — ვიწრო ბილიკზე მოდის და

ხუთიოდე ქისტს ხმლით ლუკასკენ მორეკავს. ხუთივეს თითო-თითო ფუთი შიში ჰკიდიათ ზურგზე და ხაფანგში თათწაყოფილი მგლის ცივი, განწირული მზერა აქვთ.

მზირები ყოფილან, მიწას გაკრულები ლავაშივით აუყრიათ აფხუშურებს და ახლა ისე მოდიან, თითქოს მუხლები დაბლა, ხევში, დარჩენოდეთ.

— ლუკავ, — მხრები გაშალა ბაჩანამ, — რა ვუყოთ ამ ურწმუნოებს, ისეთები გახდნენ, ღვთის მადლმა, თითო ჩარექა მაინც მიუშვეს შარვლებში. აბა, რალა ხმალი მიეკარებოდათ.

იღიმება ბაჩანა, თან მხარზე მოვლებულ ბერდენკას ისწორებს.

— ახლა შენ იცი, ლუკავ, მაგათი მოციქულიც შენ იყავ და წინასწარმეტყველიც...

— ვინა ხართ და აქ საიდან გაჩნდით? — ჰკითხა ლუკამ ქისტებს.

მართლა მზვერაები ყოფილან. ხევ-ხუვებში გაბმულ ბილიკებს გადმოუყვანიათ აქეთ. ყველაფერი წვრილად უნდა გაეგოთ — სად ნახირი უყენიათ ფშავლებს, სად ცხვარი უბღავით. სად ძაღლი ჰყეფს და მამალი ჰყივის, რომ ულელტეხილზე გადმოსული მარბიელები წამწამივით სწრაფი ცხენებით შეცვივნულიყვნენ სოფლებში, ტყვე და დავლა ეშოვათ.

— ძაღლებო! — ხმალი ამოიწვართა კაწალხეველმა ბერდომ, — თვალი სულ სხვისაზე უჭირავთ ამ მაჰმადის გაგდებულებს, მაი, ლუკავ, უქნივო, ერთხელ მაინც დასძლებიან სოვები.

— სოფელში ჩავლალოთ და ღორებთან დავამწყდიოთ, — იცინის ბაჩარა.

— ძაღლების ჯაჭვით დავიბათ კარებზე...

— ღაშარის ჯვარს შევწიროთ...

— ლაფით დავბანოთ პირები ამ მურდლებს.

ქისტები ფარას მოწყვეტილი ცხვრებივით მისჭუჭკვიან ერთმანეთს. შიშით დაგრძელებულ სახეებს ფშავლებს არიდებენ და შველას ცაში ეძებენ.

— ალლლა-ილ-ალლა...

ბაჩანამ ბერდენკა მხარზე მოიგდო და ლუკას შესძახა.

— კარგი-ღა, ძმაო, ეყოფათ მზის ცქერა, — მაგრამ ვაჟამ შემართულ თოფზე ხელი აუკრა და ნასხლეტმა ტყვიამ მარტო თმის რამდენიმე ბეწვი ააჭრა შუახნის ღილღველას.

— რა გინდა, ლუკავ? — სახე აემღვრა ბაჩანას. — მაშინ წამოიყვა და ხინკალი მოვუხარშოთ. — ბაჩანას მზერით სახენაკაწრი ქისტები კიდევ უფრო მჭიდროდ მიეკვრნენ ერთმანეთს.

— არა, ძმანო, არა, — წინ გადაუდგა ტყვეებს ლუკა, — ხომ ხე-

დავთ, როგორები გახდნენ, სული აღარ უბრუნავთ. ნუ დაიდებთ ამათი ცოლ-შვილის ცოდვას, მთას იქით გადავრეკოთ და გავუშვათ. ჩაუტანონ ქისტეთში ამბავი, რომ ფშაველებს არწივის ბუნება არ დაგვიკარგავს.

— წადით! — ხმადაბლა ეუბნება ლუკა ქისტებს, — წადით და თქვენიანებს უთხარით, რომ, თუ ხმალი უჭრით, მეზობელს კი არ მიულირონ, მტერი იცნონ. ვინ აგყარათ თქვენი სამკვიდროდან და თურქეთს გაგიყენათ, დაგავიწყდათ?

— ურუს, ურუს, — გაახსენდათ ქისტებს.

— ვინ მოგიტანათ როზგი, ვინ გილანძღავთ სულსა და ენას, ვინა და ისევ რუსი ყაზახები, თეთრი ხელმწიფის მოხელეები და სტრაჟნიკები, ჩეჩენთა ქალებს ნამუსს ხდიან, სალოცავებს ბილწავენ, მეჩეთებში თავლას მართავენ. ვინც ხმას აიმაღლებს, ციმბირში მირეკავენ. სატუსალოში ამწყვდევენ, ხიშტებზე აგებენ.

რახან სცოდნიათ, წავიდნენ, წავიდნენ და თავიანთ მოძმეთ უთხრან, რომ მათი მტრები თუშ-ფშავ-ხევსურები კი არა, მეფე და მთავრობაა. თუ ეაჭკაცები არიან, იარაღით დაიცვან ენაც, ადათიც და სალოცავიც. მტერსაც ის უნდა, კუთხე კუთხეს სწინწკნიდეს, კავკასია კრაზანების ბუდესავით აშალოს, ხალხი ხალხს წაჰკიდოს და თვითონ კი ამ მღვრიე მორევში ანკესი ჩაჰკიდოს. გაიგეთ?

გაიგეს, იალაჰ, გაიგეს, ოღონდ გაუშვით, ფშაველებო, ცოცხლები გაუშვით და თავისიანებს ამ დიდ სიმართლეს უკლებლივ ჩაუტანენ. საღოლ, საღოლ, პირაქეთელა ძმებო, ახლაღა მიხვდნენ ყველაფერს, ეხლაღა გაუთბათ შუბლი.

გაუშვეს...

გადაატარეს ფშავის მთები და ქისტეთის აღმართ-დაღმართს ჩაბარეს წელანდელი ტყვეები.

— არიქა, ლუკავ, პირდაპირ პეტერბურღისკენ ქნეს პირი, საბრალო ნიკოლოზი, არ იცის რა ღღე დაადგება, — იცინის ბაჩანა.

ამის შემდეგ ხუთიოდე თვე გავიდა.

კავკავს არის ლუკა, საქმე რამ აქვს. მილეთის ხალხი აქ მოქუჩებულიყო. დუქნებთან ირევიან თავფაფახიანი მოხევეები, ჩაუქი ჩერქეზები, ქისტები, ყაბარდოელები. ფართლეულის ფარდულებს შესევიან ათასფრად აჭრელებული, სხვადასხვა ენასა და ხმაზე აყაყანებული ქალები. ბღავის გასაყიდად ჩამორეკილი საქონელი. ქვითინებს ზურნა. ევროპული რესტორნის შესასვლელთან იცდიან ეკიპაჟები. განიერი ნაბიჯით დადის გორიდოვოი, კისკისებენ კავალრების ძალებზე დაკიდებული მეძავები.

ლუკამ ფარული მზერა იგრძნო. ვიღაცის თვალი დასდევს უკან,

მერე ის ვიღაცა ბაზრის კიდესთან, მარგილზე მიბმულ ცხენს ეფარება და გვერდზე ჩავლილ ლუკას ქიშმიშნარევი ქართულით ეუბნება.

— გამარჯვება, ზმობილო.

ლუკას წინ გრძელხანჯლიანი ქისტი დგას, შუბლის სიპზე საიდუმლო რამ აწერია, მზერაც იდუმალი აქვს, შეთქმული.

— ვერ მისანი, ზმობილო?

— ვერა, — თავი გაიქნია ლუკამ.

— თვალი არ მომატყუებს, შენა ხარ, — ილიმება ქისტი, — ფშაველი...

— ეგ კი მართალი თქვი. — უკვირს ლუკას. და უცბად ახსენდება ბაჩანას მხარზე მოგდებული ბერდენკა, ტყვიის წივილი და შუახნის ღილღველის თმებში გავლილი ნასროლი.

— იალაჰ, დაპირება შეგისრულე, — მკერდზე ხელს იდებს ქისტი.

დაუჯერე ლუკავ, დაუჯერე, ალაჰია მოწმე, ტყვიას არ გეუბნება. ამ ხანჯალს, წელზე რომ აკრია, ხუთი ყაზახი შესწირა ღილღველმა ჩუსამ. იარაღასხმული ბიჭები ტყეში უსხედან, თვითონ კი აქ ჩამოვიდა, ტყვია-წამალი იშოვა და დაღამდება თუ, არა, ქალაქიდან გაჭრება.

ვაჟას ცხოვრება თავიდან ბოლომდე რაინდული შემართება, სიმართლის ქომაგობა და წარბშეუხრელი ვაჟკაცობაა. უძმოს ძმობა იყო დიდი ფშაველის წუთისოფლის მოკვეცა და მრწამსიც. სუსტის დაჩაგვრა შეუნდობელი ცოდვაა და ვინც ამ კერპსა და ბომონს ემსახურება, ლუკას გზაზე ნუ შეხვდება, მის გვარსა და სახელს გაექცეს, თორემ, ლაშარია მოწმე, უნიშნოდ ვერ მოუვა სახლ-კარსა და ჯალაფს.

ვაჟას დაუმთავრებელი ომი აქვს მეტყეველებთან.

ჰოდა, მუხთალის თვალი როდის დახუჭულა.

თიანეთს მიდის ლუკა. ის იყო ლურჯამ საბადურის ტყე მოიგრილა, რომ საურმე გზაზე ოთხი კაცი გაჩნდა, ოთხივე სიბრაზით ყბამოქცეული, ოთხივეს მგლის თვალები აქვთ, მართლაც მგლებივით ეცნენ ვაჟას და, სანამ მათრახს დაბლა დაუშვერდა, ცხენიდან გადმოიღეს.

ორივე ხელი მსხვილი თასმით გაუკრეს, ლურჯაზე ფიჩხის გუდურასაით შეაგდეს და თიანეთს გაუყენეს.

მაზრის უფროსი ბოლთასა სცემდა სამაზროს ფართო აივანზე.

ვინ არის? — იკითხა, როცა თოფშელერებულ ხალხში მომწყვდეულ ლუკას დაედგა თვალი.

— ბუნტოვჩიკია, თქვენო ბრწყინვალებავ, მოგვიხელთებს თუ არა კომბლითა და ხმლით დაგვერევა ხოლმე, ამის რიდით ტყეში ვერ შევსულვართ, — წინ წამოდგა ბაჩიაშვილი თუკენა და ჩოხის კალთები ქამარში ამოიმწყვდია.

— ვინ არის? — ისევ შორიდან მოაწვდინა ხმა მაზრის უფროსმა.

— ლუკაა, რაზიკაშვილი.

— ვაჟა-ფშაველა? — იწყინა ჩერქეზიშვილმა და კიბეზე სწრაფად დაეშვა, — ახლავე ხელები აუხსენით, რეგვენებო!

ლუკა ახლა მკლავებჩაშვებული დგას თავადის წინ და საღი თვალი ცხელი შამფურივით გაუყრია მოძალადეებისათვის.

— მე მაპატიეთ, — ეუბნება მაზრის უფროსი, — ბნელი, თვალაუხელელი ხალხია, არ იციან, ვაჟასთან რა თავაზი ეკუთვნით.

იქვე, სამიკიტნოში, სუფრა გაიშალა, რათა ლუკამ წყენა დავიწყოს, კახური ღვინო სვას, ჩაქინძული ლოქო გასინჯოს, შაკი ხიზილალა მიირთოს.

ვაჟას ლურჯა სცემს ტორებს ფილაქანს, თითქოს პატრონს ეძახის: ლუკავ, აძდენ ხანს სადა ხარ, წავლენ და ველარ დავეწევითო.

ვაჟა ფეხზე წარდგა.

— ახლავე გეახლებით, — თქვა და კარი გაიხურა.

მეზელივით მიფრინავს ნიკორი. ფაფარი აშლია და ქარი უწივის ფეხებში.

საბადურის ტყესთან მიაგელვა ლუკამ იორღა და ეიწრო ბილიკს აღმა აჰყვა. ხევისბერებივით იდგნენ ტანმსხვილი, კარებივით გაშლილი მუხები, ხევისკენ გადმობრილ რცხილის ტოტზე ბერი ქედანი იჯდა და ტკბილი ლულუნით შეჰხაროდა ცის კიდისკენ დარეცილ ჩამავალ მზეს, ბუერას ფოთლებს, ბალახიან ბექობზე სანთლებივით დანთებულ ყვავილებს, ღვთის მადლსა და მიწის სიბრძნეს.

ამოჰყეფა ხევმა ცხენ-კაცს, აფრთხა მიყურადებული ნიავი, ააბიბინა გალმა დარჩენილი ქერის ყანები, მერე სათიბებში შეევარდა და ჟრუანტელად დაუარა მწვანედ ჩადედებულ ბალახს.

აიმანძილა ნიკორმა. მერე მგელივით გაეკრა კარგა შორზე გაწოლილ სერს და თქარათქურით ჩავარდა პატარა მდინარის ნაპირებს აღეღნებულ საურმეზე.

ესეც ლაშარის წყალობა, ლუკავ, ისევ ოთხნი არიან, მძიმე რუსულ ცხენებზე სხედან და ახლა გაქცევაც რომ სცადონ, ნიკორს ვერსად წაუვლენ. აბა, სად მთის მიმინო და სად ეს ოთხი მსუქანი ღერღეტი.

ვაჟამ ნიკორს ჩექმის ქუსლი ჰკრა, აღვირი მიუშვა და ქამრიდან მათრახი გამოიძრო.

— დამიდექით, მძორებო, — შორიდანვე გასძახა მეტყეველებს და, როცა ნიკორმა ის დარჩენილი მანძილი ორი ნაფრენით დაფარა, ლუკამ ჯერ უკან დარჩენილს მზარ-იღლივ გადაჰკრა მათრახი, მერე ის სამიც საალდგომო კვერცხებივით დაღება. ნიკორი ყალყზე შეაგდო, თიანური გზისკენ მოღრიჯა და დასჭყიელა.

— სადაც თქვენი თქვათ, იქ ლუკასიც არ დაივიწყოთ.

ქათამი უკვე იბუდებდა, როცა ლუკამ დუქანს მიაგდო გახელებული ნიკორი, იორღა ოფლში ცურავდა, ფერდებზე ქაფის თეთრი არ ვასდევდა, მძიმედ სუნთქავდა და თვალებიდან ვარსკვლავებს აპნევდა.

— აჰა, — აბაზიანი გადაუწკრიალა კარგად გამოვარდნილ ბიჭს, — გაატარ-გამოატარე და საბალახოდ მიუშვი.

ვაჟას წასვლით ქეიფს ნირი შესცვლოდა და ახლა ლუკას დაბრუნებამ სუფრა ფეხზე წამოშალა.

— სად იყავ, კაცო? — იკითხა ვიღაცამ.

— საქმე რამ მქონდა, — ულვაშებში ჩაიცინა ვაჟამ და ჯერ ისევ ცხელი მათრახი ქამარში გაირჭო.

ჩერქეზიშვილმა ყანწი გამოსცალა და ვაჟასკენ გადაიხარა...

— მაგრად დაალბე? — დაბალი ხმით ჰკითხა.

— არა უშავს, ნათლიღებამდე ეყოფათ.

— ხელიმც შეგრჩების, ჩემო ლუკავ, მე კი არც რამ ვიცი და არც რამ გამიგია. შენაც სულ აქ იჯექ, ჩემ გვერდით, არსად გასულხარ...

* *

არ მოგწონთ განა, ბატონებო, ვაჟას მჭახე ლექსები, ხან რომ ზვავის ქუხილსა და ჩანჩქერის ცემას, ხან კიდევ ყვავილის ამოსუნთქვას ჰგავს, პენსნე გაგიბზარათ განა ელვასავით მოქნეულმა სტრიქონებმა, ენაც ფშავურად ნადღვები აქვს, მსუყე, ღალიანი, მაგრამ რა ვუყოთ, თუ ამ ენით აჩქამდება ხოლმე თქვენი სიყრუის საწამლოდ და მოსარჩენად? თუ ამ ენით ილოცება ლაშარი საქართველოს გადასარჩენად? და ამ ენაზე ჰგალობს მთიელის სული? ან რა არის გაუგებარი ლუკას ნაწერებში? განა, თუ სიტყვას იადონის ყელი არა აქვს, ქართული არ არის? მაშ, ჩამოჯექ, საფიხვნოზე, ალუდავ, და ბარის ქართულით დაიტკბე ენა, მაგ შენ ციხე-ქავშიც ფეხბანდულიანი კი ნუ დახვალ, ქალაქური ფლოსტების წკაპუნით იარე, შენაც, მინდიავ, სწორი ზმნისწინები შაქრის კვნიწებივით გეყაროს ჯიბეში. ჯერ ქართულ გრამატიკას ჩაუჯექ, სალიტერატურო ენის მიხვეულ-მოხვეული ისწავლე

და მერელა მიუგდე ყური, რას ტიტინებენ ბექზე ჩამომსხდარი ყვავილები — ეგ შენი ლამაზი წაწლები, მერელა ჩაიდგი გრძნეულის სული მაგ კაცურ გვამში.

ხალხს ესმის ვაჟასი, მისი ლექსისაც და მისი ენისაც, უბრალო შრომელ ხალხს, მართალს, პირდაპირსა და ალალს. აგე, თუნდაც გიორგი შინატეხელი ვთქვათ, ერთი უბრალო მეწაღეა, მაგრამ ლუკას ლექსებით არის სავსე, ხან „ბაბტრიონის" ადგილებს ღიღინებს, ხან „ჯველის მჭამელსა" და „ალუდა ქეთელაურს" მიუტრიალდება.

— ასე მგონია, იმ ვაჟკაცების სისხლი მეც მკერდიდან მდისო, — ხშირად იტყვის ხოლმე.

— შენს შუბლსა და ენა-პირს, ვენაცვალე, ლუკავ, შენს ნიჭსა და ტკბილმაზდუხსა, — ილოცება გიორგი და ვაჟას მესტებს ხელში ატრიალებს.

— ამ ერთი კვირის წინათ დაბალი თედუა მოგვიკვდა, გელაქნურმა მოგვწამლა, კუკიაზე დავასაფლავეთ, დოლ-ზურნითაც ვიტირეთ, — გიორგი გაჩუმდა და ახლა აღმა შეაბრუნა მესტები.

— მერე? — ეკითხება ვაჟა.

— მერე ისა, ჩემო ლუკავ, რომ თედუას თუ რამეღა ეშველება, ამ შენს ჩუსტებსაც რაღაცას მოვუხერხებ.

— მაშ ფეხშიშველას მიშვებ, ფშავში?

— ფეხშიშველას რათა, შენ აქ იყავ და მე წამწამის დაცემინებაზე აქ გავჩნდები.

მართლაც, მალე გამოჩნდა გიორგი შინატეხელი. ხელში წყვილი მესტები უჭირავს, ყელიანი, კარგა გამოქნილი, მორჩილი ტყავისა...

— შენია, — გაუწოდა ლუკას.

— მერე კაცო, — ამოდენა ქონებას ჩემი ქისა რას ეყოფა?

— ფეშქეშ. ლუკაჯან, ფეშქეშ, მოგიკვდეს გიორგი შინატეხელი, რომ მეტზე ხელი ვერ წაუწვდება, თორემ შენს სახელს რა ეკუთვნის, ისიც კარგად ვიცი.

ცხონდი, გიორგი შინატეხელო, ცხონდი...

* * *

დაბალ ხალხში ლუკა უბრალოა, შინაური, მაგრამ, სადაც ვითარება მოითხოვდა, იქ კი სიტყვაც და საქციელიც ბირდაბირიეით უჭრიდა.

გეყავდა ასეთი მსახიობი — სოსო ივანიძე. რიცა ღმერთი პოეტებს ნათლავდა, მირონის ერთი წვეთი მასაც წასცხებია და ციკანი-

ვით შეკუნტრუშებული რამდენიმე ლექსიც ჰქონდა გამოქვეყნებული დღემდე ყველაფრის ამტან ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში.

რამდენს ჰქვია პაულე, მაგრამ განა ყველა პოციქულია?

მსახიობადაც ვერაფერი ხვითო ყოფილა. არადა არ გამოსულა ნაკვერჩხლისგან ვარსკვლავი, სცენაზე ოღრო-ჩოღრო სიარული იცოდა, მონოლოგსაც ეაცივით ჩაიკიკინებდა ხოლმე. მაგრამ თამადად კი ისეთი გახლდათ, დოქსა და ღვინოს რომ დაღლიდა.

ერთი ქართველი ბანოვანი იხდის ნადიმს. კარი გაიღო და ლუკა გამოჩნდა, შემოიყოლა მთა-მინდვრის სუნი.

დაგოგმანებს მასპინძელი, ვაჟას თვალ-წარბში უვარდება, მერე. ხმამაღლა სთხოვს ექსპრომტს.

აიხარა ვაჟა და ჩამოუწყვიტა ციდან იმ კეთილ ბანოვანს ერთი ვარსკვლავი.

— ალბომში ჩაგვიდეთ, ალბომში, თქვენის ხელით, — იღიმება ბედნიერი დიაცი.

— ბატონი ბრძანდებით..

ახლა ივანიძე წამომაღლდა, სკამზე ახტა, ხმელი სარებივით შეკრული სტრიქონები მიართვა მასპინძელს და სკამზე ისე დაეშვა, ოლ. ნპოზე ზევსი რომ დაბრძანდება ხოლმე.

აბას კიდევ რა უშავდა, მარტო ჩუმმა თვალმა დაინახა, მაგრამ ეს ოტროველა ფშაველი ალბომში იყოს და ივანიძე არა? ამიტომ ხმამაღლა იტყვის...

— ესეც იქ ჩადეთ, სადაც ვაჟას ექსპრომტია.

კუ რამ ბოკლა და აფრენის წადილმაო, — სწორად უთქვამთ...

ლუკა უცბად წამოზვავდა, დერეფანში მიკიდულ ნაბადს ხელი წამოაელო და ივანიძეს განივრად მოქნეული შოლტის ბოლო უწვდინა.

— უზრდელობა როგორ არ მინახავს, მაგრამ ბატმა ბატისა იცოდეს და არწივმა არწივისაო, — თქვა და ვერც დიდმა მუდარამ შემოატრიალა უკან, ვერც ივანიძის სიჩუმემ.

ვერც რედაქციის მუშაკთა ბალანის ამშლელ მზერას იტანდა.

ჰაი გიდი ცხოვრებავ, ემაგათ უნდა დაუწუნონ ნაწერი ვაჟა-ფშაველას? ესმოდეთ მაინც, დღემდე ლექსი აღმოსავლეთიდან მოზიდული ჩამიჩი ჰგონიათ, ტუჩები თუ არ დაგიტკბო, რის მაქნისია. პეპლების პოეტები. აფსუს ჩემს თავსა, აფსუს... ასეთ დროს წამლის მოძებნაც იცოდა. მოუყრიდა თავს შიო მღვიმელს, ბუქურაულს, ევდოშვილს და ქოსების დუქანში მიუჯდებოდა ხოლმე შინდისფერ ნუნუას.

— დაილოცე, დაილოცე. — ჭიქას მაღლა ასწევდა ლუკა და მზეჩამდნარ ღვინოს სინათლეზე გახედავდა, — ისევ შენ გააღიმებ ხოლ-

მე ამ დაღვრემილ წუთისოფელს,, დაგელოცოს მომყვანიცა და დამწურაცაც.

დაგორდებოდა ნარიყალას თაეზე თეთრი მთვარე, დაელერებოდა იასამანის ფერი დილმის მინდვრებს; მწუხრის ზარებს ჩამოკრავდნენ სიონსა და ანჩისხატში. ქორებთან კი ისევ ისმოდა ლუკას ომახიანი, ოდნავ სევდაგამჯდარი ხმა,

„დამისხი, დამალევინე,
ეს ღვინო, ოხერ ტიალი,
ეგება წაღმა ვიფიქრო
სოფლის უკუღმა ტრიალი...“

მედუდუკეებსაც მეტი რად უნდოდათ! ისეც უტიროდათ ხმა...

* *

თამარს რომ ჰკითხო:— კაცო, ოჯახის პატრონი ხარ, წვრილ-შვილი კალთებზე გკიდია, თავს რატომ აიღებ ხოლმე ხარ-ლაღივითა და ხან ახმეტას გადავარდები, ხან დუშეთსა და თიანეთს მოხვდები. ის არა სჯობია, სულ აქ იყო და სიღარიბე მოირჩინოო?

ღმერთებსაც დედაკაცები ჰყავთ ცოლებად...

ვაჟა ამ დროს მწარედ ჩაიცინებს ხოლმე და ჩუმად კაზმავს ნიკორს.

გაუშვი, თამარ, გაუშვი... მოინადიროს ლუკას თვალმა საქართველო. მოენატრება ხოლმე სულის თავისუფალი ქროლვა, ცასთან მარტო საუბარი, გაუშვი, აგრემც შეგეწევა ლაშარის ჯვარი. ძნელი ყოფილა, ძნელი ვაჟა-ფშაველას ცოლობა. მაგრამ მასთან ერთად უკვდავება არც შენ დაგკარგავს, თამარ, იმ დღემოკლე, ყვავილად, სილამაზედ ნაშობ კეკესთან ერთად.

ჩუმად კაზმავს ლუკა ნიკორს.

სულის თანხმობას გაუმარჯოს, ძმებო... მიჰქრის ნიკორი...

წუხელის თქეში სცემდა... ხმა დაჰხოხებოდა ჩარგლურას...

* *

დამფრთხალი ირმებივით გარბიან დღეები. შეეჩვია აქაურობას ლუკა. იქ, მთაში თუ ლოდინით დაღლილი მთები მუხლჩაუხრელად დგანან და უფსკრულები ამთქნარებენ, აქ ალაზნის ფართოდ გაშლილ ველს შემოსხდომიან გარშემო თოვლიან-ტყიანი მწვერვალები. ჩამოდგება ხოლმე მაკე შემოდგომა და მაშინ უნდა ნახო, რა დოლათი

სცოდნია კახეთს. პირველად უკვირდა ჭირნახულით სავსე ურმები, კაცის სიმაღლეზე წამომდგარი სიმინდის ყვითელი ულვაშები, ზაქის სისხლივით წითელი დაფიონი, გრილოში მიწოლილი ღვინის რუმბები. ტაბიკებივით გრძელი ჩურჩხელები... და ბოდბისხევის დიდი ბაზარი, მაგრამ მერე თვალი და ყური ყველაფერს შეაჩვია. იმ დღესაც სემინარიისკენ მიიჩქაროდა, როცა საქულბაქოსთან გასაყიდად გამორეკილ საქონელში შეუვარდა თვალი. იმ ნახირში ის ერთი მოზვერი მაინც ისე გამოირჩეოდა, როგორც მთვარე ვარსკვლავებში. ღონიერი ქედი ედგა და ტანადაც ისეთი ქათქათა თეთრი იყო, ნამდვილად წმინდა გიორგის დაჰკარგვოდა და ამ ბედნიერ გლეხს ეპოვა ალაზნის ჭალებში. გარშემო კასრივით უწველო მედუქნე უტრიალებდა იმ კეთილშობილ ცხოველს, სიხარბით სავსე მზერას ხანჯალივით უღერებდა და თვითონაც რუსული სამოვარივით თუხთუხებდა. გლეხი თავის ქნევით იგერიებდა ბუზანკალივით აბეზარ მუშტარს,

— მაგ ფასად არა-მეთქი, იმდენჯერ გითხარ, ენა ამტკივდა.

აფხორილი სოვდაგარი ნელი ნაბიჯით გაშორდა გლეხს, მაგრამ. როცა არავინ დაუძახა, ისევ უკან გამოგორდა...

— აჰა, წყალობა მიქნია, მანეთიც დამიმატებია.

მოზვერმა დაიზმუვლა და პატრონს ქვამარილივით აულოკა დაბაშრული ბელტივით მძიმე ხელი.

ლუკა ახლა ახლოდან უსმენდა ყრუ-მუნჯისა და მედუქნის ვაჭრობას.

— ხმა მაინც ამოიღე, კაცო, — შეიმღერა მედუქნე, — ესეც კიდევ ათი შაური. ვითომ ალავერდისთვის შამიწირავს.

— არ იქნება, — მოსხიპა გლეხმა.

— მაშ შენი სიტყვა ერეკლეს ბეჭედი ყოფილა...

— აგრეა...

— ვახ, კაცო, ეს ვინა ყოფილა. — ხელები განზე გაიქნია ვაჭარმა, — იმდენი ველაპარაკე, აქამდე კამეჩს ვაცეკვებდი, გაყიდვა არ უნდა და ის არის.

— მაშ იგრე ჩამოვიდოდი თელავში. შენს სანახავად? — ჩაიღიმა გლეხმა და თვალი ალაზანს გაღმა ანთებულ ფერებს გაუსწორა.

ლუკა მიხვდა, ამ აულებელ ციხეს მედუქნე ისეთი ზარბაზანს მიუყენებდა, სულ დუღაბის ნაშალად და ღორღად აქცევდა, მერე კი იმ ლამაზ დეკეულს ყასბის დანას დაუწვენდა.

უფრო ახლოს მოუვიდა საქონელს, ფერდზე ხელი დაჰკრა და გლეხს ქვემოდან ახედა.

ახმახი იყო ის დიდი ღლისთვის გაჩენილი. ალვის ხესავით ირწეოდა ლუკას წინ.

— სახარე ყოფილა.

— სახარეა, — ზემოდან ჩამოუგდეს ახირებულ სემინარიელს.

— კარგი ხარი კი დადგება, აბა დახე ამის ქედსა, — ახლა გავაზე გადაუსვა ხელი მოზვერს.

— შენ რა ვექილად დაუდექ, — გაბრაზდა მედუქნე, — სახარე თუ ხარ, ბევრს მიუტან შენ დედამამასა... დახე, როგორ გარყვნა წიგნმა ეს ბალღობა, — მიუბრუნდა გარშემო შემომდგარ გლეხებს.

იმათაც ერთხმად აატოკეს თავ-კისერი.

— გასწი, ბალღო, წელან თუ ბოლავდა, ახლა უცბად აბრიალდა მედუქნე, — ცოდვაში ნუ გამრევ და ქამარს ნუ შემომახსნევინებ.

ესა თქვა და იმ წამსვე ნაბიჯით უკან დაიხია — წელანდელი სემინარიელი სადღაც გაქრა და მის წინ ახლა ვეფხვის გაავებული ბოკვერი იდგა, თითქოს რბილი და გრძელი ნახტომისთვის მოზიდული. ერთი კაცის თვალებში ამდენი სიძულვილიც ჯერ არ ენახა ამ ქვეყნის ავან-ჩავანში ნახეტიალებ მედუქნეს. იტყვიან ხოლმე, მგლის ლეკვს შხამიანი კბილი აქვსო და ისევ ისა სჯობია, ამ შავ ფშაველს დროზე უგანოს...

— თელაქელი ხარ? — ჩამოეკითხა ახმახი.

— ფშაველი...

— ჰოო...

— იცი რას გეტყვი, ძია-კაცო, — ხმაში იდუმალება ჩაიგუბა ლუკამ, — თუ სიკეთე გინდა, ამ მოზვერს ნუ გაყიდი.

— მაშინ ჩემ დედაკაცს ახალი კაბა შენ ჩააცვი, ბალღებს კიდევ წუღა-მესტები, — ტუჩ-კბილი ჩაიშაქრა გლეხმა. ვითომ რატომ არ გავყიდო.

— თეთრი ხარი ხატისაა და იმიტომ, — წარბები ერთმანეთს გადააწნა ლუკამ, — ერთხელ ჩვენებურმა დაკლა და მეორე დღეს იმის ბანს მეხმა დაჰკრა, მერე ჯერ ცოლი გაუგიჟდა, თვითონ კიდევ დაკუტდა, ეგრე კუნძივით დევს შინა.

— რას ამბობ, ბალღო, — ზაფრა ეცა გლეხს. — მართლა?

— ჩემი თვალით მინახავს, აი თუ არა გჯერა, — პირჯვარი გადაისახა ლუკამ.

— ეგრეა, სამებავ, ეგრე, ეს ბალღი ღმერთმა თუ გამოგიგზავნა, რომ ცოდვისაგან ეხსნე, — აქეთ-იქიდან დააყარეს გლეხებმა, — თუ დაუკლავ, .ისევ თეთრ წმინდა გიორგის დაუკალ, თუ არა და გყავდეს...

მოიხდის დაკონკილ ქუდს სამება, ღერღიტივით ატრიალებს იმ თავის მოტკლეპილ თაესა, მერე ისევ შეშინებულ მზერას შეავლებს ლუკას.

— დაილოცოს ღვთის სამართალი, ეს ბიჭი მართლა ანგელოზი არ-ყოს. იმას კი სემინარიელი ჰგონია, ბალღივით ელაპარაკება.

გალმა, ალაზნის საბატონოში, ნისლები აიყარნენ. იარა მზის სხივმა, იარა და ალაყერდის თეთრ გუმბათს ზედ დაადგა სამების სანიშნოდ და სასწაულად.

— მართლა ხატისა ყოფილა, — პირი ღია დარჩა სამებას, — ღმერთო, შენ მაპატიე, ღმერთო, შენ შემიწყალე...

ანგელოზი ბიჭის მტკიცე ნაბიჯით მიდიოდა სემინარიისკენ, ზენ ბოლოქანქარასავით ასკინკილზეც შეხტებოდა, სამება კი შინისკენ მიაჩქარებდა კურატს, თან ყორანივით მისდევდა შავი ფიქრი:

მართლა ასეა განა, დედაკაცი ეშმაკის კუდიაო რომ ამბობენ, წადიო, გაყიდეო, თაეშალი მინდაო, ბალღები უეხშიშველა გვყვანანო, თურმე ჯოჯოხეთში კი მგზავნიდა. რაღა ქალის ჭკუა და რაღა წყლით ამოსხმული ქალამანი.

* * *

ეჯავდებოდა ვაჟას გულვიწრო, მუზმუზელა ადამიანი, საკუთარი ბინის იქით რომ უთავდება ქვეყანა. კაცი თუ გქვია, წუთისოფელს ყველგან უნდა ჰყავდე — ჭირშიაც და ლხინშიაც. ზოგი კი, აბა, გახედე, როგორია — მუდამ სხვას შეჰყურებს ხელებში, ძირს დახრაც კი ეზარება, თვალებადაც ორი სველი კენჭი აქვს და არა ორი პატარა მზე — იტყოდა ხოლმე ლუკა.

ჩარგლის თავს, ტყისპირას ცხოვრობდა ერთი ასეთი სულიერი — პაპო ბაჩიაშვილი. თავს მაღლა არასოდეს აიღებდა, სულ მიწაში იყურებოდა, სულ ღრუბელი ეკიდა ზურგზე, ცასა და ხმელს რომ ცეცხლი მოსდებოდა, იმის მკვდრულ სიმშვიდეს, ალბათ, არც ეს დაარღვევდა, საფიხვნოზეც პირმოკუმული იჯდა, ცხვრის ტყაპუჭში გახეული, თავზე ისეთი განიერი ბოხოხი ედო, სევაი თავისუფლად ვაიკეთებდა შიგ ბუდეს. დედაკაციც ავზნიანი ჰყავდა — წყაროზე წყლის ანგელოზი რომ დაენახა, იმასაც კი შესწყევლიდა, შუბლზე თითქოს მუდამ მჟავე ტყლაპი ჰქონდა გაკრული — სულ დამრუშული დადიოდა, სულ გაუცინარი.

— აბა მაგათ უნდა თქვან ხალხი ვართო, — იტყოდა ხოლმე ლუკა როცა ვინმე პაპოანთა ახსენებდა.

თვითონ გულკეთილს, სძულდა-მეთქი შრომასთან უმძრახი, ხელხმელი კაცი.

როცა რაზიკაანთ ეზო-ყურეს ვინმე საპყარი მიადგება, თამარი ორი ხელით გაუწვდის ხოლმე გასაკითხს. ამ დროს ლუკას კმაყოფი-

ლეჩის ღიმილი დასთამაშებს სახეზე, მაგრამ იმ დღეს კი ცივი კლდესავით დაუხვდა მათხოვრებს. იმიტომ კი არა, რომ პური არ ედო ამბარში, დამბალი ხაჭო არ ეპოვებოდა ქილაში. არა, იმათმა შეხედვამ გააბრაზა. ორიეე ულვაშებაჯეჯილებული ახალგაზრდა იყო, სახატე ჭოზერის კისრებს აბრუნებდნენ და ისეთი ჯანისანები ჩანდნენ, რკინის კეტს მკლავზე დაიხვევდნენ.

— სადაველები ხართ? — ეკითხება ლუკა და იმ თავის ღია თვალით ხან ერთს ბურღავს, ხან მეორეს.

— ქართლიდანა ვართ, შენი ჭირიმე, ეს ბერაანთ სოსოა, შენა კიდეე თორაანთ მიხოი.

მკერდზე იტაკა თითი გლახამ.

— სულ ასე დადიხართ?

— მაშა... დავდიეართ, ხან იქა ვართ, ხან აქა, — სახე მოისაწყლა თორაანთ მიხამ და ლუკას წაუმღერა:

არაქასა, მარაქასა,
ცოტა რამით გაგვიკოთხე,
ღმერთი მოგცმს ბარაქასა...

თამარი უკვე დირეზე იდგა პურითა და სავსე ჯამით, როცა ლუკას შეეხეხედვამ უკანვე შეაბრუნა.

— მაშ ქართლელები ხართ?

— ჰოდე...

— სოფელიც გექნებათ..

— ვარიანი, შენი ჭირიმე, ვარიანი...

— მერედა, თქვე კაი დედმამის შვილებო, ეგ ულვაშები მარტო საწვინტლედ ხომ არ დაგაქვთ, მამაჩემის, პავლე ხუცესის ცხონებამ. თითო მათრახი თქვენთვის ალალი იყოს, ტან-ფეხი არ გაკლიათ, ძალ-ღონით დაბერილხართ და ნამუსი კი დაგიკარგავთ.

სანამ ლუკა ერთი-ორ ტკბილ ქართულს კიდევ იტყოდა — თორაანთ მიხა უკვე დაღმართზე გარბოდა კონკების ფრიალით, ბერაანთ სოსოს კი სიპისთვის ფეხი წამოეკრა და ახლა საკერებლების ჭრელი გორგალი მიგორავდა თაკვე.

ზევს გალმა ისე გაცვიედნენ, უკან აღარ გაუხედავთ.

— ეს რა ჰქენ, კაცო, — გაუკვირდა თამარს, — შენა და ასეთი რამე?

— ეგეთებს კაცი კი არა, უფალიც არ განიკითხავს, — შესცინა ლუკამ, — ბეჩაობაც არის და ბეჩაობაც. აბა, როგორი საყურებელია, როცა მკვდარი მიწის ზევით დავალს, ეს უკვე მარტო ტან-ხორცის კი არა, სულის სიმურდლეა.

გაიქნია თავი თამარმა, ახედა ათოხნილ ცას და ლუკას გაუგონრად სთხოვა...

— ღმერთო, პატიე, ღმერთო, პატიე... — მერე კი ხმამაღლა დაუმატა, — ბეჩავებს პური-ოთ შიოდათ.

გაეცინა ლუკას.

— ეგრე რამ დაგამსგავსა, ქალო, დედაჩემ გულქანს. ლამის ჩავლილი წყლისთვისაც გაეძახა — ხომ არა გწყურიაო. ერთხელ მკვდარი ჩიტი ენახა გზაში და შინ სველი თვალები მოიტანა, — ბეჩავი, ბეჩავიო. — იძახდა.

* *

მარტი იწურებოდა, მაგრამ ამინდს სასიკეთო ჯერ არაფერი ეტყობოდა, დილიდან ქარს ზამთრის გრძელი ძილისგან გამოფხიზლებული ველ-მინდვრის სუნი მოჰქონდა. მეტეხთან უფრო ღონივრად ბრუნავდა მორევი... ვაჟა ალმართს აუყვა. ქუდზე ხელი აიკრა და ცხელი შუბლი მიუშვირა მტკვრის ნიავს. ვერ იყო კარგად. აღარ უვარგოდა ნაბიჯი, საკუთარი სხეული ემძიმებოდა. გოლოვინის პროსპექტზე აივაკა თუ არა, მთაწმინდისკენ გაექცა მზერა: რაღაც უცნაურად მოენატრა ილია, მკერდში კი ტკივილმა დაურბინა, გულს ეცა და მერე ფერდში გაიჩხირა.

ეს რა ექნით, ეს რა ღმერთი გაგვიწყრა, აღარც ილია, აღარც აკაკი... სასტუმროს რომ ჩაუარა, წამით შედგა. აქ უყვარდა ხოლმე დგომა საცოდავ სანდროს, ბევრჯერ შეხვედრია ლუკას იმ თავისი მოკლე ნაბდით, თუშურის ქუდითა და ნახევრად ჩამქრალი თვალებით. ისიც წავიდა, დაიცალა ქართული პარნასი — უკვდავნი მიდიან, მოკვდავნი კი აქა ვრჩებით.

რეკდნენ სიონის ზარები...

ფუტკარივით შეჰბზუის ფიქრი ლუკას — აქ ცოტა ხანს დარჩება, ექიმს ენახვინება, რედაქციებსაც მიივლ-მოივლის და ისევ მალე აბრუნდება ფშავში, თორემ ოჯახში ათასი საქმე უცდის — თამარმა რამდენს გაუწვდინოს ხელი — ბალღების მოვლას, საქონელს თუ შეშასა და თივა-ბალახს? კარგა ხანია, ეს მარცხენა ფერდი აწუხებს, ხან რო ცივ ოფლს გამოასხამს გარეთ, ხან ისე გაუვარვარდება, თითქოს ნაკვერჩხალზე წოლილიყოს. მაშინ ლუკას ხმელი ხველა ახრჩობს და შემდეგ ხარბად კმეჩს ხოლმე ჰაერს.

ექიმიო, იტყვით, სად არის ფშავ-ხევსურეთში ექიმი? თიანეთს თუ არ გადახველ, ან დუშეთსა და თბილისს არ ჩამოხველ, სული ისე ამოგიფრინდება, პირჯვრის გადაწერას ვერ მოასწრებ.

ლუკაც ლამის ერთი წელია, აფხუშოური ექიმბაშის ნასწავლ ბალახს ხარშავს და მტკივანზე იფენს, მაგრამ ამან აქამდე ვერ მოუბოშა წელზე სალტესაით შემოჭერილი ტკივილი. ბოლოს ისევ თავის მჟავე წყალს მიუბრუნდა — თვითონ ათბობდა კასრში და აბაზანებს იღებდა, მაგრამ ვერც ამან უწამლა — ისევ უელავდა ნეკნები, ისევ უკაწრავდა ფერდს წუთით მიყუჩებული სენი.

უკვე ვერაზე იყო. პატარა მოედანზე რაჭველი მეკურტნეები შეგროვილიყვნენ, მძიმედ საუბრობდნენ და გამსვლელ-გამოსვლელს უსაქმო ხალხის ინტერესით ათვალიერებდნენ...

ლუკა უკვე შინ არის. აი, ვასოს სახლიც. თვითონ ამ დროს აქ რა გააჩერებს, სამსახურში იქნება, მის დაბრუნებამდე ვაჟა მზარს ტახტზე მისდებს, თორე ასე თუ მიეძალა მზურვალება, ხვალ წელს ვერ აიტანს.

— მობრძანდი, მაზლო მობრძანდი, — გამოეგება ვასოს ცოლი, — წახვედი და აღარ გვენახვე, ღმერთმა გაგახაროს, როგორც სანდრო გაიხარებს, ძალიან მოენატრე. ჩემი რძალი, ბალღები როგორ მყვანან?

— არიან ლაშარის მადლით. თამარი ავადობდა ცოტა, ახლა მოიხედა, რაც იმას შრომა ადგას, ან ფეხზე როგორ არის...

— რა ეუთხრა წუთისოფელსა, ვაჟა-ფშაველა ესე უნდა ჰყავდეს? — გაიკვირვა ლუკას რძალმა.

პატარა ოთახში ძველი ტახტი ედგა სანდროს. ვიწრო სარკმელი ქუჩას გაჰყურებდა, სადაც ახლა ქარი დაძუნძულებდა და თითო-ოროლა გამვლელი თუ გამოჩნდებოდა ხოლმე.

იმ ხმელ ტახტზე იწვა ვაჟა, თავი მუთაქაზე მიდო, ზედ ნაბადი წაიფარა და თვალის დახუჭვა სცადა.

თითქოს ამას უცდიდა — ტკივილმა ლამის ნეკნი ააგლიჯა, შუბლიც კეცივით უხურდა და აბაბანებდა.

ქინაქინამ თუ გასჭრა. დილით ფეხზე კი იდგა, მაგრამ ისე სუსტად იყო, ნიავს რომ შემოებერა, წააქცევდა.

— ასე არ იქნება, კაცო, არ იქნება, — ხელებს იფშვნეტდა სანდრო, — თვალ-ყური შენ თავზეც უნდა გეჭიროს, რატომ აქამდე ან ექიმს არ ეჩვენე, ან წამლობა არ ჩაიტარე.

— წამლობა? — მწარედ გაიღიმა ლუკამ.

როგორ უთხრას სანდროს, რომ რამდენი ხანია წამლის ფულიც კი ვერ გამოჰგლიჯა თავის სიღარიბეს. აბა, ჰონორარი რას გასწვდება იმხელა ოჯახს, თანაც იმასაც ხან საერთოდ არ აძლევენ, ხან კიდევ კაპიკებს გადაუთვლიან ხოლმე, როცა სხვას ერთ მკვახე ქართუ-

ლ.ით დაწერილ წერილში, შიგ რომ საღი აზრის თავთავიც კი არსად გდია, ორჯერ მეტს უხდიან.

1915 წელი იდგა. ქვეყანა სისხლისშან იცლებოდა, ფრონტიდან ჩამოჰყავდათ დაჭრილები, ლაზარეთები სავსე იყო კვნესით, ბოდვით, გინებით, სიცოცხლის წყურვილითა და სიკვდილის მოლოდინით.

ვაჟა შეზარა ქართული გიმნაზიის შენობასთან გამწკრიეებულ ფურგონებზე ერთმანეთზე მიჭუჭკული დაჭრილების ცქერამ.

პირი მოარიდა „გეორგიევსკის ჯვრებს“, ომის ცეცხლით შემწვარ ჯარისკაცებს და თეთრხალათიან მოწყალების დებს. გული უფრო დაუმძიმდა — რაღაც ავმა წინათგრძნობამ მოიცვა. შემოტრიალდა და ისე სწრაფად მოსცილდა იქაურობას, თითქოს გოლგოთაზე აღმავალ ქრისტეს შეასწრო თვალი. მეორე დღეს გახმიანდა ლუკას თბილისში ყოფნა, შეირხა საზოგადოებრივი აზრი.

ილია დაეკარგეთ, აკაკი დავიტირეთ, ვინღა გვყავს სიტყვის გოლიათი, კალმის რჩეული, ერის საფუტკრესთან მოფუსფუსე, თუ არა ისევ ვაჟა-ფშაველა, მთის ლაღი არწივი, პოეზიის რაინდი, დიდი ნადიმი უნდა მოვუწყოთ დიდუბესა და ორთაჭალაში, „მრავალჟამიერით“, არღან-დუდუკით, შიქასტითა და ცეკვა-თამაშით.

ქართველს ერთი ზნე სჭირს — თავის ვნებებს, სიძულვილსაც და სიყვარულსაც იმპულსურად ავლენს და ეს „ფეთქებადობა“ როცა ფეიერვერკივით ჩაქრება, ყოველდღიურობის ჭაპანში ჩაბმული, ხშირად ივიწყებს იმ აღგზნების წუთებში რა სთქვა და ჰქმნა.

ნადიმის მზადებისას არავის გახსენებია, რომ ლუკა რაზიკაშვილი ავადმყოფობას ჰყავდა ჩაბღაუჭებული და საზოგადოებას დროზე რომ გამოეჩიჩქნა ყური და მატერიალური დახმარება გაეწია, იქნება კიდევ კარგა ხანს ეტრიალა პოეზიის ამ ქურუმს ქართული მწერლობის მთავარტაძარში.

ესეც ცოდვამადლიანი საკითხავია.

ისევ საქართველოს ახალთაობამ გამოიდო თავი. ვაჟა თბილისშია, ავად არის და ქართველმა საზოგადოებამ იქნება ახლა მაინც გამოახილოს მისკენ თვალი — სანდროს სახლიდან თეატრამდე ფარდაგებს თუ არ გაუფენენ, ისეთი საღამო მაინც გაუმართონ, იუბილეს ჰგავდეს, თორემ მომავალი არ გვაპატიებს. შეიგნონ ეს იმ კაცუნებმა, ვისთვისაც ვაჟა ნისლიანი მთაა და ლუკა რაზიკაშვილი მარტო ფშაური ლექსების მთქმელად მიაჩნიათ, ვისმა თითქოს წარმართულმა პოეზიამაც ცხვირი ააბზუებინა სალონის ესთეტებს. გეყოთ, ბატონებო, ტლინკების ყრა — ჩარგალი საქართველოს ვაიმარია და მზეს კი ბრმაც ხედავს.

გაზეთ „საქართველოს“ გამოსვლამ შესძრა ამერ-იმერი.
უგუნურებამ თავი ჩაქინდრა...

მზე მიადგა ვაჟას სახელს. სალამოს ჩატარება თეატრში ითქვა. ეს მორცხვი აპრილი, ეს ფარშავანგივით მორთული კნეინები, თეთრ მანჟეტებსა და შავ ფრაკებში გამოწყობილი ბატონები ვაჟას იუბილეზე მიიჩქარიან...

ლუკა კი ჯერ ისევ სანდროს ბინაში წრიალებს. სუფთად გაპარსულ სახეზე უამური ფერი მისჭნობია, დაღლილი სუნთქვა აქვს და იმ მოურჩენელ ფერდსაც ხან ციების თეთრი ალი ულოკავს, ხან რაღაც მჭამელი და აბეზარი უწიწკნის. მაგრამ, რადგან შენიშნეს, თავი დაუკრეს და გაბუტული ბარი შეურიგდა, გზაზე რომ სიკვდილი უცდიდეს, მაინც წავა, ხალხს დაენახვება, დავიწყებულ მადლობას ეტყვის მისი ნაკალმარის აღიარებისთვის. მიხდენენ, მიხვდნენ, რომ ლუკასაც შეეძლო ხელ-ფეხი ექნია სხვის დაკრულზე, ფინიას უზრუნველი ცხოვრება მასაც ჰქონოდა და თავისი წუთისოფელი ფშავში არ გაემოეღამებინა, მაგრამ ეს არ ქნა — უწმინდურის სიმდიდრეს წმინდანის სიღარიბე არჩია, არც არვის ყმა ყოფილა, არც არვის ბატონად დასდგომია. არასოდეს უღალატნია თავისი მრწამსისათვის, თუმცა ბევრჯერ ჭინჭარივით შემოსდგომია გარს გაჭირვება და უსახსრობას ყველა გზა მოუჭრია.

თბილი საღამო იდგა. მთვარეც ამობარბაცდა შავნაბადას მზრიდან და ისე გადმოხედა ლუკას, ჭიჭახევის ფხაზე შემომჯდარმა რომ იცის ხოლმე.

ხალხი ბევრი მოსულიყო. ზემოდან გადმოკიდებული ქანდარები უფრო ახალგაზრდობას აევსო. წინა რიგებში სხვადასხვა „საზოგადოებების“ დარბაისლობა ისხდა. კულისებიდან გააპარა ლუკამ მზერა ამ გაფუებული სიმდიდრისკენ და შეცბა. ერთხელ კიდევ დაიხედა ჩოხის კალთებზე. სკამის საზურგეს მიეყრნო და გაყუჩდა. ქართული დრამატული საზოგადოება სხვადასხვა პიესებიდან გამოგლეჯილ სცენებს უჩვენებდა მაყურებელს. ვაჟა თითქოს ყველას დაავიწყდა. ერთ-ხანს ისიც კი გაიფიქრა — ხომ არ ამდგარიყო და კარები გაეკლო. რატომ არ ფიქრობენ ეს დალოცვილები, რომ ლუკამ ფშავიდან ნახევარზე ნაკლები ჯანიღა ჩამოიტანა. ვაი იმ ყოფნას, აქ რომ არის. არც ექიმი უნდა, არც იუბილე. ისევ ფშავში აეა, თუ სიკვდილია, იქ მოკვდეს, კიდევ ერთხელ ნახოს არაგვის ჭალებს კამეჩივით შერეული ბინდი, ტანზე შემოიხვიოს მთა-ველის ნიავი და მერე იმ თავის დურატყავში გახვეულმა მისცეს სული მთავარანგელოზს.

არა, ჯერ კიდევ არ ესმით მისი კალმისა, ჯერ კიდევ ვერ ჩასწვდენიან მისი ფიქრის სიღრმეს. მაშ, რად ელექ, ლუკავ, მსახურად

აქამდე ულოცავ ტაბარს, რად მიეც სიცოცხლე ალუდას, ჯოყოლას, შინდიას, ზვიადაურს? რად შეაწუხე ლაშარის ჯვარი იმდენის თხოვნით? რად ალოკინე გველს ლუხუმის ღია ჭრილობა. რად კითხულობდი ფოთოლსა თუ მიწაზე ნაწერ საიდუმლოს, რისთვის ხარშე დევეპის ქვაბში ასხმარტალებული გველები? მაგრამ არა უშავს, მოვა დრო, მოვა და გაიგებენ, ვინ ლაპარაკობდა ღმერთთან, ეხლა კი აქ იჯექ, შენს ფიქრებთან იყავ. შენს ტკივილთან განმარტოვდი.

ბოლოს გააბსენდათ...

დატრიალდა ქართული ჯარა. დიდი სიყვარულით, ტაშის ცემითა და ადრესებით მიუკითხეს ვაჟას მოღვაწეობას 35 წელი.

აენთო და ჩაქრა.

ორთაჭალის ბაღში გრძელი სუფრა გაემართათ. აპრილი კი იყო, მაგრამ წყლისპირის სიოს უსიამო სიგრილე მაინც მოჰქონდა ხეობიდან და ლუკას კიდევ უფრო გაუბრაზდა ავადმყოფობა, მარცხენა ფერდი ლოდივით დაუმძიმდა, რალაც ცივი და მძიმე ედგა შიგ.

მაინც აჰყვა ღვინის უდარდელობას და დილის რიჟრაჟს ისეთი გაციებული შეხვდა, კბილი კბილს ვერ აპოვნინა.

მოქეიფეები დაიშალნენ იმავე ქართული გულგრილობით, რა ქართული „იმპულსური აფეთქებითაც“ ეს ამღერებული ნადიმი აქ გამართეს და მთის არწივი მოიყვანეს.

მეორე დღეს ვაჟა ცოტას თუ ახსოვდა, იწვა დასიცხული პატარა ოთახში, იწვა ნაბადწახურული, თხელი ჯეჯიმისგან შერბილებულ ტახტზე და გმინავდა. გრძნობდა, დღეები დათვლილი ჰქონდა.

ავი წინათგრძნობა შავი ძაღლივით ყეფით მოსდევდა თბილისამდე, აკი ამიტომ შეავლო დაღლილი მზერა გაზაფხულით გამხიარულებულ მთებს აქეთ წამოსვლისას.

ეღირსება კი ისევ ჩარგალში აბრუნება ცოცხალს თუ არა, მკვდარს მაინც, თუ ბარის მიწას მიაბარებენ. და მის თბილ საფლავს აღარ გააგრიალებს მთის ცელქი ნიავი, გარშემო არ შემოუსხდებიან იები, შავის ცრემლებით არ დაიტირებს კუნელი, მაღლიდან არ ჩამოხედავენ დეკა და ღვია, გვერდით არ ჩაურბენს ანკარა წყარო?

თვალები დახუჭა. კიდევ უფრო მოენატრა ჩარგალი...

მიწას რა გლეხი წაუვა, დირეზე შიმშილი ჩამოუჯდება ხოლმე... რას იქმენ უიმისოდ თამარი, ბალღები? ლუკმას ვინ გაუწვდის, ვინ უპატრონებს, ცხოვრების ნარ-ეკალს ვინ აარიდებს?

ეჰ, რაზდენი ფიქრი უნდა გაიყოლოს იმ გრძელსა და უსასრულო გზაზე?

თავი შეაბრუნა, ბთაწმინდას გახედა, ეამა აბიბინებული ფერდობი.

* *

საქართველოს არასოდეს არ აკლდა კარგი შვილები. ერთ-ერთი მათგანი ივანე გომართელიც იყო. გადადებული აჯამყოფი ოღონდ გომართელთან ჩაეყვანათ და მერე სიკვდილი ველარ მიეკარებოდა. მკურნალი ჯერ იმედიანი სიტყვით შემატებდა ღონეს, მერე წამლითა და მალამოთი შეებმოდა სენს. სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა ეს პატიოსანის გვარისა და სახელის კაცი.

ახლაც დღედაღამ ვაჟას ადგა თავზე. ვინ, ვინ და მან მაინც იცოდა, ვინ იყო საქართველოსთვის ეს ალშურში გახვეული ადამიანი, ფანჯრიდან რომ გასცქეროდა ხოლმე მთაწმინდის ფუძე-კალთას.

ეჭვი არ იყო, ცივ სიშიშვლეს, ოფლიან ჯაფას ფერდში წყალი ჩაეყენებინა ლუკასთვის. სველი პლევრიტი ფილტვებს შესჯდომოდა და ავადმყოფობა უკვე ბობოქრობდა. სიცხე ხან ზევით ავარდებოდა, ხან დაბლა ჩამოქანდებოდა.

მ. მუხაძემ გაუხსნა ფერდი ვაჟას — ქირურგის დანით შეშინებული სენი თითქოს დაცხრა, ტკივილიც გაიტრუნა, მაგრამ ახლა მეორე მხარეს აჯდა სველი გომბეშო ლუკას — ახლა მეორე ფერდი აუწყლიანდა.

ჩალის ღეროს ნიაღიც კი გადატეხს, ლუკაც ამაზე მეტი არ იყო. იქნებ კაი ყმას პირით თვით იმედი ელაპარაკება და საქართველოს მომავალი მართლა აკვანში ჰყავ ჩაკრული ისტორიას?

„ღმერთმა ჭნას, ღმერთმა ქნას“...

ისევ გახმიანდა ჯაჭვის ჟღრიალი, ისევ იმძლავრა ნათელმა, ვაჟას მზემ ჩახედა თვალებში და ის დიდი სხივმრავლობა მალე შეცვალა ყუჩმა ბინდმა.

თავზე ექთანი, ანიკო კობიაშვილი ადგა. მარლით უმშრალებდა ოფლის ცივი წვეთებით შეცვარულ შუბლს.

— სად არის? — იკითხა გონს მოსულმა ლუკამ, — ლოგინს იდაყვებით დაეყრდნო და ოდნავ წამოიწია, უღონო მზერა მოატარა გარშემო, — წასულა, — საკუთარ თავს უთხრა და ისევ დახუჭა თვალები.

იმ ღამეს მამა პაველე და დედა გულქანი დასტრიალებდნენ თაეს. ისევ ის ჯვალოს უბრალო ანაფორა პაველეს, ისევ ის გახუნებული შავი კაბა — გულქანს...

ახლა კეკე ეჯდა სასთუმალთან — ის უთქმელი, იასავით ნაზი კეკე. მერე ვაჟას მისი თბილი ამბორი დაადნა შუბლზე. და დიდხანს ისმოდა წასულის ჩურჩული:

„დიდი, დიდი სიყვარული იყავ, ლუკავ, ჩემი“.

ზანდაზან წამოიაბოდებდა ლუკას. იქ, ფშაველში, დაჰქროდა მისი სუ-

ლი, საკალშახე წყლებს ჩასცქერდა. ბაუშვობისა და სიჭაბუკის ნაადვილარს დაჰხაროდა.

ისევ ედგათ აცრემლებული კელაპტრები სახატეებს, ისევ ძველებურად ჰყეფდა ჭიჭახევი, კრიახებდნენ შაშვები მაყვლოვანში და გაოცებული შესცქეროდა მთა-ბარი ცაზე აგორებული მზის ცეცხლოვან ბორბალს.

ამ ბოლო ხანს საზოგადოება თითქოს შეეჩვია იმ აზრს, რომ ვაჟაფშაველა ფეხზე ვეღარ წამოდგება. დიდ დუშილს მიეცა მისი კალამი, დაისვენა სიღატაკეში ნათრევმა მისმა ნაბადმა. ტანზე მიმდნარმა ჩოხა-ახალუხმა. ვეღარ წაუვა სიკვდილს, ვეღარ წამოფრინდება ჟღალი მიმინო.

ყველამ დაივიწყა. ხანდახან ძმები თუ შემოიკრიბებიან. სხვა თუ ვინმე მოვა, იმათაც თვალი კარებისკენ გაურბით, ცალი ტუჩით მოიკითხავენ, ნუგეშის ორიოდე სიტყვას დაუგდებენ და გარბიან.

როგორ უნდა ლუკას, ვინმეს გული გაუხსნას. თავისი წუთისოფელი უამბოს, ქაღალდზე გადაუტანელი ფიქრები გაანდოს, რომ სამარეში უხმოუთქმელად არ ჩაიტანოს. ისევ მოწყალების და ნინო ციციშვილი დაუდგა გულთან ახლოს. გონებას დაიბრუნებდა თუ არა, გვერდით მოისვამდა ხოლმე და უამბობდა, რა როგორ იყო იმის ცხოვრებაში, რამდენჯერ შემოჰკრა ხმალი სიკვდილს. როგორ ებრძოდა ღარიბი ფშაველის გაჭირვებას და მაინც რა ბედნიერი იყო ფშავის ცის ქვეშ.

უსმენს ნინო, წამწამქვეშ მალავს ცრემლს, იცის, რამდენიმე დღის სიცოცხლეღა აქვს ვაჟას.

— ბალღობიდან მიყვარდა ერთი ქალაი, — თვალებში სინათლე ემატება ლუკას. — დაღამდებოდა — მთვარეს ჰგავდა, გათენდებოდა — მზესა. სულ უცინოდა თვალ-წარბი, სულ უკან დასდევდნენ ჩვენი ფშავის ყვავილები, რომ არ მენახა, იმ დღეს დოსავით მეკავე ვიყავ ხოლმე, დავბორიალებდი დაკარგული მოზვერივით, სანამ იმ ჩემს ჭრელ კაკაბს სადმე თვალს არ დავაწევდი... ხანდახან ბილიკი შაგვყრიდა ერთად, ჩაგვალუნინებდა ორთავეს თავებს, გაგვხდიდა ნიავის სასაცილოდ და სულ ეს იყო. ისე გათხოვდა, ისე გაფრინდა, სათქმელი ვერ მივუყენე...

გახალისდა ლუკა, სახეზე ფერმა დაჰკრა.

— ასე გაგვყარა ცხოვრებამ — ის ხევს იქით დარჩა, მე — აქეთ, შუაში კი ეს მღვრიე წუთისოფელი მიიღვრებოდა და სცემდა ტალღას. ერთხელაც, მაშინ უკვე ცოლიანი ვიყავ, კეკე მყვანდა, ზემო მხრიდან მოვდიავარ. მხარზე ცელი მაქვს გადებული. გამოსულა ის ჩემი თვალის ბედნიერება და გარს შემოხვეულ ინდაურებს მატიტე-

ლას უყრის სახლიდან. ისევ ისეთია, ისევ ის დედოფლური გამოხედვა, ტუჩის კუთხეში მიჭუჭყული თითქოს დამცინავი ღიმილი, მზისგან ალოკილი ყელ-ყური და ნიავის მიხვრა-მოხვრა. მოვიხედავ — წითლად ელვარებს ბროწეულის ხესავით, გამოიხედავს — მე მივყავარ ცისკენ ცეცხლსა და ალსა. მოვადექ სახლსა, ვდგავარ დირესთან საპალნეკიდებული სახედარივით. მერეღა შევერიე ჩემ ცოლშვილს, მაგრამ, მანამ ვერ მოვისვენე, სანამ ფანდურმა არ მიშველა.

— ვიცი, — ილიმება ნინო, — როგორი სახალისო სიმღერაა და სათავე კი რამხელა დარდში ჰქონია.

— ერთხელ კიდევ, — უფრო აენთო ლუკა, — ჩვენი ხბორები გადასულიყვნენ ერხოთ ბაბალესთან, ბოსტანი გაუფუჭებიათ და იმასაც გომურში გამოუკეტია. ვახსენე ლაშარის ჯვარი და მიუველ. მთელ იმ ახლო-მახლო ფშავში ერხოთ ბაბალესი ცოფიან ძაღლსაც კი ეშინოდა. ქალი ერქვა, მაგრამ ელვას გადაყლაპავდა. შიში იმისთვის არ იყო. ღამე და ბნელი, დაკარგულ საქონელს არაგვის ბოლომდე ჩაჰყვებოდა და მაინც იპოვიდა. მიუველ გამომივარდა ბინიდან თავხესავით გაშავებული, ბრაზით სახეამღვრეული, დასტაცა ხელი დირესთან აყუდებულ შუბსა და გადმოახტა ღობეს. აბა, ლუკავ, მოუსვი. შევკარი კამარა და გავუხტი წინა. უკან შუბის წვერი მომდევს ჰაერის სისინით. წინ მე ვარ, ლამის საკუთარმა ზურგმა გამასწროს. მაშინღა გაბრუნდა უკან, როცა დედაკაცის მუხლმა ყინჩად წამოშხობილ მთაზე აღარ ამოუშვა. ასე იყო. — ხმა მიუსუსტდა ვაჟას, კარგა მაცვეთინა მესტები ერხოთ ბაბალემ, მაგრამ ლელა ბაჩლელი მაჩუქა. მეორე ღღეს თვითონვე გადმოელალა საქონელი, თან თურმე უკვირდა, ეს რა ფეხმარდი ვაჟი ყოფილა ეს ჩვენი ლუკაიო.

საბოლოოდ მიიბრუნა ვაჟამ პირი სიკვდილისკენ, ძლივს სუნთქავდა, გაჭირვებით ამოჰქონდა ზემოთ მკერდში ნაგუბარი ჰაერი.

აღარაფერი ეამება. დიდი ხანია ემწარა წუთისოფელი, მაგრამ ახლა იმისი არა უნდა რა — გაუშვას, ახსნას კრეტსაბმელიდან ისედაც მტრად ჰყავდა და ახლა ლუკას სიკვდილით მტკვარი აღმა არ შებრუნდება.

მხოლოდ ერთი რამ აუსრულეთ — შენა, სანდრო, და შენა, შიო, თქვენმა კეთილმა გულმა და ლუკას სიყვარულმა აგიყვანოთ მთაწმინდაზე, იქაური მთის წყაროზე დღე აგავსებინოთ.

რაღაცა ხმამ ლუკა ძილ-ბურანიდან გამოიყვანა. ისევ გაჰკრა ფერდში ელვამ, სიცხემ წამოუდუღა თვალები. გვერდზე გადაბრუნება მოინდომა, მაგრამ ბეჭები ვერ დასძრა, მკერდზეც ძმიმე მაჯლაჯუნა აზის, ღრმად სუნთქავს და გაფანტული გონების მოკრებას ცდილობს. ნელ-ნელა შედედდა ჰაერი. ახლა ხედავს, რომ მაღლა თეთრი ჭერი

ჰკიდია, ფანჯრებზე თხელი ფარდა ირხევა და შორიახლოს იდაყვებზე ნიკაპჩამოყრდნობილი მოწყალების და უზის.

— სიჩუმემ, ყველაზე მეტად სიჩუმემ შეაწუხა ლუკა, ამიტომ ისევ თვალებით ეკითხება მაროს, კარსიქით ვინა დგას და რა უნდა.

— წყალი ჩამოიტანეს, ძია ლუკავ, წყაროს წყალი, — წაიჩურჩულა მარომ და თეთრი იასამანივით შეირხა, — ახლა იმას ამბობდნენ, შევიღეთ თუ რა ექნათო. გეძინათ...

— არა, შვილო, ეს ძილი არ იყო, — მძიმედ ამოთქვა ლუკამ და მზერა კარებისკენ შეაბრუნა, — უთხარ, შემოვიდნენ...

ჯერ პატარა შიო გამოჩნდა მკერდზე მიკრული ცვრიანი დოქით, მერე ორი-სამი სხვაც შემოჰყვა. შიოს ცალი ყბა უტირის. მეორით კი ლუკას ნაძალადევად უცინის და სკამზე მოწყვეტით ჯდება.

— რომ აგვიკელი, მთის ნაჟური მასვითო, ივანემ ერთი ფეხი დაბლა დაჰკრა, მეორე მაღლა და მთაწმინდიდან წყაროს წყალი ჩამოგიტანა. ფშავისას ვერ შეედრება, მაგრამ მაინც კლდის ცივი ცრემლია და მაინცა... ასე დაგიბარა, გადაისიცხება თუ არა, ფშავში ერთად ავალთ და შენს ყამარს კაი ხინკალსაც მოვახვევინებთო. აჰა... — გაუწოდა დოქი ლუკას.

ძალიან გინდა, იმედიანად მეჩვენო, მაგრამ ემაგ თვალებში დალექილ სევდას კარგადა ვხედავ, ჩემო შიო, თავადაც ხომ იცი, რომ აუწყობელ ფანდურსა ჰგავხარ, ფიქრობს ვაჟა და გამოწვდილ დოქს ტუჩებზე მიიდგამს. დიდხანს სვამს. წყალი ყელსა და მკერდზე ელვრება, საამოდ ელამუნება სიცხისაგან გამომშრალ სხეულს. არა, ეს ცვარ-ნამი უკვდავების წყლად არ ექცევა ლუკას; მაგრამ იმდენ წუთისოფელს მაინც შეუკოწიწებს, ფშავში აყვანამდე გასძლოს, ერთხელ კიდევ გააელოს მზერა მთიდან მთამდე, ნახოს არაგვის ჭალებში კაბეჩივით წამოწოლილი ღამე, ჯალაბის ლოდინს ცოცხალი მიუვიდეს, მამა-პაპის სალოცავ-სავედრებელს ძაფივით გაწერილებული სული შეევედროს, ის თავისი ბჭვარტლიანი ფანდური გულში ჩაიკრას და ისევ გაუდგეს იმ გრძელ გზას, რომელიც ცისაკენ მიდის.

დიდი მადლობა ივანეს, შენცა შიო, ასეთი იყავ და ასეთი ხარ — ბშიერს ქადას ხელისგულზე გამოუცხობ, მწყურვალს ბინულად ექცევი. ახლა კი წაბწამებზე გაბმული ცრემლები ჩამოიბერტყეთ და წადით. ოღონდ სანდროს უთხარით, ხვალ დიდი, ჭრელი საზამთრო მოუტანოს ლუკას, წადით, დედ-მამის შვილებო, წადით, ძილი რასმე უნდა ლუკას, შუბლზე ჭიანჭველები უფუსფუსებენ და აღარც სადგისებსა სცემენ ფერდში. ხომ გითხრათ, წყაროს წყალი მომარჩენსო, თქვენ კი ლამის არ დაუჯერეთ...

— სძინავს, — ჩუმად თქვა ვიღაცამ.

ფრთხილად გაიხურეს კარები და ოთახი ისევ სიჩუმით გაივსო.

ლუკა შეირხა, სიცხეწაკიდებული მკლავები ზემოთ ამოალაგა და კალთაზე დაიწყო, საფეთქლები გამალებით უცემდა, ყურებში ვიღაც უხილავი ჩასწიოდა და გულის მინავლული ფეთქვა ჯერ კიდევ არ ხვდა თხელ ზეწარს. გარეთ ივლისის პაპანაქება ეკიდა ქალაქს, მერცხლების ჟივჟივი მოაწყდებოდა ხოლმე სარკმელს, მაგრამ კედელზე ფრთანაკრავი ისევ უკან ბრუნდებოდა.

ვაჟა თვალგახელილი წევს. სადღაც, რძისფერ ბურუსში იძირება ყველაფერი — ჭერი, კედლები, რკინის საწოლი. დიდება შენდა, ლაშარის ჯვარო. ლუკას ავად ყოფნაც, ლაზარეთიც კვირაძალის სიზმარი ყოფილა და თვალების მოფშვნეტისთანავე გაქრა. ლუკა ისევ ფშავშია, თავის ჩარგალში, თავის კუთხე-ყურეში, მხარზე ცელი გაუდევია და ჭიჭახევის ალმართს მიჰკეცავს. გარშემო ტყიანი მთები აყრილან, ხევსგაღმა კლდე რასმე გამწყრალა — ბებერი რაინდივით ჩამოჰღრუბლვია სახე, ელვით ნაკაწრი სიპები გამოუშვერია ადგილ-ადგილ. აჰა, აიმაღლა ლუკამ, მუხლი მაინც ზემოთ გაურბის, იქ, სადაც ფარდაგებივით დაფენილ მზვარეებზე ყვავილები ტიტინებენ თავიანთ ქალურს ამბებს, საღაც შიშველ საჯიხვეებზე იცრება ცის სილურჯე და უფსკრულებში ნისლი იმღვრევა...

მიდის ლუკა, ლაღად მიაბიჯებს ამ ამაღლებას მინდობილი. დაბლა დარჩა ფშავი — ჩარგლით, ჭიჭახევით, ჩაფარ-დიამბეგითა და დღე-ღამისგან ნაგები წუთისოფლით.

მთის ცერზე ჩამოჯდა ლუკა. დიდი, მრგვალი მზე ცეცხლის ბორბალივით მიგორავდა უსიერში, დაბლიდან ისმოდა ლოდებზე ჩანჩქერების ცემის ხმა, ნიავი ლოკავდა სველ სიპებს და ნიაღვრით ნარეცხი ფლატეები ეკიდა მთისპირებს.

სუფევდნენ მთანი სუფევითა დიდითა. ამ დიდ საკრებულოს ერთი მაღლა ყინჩად წასული, თეთრქუდიანი მთა დაჰყურებდა მეფურად, ხან რომ თოვლით შეფეთქილ თმა-წვერს გამოაჩენდა, ხან კიდევ ნისლის ცრიატში ჩაიკარგებოდა, რომ მერე ისევ სჩენებოდა საყმოს.

— დაილოცე, დაილოცე, სიცოცხლევ, — გული უმღერის ლუკას, — უშენოდ, აბა, რა იქნებოდა ეს სილამაზე, დაილოცე, ქვეყნის გამჩენო, და გამრიგებელო...

ასე ბედნიერი არასოდეს ყოფილა ლუკა. ის ცუდი სიზმარი კი ვითომ არ ენახოს, არც ის თეთრი პალატა, არც ფერდებში გარჭობილი ნემსები, არც მარო, არც შიო და არც სანდროსთან დავალებული ჭრელი საზამთრო.

ნურას დარდობთ, ძმებო, ნურასა. ნურც შენა, ივანე თუშო, და ნურც შენა, პატარა შიო, ხელთუბანშიც მიუწერეთ თევდორეს, შენმა

ძმამ ლუკამ ისეთი სიზმარი ნახა, აკი დაგვაფრთხო და აგვრია-თქო... აჰა და შეხედეთ ლუკასა, თუ რამე სჭირდეს, ის კი არა, ჩოხის კალთებიც კი უმღერის, ან რა დაანაღვლებს, რა მოჰკლავს ამოდენა მთაჩანჩქერისა და ყვავილ-ბალახის პატრონს?

საოცარი სიმშვიდე ედგა გულში. სადღაც კლდიანეთში შევარდნი დასხლტა, ჯერ ცერად წამოვიდა, ფრთააწურულმა შეკრა ირაო და მერე, ისარივით გატყორცნილი, ჩაიკარგა დაბლა აცურებულ ღრუბლებში. სადღაც შურთხმაც დაუსტვინა. მთებს ზრიალი შეუდგათ. როჭოებისა და ველის ქათმების რუტ-რუტი გაიბა ბალახში. თითქოს ჩანჩქერებმაც უკლეს ზავთსა და ხმაურს. ირგვლივ ყველაფერი მიყუჩდა. გაღმა, ჭიუხის ფერდზე, ჯიხვები გაილანდნენ, დედის ფერდს აკრული ფოთრი სწრაფად მიეფარა კლდის დერეფანს და მხოლოდ ერთი ხარჯიხვი გადმოეკიდა ფრიალოს. ისიც მოუსვენრად სცემდა ფეხ-ჩლიქს ნაცრისფერ სიპებს, თავრქა მაღლა აეღო და ნოტიო ჰაერს გამალებული ჰყნოსავდა...

ამ დროს ცამაც იჭექა და ჰაერის შხუილზე დაატყო ლუკამ, რომ სადღაც არწივმა დაჰკრა ირაო... მართლაც, ასე ყოფილა — ცის სიღრმეში ჯერ შავი და მსხვილი წერტილი გამოჩნდა, მერე ის წერტილი თანდათან გაიზარდა და ლუკა ახლა კარგად ხედავდა ჭიუხების თავზე ფართოდ ფრთაგაშლილ არწივს. ლამაზი იყო, ტიალი, ლამაზი, ვერ იტყოდი, მთები იმას უხდებოდა თუ ის მთებსა, მაგრამ ჰაერის მეფე და ცის ეგა მგელი კი იყო — უწვრთელი, თამამი, თვალცეცხლიანი. შორი-ახლო ახლდა ორბთა, მიმინოთა და შევარდენთა ამალა. არწივობდა, ხელმწიფობდა იმ თავის ლამაზი სილაღით. აღტაცებით შეჰყურებს ლუკა ცის ამ ზეიმსა და სასწაულს.

კიდევ ცოტა ხანს ეგრე იყო არწივი, რომ მალე ჯერ ერთი ფრთა ჩამოუვარდა ძირსა და ირიბად დაქანდა ქვევით, ახლა ცალი ფრთითღა ეკიდა ცას, მერე მეორეც ჩამოსტყდა და ტყვიანაკრაევი წეროსავით წამოვიდა დაბლა. აგრე იარა, სანამ კლდისპირა პიტალოს არ დაენარცხა.

ცაში მომკვდარიყო...

ჩკვდარსაც ზედ ეკრა მეფური ლაზათი და შარავანდედი...

უშველოთ ღმერთმა, მთის წყალმა სიცოცხლე დაუბრუნა ვაჟას. გონება გადაეწმინდა, თითქოს არც არაფერი აწუხებდა, გარეთ ისევ ცხელი იელისი გიზგიზებდა, ვერის ხევიდან კი ნიავს ამოჰქონდა ფშანების სურნელი, ბაყაყების ყიყინით იხერხებოდა შუადღის სიცხე. შორს, არსენალის მთასთან, ჰორიზონტის ტეხილი ცახცახებდა. წყნეთის ქუჩიდან სახედრის კოხტა ბაკბუკი და მემაწვნის ყვირილი ისმოდა.

„მაწონი, აბა კი მაწოონიი“

იგრძნო, სიკვდილი შავი ავაზასავით იწვა საწოლის გვერდით. ნეტავ მზის ჩასვლამდე თუ იცოცხლებს. ისიც უკვირს, აქამდე როგორ გაძლო, ან რატომ ებღაუჭება სხეული სიცოცხლეს, როცა სული გასაფრენად იზიდება?

რად მოხვალ, ლუკავ, ამ სამზეოზე, როცა აქ აღარ იქნები, როცა შენი ტან-ხორცი თიხად ჩაიშლება სამარეში? დეკად თუ ღვიად? ყვავილად თუ ბალახად? იქნებ მკლავებგაშლილი მუხასავით ჩადგე ფშავის სათიბ-სამკალში, ან ბუერას ფოთლად გადაეფარო ტყის ნაგრილში დაბადებულ წყაროს? ანდერძად საყდართგორაზე დამარხვა გითქვამს, მაგრამ ცოცხალს არავინ გიგდებს ყურსა და უსიტყვო მკვდარს ვინღა მოგისმენს? როგორ დაგეტანჯება სამარე, თუ მთის ნიავმა არ წაგახურა ფრთა და ფშავის ადგილ-მამულს არ მიემატე მტვრად და ნაცლად.

ჰეი, ვინა ხართ ახლო-მახლო? იქნებ არც რაა ლუკაი, არც რა თქვენი მოსაწონი უმღერია, არც რა თქვენის თვალის საკადრისი სცმია, მაგრამ ისიც ადამის შვილია, შორს წასასვლელი და ეს ბოლო სურვილი მაინც აუსრულეთ — იატაკზე გაუშალეთ ლოგინი, გარშემო კი ყვავილ-ბალახი მოუფანტეთ, იქნებ სიმწვანის სუნი იგრძნოს, თავი ფშავში ეგონოს. იმ თავის ხმელ ტახტზე ნაჟეჟი ზურგი აქამდე ვერ შეაჩვია ლოგინის სირბილეს. ისეთი გრძნობა აქვს, თითქოს ცაში აცურებულ თეთრ ღრუ ელზე იწვეს. ესეც ნუ მოეწონებათ, აქაც დასცინეთ ლუკასა, იმის ბნელ ფშაველობას, იმის გლეხობას. იყოს ესე — სულ თქვენა ეს ფხიზელი სისუფთავე, საბან-საწოლი, თეთრი საყელო, კარგი და უკეთესი, ოღონდ ლუკას ამ ბოლო სურვილს ფეხს ნუ დაადგამთ. მოუყვათ, მოუყვათ ძმობილ-დობილნი, მოუტათ ყვავილ-ბალახი, სანამ სული არ გაჰფანტვია.

პალატაში სინო ციციშვილი შემოვარდა, ეაჟას ნაწყვეტ-ნაწყვეტი სურვილი მოისმინა და გარეთ გავარდა.

— ეხლავე, ძია ლუკავ, ეხლავე, წამწამის დაცემინებაზე აქ გავჩნდები...

ისევ გაშოვიდა ზმანებიდან ეაჟა...

— მოკვდა, — ჩურჩულებენ ზაფრანასფერი ბაგეები, მოკვდა არწივი...

გონება რომ მოიგროვა, სიკვდილისწინა აჯა და ვედრება ისევ გაანდო იქ მყოფებს.

ფოთლები და ყვავილ-ბალახი დაშიფინეთ იატაკზე და იქ გადამაწვინეთ, ეგება ჩემი მთების, ველ-მინდვრისა და ახო-მიწის სურნელი გამყვესო გრძელ გზაზე მიმავალს...

მოუტანეს ნათხოვარი, მოუპნიეს იატაკზე და ლამის ცოცხალ ძვალ-ტყავად ქცეული გადააწვინეს იმ მწვანე სასუფეველში...

იმ დღეს, იმ წუთს თბილისის ცაში დასრიალებდნენ მინდიას, ალუდას, კვირიას, ლუხუმისა და ლელას სულები, ყველასი, ვისაც სიცოცხლე ბისმა კალამმა ჩაუდგა.

შუადღისას ისევ წაიღო სიკვდილისწინა ბურანმა. მამა — პაველ ეზმანა და დედა — გულქანი.

მერე ისევ კვლე დაუდგა თვალწინ ისევ იმ თავისი მორცხვისა და ლაშაზის პირისახით, ისევ იმ კვარივით ანთებულა წმინდა ქალობით.

დღე საღამოსკენ გადაირეცა.

მზე ჩაცხრა და სიცხეც ოდნავ გატყდა. ისევ მოაწყდნენ მერცხლები ჰოსპიტლის კედლებს.

გულაღმა იწვა ვაჟა. ხელები წინ ელაგა. გამხდარ სახეზე კიდევ უფრო დიდად აჩნდა ისედაც მსხვილი ულვაშები, შუბლთანაც ფშავურად ჰქონდა თმა შეკრეჭილი.

ჩამქრალიყო პოეზიის ღვთიური ცეცხლი და ახლა ცხელი ღადარიღა შიშინებდა.

— ჯერ ისევ თბილია, — თქვა სანიტარმა და ცრემლები წასკდა...

— მოკვდა არწივი, — ამოიოხრა ვილაცამ.

ჰოსპიტალის შესასვლელთან შემოხვდა სანდროს შიო, ხელში დიდი, ჭრელი საზამთრო ეჭირა...

1915 წელი იყო, მკათათვე.

ლუკა ოცნებამ გაიტაცა და საყდრიგორაზე დასვა. აქ უყვარდა ხოლმე ყოფნა, როცა გლეხის წუთისოფელი უღლიდან გამოხსნიღა და საკუთარ თავთან მარტო დასტოვებდა. მთელი ფშავი თვალწინ ეფინა. დაბლა არაგვი შემღერის ამწვანებულ მთებს, მაღლიდან ჩანჩქერის ქუხილი უგუბებს ყურებს, მოვა ნიავი, მოუტანს ლუკას გალმა-გამოღმა სოფლების ამბავს, მერე დაივლის შეჭრელებულ სათიბებს, აშლის ველ-მინდვრის ფერებს, დატოვებს სიგრილეს და ხევის პირებზე გაბმულ ფშანებში დაიკარგება.

ახლაც იქ ტრიალებს ლუკას დაღლილი სული. აქ, წმინდა ნინოს თეთრ ლაზრეთში კი სიცხით დაფოთლილი მისი სხეული-ღა გდია. დიდმა ავადობამ მკლავებიც ისე დაუწვრილა, ნემსში გაეყრება. ნეტავი ვაჟა ამ ცალი თვალითაც არ ხედავდეს თავის ასეთ ყოფას, დღითიდღე როგორ ილევა ნაჩხატებში შერჩენილი თოვლივით და საბნის ქვეშ როგორ ქრება. ამ ივლისის სიცხემაც აბედივით გამოაშრო. ენატრება ფშავის მაცოცხლებელი ჰაერი, ბალახის მწვანე სიგრილე, იქაური სულის ჩამდგმელი წყაროები. აი, ხომ ასეა, სიკვდილი ხომ ლამის გვერდით უწევს, მაგრამ, აბა, ვინმემ დიდი მადლი ქნას, ლუკა–

დან რაც დარჩა, ის მაინც აიტანონ ფშავში და ნახეო, თუ მთებმა ფეხზე არ წამოაყენონ, რაზიკაული სისხლი ისევ თუ არ გაიღვიძებს და სიცოცხლეს არ დაუბრუნებს.

მაგრამ არავინაა ყურის დამგდები.

ეს ფართო პალატაც ოფიცრული ჟარგონით, წამლის სუნითა და ფრონტის ამბებით არის სავსე, რაღაც ყაზარმული სიცივე ტრიალებს შიგ... იჯდეს ახლა ლუკა თავისი კბილა კაცებთან, თამარის გაკეთებული დაკეპილი ხორცის ხინკალი ედგას ხონჩით და არყით სავსე მოზვრის ყანწი ეჭიროს, მათი ლაპარაკი ესმოდეს, ფშაური კილოთი დაიტკბოს ყელი და მერე დაუნანებლად გაჰყვება სიკვდილს, იქ წავა, სადაც პერპერანი და წინაპარნი უცდიან კეჭნაობაში სახედაკორტნილი, მხარფრთიანი ვაჟები, მამულისთვის სულ ცერზე შემდგრები, პიროფლიანები, ხმალთან განდობილები...

გუშინ შებინდებისას ნახევარძილით ეძინა ლუკას. პალატაში ის და სიჩუმე დარჩენილიყვნენ. არც მოწყალების და ჩანდა, არც ის ცალხელა ოფიცერი, გუშინ რომ შემოიყვანეს ბინდების სისხლიანი ტრტახებით...

იგრძნო ლუკამ, როგორ შეკრთა ჰაერი, რაღაც გახმიანდა წინკარში და თვალი რომ გაახილა, შემოსასვლელთან ღაჭაურა იდგა. წელზე ხმალი ება — ბრძოლებში ნაცვეთი, ლამის ყუაზე დასული, თავზეც ის მუზარადი ედგა, ლუკას რომ ბევრჯერ უნახავს ხატობაში და ხელშიაც სჭერია, ერთგან ჩარღვეოდა ჯაჭვის პერანგი, თეთრად აპბოლებოდა მხრებზე დაყრილი ფაფარი. მხარიღლივ ქეიბური ეკიდა და სახურგეშიც არწივის ფრთიანი ისრები უსისინებდნენ. სიკვდილის მტვერი ეყარა განზე გაზიდულ მხარ-ბეჭზე. ვარსკვლავიან ღამეს ჰგავდა შავეთიდან ლუკასთან გამოქცეული. თავსზემოდ ნათლის რკალი უციმციმებდა. ლუკამ იგრძნო, როგორ იმატა სინათლემ ისედაც მზიან სადგომში, — ეს, ალბათ, ანგელოზები შეერიენენ ჰაერს.

დგას ღაჭაურა, დარდით შუბლჩამომხობილი, დასცქერის სასთუმალზე მაისის მთვარესავით მილეულ ლუკას, იმის ჩამოთხელებულ პირსახეს, ლამის უყუნწო ნიკაპს, მშვილდის საბელივით გაბმულ წარბებს, დაჩუტულ მკერდს და ერთადერთი ცრემლი ჩაუგორდება იმ თავის უსიერ თმა-წვერში.

წამოდგომა უნდა ლუკას — კაი ყმას ასე უძლური როგორ უჩვენოს — ვაჰმე, ვაჟკაცობავ, ლოგინში მომკვდარო, ვაჰმე კირკალივით მრუდე წუთისოფელო.

წამოიწია, ძლივს აჰგლიჯა სველი მხარ-ბეჭი ოფლით გაჟიებულ ბალიშს.

შეირხა ლაჭაურა. დევის ნაბიჯი გაძმოდგა აეაძმყოფისკენ და მხარზე რკინის ნახევარხელთათმანის სიცივე მოხვდა ლუკას.

— იწექ, ძმობილო, იწექ, — აზრახდა ჰაერი, — ფშაველთა სალოცავებმა გამომგზავნეს. ლაშარის ჯვარის ლურჯაით მოველ. ათი მზისა და ათი მთვარის ქვეყანა გამოვიარე, რომ ჩვენი ლუკაის ამბავი უკან წავიღო...

— სადღაა, ლუკაი, სადღაა, — თავი გადააქნია ვაჟამ, — თუ სიკეთილი იყო, ხმლის გვერდით მოვმკვდარიყავ, ან მთის მკერდზე დამელია სული, ასეთი კი არ გენახე, ლაჭაურავ!

— ბაგას ნუ იტყვი, ძმობილო, — სახე მოუბნელდა ლაჭაურას, — განა შენ კი სულ ბრძოლაში არ იყავ იმ შენის სიმღერილთა და ფანდურით, შენის ფშაურის უტეხობით, შენის ცრემლად დამდნარის გულით?

— მერედა ვის რა ვარგე, — ხმა დაეჟეჟა ვაჟას, — იქნებ იმ ჩემმა სიმღერამ აუშვა ამირანი, ან ლუხუმი მართლა შედგა ლაშარის გორზე.

— შადგება, — წარბები ერთმანეთს შეახალა ლაჭაურამ, — მაშ, რისთვის გვითხოვ მტერი, რისთვის გვილეწავ ხმალ-აბჯარი. რისთვის ვწევართ პაპა-პერპერანი შავ მიწაში.

ლუკამ თვალები დახუჭა. დიდი ნათელი რამ მიადგა სახეზე.

მზე ჯერ არ ჩასულიყო. მხოლოდ სხივები დამოკლებოდა და ვაკის მინდვრებზე ღრუბლების ნაგრილი იწვა. ქვემოთ, ვერეს ფშანებში, ქედანი ღუღუნებდა და ღუღუნი იგი ნაღვლიან ტონებად იპნეოღა ჰოსპიტლის ვრცელ პალატაში, სადაც ეხლა, ცივი, თეთრი სიჩუმე იდგა.

მოწყალების დები შეშინებული მტრედებივით მოქუჩულან დერეფანში. თამარ ციციშვილს ხმა უთრთის, ცრემლებს ლუკმა-ლუკმა ყლაპავს და უთახთახებს მშვენიერი მხრები.

— აღარ არის, — უმწეოდ შლის ხელებს, — უცბად გაქრა, საპნის ბუშტივით.

ოთახიდან სახედაკარგული გიგა მახვილაძე გამოდის, ქუთუთოს ქვეშ მალავს ცრემლებს, მაგრამ მორღვეული, დაღლილი სხეული ძლივს გამოაქვს გარეთ...

ვაჟა ჯერ კიდევ იატაკზე გაფენილ ლოგინზე წევს. გარშემო მიმობნეული ყვავილ-ბალახი უკვე ჩამხმარა და პალატაში სათიბ-სამკალის მკვეთრი სურნელება დგას. ლუკას ორივე ხელში ჩაუბღუჯავს მკვდარი შროშანები, სამყურას, ირმისტუჩასა და აფშნის ღერები. ღია ფანჯარასთან ნიავის ჩურჩული და ფარდის სუნთქვა ისმის. შემოჯდა რაფაზე ჩიტი, შემოიხედა ოთახში და გაბრუნდა უკან...

სახეზე მოჰფინვია ლუკას უკანასკნელი ფიქრი — მისი ცხოვრების მატიანის უკანასკნელი ფურცელი. თავი ოდნავ გვერდით ჩამოსცურებია ქათქათა რბილ ბალიშზე, თეთრი პერანგის ქვეშ მოუჩანს ჩავარდნილი ჩუმი მკერდი, ფერმუქი დაუკრავს თაფლისფერ წვერ-ულვაშს, ზეწარზე უწყვია ჩამომხმარი დაღლილი ხელები. მხოლოდ შუბლზე დამკვდარი ნათელი არ ნებდება სიკვდილს. თითქოს ბორგავს ლუკას გალეულ სხეულში გამჯდარი სიჩუმე. თვალები გარეთ, მთაწმინდასკენ აქვს მიქცეული, უდრტვინველად შეხვედრია სიკვდილს — ამ შავი მანტიით მოსულ ფილოსოფოსს, მხოლოდ ერთი აუხდენელი ნატვრა ახლაც გზაგაუგნებელი ჩიტივით ეხლება კედლებს.

— მთაში ჩამიყვათ, ფშაველი, იქაურ წყაროს დამაწაფეთ, ის მოშარჩენს...

— ახუნის გორზე დამმარხეთ, ჩემს ამორჩეულ ალაგას, — ივედრება პალატაში დარჩენილი სიჩუმე.

არც ერთი აღსრულდა, არც მეორე.

ჩარგალს არაფერი იცოდნენ. იმ კვირას ხმა ამოვიდა, ლუკა სენს ზემოდან მოექცა, ფერ-ხორცი ემატება და მალე ჯალაბს ამოუვაო, მაგრამ რატომ აეწვა ასე უამურად თამარს მარჯვენა ლოყა, რატომ შეიკვნესა კედელზე ლუკას ფანდურმა, ან გული რამ ჩაუწერილა მკერდში?

— ჩემი ლუკაი კარგად ყოფილა და მე რაღა შავ ფთილებს ვართავო, — ზენა ქარს გააყოლა ქალმა წეღანდელი შეშფოთება, ხბორებსა და ჭუკებს დაუტრიალდა, დაღმართზე ჩაირეკა.

იქით კი, ერწოში, ტყეებში ჩაკარგულ მაგრანეთში ლუკას ქალს — თამარს სძინავს იმ თავისი კაი ქმრისა და კაი მამაბთილის სავსე ოჯახში. სიზმარს ხედავს, თუ იმ ცხადმოჩვენებას სიზმარი ჰქვია.

ფერდაზე ამოწვერილ ბილიკზე ნიკორი გამოჩნდა. მაგრამ რაღა აქვს ნიკორისა, არც იმ ძთვარიან შუბლს მოანათებს, აღარც მედიდურად აუღია თავი, არც ნაბიჯი უმღერის... თითქოს ნელა მოცურავს დიდს, მღვრიე ცრიატში, უნაგირზე კი მოწყენილი, მხარჩამოგდებული ლუკა უზის, შავი კვალი მოჰყვება ნიკორს, მაგრანეთის ღაშეებზე უფრო შავი...

წამოხტა თამარი, გრძლად გაშალა ორივე ხელი და გაფრინდა მასკენ...

მოცურავს ნიკორ-ცხენი...

მიფრინავს თამარი...

აი, მანძილი მათრახის ტარივით დამოკლდა, საცაა, მამის თბილ კერდს მიაწვდენს ხელებს, მაგრამ ლუკას გამოშვერილმა ხელმა შე-

აჩერა, მერე მისი გაბზარული, თითქოს სხვისი ყბითა და ტუჩით ნათქვამიც შემოესმა:

— ეჰ, რაღა დროს, შვილო, რაღა დროს...

სად დაჰკროდა, ლუკავ, შენი დაუდგრომელი სული, როცა სხეულა, ნაშთი სიცოცხლისა, აქ იყო, ჩუმსა და მკაცრ ლაზარეთში?

მოდგა ქართული ჭირისუფლობა გიმნაზიის კართან.

— ლუკა რაზიკაშვილი გარდაიცვალა...

— ვაჟა აღარ არის...

— მთის არწივს ფრთები შეემსხვრა...

— ქართული მწერლობა დაობლდა...

— ჩქარა ადრესები, ნეკროლოგები, დელეგაციები, ქართული მისვლა-მოსვლა, ფაცი-ფუცი, ქაშვეთი, ლიტანია...

დასაკრძალავი ხარჯებისთვის ფული...

დაიძინა შურმა, გამოიღვიძა მამულიშვილობამ. იცოდე, ქართველო ქართველისა — ნიჭსა და დიდებას მხოლოდ სიკვდილისას გაპატიებს.

ქაშვეთის ეკლესია კელაპტართა და კეროვანთა წმინდა შუქით არის გაჩახჩახებული.

პანაშვიდი და პარაკლისი ერთმანეთს ცვლის. ერთადერთი გვირგვინი ამშვენებს ვაჟას სასახლეს, გვირგვინი ქართველი ერისაგან.

წევს ლუკა გრილ ყვავილ-ბალახში.

იქ კი, ფშავის ტყეებში, ახუნის თავზე იცრემლება შვლის ნუკრი... მოწყენილი არწივები სხედან კლდეებზე.

იმ დღეს არ დაუცილებიათ ერთმანეთისთვის ფრთები შევარდნებს.

ცა იყო ჩუმი. ჩარგლისწყალიც უხმოდ მისრიალებდა სიპებზე.

მხოლოდ ლაშარის გორზე ჟღრიალებდა ღაჭაურას მუზარადი.

დღე მიინავლა და ვარსკვლავები გამოლაგდნენ ფშავის ცაზე სატირლად ჩამომსხდარი ქალებივით.

ბეჩავ, ბეროთ ნათელავ, კაი ყმა მოუკვდა საქართველოს!

ჩამოსწველილა ღამე მთვარის სხივებს. გაყუჩდებოდა არემარე, შეკრთებოდა სიჩუმე და სულად ქცეული ბაჩელი ლელა ყვავილივით დაენთებოდა ვაჟას კუბოსთან, სხვებიც აქ იყვნენ, ისინიც სულეთიდან მოსულნი — სახე უტიროდა ლუხუმს, რქებდაცვეთილი ხარივით იდგა ზეზვაი, მხრებზე აჩქეფდა გაშლილი თმები აღაზას, თავს დასტრიალებდნენ გვრიტები ობოლ კვირიას, ნისლიან მთას ჰგავდა ჯოყოლა, ნახეთქი კლდესავით მოდგებოდა თვალმეხიანი ზვიადაური. ყველანი ვაჟას კალმის შვილები იყვნენ, მისი ყუათიანი ქართულისა და ფანდურის ნათლულნი.

ჰქონდათ გლოვა ჩუმი და ანგელოზთა გალობა ჩამოჰქონდა ციდან მაღლა აღვლენილ ლოცვას...

ღმერთო, ყოველთაო, ძეო და მამაო, ლაშარო ხელლახტიანო, წმინდაო გიორგი, თქვენ უშველეთ საქართველოს, ძმას ძმის საკლავი დანა დაუჩლუნგეთ, შური მოუკალით მოშურნეს, ნუ ჩააქრობ ქართულ მიწაზე ყვავილებს, ცრემლი შესწმინდე ობოლსა და უპატრონოს, ულხინე საქართველოს, ულხინე საქართველოსა...

საყურესავით ჰკიდია მთვარე შენამულ ცას...

სძინავს ლუკას დიდი და მარადიული ძილით — ახლა დაწყნარდებიან ვნებანი, გაშრებიან ლაქარდიანი ენები, აქამდე რომ ვაჟას საბელს ჭუჭყსა და მწვირეში დაათრევდნენ.

„ნუ გეშინიათ, არ გავნებთ
ციდან ყვირილი ხარისა...“

განა გემდურით ლუკა, განა წყენა რამ გაიყოლა წუთისოფლის მეორე ნაპირისკენ... არა, ლაშარის მადლმა, არა, პირიქით, მადლობა, დიდი მადლობა, რომ მკვდარმა ცოცხალი გაცნობინათ. გული ნურც სხვაზე გეტკინებათ. მერე რა, თუ ეგ ათას ხუთასი მანეთი, მისი სამარხი და სააღაპე, სიცოცხლეში უფრო სჭირდებოდა — ხმიადად, მესტებად, ნავთად, მარილად, წამლად. ოღონდ მთას ციყვანეთ ლუკაი, ახუნის გორი ერთხელ კიდევ აჩვენეთ მის ჩამქრალ თვალებს, გაღმა-გამოღმა ფშავი დაანახეთ და მერე ისე უბრალოდ ჩაუშვით სამარეში, როგორც მეხრეებს, მთიბლებსა და გუთნისდედებს მარხავენ ხოლმე.

დილით შურთხმა გაჰკრას ფრთა მისი საფლავის პატარა ბორცვს, ღამით კი შესცქეროს ხოლმე ლუკამ, როგორ წამოკენკავს განთიადი ცაზე გაბნეულ ვარსკვლავებს, როგორ ამოფართხალდება მზე მთების უბიდან, გაიფსება, გაიზრდება და მაღლს მოჰფენს ქვეყნიერებას. იქ მთაში დამარხეთ ლუკა, არც პირიმზე განრისხდება, არც იანი გაწყრებიან.

არც ვაჟას ეს ჩუმი ვედრება ისმინა ქართველმა ინტელიგენციამ... არავის გახსენებია მთაწმინდა, არც ილია გახსენებიათ, პირიქით, აგე რამდენი ხანია, ყურს სტკენთ მოძღვრის ნათქვამი — რუსთველის ქვეთ ასეთი პოეტი არა გვყოლიაო.

ივლისის ალხი სცემდა. მშრალი თეთრი ღრუბლების ნათიბ-ნაკრეჭი მიჰქონდა ცხელ ნიავს დიღმის ველებზე.

უხალისოდ მიიღვრებოდა მტკვარი დიდი კასპიისკენ.

ვაჟას კუბო მიცურავს ხალხის მხრებზე.

დიდუბის ეკლესიაში დილიდან არ ცხრებოდა ზარების რეკვა. იც-

რემლებოდნენ, კელაპტრები, მონაზონივით ფეხაკრეფით დადის სიჩუმე ტაძარში. ღია საფლავის კიდეზე წივწიევებენ ბოლოქანქარები.

არავის გახსენებია-მეთქი მთაწმინდა. არც ის, თუ როგორ ჩამოატანინა მომაკვდავმა ლუკამ იქაური წყაროს წყალი, როგორ დაუბრუნა სიგრილე მთის ნაჟურმა აბედივით გამომშრალ მომაკვდავს.

სიტყვები... ადრესები... ცრემლის ქართული დაკურება და სველი უპეების ქართულადვე შემშრალება, მერე კი, მერე, ისევ ქართული გულგრილობა, ცივი, სულის გამყინავი...

უყურა ბალახმა, უყურა ლუკას საფლავს და როცა ახლოს მოსული არავინ ნახა, ჯერ ჭინჭარი ახტა ზედ, მერე ეკალ-ბარდი გაიბა, მწვანედ ჩაგუბდა და ჩამინდვრდა ის წმინდა ალაგი. კრიახებდნენ შიგ შაშვები, რაღაცას ჩურჩულებდნენ წუთისოფლის სიმოკლესა და სიმრუდეზე.

გადმოჰყურებდა ფშავი ბარის უმადურობას, უკვირდა, სწყინდა და უკვირდა.

სქა გვყოლოდა, ჩვენი ლუკაი, ფშავურის საკურთხით, ფშავურის გულითა და სულის მოზსენიებით.

აქა გვყოლოდა, ახუნის გორზე, თავის სათიბ-სამკალთან, ასადგომ-ჩამოსაჯდომთან, მისაველელ-მოსაველელთან.

უკვირდა მზეს, უკვირდა და სწყინდა. ქართული გულგრილობა კი იკლაკნებოდა, იხლართებოდა და ცივ გორგალად დაგორავდა.

მაინც მოდიოდა ახალი დრო, ჯიუტად მოდიოდა, მოჰქონდა ახალი იდეები. იქ, ქუთაისში, ლექსით სავსე ცისფერი ყანწები ჰკრავენ პოეტთა ორდენს.

მოდის გალაკტიონი...

მოდის მიხაკით მკერდმოსისხლული ტიციანი...

პოეზიის ღმერთს ეჩურჩულება ვალერიან გაფრინდაშვილი... უსაზღვროების უმანძილობას შესტირის ტერენტი გრანელი...

მონ-მარტრი ესიზმრება ქუთაისის ბულვარს...

მკვიდრდება ახალი ესთეტიკა...

მოდის ახალი პოეზია...

ფერისცვალებას გაუმარჯოს, ძმებო, ძველის მსხვრევას გაუმარჯოს, ქართული ლექსის ლაზათს გაუმარჯოს.

თბილისში დადის ვარდების მიჯნური — იოსებ გრიშაშვილი...

გუგუნებს ლეონიძე, ვაჟას ნათლული, მისგან ხელდასხმული...

იწყება დიდი ფერისცვალება...

ცისფერყანწელებმა შეუდგეს მზრები ვაჟას მიწანაჭამ კუბოს... ცოტანი არიან, ჩუმად შეუყვნენ მთაწმინდის ალმართს...

აქ ღმერთებს სძინავთ, ლუკა...

„ხარს ვგეფარ ნაიალაღარს..."

ღმერთებმა ჩაიბუტეს ვაჟა...

სტრიქონი სტრიქონს მიეწება, ფურცელი-ფურცელს, ტომი-ტომს და გამდიდრდა ქართული პოეზია. მწვანედ ჩაგუბდნენ და ჩაიმინდვრეს პოეტების სიტყვებმა ჩვენი ერის სიტყვიერების საგანძურში. ახალმა ეპოქამ შეისისხლხორცა იგი. ფშაველი კაცის ხალასი სიბრძნე. მისი ნატიფი და გამჭვირვალე აზრი უკვდავების წყაროსაჟით ასულდგმულებს წუთისოფლის სიმოკლითა და სიმრუდით შეწუხებულ ქართველ კაცს. საკითხავია: მარტო ქართველს?

მთელი ფშავი, ლუკაიას კარ-მიდამო, სახნავ-სათესი გადმოჰყურებს მთაწმინდას. ეძებს მოღლილ-მოქანცულ პატრონს. პატრონი კი შორს წასულა, ღრმად გაუდგამს ფესვები. ყველა მოაზროვნის ძვალსა და რბილში გამჯდარა იგი. ტვინი დაუმძიმებია საფიქრალით. უძილო ღამეები ჩამოურიგებია ვაჟას სტრიქონებს თაობებისათვის.

რას იზამ?

ასეთია ბედი სიცოცხლეგამწარებულ და ერის შვილად დაბადებულ ძოკვდავთათვის.

მკვდრეთით აღდგა ვაჟა.

მისმა სტრიქონებმა დიდი ხანია უკვდავყვეს იგი.

* * *

მდიდარი არ არის ვაჟას სატრფიალო ლირიკა. ამასაც თავისი ლიბო და მიზეზი აქვს — ისეთი წუთისოფელი არ ჰქონდა ლუკას, რომ იმის ლექსს ქალის თვალ-წარბისთვის მოეცალა. იმდენი ნარი იყო საგლეჯი საქართველოში, იმდენი პირლია კითხვა ითხოვდა პასუხს, დიაცის კაბა-უბისთვის იშვიათად თუ აუმღერდებოდა ლექსი. დიდ ოჯახსაც დევის მადა ჰქონდა, ქადა-ნაზუქი თუ არა, ქერის პური, დამბალი ხაჭო და ნაწველ-ნადღვები მაინც უნდა ჰქონოდა ქილა-ამბარში, თორემ რაღა ლუკა რაზიკაშვილი იქნებოდა ვაჟა-ფშაველა. მეზობლები ისედაც ხშირად ჩაჰკითხავდნენ ხოლმე: ლუკავ, ჰა, ლუკავ, რო ჰზიხარ, კაცო, და ფურცელს ჩამღერი, ვინ რა მოგცა? ისევ ძველაი ჩოხით დსადიხარ, ისევ დაჰბეჩაობ და დაჰღარიბობ. შაირობისთვის იმან უნდა მოიცალოს, ვისაც წუთისოფელი უყვავის და უმწიფსო. ეამის თქმაზე მწარე ღიმილი გაუსერავდა ხოლმე ლოყას — ერთი თვალთბილად გადაჰხედავდა მგლის ჯოგივით შეყრილ ფშავ-

ლებს და ისევ ფანდურისკენ გაიწვდიდა ხელს — არა მარტო პურითა ერთითა არის, ვაჟებო, ადამიანი, ამ გულ-ტიალს თავისი უპურო ცხოვრება აქვს, სილამაზე და სიტყვის ეშხი სწყურია... აკი ამიტომაც უსხედან ფანდურის სიმებზე ლუკას ფშაველის ლამაზი ქალები. მერე რა, თუ გულისპირს თვალ-მარგალიტი არ უმშვენებთ, ვაჟი იყავ და გაუძელი მათი წარბების მშვილდიდან ნატყორცნ მზერას. დაილოცე, დაილოცე, ტანწურილო ქალავ, შენი გაღიმება კლდეს ააცეკვებს, შენი მკლავების ნაკადულები თუ დააღრჩობს ვაჟკაცს, თორემ აღიდებული არაგვი რა ბედენაა. ემაგ სილამაზით ჰხელმწიფობ და სდედოფლობ, თორე? ისიც იცის ლუკამ, რომ გინდა ცეცხლისთვის ჩალა გინდვია, გინდა დიაცის ერთგულება გიძებნია. დღეს თუ შენ თბები ამ ღვთიური ცეცხლით, ხვალ იქნებ ციე ნაცართან დაგსვას და თვითონ სხვისა მკერდზე მიიძინოს. მაინც დიდია მადლი სილამაზისა, მაინც ცოდვაა უქალო ლექსი. ლუკაც შენი ყმაა, ქალთამზეც, შენი ტაძრის ქურუმი, ეს იმად, რომ თვალებში შავი ცეცხლი გინთია, ვარსკვლავების მიწიერი დაი ხარ და კრაზანის წელი ლერწამივით გერხევა.

უშენოდ ან წუთისოფელი რაღაა, ან სიცოცხლე და ან დაქვრივებული სიყვარული?

დაილოცე, სილამაზეც, დაილოცე.

ეჰ, ისევ დილის ცვარ-ნამიან ახალგაზრდობაში უნდა მოიცალოს ფშაველმა სიყვარულისთვის, თორემ მერე ცხოვრება სადღა მოაცლის — ზედ დევივით შესდგება, ჩასრესს და ჩაჰბუქნავს. დაღლილი რომ მიუხვალ ცოლს შინა, წვიმისგან ნაჩხვლეტი, ელვისგან გაშოლტილი, ცელის ტარს აგლეჯილი, სადღა გცალია სიყვარულისთვის? იქნება ისღა მოახერხო, ნიორწყალში ჩაწობილი ხმიადი გალოღნო, ნაბიჯი ნაბიჯს მოაბა და ტყავ-ლოგინამდე მიათრიო ნალოსავით დამძიმებული ტან-ფეხი. სევდადაკრული იუმორით აგვიწერს ლუკა ფშაური ცოლ-ქმრობის სიბეჩავეს: აგერა, ბერდო ქერის ყანაში ჩამდგარა და ნამგალი უხურს. მაღლიდან ღრუბელი დასცქერის და უნდა მოასწროს, ძნები ჩადგას, თორემ ამ ოქროყანას ელია წინასწარმეტყველი შეუჯამს. შია, ბერდოსა, შია, მუცელში მგელი უყმუის. აგერ დღე წაიქცა კიდეც, წელან თუ ცის ჭერქვეშ მზე დედოფლობდა, ახლა ქედის თავზე წითლადა ჰლვივის, მაგრამ იმის დედაკაცი კი დეემა მოიტაცა ან დევის შვილმა — არა ჰსჩანს და არა. ბერდო ბრაზიანი მზერით გაჰგვის და გამოჰგვის ცარიელ გზასა. ჰოი, ცა რგვალის გამგებელო, სტყუი ქალის გაჩენით, სტყუი. აკი დიდის პირობით გამოუშვა დილით, შენ იქ ეცადე, ნამგლის პირი არ გააციო და ისეთ ერბო-ხავერს აბოგიტან, სულ ერბოში ცურავდესო. კარგია ერბო-ტია-

ლი, კარგი. ნახავიწევ ბერდოს დევიც კი გზას აუჭცევს, ისეთია — მკლავმსხვილი, ძირშედგმული, უშეელებელი. ახლა კი რა, უხორცო ტყავივითღა ჰგდია გრილოში და თვალებით იმუქრება — დაგავიწყდა განა ქმარი, ევას მუცლასავე, ეშმაკის ნათლულო, აკი ერბო-ხავიწიო, გემრიელი ჯერიო, მშიერი კი მოჰკალ. მაიცა, დაიცა, სად წახვალ, მანდ არ დაჰხვდები ბერდოსა?

ბერდო ხომ აქა და ასე, მაგრამ იქ რა ჰხდება, მკითხველო, იქა... ისა, რაც ფშაველი გლეხის ოჯახში — ჩემს კაცს ხავიწიო და აჰხადა აბბარს ფეფენამ — ფქვილი კი არა, ფქვილის მტვერიც არსად იყო... შეზიზელო, წყალზე ხიდოო, — ტყუილად კი არ ჩაიმღერებს ხოლმე ოანდური. ერთი ჯამი ქერი ისესხა და წისქვილისკენ ჩაეკიდა დალმართებს... ცოტა რამ ნაცრიანი ხმიადი წაართვა ცეცხლს და ქმრის მოლოდინში საკუთარ კაბა-ქობაში გაინაბა...

შიმშილმა შეისროლა ბერდო ქოხში. ბალღებს მამალი მგელივით შეჰღრინა და ამბარს ეცა: ხავიწი ხელმწიფისა, ხმიადი — გლეხისა და ნიორწყალში ჩაყუდა ნაცრიანი ჯერი. გლეხი რა და მიწის ქალამნის, გათენდა ბერო, გაშუქდა, იქით ხოთქარი — აქეთ ისა, გაიწვადა ფანდურისკენ ხელი და ისეთი სიმღერა შესძახა, ცაზე ღრუბლები დაფრთხნენ.

რა თქმა უნდა, ალეგორიულობა ყველა სატრფიალო ლექსის მეგზური არ არის. ბევრი შედეგრი, როცა ამ თემას ეძღვნება, მართლაც რომ საწერ ფურცელზე ფარდად აჰოსულია და ახალგაზრდა ვაჟას სამიჯნურო განცდებს გადმოგვიშლის. მთის რაინდულ კოდექსზე გაზრდილი ლუკა ახალგაზრდა ქალთან გაუბედავია, მორცხვი. ის კი, მისი გულის სატრფო, ცეცხლის ალივით ირხევა და ჭაბუკის გულს წამწამების ისრებს უშენს. ქალავ, ქალთამზევ, ნუთუ ვერა გრძნობ, რაზიკაანთ ბიჭი შენთვის სდნება. ლუკა მთაა და ზედ ბილიკად გაეკვლე, შენი სიყვარულის ლოთია ლუკა, შენი თვალ-წარბის ყმა. ანდა ხარ, ღვთისგან სანთელივით ჩამოსხმული, „კლაკნია“ „ხშირწამწამა“ და თანაც ვარდივით მორცხვი. ჭეშმარიტი სიყვარული ბალღივით მორიდებულია, თავჩაქინდრული, მხოლოდ ტან-ხორცის ვნებაა თავხედურად თამამი, სიტყვადაუღელელი, ურცხვი. ლუკაც სიყვარულის წმინდა ტაძარში დაცემულა მუხლებზე:

დიდხანს მსურდა გელგამსქვალულს.
რომ მესინჯა მისი სახე,
ნაცნობობით მესალმება.
ახლოს მისვლა გავიძრახე.
მეც დამრცხვენდა ქალსაც შეჰრცხვა.
არ იქმნა, ვერ ავიძრახე...

კითხულობ ამ აღსარებას და მაგონდება ტარიელის ნესტანთან უსიტყვო გაყრის მრავლისმთქმელი ეპიზოდი:

პერმე ავდეგ წამოსავლად,
მან დამიწყო ქვევე წვეva,
მწადდა, მაგრამ ვერ შევმართე
შემოკდომა, შემოხვევა...

მშვენიერება ყველა დროში მშვენიერებაა... უმაღლესი პოეტური ჭეშტი ათრთოლებს ვაჟას შემდეგ სტრიქონებს:

ნეტავ, ღმერთო, მაცოდნინა,
რა ფიქრს ჰმალავს ვარდის კონა...

პოეზიავ, უშველე ვაჟას, ლექსო, უშუამავლე მიჯნურთან, ჭალავ, ნუ მოჰკლავ გულგრილობით, ნუ გაუმწარებ წუთისოფელს:

გზაში შეგხვდი, არ მომხედე,
მანამ კარგად არ მოგშორდი...

სხვა რადა ხარ, სხვაგან რადა ხარ. როცა ვაჟას გულს „ჰყავხარ ჩაქსოვილი" და ეს სამი წელია, გულს სიმშვიდე და თვალს ძილი არ მიეც...

ეს ლექსიც ლოცვად მიითვალე, ვედრებად მიიღე. ცაო, მშვენიერო, გამოიდარე, მეფედ, გაზაფხულო, მოვედ...

თუ ეგრეა და გენიშნა,
როცა მნახავ, მომცემ სალამს;
იმედი მაქვს, არ ჩაუვლევ
უქმად შრომას ამ ჩემს კალამს.

მაინც რამ გაგაჩინა, სიყვარულო, კაცთა იმედად და ბედისწერად? ისევ ის ლერწმის დაია ვაჟას სიმღერის სათავე, ადამიანი როგორ არ უნახავს ლუკას ადამიანებით სავსე წუთისოფელში, მაგრამ ის მაინც ვერ გაუგია, რა ჰბადებს ასეთ მშვენიერებას — მაღლა აცურებულ ყელს, თვალებში ჩაბუდებულ ღვთიურ ცეცხლსა და ფეხადგმულ ყვავილს — ქალის სახელი რომ ჰქვია მისდა სალხენად თუ სავაგლახოდ:

მაოცებს შენი გამზრდელი,
ვინც შენ გაგზარდა დედამა...

გულო, უღვიძლოდ რა ხარ — ლეშის ნაჭერი, სვავ-ყორანთა საჯიჯგნი და საფლაპავი. უშენოდ ქალავ, ლუკაც ცივი მკვდარია,

უსაფლავო და უცრემლო, როგორ უნდა დაგივიწყოს, ტანჯვას გაექცეს, მაგრამ მისი ლექსის სათაეე მაინც შენა ხარ.

მინდა, რომ მძულდე. შოგეორდე.
გულზე მობმულა ღვეძლადა,
მაგრამ ტყუილად ვცოდვილობ,
ვერ ვსძლევ შეჩვეულს გრძნობასა.
მთელის ხმელეთის სწორი ხარ,
ვინ მიზამს შენოდნობასა?

მშვენიერება ათბობს კაცობრიობის გაყინულ გულსა, მშვენიერება გვატკბობს და გვაცოცხლებს, მშვენიერება უკვდავებასაეით უკვდავია.

ვინა სთქვა: ტრფობა ბერდება
და სატრფიალო საგანი!

გავა ხანი, გაილევა წუთისოფელი, მაგრამ საფლავშიც შენზე იფიქრებს ლუკა, მადლისა და სიცოცხლის წყაროვ-ქალო — ქალთა-მზევ, ქალო — კაბა-ქობიანო.

ფშაეური ქალვაჟიანის მადლი ბრუნავს ვაჟას სატრფიალო ლირიკულ შედევრებში. ლამაზი ქალი პირ-ღიმილითაც ლამაზია და თავისი დიაცური ეშმაკობითაც — განა ია არ დაირცხვენს ხოლმე, მზის ჩასეიე რომ მიადგება, ან როცა ნიავის სუნთქვა გაახელინებს იმ თავის ლურჯს „თოლებს"? ის ჩვენის გულის მომკვლელი ქალაშავაც ასეოია, კაცებო, განა პირდაპირ შემოგხედავს, ჩუმის მზერით აგიჩერს ფიქრებს, შელურად თავდაკიდული. ღიმილით დაგფუფქავს და უხმლო-უხანჯლოდ ისეთ იარას გაგიჩენს, მისმა მეტმა ამ ქეეყნად ვერვინ მოარჩინოს. ასეა ხოლმე, დიაცის მშვენიერება დაგეჭრის, დაგეკუწავს გულსა, მაგრამ მაინც მისთვის გეინდა თავიც და წუთისოფელიც.

ჯერაც ატყვია ჩემს გულსა
შენგნით წყლულები ჭრელადა,
ოცგანაც კიდევ რომ დამჭრა,
ვერ გაგიხდები მტერადა...

ასეთები გეყვანან ქალები — მზის მიწიერი დები. ლუკასაც ისინი ამოუგეიან ხოლმე გულიდან წუთისოფლის ლექსსა და სეედას, შავის ფიქრებით გამჭვარტლულს შუბლს ჩამოსწეენდენ. მერედა რა კარეები არიან იმ ქართულს კაბა-ქობაში ამობრწყინებულები. გამოჰგოგდებიან გვრიტებივით მწყაზარნი, მძივად ასხმულის ტან-ფეხით, შეირხეეიან ნიავდაკრული ჩინარებივით, ან კიდევ „მტრედის ფარასა-

ვით' ჩამოსხდებიან და რა ფოლადი უნდა იყო, იმათი თვალების ცეცხლმა დაბლა ფერფლად არ გაგფინოს?

ბნელს გულში სხივი ჩადგება.
რომ თქვენა გხედაესთ თვალია,
ავსდგები თქვენსა საცქერლად.
კიდეც რომ ვიყო მკვდარია...

სიყვარული გვიმაღლებს ცას ადამიანებს. ის გვალხენს და გვამღერებს. ამიტომ არის, რომ ეს უწმინდესი გრძნობა ვაჟას პოეზიის თავფურცელიც არის...

* *

ვაჟას ლირიკაში სატრფიალო მოტივს, ისეთი ადგილი არ უჭირავს, როგორც მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელ ძირითად თემატიკას, მაგრამ, ყველა ლექსი, რომელიც კი სიყვარულის წუხილსა და სიხარულს ეძღვნება, ჭეშმარიტი შედევრია. პოეტი ახალი ინტონაციებით, გრძნობების გამოხატვის მხატვრული ვარიაციებით, ხალხურ მოტივთა და სასიმღერო კილო-ხმის ოსტატური გამოყენებით ემოციური ზემოქმედების მაღალ ეფექტს აღწევს. ამ დროს შევარდნის ფრთასავით აქნეული და ვაზის მუხლივით ღონიერი ერთი ფრაზაც კი უკვე შესაბამის პოეტურ განწყობილებას ქმნის, რაშიც დიალექტური ზოგი ფორმაც ძვირფასი თვალივით ამოანათებს ხოლმე.

რამ გაგაჩინა, ქალარ,
ღერწმად აჭრილო წელშია.

ნეტავი. ხელით შემახო,
შენ რომ ვარდი გქონ მკერდშია!

გახაზული პოეტური ფრაზები, თითქოს მწყემსის ხელით სტეირივით გათლილი მეტაფორა, პირველი სტროფიდანვე საზღვრავს როგორც ლექსის კილოს, ისე მის პოეტურ მუხტსაც. ვაჟას ხიბლავს ქალის „ფოფინა თვალები", უმზეობაშიც რომ სხივსა და ნათელში ახვევენ მთების კალთაზე დაბადებულსა და გაზრდილ ფშაველს. ეს ეპითეტებიც ბუნების სალაროდან არის ამოზიდული, რაშიც დავწმუნდებით, თუ გავიხსენებთ, რომ გენიალურ პოეტში მთების ასულის უცხო მშვენიერება, მისი ლაღი სილამაზე შევარდნის ასოციაციას იწვევს: იტყვი ამას და, ალტაცება მოაგონებს, მართლაც, ღვთის

ხელით გამოწვდილი ყალმით დახატული ქალის სურათს პოემიდან „სისხლის ძიება“.

ან თუ შევარდნის წიწილა
ნაწოლი დედის ფრთაზედა,
ანუ ზღვა არის შშფოთვარე,
აყვირებული ზღვაზედა...

ვაჟას პოეტურ ფანტაზიაში კაკანათივით გაებმის ხოლმე სწორედ ველური ბუნების ხორციელი შედევრი, უფრო კაკაბივით ფეხშიშველი, ხანაც მსუბუქ-ქალმიანი, წელზე მწყემსისგუდიანი, ბატკანს, თუ საქონელს ადევნებული გლეხის გოგო — ზღაპრის ღია კარიდან გამოსული მზეთუნახავი, იისა და ვარდის და, ხანაც, მათივე ძუძუ-რძით გაზრდილი და დამშვენებული. ასეთი ლექსები ფშაური ფარდაგებივით ლამაზსახიანი და ბალახის სუნთქვასავით მსუბუქია. ყოველ სტრიქონში ხან შურთხის სტვენა ისმის, ხან შაშვის ღრინი და ხან კიდევ სალამურის წკრიალი. ლექსი სიმღერას თხოულობს, არაგვივით მიიღერება და, ლექსად რომ ითქვას, ხმა მლოცველი ბერივით უნდა ჩაიდაბლო:

ქალო, განახე ფეხშიშველა,
გამაკგოგდი ეზოშია;
გენაცვალე — კაკაბს ჰგავდი,
მოეიერნეს ფერდოშია,
ვისი ძუძუ გიწოვია,
იისა თუ ვარდისაო?.

იცის ვაჟამ, უქალო ქეყანა უარწივო მთა და უმზეო დღე იქნებოდა. სხვა სხვისა, მაგრამ ქართველი ქალი უფლის ასულია, მერე როგორ უხდებათ ტან-ფეხზე ქართული სამოსი, როგორ დაჰგოგავენ ხოლმე მტრედის ხუნდივით, ან, როცა ერთად ჩამოსხდებიან, განა არა ჰგვანან ვარსკვლავთა ხომლსა და ლაშარში დანთებულ კელაპტრებს?

რას იზამ, ძმისავ, სიყვარული ძნელიც არის — ხშირად ძმარწყალსაც გასმევს, ტიალი, მაგრამ, თუ ქალის წამწამით არ დაიჭერ, თუ მისი წარბის შავ ელვას არ დაუმეხიხარ, მაშინ დაბადებულხარ და ვერ გიცოცხლია ამ ვერან წუთისოფელში, ამიტომ:

ბნელს გელში სხივი ჩადგება,
როს თქვენა გხედავსთ თვალია,
ავსდგები თქვენსა საცქერლად,
კიდეც როვ ვიყო მკვდარია...

ძალნო, ბუნებისანო, შენ აუყვავე კალთა ჩვენთა დიაცთა...
სიყვარული ყვავილიდან აფრენილ ფუტკარს ჰგავს, თაფლსა და

ნექტარს რომ გაზიარებს, მაგრამ ნაკბენი და ნესტარიც იცის. აბა, მაშ რაა, რომ იმ ქალაშავამ გული დალია. გზა სადმე წაიყვანს ლუკას, მოშორდება იმისი თვალების კიჟვას, იმის ქურციკის ყელ-კისერს და მკვდარსა ჰგავს, ცივ მკვდარსა. ჰოი, როგორ უნდა, ის თავის გამწვალებელი სჭულდეს. გულიდან ამოიღოს, მაგრამ მაინც იმისი სიყვარული უკიდია, იმისი ტაძრის მლოცველი და მწირველია:

კარგი ხარ, აღარც კარგი ხარ,
მე გულს მაწევხარ ნისლადა,
მინდა, რომ მძულდე. მოგშორდე,
გულზე მობმულო ღვიძლადა.

არა, მიწა ვერ აციებს ტრფობით ანთებულ გულსა, სიკვდილის მერეც გახსოვს ის, ვინც ცოცხალს გულზე ვარდებს გფენდა, ვისი ერთი გამოხედვაც აღელვებულსა და აზანზარებულ ზღვას დაამშვიდებს, საავდრე ღრუბელს გააცინებს და მუნჯსაც კი ხმამაღლა აამღერებს:

ვინა სთქვა: ტრფობა ბერდება
და სატრფიალო საგანი,
ყინულის ეკალს დაისხამს
წამწმები, ცრემლით ნაბანი.

დიდი მხატვრის ყალმით ქმნის ვაჟა ბუნების შვილის, უბრალო გლეხის გოგოს დაუვიწყარ პორტრეტს. თავისავ მკლავზე მისძინებია ლამაზსა და ხუჭუჭთმიან ქალს, ნაზი სუნთქვით იგრილებს მკერდს და უდაბური ტყის სიჩუმე ადგას თავზე. ფერმიმჭკნარი, გაცვეთილი კაბა აცვია მშვენიერების ასულს, ფეხთაც მსუბუქი ქალამნები, მაგრამ ასე ვინ დაუთალა თითები, რა მადლმა ჩამოუსხა და ჩამოუქნა, თითო ერთ კომლად საღირალი?

თვალდატყვევებული პოეტი ცაში აჰგზავნის მხურვალე ლოცვას, რომ ამ ტყის ანგელოზს ზეცის კალთა ჰფარვოდეს, ავი არიდოს, თორემ, თუ ლუკას მისი თვალების სხივი დაუძვირდა, მაშინ, რაც ქვეყანაზე მიწაა, სულ ზედ მიაყარონ, მაშინ ან სიცოცხლე რა იქნება მისთვის და ან სიკვდილი? ძალნო ბუნებისანო, თქვენა ჰპატრონობდეთ სილამაზის ამ სასწაულსა...

სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა ძირის ქვა და ლიბოა პოეზიისა. მაინც რა ხარ, სიკვდილო, რომ ასე ათამაშებ ადამიანის ძვლისგან გამოთლილს კამათლებს? მოხვალ და აღარ ვიქნებით, წახვალ და წაგვიყვან იქ, სადაც შავი მდინარენი სდიან, ცრემლი სდუღს და ღმე-

არა თენდება. ამ მარადიულმა თემამ შემოიტანა ჩვენს ძველ მწერლობაში „სოფლის სამდურავის“ შოტივი. აბა, ვინ ჩამოჰკრიფა მზე, ვინ აზარა ბოლომდე წუთისოფელმა? — არავინ. მიწა ვართ და მიწად ვიქცევით, ბოლოს მაინც ბელტი უნდა გავასუქოთ ჩვენის ძვალ-ხორცით, მატლის ლიღინმა უნდა ჩაგვაძინოს საფლავის ციე ლოგინში.

ასე ყოფილა და ასე იქნება, მაგრამ განა სიცოცხლე მაინც ბუნების დიდი მისტერია არ არის? განა ბუნების ეს ჯილდო, ხელის გულზე დაგორებული ეს თვალი-პატიოსანი ბედნიერებას არ გვითესავს და გვიმკის?

დიდია ძალთაძალი სიცოცხლისა...

ამ თემას ეძღვნება ქართული ნწერლობის ერთი შედევრთაგანი — გალაკტიონ ტაბიძის „მესაფლავე“, მაგრამ დღემდე არავის აღუნიშნავს, რომ დიდი ლირიკოსის შთაგონება, როგორც ჩანს, ვაჟას იმ ლექსს აღუძრავს, რომელსაც „მოგონება“ ჰქვია. იმდენად დიდია როგორც სიუჟეტური, ისე იდეურ-აზრობრივი დამთხვევა, რომ ეჭვისთვის ადგილი აღარ რჩება. აგერ, მკითხველი ხედავს მზის ნაშობივით ლამაზ „ქალას“. ვაჟის წინ კელაპტარივით ანთია და ერთგულების ფიცს შესჩურჩულებს თავისი გულის ტოლ-სწორს. ყვავილი უფუტკროდ ვინ სთქვა, ფანდური უსიმღეროდ რა ბედენაა, ცეცხლის შეჭამანდია და მეტი არაფერი, უშენოდ ან მზე როგორ ამომიეა, ან მთვარეს როგორ შემეხედნება, თუ სიკვდილი იქნება, ერთად, მხოლოდ ერთად გაგვირეკოს, რომ საფლავშიც შენთან ვიყო, შენ — მკვდარს, მე — ცოცხალი მზედ და ყვავილად ჩამოგყვები იქაც. არად შეავაჭმევ მიწას ემაგ არწივის თვალებს, რად გავახარებ ჭია-მწერსა... დაე, შაეზიდნენ და შაეწმახნენ ერთმანეთს ჩვენი ძვლები...

ცოცხალი თან ჩამოგყვები,
საფლავში დაგეტანები;
შენ მკვდარს, შენთან მე ცოცხალსა,
დაე, დაგვიხშონ კარები!

მართლაც, დაკარგული კამეჩივით მიადგა სიკვდილი ვაჟის სახლკარს. ცრემლის თბილ წვიმად და გლოვის ნამქერად მოვიდა სიკვდილი — გაითალა კუბო, აძრახდა სანთელი, ჰაერი შეაზრიალა მოზარეების მოთქმამ, სატრფო ზედ ადნება კუბოს, ცრემლად იცლება, სუდარასავით ეფინება ვაჟს, მაგრამ, რაც სიკვდილს მიაქვს, დაუბრუნებლად მიაქვს.

აგერ სასაფლაოც. ჩუმი, იდუმალი, ცრემლით დახნული. ჩაუშვეს კუბო მღვრიე სამარეში, ჩაუშვეს და მიაყარეს მიწა-ლოდები.

შენ სადღა ხარ, ქალავ, რამ გასტეხა შენი კერკეტი ფიცი, რატომ არ ჩაჰყევ იმ ბნელსა და უსიერში სატრფოს? — ჰკითხულობს ვაჟა

და პასუხიც კალმის წვერთან უზის, მაგრამ ჯერეთ ქალის ტუჩ-კბილით ნათქვამი მოვისმინოთ: იმიტომ, ძმასავ, რომ სიცოცხლით ვიტანჯო, მოგონებით ჩამოვდნე, ცრემლით სველი კაბა ვატარო:

ჩიგონო ვარდი გულისა,
ვიტანჯო მოგონებითა.
რომ მოვკვდე. მაშინ ვიქნები
დარდების მოვანებითა!

ასეთია, ასეთი... ეს ცოდვიან-უცოდველი წუთისოფელი...

შემდეგ ლექსის ლირიული სიუჟეტი ისევე ვითარდება, როგორც „მესაფლავეში“ — ქალი მხურვალედ დასტირის ვაჟის საფლავს, ყვავილებად ამოდიან მისი ცრემლები და თვითონაც მოწყენილი გვრიტივით ზის ძვირფას სამარესთან. ასე გადის წელი...

სიცოცხლე კი, ეს დალოცვილი სიცოცხლე თავისის წესით მიდის. მზე ეძახის ქალწულს, სიყვარულის წადილი გაიკვირტება მის სულში და სინათლის ჩანჩქერი გაიტაცებს ამ მგლოვიარე მშვენიერებასაც.

ეს ერთი წელიც გავიდა.
იცვლება დრო და ჟამია:
გოგოს სწადიან, იპოვნოს
პირველის მსგავსი გვამია.

რატომ ხდება ასე? რა არის ამ ყველაფრის ფესვი და მიზეზი? რა და ისევ სიცოცხლე, ცის ქვეშ გაშლილი კაცთა ცხოვრება, თავისის სიხარულით და მწუხარებით, ნათელითა და ბნელით. ეკლითა და ყვავილით. ბუნების საოცარი კანონზომიერება ურყევია, უცვლელი — დღე ღამემ უნდა ჩააქროს, ღამე კი დღემ შესცვალოს — სიხარული და მწუხარება ერთმანეთს ზურგს უკან უნდა იდგნენ და თეთრიც შავმა უნდა გვაცნობინოს, და სწორედ ამაშია წუთისოფლის მთელი სილამაზე, მისი სიბრძნე.

ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო,
სიცოცხლე შვენობს შენითა,
და შენც, სიკვდილო, ფასი გძე
სიცოცხლის ნაწყენობითა...
სიცოცხლე სიყვარულითა
და სიყვარული სიცოცხლით...

ეს ვაჟას კრედოა, მისი პოეზიის ლაიტმოტივი, მისი ურყევი ოპტიმიზმის საფუძველი. ამ შემთხვევაშიც დიდი ფშაველი ქართული მწერლობის საუკეთესო ტრადიციების გამგრძელებლად გვევლინება. გავიხსენოთ თუნდაც ალ. ჭავჭავაძე:

ამა სოფლისა დიდი და მცირე,
არს ცვალებისა მზირე...

ადამიანი წუთისოფლის შვილია და მის მაგნიტურ ველს ვერსად გაექცევა, ვერსად წაუვა. თუ ცოცხლობ, უნდა გიყვარდეს კიდეც და, თუ გიყვარს — ცოცხლობ. სიყვარული ფართო ცნებაა, იგი სამყაროს წრე-ბრუნვის ღერძია, სიცოცხლის ლიბოა.

ფაქტობრივად ასეთივე დასკვნა უზის ბოლოში გალაკტიონ ტაბიძის შედევრსაც, თუმცა პოეტს ვაჟასავით არ ჩამოუყალიბებია იგი ფილოსოფიური კატეგორიის სახით.

* *

ვაჟას პოეზია ცისკენ ხელებაყრილი ალსარებაა, ლაშარის სახატესთან დანთებული სანთელია, არწივის წამოფრენა, კლდოვანებს შეჭიდებული არაგვია და ეს წყალკეთილი ერის სარწყავზეა მიშვებული მისი მომაელის დასათავთავებლად და დასაპურებლად. რასმე ჩაჰბნელებია დიდ ფშაველს გული, რასმე უკვნესის ნისლივით აწეწილი ფიქრი. იქნებ თავის სიბეჩავეს ატირებს ლექსში, იქნებ ჩოხის გაცრეცილ კალთებს უფრიალებს ფშავის ნიავი. არა, კერძო და თავისი იშვიათად გაუბედავს ლუკას ლექსისთვის. ის კი არა, დიდ, საქვეყნო ტკივილსაც არ არქმევს სახელს, პირდაპირ არ იტყვის, ასე რამ აუმღვრია მელანი, რატომ უბრწყინავს სტრიქონი ნალესი ფრანგულივით და მისი სიმღერაც რატომ ჰგავს ხანდახან დატყვევებული ლომის ხავილს. ცისკენ აიყურება ვაჟა, იქით, მაღლა აბმულა მისი მზერა. იქნებ გაიპოს ჰაერი, იჭექოს არწივმა, დაბლა მეფურად დაეშვას და მკერდზე ნისკარტი დაჰკრას, რომ სისხლი ადინოს, თვალებიდან ცრემლები გადმოუწვიმოს, თორემ წუხილმა ლამის ცხელ თონეში ჩააკრას, ვარამმა შხამი აწოვოს და გოლგოთამ მაღლა აითრიოს. ვაი, რომ, ისეთიც არვინ ჩანს, ვისაც შეიძლება თავისი მწუხარება გაუზიაროს, ვისაც შეიძლება შეჰბრალდეს მარტოობისა და უგზოობის ეს მგზავრი. მოდი, არწივო, მოდი და მოყაშყაშდი, დაუკორტნე მკერდი ლუკას.

სადა ხარ, ჩემო არწივო,
გელზედ ნისკარტი დამკარა,
გულიდან სისხლი მადინე.
თვალიდამ — ცრემლი ანკარა!

ეს რა ცეცხლის ალს და გეჰენიის კვამლს აუტანია ვაჟა მაღლა, რა ტკივილი ეკლაკნება სულში? ძნელი არ არის ამის მიხვედრა, აშ

ტკივილს საქართველო ჰქვია, მონობის მძიმე უღლით ნაცვეთი ქედი რომ დააქვს და მომავალი ვერ უპოვია... ნეტავი იმას, ვისაც მამულის სიყვარული უძგერს გულად, ვისაც მოყვასისათვის თავდადების სურვილი აცოცხლებს, ვინც ქვეყნის ბედით დაწყლულებულა... განა ასეთის გული ოდესმე მოჰკვდება?... ფერფლადაც რომ იქცეს, იმ ფერფლში ნაღვერდალად და ნაპერწკალად ენთება კაცთმოყვარეობა, ჰუმანიზმი, სიკეთე:

მწამს, ფერფლნი კარგის გულისა
ქარმ რო გაფანტოს ხმელადა,
თითოში მაინც ენთება
ტიალ-სურვილი ცხელადა, —
ავის მჩაგრავად, კეთილის
მუდამ იქნება მცველადა.

ძნელია, ძმისავ, ძნელი დაღონებულის სამშობლოს ყურება, ძნელია, რიცა მზექალს ორივ ნაწნავი უტირის და ვერასა ჰშველი. უნდარის კი მამულს ასეთი შვილები? ნეტავ ან ულვაშს რისთვის აისხმენ, ან წუთისოფელს რისთვის ჰღლიან თავისი უმიზნო ყოფით? ეს ნასროლი ქვა ლუკას ფეხებთანაც ეცემა, არც თვითონ არის სახელის ღირსი, არა... ნახევარი ლუკა ბეჩაობამ შეჭამა, ნახევარი დარდმა და სული კი თავის ლექსებს ჩაჰბერა — სად რისა თქვა და სად კიდევ რისა, მაგრამ განა ამით რა უშველა ქვეყანას? განა აღარ უწევს ქართველს გველი ლიბოზე? განა აფთარი აღარ ჰხერეპს მის ცხელ სისხლს? ალბიტომ არ ებრალება თავი ლუკას. გინდაც არაგვმა წაიღოს, თითისტარივით დაბზრიალებულმა მორევმა ქვესკნელში ჩააქნიოს და ქვიშაში დამარხოს, იქიდან უყუროს, როგორ ხევს წყალს ორაგული, როგორ ეხლებიან ერთმანეთს ზვირთები და კლდეებს ხრავენ. ლურჯად მიუტანს დედას ურგები შვილის სიკვდილის ამბავს, იმის დანაბარებსაც იქ წაიღებს, რომ ძრიალ არ დაღონდეს, ცრემლად არ ჩამოდნეს. არა ღირს ამდენ ტკივილად ქვეყნის ურგები შვილი, არა, ერთი სანთელი თუ გაუძღვა შავეთის გზაზე, ისიც დიდი და ბევრია:

უთხროდი, შენთვის, დედაო,
მა-ნც ხომ ვიყავ ურგები,
არ დამიღონდეს, ვენაცვლე, —
ცრემლი არ ღვაროს მწარია;
ერთი სანთელი დამინთოს, —
ისიც არაში არია,
ჩემფერა შავ-ბნელ შვილზედა;
განაღამც გლოვა-ზარია.

სამწუხაროდ, ბევრი ჰყავდა საქართველოს ასეთი ურგები შვილი — მარტო საკუთარი ჯაბის გალოკვისთვის გაჩენილი, ფაქრით შუბლაუტკივებელი, ცხვირწინ ყურებით დაელმებული და შორსგაუხედავი... იცოცხლებდნენ საწუთისოფლო სიცოცხლით, გაცვეთდნენ ორ-სამ ბალიშს, ფაშვების დაცლა-ავსებით ჩუმად მიჩანჩალებდნენ სიცოცხლის სამანთან და ჩუმათვე წაიყრიდნენ მიწას, თითქოს არც აქ მოსულან და არც იქ წასულან.

ქართული სულის გალუარსაბება კარგს ვერაფერს მოუტანდა საქართველოს და ამიტომ უქუხს ვაჟასაც სტრიქონი.

ღარიბი წუთისოფელი აქვს ფშაველს. აბა, რას მისცემენ ეს ტანშიშველა კლდეები, გაუტეხავი ტყეები და მაღლა აყრილი მთები, მაგრამ ღმერთმა ნუ აცოცხლოს ყველა ამის გარეთ და ნურც მისი საფლავ-სადგომი გაიჭრას სხვისა მიწაზე. მკვდრის სიხარული თუ ითქმის, მაშინ, წინაპართა საძვალეში ჩაფარებული, ისიც გაიხარებს და ტკბილად დაიღამებს გამწარებულს სიცოცხლეს:

ჩემს მამა-პაპათ გვერდითა
სამარე გამითხარეთა;
სიცოცხლით ჩამწარებულ
მკვდარ მაინც გამახარეთა.

იამებს მშობლიურ მიწას ბედნიერაი — დიყელის გორი ჩამოუჯდება თავთით, ინოს ჭიუხიანი მთაც ნისლის თეთრ საბანს წააფარებს იმის საფლავს, შალდაყიანი ხევების ხივილი გააღვიძებს ყოველ დილით. ასეთ სიკვდილს კი სიკვდილიც არ ეთქმის. ან რა მოჰკლავს, როცა შავეთში კლაპრად თვალშავას ორი მსხვილი ნაწნავი ექნება. არც უთვისტომო დაარქვას ვინმე ენალაქარდიანმა — ციხე-გორს შეყრილი ფშაველები იმასაც მოიგონებენ. არც მის ნაფუძარს გააციებენ და ასე „იცოცხლებს მკვდარია". ასეა ვაჟას პოეზია, ვერ ურიგდება სიკვდილს. საფლავშიც სიცოცხლის ჟრიამული უნდა ედგეს ამ ქვეყნიდან ადამიანად წასულს, ვისაც პატიოსნად უვლია მზისქვეშეთში და თავისი ვალი საუღლე ხარივით მოუხდია ქვეყნის წინაშე. კარგია, როცა ასეთნი ჰყვანან სიცოცხლეს. აი, მაშინ დასტრიალებენ ხოლმე თავს ლუკას იმედის ციცინათელები და ისეთ ნათელში ჰხვევენ, თითქოს საშოთხის კარი თვითონ თამარ მეფეს გაეღოს. ის კი სწამს ვაჟას, რომ თეთრი ზამთარი ჩაქრება და გაზაფხული მოვა. გულცივი ქვეყანა გათბება, ყინვა აიხვეტება და ისიც გულში ჩაკეტილ სიმღერას ააყოლებს გაზაფხულის წვიმის სიმთა ჟღერას. ცაში ერთმანეთს გაებმებიან წეროები, მერცხალი გასხეპს ჰაერს. ბექ-ბუქზე ჩამოსხდებიან ლამაზი ქალანი — ყვავილ-ყოილნი კაბა-ქობის ნაოჭთა და და-

ლალ-კავების სწორებით. ბექურში ჟუჟუნა წვიმით პირდაბანილი ია გაიღიმებს და აშვებული არაგვიც დევებთან მებრძოლ კოპალას დაემგვანება, კლდეებს მილეწ-მოლეწავს, „კართანას ფარს წაართმევს“, ჟინვანს „ჩაჩქანს მოჰგლეჯს“ და, ავად აყვირებული, მტკვარს „ჯაბანს გაადენს“. მზარ-მკლავს უმშვენებს, ტიალს, ხელთ ნაჭერი ამირანის ლახტი, ზედ დევთა სისხლი რომ სცხია და მათი მყრალი ბალნის სუნი დასდის. დაბლა კი სხვა სანახავი შეჰყრია თვალს — თავაღებული კანჯარი „მიცურავს“ მუხრანის ველზე, „მთას თოვლი დაულევია“ და „დამთვრალა, სატიალეი“. იქ, ზემოთ, ორწყალში, თათრის ჯარს შეჰყრია. მოდიოდნენ თურმე მურდლად ნადგამი ნაბიჯით, მოჰხვრეპდნენ არაგვს. ცქერაც წინ გაწვდილ შუბებს უგავდათ ტივლებს, მაგრამ ის ჯაჭვბეგთარი ტანზე ჩამოადნათ ურჯულოებს — ბასრი გორდაის ნაცემი ზედ წყლულებად დარჩათ და ცეცხლში შეყრილი ჩალასავით დაილივნენ. აბა, მყრალსა და მურდალს არაგვი რა კეთილს შეჰყრიდა? ეს ვეფხვი ვეფხვის ნაშობი, ვაჟას სულის ორეულია. მოსწონს ლუკას მისი მოუთმენელი ტევება, ტორთა ცემა, ხმის ბოხი და ტალღათა აყვირება.

ასეთია ვაჟას გაზაფხული, საოცარი ხილვებით სავსე, რეალურისა და მითიურის პოეტურ ნაზავით წარმოდგენილი სიმბოლური სურათი, რომელშიც წარსული, აწმყო და მომავალი ერთმანეთის გვერდით სხვედან და ერთი საფიქრალით უხურთ შუბლი. არაგვი, ხელთ რომ ამირანის ლახტი უპყრია და მუხრანის ველზე „აცურებული“ კანჯარი ის სახე-სიმბოლოებია, რომლებიც ვაჟას პოეტური ხილვით სამშობლოს მომავლისთვის მებრძოლ თავდადებულ გმირს წარმოგვიდგენენ. სწორედ ეს ზოგადობა, ეს სისავსე და დაუკონკრეტებულობა მიგვანიშნებს იმაზე, რომ პოეტი ლაპარაკობს ერის უკვდავ, მებრძოლ სულზე, იმ ძალისხმევაზე, რამაც ბევრჯერ გადაარჩინა სიცოცხლისთვის მებრძოლი ქართველი ხალხი.

არა, უსიმღერო სიცოცხლე ვაჟასთვის უმზეო დღეა, უთოვლო მყინვარია. აბა, სხვა რა ძალა ჩამოსწმენდს გულის ჟანგს, სხვა რით მოიხდის მოსახდელ ვალს ქვეყნისა და ხალხის წინაშე?

ნეტარ რატუ არ ვიმღერი,
სტვირთან რა მაქვის საწყრომი,
რატომ არა ვსწმენდ გულს ჟანგსა,
არ ვიტყვი, რაც მაქვ საოქომი?

მართალია, ზოგნი ისევ ლუკას ლექსის ლანძღვით ხედებიან მზის ამოსვლას, მაგრამ ამით მის ფანდურს სიმი არ ჩასწყვეტია — ქვეყნის წინაშე ვალს ისე იხდის, როგორც განგებას უბრძანებია. მომავალმა

კი განსაჯოს, სად გუბე ყარდა და სად წმირდა წყალი დიოდა. ნუთუ მისი ლექსი ერთ ქართველს მაინც არ ჩააკიდებინებს თავს, თვალებს არ მოუწყლიანებს? ლუკამ არც სხვა სიცოცხლე იცის და არც სხვა სიკვდილი. უსიმღერლოდ შავეთშიც ვერ გაიკვლევს გზასა. დიდი სიცოცხლის, მზისა და მთვარის მადლი იქაც უნდა ჩაჰყვეს და ის დიდი სიბნელე გაუთეთროს, იქაც მიუვლენ ლუკას შავგვრემანი კლდეები, ძველკაბიანი იებიც ჩამოკამკამდებიან მძივად ასხმული ცრემლებით. იქ, მაღალ მთებში, ნაზარდი ბულულაც მიუვა ყველასგან დავიწყებულს და მისი „მკვახე იერი", მისი გოროზი სილამაზე დააბრუნებს ვაჟას მწვანე წუთისოფელში, რათა კიდევ ერთხელ იგრძნოს სიცოცხლის ნეტარება, ბალახის სიბრძნე, მოუსმინოს ჩადუნას ნაამბობ ზღაპარს, ობოლი შვლის ნუკრის ჩივილს, ჩიტ-ჩიორას ლოცვას, თვალი გაავლოს ტატნობში მავალ არწივთა შხუილს, ცას რომ სიმაღლეს უწუნებენ, ფრთებქვეშ ქარი რომ უწუით და ბარის თავქვეებს ჩაჰყურებენ. ამ ლექსში ვაჟამ დაუფარავად ამოთქვა თავისი, როგორც პოეტის, კრედო — თუ კალამი ერის სიხარულის მაჭარში და მწუხარების კუპრში არა გაქვს ამოწებული, მაშინ პოეტი კი არა, ბოგანო ხარ, უხმო, უსიმო, უენო და ლაშარის ჯვარში ულოცავი. თუ პოეტი ხარ, შენმა კალამმა ავი და კარგი განაწვალოს, გააცალკევოს, თორემ წაიღო ქვეყანა ფლიდობამ, ღალატმა, ყვითელმა შურმა. გესლი დუღს და ადამიანი ადამიანს აღარ ჰგავს, სანამ სიკვდილი არ გაიგდებს წინ შავეთის გრძელ გზაზე, რომელსაც წუთისოფლის მწვანე თვალი ვერ ჩასწვდება, სადაც არც ჯიხვების ხორონი გრიალებენ, არც ღრუბლები დაიზლაზნებიან და არც მზის სხივი იმცურევა ჭიუხებზე. ამ ქვეყნად სამტროდ დალესილები იქ გვერდიგვერდ წვანან ბნელს მიწაში — არცა შური, არცა ზაკვა, არცა ღალატი და ლაქარდიანი ენა. სუფევენ ასე, მშვიდად, უჩუმრად, ერთმანეთის ჩუმის ლოცვით, ერთმანეთის შებრალებით. რად უნდა სჯობდეს საიქიო სამზეოს, რატომ ვერ შეირგებენ ადამიანები სიცოცხლის ნექტარს, რატომ არ ჰგვანან ცით მოსულ წვიმას, რად არ უწამლებენ ერთურთის ტკიეილს?

ღმერთიმც უშველიმ ცოცხალსა,
ჭალსა თუ ვაჟსა — ყველასა,
ვინაც ძმის სამოღალატოდ
არ გასძრავს ხელს და ენასა...

რა არის მკვდართა ნუგეში? ცოცხალთა სიკეთე, ერთმანეთის გატანა, სამშობლოზე ფიქრით დასერილი შუბლი და საქმიანი მარჯვენა. თუ კაცი გქვიან და თავს ნამუსის ქუდი გითბობს, მარჯვენით შენი სახნავი გქონდეს, მარცხენით კი იმათიც აკეთე, ვინც სიკვდილმა

წაიყვანა და ველარ მოასწრო თავისი მიზნის დათავთავება. თორემ რაიცა საწყლებს, წაუბურავსთ შავის მიწის კალთა, სძინავთ მკვდართა უსიზმრო ძილით და მხოლოდ მამულზე ფიქრი აფენიათ ეკლად გაყინულ გულებზედ. მამულ-დედული საქართველოს მომავალი შველას ითხოვს.., კაცის კაცობაც იმაშია, მამულს რა უთესე, რა მოუმკე და გაულეწე, თორემ ცარიელი სიტყვა გულის ნაჭდევს ვერას უწამლებს.

ღარიბია ვაჟა, ღარიბი და უქონელი, მაგრამ სხვა განა ბევრი თქმულა მდიდარი მგოსანი, რომ ის იყოს? ან კი ვინ ახსენა მისი სიბეჩავე, ჯის გაექცა ენა? ღარიბები თქვენა ხართ, ოქროთი რომ იპოხებით, წუთისოფელი რომ დუმად გიქცევიათ და ისე ჩახვალთ ხოლმე საძარეში, ზემოთ არც სახელსა სტოვებთ, არც კეთილშობილს რასმე აზრსა. მაშ რისთვის აკერიხართ დედამიწას ტყლაპად, რისთვის ზელთ მიწასა და აქ მოუსვლელები უკანვე მისდიხართ?

დაიმახსოვრეთ მაინც, ცოდვის შვილებო:

ყველას სამარე მოგველის.
ვინც დედის მუცლით შობილა.

თქვენ რა იცით პოეტის სიმდიდრისა, საუფლისწულოდ ლექსი რომ აქვს, სალხენად სიმღერა და სატირლად — ადამიანთა ცოდვა? ერთი მაშინ ნახეთ ლუკაი, როცა სიმღერა საკინძეს ააგლეჯს პერანგიდან, როცა ღვთიურს რასმე ნათელს ჩაიგუბებს ხოლმე ხმაში, როცა არწივივით დაჰკრავს ხოლმე თვალს სამყაროს უსაზღვროებას:

მთლად მე მეკუთვნის ქვეყანა:
მთაში — მთა, ბარად — ბარია,
ზღვა და ხმელეთი ერთიან,
ცას — ვარსკვლავების ჯარია,
დილით მზე მანათობელი,
ღამის გუშაგი მთვარია...

პოეტი ღმერთია, ღვთის ტოლი და სწორი. მისი ფიქრი მაღლა დასცურავს, მისი აზრი ღრმად ხნავს და მთელი სამყარო ეტევა მის ამოთქმულ სიტყვაში. მის შუბლზეა ნალეწი ქვეყნის ჭირ-ვარამი, მისი სულის შებერვაზე იშლება ხოლმე ვარდი და მისი ლექსის დვრინზე გაშლის ხოლმე ხელებს თალხკაბიანი ია, მთის პირიმზე. აბა, ყური უგდეთ — მთებიდან დაძრული ზვავების პატრონიც ის არის და დილის ბრჭყვიალა ცვრისაც, გაზაფხულის წვიმებიც მას ჩამოუბამს ციდან მიწაზე ჩანგურის სიმებად. ცოდვილიანნო, სადუკეველნო და ფარისეველნო, იქნება სამოთხის კარი გაღაუკეტოთ ლუკას, მაგრამ ის ჯოჯოხეთიც, თქვენ რომ გაშინებთ, პოეტის ლამაზი სულის ნა-

თელიო გაჩახჩახდება. ყველაფერი თქვენი იყოს, ყველაფერი, რაც სამყაროს გარეთ დარჩება, ცა და ქვეყანა კი ლუკასია, იმისი სიმღერისაა. თვითონაც ნაიალაღარ ხარს ჰგავს, რქით მიწას რომ ჩხვერს და თავისას ბუბუნებს. რა უნდა, მეტი სანატრელი რა უნდა ჰქონდეს ბედნიერს? ღმერთმა მარტო ის ქნას, რომ სამშობლო უცოცხლოს, საწყლის საწყლობა გამოულიოს. ფუტკარივით იჩუჩუნოს, იბზუილოს თაფლისა და სანთელისთვის, იკოწიწოს, იგოჟიროს. იქნება ამით ღარიბთა შიმშილს პური აჭამოს, იმათი დარდი შუბლზე წაიწეროს და ნუგეში რომ მისცეს, ავი და ბნელი კი ღმერთმა აშოროს ლუკას — ან თუ სალამი დაუგვიანოს ვინმეს, ანთუ სხვისა კარგი ვერ დაინახოს, სხვისა სიკეთით გული არ გაიხაროს... ცოტა აქვს, ცოტას დასჯერდება, ბევრი ექნება, — იმ ბევრიდან ცოტა — მისი და მეტი — სხვისა, ღარიბისა, ობლისა, უპატრონოსი, ღვთისაგან დავიწყებულისა...

ცოტა მაქვს. ცოტას ვჯერდები,
ბეჩავთაც გავეზიარებ,
სიკეთისათვის სიკეთეს
არასდა დავუგვიანებ
ავის თქმით, ავის ქცევითა
ვინას არვის დავეზიანებ.

სტკივა ლუკას, გული სტკივა, სული ეჭინჭრება, როცა „საწყლის საწყლობა“ ესმის, მაგრამ ტიალო, ტიალო სიმღერავ! მოხვალ ხოლმე უკითხავად, ანდედ, შეუღებ, შეუჭრიალებ ქობის კარს კერასთან მიმჯდარსა და ჩამოაღებინებ კედლიდან ფანდურს, აუკვნესებ სულს, აანაჟებ და აადუღებ.

საწყალთ საწყლობა რო მესმის.
იმათ მაგიერად ვწუწუნებ;
ხანდახან ქინი ამიღებს,
სიმღერას დავაგუგუნებ..

რა ბედენაა, ხორცი ცოცხალი ლეშია და მეტი არაფერი, მიწის პურია, მიწის საჭმელ-სასმელი. სული უნდა მაღლობდეს, ის უნდა ანათებდეს ამ ბნელს ქობსა. სული თუ ამაღლდა, აცისკრდა, ხორცი თუნდაც დამჭლევდეს, დამდაბლდეს. მერე რა მოხდა, მერე რა დაშავდა? სულის შინაგანი თრთოლვა კელავაც გაცოცხლებს, გადღეგრძელებს.

აბა, იმედის დაკარგვა რა ნატვრისთვალს უპოვის საქართველოს, რა წყლულს შეუკრავს? ის კი არა, ყველა ქართველი კლდედ უნდა იდგეს, ელვად შხუოდეს და ამოღებულ ხმალს ქარქაში მოანატროს. ხომ გესმით, რას ჩამორეკს და ჩამოიგალობებს ხოლმე ზეცა — „ბო-

ლო კარგია“ — ჩამოგვძახის უფალი და იგი ხმა ჟრუანტელად გვიზის ტანში, იგი ხმა უნდა გვიმტკიცებდეს სულსა, ოცნებას გვიფრთიანებდეს, ალმაფრენით გვამაღლებდეს. „დრონი მეფობენ“ და ძველების ეს ნათქვამი გამომცხვარის იმედით არის სავსე. მერე რა, რომ დღეს ქვის სეტყვა ცვივა და ცივი ცრემლი წვიმს. მოვა დრო, გადმოიხედავს თავისი ბროლის კოშკიდან მზე, რომ დედობრივი შუქი და სითბო მოჰფინოს სამყაროს:

დრონი მეფობენ — ძველთ ნათქვამია,
და მეც მრწამს ესა, რომ ასე არი
ჯერ აედარია, ქვის სეტყვა მოდის,
მაგრამ, ვიმედობ, ადგება ჭარი,
დაანიავებს შავთა ღრუბელთა,
მომზიანდება, დადგება დარი
და გაიღება, ერთხელაც იქნებ,
ბეჩავთათვისაც სამოთხის კარი...

კითხულობ ვაჟას ამ სტრიქონებს და გესმის ალ. ჭავჭავაძის გაღმოძახილი მე-19 საუკუნის გადმოსახედიდან:

კაცთ უბედობა, თუმცა სატირე,
გარნა რად განსაკვირე?.
ამა სოფლისა დიდი და მცირე
არს ცვალებისა მზირე...

იცის ვაჟამ და ნეტავ სხვათაც აცოდნინა, რომ, სანამ ქართველობა უთანხმოების ვაშლივით არის გახლეჩილი, მანამდე სანთელ-კელაპტარს საბძელში ანთებენ და არა ღვთის სახლსა და ტაძარში, მანამდე ისე არა გამოვა რა, როგორც ციკანი არას მოიწველის და ცეცხლი არას მოისხამს, მხოლოდ ნაცრად დაიპნევის ძირსა. წინმავლობაშია ხსნის იმედი. მომავლისკენ უნდა მიცურავდეს ქვეყნის ბედის გემი და, დაე, იალქნები ქარიშხალმა უღეჭოს, დაე, ზვირთებმა სცემონ და ამტვრიონ. თორემ განა უქმად გდება მყრალი სიცოცხლე არ არის? ისმინეთ ყველამ, ისმინეთ, ვაჟას ძახილი ლიხის მთაზე აქეთ-იქით გადაჰკიდეთ. ლამაზი სიტყვებით ჯერ არა აშენებულა რა, არც არწივი აუყეფებია და არც ვეფხისთვის ულესავს ბრჭყალ-ტოტი. საქმე მთავარი, სადაგი საკეთებელი, მკლავის გარჯა. ამაშია აზრის სიდარბაისლე და სიცოცხლის სიხარული.

არა მოგვცა რა ლამაზის
სიტყვებით ამაყობამა,
აღარ აყეფდა არწივი,
ვეფხვი არ იბრძვის ტოტითა.
ერთხელ საქმეზეც ვიფიქროთ,
დ[illegible] მოდეთა!

მაინც რა უშლის ხელს ამ წინამავლობას, სულის შორს გაჭრას? რა და ის ძველი სენი, ქართველს რომ ჩოხის კალთაში ხელჩავლებული ფეხდაფეხ დაჰყვება — შური და უთანხმოება. ის, რომ თვალს თვალისა არ ესმის, წარბს — წარბისა, წამწამს — წამწამისა:

ერთნი ალთაში გავრბიყართ,
სხვანი წავედით ბალთასა,
ძმანი ერთმანეთს მიეურბით,
სხვა ვინ დაგვაგლეჯს კალთასა?!.

თითქოს დღეს წერდეს ამ სიტყვებს ვაჟა, თითქოს დღევანდელი საქართველოს გასაჭირი ეხატოს მკერდზე და ლექსით დასტიროდეს განზე გაწევ-გამოწევას. დიდო საქართველოვ, გონიერო საქართველოვ, ისმინე, ისმინე, ისმინე:

ვინა სთქვა: ერთობა გვაწყენს.
გვარგარა სხვადასხვაობა.
ბევრსა სტყუიან ძველებიც.
სტყუის ახალი თაობა.

ჰყავს. როგორ არა ჰყავს ქვეყანას მასზე ფიქრით თავჩაკიდული გმირები, მაგრამ უვარგის-უმაქნისებიც ლოდივითა ჰყუდიან. ეს ბოლონი არიან მძინარე ფითრები, გარყვნილი გოშიები, თავისი წკავწკავით რომ პოულობენ ლუკმა-პურსა და ზურგზე ხელის გადასმას. რა არის მათთვის საქართველო? წყალსაც წაუღია, ვულკანსაც დაუმარხავს, ღვთისმშობელიმც გასწყრომია, ოღონდ მათ აყირავებულ ფაშვებს არა მოაკლდეთ რა, ოღონდ მათ სიმაძღრეს არ მოშივდეს.

ბედშავო წარსულო, განა შენ კი სხვაგვარად იყავ — მაშ რა არის „ქართლის ცხოვრება“ თუ არა ერემ-სერემის ბრძოლა? იმდენი უქნივეს ერთმანეთს ლახტი და ელვა, იმდენი ჰკბინეს და ჰქოჩრეს, ლამის თავს წამომდგარმა მიოლამ ეს „პირდაღადრული გმირები“ თეირანს არ ჩალალა წინადასაცვეთად და დასასაჭურისებლად.

ასეა და ასე ყოფილა — უსამშობლოდ სოფელი მოჩვენებაა, სიზმარია, ზმანებაა, მოკლე სტვირია, შენს სიცოცხლეს რომ ჩამოიმღერებს და გაჩუმდება. უკვდავი სამშობლოთი ხარ, უბედურიც სამშობლოთი ხარ და ბედნიერიც. აი, ასეთის ვაჟკაცის მკერდს ეხლება ხილმე ქვეყნის აბობოქრებული ჭირი — ასეთი გმირი მოუტანს ხილმე მამულს ბედნიერებას. „მე მომკალი, მე შემიწირე“, შესძახის ბნელს სიკვდილს. ბედნიერაი, ბედნიერაი იმით, რომ აზრისთვის, სიმართლისთვის კვდება, ბედნიერაი, რომ დედის ძუძუ და რძე ალალად შერგებია და დედისაე ნანას აუმღერებია მთელი მისი დიდი სიცოცხლე. ბედნიერაი...

ვის ეკუთვნის ვაჟას ქებათა-ქება? რა თქმა უნდა, იმათ, ვისაც წარბზე უკიდია სამშობლოს გასაჭირი, ვინც ერის ერთობას ჰკრავს თავისი ხმითა თუ წმინდა ცხოვრებით. ვაი რომ, ხშირად არ ესმის ქვეყანას იმათი. საქართველოს წარსული ერემ-სერემის ბრძოლას ჰგავს — ეს ორივ ძმა ერთშანეთის დაეტევა, ერთურთს თავზე კლდე დააფშვნეს, სახრე დაამტვრიეს და, დაღლილებს, ისე წამოადგათ მელა, წამწამების დახამხამებაც ვერ მოასწრეს. ახლა სად არიანო, იკითხავთ, თეირანს არიან, ბეჩავნი, თეირანს, სამაჰმადიანოში.

კარგები როგორ არა გვყოლია. წინათაც, და ეხლაც. ჩასტირიან თავიანთ მუხლებს, ქვეყნის დავრდომის მიზეზს ჩხრეკენ, სად დავეცით და სად უნდა შამოვდგეთ. ასეა წუთისოფელი—ეს ლამაზი კუზიანი, ასეა და ასე ყოფილა. იმდენ საზრუნავს გაუჩენს ხოლმე ადამიანს, მოსვენებას დაუკარგავს, ზღვას ახვნევინებს და აფარცხვინებს, თავზე ჰქონა-ქუხილს ჩამოამტვრევს, დააკნინებს, დაამდაბლებს, მხოლოდ ლუკმა-პურისას გიხდის, თავის შარვალ-ხალათს იქით რომ არაფერი ეკითხება, ბეჩავია ასეთი, ბეჩავი, უსულო და უსუნთქველი, დაჰკარგვია საწყალს ციურის გულის სამკაული, რასაც კაცნი ჰუმანურობას, მოყვასის სიყვარულს, ქვეყნისთვის თავდადებას ვეძახით ადამიდან ევამდე და ევადან ჩვენამდე. არც რას ამოიძახებს, არც რას დაიქვითინებს ქვეყნის ჭირზე, არც დღე არის, არც ღამე, არც წყალი, არც ცეცხლი, ცარიელი, სოფლად დაბრუნებული ნახირის კუდს გამობმული მენახირის გუდასავით გამობერტყილი, და სულჩამხმარი. ბეჩავ, სამშობლოვ, ღმერთმა დაგილიოს ასეთნი და ისეთნი მოგცეს, ხელში რომ ხმლის ვადა ჩაუდნება ხოლმე, ბრძოლაში პიროფლიანი, არაგვივით მოუსვენარი და მზესავით დაუხარჯველი:

დიდებულს იმას ვეძახი
ვინც ანგარიშის გარეთა
ქვეყნის ჭირსა და ვარამზე
დაიქვითინებს მწარედა.

მტერი როგორმე უნდა ამოვაგდოთ ჩვენი მიწიდან ძირფოჩიანად. ძნელია მათი ცხოვრება, ძნელი. ადვილი კი იმათია, ვინც დილიდან საღამომდე საკუთარ კუჭს ჩასცქერის, თავის სიმსუქნეს ჰყარაულობს და ლეშს განცხრომით აცხოვრებს. ოი, რა საძაგლები არიან ეს გარყვნილი გოშიები — ერთ გროშზე გაჰყიდიან ხალხსაც, სამშობლოსაც და იმის წყალჭალასაც. აი, ასეთები გვიღობავენ წინ სავალ გზას. ამიტომ არის, რომ ერიც ერთ ადგილას იტკეპნება. ხან უკან მიდის, ხან წინ გაექცევა ნაბიჯი. ჩვენი ყოფნა დანღრეულ გემზე სხდომას ჰგავს, მაგრამ მაინც წინმავლობა სჯობს. დაე, იღრიალოს ქარიშხალ-

ბა, ტალღებმა იქუხონ, იბობოქრონ, ცაში აგვისროლონ და ისევ ზღვაზე დაგვსვან, მაგრამ ასეთი გემა მაინც ბევრად სჯობს ტახტზე ზურგის ცეთას.

საქმეს გადავეჩვიეთ, დარბაისელნო, საქმეს. იცოცხლე, ლამაზის სიტყვებით კი გვიყვავის ტუჩ-პირი, მაგრამ განა ამით ან რაიმე მოიმკის და ან დაიფქვის? ერთნი ალთას ვეწევით, მეორენი ბალთასკენ ვიწელებით, ძმობა დავკარგეთ, დედმამისშვილობა და, აბა, ვიღას რად ვუნდივართ, ვინღა გვიძმობს და გვიმეგობრებს? ჩვენს ჭირს ვინ ამოისხამს ქალამნად? ისევ, შენა, ღუთისმშობელო, ისევ შენ გადმოგეაფარე მფარველი კალთა, თორემ გაგვიციებდა სისხლი, აგვემღვრა წუთისოფელი. წარსული ხომ გადაშლილი წიგნია, აწმყო კი მისი შეგირდი, მაშ, რატომ თავჩახრით არ ვკითხულობთ „იმა ქითაბსა“? რატომღა იმეორებს ნელდი თაობა წარსულის, ბებერთა და ხმელთა შეცდომებს?

ამ ქვეყნად რომ მოხვედ, ნაბიჯი დაიგრძელე და მთა-ველად დასდიხარ, არა ჰკითხავ ხოლმე შენ თავს, ქვეყნისთვის რა მოგიტანია, სად კაჭკაჭი გითიბავს და სად ვარდი დაგინთია? იმაზე ძნელი არა არის რა, როცა სიცოცხლე ამაოდ მიდის, ცუდად მიიღვრება ხევის წყალივით. რა ფასი აქვს ასეთ სიცოცხლეს ან მის ბოლოზე მშიერი მგელივით დაყუნტულ სიკვდილს? უსაგნოდ, უმიზნოდ ყოფნა არყოფნაზე მეტი არ არის? რისთვისღა მივალთ საიქიოს, რა პირით გამოვუჩნდებით ჩვენ სახელოვან წინაპრებს, რას ვეტყვით, რით მოვიწონებთ თავსა?

რით ვანუგეშო სამშობლოს მცველნი?
ნუთუ ის ვეუბნა: ძღეელ ვიქმენით,
საქართველოზე ხარობენ მტერნი?!
ვაი, რა ცუდ დროს ჯანღი დაგვეცა.
ვაი, რა ცუდ დროს გაგვრტყდა გემი:
ვაი, რა ფუჭად გული ვაძგერე.
უცვალოდ რჩება ნავალი ჩემი!

ამ ლექსს, რომლის ნაწყვეტი აქ მოვიტანეთ, „ბედის მომლოდინე“ ჰქვია. მრავლისმეტყველი სათაურია განწყობილებით, გრძნობით, იდეით. ნაწარმოები ნ. ბარათაშვილის „მერანის“ სრული ანტიპოდია, თუმცა კი შინაგანი მუხტი მაინც ისეთი აქვს, რომელიც მკითხველის არსებულისადმი პროტესტის გრძნობით აავსებს, ფეხზე წამოაგდებს და ვულკანივით აანთებს.

ბევრჯერ გაჩენია ასეთი განწყობილება ვაჟას და, როცა ეს დიდი ღარდი მხრებზე დააწვებოდა ხოლმე, მაშინ აღარც თავისი სიღარიბე ახსოვდა, აღარც ულუკმაპურობა — მთები იყო მისი სულის სავანე.

მათ სიმაღლეს შეეხიზნებოდა ხოლმე მძიმე წუთებში. იცოდა, ღალატითა და ორპირობით სავსე ქვეყანაში მხოლოდ ისინი ედგებოდნენ გვერდით ერთგულ ძმებად. ისინიც — ტიელები, თითქოს გამოჰქცევიან კაცთა წვრილმანს, ცხოვრების ჭუჭყს, მიეთ-მოეთს, ერთ უღელში შეუბმელ სიტყვას და საქმეს. იმათ, ვინც საზოგადოება კი არა, „კაცთა გროვაა“, მეტყველი ნახირია, სანამ ეს მთები ჰყვანან, სანამ მათ სიმაღლეს ასცქერის, ბარის ლექი ვერ მიედება ვაჟას სულს — ისევ იმედიანი, ისევ ომახიანი ლექსებით იქუხებს...

რა ვუკიჟინო კაცთ გროვას,
რა ვეკიჟინო ჰკვიანად?
ბევრი პირს გულსა თქვენეულს
კაცთ სიბრიყვისგან ზიანად!...

იცოცხლეთ, მთებო, იცოცხლეთ, ნურც ჰყოფნიდეს თქვენს სიმაღლეს ცის სიღრმე...

ხან თუ ნისლები მეწვევა,
გულს შამიბურავს შავადა,
ენუკვ თავის გაჩენის დღესა,
გუნებითა ვარ ავადა.
თქვენ რომ თვალს მოგკრაეთ, მაშინვე
მოვრჩები თავისთავადა...

რა არის ურწმუნოდ ადამიანი? — არაფერი, ხორცის გრილი გუნდაა. თუ იმედიანს რასმე ვერ იტყვი, ჩახმი, სულო, ჩახმი, თუ მარტო კვნესისთვის გაჩუნილხარ.

როგორია დღევანდელი საქართველო?

ეს კითხვა კოფოზე უზის ვაჟას იმ საძნე ურემივით დატვირთულ ლექსს, რომლისთვისაც პოეტს სარკასტული სათაური „პროეინციის ქებათა-ქება“ დაურქმევია. რაღა დასამალია ან ვისღა დავუმალოთ, რომ ქართველობა, თავის თავს დაჰკარგვია, ღვინის ჯამში-ღა ეძებს წარსულის დიდებას. დასთვრება ხოლმე ქართველი და, ნუნუათი შუბლანთებული, გასწელავს „მრავალჟამიერს“ — ბედნიერაი, ბედნიერაი, ვითომ რატომ არ უნდა იმღეროს, და მზარ-მკლავი ათამაშოს. ჭითამ რა უჭირს? მერე რა, რომ სხვა მშიერია, ჯამიდან ლუკმა ამოხტომია, თვითონ ხომ მაძღარია. გულის კოვზთანაც მსუყე რამ ბოყინი ადგას და მეტი რაღა უნდა დღევანდელ კარგ ქართველსა? აბა, ფხიზელს რა ცხოვრება ჰქონდა, რა მოუტანა წარსულის მოგონებამ, მუშტებით მკერდის ნგრევამ, კბილების ღრჭენამ? — წავიდა, დაიკარგა ძველი, თავისუფალი საქართველო წავიდა და აღარ მოჰბრუნდება. ან მწერლები რიღას მაქნისია ახლა? დამსხდარან ქარ-

თველი მესიტყვენი, აფხაჭუნებენ კალმებს, ჟურნალ-გაზეთებიც გვივის ამ ჩვენს გალანძღულ ქართულზე, მაგრამ მკითხველი ვინა ჰყავს ამ ნაწერ-ნაფიქრს? არავინ. თუ ვინმე განათლებული გვამია, რუსეთიდან იწერს თვალისა და გონების გასართობს, ეგღა აკლიათ, პროვინციულობა ვინმემ დასწამოს ქართული გაზეთების კითხვისა გამო. ისიც იკმარონ, რომ იწერს, „სეკრეტარზე“ ულაგია მტვრიან დასტებად. დაიკარგა „პრინციპი“, ცხოვრების აზრი, ჩაკვდა ერის სული. აგერა, ხევსურები ნიაღვარივით მოიღვრებიან მთიდან დაცურებულს ბილიკებზე. მოდიან კი ვაჟანი, მაგრამ არსად მზე ჩაჩქანებს უკოცნით, არსად ნიავი ულოკავთ ჯაჭვის პერანგებს, არც გველისპირულები უჩანთ და არც ბედაურების ნაბრავი დოგმები, სამაგიეროდ ჯორუკები მოამძიევებენ ნაბიჯებს, ზედაც „წურვილით“ — ოქროსფერი ერბოთი სავსე გუდები ჰკიდიათ, რომ „ორწყალთან“ ობობასავით გაბმულს მედუქნეს მიართვან. აი, დღევანდელი საქართველო, საცოდავი, დაბალი, ღარიბი, დავიწყებული. არვინ კმაყოფილი, არვინ ბედნიერი და მაინც გათენდება, მაინც ამოვა მზე-ჯიღოსანი, ჩვენი, ქართული მზე... ამოვა...

*

ვაჟასთვის გიორგი სააკაძე მხოლოდ ბედისაგან შერისხული ამბოკარი არ ყოფილა. ო, რა ხმალი შემოიხსნა წელიდან საქართველომ გიორგის განდევნით. ბაგრატიონთა გვირგვინს მაშინაც გასცვივდა თვალი-პატიოსანი, როცა დიდი მოურავის მერანმა სპარსეთის ცხელ ქიწას დასცა ტორი და ბედკრული ხალხის ბედკრული შვილის სახელი შაჰის ჯიღაზე უცხო რამ სხივად აკიაფდა.

რამ გადახვეწა მარაბდის გმირი სამშობლოდან? როგორ უნდა შეფასდეს მისი სახელი საქართველოს ისტორიაში? — ვინ იყო მოურავი? მართლა მზესავით მართალი და მიწასავით ბრძენი, თუ შუბლგაფცქვნილი ავანტიურისტი, დიდების ეფემერას გამოდევნებული ავკაცი?

ვაჟას ამ კითხვის პასუხიც უდევს ლექსში? გიორგის სახელი სვეტიცხოველში ანთებული კლაპტარივით იწვის საქართველოს ისტორიაში და ისედაც ტრაგიკულ გმირს ეჭვის ბურუსში არ უნდა ვხვევდეთ.

მოურავის ცხოვრება ჩვენი წარსულის მთავარმა სენმა გამოხრა — ქართული გენი როცა დიდ შვილს შობს ხოლმე, იმის მაგიერად, რომ განგების მოვლენილს მუხლზე დავუდგეთ, მკერდზე მოვირჭვათ და მოვუაროთ. ქვასა და ღორღის ქვეშ მოვაქცევთ, გვარ-სახელიანად

ლაფში ამოვაგლებთ ხოლმე. აი, რა ჰკმეჩს ვაჟას გულსა, აი, რა ფიქრი უბოლავს საქართველოს ვაიმარში — ჩარგალში გამარტოებულ ბრძენკაცს. თუ ლექსი ტკივილი შეიძლება იყოს, ან კიდევ, ტკივილი — ლექსი, მაშინ იგი ერთიც ყოფილა და მეორეც. ყოველი სტრიქონი ცრემლის რუ არის და ხედავ, როგორ ახრჩობს ვაჟას საკუთარი ყელი, როგორ უშრება სიტყვა. დაე, კითხვის ნიშანივით ეკიდოს ყველა ქართველის თვალწინ პოეტის შემდეგი სტროფი:

ნუ ვერ ვიგუებთ. ვერ შევიფერებთ,
კარგი შვილები რად გვებადება?
შვილის სიკეთე მშობელს შეჰშურდეს,
ნამდვილს მშობელს ეს ეკადრება?

რატომ აგვდევნებია კაენის ცოდვა? „კარგის დაღუპვა რად გვენატრება?“

იქნებ ვინმემ თქვას: — ეს მუნი და ბღერი ჩვენს ხასიათის წარსულში ეყარა, ახლა კი ეს ბოროტი დევი გუთნისდედად და მეწისქვილედ იქცაო? ვაი რომ, ასე არ არის, ამ ბებერ ყორანს დღესაც წვინტლი სცვივა.

ნუ დავსვამთ კითხვას, თუ რას გულისხმობს ამ უკანასკნელში ვაჟა. ეს ლექსი 1910 წელს არის დაწერილი, როცა წიწამურზე ჯერ კიდევ ყაყაჩოებად ენთო ილიას სისხლი, როცა თვითონ ვაჟას წვიმით ნაკემსი ძველი ჩოხა ეცვა და ფიჩხის ალს აკითხებდა თავის მელანშეუმშრალ სტრიქონებს, როცა უსახლკარო აკაკი სასტუმროში იდგა ხოლმე თავის სალოცავ ქალაქში, როცა...

არა, ვერ ებმის ერთმანეთს ეს ორი რამ. ერთის მხრივ, ქართული გენიის ამოშუქება და, მეორეს მხრივ, კიდევ დედისაგან საკუთარ ნაშობთა დაჭმა.

კარგის დაღუპვა რად გვენატრება
ჩვენის შვილისა, ჩვენივე ძმისა?

სირცხვილია, სირცხვილი თარგამოსიანო, ქართლოსიანო, გორგასლიანო, დავითიანო საქართველოვ! ხარირემთა ერთმანეთთან დატევებას ის არა სჯობს, ერთურთს ცვრიან ბალახს უწვდიდნენ და რქანაყარით ცასა სჩხვერავდნენ?

ძნელი ყოფილა საკუთარს იარაზედ ცხელის ნაცრის მიყრა.

ვეღარას ვიტყვი. ვთრთი, მეხათრება,
ჩემო ქვეყანავ, ჩემო სიცოცხლევ.
არ გეკადრება, არ გეკადრება...

თითქოს ამ საზოგადო სატკივრის კონკრეტული გამოხატულებაა

ის კაფია, რომელიც ვაჟას მიხეილ გიორგის ძე ერისთავისთვის მიუძღვნია. ეს ლექსი ვაჟას ცხოვრების პოეტური მატიანეა. ვინა ვარ და რა ვარ, ულირს კი რამედ საქართველოს ჩემი კალმის წვერით ნაწერ-ნაჩიჩქნი? აი, ის კითხვები, რომლებიც წეროებივით დაჰკივიან თავზე ლუკას. დიდი გულისტკივილი ფეთქავს ყოველ სტრიქონში. დახე და, რა დღეში ჩააგდო ლუკა ცხოვრებამ:

ხარო, ფერდ-ფერდზე მიყრილი,
გადახრეშილის ქედთა...

აბა, დედინაცვლის სიავე ვის გაჰკვირვებია? ამიტომ არც ლუკას უკვირს, რომ საბანი მხოლოდ მუხლებამდე სწვდება და ქერის ხმიადს ლოღნის. შეეჩვია გაჭირვებას, მსუბუქ ჯიბეს, ფშავურ წუთისოფელს, ცოლის ჩივილსა და ბალღების აბირებას:

აღარც თივაა ჩემთვისა,
აღარც ბზე, აღარც ნეკერი.

რაზიკაულად ზის ამ თავის სამფეხზე და წერს ცა-ღრუბლის ნაამბობს, ყვავილთა ტიტინს, ბალახის ჩურჩულს, საქართველოს სევდას და სიხარულს. თითქოს მოსწონთ კიდეც მისი ნაწერები, არც ქება დაუშურებიათ — მაშ, რა უნდა ქნას მთის არწივმა? — უნდა იარწივოს და პოეზიის მწვერვალებს ფრთები გადააფაროსო, მაგრამ, ვაგლახ, რომ ეს ქება არც ხაჭოპურად გამოცხვება, არც შეჭამანდად წამოღუღდება და არც მედუქნის ვალში მიიცემა:

ქება ბევრია, უსაზღვრო
მხოლოდ სალამი ერთფერი.

უთხარით, ხალხო, უთხარით ლუკასა, სიმართლე სად გიდევთ? თუ მართლა ასე გენიაზებათ მისი ნაწერ-ნაღვაწი, თუ მართლა კარგი გამწვევი ხარია, მაშ, რატომ თბილ გომურში არ გიბიათ, რატომ ერთხელ მაინც არ გაუსვამთ საურველს, ბალახ-ფუჩეჩს არ მიუყრით, რომ წუთისოფელს შერჩეს? რქებზე სანთლების დანთებას ხომ არა გთხოვთ, დალოცვილებო.

მაგრამ ასე იყო და დღესაც ასეა, ბედს თუ უნდიხარ, პოეტად კი არა თავადად გაგაჩენს, თვალებში შევარდნებს ჩაგისხამს, გაშლერებს და თვითონაც ბანს მოგცემს.

როცა პოეტად გბადებდა,
რად ჯღარ გაგათავადა?

ჭონაზე დაუდიხარ, ლუკავ, წუთისოფელს — ხან კახეთში გადავარდები ცხენხურჯინიანი, ხან კავკავში აჰყვები ცას მიყუდებულ

ალმართებას, რომ სარგო-სანოვაგე, ფქვილი და სიმინდი ჩამოუტანო ოჯახს.

ბეჩავს „ფშაველობა“ რას გშველის?
ზურგს გუდა, ხელში კალათა!
თავადიც იყო, — სიცოცხლეს
ჩამოჰლეოდი შავადა...
გულ-პტკივნეული კუპრთაც
არ აქსებოდი ავადა...

მაშინ, ჩემო ლუკავ, ყველაფერი თავისთავად მოგივიდოდა — შენი ცხოვრებაც ერთი გაწელილი „მრავალჟამიერი“ იქნებოდა და არა მშვიერის კვნესა...

თავი მძიმედ ჩაუკიდია ვაჟას, მძიმედ და ფიქრიანად...

რატომ არ გიყვარს, საქართველოვ, რატომ არ გიფასდება შენი კარგი შვილები.

ჩემო კვეყანავ, ჩემო სიცოცხლევ,
არ გეკადრება, არ გეკადრება...

ტირის, კვნესის, ჩივის სტრიქონი...

ვანა მარტო ვაჟა იყო ამ დღეში. ვინაც პირჯვარი ქვეყნისთვის გადაიწერა და არა მხოლოდ საკუთარი სულის საცხონებლად, ყველა ლუკმა-პურს ციცქნიდა, როცა სხვებს ქადა-ნაზუქი ელაგათ სუფრაზე. მადლობა ღმერთს, ცოტა როდი ჰყავდა ასეთი საქართველოს. ურწის თვალზე გაკრულები მუშა-ფუტკრებივით დაჰბზუოდნენ ეროვნულ საქმეს — არც დიდებას ეძებდნენ, არც სიმდიდრეს.

ერთი მათგანი ლუარსაბ ბოცვაძეც იყო. ინტელიგენტის თხელი შუბლი, მზიანი სახე და საკუთარს სულში ჩაბრუნებული მზერა მაშინვე გაგრძნობინებდათ, რომ ეს კაცი ერთი იმათთაგანი იყო, ვისაც ღმერთი ჩამოსვამს ხოლმე მიწაზე სიკეთის მეგზურად.

მთელი ცხოვრება მომავალი თაობის აღზრდას გადააგო, ყველა შეგირდი წამწამქვეშ ეყენა და „ანა-ბანასთან“ ერთად საქართველოს ასწავლიდა — ადრე ვინ ვიყავით და როგორ ვიყავით. მერე რა ქარიშხალმა დაგვირეკა ცას შერჩენილი მერცხლებივით, სანამ ქართლ-კახეთს რუსთხელმწიფე ისტორიის უღლიდან ყევარივით გამოუშვებდა, ქართულ ენას ტუჩ-პირს აუკრავდა და სალოცავში წარმართივით შემოგვივარდებოდა. ლუკა დიდად აფასებდა ამ წმინდა კაცს, ასე თავდადებით რომ ცდილობდა უცოდველი სულების ხსნას — ქართულ სკოლას ჭიშკრადაც ება, ზარადაც ეკიდა და მზრუნველადაც ედგა. მერე ბათუმშიც გახსნა სკოლა და ჩრდილო კავკასიაში, სადაც ოდეს-

ღაც ქართული ბარღვი სცემდა, და, რომელსაც ქართული კულტურის თბილი ტალღები სწვდებოდა, ისევ ამოიყარა ძველმა ფესვმა...

მკითხველი იკითხავს: — ეს ამდენი საქმე-საკეთებელი ვისითა და რისითაო? თითო-ოროლა კაპიკი თუ წერა-კითხვის საზოგადოებას ღასცვივოდა, დანარჩენს გაშლილ კალთაში ნაგროვები შემოწირულობით გაუდიოდა დიდი ლუარსაბი, თვითონაც წელიწადში სამ დიდმარხვას მაინც ინახავდა, რომ დაზოგილი ხელფასით ან შეგირდის რვეულ-ფანქარი ეყიდა, ან შარვალ-ხალათი, ან კიდევ დაფა-კალამი.

ასეთი იყო მასწავლებლის ბედი იმ უსწორმასწორო დროში. ამიტომ ვაჟა ლუარსაბისადმი მიძღვნილ ლექსში მას მზით ფრთებგამთბარ მზეწვიას ადარებს, წკირ-ბალახით რომ წნავს ბუდეს ბარტყების დასაჩეკ-გასაზრდელად. აბა სად მოსვენება და სად ისა? მთელი დღე ჰაერში ჰკიდია, ნისკარტი ტალახში აქვს ამორეული. ვინ გაუდებს ბუდეს ხის ორკაპზე, ვინ მიუზიდავს თბილ ჩალა-ბუჩოს, თუ თვითონ არ ითავცემა?

ვერმოძღეობა ჩიტისა
ან კი რა გასაკვირია?

რწმენა კლდეს მოზელს, აღმართს დაღმართად აქცევს და, ალბათ, ამაშიც არის ღვთის მადლი გარეული. რა აძლევდა ძალასა და იმედს დიდ ლუარსაბს, რა მადლის ფრთები აფრენდა ცისქვეშეთში? ამ მადლს სამშობლოსა და საქმის სიყვარული, მამულის ერთგულება და მისთვის თავდადება ჰქვია:

წუთისოფელი დედისა
მოსიყვარულე შვილი და შვილია;
დაზარდოს მზეწვიები,
სიმღერა უთხრას ტკბილია,
ჩაჰხედოს ბარტყებს თვალებში,
ფრთა დაიფაროს თბილია...

დიდი სინაზით არიან ეს სტრიქონები გაჯერებული... მართლაც, იმაზე საპატიო რა უნდა იყოს, როცა ცხოვრების გზაზე გამოიყვან ადამიანს, ბარტყს დააფრთიანებ, ცაზე საკუთარ საფრენ ბილიკს გაუკვალავ, ტკბილსა და მწარეს გააცნობ!

შვილების მღერა როს ესმის,
დედის სიცოცხლეც ტკბილია...

არა, ლექსი არ არის, ეს ლექსზე მეტია, ლოცვაა, მუხლზე დაცემაა, სიტყვით ნაშენები ძეგლია ქართული სკოლის წარმატებისათვის თავდადებული რაინდისა.

„ალალიმც იყოს! ასეთია ამ შედევრის „ანი“ და „ბანი“.

პევრი „მიძღვნები“ აქვს ვაჟას. ამასაც თავისი მიზეზი უჩანს. ლექსი ლექსია, მერცხლის ფრთები აბია — ყველას მიუვა და მიუჭიკჭიკებს და, დაე, ქართველ მოღვაწეთა ამაგიც იმანაც შეინახოს, თორემ, აგე, რა არის — გაგიმართავენ იუბილეს, თავისის ბრტყელი პურმარილით, ტაშითა და დივერტისმენტით, მაგრამ კარში გამოსვლისას ყველას ავიწყდები, ლამის აღარა გცნობენ. იქნება თავად ეტლებით წაბრძანდნენ და შენ კი სახლში ფეხით მიჩანჩალდე.

განა ასე არ უყვეს ლუკას — ლამის ციდან დაბლა აღარ ჩამოუშვეს. ვარდებივით მიაყარეს ქება — ქართული პოეზიის არწივი ხარო, შენი ხელფანდურიანი პოეზიაც გვაქართველებს და გვაცოცხლებსო, მაგრამ რა... გარეთ რომ მიიხედ-მოიხედა, მის გეერდით მარტო სანდრო და შიოლა იდგნენ.

გაიცინა ალექსანდრემ[1].

— ჰოი, ქართველო და საქართველოვ, ეს რა ზნე გჭირსო...

მარტო ხმალმა, გმირობამ, ლექსმა და ლოცვამ კი არა, სიმღერამაც შეგოუნახა ჩვენი ერი ჟამ-წუთისოფელს. ქართულს ხმაში ხან ზვავის გუგუნი ისმის, ხან ცეცხლის ტკაცუნი, ხან ყვავილის ლოცვა და მზის გალობა. შენ დაილოცე, სიმღერავ, უიმედოს იმედო, ღატაკის სიმდიდრევ, მკვდრის დამმარხველო და ცოცხალის შემწევ.

ფშაველი რომ ფანდურს გამართავს და ამოიგუგუნებს, ლამის არაგვიც შედგეს და ყური დაუგდოს, როგორ იძერის ცარგვალი, როგორ უტირის წუთისოფელი ფშავის ხევის შვილსა.

არც ერთი ბგერა ძველის სიმღერებისა არ უნდა დავკარგოთ, ეს მარგალიტები მოწიწებით უნდა წამოვკრიფოთ და მომავალს მივუტანოთო — ხშირად უთქვამს ლუკას მეგობართა წრეში თუ საჯარო გამოსვლებზე. პუბლიცისტურ წერილებშიც ამას ივედრებოდა ფშაველი მინდია. თვითონ, ადრეცა ვთქვით, ხმა არ უვარგოდა, ხმამაღლა წამღერება ქუხილს უგავდა, ხმადაბალი ლიღინი ფშანებში არაგვის დენას, მაგრამ, აგე, მის რამდენ ლექსს ჰქვია „სიმღერა“... სანამ ჯერ კილოს არ მიაგნებდა, ლექსის სათქმელ ჰანგს არ დაიხელთებდა, ისე უხედნი ულაყივით ყალყზე შემდგარ სიტყვებს ვერ დაიურვებდა, მერე კი, ლხენა მოგეცათ, მისი კალმის წინ მოიყრიდნენ ხოლმე მუხლსა.

განსაკუთრებით ალექსანდრე (სანდრო) კავსაძეს ეთაყვანებოდა. ერთხელ ქაშვეთშიც უსმინა იმის გუნდს და ის დღე არასოდეს დავიწყებია. მარტო კი არ უსმენდა, შესცქეროდა კიდეც შიშველი მახვილებივით მაღლა აწეულ ხმებს. ისეთი ომახით ეცა „მრავალჟამიე-

---

[1] ალექსანდრე ყაზბეგი.

რი“ გუმბათის სარკმლებს, კანკალი შეუჯდათ და ვაჟამ ერთი გაფიქრება ისიც კი გაიფიქრა: — ცისკენ არ წაელოთ ტაძარი ჰაერში მონავარდე ამ ფრთიან ლომებს.

რა დიდებული ჰანგი იყო, რა ხელმწიფური, რა პორფირ-ბისონი ესხა და მაღლი ესხურა.

მერე „ურმული“ თქვეს ჩაგუდული, ცრემლიანი ხმით, ამოშალეს, ამოსწეწეს გლეხის სული. საღამოს ბინდი იასამნებად აფენია მიდამოს, ვარსკვლავები ჰკვესავენ ცაზე. ღამე დღის გლოვაა, ამ დროს არაგვიც კი მუხლს შვასვენებს ხოლმე და იდუმალი სიჩუმე ჩამყუდროვებულა დედამიწის ზურგზე. საურმე გზაზე მიიწელებიან ხარები. იფნის სახრით ეფერება მეურმე მშვიდ საქონელს, თან თავისას ჩივის, თავისას ტირის; თავისი წუთისოფლისას უამბობს მაღლა ღმერთსა და დაბლა ადამიანს. ურმის ჭრიალი ხერხავს სიჩუმეს, მაგრამ შავად შედედებულ სიბნელეს კი, აბა, როგორ გაათენებს! შორით არაგვი დუღს, მთებს მოანგრევს, მაღლა ისვრის ლოდებს, ცოფსა და დუჟს ნაპირზე ღვრის, ადევებულა, აყვირებულა. წმინდაო გიორგი, შენ უშველე ღამის მეურმეს, შენ გაიყვანე ხარ-ურმიანად იქითა ნაპირას, შენი შუბი გაუდე გზად და ხიდად, თორო დედის ცრემლი ჩახნავს ფშავის თაქვეებს, ბალახს ჩაჰფუფქავს და ყვავილებს აატირებს, ნუ დაუბნელებ წუთისოფელს იორამაანთ ქალს, შენს მადლსა და ძალასა. დამაც რა ქნას, ქალთამზემა. ძმის სიკვდილს თუ გაიგონებს, ხშირი ნაწნავი უნდა დაიჭრას, ცხელ ნაცრად იქცეს, ტანი შავით დაიბნელოს და სანთელივით ჩაიწვას. ნუ იქმ ამას, მწყალობელო, ნუ შენს მადლსა. ბალღებს ნუ დაუობლებ, თორემ ცოლი ხო იცი რაც არი, ცალი ყბით თუ მზეა, მეორით მთვარეა — ციე მკვდარს მიწაში ჩასდებს და სხვას გაეკვრის იმ თავისი თბილი კალთა-მკერდით.

ისმინა წმინდა გიორგიმ წმინდა ლოცვა და ვედრება...

ცისკარმაც ამოაშუქა.
კვლაპტრად ეკვრის ცასაო...
თენდება, აღარა ბნელა,
კარგა გაიგნებთ გზასაო..

ახლა იქითა ხარ, არაგვო, მრუმედლა სჩანან შენგან ნაფხრეწი კლდეები და რიყრაჟით შენისლული ხევისპირები.

ისევ შენითა, ღმერთო, და მერე თქვენით — ჩემო შვინდავ და გიშელა. ნეტაი, გამჩენმა, ჯერ გლეხი დაჰბადა და მერე ხარი, თუ ჯერ ხარი და მერე გლეხი. ალბათ, ორივე ერთად გააჩინა, ერთმანეთის ლხინად და ჭირად.

ეს „ურმული“ ფშაური კილოთი არ არის ამღერებული, მაგრამ

შიგ ფშაური სევდა და ფშაველი გლეხკაცის ცხოვრება უწერია თვითონაც ჩოხის კალთაზე სიღარიბეგამობმულ ვაჟას.

ასეთია დიდი ადამიანის ცხოვრება — ქვეყნის სატკივარს გულში ირჭობს და სიხარულს კალთაში იხვევს, სიყვარულითაც ის უყვარს, ვისაც სამშობლოსთვის ცეცხლი უმკია და ქარი უსხლავს, ვისაც სიცოცხლე მის სამსხვერპლოზე მიუტანია. სწორედ ასეთი იყო აქაც და იქაც სულკურთხეული გიორგი ყაზბეგი — მხედარი, ისტორიკოს-ეთნოგრაფი, მოღვაწე და, პირველ რიგში, კი ქართველი... სწორედ მას უძღვნის ვაჟა ლექსს, რომელსაც „ჯიხვის ვედრება" ჰქვია. ვაჟას წარმოდგენით, გიორგი თვით მთების მშვენიერებასა და სიმაღლეს განასახიერებს. ლექსის პრეამბულას ავყავართ თოვლიან მწვერვალებში, სადაც საღ კლდეებს მთვარის შუქი გადასდით, ცაზე კი ვარსკვლავები ცელქობენ:

პირმცინარი ბალღები,
უდარდელები მარადა...

არსად ყოილი, არსად ბალახში გახლართული ნიავი, ირგვლივ მხოლოდ თოვლი სწვავს თვალებს, ყინვა ძაგძაგებს და ქარ-ბორიო ზრიალებს.

ეს საქართველოა, მკითხველო, XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველო. ასეთი სიმბოლური ხატი გვახსოვს კიდეც გრ. ორბელიანის იმ ღვთიური მადლით სავსე ლექსიდან, რომლის სათაურია „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში".

ასე აღწერს ვაჟა თეთრი სევდით გათანგულ მთებს და ამ სურათს ალმასის ლოდივით სწყდება აი, ეს საოცარი სტროფი:

ჯიხვმა სთქვა სალის კლდისამა,
მთელ ღამეს ლოცვად მდგარია,
ცისთვის მიუპყრავ თვალები,
რა მშვენიერი არიან!

რა სანატრელი გასჩენია მთების შვილს? რა ოცნება უთამაშებს თვალწინ? რა წუხილი უთხრის გულს?

სხვა რა, თუ არა ის, რომ ამ მთა-ველს გაზაფხულის მწვანე თვალმა დახედოს, ყვავილ-ბალახმა გადაუაროს სიცივით შეჭირვებულ ფერდებს, თეთრი ნაბდები უფსკრულებში მოისროლონ და გაიხარონ.

მაჩვენე აყოველებული
ალპობლოს მთა და ბარია,
ჩინამ ნუ მომკლავ, მაშინ კი
ღარა სანუკვარია...

ესა ჰქმენ, უფალო, ესა ჰქმენ და თუნდაც ახლავ მიიბარე სული შენზე მლოცველისა.

ამას იგედრება ხევის ბატონთა სახელოვანი ნაშიერი — გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგი.

უფალო, ულხინე იმის სულს...

* * *

ისე არასოდეს დაკნინებულა ქართველი ერი, სხვისა კარგი ვერ ეცნო, სხვათა სიბრძნისთვის თვალი ვერ ჩაეწვდინა და ვერ დაეფასებინა. აწის მაგალითად თუნდაც ის მოვიტანოთ, თუ როგორის კრძალვით კითხულობდნენ ამერ-იმერში რუსეთის დიდი შვილის ლ. ნ. ტოლსტოის თხზულებებს, როგორ ეკერათ ტუჩებზე მისი სახელი. რუსული ლიტერატურის მეფეს თავის სატახტოში — „იასნაია პოლიანაშიც“ ესტუმრა ილია ნაკაშიძე და საქართველოს მადლობა ჩაუტანა თეთრფაფრიან ლომს.

და, აი, ჩასულა მზე, დიდი მწერალი გარდაცვლილა — მონატრებია უკვდავებას.

ამ ცნობის წაკითხვამ ვაჟა ღრმად დაამწუხარა, დიდხანს უსიტყვოდ იყდა იფნის ძირას გაზეთით ხელში, მერე ხელისგულით სახიდან ფიქრი ჩამოიწურა და შინ შებრუნდა, მაგიდას მიუჯდა. კალამმა თავისით გამოიყვანა სათაური „ლევ ტოლსტოის გარდაცვალებაზედ“. სწერდა, მაგრამ აზრმა სადავე წაართვა და ლექსი უფრო გარითმული პატარა პუბლიცისტური წერილი გამოუვიდა, ვიდრე ლუკას კალმის წვერს ცრემლივით მოწყვეტილი მარგალიტი. დიდი კაცი დაჰკარგა ადამის მოდგმამ, დიდი და მაღალი, ლამის მეორე მესია, ახალი აზრებისა და გრძნობების მჭედელი, ვინც „სიყვარული ჰაერად შეჰქმნა“. იგლოვე, რუსეთო, იგლოვე, კაცობრიობავ, სიკვდილი ღმერთისა. როდისღა მოიყვანს დრო ასეთი ზეგარდამო ნიჭით ცხებულს კაცსა, ის რომ იყო? ანდა როდის შეიგნებს არა მარტო „რუსეთის ერი“ მისი მოძღვრების სიბრძნეს?

დიდხანს და დიდხანს უნდა ლოდინი,
ალავ ამოუხდეს მას მზე, ჩამქრალი..

ახლა ცათა სფეროებში სრიალებს ტოლსტოის სული. ხოლო მისი შემოქმედების ფსკერზე ურიცხვი თვალ-მარგალიტი ჰყრია ადამიანთა სულის დასაპყრობად.

ნეტავი იმას, ვინც ხელს ჩაუწვდენს ამ სიმდიდრეს, ვისი გონებაც გამოაბრწყინებს აქ თვალ-პატიოსანს.

უიმედოდ ვაჟას ერთი დღეც არ დაუღამებია. მერე რა, თუ ხანდახან ხმა დაუჟანგდებოდა და მისი ნაკლმევიც გაბზარულ ზარს დაემკვანებოდა ხოლმე. მის ლექსში მაინც ფეხზე წამომდგარი ავაზა იზმორებოდა. იმედის თვალით უყურებდა გასათენებელ მომავალს, რაც ცხადად ჩანს თუნდაც იმ პატარა შედევრებში, რომლებიც გიორგი ლეონიძეს ეძღვნება. გახედავდა ლუკა თავის სიჭაბუკეს, როცა თითქოს არსად ჩანდა კლდიდან ამირანის ამხსნელი, მისი ჯაჭვის დამწყვეტი და დამლეკი. გავიდა დრო და, აჰა, აღსდგა სული, აღორძინდა დრო, ამაღლდა გრძნობა. ახალ-უხლებმა უნდა მოუტანონ ხალხს ბედნიერება, სიხარული...

დღეს, ვხედავ, გაჰმრავლებიან
მშობელ ქვეყანას შვილები;
მტერს არ მისცემენ სათელად
თავის სამშობლოს გმირები...

და ვაჟაც ბედნიერია თავისი მთასავით ასაწონი იმედით, რომ საქართველო იყო, არის და იქნება.

სხვა დრო დამდგარა, სხვა სიო ჰქრის და სხვა მზე დაჰნათის ქართლის მთა-ველს. ქართულმა კულტურამ მხრები გაშალა. ჯერ მარტო ლადო მესხიშვილის სახელი რად ულირს ჩვენს ქვეყანას! აბა, შეხედეთ, როგორ იწვის ხოლმე სცენაზე ეს ჭეშმარიტი რაინდი, ჩვენი თეატრის სიამაყე, ვნების როგორი ცეცხლი გიზგიზებს ხოლმე მისი თამაშისას...

აპოლონს მსხვერპლსა სწირავდი,
მწირველი მოელვარეო,
ქართველად ეხვეწებოდი:
ქართველებს მოეხმარეო...

ღმერთო, ხშირად გააგონე ვაჟას ეს ხმა თავის მამულში, მუხლი მოაყრევინე სამშობლოს ჭეშმარიტ შვილთა წინაშე:

მადლისთვის მადლობას გიხდის
შენი მშობელი მხარეო,
აღალი არი შენზედა,
იმშვიდე, გაიხარეო!...

დიახ, ახარებდა ლუკას ყველაფერი საქართველო და საეროვნო. განა ეს ჩვენი სიტყვამხიანი ენა იმის ღირსია, რომ ვინმე უდიერად მოექცეს? არადა რამდენ ქართველსა ნახავ, სიტყვა რომ ნასიტყვი ვაზივით წაექცევა ხოლმე და ჭიგოდ რუსულს შეუყენებს. ენის სიწმინდე ყველას ვალია და მათ შორის ქართველი ქალისა, დედისა, რადგა-

ნაც ყრმა სწორედ დედისგან ინათლავს ჯერ შუბლსა და მერეღა ეწაფება ენის წყაროსთვალს. ასეთი აზრებით დამტევნებული ლექსი ჩაუწერია ლუკას დარო ზურაბაშვილის ალბომში.

ლამაზ ქალს ლამაზი აზრის ტარება აქცევს ღმერთადა,
შენის ნათქვამი ქართულით მაამე მეტისმეტადა!..

ამიტომაც უდგას ლუკა მუხლებზე დიდი ნინოს სახელს. დედათმთავრისა, ვისი ჯვარ-ვაზითაც იკურთხა ახალ რჯულზე ქართლი, უფრო გალამაზდა ქართული ზნეობა, კაცთმოყვარეობის მადლი მოეფინა ცოდვით სავსე სოფელს.

ვინ იყო ნინო? — დაი სათნოებისა, დაი სიყვარულისა, დაი მოთმინებისა.

მან განკურნა საქართველოს წარმართული წყლული... გავიდა ხანი და აიღერეს ყელი ტაძრებმა, აგუმბათდნენ, აშაღლდნენ და ცად აიტანეს ქართული სული.

კურთხეულ იყოს სახელი წმინდა ნინოსი...

ცამ მოანიჭოს ჩვენს ქალებს
სიდიდე ნინოს სულისა,
რომ შესძლონ ქვეყნის აღდგენა,
განკურნვა იმის წყლულისა..

რა არის ეს? ლექსი? დიაღ, ლექსია, მაგრამ უფრო კი ლოცვად აგიზგიზებული სულია ლუკასი...

იკურთხოს დედათა ღვაწლი,
მადლი სწყალობდეს უფლისა..

უცხო რამ არაფერია ამ სიტყვა-თქმაში, განა ქვეყანას არ გადაწედინა ვაჟამ გულიდან ამონახეთქი სიტყვები:

რომ მიყვარს მამელშვილი
დაე. იცოდეს ყველამა...

და ისიც გუნდრუკს უკმევს კოტე ყიფიანს — მამულისთვის გაწეული ღვაწლისთვის, დასტირის აკაკის ნეშტს. აკაკი... ეს სახელი სიხარულად და ტკივილად არის ვაჟას გულში ჩარჩენილი. წავიდა და მერე ვინ? ქართული ლექსის მეუფე, დიდი ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანის მემკვიდრე, ოლიმპოს ზევსი, საქართველოს ბულბული. იქ წავიდა, სადაც უფლის წინაშე დგანან წამებული გმირები, მისმა კალამმა რომ დაუბრუნა მარადიულ სიცოცხლეს. იქაც აკაკი ხარ, დიდო პოეტო, იქაც სამშობლოს კეთილდღეობას ევედრები გამჩენს, ჩვენ, კი, ცოდვილებს, მხნეობას გვასწავლი, როგორ ვიცოცხლოთ და როგორ მოვკვდეთ მამულისათვის.

იდიდოს შენმა სახელმა.

განა ბევრი ჰგავს მიმდევრები საქართველოში აკაკის? განა ბევრს უხურს მასსავით გული და უდუღს სისხლი? ვითომ პოეტები ჰქვიათ, მაგრამ თავის „უზუნდარას“ ცეკვავენ და მღერიან, არც რამ ეროვნულია იმათ ლექსებში, არც რომ ქართული. იქნება განსჯას მოუხმოთ, ბატონებო, და ეგ კალმები ცეცხლში ჩაჰყაროთ. თუ იმ ქვეყანაში პოეტობ, სადაც აკაკი სუფევდა, უფლება არა გაქვს, სამშობლოსათვის ტანთ გავარვარებული რვალი არ გეცვას და ეკლის გვირგვინი შუბლს არ გიკაწრავდეს. თქვენ კი... ეჰ, ბატონებო... „მოწოდება“ ჰქვია ამ მამხილებელ ლექსს, რომელიც აკაკის ხსოვნას ეძღვნება.

თავისი „მიძღვნებით“ სამარადჟამო ძეგლი -უგო დიდმა პოეტმა სახალხო მასწავლებლებსა და მოღვაწეებს: ლადო ბზვანელს, ნიკო ლომოურს. ნიკო 1915 წელს გარდაიცვალა. მაინც ეს 1915... რამდენი დიდ მოღვაწეს დაუხუჭა თვალები და დაადუმა. თითქოს რაღაც წინათგრძნობა უწევწავს ლუკას სულსა, როცა ნიკო ლომოურზე გულიდან ერთსტროფიან ლექსს ამოიგლეჯს:

გული გამოკლა ბედის სიმუხთლემ,
რას ჩაგვაცივდა, ჩვენგან რა უნდა?
კარგის მოღვაწის ენა, მარჯვენა
რად დაადუმა, რად გააცუდა?!...

ნამდვილი მოღვაწეობა ჩუმია და უხმაურო, ლადო ბზვანელიც თესლივით ღვივის ერის ხნულ-სახვნელში, აფრთიანებს საქართველოს მომავალს, ლოცულობს და ალოცებს:

რა ვეყოთ მასწავლებელი
დღეს არა ფასობს ჩვენშია.
[illegible] ჩვენის ერისა
[illegible] და მხოლოდ თქვენშია..
სული გასუქდეს, ბევრით სჯობს,
ვიდრე გაუქდეს ლეშია...

ეს ლექსიც 1915 წელს არის დაწერილი... მაინც ეს 1915 წელი...

* * *

არც არჩილ ჯორჯაძეს დაჰკლებია ვაჟას გენიის ჩამონაბერტყი...

ლუკა მოხიბლული იყო ამ მოღვაწის ნათელი გონებით, მისი ცოდნისა და ერუდიციის სიფართოვით, პუბლიცისტური და სოციალურ-ფსიქოლოგიური აზროვნებით.

თუ ვინმეს შეუძლია დღეს თავი ილიას პუბლიცისტური მემკვიდ-

რეობის გამაგრძელებლად გამოაცხადოს, ეს „ვინმე" არჩილ ჯორჯაძეა.

ასე სწამს ლუკას...

დღეს არჩილი ტანსრული ჭადარია განზე ტოტებწასული, ტანღონიერი, რტოძლიერი, სიცხეში მაჩრდილობელ-მაგრილობელი.

ვიცან. ერო, შენი დიდი შვილი...

მაგრამ წაიქცა იგი ჭადარი, სიკვდილმა წაიყვანა არჩილიც...

გადაიარა დრომ ნამუსრევზე. და, აჰა, ამოხეთქა წაქცეული ჭადრის ტანზე ყლორტებმა. იფურჩქნება, იბადება საქართველოს მომავალი.

ჩვენი არის, რომ ერთ დროს
ცაში ზრდილან დიდები, —
მათ ჩრდილშიც მოიგრილებენ
მკერდ-ოფლიანი ბიჭები...

დიდია ერი, ვინც დიდ შვილებს შობს...

* *

ხშირად ვამბობთ ხოლმე: — ვაჟა ბუნების მგოსანი, მისი მესაიდუმლე, მისი ცხადისა და სიზმრის ამხსნელი, მისი კალთა-ნაოჭის მცოდნეა. დიახ, ასეა, მაგრამ ერთია თავად ბუნების ფენომენი, მეორე კი პოეზიის მადლით ნაპკურები ის შედევრები, რომლებიც მთისა და ბარის, მზისა და მთვარის, წყალ-ჭალის, წყარო-ჩანჩქერის სუნთქვით იგრილებენ პოეტური გენიით გავარვარებულ სტრიქონებს. ვაჟა ამ ღრის ხან მეხოტბეა, ხან მუხლზე დაცემული მლოცველი მწირი, ხან საღარიბითა და სიმღერით ლაღი ფშაველი გლეხი, ხან კიდევ ნაოჭებიც შუბლდახნული ფილოსოფოსი, რომელიც საოცარი სიზუსტით კითხულობს ცასა და მიწაზე ღვთიური ხელით ნაწერს. ვაჟასთვის, ისევე როგორც ალ, ყაზბეგისთვის, ბუნება ცალკე არ არსებობს, — ის ადამიანის ცოდვა-მადლიანი ყოფის განუყოფელი ნაწილია და ყოველივე ადამიანური არც მისთვის არის უცხო... ამიტომ არის ია „პრიყვი ჩადუნის რძალი", ხოლო არაგვი თუ სხვა შემთხვევაში მთებსა და კლდეებს ჰგლეჯს, გოლიათის ველი მუხლებით მიარღვევს ხეობას, ბაფი ხმით ჩაივლის ფშავს, სხვა შემთხვევაში იგი ისე შესტირის მთა-კლდეთ, „როგორც ძმის კუბოს ქალია".

ასე წარმოუდგება ვაჟას გაზაფხული თავის საყვარელ მთებში: ყველას და ყველაფერს გაუღვიძია. საპირიქითო გზა-ბილიკიც დაჩენილა, არწივი ბჟღალს ილესავს სიპზე, ნისლიც დაწმენდილი, შავი

მატყლივით აღარ ადევს კლდისპირებს. „ვაჰ“ — ასძახიან მთები გაღიმებულ ცას, მაგრამ ბუნების ამ ბუნიაობისას მხოლოდ მგოსნის გულია მკვდარი. ეს თითქოს ალოგიკური დასასრული საოცარ ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე. მის წინაშე წამოიმართება საქვეყნო საწუხარით სავსე ვაჟა, სამშობლოწართმეული, ძალმომრეობით ჯოთანგული, თვისტომთა „ჰარი-ჰარალოთი“ გაკვირვებული, საბრძოლოდ შემართული. ეს ყველაფერი უფრო გაცხადებულია მეორე ლექსში, რომელსაც „სიმღერა“ ჰქვია:

ეს გაზაფხულიც მოვიდა,
აგერ ჩამოძრნენ მთანია,
საპირიქითოდ გაიხსნენ
თოვლით შაკრულნი გზანია...

აქაც ბუნების დიდ გაღვიძებას უგალობს ლუკა.

ცრემლით ჯერ არავის მოუპოვებია თავისუფლება. მურას წკმუტუნი და გალეკვება ფარეხზე მივარდნილ მგელს სამგლეთისკენ ვერ გააბრუნებს — გესლიანი „ღრინია“ საჭირო, ხაფი შეტევა და მტერზე „ცეცხლივით მოდება“:

ეგება მგლები შემოფრთხნენ,
დაგვიწიოკონ ობლები,
ეგება მიწამ შაჰამოს
ერთიან ჩვენი მგმობლები...

დიდი წარსული უკვალოდ არ ჩაივლის ხოლმე. არც სახელოვან მამულიშვილთა ცხოვრება არის მხოლოდ ცხოვრება. ის მაგალითია, გაკეთილია, ზნეობაა. მაინც რას იტყვი, ჩვენო წარსულო? როგორ მოგვიტანე დღემდე ქართლ-საქართველო, ჩვენი მოდგმა და ჯიში? იკითხავს ვაჟა და შორეულის ხილვა უცურავს თვალწინ. აგერ ცას მიყინული იალბუზი. შავი ყორანი ჩამომჯდარა შავ კლდეზე, ბრჯღალით ბღუჯავს ჭიუხის ქიმს. იქავ, მოშორებით, მეორეცა ზის — ისიც ღამეზე უღამესი. — ორივ მზად არის კაბეთისკენ დასაშვებად. თურმე იქ, ალაზნის ველზე, სიკვდილი სათიბში გასულა. თოფები სტყვრება, ჰაერი კვნესის და მკვდრების რიყეზე ბუქნავს სიკვდილი. ბევრს დედისერთას ამოულამდა თვალები, ბევრმა გაიფინა შავი მიწის ლოგინი.

ღმერთმა გვიცოცხლოს ის კაცი,
ვინც ქართლის შვილებს სწყალობსო,
კის შემწეობით ჩვენგანი
ბევრ კაცობას სწაელობსო.

„კაცობა“ პოეტისთვის დაბლისკენ დაძრული დიდწყალის სათა-

ვეა. ერთ ძნად შეკრული მაღალი ზნეობა, პიროვნული სრულყოფილება, რაინდობა და საჭიროების დროს ქვეყნისთვის ზვარაკად შეწირვის მზადყოფნაა. ასეთი კაცთაკაცის ცხოვრება ბალღებისთვის გადაშლილი წიგნია. წიგნი — თვალის დღესასწაული და სულის პურთაპური. აღსდგება, დიახ, ქრისტესავით აღსდგება საქართველო, განიფანტება ბნელი და იზეიმებს ნათელი.

უსამართლობითაა სავსე ვაჟას გარშემო წუთისოფელი:

ვაჰმე, რა მეტად ბევრს უჭირს,
ვჰ, რა ბევრია ტანჯული...
როგორა ხარობს სხვის ტანჯვით
გულ-გაყინული მსაჯული...

რა უშველის ამას? რა განსწმენდს და აღადგენს კეთროვან სულს? რა მოსთიბს ამ კაჭიჭსა და ჭინჭარს? — იქნებ ისა სჯობია, ცრემლის ცხელი მდინარე მივუშვათ. „მოვრთოთ ქვითინი, გოდება"? განა ასე არ იქცევა ზოგი ჩვენიანი? მარტო დარდს რომ მისცემია და სტრიქონი უზლუქუნებს? არა, ჩემო კეთილებო, არა...

ვაჰმე, ვეღარა მწუდომიან
სათბობად სხივნი მზისანი.

ერთხანს ვაჟას საყვედურობდნენ კიდეც, თითქოს მის ლირიკაში ყოველდღიურობის ქართული სატკივარი არ ჩანდა, ნათქვამ-ნაწერს კონკრეტულობა აკლდა და პოეტიც შორიდან უქნევდა სილას ყველაფერ იმას, რაც მომავალს გვიბნელებდა. ასეთი შეხედულება ან გაუგებრობის შედეგია, ან კიდევ ისიც დიდი შემოქმედისადმი შურის ბალღამშია მოზელილი. ვაჟასთვის მთავარი მოვლენებისადმი თავისი დამოკიდებულების ჩვენებაა, მათი გლობალური შეფასება და არა წვრილმანთა ჩხრეკა. ვერ დაინახო ერთი შეხედვით ზოგად პოეტურ განწყობილებაში ის კონკრეტული, რამაც პოეტში ეს განწყობილება დაჰბადა, ეს იგივეა, წარბის ქვეშ თვალის მოძებნა გაგიჭირდეს.

დასახელებულ ლექსშიც ალეგორია ისეთი გამჭვირვალეა, ისე ნათლად ირეკლება სათქმელის მიზანი, რომ მკითხველი უმალ იმსჭვალება იმავე განწყობილებით, რაც მგოსანს დაუფლებია:

ბარემ მეც ჩამთქით, ნისლებო,
ლაჟვარდებო, დამფერფლეთო,
თქვენი ლაჩრობა გელისაც
საძრახი გაიგეთ-მეთქი!

აქაც მშობელი ქვეყნის ბედკრულობით უტირის კალამი ვაჟას, მი-

და თითოეული სტრიქონი ცრემლის წყაროა, ჩანგურის მთრთოლვარე სევდია.

ვერ ურიგდება პოეტის რწმენა იმათ საქციელს, ვისაც სიტყვა მამალივით უყივის, საქმით კი ბერწია, უგზო-უკვლო. მერე და ვინა გყავს, საქართველოვ, ასეთი. ვინა და გულით ჯაბანნი, თვალცარიელნი, მუდამ საბუდარ-საკვერცხისაკენ რომ უჭირავთ თვალი, ხალხს კი დიდი რამე პატრიოტებად აჩვენებენ თავსა. რას ეტყვის ლუკა იმათ? არაფერს, აბა სადიაცო სიტყვა რა მისი საქმეა. ერთს კი ურჩევს, — ხანჯრების მაგივრად თითისტარები დაიკიდონ, იქალონ და იდიაცონ ამ ვითომ ტუჩ-ულვაშითა და მხარ-ბეჭით ვაჟკაცებმა.

გიხაროდენ, საქართველოვ, გიხაროდენ, რომ ასეთების გვერდით ისეთებიც გყვანან ვისთვისაც მამული ტაძარია, და თვითონ მის წინ დამხობილი მლოცველი. ასეთი კაცი საქმითაც ლამპარია და შუბლითაც — დადის ამ ქართულ წუთისოფელში, სიკეთეს თესავს, სხვის შიმშილს პურად ჩაეფხვნება, სხვის წყურვილს წყაროდ ექცევა და სხვისა ტკივილსაც ზედ მალამოდ და არტახად დაედება. აი, როგორები ზრდიან ჩვენს აკვანში ჩაკრულს მომავალს, აი, ვისი მაგალითი გაგვიზრდის ყმაწვილებს ჭეშმარიტ მამულიშვილებად.

ბუნება და ვაჟა განუყოფელია. გენიალური ფშაველი ორგანულად შერწყმაა გარემომცველ სამყაროს და მისი მხატვრული აზროვნებაც სწორედ ამით არის გაპირობებული. აქ ეხსნება ფართო გზა ალეგორიას — ქართველი მამულიშვილის იშვიათი სიხარული და ხშირი ტკივილი ბუნების ნაირგვარ სურათსა თუ მოვლენებშია გამოხატული. ამის ტიპურ ნიმუშად გამოდგება თუნდაც ის ამონაკვესი, რომელსაც ერთობ პროზაული სათაური აქვს — „ზევზედ მოდიან ნისლები“... აყრილან, აჩეჩილან ხევებზე შავი ნისლები, ხევ-ხევ მოდიან და მობნელდებიან. აღარაი სჩანს ირგვლივ — არ ცა ბექ-ბუქი, არცა ღმერთთან მოსაუბრე მთანი. მზესაც აუკეცავს კალთები — აღარ უღიმის ტუჩ-პირი. ნისლები კი, ის შავი ნისლები, გაძევებული მოაბოტებენ, ყელებს იხლეჩენ სიმღერით, უხარიათ, რომ სინათლეს ჰქელვენ, მზესა ჰხვრეპენ და იმის სითბო-სინათლეს დედამიწის პირამდე არ უშვებენ.

ხევზედ მოდიან ნისლები
გაჯარებული მღერითა,
რაღარ ჰხარობენ ტივლები,
რომ მიწას ჰფარავენ ბნელითა!
ველარა ვხედავ ბეჩავი,
გამოქრენ წვერნი მთისანი,
ვაჰმე ველარა შვედებიან
სათბობად სხივნი მზისანი...

წელი წელს მისდევდა. რაღაც მიჰქონდა წარსულს, რაღაც მოჰქონდა ახალს, მაგრამ ღვთისმშობლის კალთას ისევ საკერებელივით ედო ღარიბი ფშავი, ისევ ძველებურად ბრავდა საქართველოს ჩინოვნიკი, „სუდია“, „ისპრავნიკი“ და ათასი სხვა მუზმუზელა. საცოდავ გლეხს საკუთარი მარჯვენა მკლავი ედო მუთაქად და ადამიანს მინდორსა თუ ნახირში ხვდებოდა, რომ ჯალაბისთვის ნიორწყალში ჩამბალი ხმიადი მაინც არ გამოელია, განა ვაჟა კი იმათი რიგისა არ იყო? განა იმას კი ფშაველი გლეხის გაჭირვება ზედ ჩერებივით არ ეკიდა? მაგრამ ყოველ ახალ წელსა თუ ქრისტესშობას მაინც იმედი მოჰქონდა — ეგება, ხვალ მაინც ამოშუქდეს ამდენ ხანს ნანატრი თავისუფლება და ერის ცხოვრება, ახლა რომ საწურბლე ჭაობივით ყარს, განიწმინდოს, ქართველი ქართველს დაემსგავსოს, დაწყლულებული სული მოირჩინოს და ისე შეხვდეს იმ თავისი ჯვარცმის შემდეგ დიდ ამაღლებას?

აბა, უთოვლო ახალი წელი ვინა სთქვა მთაში? თითქოს წინდაწინ ემზადებოდა გაღმა-გამოღმა ფშავი ამ დღისთვის. ჯერ კიდევ შემოღგომისთვის გამოგზავნის ხოლმე ზამთარი თავის მოციქულს — მშრალსა და მბზინავ თრთვილს. ღრუბლების სუნთქვა აწყვეტილ ქარაშოტად გადაუველის გაყუჩებულ ბექებს, ძილში წასულ მინდვრებს, უკანასკნელ ყვითელ ფოთლებს შეაწყვეტს მყუდროებაში მიქუჩებულ ბეჭებს. ნადირს ბუნაგში შერეკავს და ჰაერსაც სიცივის კანკალი შეუჯდება. აი, მაშინ კი აბოლდება ხოლმე ჩარგალი. ამოჰყრიან ბუხრის ყელები ფთილა-ფთილა ბოლს, გაიძაბება კვამლი ცივს ცაში და წავა მაღლა ზანტად, უნდობლად, ხან კიდევ იქავ, ყორე-ღობეს გაეყვანება ხრჩოლვა-ხველებით.

ასე მოდის დეკემბერი. მთები კიდევ უფრო გაშუქდებიან ახალი თოვლით, ცერზე შემდგარი ზვავები ჩაჰყურებენ ხევ-ხუვებს, დალაშლაშებენ მძიმე სვავები ღრანტეებში, მიუხტება ზამთარი არაგვსაც — გააჯვრილებს, ყინულის ხუნდებს დაადებს და ისიც, ბეჩავი, მიიბრძვის, ტორსა სცემს თეთრ ზამთარს, მაინც ხმელხმიანი და ომახიანი.

აი, მაშინ, ზამთარში უფრო გაუფიცხებს ხოლმე ლუკა სიმებს იმ თავის მჭვარტლიანს ფანდურს — იტყვის, ჩაჰმღერს, მერე ფიჩხის ალზე კალამწერილად გადაიტანს ქაღალდზე და გულიდან ერთ ხიწვს კიდევ გამოიძრობს. ასეთ ლექსებს „საახალწლო“ დაარქვა და, რაკი იმ ვაჟებს ეს ქუდი დაჰხურა, აღარც შეუცვლია. ამ მიძღვნებში ლუკას პირველ სალოცავად ახალ-უხლები ჰყავს. დიახ, ამ მწვანე ყლორ-

ტებზე იყვავილებს საქართველოს მომავალი, სხვა თაობა მოდის, სხვა ძილ-ღვიძილისა, საქმიანი, ძლიერი და არა მხოლოდ პირსიტყვიერი. იმათ ნაღვაწ-ნაქნარს მომავალი არ დაივიწყებს. ეგება რამ ეშველოს ქვეყანას მიწაზე დაღვრილმა ოფლმა, იანი აღმოაცენოს, „ნისლებმა გადაიაროს“, მზე ამობრძანდეს და აღაღანებულმა მინდორმა ცას შესცინოს, ეგება თავისუფლებამ მკვდარნიც გააგეიხაროს. საქმე და მხოლოდ საქმე, აი, რა უნდა გვეწეროს შუბლზე, თორემ ტახტზე ძვალ-რბილის მიგდებითა და მხართეძოს ქართული უქმობით აღარც ხარ და აღარც არა ხარ. ერთი მსუქანი სახელი თუ შეგფერის, როგორც ქართველთა შორის უქართველესმა თათქარიძეს დაანათლა და შაინც, პირველ რიგში, ქართველი ქალი ესახება ვაჟას მომავლის დვრიტად — ისევ ის თუ უშველის მამულს — ეს ძველი, დაუქცეველი ტაძარი, და დაუშრეტელი სანთელი. ეს პატარა ჰიმნი გურამიშვილის კალო-ხმით აქვს ვაჟას ნამღერი და ძალიან გვაგონებს მისი „დიდი პაპის“ ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ შესხმებს:

ქართველო ქალო,
ხმელეთის თვალო,
ცხოვრების ძალო,
არ გაგვაწყალო!
შენა ხარ ჩემი,
ვით ზღვაზე გემი —
ღელვა-შფოთის დროს,
მშრალზე გამტანი...

ნაღვერდალივით სცვივა მუხლმოყრილ ვაჟას ვედრების სიტყვები:

წარსულს მიჰხედე,
წინ გაიხედე,
გვიშველე, მოდი...

ზოგი ნაკვეთი ამ სევდიან-მხიარული „საახალწლოსი“ ინტიმური, ყოფითი ხასიათისაა. ვაჟას ფანდურის სიმზე წკიპურტივით უზის მოყვასის მსუბუქად მჩმეტავი, ღიმილიანი ლექსი. აბა, ამ ახალწლის ღამეს რამ მოაწყინა ბერბიძა? ფშავში საფიქრალ-სადარდებელი ვის არ უგროვია მატყლივით, მაგრამ ამ ღამეს მზე თუ არა, მთვარე მაინც უნდა იყო, თორემ

ახლებსაც მოგვეწყინება,
თუ შენც არ მაილხინეო.

ვერც უხედნ ბერკვიცებს გაუშვებს ლუკა შოლტის გადაუკვრელად. მაშ, რად მოხველ წუთისოფელში, თუ ოჯახის საკირეში არ იწ-

ვი, ბალღები არ დაგირბის და ჭაპანი არ დაგიჭიმავს, მაგრამ იმ შვილებსაც კარგი გაზრდა უნდა — მარტო ულვაშების ქართული გაწკეპა არაფერი ბედნაა. ბევრი ასეთი სისხლით თუ ჩვენია, გრძნობა-გონებით სხვისი — მთელი თავისი ცხოვრება ღამურას სიმღერას წრიპინებს და კალამიც გარყვნილი აქვს:

სისხლით ჩვენი ხრ, სულით კი
სხვას მიეკედლე რადაო?..
ჩვენთან შაბა უღელში,
საით მირბიხარ, სადაო?

ახალწლის ღამეა, ბედნიერი ღამე, მაგრამ მომავალი წლის საგლეხო ბეგარა ლუკას უკვე მხრებს უმძიმებს. ასეთია უსწორმასწორო წუთისოფელი, ბეჩავია, ზურგზე მთა ჰკიდია და ნეტავ როდის ჩამოიღებს ძირსა. სხვები? სხვებს რა უჭირთ, ბედნიერებსა, უფროსის სერთუკს სარჩულად გამოეკერებიან, ფეხის თითებს აულოკავენ, მათ წინაშე ხოხვით მუცლებს იცავეთენ, ბეჩავთან კი ელვად და მეხად იქცევიან ხოლმე, მაღლა აჭიმული წარბის ქვეშ უყენიათ ბნელი გლეხი, ჰფცქვიან, სთლიან და ჰბერტყავენ. ამ უმზეო ხალხს თავში დაობებული ტვინი უდევთ — მათთვის არც მოყვასი, არც ქრისტე და არც მირონია, სულ მუცლებზე დაიცქირებიან, სულ კუჭს ჩაჰყურებენ... მოუკვდეს ლუკას ამ ახალწლის ღამეს იმათი თავი, „იმათი გულის ჟინია“, მაგრამ ხომ არიან ცოტანი, ის ცოტანი, სული რომ სტკივათ ერის საწუხარით, მართალნი, მედგარნი, პატიოსანის სიტყვითა და საქმით. ლუკას ეს ლოცვაც ია-ვარდად დაეფინოს მათ ეკლიან გზაზე:

ღმერთსა ვსთხოვ, სამარეშდისა
შეგრჩეს სიმტკიცე სულისა.

ლუკას ზოგი კაფიის სტრიქონი სამართებელივით არის ალესილი, ნატყორცნი ისარივით წივის და ცეცხლივით ედება ადრესატს. აი, რამდენიმე ასეთიც — ზის ლუკა ბუხრის პირას, ცეცხლი რცხილის კუნძსა ჰფცქვნის და საამო რამ სითბო დგას რაზიკაანთ ბინაში. გარეთ კი ვარსკვლავები განაბულან მოწმენდილ ცაზე, თოვლი ახამხამებს თეთრ წამწამებს. ლუკას ფიქრი დოლაბივითა ჰბრუნავს. ღმერთო და ლაშარის ჯვარო, მაინც რამდენი ცრუპენტელა ჰყავს თეთრი დევის იღლიაში გამომწყვდეულ საქართველოს. ბევრ ჩვენებურს, გამართული წერა-კითხვა თუ ისწავლა, პატივმოყვარეობის ქავილი აუვარდება და მწერლის სახელს ნათხოვარი ქუდივით მოირგებს ხოლმე, მერე დაჯდება და ელაზღანდარავება სიტყვებს, აწუხებს ქაღალდს და იმას კი არად დაგიდევს, რომ მწერლობა ჯვარცმაა, თავ-

განწირვაა, ცივი სეტყვის ქვეშ თავშიშვლად დგომაა. იაფი ღირს იმათი კალამი, იაფი — ოღონდ სარგებელი ნახონ და დღეს თუ ანგელოზს უგალობენ, ხვალ ეშმაკს უხილავენ რწყილებსა. ამიტომ განაჩენივით დაუწერს ვაჟა ასეთ წაღმა-უკუღმა მავალებს:

ერთის სადილით ვიყიდი
მენს ცრუპენტელა კალამსა.

ასეა, ასე, მწერლობა ვარდის ყნოსვა არ არის, არც მარტო ბულბულობაა. საკუთარის ხელით გულს თუ არ ამოიგლეჯ და ერის საკურთხეველზე არ დასდევ, შენი მწერლობა კნუტის კნავილი იქნება, შენი კალამი კი ხის ჩხირი, ერთი ხმელი და ურგო რამ წიწკარი.

ეს იმიტომა, ჩემო კარგო, რომ

ჩხირკედელობით იქარვებ
გულზე მოწოლილს დარდსაო...

ნუ, ნუ დასცემთ ლუკას ამ მკვახე-მკვახისთვის კიჟინას, ნუ წაალებინებთ ზავსა და ნამქერს — ამაში ისედაც მარჯვეები ხართ. თუ განჯღრევთ, თქვენთვის განჯღრევთ, რომ გამოილვიძოთ, ქათმის სიბრმავე მოირჩინოთ და იმ მაისის წვიმად იქცეთ, იას რომ დაედინება, გააცოცხლებს და გაახარებს:

ჩუმად გატირებს ვაჟკაცსა
ჯავრი, გულს გადამდინარი,
მინდა, რომ გამოვაღვიძო
შენი კალამი, მძინარი.

ხვალ მეათე ათეულში გადადგება ეს საუკუნე — ეს 90 წლის ბებერი და, ვინ იცის, იქნებ... იქნებ... რა ბედნიერებას უქადის საქართველოს მომავალი წელი? ღმერთო, ცად აიტაცე ლუკას ვედრება:

ახალო წელო,
ფიქრებით მწველო,
გთხოვ, რომ ცხოვრება
არ გაგვიძნელო,
მოგვშორდი შხამო,
მოგვშორდი, გველო.

აშორე ერს ბილწი და ავი საქმე, „მოგვეც ყველას პირი და ზავი" — ერთი აზრის ხელეულით შეჰკარ საქართველო, ყველა ქართველი, ლუკასაც მკლავი უკურთხე.

ეთნოგრაფიული სიზუსტით აქვს ვაჟას აღწერილი ფშაველის საახალწლო სამზადისის, მისი სადგომის ყველა დეტალი. მკითხველი

შეაღებს, შეაჭრიალებს მუხის მძიმე კარს და ვრცელ გლეხურ დარბაზში ალმოჩნდება, კერაზე ცეცხლი ანთია, ალი ირხევა, ხმელ შეშას ტკაცა-ტკუცი გაუდის და ნახევრად შიშველ ბალღებს ელამუნება ძვალ-სახსრის დამაამებელი სითბო, განიერ ტახტზე ჩალის „ლოგინი“ აგია, საბნად კი ერთი ძველი ფარდაგი“ გდია და კიდევ რაღაც „ფლასები“. იქვე, „მივარდნილ კუთხეში“, ნიკორა ხარი ფშვინავს. ალბათ, მწვანე ზაფხული და მსუყე ბალახით სავსე იალაღი თუ აგონდება. შავი კატა ჩულიეით მიგდებულა ცეცხლის პირას, სჭუტავს იმ ეშმაკის თვალებს და კრუტუნებს. საკვერცხე დედალი იქექება საპურე გოდორზე, გვერდით ესპანელი იდალგოსავით დეზებიანი მამალი უზის, აბრიალებს თვალებს, დაიყურება ჭრელ ფრთა-ბუმბულზე — არიქა, ძილმა არ გაიტყუოს და ალიონი არ გამოეპაროს — პირველმა უნდა დაჰკრას ჩარგალში ნაღარა: — არიქა, სოფელო, დიდო და პატარავ, ადექით, გაიღვიძეთ, ახალწელი მოსულა, კაცოოო, ახალი წელიო.

სძინავს დარბაზს, სძინავს ფუძის ანგელოზსაც. მხოლოდ თეთრუა დიასახლისობს. სახმიადე ფქვილსა ცრის, თან თავისი კაცის დარდს ებრძვის. — აგე, როგორი თოვლი ძეს მთებზე, როგორა ჰღმუის ქარი. როდის მოუვა შირაქიდან, როდისა? ავაი, თუ მთის გზით წამოვიდა — სიკვდილს ვერსაით გადურჩება, ღმერთო, უშველე, წმინდაო გიორგი, წინ გამოუძელ!

გათენდება ის ღვთის დღეც. მეკვლე გაჰკვალავს თეთრუას გომსახლისკენ ახალ თოვლსა. გააგორებს დარბაზში ბედის კვერს და, თუ წალმა დაბრუნდა, მაშინ ხელმწიფე ღარიბი და თეთრუა მდიდარი — საქონლის დათვლით თვალი დაეღლება, პურ-მარცვლეულით ამბრები დაუსკდება და ვერც ფრინველს დაიტევს იმის ეზო-ყურე.

გაიტკბილეს თაფლ-კვერებით ტუჩები ბალღებმა. ამღერდა მამალი, აბღავლდა ნიკორა, მეკვლე კი დაბალ სამფეხზე ზის, წინ ტაბლა უდგას და ცალ მუხლზე წამოჩოქილი თეთრუას გაწუდილ ყანწსა სცლის.

ხინკალი, ხინკალი სადღა არისო, თქვა ახალმა წელმა, უხინკლოდ წავალ და უკან გაებრუნდებიო. აი, ისიცა — რა საამოდ თლუხთლუხებს განიერ ქვაბში, როგორის სიდინჯით ახყვება და ჩაჰყვება ხოლმე დუღილს. ემაგან უნდა თქვას, შაჭამანდი მქვიანო.

პირწყლიანი მეკვლე კი სადღეგრძელოს სადღეგრძელოზე ამბობს და არყის ალმური სცემს სახეზე.

მართლაც, რომ ყოფითი დეტალების ხატვის დიდოსტატია ვაჟა. გლეხის ცხოვრება, მისი წეს-ადათი მისთვის ხელისგულზე დაცქე-

რაა და ამითაც ჰგავს იგი თავის „დიდ პაპას“ — „ქაცვია მწყემსის“ შემოქმედს — დავით გურამიშვილს.

შენ, ჩემო დიდო პაპაო...

ფართოა და მომცველი ვაჟას „საახალწლოთა“ შინაარსი, მაგრამ ამისი ფიქრი უპირველესად მაინც სამშობლოს ბედ-იღბალს დასტრიალებს. მგოსნის წუხილს ის იწვევს, რომ სათანადო მოქმედებას ვერ ხედავს — აბა გულხელდაკრეფილს ან ღმერთმა რა მისცა, ან წუთისოფელმა? გარჯაა საჭირო, მძიმე თავზახრა, ბრძენის ჭკუა, თორემ ქართული საქმე სხვისა და გარეშესთვის ძირს დავარდნილი წამწამია — არც დახრად რომ ღირს და არც ძებნად. ობოლი ერი ვართო, ობოლი, — გამოგვძახის ვაჟა მეოცე საუკუნის დასაწყისიდან და მისი სიტყვების სიმართლე მალე დაადასტურა დრომ:

თვით უპატრონეთ თავის-თავს,
ნუ იმედოვნებთ სხვებზედა...

ეს სიტყვები კი ანდერძივით დაგვიტოვა დღევანდელ თაობას... მგოსნის მზერა წარსულისკენ მიმართულა. მისი პოეტური ხილვები თავს დასტრიალებენ ბრძოლის ველზე დაჭრილი შეილის მტირალ დედას, მკერდნაირევ ვაჟკაცს, რომელსაც მუხლმოყრილი ქალწული ასმევს წყალს, მთაში, კერის პირას მჯდომარე მოხუც ხევსურს — ფიქრის მორევს რომ ჩაუხვევია. ტიალო დროებავ, ტიალო მიეთ-მოეთო, მისდიხარ და მოდიხარ, კაცნი ე მაშინ ვიყავით, როცა ნეფე ერეკლე ხმლითა ჰკეპავდა ურჯულოს, როცა ჩვენი სისხლი მიჰღებაედა მიწას, როცა თავისუფლებას ვეძლქით მეციხოვნედ, თორემ ეხლა რაღაი...

ქართველი ხომ თავის ენას დაივიწყებს და სხვისას დაინთებს კელაპტრად. აბა, ისეთ ქართველს რა ნათელ-მირონი მოეკითხება? ვერ აუხსნია ვაჟას ზოგთა გადაგვარების, სულიერი გამოფიტვის მიზეზი: ქართულის გარდა.

სხვამ რამ-ღა უნდა დაატკბოს
ქართველი კაცის სმენაო?
დედინაცვალმა დედობა
ტყუილად დაიჩემაო..

დიდი პოეტი მადლიერებით სავსე სტრიქონებს უძღვნის რაფიელ ერისთავს, ვინც საერო კილოს, ანუ ხალხურ კილო-ხმას გაუჭრა კალაპოტი მწერლობის დედა-მდინარისკენ, ვინც „კისერ-ჟანგიანთა“ ჭირ-ვარამი გააგებინა ქართულ სიტყვას და ჩვენებური ველ-მინ-

დერის სუნთქვა შემოიტანა ლექსში. „სამშობლო ხევსურისას“ ავტორი დავით გურამიშვილთან ერთად ვაჟას შემოქმედების ნათლიებად და ხელოვდამსხმელებად წარმოგვიდგება.

ხან ჩაფიქრდება ხოლმე ვაჟა. აგერ ზოგნი ხომ ამბობენ, — ჯერ ისე არ გვიჭირს, ცოცხლებშავე დავიტიროთ თავიო. — იქნება ჭირთლა ასე იყოს. აგერა რას ამბობს რაფიელის ხევსური:

არ გაცალე მე ჩემს სამშობლოს
სხვა ქვეყნის სამოთხეზედაო...

იქნებ მართლა არც ისეა საქმე, იქნებ ხვალ-ზეგ მრუდი გაიმართოს, კირკალი გასწორდეს და თავისუფლებამ გაზაფხულის პირას ბალახივით იფეთქოს? იქნებ... იქნებ...

მანამდე კი მწერლობა ბრძოლის ველია... სისხლად უნდა იქცეს მელანი. ერთმა საქმემ და ერთმა ფიქრმა უნდა ციხე-გოდოლად შეკრას მთელი საქართველო.

ქართველი მწერლის დაუღლელ კალამს გაუმარჯოს, ძმებო, ახალწლის ამ ღამეს...

•

ბარი ბობოქრობს. პირზე ყველას „ერთობა“ აკერია. სხვადასხვა პარტიები ტალღებივით ეხლებიან ერთმანეთს, „მანიფესტებიც“ და „დეკლარაციებიც“ შემოდგომის ფოთოლივით ცვივა. ირგვლივ პოლიტიკური ვნებები დუღს. ერი გაითიშა, ვაკეზე მიგდებული წყალივით ათას ნაკადად დაიქსაქსა. ჟურნალ-გაზეთები ველარ იტევენ გახურებულ შუბლებზე ნაცხობ იდეებს. ორთაეიანი არწივი კი სისხლიან თვალებს აბრიალებს და დაბარბაცებულ იმპერიას ფრთებგაშლილი დარაჯობს. გურიაში ჯერ ისევ დაბოხავს ბოლი ნახანძრალ ნასოფლარებში. ჯერ არც წიწამურს შეშრობია ილიას სისხლი. მძიმე დრო უდგას საქართველოს, ვინ იცის, ხვალ რა იქნება, ბედის ბორბალი როგორ დაუტრიალდება...

ბუხარში შეგდებულ რცხილის კუნძს ძლივს გამოება ცეცხლის ალი. ჯერ აქეთ-იქით იტრიალა, გარეთ გამოიხედა, რაზიკაშვილიანთ ჯალაფს თვალი შეავლო და მერე შეშაზე აშიშინებული ნამი ალოკა. აეწვა ლუკას აცრემლებული ქუთუთო, ფერდიც რასმე სტეხდა. სათიბში ოფლიანზე თუ დაჰკრა ნიავმა. იქვე, ახლოს, თამარი ჩამჯდარა სამფეხზე. დღიური შრომით დაღლილი, ისიც ჩუმად არის და რაღაც ფიქრსა ჰქსოვს. დურა-ტყავში გაუჩინარებული ბალღების მშვიდი ფშვინვა ისმის. იძინონ ბეჩავებმა, იძინონ. სიზმარში მაინც ნა-

ხონ ყელიანი „ბაშმაკები“, წთელი ჩუსტები და ქალაქიდან ვითომ მა-მაის ამოტანილი ნუზლი და ნუგბარი.

დუმს ლუკა. ფიქრი კი, ეს ტიალი ფიქრი ხან სად წაილებს, ხან სადა. ყური საითაც არ უნდა შეაბრუნო, ყველგან „ერთობა“ გეს-მის. სოციალ-დემოკრატებმა ხომ სირცხვილიც ლაჯებსშუა ამოიდეს, საშობლოცა და ეროვნული ინტერესებიც. მიტინგებზე დატენილი ჩაუზერებივით იმიტომ დაიცლებიან ხოლმე, რომ ამერ-იმერი დააჯე-როს, თითქოს საქართველოს მაშინ ეშველება, როცა მთა-ბარი გას-წორდება, მგელი ბატკანს შობს და ერთისგან მეორის ჩაგვრას ბოლო მოეღება.

იმპერიას მხოლოდ რკინის აშვებული დევი-პროლეტარიატი თუ დაანგრევს, ამიტომ მთელმა კაცობრიობამ ეს ახალი მესია უნდა იწა-მოს, ბედნიერი მომავალი მუშას ოფლიან ზურგს აწერია და ვინც ვერ კითხულობს, კლასობრივი სიბრმავე სჭირსო. აი, რაებს წერენ თავიანთ ჟურნალ-გაზეთებსა და დეკლარაციებში. განა ლუკას კი არ სტკივა თავისი და სხვისი სიღარიბე? განა ისიც კევრის ქვეშ არ მო-იყოლა ცხოვრებამ? განა გაჭირვებამ, ცხელმა ოფლმა არ დაუღარა ნაადრევად სახე?! იმას რა აჯობებს, თუ სამოთხეს ციდან მიწაზე და-უშვებენ, მაგრამ ასეც რომ მოხდეს, მერე რაღა იქნება. ის, ვინც დღეს თანასწორობაზე ლაპარაკობს, ხვალ გასუქდება, ქონს დაიდებს, ხალხის კისერს ისეთივე უნაგირად გაიხდის, როგორც დღეს აქვთ წუთისოფლის ძლიერთა. იმაზე საშინელება კი არაფერია, როცა სა-მართლიანობის, თანასწორობის საფარველქვეშ უსამართლობა და უთანასწორობა ბარტყობს. სწორედ მაშინ ემსგავსება ხალხი პირაკ-რულ ბრბოს, საზოგადოება მზეზე მიგდებული ლეშის სისწრაფით იხრწნება, ასპარეზი მლიქვნელებს, მედროვეებსა და ოინბაზებს რჩე-ბათ და ეს ყველაფერი კი ისეთ ურჩხულს გაზრდის, რომელიც ვერც სისხლით გაძღება, ვერც სხვისა ტანჯვითა და კვნესით. მისი სახელი კი დიქტატორი ყოფილა ყველა დროს.

სადღაც, ალბათ განჯინაში, წრიპინი გაისმა, მერე რაღაც გაფხა-კუნდა და ისევ დუმილმა დაიბუდა.

— ის შენი ქალაქიდან ამოტანილი სათაგური სულ უქმობს, ლუ-კავ, აგვიკლეს ამ ტივლებმა, — აძრახდა თამარი.

— ეგენიც ღვთის გაჩენილები არიან, — ხმადაბლა ჩაილაპარაკა ლუკამ, — მაგათი წუთისოფელიც ეგ არის...

თამარმა ღიმილით გადაიქნია თავი, აბა, რაღა თქვას, ასეთი ჰყავ ლუკაი... ასეთი...

ცეცხლი მატულობდა. ხანდახან ხეხმელი ისე ტყვრებოდა, თით-ქოს ვინმეს ნაკვერჩხალში წაბლი შეეყაროს.

უყვარდა ლუკას ცეცხლი. ამშვიდებდა, ფიქრებს ულაგებდა, ძვალსახსარს უწყნარებდა. ახლაც იდაყვზე ჩამოყრდნობილი შეჰყურებდა ჩრდილების უცნაურ ფრესკებს სადგომის დაბალ კედლებზე.

სოციალ-დემოკრატები... მენშევიკები... ბოლშევიკები... დასები... რა უნდა მოხდეს იმაზე მეტი, რაც მოხდა? ილია მოკლეს. მერე კი, მერე თავხედობამ სულ წაიყარა ალვირი — ტყეს როცა ჭრიან, ნაფოტები ცვივაო. სადაც ეს ორი რამ მოხდება და ითქმის, იქ ქვეყანაც ბედისწერის ბეწვის ხიდზე დგას და ერიც.

ილია მოკლეს...

ეს ორი სიტყვა საქართველოს მკერდზე დაკრული ორი ხანჯალია.

სულ სხვანაირი ერთობა უნდოდა ილიას. ამათთვის კი ერი, ქართველობა „ქართლის ცხოვრებაში“ ამოკითხული და წარსულს ჩაბარებული ცნებებია. რა დროს საქართველო, ან მისი ღობე-საზღვარია. როცა მთელი ქვეყნიერება პროლეტარიატის საერთო სახლად უნდა აქციონ, ამერ-იმერი საკურატე ხარივით ძირს გაიგდონ და სალახივით ყელი გამოსჭრან. აი, რატომ აირივნენ ყვავ-ყორნებიც ილიას აჩრდილის გარშემო, რატომ დასჩხავიან და დაჰყრანტალებენ მის სახელს.

ილიას სხვა ერთობა უნდოდა, ისეთი ერთობა, ყველა ქართველს რომ ტაძრად შეეყვანდა მამულისთვის სალოცავად. ერთ უძლეველობად აქცევდა და სამშობლოს თავისუფლებისთვის თავს დაადებინებდა. ამიტომაც არ დაინდეს და ტყვია დაახალეს.

თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოში უნდა ჩამოეხსნა ქართველს სოციალური ტვირთი. ეს იყო ილიას ოცნება. ლუკას ოცნებაც ეს არის, თორემ, თუ საქართველო ერთობის დიდმა პირმა გადაყლაპა, მაშინ რაღა ფასი ჰქონია ამ ვეშაპად ქცეულ სიტყვას?

არა, სოციალ-დემოკრატებისგან არა გამოვა რა. ეხლაც რომ სისხლში ავლებენ იმ თავის იდეებს, მერე რაღას იქმენ. თუ ბელადობას ხელი სტაცეს? ვის რაში უნდა ისეთი ერთობა, რომელიც ერს საკუთარ ხმასა და იერს დააკარგვინებს, სახეს წაუშლის, ხსოვნას წაართმევს და დაჰკარგავს?

ილიას, სხვა ერთობა უნდოდა, ბატონებო, სხვა, სწორედ ისეთი, ქართველის სულს რომ ააყვავებდა, ერის ენერგიას ჩანჩქერივით მიუშვებდა ისტორიის გაჩერებული ბორბლის ასაბრუნებლად... თქვენ კი მანამ ვერ იპოვით ქართველის გულსა, სანამ ბლინი და ნაზუქი ერთმანეთში გერევათ.

ლუკა წამოდგა, თამარს მზერა გადაჰკრა და ფანჯარასთან მიდგა.

— დაწექ, ლუკავ, დაწექ, ღრუბელივით რასმე ჩაშავებულხარ, და-

ისვენოდეს კაცო, — ალერსით გამტკბარი ხმით ეუბნება თამარი, — ხომ გაგიგია: ღამე გლეხისა, დღე — აზნაურისაო.

— ძილით ქართველზე მდიდარი ვინ არის? — მწარედ ჩაიღიმა ლუკამ და აგიზგიზებულ კუნძს ასტამი ჰკრა, ნაკვერჩხალი გადმოშალა.

მთვარე გადმოცურდა მთის თხემიდან, ღრუბელში გაიარა და იქიდან გამოსულმა ცრიატი სინათლე მოჰფინა ძილში წასულ მთებს.

„მოჰკლავენ საქართველოს, მოჰკლავენ"... თვითონ არ მოკვდება ბებერი ლომი. არა, ეგენი მოჰკლავენ, დაჰკუწვენ, დაჰკეპენ, სულს გაურყვნიან, ენასა და რწმენას გაუუპატიურებენ.

ილია ხომ მოკლეს...

ლამის ფეხზე წამოვარდეს ლუკა, გარეთ გავარდეს და ბარისკენ გასძახოს:

„გონს მოდით, ხალხო, გონს მოდით..."

მთები კი, დალოცვილნი, დგანან, აჰყურებენ მაღლა ცას, ტანტყიანები, ღარბაისელნი, მამაცნი, ალაგ-ალაგ თეთრი ნაბდებივით გაუშლიათ ნათოვლი ფერდობები, ლამაზი ქალივით გადაუწვენიათ მკლავზე მთვარის სხივები. რაც ქვეყნიერება გაჩენილა, ასე სცხოვრობენ, ერთად ერთმანეთის რიდითა და პატივისცემით, ასეთი ერთობა სწამს მხოლოდ ლუკას, მთათა ერთობა, ღვთიური ჰარმონიის ურღვევი მარადისობა, რიღათი ვერ მიაღწია კაცობრიობამ ასეთ იდილიას? სულ სდუღხარ და არა სჩერდები, ადამიანის გულო და გონებავ, სულ რაღაცას ეძებ, პოულობ და კარგავ, კარგავ და პოულობ, მთები კი, მთები, სცხოვრობენ თავისი ლამაზის ცხოვრებით, ლამაზის ერთობით.

იმ ღამეს გამოიკვირტა ვაჟას კალამზე ფართო მკითხველისათვის არცთუ ისე ცნობილი პოემა „მთათა ერთობა".

დილით, როცა თამარი საქონლის ზმუილმა გამოაღვიძა და ფეხზე ადგა, ბუხართან ძელსკამზე მიძინებული, ნაბადმოხურული ლუკა დაინახა, სამფეხზე ნაწერი ფურცლები ეყარა, განჯინიდან კი ისევ გამოისმოდა თაგვების წრიპინი.

„აგვიკლეს ტივლებმა, აგვიკლეს".

რა ჰქნას თამარმა, რა ჰქნას, ასეთი ჰყავ ლუკაი, ასეთი...

ბარიდან ერთობის ამბავი ამოსვლიათ მთებსა. ამიტომ გაუმართავთ თათბირი კავკასიონის უხუცესებს: იალბუზს, მყინვარს, სპეროზას, ბორბალოს. რა ჰქნან, რა პასუხი გაგზავნონ, რა გააცნონ მტრედივით გაფრენილ უსტარს?

თურმე ბარში უთანასწორობის მოსპობა გადაუწყვეტიათ. კაცთა მოდგმიდან ბეჩავობა უნდა ამოაგდონ, ძმობის ზიდი გასდონ და ზედ კაცთმოყვარეობა, სიკეთე, სიყვარული გაატარონ.

ბარაქალა... ბარაქალა...

ტიალო, სიღარიბევ, ტიალო გაჭირვებავ, ტიალო ცხოვრებავ, ერთს რომ სავსე ტაბლას მიუდგამ, მეორეს ქვას რაღად აკვნეტინებ, საკერებლებში რად დააბერებ და მღილივით ჩაჰკლავ?

ბევრია: საწყლობაშია
გადაქცეული ნაცრადა,
სხვა ფუფუნებას განიცდის,
ტანჯვა-ვაების ნაცვლადა.
კ დეც ეს გარემოება
ჰბადებს შურსა და მტრობასა —
ერთი მგელია კაცთ შორის,
მეორე უწევს ცხვრობასა...

აბა, რაღად გავწელოთ სიტყვა, როცა ვაჟას აზრი ამ საკითხზე ისეც კოცონივით ანთია. სხვა რამ უჭინჭრავს ლუკას გულსა და მკერდს უკაწრავს. იგუებს კი ადამიანის ბუნება, მისი სულის იდუმალი მექანიზმი ასეთ ფერისცვალებას? საზოგადოების, კაცობრიობის განვითარებას, მის სტრუქტურას სრულიად სხვა კანონზომიერებანი მართავენ, თუ ეს ყველაფერი მხოლოდ ცხელ-ცხელი თეორიების, უმწიფარი ნაყოფი, უხელფეხო უტოპია და მეტი არაფერი? განა მგელი შეიძლება მგლობას გადააჩვიო? ეს ხომ ბუნების კანონზომიერებაში უშედეგო ჩარევა იქნება, ნეტავ ცხვარიც ცხვრის გარდა რა შეიძლება იყოს ამ მზითა და მთვარით ბედნიერ დედამიწაზე? იქნება ეს ყველაფერი, რაც აქამდე გაკეთებულა და ახლაც კეთდება სოციალური თანასწორობისათვის, ილუზიაა, თვით კაცობრიობის, როგორც ცოცხალი ორგანიზმის, ბუნებრივი განვითარებაში ხელოვნური ჩარევა და ამისაგან არა გამოვა რა? ვინ იცის... ვინ იცის... ამიტომ არის რომ გვირგვინოსანი მყინვარი თავისას ხმამაღლა ამბობს დარბაისელთა თათბირზე:

ეგ მართალია, ბატონო,
ვიდრემდის ცხვარი ცხვარია,
არ უნდა მგელი მოისპოს,
ან ცხვარი გაიცალოს.
ერთად იქმთი ცხოვრება
მეტად შეუძლო არია,
ან ძაღლი უნდა, რამდენიც
ფარაში თხა და ცხვარია...

როგორც იტყვიან, თოვლი იმდენად თეთრია, რომ ამაზე ყურადღების გამახვილებას აზრი არა აქვს, ვაჟას პოზიცია სავსებით ნათელია.

ჟაშ რაშია საქმე, რაღად ბობოქრობს ისტორია, რად გუგუნებს

ხალმე რევოლუციათა ცეცხლი, რა გსურს, რა გინდა. საით ისწრაფვი, უცნაურო და იდუმალო არსებავ, ღვთის ხელდასხმულო, მოფუსფუსე და მოუსვენარო ადამიანო! იგუებს კი შენი ბუნება ერთხელ მიღწეულს? გააჩერებს-ღა რაიმე შენი სულის დულილს? არა, არა. რადგან შენ მუდმივი ძიების, ძებნის ბედისწერით ხარ დადაღული. აქნებ ამიტომაც ხარ უბედური?

ვინ იცის, ვინ იცის...

განა კაცთა უბედურების მიზეზი მხოლოდ სოციალური უთანასწორობაა? მაშ რატომ არის, რომ ზოგჯერ ცხვრებიც ერთმანეთს დუმას სცემენ და მარტო კომბალი თუ გააჩერებთ ხოლმე? ასეა ადამიანიც: უთანხმოების თესლი თვით მის ბუნებაში ჰღვივის. ეგება ამიტომაც არის ამ ქვეყანაზე მოვლინებული, ეგება ეს არის ყველაფრის თავი და ბოლო?

მე ისიც ბევრჯერა ვნახე,
რომ კრავსა სცემდეს ცხვარია.
ცხვარს მტრადა მგელი არა ჰყავს,
ბევრჯელ თავისი თაეია,
მაშასადამე, ბუნებაც
თავად ცხვრებისაც ავია..
საფიქრებელი ესაა,
პირველი საკითხავია...

რამდენჯერ უნახავს ლუკას მთების სისხლიანი დრამა — კლდის ქიმზე ცივი უფსკრულის პირას, სადაც ორბიც ძლივს მოიკიდებს ბრჭყალს, ჯიხვების ხორო გადმოდგება ხოლმე, ფეხ-ჩლიქსა სცემენ სიპებს, კლდესა ჰყნოსავენ, მიდამოს ჰზფერფენ — სად ჯიქის თბილი ნაწოლია, სად არწივი პატარა წერტილად დაკარგულა ცაში, რომ ქუხილით დაეცეს დედის ფერდზე აკრულ ფოთრს, მაგრამ ზოგჯერ რატომღა ჩაებმიან ერთმანეთს რქებით, რატომ ტყვრებიან მათ ნაკრავზე კლდეები, იშლება ღორღი და ხრიალით ჩადის ბნელ ხევებში? დაჭარცხებული ჩაეკიდება ხოლმე ნისლის ნაფლეთებით სავსე უფსკრულს, მერე კი სვავების ყაშყაში შაესმით ნაცრისფერ ჭიუხებს. გდია ლეშად, მზეთვალი, რქააგრეხილი, ტანზე გადასდის სისხლი და თავის უძლური წამოწევით, ასო-სახსრის თრთოლვით ნებდება სიკვდილს...

რამდენი ჯიხვი ჯიხვისგან
ნაცემი ჩადგა ხევათა
გაღაგვილება კლდეზედა,
გულს დამსობია ეკლადა.

სად არის, სად, უსამართლობის სათავე, დღემდე მიუგნებელი და

კაცთათვის მიუწვდომელი? თორემ ნარ-ეკლის ამოგდება რომ კაცობრიობის დიდი ხნის ოცნებაა, ვინ არ იცის?

შენა, მძლავრო, ტანითა და ხორცით სავსევ, სიმდიდრით სულგაქსუებულო, შენსავე მსგავსს რომ ზედ კოლოდ აზიხარ და წურბელად მოჰკიდებიხარ, შობა-აღდგომას ტაძრად როგორ შედიხარ, სანთელს როგორ ანთებ, შენის ბილწი მზერით მაცხოვარს როგორ შეჰყურებ? არა გრცხვენისა, არას გეუბნება მის თავზე დარქმული ეკლის გვირგვინი? ან ღვთისა არ გეშინია და ან ღვთისშვილთა? დიდი რამ ცოდვაა ადამიანისგან ადამიანის ჩაგვრა, მაგრამ იმას რაღა უნდა დაერქვას, როცა ერთი ერი მეორეს დაიმონებს, გაუბატონდება და გააზნაურდება?

დედამიწის ნაცვეთ ზურგზე ამაზე დიდი უბედურება არსად მოიძებნება. ეს ვაჟას რწმენაა, მისი სულისა და გონების ნაჟური. სამარცხვინოა ადამიანობისთვის ბრძოლა ჯერ აქედან უნდა დაიწყოს — ყველა ხალხს თვითონ უნდა ჰქონდეს საკუთარი ბედის წარმართვის უფლება. ეროვნული ჩაგვრა ნაბიჯს უმოკლებს არა მარტო დამონებულ ერს, არამედ საერთოდ პროგრესისკენ მავალ კაცობრიობას, სულს უძარცვავს და გონებას უქრობს. რა უწერია მახვილზე ისტორიის ასეთ მეკობრეს? თვალისა და გულისთვის საამო არაფერი, ენა ამოჰგლიჯოს, სული გაუმეძავოს დამონებულს, ხსოვნა ამოუშანთოს, დაავიწყოს, თუ ერთ დროს ვინმე იყო და რამე უკეთებია, ტაძარ-სალოცავი თავლა-საბძელად უქციოს, რომ სანთლის დასანთებელი აღარსად ჰქონდეს, გაჰქელოს, ძირს ნაბდად და თექად გაიგდოს.

თუ ერომა მეორე ერი
ჯაბუყრო, დაიმონავა,
გაანადგურებს, გაჰქელავს,
არ მოიბრალებს ოდნავა;
სულს აძრობა, ჰკვეთავს ენასა,
არ ითმენენებს სათქმელსა,
თავის ენაზე, თვის რჯულზე
არ ანთებინებს სანთელსა..
ვინ მოსთელის, უსამართლობას
საწყალს დაპმართებს რამდენსა...

რა თქმა უნდა, ამ სტრიქონების წერისას ვაჟას თავისი ბედნავსი, ტანჯული სამშობლო უდგას თვალწინ.

იმისათვის დაჩენილან, იმისთვის გავეშაპებულან დიდი იმპერიები, რომ პატარა ერები ლიფსიტებივით გადაუშვან ხახა-სტომაქში, მათი სახსენებელი ამოაგდონ, თავს მოახვიონ თავისი ენა, თავისი კულტურა. აი, ძალმომრეობის, ეროვნული ჩაგვრის საბოლოო მიზა-

ნი. მერედა რას იპოვიდა, ან რას იპოვის კაცობრიობა ამით? რას იქადის–მეთქი, თუ მრავალფეროვნება დაჰკარგა, თუ ყველა ერმა, დიდმა და პატარამ თავისი კენჭი არ ჩააგდო იმ დიდი ტაძრის მოზაიკაში, საერთო-საკაცობრიო კულტურა და ცივილიზაცია რომ ჰქვია?

ყველა ერთ ხმაზე ვამღეროთ,
დავკარგოთ დიდი ლაბათი?

იმაზე ცუდი რაღაა,
განსხვავდებოდეთ არათი?

ამ სიტყვებით საესებით ცხადად არის გამოკვეთილი ვაჟას პოლიტიკური კრედო, მაგრამ, ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში მას მხედველობაში ჰყავს არა მხოლოდ რუსეთის იმპერია, არამედ გენიალური გონების სხივნათელს უწვდენს იმ შორეულ პერსპექტივასაც, რასაც „ერთობა“, სოციალ-დემოკრატთა პოლიტიკურ-სოციალური პლატფორმა უმზადებდა საქართველოს.

ეს ვაჟას პოზიციაა, მისი მრწამსი და, ალბათ, ამით უნდა აიხსნას ის გარემოებაც, რომ შემდეგ გამარჯვებული სოციალ-დემოკრატიისთვის, საბჭოთა ხელისუფლებისთვის ვაჟა მიუღებელი გახდა როგორც თავისი ეროვნული შეხედულებისთვის, ისე სოციალური პრობლემატიკისადმი კლავ ნაციონალური კუთხით მიდგომს გამო, რაც მას გამოკვეთდა, როგორც ილია ჭავჭავაძის გზის ერთგულ გამგრძელებელს და, ნებსით თუ უნებლიედ, აყენებდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პოზიციაზე, თუმცა ვაჟა ყოველგვარ პარტიულობაზე მაღლა იდგა, როგორც მწვერვალი წამოცუცქულ ბორცვაკთა შორის.

შეუძლებელია, ვაჟას გენიას ქვეცნობიერად არ განეჭვრიტა, რომ სოციალ-დემოკრატთა საბოლოო მიზანი ვერ ასცდებოდა ერთი რომელიმე, რიცხვმრავალი ხალხის იმპერიულ ამბიციებს და საქართველოს, ქართველი ხალხის პროლეტარულ, უსაზღვრო და უისტორიო ამურ ოჯახში უცხოსთან გათქვეფისა და გაქრობის რეალური პერსპექტივა ესახებოდა...

ამიტომ მიიჩნევს იგი ბარის „ერთობას“ იმად, რადაც მთათა სული ვერ იგუებს; ანუ სოციალ-დემოკრატთა შეხედულებები ვერ გახდებოდა გასაზიარებელი და მისაღები მთელი საქართველოსთვის, მთელი ქართველი ხალხისთვის. ასე ფიქრობს ვაჟა...

* *

დავით გურამიშვილის სახელი ვაჟასთვის დიდი პოეზიის, ქართული სიტყვის გათარხნებისა და დაკარგული დიდების დაბრუნების

სინონიმი იყო. მოწიწებით ახსენებდა ლუკა „დავითიანს". „ვეფხისტყაოსანი" თუ ქართული სულის ზეიმი, სიბრძნის, სილამაზის, სიკეთის გამარჯვების ჰიმნია, წიგნთა მეფეა, დავითის კალმის ნაჯაფი, მისი ნიჭის ნამკალ-ნალეწი ყვავილ-ბალახის სუნთქვით არის გამთბარი. დაღლილი ხარის ფშვინვა ისმის მის სტრიქონში, გუთნისდედასავით ჩასცქერის მშობლიურ მიწას და იქ კითხულობს ქართლის ჭირ-ვარამს, ხმის კილოც მსუბუქი ნიავისა აქვს. ლექსში ხან საბძელის სიმყუდროვე უდგას, ხან დაყენებული ჯეჯილის სითამამით უღელავს სტრიქონი, ხან კიდევ ცად წასულ ფიქრებს გააყოლებს ხოლმე მზერას სამშობლოდან შორს გახვეწილი, ქართლის ბედზე ფიქრით თავჩაკიდებული მოხუცი. მისი მშვენიერი ლექსები მალამოდ წაესმის ხოლმე ვაჟას სულის გახსნილ იარასაც. ვისა, თუ არა გენიოსს, დიდი მადლის კაცს შეეძლო ეთქვა გულის სისხლს ამოყოლილი სიტყვები:

ქართლის ჰირსა ვერვინ მოსთვლის,
თუ არ ბრძენი, ენა-მჭევრი,
ოფლი ღვარძლად გარდაიქცა,
ზედ მობრუნდა ცეცხლის კვერა...

ეს ფსალმუნი როდის ითქვა? როცა სინდისი კახპის დალალ-კავით დადიოდა ქართლ-კახეთში, ძმა ძმის სისხლით იღებავდა ტუჩებს და მთავარე მზეს სწყეველიდა, როცა ძირძველი ქართველი თავის გვარსა და სახელს სპარსულ დრაქმაზე ჰყიდდა, როცა ქართლი ლეკს იღლიაში ჰქონდა ამოჩრილი და დაღესტნისკენ მიარბენინებდა და არსაიდან ჩანდა ხსნა. მაგრამ განა დღეს კი ასე არ არის? აქ მთაა, ძმისავე, უფლის სადგომი, აბა ბარს ჩახედე, როგორი ქარბორბალა წივის, იდეების როგორი ხოშკაკალა ცვივა. ნეტავ განაბათ, როგორ მიეტევებიან ხოლმე ერთმანეთს ლოგიკის ჩარხზე ალესილი „რეჩებით", როგორ იჭნევენ სატევრებივით მარჯვენებს, ის კი ავიწყდებათ, ბეჩავებს, რომ სამშობლო, ღმერთივით ერთია, ერთია და ყველა იდეა, ყველა „პროგრამა", ყველა პარტია იმის ტკივილებს უნდა დავანაყოთ წამლად. ჰო, ეგრეა, ეგრე, აირივა ქვეყანა, სხვა რამ ხალხი გაჩნდა, სხვა ხმა-ყელის, ფიქრ-ღრუბლიანი, უნდო, ყველა ვაცივით გაბოტილა, ყველას ერისკაცობა, ბელადობა სწყურია და სინდისი კი დაბლა ეპნევათ, სჯერა ლუკას, კაენის ცოდვა ისევ დატრიალდება საქართველოში, ისევ ამაღლდება ძმისგან ძმისთვის მოსაქნევი კეტი და მგელსაც მეტი რა უნდა — სადაც ფარას დასხლეტილი, აბორიალებული ცხვრებია, ისიც უმალვე იქ გაჩნდება კბილზე ალესილი კბილით, მგლური უძღომელობით და ცივი შუქით ანთებული თვალებით.

როგორ უნდა ლუკას თავისი სულის კვეთილი გადააწვდინოს საქართველოს: რას სჩადით, რასა? საით მიაქანებთ ქართლის ბედს, რად აკვნესებთ საფლავშიაც ილიას? ვერა ხედავთ, რომ ვიღუპებით, ვერა ხედავთ, რომ ქართველმა ახლაც, როგორც მაშინ, იმ ცეცხლით სავსე საუკუნეში, სინდისი ულვაშივით ჩამოიპარსა და მაშინ თუ ბალიშ-მუთაქაზე სპარსულად მოიკეცა, ახლა ევროპულად გაიპუდრა, ნაწყენი კრუხივით აკაკანდა, კოსმოპოლიტის უსახო ნიღაბი მოირგო და ხვალ საქართველოს ისედაც ქამარივით მჭიდროდ მიჭერილ საზღვარს შეხსნის, ალაზნის ველს დაჰკუწავს, მთებსაც დუმასავით დაჭრის, რომ მსოფლიო პროლეტარიატის გამოწვდილ ხელებს ჩიჩქად და ნაჭრად ჩამოურიგოს.

რას სჩადით, რასა? — გრიალებს ვაჟას სული. გონს მოდით, „იგონიერეთ“, სანამ ამერ-იმერს ჯერ კიდევ საქართველო ჰქვია.

ვინ იყო ყურის დამგდები...

მ რთლაც, „ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის“... როგორ ესადაგება ლუკას გულს დავითის ძველი ტკივილი. ღმერთს კარგავს საქართველო, დავით, ხატს კარგავს საქართველო. სიხარბემ, განუკითხაობამ, პოლიტიკურმა მეძავობამ ჭაობივით აამყაყა ბარი.

ისევ უჭირს შენს ქართლს, გურამიშვილო. იქნებ უფრო მეტადაც უჭირს. ვიდრე მაშინ, როცა სპარს-ოსმალოსა და ლეკ-დიდოთა ცხენის ფლოქვები ეყარა ზედ.

ვინ უნდა თქვას ლუკამ ძველ მწერლობაში, ვისაც სიტყვის გუმანი, სულის თრთოლვა და ლექსის გემო-ფერი უგავს? ისევ დავითი, ისევ შენ „ჩემო დიდო პაპაო“... მეც შენი ტკივილი მაწვეს მკერდზე, მეც შენი მდუღარე ცრემლები მეღვრება ფშავის წვიმით ნაკენკსა და არაგვისხევის ნიავით გამოქარგულ ყბებზე.

კილოთიც ბაძავს ლუკა გურამიშვილს, სიტყვის ყელმოღერებითაც. ისიც დავითივით თლის სტვირს დუყელას ნედლი ღერიდან თავის ორ პოემაში — ერთს რომ „დედა-შვილობა“ ჰქვია და მეორეს — „სვინდისი“. ორივე დამაფიქრებელი სათაურია, ორივე მიზნისკენ თოფის ლულასავით გაშვერილი...

დედაე, გვიამბე,
რა ჰქნა წეროძა?
დედა
რა უნდა ექნა,
მოჰკლა ბეროძა.

ალბათ, გეცნო, მკითხველო, გურამიშვილისეული, მერცხალივით ასხლტილი კილო ლექსისა, გლეხის დარბაზში სასაუბრო ქართულით გაკეთილშობილებული, ჯეჯილივით რომ ღაღანებს და ჩვენი

ველ-მინდვრის სურნელებით არის სავსე...

ან კიდევ:

ვის უთმენია,
ვერ უთმენია
იმას ღამენ...

გურამიშვილივით ხმელ წიწკორებად ამტვრევს ვაჟა სტრიქონებს, რომ ჭეშმარიტი პოეზიის ცეცხლი დააგიზგიზოს ზნეთსწავლულებით სავსე ამ პოემაში, რომელსაც გამოცდილი ოსტატის მარჯვენის მადლი ატყვია, ოსტატისა, რომელსაც ლაღად უმღერის ფშავის კლდეებზე ნალესი კალამი.

საოცარ ინტიმს, განწყობილების სიმყუდროვეს ქმნის დედა-შვილებს შორის გაბმული დიალოგის ფორმა. თითქოს ხედავ, როგორ შემოსხდომიან ფართო ქართულ ტახტზე მოკეცილ დედას თვალვარსკვლავა გოგო-ბიჭები, როგორ გუზგუზებს შემჭვარტლულ ბუხარში ხმელი კუნძი და როგორ იცინის ცეცხლი ქოხ-სახლის ბინდ-ბუნდში. არც გვიკვირს — დავით გურამიშვილი ხომ განწყობილების შექმნის დიღოსტატია. ამ შემთხვევაში კი ვაჟას გლეხურად დაშაშრული, ჟანგისფერი თითები დავითის ჩანგის სიმებს ათრთოლებენ. მაინც რა მომხდარა ისეთი? თითქოს ბევრი არაფერი — წერო მოუკლავს სიღარიბით გატანჯულ ბეროს. მაშ რა ექნა, ცოცხალს ჩიჩახვში ხომ ვერ ჩახედავდა? ამ მაღალსა და წვრილფეხა ფრინველს კი სწორედ იქა სდებია მტრედის კვერცხისხელა მარგალიტი.

და ჰქმნა ცოდვა ბერომა — მოჰკლა წერო. მაგრამ ნეტა ეს არ ექნა, ნეტა ის ტყვია გეზად წასვლოდა. ვიზუალურადაც კი აღსაქმელია, ბალღების გაკვირვებისგან ანთებული სახეები. ბავშვური ცნობისწადილი რა უშუალობით ელინდება მათ კითხვაში:

გასა რა მოჰხდა?
გარა რა ჭაჰხდა?

გარდა ამისა, კითხვის ასეთი ინტენსიურობა, კითხვით სიტყვის ჯამეორება ამძაფრებს თვითონ მკითხველის ინტერესს მოთხრობილი ამბისადმი, ახდენს ლაიტმოტივზე მისი ყურადღების აქცენტირებას, რასაც კიდევ უფრო გამოკვეთს დედის პასუხი:

იმასაც გეტყვით...
რა ცეცხლი გერტყმისთ
უთმენლობისა?..

ეს „პედაგოგიური პოემა", ალბათ, მხოლოდ პატარების სულის დასაპურებლად არ უწერია ვაჟას. მარტო იმიტომ არ უწერია, რომ

ბუნებისადმი სიყვარულის ცეცხლი წამოანთოს ბალღების გულში. თუმცა ძირითადად მაინც ეს მიზანი პირველობს. ის, რაც გარშემო გვარტყია — მთა და ველი, ტყე და მთვარე, ჩვენივე სიცოცხლის მშვენება, ჩვენი ამ ქვეყნად ყოფნის ჯავარია და მისი ხელყოფა ჩვენვე მოგვკვეთს მკლავს. ბუნება არავის არ აპატიებს მისი წეს-კანონის უგულვებელყოფას. დაე, მოკლე შარვლიდან და მოკლე კაბებიდანვე იცოდნენ ეს გოგო-ბიჭებმა. განა ტყუილად დაგვცქერის ზემოდან ცა, განა მადლი აღარ მადლობს და ცოდვა აღარ ცოდვილობს? წეროც ღვთის გაჩენილია. იყოს და იცოცხლოს იმ თავისის გრძელი ფეხკისრითა და წერაქვის ნისკარტით, იყოს და იცოცხლოს. და ეს „სადიდო" აზრი ისეთი ლაღი უბრალოებით არის მიტანილი ბავშვებამდე დედის თბილი, ალერსით სავსე ხმით, რომ მკითხველს თვალები მოგიწყლიანდება.

იყავნ, ბუნებავ, იყავნ...

უშენოდ ვინ ვართ და ვინ ვიქნებით უშენოდ. ადამიანო შენი სიცოცხლის დვრიტა იმაშია, რაც დახტის, დარბის, დაჩოჩავს ნედლ დედამიწაზე, რაც ჰაერში დაფრინავს, რაც წყალში დასრიალებს. მთაშია, კლდეშია, ბალახშია, ყვავილშია, წყაროშია, ჩანჩქერშია, კლდისთავზე წამოყუნტულ ჭორფლიან ლოდსა თუ გრილშუბლიან ბექში. ეს ყველაფერი ერთად შენა ხარ, შენი სიცოცხლეა. მაშ სადღა იმზირები, სად ეძებ ნატვრისთვალს, როცა აქ თვალი პატიოსანი ზედ დაუკერებია შენთვის, მიწაზე დაუსვიხართ და ალერსით უთქვამს: — აჰა, ეს მშვენიერება და აჰა შენ... იბედნიერე, გაიხარე სიცოცხლით, დღე მზითა და ღამე მთვარით. ეს აზრი ნათლად იხატება ბალღების შეკითხვაში:

მაშ, წეროს მოკვლა
ცოდვა ყოფილა,
როგორც გვიამბე,
დედავ, შენ დღესა?

ბერო კი, ის ცოდვილი და საბრალო ბერო იმიტომ იტანჯებოდა, იმიტომ კვნესოდა, რომ ის თვალი გამოეთხარა, რომლითაც წეროზე დამიზნებულ თოფის ტუჩს გახედა.

ანალოგიური, პირობითად „დავითიანის" საზომით არის დაწერილი მეორე პოემაც. გურამიშვილის გავლენა აქ არა მხოლოდ ფორმა-სტრიქონში იკითხება, არამედ ბიბლიის იმ პასაჟის პოეტურ დამუშავებაშიც, რომელიც კაენის მიერ აბელის მკვლელობის ამბავს გადმოგვცემს. ამ თხზულებაში გამოხატული აზრი ის არის, რომ ადამიანი სინდისის გარეშე აღარ არის „ბუნების გვირგვინი", მისი მშვენება. სინდისგამომშრალი პიროვნება თუ საზოგადოება უსახური არსება,

უსახურთა მასაა, ნახირია, ღმერთმა ნუ ქნას ასე, მაშინ ხომ დროის სვლასაც დაესმის წერტილი. რაღად ბუნება, რაღად ღვთის ხელით შექმნილ-შემკული სამყარო, თუ ადამიანი აღარ იქნა წმინდა სულითა და ბრძნული გონებით შემკული? მაშინ რაღად იფრენდეს ქარაფებზე ჯიხვი, რაღად იღიმებოდნენ სამოთხიდან სააქაოს პატარძლად გამოთხოილი ყვავილნი, რაღად სტვენდეს ბულბული და ცაზე მზე რაღად სუფევდეს?

განა რაღა აზრი ექნება ყველაფერ ამას? რას გრძნობდა ვაჟას ყოელისმხილველი გული, რის აჩრდილი უშფოთებდა ფიქრებს, როცა ასეთი გულდაწყვეტით ლაპარაკობს იმაზე, რომ

სხვა ხალხი გაჩნდა
და სხვა ზნეობა...

სხვა ზნეობა, რომელიც უზნეობის სინონიმია. გენიალური შორსმჭვრეტელობით ხომ არ არის აქ წარმოდგენილი საქართველოს მომავალი, როცა უზნეობა, მართლაც, ზნეობის სახელით იელიდა, დესპოტიზმი ტირანია სიკეთის გაღიმებულ ნიღაბს აიფარებდა და სისხლის წვიმების თქეში ჩარეცხავდა საქართველოს? შედევრის შექმნა ვულკანის ამოფრქვევას ჰგავს. დიდხანს ბორგავს პოეტის გულში ის ლავა, მერე, რომ სტრიქონებად უნდა დაიძრას, დიდხანს ცხუება მის შუბლზე ის ფიქრი, კალამმა ხალხამდე რომ უნდა მიიტანოს. დიდი შთაგონების ცეცხლი გამოსწვამს ხოლმე ასეთ შედევრს, გენიის ჩარხზე აიწყობს ეს თვალი-პატიოსანი მოელვარე წახნაგებს. ოდითგან ასეთია წესი და ადათი ჭეშმარიტის პოეზიისა. მაგრამ ავთანდილსაც კი დასცდენია ისარი, როცა კლდიანი, მაღალი მთები გადუნადირია? ასეა შემოქმედიც — მისი ხმა ხან თუ სამყაროს შესძრავს, ვარსკვლავებს ასწვდება და ზესკნელში აიჭრება, ხან კიდევ დუნეა, უფრთო. ალბათ, ესეც საჭიროა, რადგან ასეთი დაბალი ბუქნი მოშავალი დიდი ნახტომის მანიშნებელია.

ვაჟასაც აქვს ისეთი პოემები, არწივებში გამორეულ ფრთაევიწრო შევარდნებს რომ ჰგვანან, მაგრამ მუხათა გეერდით ამოსულ ამ ჩირგვნარსაც ვაჟას სახელის მზე ანათებს და ხმელა სტრიქონებს შორის ისეთიც შეგხვდება, სუნთქვას რომ შეგიკრავს, თვალს დიდხანს არ დაგახამხამებინებს. ასეთია, მაგალითად, „მამიდის დანაბარები". მოთხრობილია პრიმიტიული ამბავი — ალუდას მამულის — ხელშუბიანი, შავქალის ხობიას ჩაგონებით მოუკლავს „ძაღლი მოსექა" — ზურაბის მომკელელი. ცხენის ტახტაზე აკრავ ალუდას შტრის ჩამოთლილი მკლავი და სიკვდილნასვამი, თვალღია თავიც. უხარია ხოშიას. კაბა-კალთა უმღერის. ვაჟაც დაბალის ხმით შემღერის

მტრის თავკისრის ზემოთ აწეულებულ ხმალს, გამარჯვების სიხარულს, მაგრამ, ვიმეორებთ, არსად ანთია მაღალი პოეზიის ის ღვთიური ცეცხლი, აქა-იქ თუ გამოიბნევა ხოლმე სტრიქონიდან მარგალიტი. ეს არის და ეს. აი თუნდაც ასეთი:

დარბაზის დედა-ბოძებს სძრავს
დიდი ფანდური ელერითა,
მის სიმებს ვილაც დევ-გმირი
ჰბოჭავს თითებით, ცერითა,
თითქოს მჭედელი ჰკვერავდეს
გრდემლზე ციცს რკინას კვერითა...

ჰეროიკული სული მაინც ვაჟასებურად ანთია ამ მომცრო პოემაში, მაგრამ პოეტურ გენიას მაინც ფრთები დაუკეცავს — ვაჟა აქ მძინარე ჰომეროსია, მაგრამ მაინც ჰომეროსი საქართველოს მთების „ილიადისა“ და „ოდისეის“ ავტორი. თხზულებათა ამავე რიგისა „საშობაო ამბავი“, რომელიც 1910 წელს დაუწერია პოეტს. ღარიბ-ღატაკებისადმი სიბრალულისა და ქრისტიანული ქველობის შუქი ათბობს ვაჟას ნათხრობს — ღარიბის სიკეთე, მის გულში ჩაფესვილი ღვთისნიერება დააფასა დაღლილი მგზავრის სახე-ჟერით მოსულმა ქრისტემა და, რადგან თვითონ გაიხადეს და ამას ჩააცვეს, თვითონ მშიერებმა პირუკუღრისწერით დაიძინეს და ის დაანაყრეს, შობა დილით გეგენას ქოხიც თეთრად ბდღვრიალებდა და სურსათ-სანოვაგეც იმდენი ეწყო, თვალი ვეღარ იტევდა.

სინამდვილისადმი ხმამაღალი პროტესტი ისმის ქრისტიანული სასოებით სავსე ვაჟას სიტყვებში, მაგრამ სტრიქონები ბლაგვია, ახალი ცელივით გამოუწკეპავი, თუმცა შეიძლება ეს ერთგვარი ხერხიც იყოს, რათა თხრობის უბრალოებამ მკითხველის ყურადღება თვით ფაქტის შინაარსს მიაჯაჭვოს. გვახსენდება ჰაგიოგრაფიული მწერლობის გარიჟრაჟი, როდესაც ყურადღება „სიტყვის ძალას“ კი არ ექცეოდა, არამედ თვით ასასახავ ამბავს, რომელიც თავად აღიქმებოდა ესთეტიკურ ფენომენად.

ვინც იცის... გენიის იდუმალებათა ამოცნობა ხომ ცადაზიდული პირამიდის ლაბირინთებში ხეტიალს ჰგავს.

* * *

წყლის ძირას სალი კლდეები
არაგვს მუკაში სწურავენ,
არ უნდათ ქვეით გაუშვან,
ვზას უღობავენ, სჭუკავენ.

ასე იწყება ვაჟას ერთი პოემა „მანდილი“, რომელიც იმავ „საშუალოთა“ მარაქისაა, თუმცა, როგორც, ალბათ, მოტანილმა სტროფმა დაგვარწმუნა, აქა-იქ მასშიაც დულს პოეზიის მირონი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ თხზულებაშიც გამოჩნდა ვაჟა, როგორც სურათის, ამბის დახატვის დიდოსტატი. ეს მისი ეპიკური პოეზიის ერთი მნიშვნელოვანი მხარეა. ამ შემთხვევაში ვაჟას-პოეტს ბნარში უდგას ვაჟა-პროზაიკოსი — დამახასიათებელი დეტალების მიგნებისა და მათი სინთეზირების იშვიათი ოსტატი, რომელსაც ძალუძს ესა თუ ის სურათი ისე დახატოს, რომ მკითხველმა ვიზუალურადაც აღიქვას იგი. შედარებით ვრცელ ამონაწერს მოვიტანთ ნათქვამის დასადასტურებლად:

შაყრიალან ვიწრო ბილიკზე
ღაჟაცნი სახე-მჭისენი.
იმათი ხმლების პრიალი
ქლდეებს აშექებს შექითა,
ერთ-ერთს მახვილით ჰგმირავენ,
თან ჩქოლვენ ბაქი ბექითა
ცხვირები დარახტულები.
ძიმდგარან ქლდეთა ყურესა.
ვერ აშყიტებენ მოჩხუბრებს,
ათასშუბებ ცდრებსა..

სურათი უაღრესად ნათელი, საგნობრივია, მაგრამ საერთოდ პოემა უპრობლემო, მარტივია. ლაიტმოტივად მასაც ვაჟკაცობის კულტი გასდევს — კულტი „კაი ყმისა“. მაინც ვის ვიტყვით ხოლმე ამ სახელდიდებით? იმას, ვისაც მტრის ნაქნევი არ შეაშინებს, სახეზე ფერს არ შეუფრთხობს, კლდესავით დინჯია, არაგვივით მუხლადი და უკვეხარი. ლაჩარს, მშიშარას მთები თავისთან ვერ იადგილებენ. ვისაც სიკვდილისა ეშინია, ის იქნევს ხმალს განივრად, კაკლის საბერტყი ხალხასავით. მეორე ქვეთემა კი პიროვნების ღირსებისა და სიმართლის ხელშეუხებლობა და შეუწამებლობაა. ტყუილის თქმა ვაჟკაცისათვის ცის ჩამოქცევა, ქვესკნელის ჩავარდნა და დალუპვა უნდა იყოს...

ასე ფიქრობს ვაჟა.

ასე ფიქრობენ მთები.

„ივერიის“ რედაქციაში ახალ ნომერს ამზადებენ. საცაა მასალას დაალაგებენ და რედაქტორს შეუტანენ. დაღლილა სტრიქონებში თვალჩაქცეული გიგა. ზოგ წერილს თუ არა უშავს, ზოგის ნაწერი

ფიჩხის ღობეს ჰგავს. მაინც სად გაირყვნა ამ ხალხამ ენა, რომ ქართული ქართულს აღარ უგავთ? დრო შეიცვალა, ძმაო, დრო და ეს ყველა იმისგან არის — ვინც პეტერბურგში ფეხი დადგა, დედა ენა მჟავე დოდ ექცა, რუსულით იპატიოსნებენ ტუჩ-პირს — ამაზე თუ იტყვიან „დედას გაუქეც და დედინაცვლის ჭირიმეო“. მაშ, გიგა ყიფშიძე არ ყოფილა, ეს გაპატიოთ. აი, რატომ ზის ხოლმე რედაქტორის ამხანაგი მამლის ყივილამდე პატარა ნყუდრო ოთახში და საგაზეთოდ დანათლულ წერილებს კალმის წვერით ჩიჩქნის, არიქა, სადმე ან სტილმა არ წაიკოჭლოს, ან გამონასკული აზრი არ დაბოშდეს. თორემ ილიას საყვედურით სავსე თვალებს ურმის ღერძად გათლა გერჩივნოს.

განა რამეს გეტყვის. არა, მხოლოდ მაღალ შუბლს დაჰკეცავს ნაოჭებად და მასალას მანამ არ დაგიბრუნებს, სანამ კოდისწყალივით წმინდა ქართულით არ გამართავს და სათქმელსაც ცხრილსა და ფაცერში არ გაატარებს. დაიღალა-მეთქი გიგა, ქუთუთოები ეწვის, მაგრამ, აგე, ამ გრძელ ლექსს მაინც მერამდენედ კითხულობს. ბევრი არ უნახავს ასეთი აგიზგიზებული სტრიქონები. მერე რა მამულიშვილური ტკივილით აჩეჩილა ყველა სტრიქონი. ყოჩაღ, ლუკასა, ყოჩაღ, აკი ხარ-ირემივით გადმოდგა თავის მთებიდან და დაიქუხა. შორს წავა, ძალზე შორს, თუ ისევ ჩვენი თეთრხელთათმანიანი ინტელიგენცია ყელში არა სწვდა და ხმა არ დაუხრჩო. ამ ტანაყრილ მუხას ისევ ილია თუ ააცილებს მეხსა და ელვას, სანამ ფესვს ფესვზე გადააბამს, მუხლს გაიმაგრებს, თორემ მერე ვერცა რას ქარიშხალი უზამს.

ჰაი, და, ლუკავ, ჰაი და, რაზიკაშვილო, ღიმილით ამბობს გიგა და ფანჯრიდან გასცქერის გაზაფხულის სურნელით სავსე ქალაქს. აგერ ეტლიც გაჩერდა. ასეთი მძიმე ნაბიჯით ილიამ იცის ამოსვლა. შემოალო კარები, გიგას კარგი ყუათიანი „გამარჯვება“ უთხრა და მერე დაკვირვებით შეავლო თვალი!

— აქ რაღაც ამბავია, — ჩაიღიმა ილიამ, — ტყუილად არ ჩაგეშაქრებოდა ეგრე სახე, ჩემო გიგავ! — თქვა და სავარძელში ჩაეშვა, — მოხადე განა აბდა-უბდის ძაფი მასალას. იმიტომაც ჩაგწიოთლებია თვალები, მე კი, უკეთურს, ბაყბაყივით მეძინა, განა ეს სამართალია?

— ერთი ესა ნახე, ილიკო, და მერე ვილაპარაკოთ, — გადაულაგა წვრილად ნაწერი ფურცლები გიგამ.

— ნეშსის წვერით უწერია, დალოცვილს, ვისია?

— რაზიკაშვილის, ილიკო, ლუკა რაზიკაშვილის...

ამასობაში რამდენიმე კაცი კიდევ შემოლაგდა ოთახში და იქაურობა გაცოცხლდა.

— არა, შვილოსან, მე ამის წამკითხველი არა ვარ, ისევ შენ დაგ-

ვდე მადლი, გიგაე, შენსავით აბა ვინ ამღერებს და აშრიალებს ხმასა, შენ ქადაგი, ჩვენ შენი ხატის ყმანი, — კიდევ უფრო ღრმად ჩამყუდროვდა ილია საყარძელში.

ვისაც შეეძლო ისე მილაგდ-მოლაგდა და გიგას ზარივით ხმაც გაისმა:

დაბერდი, შვილო, დაბერდი,
ამოკანკალდა მუხლები...

ილია მდუმარედ უსმენდა, ბზოლოდ ხანდახან შეუკანკალდებოდა წარბი, მაღალი შუბლი ნაოჭებით დაეხაზებოდა. ეტყობოდა, არაგვივით მოვარდნილ ამბავს ისიც სხვებივით წაეღო, ფიქრით დაბურვილს მხოლოდ თვალებზე ედგა ცისკარი. გიგას კი ხმა ხან ჩაუთბებოდა, ხან სუსხსა და თრთვილს შეაყრიდა მსმენელებს სახეში, ხან კიდევ თითქოს დაკვნეტილ რკინას ჰყრიდა პირიდან.

მართლაც კარგი მკითხველია, დალოცვილი, — ფიქრობს ილია და მსუბუქი ხმით აწყვეტინებს ყიფშიძეს.

— ჩემო გიგავ, ერთი ეგ სიტყვები კიდევ ჩაგვიკითხე.

— ბატონები ბრძანდებით.

არწივთა მაღლის მთისათა
ნეტავ რად უნდათ მქებარი?

ხმაში ქუხილი გაურია გიგამ.

ისევ დუმილი ჩამოწვა და დუმილი იგი არც მაშინ გატეხილა, როცა ილია წამოდგა და ოთახში ბოლთა დასცა. მერე უცბად შეჩერდა, იქ მყოფთ გადახედა და ხმამაღლა თქვა:

— ჩვენ, ძველებმა, კალამი გვერდზე უნდა გადავდოთ და გზა ვაჟას დავუთმოთ.

ეს სიტყვები სამუდამოდ შერჩება დიდი ფშაველის შემოქმედებით ბიოგრაფიას.

— მართლაცდა საომარი ბედაურივით არ უთამაშებს სიტყვა ლუკასა, — აღტაცება ვერ დამალა ვიღაცამ.

რამ მოხიბლა დიდი მოძღვარი ვაჟას თხზულებაში და ის წინასწარმეტყველური სიტყვები ათქმევინა? ალბათ, თხრობის უცხო კილო-ხმამ, პოეტური გამოსახვის ორიგინალურ ფორმებთან ერთად შინაარსმა, ფრანგულივით ამოწვდილმა სიმართლემ და სტრიქონებში ჩაგუბებულმა ეროვნულმა ტკივილმაც გაამეტებინა ილიას ის შეფასება.

მართლაც, ეს რა დრო დაუდგა საქართველოს? სად დაიკარგა ძველი ქველობა, ვაჟკაცობა? განა იმათ ეთქმით კაცობა, დუქნის წინ რომ სხედან მოლნიაშებული ტუჩ-პირით და ქალ-ღვინის მეტი არა-

ფერი ახსოვთ? წინათ სხვა იყო, ძმისავ, სხვა წეს-რიგით ელაგა მთა და ბარი. ლამაზი ვაჟი იმას ეთქმოდა, მუხლში მგლის კვირისტავი რომ ედგა, მთას გადააფრინდებოდა და მტერს ავსა და შავს შეჰყრიდა. ეხლა კი რაღაა, კაცი გაუკაცურდა — სიტყვანაზობს, ფერ-უმარილს ისომს და გულშიც ქაჯი უზის. ე ამისთანას რომ ქალი მოიწონებს, იმ ქალს რაღა ეთქმის ამ ჩვენს ბევრის მომთმენი ქართულით?

აფსუსო, ძველო დროებავ!...
რას ვაქნევთ გარყვნას, ნეტარა?!
რად არ ამაყობს დიაცი
ჭკვრის სიმამაცით მკვეხარა? —

კითხულობს მოხუცი და თავის სიჭაბუკეს იგონებს — როგორ მოადგა ქოსა ხანი თბილისს — არიქა, ერეკლე დაბერდა, ლომის ტყავიღაა და ავაზის ბრჯღალი გავკრათო.

ბარს როცა უჭირს, მთასაც მაშინ ეღრუბლება გულ-მკერდი. რკინას იცვამდა ფშავ-ხევსურეთი, მთიულეთ-გუდამაყარი. თოფის წამალი აჭამეს ხირიმებს, წელი ფრანგულით დაიმშვენეს და ბარისკენ დაეშვნენ, იქ, სადაც თეთრ ცხენზე ჯმინდა გიორგივით უჩნდა ქართველ ლაშქარს მეფე ირაკლი.

პოემა კრწანისის ბატალიების რომანტიკული განცდით არის შექმნილი. ამ მხრივ იგი ბევრად სჭარბობს ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისას“. ვაჟას იმდენად ცნობილი ისტორიული ფაქტის მხატვრული ორეულის შექმნა არ აინტერესებს, რამდენადაც ქართველობის მიერ სამშობლოსთვის თავგანწირვის მზადყოფნის ჩვენება. ის, რომ ძველებს ომი ლხინად მიაჩნდათ და სიკვდილსაც ისე ხვდებოდნენ, წარბი არ გაეზნიქებოდათ ხოლმე, სიამაყისა და სევდის განცდა დაჰყვებათ ვაჟას სტრიქონებს. ნეტავი იმ დროს, როცა მამულს ლოცულობდნენ, ნეტავი იმათ, ვინც ნაბდად გადაიხურა მშობლიური მიწა და შავნაბადს, კრწანისის კალთებზე მიიძინა იმ გაუღვიძარი ძილით ცივი ბგერებით შეკრული სიტყვა — „სიკვდილი“ რომ ჰქვია.

მოხუცს ყველა წამწამი უტირის ძველის მოგონებაზე — ხომ ვამღერეთ ხმალი, ხომ ვკაფეთ ისლივით მოწოლილი მტერი, მაგრამ სიმრავლემ თავისი ჰქმნა.

გაწყდნენ სამშობლოს ერთგულნი
მტრისა სისხლითა მთვრალნია,
დაიგეს მიწის ლოგინი,
დახუჭეს მუდმივ თვალნია.
იმათ ადგება ნათელი,
დასტირის ღამ-ღამ მთვრეო;

მკითხველის ხსოვნაში სამუდამოდ აღიბეჭდება ეს თეთრწვერა „მოხუცი“ — დამჭკნარი, წმინდა ხელებით, როგორც წარსულის ხსოვნა და ერის მარად ცოცხალი გენეტიკური კოდი...

* * *

ცნობილი დებულებაა, რომ ვაჟა-ფშაველა არა მხოლოდ შემოქმედებითად ითვისებს, არამედ აღრმავებს კიდეც მითოლოგიურ წარმოდგენებს, რომლებიც ბევრად განსაზღვრავდნენ მთიელთა ცხოვრების წესს, მათ ხასიათს, ადათებს. დიდი პოეტი თავის ეთნოგრაფიულ წერილებში ხშირად ეხება ამ საკითხს. ფშავ-ხევსურისთვის სამყაროში მკვდარი არა არის რა — ყველა და ყველაფერი სიცოცხლის შვილია, რასაც დღისით მზე ათბობს და ღამით მთვარის შუქი დასდის — მთის მწვერვალებზე წმინდა სულები სცხოვრობენ, ბნელ ხევებში ბანჯგვლიანი დევები დაბაყბაყებენ, მუხისა და წიფლის ფუღუროებში ავსულებს სძინავთ, ნადირთა ბროს მწყემსქალი უდგას და ყველა ბექს, წყალ-ჭალას თუ მინდორ-ველს ადგილის დედა ჰპატრონობს. ასეა და ასე ყოფილა — კეთილი და ბოროტი გაჰბმიან ერთმანეთს — ერთი რომ სიცოცხლისკენ მიიზიდება, მეორე სიკვდილს უდგას მსახურად.

ფშაველს რომ უალაგოდ ცხვირი დააცემინებს, ან ღამეში ფეხს რასმე წამოჰკრავს, იქაც ავსულის ხელი და ფრჩხილი ურევია. აგერ ამინდი შეიცვალა. მზე განელდა, ქარმა დაჰკრა. ბნელი ჯანღი რამ ჩამოდგა მთებში. ჰკივიან, ბღავიან, ჯაჯღანებენ ხევები, მეხი ტყვრება და მთა-ბარი ერთმანეთში ირევა. მაშასადამე, დევები და ღვთისშვილები შეჰბმიან ერთმანეთს, — ფიქრობს ამ დროს სალმე მყუდროში მიჭუჭყული ფშაველი და ლაშარის ჯვარს ევედრება ღვთისშვილთ შემწეობას. ასეთია მთათა ცხოვრება. მითოლოგიური ნაკადი იმდენად ორგანულია ვაჟას შემოქმედებისთვის, აზრი არა აქვს იმის ალნუსხვას, თუ რა დოზით არის იგი გამოყენებული. ამ შემთხვევაში მხოლოდ ნადირობის კულტის ამსახველ ორიოდ თხზულებაზე გვექნება საუბარი. ერთის სახელი „მონადირეა“, მეორის — „ხის ბეჭი“. ნადირობისთვის მზადების მისტერია კარგად არის, ალბათ, მკითხველისთვის ცნობილი. მთიელის რწმენით, ნადირი ნადირთღმერთს უჭირავს და, მონადირე თუ არ განიწმინდა, ლოცვა-ვედრებით ცოდვებისგან არ განიბანა, არ გასპეტაკდა, ისე სანადიროდ წასვლას, წა-

უსვლელობა და კერის ნაცართან გდება სჯობს — ტყვია ცომის სირსველად ექცევა, ნასროლი ცერცვივით დასცვივა ხირიმის ტუნს და ვერცა რა გარეულ ტახს მოეკიდება, ვერც შველსა და ირემს ეცემა ფერდში, მაგრამ როცა ცოდვა რამ მოუნანიებელი დარჩება, მაშინ ხომ ნადირის მადევარს ეშმაკი უდგას კვალში, რომელიც ხატის ხარირემს დაუფრთხობს, თოფის გასაწვდენზე დაუყენებს და მოაკლევინებს, რომ ცოდვილი დაღუპოს, ხატი გაურისხოს და იმისი სული ყვავ-ყორნებს ათრევინოს კლდე-ღრეებში.

ამ დიდი ცოდვისა და ზორვის ამბავს აგვიწერს ვაჟა ორივე თხზულებაში.

თვითონ ნადირთ მითოლოგიური ქალ-ღმერთი ვაჟას თავად ბუნების ხატად და სიმბოლოდ აქვს გააზრებული, რაც შემდეგი სიტყვებითაც უნდა დასტურდებოდეს:

გორის პირს მაყვლოვანშია
ქალი გადმოდგა მზებურა,
ია, პირიმზე ტანთ ეცვა,
თაჯზე ბუერა ეხურა,
ვეტად ლამაზი რამ იყო,
სააპო, სახით ღეთებურა;
ბრძამ-ლელის წინდებსა ჰქსოვდა,
ოთებს აქანებს წყლებურა,
ტანად მომცროა და თმებით
ის არე-მარე ებურა.

რომ ალარაფერი ვთქვათ თვითონ პოეტური ხატის მომხიბლელობაზე, მხატვრულ სახეთა მოულოდნელობასა და ორიგინალურობაზე, ის მაინც უნდა განვაცხადოთ, რომ ვაჟა ამ შემთხვევაში, მართლაც, აღრმავებს მითოლოგიურ წარმოდგენას ნადირთ ქალღმერთზე და, როგორც აღვნიშნეთ, იგი პერსონიფიცირებულ ბუნებად უნდა ჰქონდეს აღქმული, რასაც კიდევ უფრო ცხადს ხდის მისი ია-პირიმზის კაბა, მის მიერ ბრძამ-ლელის წინდების ქსოვა და მისი მწვანე თმებით დაბურვილი არე-მარე.

ადამიანური ბუნების ცოდვა-მადლსაც ეხება დიდი პოეტი — მართლაც, მონადირეს რა ცოდვა აქვს, რომ არც რამ ადგილას დედის სახვეწრად დანთებულმა სანთელმა უშველა, არც რამ კურატის შეთქმამ. სამი დახარებული ვაჟკაცი წაართო სიკვდილმა — საქორწილოდ ულვაშაშლილნი და ერთიც „პატარა“ ქალი აუფრინდა ფშავის ცაში ანგელოზად. კაბა-ჯუბიანი ცოლიც წასულ შვილებს გამოუდგა. პირჯვარსწერითა და ისევ ხატ-ანგელოზის ქება-დიდებით.

ღაილოცა მაჯი ძალა და ქადილი.
რად გამომეტა ბატონმა,
რაზედ გამიდვა გენია?!
უნდა დავლიენე სიმწარით
ჩემნი სიცოცხლის დღენია...

რატომ სწყრებიან ბუნების ძალნი? რატომ გასწყრომია მონადირეს მწყალობელთ ხატი? ამ კითხვის პასუხი შორს არა დევს, იქვეა, პოემის დასაწყისშივე — ეს იმიტომ მომხდარა და ასე იმიტომ არის, რომ მყვირალობისას დასძრა მონადირემ თოფიდან ტყვია, მყვირალობისას, როცა ბუნება ნელდება და მთებსა და ველს სიცოცხლის, შთამომავლობის გაგრძელების მისტერია ეუფლება.

ეს აზრი იკითხება ამ სამონადირეო ეპოპეაში.

რა სჯობია მყვირალობისას ხარ-ირმის ცქერას — ენებით ასუნებული ხარის ყვირილი ტყიდან ტყეს სწვდება, ხან მორევივით ბრუნავს, ხან კიდევ გაიჭრება და მკერდზე ელეწება იფნარის ტევრი, რცხილისა და ცაცხვის ტოტები, მაგრამ ადამიანი რის ადამიანია, თუ ამ სილამაზესაც თოფი არ დაახალა.

კაცის ხასიათს ვინ იცნობს?
გასაგებია ძნელადა,
რაც გვიყვარს, რაც რომ გვებრალების,
თუკი ჩავიგდეთ ხელადა.
არ დავინანებთ, გავქელ- ო,
მოვეკიდებით მგელადა..

დაუცდა ტყვია მონადირესაც და ხარ-ირემი მუხლისთავებზე დასცა. ვაგლახად ვერ შენიშნა, რომ იქვე, ტყიანში, ნასაფრალის კედლებს აჰბმოდა ლელი და ზედაც ხავსის თხელი და მწვანე არშია ეყარა.

ხატისა ყოფილიყო ის აყვირებული ხარი. ელდამ დამეხა უიღბლო მონადირე. წიფლის ხეს შემოხვეულს თავზე დასდის ღვარი და თქეში, მხრებზე ეყრება სეტყვის ცივი და მსხვილი მარცვლები.

ეს კი ხატის წყრომის „ლიშანია“, მისი მრისხანების გამომხატველი. მთიელებს სწამს, რომ ცხოველის ბეჭზე აქვს ჩანიშნული ხატსა და უფალს მონადირის თუ მისი ცოლ-შვილის ბედი. სხვა ყველაფერიც ისევ ხატის, ადგილის დედის სურვილ-ხასიათზეა დამოკიდებული — თუ უნდის, ისეთ ხარ-ჯიხვს მოგვცემს, რქით ცასა ხნავდეს, ისეთ ხარ-ირემს გამოგიჩენს, ტყავ-ქვეშ ვერ ეტეოდეს. თუ არა და ტყვიას რიყის კენჭად გიქცევს, სალიშნის გეზს გაგიმრუდებს.

ასე სწამს-მეთქი მთიელს. ამიტომ თუ უცხო მთა-ჭალას ნადირობს, ადგილის დედის სახვედწ-სავედრებლად სანთელს ჩამოქნის, შაეხვეწება, რომ ხელცარიელი არ გაუშვას.

ვაჟა ობიექტურად, სიმართლის შეუმღვრეელად აგვიწერს ხსენებულ რწმენა-წარმოდგენებს და იშვიათია შემთხვევა, რომ იგი მათ მიმართ თავის კრიტიკულ დამოკიდებულებას ამჟღავნებდეს. ასეთ იშვიათობათა რიგს უნდა მიეკუთვნოს პოემა „მონადირეც“.

აგერ, ივრის პირებზე მომდგარ ტყეში ჩასაფრებულა მონადირე. სუსტი ნიავი ეხვევა შიმელებს. მერე ტყის ის მწვანე დუბილი გასტეხა ხარის ყვირილმა. რა იყო ეს? გამიჯნურებული გულის გმინვა, თუ სურვილის შეყვარება? რამ დასძრა გორ-გური, რამ დააწყებინა ზრიალი არე-მარეს? დაილოცოს, დაილოცოს, ადამიანის ყური, რას მოისმენს ხმათა ამ გრვინვაზე უკეთესს? მართლაც ველად გაჭრილ მიჯნურს ჰგავს მაშინ მკერდადულებული ხარი. თავაღერილი მიარღვევს ხოლმე ტევრს, მიამტვრევს ტოტებს. სტოვებს ნაბოტვარ და მძიმე ნაკვალევს ბალახებზე, შიმელებზე. რჩება ფურის მძებნელი ხარის მქისე სუნი. აგერ შეკრთნენ კორომად შეკრული შიმელები — ჯერ რქის წვერი აჩნდა, მერე „ტყის ფური“, მაღლიანი რქებიც დაეძგა გვირგვინად იმ ახლო-მახლო სილამაზეს. ტანი კი არ უჩანს, თითქოს შიმელები ჰფარავენ, რომ თოფი არავინ დაჰკრას. დიდი ექსპრესიით აღწერს ვაჟა ნადირობის ასავალ-დასავალს და ამ დროს არა მხოლოდ გრძნობ ყველაფერს, არამედ ვიზუალურადაც აღიქვამ აღწერილს. აი, თუნდაც ერთი სანიმუშო მომენტი: მონადირემ სიფრთხილე დაკარგული ხარი გამოსაჩენზე რომ გამოიტყუოს მფარველი ტყიდგან, განგებ გასტეხს ნალეწს, ფურ-ირემივით დაეძრახება თვალებანთებულ მიჯნურს და აგერ, ადგილიდან გაიგონა ეს ნანატრი ხმა ხარმა. მოირღვა, წამოზვავდა, სქელი კისერი ლამაზად ელერა და „ვაჟკაცის ილეთი“ ჰქონდა. მაგრამ ტყვიამ მალევ წააჩოქა, მუხლი მოსჭრა და თვალები ჩაუქრო.

წამოიწია კვნესითა,
მუხლის კვერებზე მდგარია,
ვნახე, რომ რქებზე ქივქივებს,
სანთლები, ვარსკვლავთ გვარია,
ყურთ მომელანდა წყრომის ხმა,
მითამ გაეღო კარია...

ეხლაღა შენიშნა მონადირემ გაღმა გორაზე ჩუმი ხავსით დაფარული ყორეები, საყდრის გუმბათიც აჩნდა და ვაჟას მაგიური პოეტური სიტყვა მკითხველს თვალნათლივ წარმოუჩენს საოცარ ხილვას:

ჯავრობა ისმის ქილიკა,
გაუმოდგა ვინმე ბერია.

თოლიით წერი გელზედ სცემს,
სულ კანგელოზის ფერია,
ხელშია ყავარჯენიით
ყოხი რომ დაეპერია,
გეცახა: „რა ქქმენ თორღეაო,
რაად ნომიკალ ზვერია,
კოგი, — ქნახოდი, ბეკშია
შენი ცოლ-შვილი სწერია.

ასე შესცოდა თორღვამ ხატის წინაშე, ზვერის მოკვლამ უბედურება მიუგროვა და მიუხვეტა კარზე. არც შეთქმულმა კურატმა უშველა, არც სანთელ-კელაპტარმა. ის კი არა, სამხვეწროდ ყოველ წლის თავზე თითო ზვერი დაიდო საშვილიშვილო ბეგარად, მაგრამ მაინც ვერ ჩამოირეცხა ზვერის სისხლი ხელ-მკლავიდან, არც ხუთი წლით თოფის დამარხვამ მისცა რამე. რატომ გასწირა ასე სალოცავმა, რატომ აჰკიდა წვიმითა და სეტყვით საცხე ღრუბელი? რაად შესწყევლა და შეაჩვენა? აი, რა ფიქრი უბურღავს შუბლს თორღვას. ჰკითხოდე, სოფელს ჰკითხოდე, ხატ-სალოცავო თორღვასი — თუ ან ქურდია, ან ავი, როგორც ზოგანი არიან. არა, მწყალობელი, არა, მთის მკერდზე გაზრდილი ქუჩივით უცოდველია, წვიმის წვეთივით წმინდაა და, თუ თოფი შაუცდა, აპატიე, ნუ ამოაგდებ, ნუ ამოთხრი და ამოფესვავ თავის გვარ-გუჯაბიდან.

პროტესტის ხმამაღალი შეძახებაა თორღვას სიტყვები:

რაღ გამიმეტა ბატონმა,
რახეღ ვომიდვა გენია?!
უნდა დაკლავნე სწარით
ჩემნი სიცოცხლის ღენია!...

დაისაჯა თორღვა — კუბო კუბოს გაჰყვა მისი სახლიდან. ცოლ-შვილი მიწამ წაართვა — სამი საქორწილო ვაჟკაცი და ერთიც 2 წლის, ჯერ კიდევ მირონმიუღებელი პატარა ქალაი. დედას კი, აბა მას შემდეგ რაღა აცოცხლებდა?

ვაჟა აღრმავებს, ამძაფრებს-მეთქი მთისშვილთა მითოსურ წარმოდგენებს, შეხედულებებს. თავის პოემებში „კოპალა“, „ეთერი“ კიდევ ერთხელ აცოცხლებს პოკალიპსურ მოჩვენებებს. დამახასიათებელია ამ მხრივ „კოპალას“ დასაწყისი. ჩვეულებრივ მხიარული და მოზეიმე ბუნება შიშითა და ძრწოლვით გაყუჩებულა. არაგვიც კი ჩუმად მისჩქეფს, „თვით ცრემლსა ცრემლი სდიოდა“. ტყეშიც პირმოკუმული სიჩუმე ჩამჯდარა. ნისლები რა არის, ისინიც კი ჭიუხებში მიმალულან და მხოლოდ ბუვები შეჰკივიან ელვით ნაკაწრ კლდეებს, ღაბლა დაცურებულ ფლატეებს. მოვალის მწყურვალი ირემი.

ისიც ჩუმად დაეწაფება ანკარა წყაროს და რქააშლილი ისევ ტყეში შეუარდება, რადგან ირგვლივ დევთა სუნი ტრიალებს, იშათ ნაკვალევს მოუბინძურებია ტყე-ველი, იმათ ღრიალს მოუწამლავს ჰაერი, გალმა-გამოლმა გაბოტილან, შავი ნაბდების ფრიალით დადიან და სისხლიან ნაფეხურებს სტოვებენ, ხელ-პირზეც კაცის სისხლი უსვიათ, დასწითლებიათ ჯაგრიან მკერდზე გადმოკიდებული ლაშები. სუტავენ კაცის ძვლებს და წყალი უჭირავთ, რათა ვერა სულიერმა ახლოს ვერ გაყაროს. გაყურსულა სამყარო, აღარც სოფელს ეთქმის სოფლობა. ფრთოსნები ცას ჰკენკავენ, ნადირი ნისლსა ჰსომს და იმითლა არის.

დარეცილა, ჩაღამებულა წუთისოფელი, ჩამჭკნარა სიცოცხლე. ძმა ძმის ძარღვსა სწოვს, გაჰქრა დედაშვილობა, მამა-ძეობა, ნათელმირონობა. ბნელმა დაჰფარა სამზეო და დევთა შიშმა გადასტუსა ძოღან მწვანედ ნარწყავი მთა-ველი.

ღამის სიკვდილმა სიცოცხლის
დაისაკუთროს სახელი...

ან კიდევ:

ღამის სიკვარულს დაეწვას
ბერფა გვირგვინი იისა.

არვის რა უხარია, არვის რა ენიაზება. არცვინ სანთლის დამნთები, არც ვინ მასზედ მლოცველი.

სიცოცხლეა ქვეყნიერების მშვენება, მისი გვირგვინი. და თუ ადამიანი აღარ იქნება, არ იადამიანებს წუთისოფელში, მაშინ აზრი აღარაფერს არა აქვს — არც მყარსა და არც წყალს, არც მზესა და არც ცისიერში მოხეტიალე მთვარეს.

რა ყრუ და ცარიელია წუთისოფელი უადამიანოდ, როცა სიკეთეს ბოროტება სთელავს და შარტო დევთა ღრიალი და ბოტბოტი გაისმის.

* * *

დიდი სიყვარული ჰქონდათ ძმებ რაზიკაშვილებს ერთმანეთისა, დიდი რიდი და სალამ-ქალამი. წუთისოფელი რომ მოაცლიდათ და თავს ერთად შეიყრიდნენ, მათი ლხინი, ხორხოცი, ხმამაღლობა და ზუმრობა კლდეს გააქცევდა. ვერა და ვერ გაიყვეს — ვინ ამირანი იყო, ვინ ბადრი, უსუპი და ძმანი მისნი. ერთმანეთს კაფიებს დააყრიდნენ, ფანდურს აამღერებდნენ, დედ-მამის სულს გაიხსენებდნენ და პავლე მღვდლის ქოხ-სახლი მაშინ დევების სადგომსა ჰგავდა.

ისედაც წყნარი თევდორე ფუტკრის მოვლაში თვითონაც ფუტკარს დაემსგავსა, სხვებზე უხმო, მუდამ საქმიანი, თვითონაც თაფლი და სანთელი.

სანდრო ფოსტის ჩინოვნიკია, ქუდზე კოკარდა უბრწყინავს, ფრენჩის ღილებიც ოქროს წყალში აქვს ამოვლებული და ქალაქურად სუფთად გაპარსული, ღიმილით უსმენს ძმების ქილიკობას, თან ფშაურ ქადა-ხინკალს ფშაურადა ჰკმენს.

ბაჩანას დაუკდომელი სჭირს — სულ ეშმაკობაზე უჭირავს თვალი — ხან ლუკას ჩამუკილავს, ხან ისეთ სიტყვას გაუგორებს ძმებს ზღარბივით, სამივეს სკამებიდან წამოაგდებს და წიწმატს აკრეფინებს.

— აბა ლუკაი რა პოეტია, ერთი ფრთამოტეხილი არწივი ჰყავდა და ისიც ყორნებს დააჭმევინა, მე კი მუხა ვარ, მუხა, — მუშტით ინგრევს მკერდს ბაჩანა, — ასე არ არის, ასე არ არის, თვითონ ლუკამა თქვას, ლუკამა.

— აგრეა, აგრეა, — ღიმილით ჩამოიბანს სახე-წვერს ვაჟა, — შენ პირველი და მე — მეორე.

ბაჩანა კი მაინც უხედნი მოზვერივით იბღვირება, მერე სანდროს მივარდება, მაღლა აიტაცებს და ჭერს მიაკრავს, დაბლიდან კი ერთადერთ კითხვას აუგდებს.

— ვარ თუ არა ამირანი, თქვი?

— ხარ, კაცო, მაშ არა ხარ? — ხმაშეწყობით უგალობენ ლუკა და თევდორე.

კმაყოფილი ბაჩანა სანდროს სკამზე დასვამს და მის საყვედურს ხმელ ფოთლადაც არ აგდებს:

— კაცო, და სულ ასე გჯერ უნდა გვყვანდე ძმებსა?

ამ რამდენიმე წლის გასულს ერთი უგზო-უკვლო ხევსური მოადგა ლუკას. ნაჭრეებით სავსე თავზე ქორის ბუდესავით ედო ტყავის ქუდი, კეჭნაობაში ნასერი სახე კი სვილისფრად მოჰქცეოდა. ნახევარზე მეტი წუთისოფელი წასვლოდა, მაგრამ ოჯახი ვერ გაეჩინა. ამასობაში წამოათოვა კიდეც თავზე ამბოკარს.

მზერა ჰქონდა, კლდეს გახვრეტდა.

ვაჟას გაწვდილ მარჯვენას ისეთი ტორი დასცა, ორი კვირა მაინც სტკიოდა ლუკას ნაღრძობი მხარი.

იმ ღამეს საქონლის სადგომში მოისვენა ნასმურევმა სტუმარმა თავის ხევსურულ „გემოზე“. დილამდე დევის ხვრინვა ანგრევდა გომურს და, შადლობა ღმერთს, სუნთქვის ქარს მარტო კრამიტი აყყარა.

მეორე დღეს უშველებელი ხანჯალი იშიშვლა და ტაბიკივით მსხვილი თითი აითალა.

— ძმად გაგიფიცნეთ, ლუკავ, მოღალატეს რისხვაჟდეს წმინდა გიორგი.

ლუკასაც ფშაური ხანჯალი ერტყა. იმ დღიდან ჩარჩა ლუკას სახლში თორღვა. იმანაც გადაიბურა თავზე პავლე მღვდლის ვიწრო ჯერი.

— კაი მაზლი ინატრე და ასეთიო, — იტყოდა ხოლმე თამარი, — დოქში რომ წყალი მიდგას, ამაზე წყნარი ის არ იქნება. ადგება დილით, შაიბამს ხმალ-ხანჯარს, გადიკიდებს ფარსა და გაირეკავს საქონს. ჩამაიწურება მთებზე სინათლე და შინ მოდის. ან თუ ლოთია, ან თუ მიზეზიანი — ქრისტე არ იყოს, ლუკავ და ჩვენ თორღვაი გვეგონეს.

ბინდისას, როცა მთვარე მთის წვერებს დააყვითლებს, დირეზე ჩამოჯდება ხოლმე ხელფანდურიანი თორღვა და გრძელ საგმირო ლექსს გაჰღმუის არაგვის ჭალებს, გადავარდება ქისტეთში, ფრანგულს ალაღებს, უკან დაბრუნებულს კი დასხეპილი მკლავები უკრია ტახტაზე და იმდენ საქონელს მორეკავს, სავლელი გზა-მინდორი არ ჰყოფნით.

იმან იცოდა, იმ ბედნავსმა თორღვამ ესე — სანამ რაიმეს ეტყოდა ვაჟას, ჯერ სათაურივით ეს უნდა წაემძღვანებინა: „ჰე, ბეჩავ, ლუკას კვნესამე“ და მერელა ეშენებინა ქვა-ღორღით ის თავისი სათქმელი.

ერთ დღესაც მოწყენილი ადგა ჩვენი ზევსური, აღარც საქონელი გარეკა, არც რამე თქვა. ასე დააღამა დირეზე ერთი ხმიადითა და ერთი დოქი ცივი წყლით.

ერთი სიტყვა უთხრა მხოლოდ ნამძობს.

— არღარღა შემიძლია, ლუკავ, არღარღა... მეძახის...

მეორე დღეს ცხენი შეკაზმა, ერთი კიდევ გაჰღმუვლა ფშავის მთებს. და აღმა ბილიკს მგელივით გაეკრა.

— გაფრინდა არწივი, — უთხრა ლუკამ სახლიდან გამოსულ, გაკეირვებულსა და შეწუხებულ თამარს.

ამის შემდეგ ძმების ხუმრობისა თუ მიწერ-მოწერის აუცილებელი ატრიბუტი გახდა თორღვას სიტყვები.

ჰა, ბეჩავ, ლუკას კვნესამე,
ჰა, ბეჩავ, სანდროს კვნესამე,

და ა. შ.

ეს სიტყვები იმ ლექსსაც უზის დასაწყისად, რომელსაც სალაღობო-სახუმარო კილო მიჰყვება ბოლო წერტილამდე და სანდროს ეძღვნება.

ვინ არის სანდრო?

ჯერ იმისი თვალ-ულვაში ნახე და მერე იკითხე, რომელი ქალი წაყვა იმის თვალების კიჟვას და იმის ფაფუკ ულვაშსა გულმოუკვეთელი. იმის ვაჟკაცობა თუ გინდა დაჰკვლიეო, ფოსტა-კანცელარიაში კი არა, სპაში უნდა ნახო, როგორ გამოსცლის და გამოატიტვლებს ხოლმე ღვინის ბოთლებსა, როგორი ოფლი ჰბანს სასმელით აჭრელებულს სახესა. ისე კი, აბა, რა დასამალია, ქალების სილამაზეს და ნუნუას არც დანარჩენი ძმები სწუნობენ. უფრო ის უხარიათ, გორით რომ მოუვათ თევდორეს წერილი — მეწვიეთ და მესუფრეთო. ორნაირ ღვინოს აყენებს თედორე, ერთს ყამარივით თეთრსა და მეორეს — აშექალივით შავსა. ჩასხდებიან ძმები, ჩამყუდროვდებიან, ჩაუშაქრდებიან ერთმანეთს და ჯიხვის რქებივით ერთმანეთს ეხლება სადღეგრძელოები:

ნეტავი თვალითა გნახოთ,
დრო რო დადგება სმისაო!
თეთრიანი რო დაცლილა,
წითლიანს ქვევრსა ჰხდისაო.
ოჯევდორე: „ღვინოს უყურეთ,
გემო აქვს ბადაგისაო...

ხომ საყვარლად სახუმაროა ეს ლექსი, მაგრამ დიდი ტკივილის საფანელი კი აქვს გამოკრული. ეს, ალბათ, უთქმელადაც საცნაურია შემდეგი, დენთივით აფეთქებული სტრიქონებით:

გაჭირდა საქართველოში-
ხმა თქვენის ბიჭობისაო.
რა უპირს ისეთს დედასა,
ვინც თქვენთვერ შვილებს ზრდისაო!
ჰე, ბეჩავ, ფშაელს შვილებო —
თვალის მთხრელებო მტრისაო...

ტყუილად არ აურჩევია ლუკას ამ ორშინაარსიანი ლექსის წანამძღვრად ხევსურის ნათქვამი „ჰე, ბეჩავ“... თუ ძმათა მიმართ ეს მართლა ხუმრობაა, რამდენადაც რაზიკაშვილნი ზარ-კამეჩებად ებნენ ერის სახნავ-სათესში, თავის კვალს ავლებდნენ ჩვენი კულტურული ცხოვრების სხვადასხვა სფეროს, სხვანი მართლა შარტო სმა-ჭამას იყვნენ გადაყოლილნი და მხოლოდ ბოთლების ცლაში ხედავდნენ თავიანთი კაცობის გამოსაჩენ ასპარეზს, მაგრამ ეშველებოდა კია საქართველოს მათი ღვინით სავსე ყანყრატოთი და ფაშვებზე ხელის ტყაპუნით?

ვერა და არცა...

რას მიუტანდნენ მის მომავალს ღვინის დეგებიჭები?

ამიტომ ვაჟას ამ ლექსშიც შეუფარული კრიტიკის ცეცხლი გიზგიზებს...

ჰა, ბეჩავ, ქართლის შვილებო,
ღვალის მთხრელებო მტრისაო...

ჩვენ მხოლოდ ერთადერთი სიტყვა შევცვალეთ, რის შეცვლასაც ითმხვედრი მკითხველისაგან, ალბათ, მოელოდა კიდეც პოეტი.

აკაკისადმი მიძღვნილ ლექსში ვაჟას უწერია:

რომ მიყვაოს მამულისშვილი,
დაე, იცოდეს ყველამა...

სწორედ ამ მამულიშვილთა სახელებს უნთია წვრილ-წვრილ სანთებად მისი პატარა მიძღვნები: „პ. უმიკაშვილს" „ქართულ „ტრუპპას" „ვლ. ა-შვილს" „ილია ჭავჭავაძეს", „ნიკოლაძესა და „ლისტოკს", „სათავად-აზნაურო ბანკს" „ივერიას" და სხვა.

ლუკა ხარის სიდინჯეს უწონებს „ივერიას", მაგრამ ის კი აღარ მოსწონს, ათასგვარი „ისტები", რაც ხელში მოხვდებათ, ზედ უშენენ, უწმაწურს სიტყვებს „ლაყე კვერცხებივით აყრიან" და იმის გაცხარება კი მაინც არ იქნა. პეტრე[1] კი თავის წმინდა სეხნიასავით მქადაგებლად გვივის — მთის ქალებს ბარიდან შეჰყიჟინებს, როგორც ძველად ურთავთ და უქსოვიათ პირჭრელი ხალიჩები თქვენს დედა-დიდედებს, თქვენაც ისე ჰქსოვეთ, საქართველოსაც გაახარებთ და ცხოვრების სახსარსაც გაიჩენთო.

იცოდა ხუმრობის ფასი ლუკამ. — აბა, უღიმილოდ და უსიცილოდ წუთისოფელი როგორ იქნება! თუ დარდს აჰყევ-ჩაჰყევი და სეედა წარბზე შეისვი, ამით განა ან გაჭირვებას რამე ეშველება, ან კიდევ საწუხარსო, — იტყოდა ხოლმე თვითონაც მუხასავით ქარიშხალით ნაცემი და ნამტვრევი:

[illegible]
აქა ვარ ჩემი თავითა...
ვეღარა გამტეხელი,
მიელოდა მკლავითა...

ისევ ხუმრობით. იუმორით წკეპლავდა თავის გაჭირვებას ლუკა.

ეს საქმე კი ასე იყო: გაჩეჩილაძისგან ვაჟას თანხა რამ ერგებოდა, მაგრამ გაზაფხული იდგა, საქმე მკლავზე გამოიბა და ვერა და ვერ ჩავიდა ქალაქს. ამ დროს გლეხის მოცდენა ღვთის გმობაა, ჰოდა შიო იქ არა ჰყავს — უსტარს აახლებს, სულ ტირილისა და ჩივილის

---

[1] პ. უმიკაშვილი.

ხმაზე დაწერილს, ის ფული გაჩეჩილაძეს გამოართოს და ფოსტით ამოუგზავნოს, რომ ლუკამ ფშაურში ნათად, მარილად, საპონად საჭიხე-საკაბედ და ცოლის სიხარულად აქციოს. ასეც ჰქმნა, მაგრამ დაზე ბედის მრუდობას? რაკი შიოს ჯიბე ფულით გაუთბია, ივანე ბუქურაული და ქოსების დუქანი ერთად მოჰგონებია. ისეთი კარდანახული ედგათ ქოსებს ქვევრებში, რუსთ ხელმწიფის გვირგვინს ერჩიება შიოს.

იქვე იყო კიკლიაც — „პადვალის სირინოზი". ისეთ წკიპურტებს დააყრიდა დოლსა, ისეთ თაფლს გაისვამდა ხმაზე, ყურებს დაგინათლავდა, თაროებზე კი ქოსებს უხვად ელაგათ ჭიაური კულები, ჩაფიქრებული ყანწები და ღვინით ჩაშავებული ჯამები. დიდ ქეიფს კიდევ რა სჭირდებოდა? — თხლად გაშლილი პურმარილი, ცვრით ატირებული მწვადები და შიოს თამადობა.

ლუკასა და შიო მღვიმელის მეგობრობის მატიანეშიც ასე სწერია: — ვაჟას ჰონორარმა იმ ღამეს თურმე კარგადაც სვა, კარგი სადღეგრძელოებიცა თქვა და კარგადაც მჭირთო ის ღვთის ნაბოძები პურ-ღვინო შიოსა და ივანეს ტუჩ-პირით.

ამოუჯიდა ფშაური ლუკას ქოსების დუქანში თავისი ჰონორარის ვარდაცვალების ამბავი. რა უნდა ექნა? დაჯდა და „მუხამბაზით" დაიტირა თავისი უყისმათობა. ვაჟას ასე აქვს წარმოდგენილი ის თავისი უქუდბედობა — სარდაფში დულუკი ქვითინებს, ღვინის ოხშივარი იძაბება პაერში, მღვიმელი თამადობს და ამიტომ პატარა შიო დიდი ფადიშაჰია. მე შენ გეტყვი, ენაზე დალაგებული სადღეგრძელოები გამოლევა!

ადღეგრძელებდა, რაც კი რამ
არსებობს ქვეყანაზედა:
სამშობლოს, ლიტერატურას,
ქვაც თე სადმე ძევს ქვაზედა.
თამადად ამორჩეულსა
ჯდომა უხდება კარზედა..
გვერდს უზის ბუქერაული,
ყანწებსა სცლიდა ყანწზედა.

ახლა კიკლია იკითხეთ, რა დღეშია! როგორ იღერებს სიმღერით სავსე ყელსა, როგორ ქარგავს ხმასა.

გარეთ კი გრილი სიო ჰქრის, გაზაფხულს ეთერ-ქალივით ჩასძინებია და იმ ბინდ-ბუნდში კარებიდან გაჰყურებს ვაჟა-ფშაველა იმათ ქეიფსა და დროსტარებას.

ვაჟას იუმორი ამ „მუხამბაზში" პეპელას გაბრაზებასა ჰგავს. და მაინც ფშაური წკიპურტი ჰკრა ქართველ საზოგადოებას, — სამშობ-

ლო თუ გიყვართ, მწერლობას — ლიტერატურას თუ თავს დაბლა უხრით, მაშინ იქნებ იმაზეც იფიქროთ, რომ მთაში მშიერი ვაჟა გივით, არჩვი ხომ არ არის, ნეკერი ჰკვნიტოს და იმით შერჩეს წუთისოფელს, მაგრამ ასე იყო და ეხლაც ასეა: ამ ჩვენს საქართველოში სიტყვა გვიზის მეფედ, საქმეს კი ხელები სტკივა და წელშიც ნეკრესის ქარი შევარდნია.

მოსულა ვაჟა-ფშაველა
ამ ქრიამულის ხმაზედა,
უცქერის კარებიდანა,
ცრემლი უგორავ თვალზედა...

ამ ლექსს ასეთი მინაწერი აქვს — „ვუძღვნი ჩემს ძმას შიოს..."

ამაზე იტყვიან ხოლმე: სადაც სანთელი, იქაც ნათელიო...

ხოლო ქვემოთ მოტანილ სტრიქონებს 1914 წელს წერს ვაჟა — გენიალურ პოეტად ალიარებული, მარგალიტების მთესველი და ერის სიამაყე:

მომეცით ფული,
განყაღდა გული!
თვე არის სრული,
რაც რედაქციას
გაუშემო ვუვლი.
რადა? რისთვისა?
— ავიღო ფული...

უყვარდა ლუკას თბილისში ჩამოსვლა. მისი სტუმრობა სანდალასთვის აღდგომა-ახალიწელი იყო. თვალის დაწამწამებაზე გაჩნდებოდნენ ხოლმე ღუნიბის ქუჩაზე — შიო, ივანე ბუქურაული, ეშმაკურად თვალმოჭუტული იროდიონი, იმ თავისი ულვაშების ყევარით, ერთმანეთს მოიკითხავდნენ, მიდგებ-მოდგებოდნენ და ცოტა ხნის შემდეგ ქიზიყელების დუქანში ნიაღვარივით შევარდებოდნენ ხოლმე. იმ წელსაც 1912-ის ახალი წლის დღეებში ელოდნენ ლუკას, მაგრამ ვაჟამ წასვლა ვერ მოახერხა და ისევ ლექსით მოეფარა თავის საძმოს: „ძმაო, სანდალავ", თუ ლუკას ამბავს ჰკითხულობთ, კარგად არის, კარგად ქართველი პოეტისა და ფშაველი გლეხის პირობაზე. ღმერთი უშველის თამარსა, — მთვარისოდენა ხინკლებს ამოუყრის ხოლმე ლუკას ხონჩაზე... შაექცევა შენი ძმა და აყოლებს კლდის მჟაველ წყალსა. იცის ლუკამ, როგორ გეცინებათ ამ მოწერილზე. რატომ არ გაგეცინებათ, შვილოსან, ზიხართ, ალბათ, დუქანში შენა... ძმაო, ივანე თუში, ვასო, შიო და წრუპავთ „ილიკოურს", თან ვაჟაზე ხითხითებთ, ღვინო-არყის სიმშრალე რომ სჭირს. გიხარიანთ განა მისი ჩამოუსვლელობა? მოიშორეთ განა ბეგარა? მაგრამ მაღლა ღმერთი

იყოს, დაბლა ჩვენა და ერთხელაც იქნება, ლუკა გეზელივით დაგეცემათ. აბა, მაშინა ვნახავთ, რა ბიჭები ჰყავხართ საქართველოსა.

მაგრამ ერთხელც იქნება
გესტუმრებით კიდევა.
და მაშინა ქამ-კარი
თქვენი გადაირევა.

მაშა-პაპის კერაზე ასვლა ძმებისთვის აუცილებელი რიტუალი იყო. უხაროდათ პაველსა და გულქანის სულებს, უხაროდა კეკეს საფლავს, როცა რაზიკაანთ კარზე ლეგა ვაჟები გააჩაღებდნენ სახინკლე და სამწვადე ცეცხლს. ერთხელაც, 1913 წელს სანდრო ამოუჯდა ქალაქიდან ლუკას. ახალი წელი ჩარგლის ბოლოში მოდგა და თედოსგან დაპირებული საგოზინაყე თაფლი კი არსად ჩანდა. „ძმაო, თედო", ღმერთმა უჯანმრთელოს ლუკას შენი თავი და შენი ოჯახი. არ გასცივდეთ, კაცო, ავად არ გახდეთ. შენი ძმაც აქ არის — სანდრო. ერთი მითხარ, შენს თევდორობასა, ის დაპირებული თაფლი სად დაიკარგა, ან იქნებ ისე იდათვეთ და ითევდორეთ, რომ მარტო სჭამთ და, ვაი თუ, ბევრმა დაგცადოთ!

მოკლედ დღეებს თითებზე ითვლის ლუკა და აბა თქვენ იცით:

მარტოკანი არ დასხდეთ
ამ თაფლსა ჭამადა,
მოიკარბოთ და მერე
კიდეც გაჰხდეთ ავადა.
ცოტა გამოგვიგზავნეთ,
ჩვენც შავირგებთ კარგადა,
თაფლის მოლოდინშია
დღეებსა ეთვლით შავადა...

ლუკას „მიძღვნები" ვაჟას ცხოვრების მატიანის საინტერესო ფურცლებია. მათში იხსნება პოეტის შინაური ცხოვრების, ადამიანური ყოფის ბევრი მხარე. ზოგში ფული უჭირს ლუკას, ზოგში მონატრებული ახლობელი უჩანს, ზოგიც უბრალოდ, სულის სათარხანოდ დაუწერია, თავისდაუნებურად აჰფრენია სიტყვა კალმიდან. ღარიბი ვაჟა ძმა-რძლებითა და ძმისწულებით მაინც იყო მდიდარი. ჩაუვათ თუ არა ფშაველი განდეგილი, რძლები თავზე დაჰბრუნავენ — აბა, რა ესიამოვნება ჩვენს მაზლსა, რას მიირთომს და როგორ მოეწონებაო. აგე, თუნდა ბაბო ვთქვათ, თევდორეს ჯალაფი — ისეთ ხინკალს დასხამს ხოლმე ხონჩაზე, იმათ შემყურეს წამწამები აგიყვავდება — ლაშაზებს, თხელნაჭიანებს, მაგრამ ხანდახან ხელი წაუცდება და მარილს უჭარბებს ხოლმე, ლოქოს მომზადებაც კაი პატივსა

და მოწიწებას მოითხოვს.—სანელი თევზის ტან-ფრთას ზედ უნდა დააკვდეს, რათა „ტკბილი იყოს, თანაც შამრგო“. ასეთად ჩანს ამ ლექსებში ლუკა — ნათესავი, მეგობარი, მოყვასი, ფშაველი გლეხი, ინტელიგენტი — თავის შინაურულ წრეში, საყელოშეხსნილი, მოხალვათებული, ლაღი. ასეთებია: „ბაბოს“, „ლიზას“, „ვუძღვნი“, „წარწერა სურათზე“, „ლუარსაბს“ და სხვანი. მათ შორის ისეთი ლექსებიც აქვს ლუკას, მის დიდ გულისტკივილსა და მწარე ფიქრებს რომ იტევს. ასეთია, მაგალითად, მიძღვნა, რომლის სათაურია „თ. გიგლა ყარალაშვილს (ჩემს ძველს ძმობილს)“.

გიგლო, მართლა მეგობარი იყო ლუკასი, ჩვენში რომ იტყვიან — ღედის რძე შერგებიაო, ისეთი კაცის სახელი დაჰქონდა მთელ იმ ახლომახლო საქართველოში. კაცის სიმრუდეს ნუ ანახვებდი და ცეცხლში დაგეწვა. ვაჟას ფასი იცოდა, ქართული პოეზიის არწივთან მეგობრობა ეამაყებოდა კიდეც და ქომაგადაც ედგა მის სილარიბეს.

მაგრამ რა ექნა ერთ გიგლო ყარალაშვილს? ბევრი იდავიდარაბა, ბევრი იქუხა, მაგრამ თიანეთში რომ „პასრედნიკის“ ადგილი გათავისუფლდა, ის სახელო ლუკას მაინც ვერ უშოვა. არა და როგორ სჭირდებოდა ვაჟას ძველ ჩოხას, დიდ ჯალაბსა და ცარიელ ჯამს ის რამდენიმე რუსული თუმანი. თავი შეირცხვინეს ბარათაანთა, თავიანთი გვარიშვილობა წინ ხალიჩასავით გაიგეს და ლუკას ის ადგილი წაართვეს, დანის პირით კი არა, ტარით გამოსჭრეს ყელი, ცეცხლზე წყალი მიუსხეს:

რა გაუკირდა ისეთი?
რამ დაატანა ძალია?

ეს კითხვა ვახტანგ ბარათაშვილისკენ არის მიმართული, ვინც ის მზსნელი „პოსრედნიკობა“ შარვალქვეშ ამოიდო, ლუკას კი ალაზანივით გრძელი პირობა მისცა — ამ ადგილას ვახტანგი დროებით იქნება, აბა რა მისი საფეროა, დიდხანს გაჩერდეს. მალე თვითონ გულაბს იშოვის და ამ პანტამსხალს ლუკას მოუგდებს.

როდის დამიცლის ადგილსა,
იქითვე მრჩება თვალია.
პირობა მომცა ისეთი,
მალე იქნება ხვალია!
როდის იქნება, არ ვიცი,
ამ ერთ წელს დავაცალია.

ესეც ჩვენი ქართული სენი — განათლებული კაცი, თავადიშვილი, ვინც კარგად იცის, რა გაჭირვებაში უხდება დიდ პოეტს ცხოვრება, არაფრად აგდებს ამას და ორივე ხელით წააგლეჯს ლუკას ლუკმაპურის სახსარსა და იმედს.

რა ჰქვია ამას? დაბალი ეროვნული შეგნება.

ასე გვქონდა დავსებული თვალი ცნობადისა...
ასე ვიყრიდით თაგზე ნაცარსა და ჰეპყს..
ასე ვუშლიდით ფეხქვეშ ეკალს აკაკის...
ასე მოვკალით ილია...
და კიდევ რამდენი „ასე...“

სწორ დასკვნამდე მისულა ვაჟა — განა და ვინ არის ბარათაშვილისთვის ლუკა? ვინა და საწყალი ფშაველი, საქონლის სუნით სავსე, ცელის ტარზე გაკრული, „მიწაზე დასახლული გლეხი“, როგორც ამას სულკურთხეული საიათნოვა იტყოდა.

ამიტომ უკვნესის კალამი ლუკას:

თავადიშვილის ხელშია
ფშაველი შესაბრალია...

მაგრამ ცა ისე არ ჩაჩრება, ერთი ვარსკვლავი არსად კამკამებდეს. ღმერთმა უშველოს გიგლოს — რაც საქებელ-სამკაბელი სიტყვა უნახავს ამ ჩვენს ხვავიან ქართულში, სულ ლუკასთვის გაუმეტებია. მადლობა ბედსა, მადლობა, რომ თითო-ოროლას მაინც ესმის საქართველოში ვაჟას კალმისა, რას ამბობს და რას ვერ ამბობს, ან რა ჭიამწიკლი უჭამს ფესვებს თალხაბიან იას, რას კვნესის ხმელი წიფელი და რატომ ბორგავს ბაკურის ხმალი.

დრო არ უნდა შედგეს, დრო, თორემ შედგება და მაწონივით შედედდება, წარსული ისე არ უნდა ჩაგვიქვრეს, ღვეზელი აღარასად ბოლავდეს. იცოცხლე, გიგლო ყარალაშვილო, იცოცხლე ემაგ ტკბილი გულისთვის, მამულიშვილის სიყვარულისთვის...

შენი კი მადლობელი ვარ,
რომ ჩემთვის მოიცალია:
მაქებ-მადიდებ ჭია-მღილს,
ცათამდე ამიყვანია..

ხომ მადლობელია ვაჟა ყარალაშვილისა, ხომ ბაღდადივით აქვს მკლავზე გადაფენილი იმისი კარგი კაცობა, მაგრამ გლეხის გუმანი მაინც სხვას ეუბნება. თავადი მაინც თავადია, ჩემო ლუკავ, გინდ „კრესლოში“ იჯდეს, გინდა ტახტზეო. ალბათ, აქედან მოდის ეს ხიწვიანი დასასრულიც ამ მიძღვნისა.

არ მიღალატე არა დროს.
ფხიზელ ვიყავ თუ მთვრალია,
ღვინო მასმიე ბევრჯელა,
როცა მწყუროდა წყალია,
თუ ბოლოს ჟამსა ძაღლობა
შენაც არ მოიხმარია.

ასეთია ლუკას ეჭვი...

* * *

ვინ არის მგოსანი? როგორი სწამს იგი ვაჟას? ბულბულივით განაბული, თუ წუთისოფლის ბორგვას აყოლილი, შუბის პირივით ნალესი მზერით, საქვეყნო ფიქრიან ნაბრძოლის შუბითა და კლდესავით სათრევი საზრუნავით. არა, ლუკას კალამი ვერ შეიყვარებს ლექსის ასკეტს, ყელტკბილ მოშაირეს, ხმადათაფლულსა და მაჯნუნივით უგზო-უკვლოს. თუ პოეზიის სახატეში სანთელი გინთია, ჯერ ის იყავ, რაც დედის ძუძუმ გიჩურჩულა — ერისკაცი, შენი ხალხის ღვიძლი ღვიძლთაგანი, მისი ნაწვეთ-ნაჟური. როცა შენს ქვეყანას ავი და მტერი შემოჰყმუის, ფორანი დაჰქშენს და ლიბოში გველი უძვრება, წელზე შიშველ მახვილად უნდა გერტყას ლექსი, მგოსანო, ღვთის ძევ და ასულო, თორემ უამისოდ შერი სათქმელი და ნამღერი წყალზე დაიწერება, შენს სახელს დაჟიწყების ჩრჩილი შეუჯდება და მერე სადღა იქნები, როცა მომავალი მოგიკითხავს? — არსად, ღვთის მადლმა, არსად. მარტო ლიტერატურის მკვლევარი თუ წააწყდება პოეზიის ისტორიის ძველშანებში მიგდებულ შენს სახელსა და გვარს — აგრე უთვისტომოს, აგრე უმისამართოს. მართალი სიტყვა უნდა გეჯდეს ქადაგად სტრიქონში, სამშობლოს მთაბარი გულზე უნდა გესვენოს, ქვეყნის წყლულს მალამოს უხარშავდე და თვისტომთ „ერძნობას უდულებდე“, რომ ამა გრძნობამ ერთპირად და ერთ ზნეგონებად შეჰკრას ერი, თორემ იმაზე დამლუპველი არა არის რა, როცა მოვარდნილი ნიაღვარი გაიღვრება და გაიტოტება. აბა, რაღა ძალა შერჩება ასეთ წყალკეთილს?

რა ტერფა სანახავია
ქვეყანა ჰკვათა-მყოფელი,
ერთის ფიქრით და გრძნობითა
განმტკიცებული სოფელი,
მტერს რა ღამაზად დახვდება
არსებით განუყოფელი.

ასეთია ვაჟას რწმენის ლიბო-ბალავარი. თუ ერს უნდა ისტორიის ბობოქარ ოკეანეში არ ჩაიკარგოს, ცა მხრებზე არ ჩამოენგრეს და მომავალი არ გაუბერწდეს, მისი მაღლა აწვდილი ალამი ერთობა უნდა იყოს, თორემ უკეთესი დღის ნატვრა ნატვრისთვლადვე ჩარჩება გულში მარტო რომ სხივსა და ციალს ისვრის, სამაგიეროდ კი არც რამე მისგან გამოიჩეკება და არც გაიზრდება.

ნეტავი იმას, ვასაცა
წადილი აჰსრულებია,
გულის ნაგრძნობი ისევე
გულში არ აჰსულებია.

ვაჟა იმ სამებისაა, რომლის ორი ჰიპოსტასი ილია და აკაკია, ამიტომ ხელოვანის დანიშნულება მასაც ამ მოძღვართა მსგავსად ესმის. ვინა გყავთ, ქართველნო, იველრიის შვილნო, ასეთი მეცხრამეტე საუკუნის გარიჟრაჟზე? ვისი მერანი მიარღვევდა უკუნად ჩამოწოლილ ბნელს, ვისი თვალი ბურღავდა კლდედ ჩამომდგარ უიმედობას, ვისი „გულისტკივილი“ და „წყრომა“ აშენებდა ახალ ქართულ ლექსს? რა თქმა უნდა, ბარათაშვილის — ჩვენი ეროვნული პოეზიის სევდიანი ჰამლეტის, აუკანკალებული მუზის, მებრძოლი კეთილშობილების. რა იგულისხმება ტატოსადმი მიმართულ ვაჟას შემდეგ სიტყვებში?

არ დაივიწყა სამშობლომ
შენი მის ბედზე ტირილი,
შედგარი სულის კვეთება,
შაებედობაზე ჩივილი,
დაუშრეტელი ნაღველი,
წყრომა და გულის ტკივილი...

ძნელი არ არის, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა — იგულისხმება ბარათაშვილის უდიდესი გავლენა მთელი შემდგომი პერიოდის ქართულ მწერლობაზე. სწორედ მან გაუჭრა გზა XIX საუკუნეში იმ ეროვნულ მიმართულებას, ქართული მწერლობის იმ დედატოტს, რომელზედაც სამამულე რქა იზრდებოდა. არა, ვაჟას აწმყოზე მხოლოდ ჩივილი არ სწამს. აკი ამიტომაც გისველდება თითი სხვა ქართველ რომანტიკოსთა ნაწერების ფურცვლისას. ცრემლი წვიმს მათი სტრიქონებიდან „ვაჰ, დრონი, დრონის“ კვნესა ჰფუფქავს ჰაერს და უიმედობის განცდა სულს გიხუთავს, ბარათაშვილი კი სხვა არის — მასში ერის მედგარი სული ბრუნავს, „დაუშრეტელ ნაღველს“ წყრომისა და ბრძოლის გრიგალი იტაცებს მაღლა, თუმც მზისკენ გაფრენილი მერანის ფეხქვეშ ისევ სამყაროს წესით ბრუნავს დედამიწა.

ვაჟაც ამ დედახისგან გამოთლილი ჩანგურია, ამიტომ

ზღვიდობა შენს ნიშტს, მგოსანო,
ქართლისა წყლულთა მოზარე,
შვიდობა, სულო, ძლიერო,
თაეის სამშობლოს შოყვარე...

აქ განჯის ხვატიან მიწაში, გაუჭრეს საფლავი დიდ მგოსანს. ხმელი ტილტები ამოჰქონდა ბარისპირს. სადღაც მოლა გალობდა ყურანის სურებს და ჩაიხანაში ბანგის მომგვრელი ბაიათი წელში წყდებოდა. სამარის პირთან რამდენიმე რუსი ჩინოვნიკი იდგა. კოკარდიანი ქუდები მოეშვლიპათ და ისე იდგნენ, თითქოს განაჩენის აღსრულების მოწმენი იყვნენ. თრიაქის ბოლივით მოსდებოდა შუა-

ღლის რული კაპასი სიცხით ატრუსულ მინდვრებს. მიწას ჩასცქერდნენ დუქნების ჩრდილში მიბმული საჯელრები და ცხელი ნიავი ურხევდა კაბის კალთებს ფეხაკრეფით ჩავლილ, შუმიებივით ჩუმ ჩადროსან ქალებს.

ხე დავიმარხო ჩემსა მაძულში,
ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის...

— ვის მარხვენ ჰუსეინ? — იკითხა აქლემს ადევნებულმა ვაჭარმა და ინით ნაღები ტუჩ-ულვაშზე ზიზღი აისხა.

— ურუსია ვილაც, მაზრის უფროსი... — ჩამოღეჭა პასუხი ჰუსეინმა და იმანაც ისეთი სახე მიიღო, თითქოს დიდი რამაზანის წინ ღორის ხორცით შელანძღულიყო.

— გიაურ, ურუს, გიაურ... — თან ბუტბუტებს და თან უკან იხედება ვაჭარი.

არც სიკვდილში ჰქონია ბედი ტატოს და. მისი თბილისში ჩამოსვენება არა მარტო დიდი მადლის საქმე იყო, არამედ ეროვნული გამოღვიძების დიდი დაფიონიც. აი, რატომ ავლებს მირონში ვაჟა თავისა ჩონგურის სიმებს:

მადლი შენს თანამოძმეთა, —
მიწა გახილეს მშობელი,
შენი სატრფო და სადარდო,
გულს ლახვარ-დამასობელი...

ვერაფერი ჩააქრობს თავისუფლების ლამპარს — ვერარა ძალა. ეული სულის დიდი პოეზია მუდამ კელაპტრად ენთება ქართველ ერს. ბარათაშვილის მერანის ნავალ-ნაფრენი ჩაუქრობელ ცისარტყელად ენთება პროგრესის გზაზე:

შენი მერანი კვლავაც რბის,
მისი ნავალიც შთენილა,
უმადლოდ არ დაკარგულა,
თუ ოდეს ცრემლი დენილა...

აბა, მთები რას იზმენ, როცა ბარი სამომავლო ბუკს ააჩქამებს? — ამიტომ ვაჟას ჯავშნიან-ჩაჩქნიანი მებრძოლი პოეზიაც მთათა ხმა არის — ბარათაშვილის გმირული მოწოდების გამოძახილია:

მოიღე ჩემი სალამიც
გამოგზავნილი მთიდამა,
„ჩვენი არაგვიც" მუხლს გიყრის,
გადმომქუხარე კლდიდამა;

ასეთია ვაჟას დამოკიდებულება საერთოდ ბარათაშვილის პოეზიისადმი ამ ლექსის მიხედვით. მაგრამ სათქმელი კიდევ აქვს და სხვაგან აქვს ამ ახალგაზრდა გენიოსზე.

ალექსანდრე ყაზბეგი სხვა იყო ლუკასთვის. ჯერ კიდევ ადრევე გრძნობდა, რომ ამ ტანწვრილ, ფრესკის ცისფერთვალებიან მოხევეში აჯანყებული მთების გრგვინვას დაებუდა და, საცაა, ახალი და უცნაური ხმების გამა გააოცებდა მრავალისნანახ ქართულ მწერლობას. გრძნობა და ფსიქოლოგიური ჩაძიება ხომ არც ჩვეულებრივ საუბარში აკლდა სანდროს. ხანდახან თითქოს მშვიდი, ზეკეთით მოწყდებოდა, ლოგიკის გრდემლზე ნაჭედ აზრებს სულშეგუბებული ამოსთქვამდა და, მერეღა დაემგვანებოდა ქარიშხალგადავლილ ზღვას, თვალებში მუქი სილურჯე უბაცდებოდა, სახე ულაგდებოდა და ნაცრისფერ ყურაღალებს ისევ უბრუნდებოდათ ადამიანის ფერი. მერე ის მოხდა, რაც უნდა მომხდარიყო, გულგრილსა და კაენის შურით სავსე საქართველოში — ალექსანდრე დაეცა, სანდროს სახელი და გვარიღა ჰქონდა ცოცხალი, თორემ თვითონ უკვე მკვდარი იყო. მის მაგივრად ერთი ბოგანო დადიოდა თბილისში, ჩამოფლეთილი ნაბდით, ძველმანი ხამლებით, ჭუჭყიანი ჩოხითა და შიმშილით გაცრეცილი სახით. ხან მიხეილის საავადმყოფოში იყო, ხან ვისთან, ვინც სამადლოდ ლუკმას გაუწვდიდა ან ჩულს მიუგდებდა ღამის სათევად. იყო, ლირივით მარტო, ყველასაგან მიტოვებული, ყველასთვის ვაი და ვაგლახი. ფსიქიური აშლილობა ანაკუწებდა მის სულს, გონებას უმღვრევდა და მხოლოდ წერის სტიქია თუ გამოსტაცებდა ხოლმე სანდრო ყაზბეგს მის მფლობელ ეშმაკს. წერდა... წერდა... წერდა... ნაკუწზე, პაპიროსის კოლოფზე, კედელზე... ყველგან წერდა... სანამ სანდრო ყაზბეგი იყო, სანამ ისევ წეღანდელ ბოგანოდ არ გადაიქცეოდა, მხრებზე რომ ეზესუმზირას ჩენჩოს გადაყრიდა ხოლმე.

ქართული წერლობის პარნასზე გადმომდგარი ორბელიანი კი „ქაროველ უცნოროსს“ უწოდებს ხევის ბატონის მიხეილის შვილს.

„ღმერთმა გადღეგრძელოს მოჩხუბარაძევ“...

იქ, მიხეილის საავადმყოფოში, მიიბარა ალექსანდრე მარადისობამ...

იდგა 1913 წლის ცივი დეკემბერი. ორი წელი-ღა დარჩა მკითხველს ვაჟას სიკვდილამდე. უკვე ავად არის, ფერდი სწიწკნის, ცელის მოქნევას უშლის, ძილს არ აძლევს — ღამე კვნესით წამოდგება ხოლმე და ფერდზე ხელმიდებული ჩუმად დადის სადგომში, რომ ჯალაფი არ გაალვიძოს, მაგრამ ახლა სანდროს სიკვდილმა საკუთარი გაჭირვება დაავიწყა — ცრემლი და ჯავრი ლექსში ჩაღვარა და მწარე ფიქრები ეკლის გვირგვინად ჩამოიმხო შუბლზე...

შვილო ტანჯული ქვეყნისავ,
სულ დაჭლიე ტანჯვითა,
მოუხვალ მამა-პაპათა
ამოღებულის ხანჯრითა...

ასე თუ ტირიან კაცები — უცრემლოდ, ხმელად. წავიდა სანდრო, წინაპრებთან წავიდა, წავიდა შეურცხვენელი და აქ დატოვა ხევისბერი, ონისე, იაგო, იჩქირი, ზვიადაური, ჯოყოლა და კიდევ რამდენი, თვითეული წელზე ხმლად შესაბმელი და აბჯარ-ჯავშნად ჩასაცმელი საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლაში...

ჯვარი ტანს ნისლად გეხვევა,
ცრემლი მოგეყვება საგზლადა,
და ტრფობა შენის ქვეყნისა
უქმს და ხელუყრელს აბჯრადა...

ეკლის გვირგვინით დადის სიმართლე ამ ქვეყნად, სიმართლე და სამშობლოს სიყვარული. სანდრომაც ასე იარა, ეკაწრებოდა შუბლი იმა გვირგვინით და იმა სისხლით განწმენდილი წარუდგება

მამულისათვის გამწყდართა
იმ საქართველოს შვილებსა...

ლოცვასავით ჟღერს ლექსის ბოლო სტროფი:

ცოცხლად იმედით მცხოვრებო,
გთხოვთ, იმათაც სცე ნუგეში!
ჯერობა ქართველებისა
ეგონებ, მიგეყვება უბეში!...
უჩვენე შენი კალამი,
ნაწერი სისხლის გუბეში...

არა, არ მოკვდება საქართველო. მისი შვილების სისხლი ისევ ააბიბინებს მდელო-მინდორს, არწივის ფრთებზე გაიზრდება მართვე, რომელიც შემდეგ ირაოს ჰკრავს და ამაყი ყივილით შეებმის სივრცეებს. მოდის აბალგაზრდობა, ეზრდება საქართველოს შვილები. აკი ილიაც იმედის ზარივით რეკს:

ჩემო კარგო ქვეყანავ,
რაზედ მოგიწყენია?
აწმყო თუ არა გწყალობს,
მომავალი შენია...

ადრე თითქოს არსით ჩანდა კეთილი სხივი, ახლა კი სხვა დრო ჩამომდგარა, სხვა ჟამი.

ღრუბლებ ვხედავ, გაპმრაველდებიან
მშობელ ქვეყანას შვილები...

გრძნობდა ვაჟა, რომ საქართველოს მომავალს ღირსეული ჰა
რონი ეყოლებოდა — ზნითაც, ცოდნითაც, სამშობლოსთვის თავდა
ბის წყურვილითაც. ამ ლექსს იგი თავის ნათლულს — გიორგი ლე
ნიძეს უძღვნის. თითქოს გრძნობს, რომ მისი შემოქმედების ერთ-ერ
თი ძირითადი მოტივთაგანი — პატრიოტიზმი გ. ლეონიძის პოეზიაში
აიყრის ახალ ყლორტსა და რქას.

მანამდე კი, მანამდე ცრემლი უმძიმებს ვაჟას წამწამებს, თუმც
რა გასაკვირია, რაც 1907 წლის სექტემბერში საქართველომ ცრემლი დაიდინა, ერთ ნაკადად რომ მიეგუშვა, მყინვარს წაიღებდა, წი
ქვილს ააბრუნებდა. მოკლეს... მერე ვინა და მერე სად? — ილია ლ
ისიც ქართველმა, ისიც საქართველოში, არაგვის პირას, იმ არაგვ
სა, დიდ მოძღვარს რომ ქართლის ცხოვრების მოწმე-მოზარედ ჰყა
და დასახული.

განა არ იცის ლუკამ — ზოგს ერთ თვალს რომ ცრემლი ურე
ცხავს, მეორე უცინის. ილია თავადი იყო, გლეხის კბეჩა უყვარდა
საქართველოს თავისუფლებას უნიაზებდა, სოციალ-დემოკრატების
პროგრამას ბზესავით ატანდა კრიტიკის ქარიშხალს და აგე, ზო
დასცეს ტყვია დალლილ შუბლში. ბაზალეთის ტბაში ყრმა წევსო, ჩე
ნი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო — მონაჩმახია ეს ყველაები, კალმის
ფურთხი და საღ გონებასთან საერთო არა აქვს რა. უფრო გაქსუელა
და აიჭიმა სატინისხალათიანი სოციალ-დემოკრატია. გვაბრალებენ,
ილიას მოკლას ჩვენ გვაბრალებენ, — ხმაშეწყობით უპყეფენ ჯოხ
ეით მოღერებულ ეჭვს, — მაგრამ რომც მოგვეკლა, ვითომც რაო, რა
წამწამს აგვიწვავდით — ტყეს რომ ჭრიან, ნაფოტები ცვივაო, — ეს
იცოდნენ, და ასე იცოდნენ ჭკუათხელმა ლიბერალებმაო — ჩვენ მომა
კალი საქართველოს ისტორიას მაუზერის ტყვიებით დავწერთ, ბაზა
ლეთის ძირას მდგარ აკვანში ჩაძინებულ ყრმას აკვანშივე ჩავაზ
რჩობთ და მაინც ცეცხლივით ავაბრიალებთ საქართველოში სოცი
ალიზმს, თქვენ რომ არგასაზრდელ არამზადას ეძახითო.

ლექსი „ილია ჭავჭავაძის სახსოვრად“ სხვასთან ერთად ყველა
ფერ ამასაც გულისხმობს.

ლუკას შესანიშნავად ესმის, რომ ილია და „თერგდალეულები“
სხვანი იყვნენ, ვიდრე რომანტიკოსები. მეორენი გრძნობისანი არი ან,
მისტირიან წარსულს, შესტირიან აწმყოს. ილია კი, აგე, რას მი
უწოდებდა, „მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდიო“. დიახ, გრძნობა
და გონებამ ერთად უნდა სწიონ ჭაპანი და საქართველო შესძრან,
მოაღვაძონ, თორემ მხოლოდ გრძნობა რა არის — ქალწულია, ვი
ს ქმრის და სასიძო არ უჩანს, ამიტომ თვითონაც შინაბერად ჩარჩებ

და ჩაჭკნება — არც რაიმეს მომტანი, არც წამლები. ეს აზრი ლიბოდ უდგას ამ ლექსს:

საძირკვლად აზრი ჩაგდე,
ზედ დასდგი გრძნობის ტაძარი...

აჯა, აზრმა გრძნობა უნდა დაჰბადოს და არა გრძნობამ — აზრი, პირველი მოსავლიან შემოდგომას მოგვიყვანს, მეორე კი წყალზე ნაგეს-ნამკალი იქნება.

ცოდია ქართველთა ფარი იყო და იმა ფარს ზედ ეხლებოდა ყველა და ყველაფერი, რაც კი საქართველოსთვის ხელუკუღმა, ზიზღით უსვრიოთ. სწორედ ამიტომ მიაჩნია ვაჟას იგი ქვეყნისთვის წარსულ თავდადებულთა უშუალო მემკვიდრედ.

და შენი სისხლიც იქ ბრწყინავს,
სად წინაპართა ნთხეულა,
რომელთა ხსოვნა შენს გულში
არაროდის გამოლეულა.
იმათ სისხლს არაგვის პირად
შენიც დაერთო წლეულა...

გვიან გაიგებს, საქართველო, მოძღვარო, შენ მისთვის რა იყავ და ის შენთვის რა იყო. შენ ხომ ორმხრივ იქნევდი ხმალსა — ერთით რომ სხვისა ოფლის მსმელებს სჩეხდი, მეორით ეროვნულ თავმოყვარეობას უგერიებდი. დღეს კი, დახე სატანის ტუჩ-პირსა, რეებს როშავს — ილიას გლეხის ანათალი ელაგა სუფრაზეო. არ დაიჯერო, საქართველოვ, ფარისეველთა. დიდი სულისგან დატოვებულს პატიოსან გვამს, მაშ, რატომ გლოვობენ ასე გლეხის შვილები, უსამართლობისგან ტყეში კეტით გარეკილი „კაკო ყაჩაღები", „ზაქროები" და კიდევ სხვები? მშობელი ხალხის, ქვეყნის საწყლობა გულზე იარად რომ კეკერა, იმიტომ თუ მოგიბულეს, ჩვენს მტერს რომ ლაფში ჩასვამდი ხილზე და ზედ მწვირეს გადაასხამდი, იმიტომ, თუ გაგიმეტეს უკვე გილაციაზე ასული მაცხოვარივით.

ჩვენი საწყლობის მოზარევ,
მანდ დაისვენო ეგება?

ბატო მისდიხარ, საქართველოვ, რა გელის, რას გპირდება მომავალი? ვინ? ვინ, ილიას მეტი? აი, კითხვა, თავზე რომ დაგეტრიალებს. ვიღა დასწვდება იმ ოქროს აკვანს, ვინ ამოიყვანს იმ მზესავით გაცინებულს ყმაწვილს, ახლა უშენოდ ასე უსუსურს, უპატრონოს, უღელოს? ვინ დაშრეტს ერის ცრემლს, მორევივით რომ ბრწყინავს და სდუღს?

სალტედ არტყია ეს კითხვა ვაჟას ფიქრებს, პასუხი კი ვერ უპოვია,

ანდა რა პასუხს იპოვით, როცა ერთ ისეთ სირეგვენეს შეუპყრია, რომ ილიას კლავს, ანუ საკუთარი ხელით ანგრევს თავისსავე სალოცავ ტაძარს?

ვერაფერს ვიტყვი, ენა სდუმს,
თავზე დაგვჩხავის ყორანი;
გაღმა გასვლისა მსურველთა
უკუღმა მიგვყავს ბორანი;
გაგვიბატონდა, მგოსანო,
სირეგვენე, შეუწონარი...

ქართული პოეზიის ოლიმპზე აკაკიც სუფევდა. ჯერ კიდევ არ ჩამქრალიყო ილიას სახელზე დანთებული კელაპტარი.

არა, ასე არ იქნებოდა — დარდსა და სევდას არ უნდა გადაექცეს იმედი. ჭირს გაძლება უნდოდა. ერს უნდა ეგრძნო, რომ მისი გული ისევ ფეთქავდა, სული ზეობდა და მომავალი კარსუკან ედგა. სწორედ ასეთ ვითარებაში ჩატარდა აკაკის იუბილე 1908 წელს.

აკაკი — ეს სახელი ვაჟასთვის სალოცავი იყო. სანამ ეს ბუმბერაზი ჰყავს საქართველოს, ქართულ ლექსს ობოლი არ ეთქმის, მაგრამ, ვაი რომ, ილიას ვერაგულმა სიკვდილმა ისედაც შექანებული ჯანმრთელობა კიდევ უფრო აუწეწა, წუთისოფელი გაუმწარა და ფიქრებში ჩაჰკეტა. ეს მარტო იუბილე არ იქნება. დაინახოს მტერმა, რომ წიწამურზე ნასროლმა ტყვიამ ის საქმე ვერ მოჰკლა, რისთვისაც მოძღვარმა მოწამებრივი სისხლი დაღვარა, რომ ქართლოსის სული ისევ დაცურავს საქართველოს ცაში.

ლუკა ლექსს დაუწერს წმინდა მთხუცს, მუხლს მოიყრის მისი სიმაღლის წინაშე, თუმცა აკაკის ღვაწლი დღეს სრულიად ვერ შეფასდება — მომავალმა თაობებმა უნდა არწყონ აურწყავი. ბარში თურმე ჭრელი ჭორი მიდი-მოდის, თითქოს ლუკას აკაკის კრიტიკის შემდეგ მისი სახელის ხსენებას ნივრის ჩაკბეჭია ერჩიოს, აღარც მისას რამეს კითხულობდეს, არც მისი სალოცავი ელოცებოდეს.

ესეც ქვეყნის მტრის ნამოციქულებია — ვაჟა თქვენი ძვალ-სახსრისა არ გახლავთ, ბატონებო, ეტყობა, ჭკუა დოსავით აგმჟავებიათ, ან კიდევ თქვენაც სოციალ-დემოკრატების რუსული სურდო შეგყრიათ — ცხვირს დააცემინებთ და „ბუდ ზდოროვს“ მოსკოვ-პეტერბურგიდან გეტყვიან. თქვენ რა ხეირსაც დააყრით საქართველოს, იცის ლუკამ — გაველურებული ძაღლების ხროვასავით ხან ვის დიდ სახელსა ფლეთთ და ხან ვისას. ლუკა ნაწყენიაო, — ვერაფერი თქვენი საკითხავია მისი წყენა. არც ვინ განსჯასა გთხოვთ.

მაინც ვინ არის აკაკი ჩვენთვის? — საქართველოა, დღევანდელი, ილიაშოკლული საქართველო — და მაინც იმედჩაუმქრალი, მართალი,

მაღალი. აკაკის პოეზია ხან გლოვის ზარია, ხან ბრძოლის კიჟინა, ხან კიდევ ჯავშანი და ჩაჩქანი, რითაც შინა თუ გარე მტერს უნდა დახვდეს ჩვენი ქვეყანა. განა ლუკასაც ის სენი არა უღრღნის სულსა, რამაც აკაკის თმა-წვერი ჩამოუთეთრა? ბედი მგლურად ექცევა საქართველოს, მტარვალი გაუმრავლდა, მაგრამ აკაკი ჰყავს და დევების ლაშქრისაც არ ეშინია. დიდ მოხუცს არ მოსწონს ქაჯას ფშაური კილო, მაგრამ განა ამით აკაკის დიდებას კლაპატარი აკლდება? ლიტერატურა, ბატონებო, კაცთა კერძო ცხოვრებაზე მაღლა დგას, ის კაცობრიობის სულის მწვერვალია, საიდანაც არც კი ჩანს ზოგის წვრილმანი სიცოცხლე და ერთმანეთს ვირთხებივით დატეტებული ინტრიგები — აზრი მრავალია, ჭეშმარიტება — ერთი და, დაე, მომავალმა განსაჯოს სიმართლე აკაკის შეხედულებას დასცემს ბეჭედს, თუ ლუკას ლიტერატურულ მრწამსსა. ახლა კი სცენაზე დგას ნაბადმოხურული ვაჟა და თავის ფშაურად ამღერებულის ხმით კითხულობს იმ თავისი ფანდურის სიმებს:

თუნდ არ მოგწონდეს, ეგება,
ჩემის ფანდურის ჩხაკუნი,
მიიღე სარეკელასი
როგორც წისქვილში რაკუნი...

როგორი უბრალოება იგრძნობა ამ სტრიქონებში და როგორი შინაგანი რწმენა. არა, ვაჟას არ ჰქონდა უფლება, წყენის ხმას აჰყოლოდა. აკაკი ახლა მხოლოდ აკაკი არ იყო, მასში ილიაც აგრძელებდა თავის დიდსა და უკვდავებაზე გადასულ სიცოცხლეს:

დღევანდელ დღესა არ ძალმიძს,
არ ყღერდეს ჩემი ფანდური!
ღლიაც მესაუბრება,
უნდა დავუგდო მას ყური.

ლუკის წინახმა მაინც იქითკენ არის მიმართული, რომ მკითხველს გაიგოს — ვაჟა აკაკის აფასებს, როგორც ერის დიდ შვილს, მოღვაწეს, აფასებს ობიექტურად, ლიტერატურული სინდისიერებით და სტრიქონთა შორის მაინც იგრძნობა ეჭვი, რომ იქნება მოსუცმა არ არწმუნოს განაწყენებული ლუკას შესხმა, ამიტომ ლექსის ბოლო სტროფებს ჩუმი პოლემიკური სუსხიც დაჰკრავს, კატეგორიული განსჯადების იერიც და არც მთიელისთვის დამახასიათებელი ფიცი აკლია.

რომ მიყვარს მამულიშვილი,
დაე, იცოდეს ყველამა,

გადაგვარების მოსურნე.
შეჰპმოს ტურა-მელამა,
მადლობელი ვარ გულითა,
შოთაის სულის ღხენამა...

თვით ის ფაქტი, რომ ეს საიუბილეო ლექსიც ფშაური კილოხმით იყო ამღერებული, თავისთავად ბევრს ნიშნავდა, ე. ი. ვაჟა არ იზიარებდა მისი პოეტური ენის შესახებ გამოთქმულ აკაკის შენიშვნას და ამას თავისი საფუძველიც ჰქონდა. ფშაური კილო და სიტყვა — ლექსიკა სხვა არის. ვაჟას პოეზიას არ სჭირდება ლექსიკონი — სიტყვა, კუთხური ჰანგი მისთვის პოეტური ენის სამკაულია — მხატვრული ეფექტის მიღწევის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა და უიმისოდ მისი შემოქმედება ულოცველ სახატეს დაემგვანებოდა, სადაც არც ვინმე სანთელს ანთებს, არც საკლავს კლავს და არც პურჯვარს იწერს.

ვაჟას რწმენის კედელი ამ შემთხვევაში ვერც აკაკის დიდმა ავტორიტეტმა გაბზარა. მისი პოზიცია სავსებით ნათლად გამოვლინდა ლექსში „დაგვიანებული პასუხი აკაკის". აკაკის შენიშვნას, როგორც ჩანს, სულით-ხორცამდე შეუძრავს ვაჟა. ეს არც იყო საკვირველი. ენა ხომ აზრის, გრძნობის სამოსია, პოეზიის კრეტსაბმელიც ენაა და, თუ მგოსანს ის არ უვარგა, მაშინ სტრიქონი დაჰკოჭლებია, ერის ტაძარში უკელაპტროდ შესულა და მის ნაკალმევს ხმიადის ფასიც არ დაედება, გინდაც მელნის წვიმად მოდიოდეს. მაშ იქნებ ბრძანოს აკაკიმ, როგორღა უთესავს ლუკა ქართულ მწერლობას მარგალიტს. ეს თუ ასეა, მაშინ ცოდვილისა და უზიარებელის ცხონებაც დასაჯერებელი ყოფილა.

არა, ეს ახლოდან ნასროლი ისარი მარტო აკაკისა არ არის, ბევრის ხელი სწელავდა იმ მშვილდის საბელს, რომლითაც ბარიდან ეს საყვედური თუ ბრალდება გამოუტყორცნეს. საქმე რომ მარტო ლუკას და მის შემოქმედებას ეხებოდეს, ხმასაც არ დასძრავდა, სიმართლეს გულში დაიგუბებდა, მაგრამ ლუკასგან უთქმელობა ახლა არ ივარგებს, რამდენადაც საერთოდ ენისა და მწერლობის ურთიერთმიმართებაზეა ჩამოგდებული სიტყვა აკაკის ლექს-მიძღვნაში. სხვა, კიდევ სხვა არის. ეტყობა, შურმაც იბარტყა — ერთი უყურეთ და ლუკასა, ლექსი ფშაური ურემივით უჭრიჭინებს, ცოლი ერთ კაბაში უბერდება, დახეული მესტები ვერ დაუყრია, და დიდი პოეტის სახელი კი დააქვსო ამ ღარიბი მღედლის ბიჭსა, აკაკი არ იყოს იმ ლექსის ავტორი, აქამდის ნახავდით, როგორ ბრჯღალს გაგკრავდათ ვაჟა პოეზიის ნაწმენდს შესეულ ბელურებს, მაგრამ უგვირგვინო მეფის რიდმა გაუჩერა აქამდე კალამი, თუმცა ფიქრი ღამითაც კი შუბლს უფცქვნის და

ძილს არ აძლევს. რა ხანია, პასუხი ლექსადაც აკინძული უდევს გონებაში, მაგრამ ფურცელზე ვერა და ვერ გადააქვს. ნეტავ ილია რომ ცოცხალი იყოს, რას ურჩევდა? თუმცა, ეს რა საკითხავია? ერის, ლიტერატურის ინტერესები ყველა სახელსა და გვარზე მაღლა რომ დგას, ამას რა კითხვა და მკითხავი სჭირდება? ამიტომ ისევ მოშავალშა განსაჯოს მტყუანი და მართალი. ვაჟა პასუხს დაუწერს აკაკის — მძიმე უღელში შეებმის და ამ ხმელ ყამირსაც გაიტანს. ისე კი, საოცარი რამ არის, ლაშარის მადლმა, დასაწუნი ნეტავ რა აქვს ფშაურ კილოს ან თუნდაც აქაურ ხალხურ ლექსსა — სიტყვა რომ ხან საომარი ბედაურივით უთამაშებს, ხან ცაში მიმინოდ აუსხლტება, ხან კიდევ კაკაბივით უგოგავს ხოლმე? რატომ ვერ გაუგია ბარს მთისა? განა აქ ქართველები არ ცხოვრობენ? ან იქნებ ის არ იციან, თუ როგორ ჰყავთ მთიელებს სამშობლო სალოცავ ხატად, რამდენჯერ უკაფავთ იმ თავის გორდებითა და გველისპირულებით ბარში ჩამომდგარი ღამე?

მახლას, ლუკავ, მახლას! შენი ფასი ჭიანი ნიორიღა ყოფილა, თუ შენის უშნო ენით, საქართველოს ვერას აგებინებ, მაშინ რაღაც აფხაკუნებ მაგ მჭვარტლიან ფანდურს? მოიქნიე და მოისროლე. რაღა ფასი აქვთ შენს ლექსებს, შენი ფიქრის ღადარზე და გრძნობების ალზე ნაცხობ პოემებს, ცეცხლსაც შეუჭამია და წყალს წაუღია. ერთი კი მართლა არის, მთიური კილოები არწივის ყივილსა და ყეფასა ჰგავს — ხმაში ხან ზვავი უგრიალებს, ხან ჩანჩქერი უცემს, ხან კიდევ მთის მკერდზე დაბადებული ნიავი უჩურჩულებს. აქაური საუბარი, სიტყვის აჩქამება ლომის წამოდგომასა ჰგავს, მეფურის ნაბიჯით გავლას და, აბა, ლომს საიდან ექნება ქალის სიწაზე? ის თავისი ლომობით არის მშვენიერი, თავისი ხაფიანი ხმით, თავისი გაბარდულის თმა-ბეწვით.

ეჭვი არ არის, რომ აკაკის რეპლიკამ ვაჟას სული გაუკაწრა, რადგან მასში მხოლოდ სალიტერატურო ენის შესახებ გამოთქმული შეხედულება კი არ დაინახა, არამედ საერთოდ მთასა და მთიელებზე, მათ ყოფაზე, ზნესა და ეთნოსზე ბარში შემუშავებული მცდარი წარმოდგენები ინიშნა. ლექსის პოლემიკური ტონი მყარად ზის ეთიკის ჩარჩოებში — ყოველ სიტყვას თუ სტრიქონს ატყვია სათქმელის დინჯი აწონ-დაწონვის, ობიექტური განსჯის კვალი.

ვაჟა, პირველ რიგში, ნათელ პასუხს იძლევა კითხვაზე, თუ რატომ უბიბინებს მის სტრიქონს ფშაური კილოს სიო. საგანგებოდ ესმის ხაზი იმას, რომ მშობლიური კუთხის „ხმა“ მისთვის მხატვრული ატრიბუტია, ის წმინდა ცეცხლი, რომელზედაც დღეს მისი სიტყვისა თუ პოეზიის მირონი. ის არის მხატვრული გამოხატვის ფორმა, მისი

ფანდურის სიმები, მისი სალამურის ენა, უროშლისოდაც იგი ლიტერატურაში ვაჟა-ფშაველა კი არა, ლუკა რაზიკაშვილი იქნებოდა. ია ბარშიც ამოდის, ბატონებო, მაგრამ, აბა, ნახეთ, მთაში როგორია ეს ჩვენი თალხკაბიანი დაი, როგორი სუნი დაჰკრავს, როგორ არის გაბრუებული თავის სინაზითა და სილამაზით. მაშ, გაიგეთ, ვაჟა იმ თავის მთურის კილოთი სხვისა ყურისას კი არ მღერის, ისევ ერის ტკივილებს დასტაქრობს. თავისი კალმით ქართველის თვალისთვის გაუგებარ იეროგლიფებს კი არ წნავს, ისევ ქართულ ასო-ანბანს უდგას მუხლებზე დაცემულ მლოცველად და

მარგალიტების მფლობელი
ენასა ხმარობს ღონედა...

ეს ერთი და მთავარი... ახლა სხვა ვიკითხოთ, ვინ დაუწესა ბულბულის გალობას კანონები. განა სასაცილო არ იქნება, ამ ღუთიურ მგოსანს წინ ფრაკიანი დირიჟორი დაუდგეს და წკირი უქნიოს? აჩვენეთ, ლუკას, ერთი ქართველი მაინც აჩვენეთ, მის ლექსებს ვერ იგებდეს და მერე ის ერეტიკოსი და თქვენ ინკვიზიტორი.

არა და კიდევ არა, ეგ ბარიდან ამოძახილი ვერც ვაჟას ყურმა გაიგო, ვერც მისმა გულმა ითვისა. იქნებ პირდაპირ თქვათ, მთის კილოს რა აქვს დასაწუნი, იქნებ ისა, რომ რვალივით არის ნაქსოვი და კლდესავით შეკრული? ვაჟას პოლემიკური პათოსი აპოგეას აღწევს, მართლაც, პოეზიის პარნასიდან წარმოთქმულ გენიალურ სტროფში:

და ენა მთისა სიმტკიცით
მსგავსია კლდისა, სალისა:
იქნებ აკლია, არ ვიცი,
ამ ღომ სინაზე ქალისა?
ამისთვის დასაგმობია
და წასაღები წყალისა?!

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ვაჟა იმდენად აკაკის არ ეკამათება, რამდენადაც უფრო იმათ, ვისი აზრიც აკაკიმ გამოხატა. ამის დამამტკიცებელია მიმართვის მრავლობითი რიცხვი, რაც ამ შემთხვევაში არ არის pluralis maiestatis პოეტი ისე ლაპარაკობს მთისა და მთიელების შესახებ, იმაზე, თუ როგორ ჰყავთ აქაურ ქართველებს სამშობლო სალოცავ ხატად, თითქოს ძმის მახვილით მიყენებულ იარას იხვევდეს:

აქაც ხომ ქართველები ვართ,
ყვავილი აქაც ჰყვავისა,
ხატად პყავ, სალოცავ ხატად,
პთიელთ სამშობლო თავისა.

ვაჟას შეხედულებით, ყველა კუთხის მეტყველება იმ ჩონგურის სიმებია, ქართული ენა რომ ჰქვია, ამიტომ სავსებით გასაგები უნდა ყოფილიყო მისი ოპონენტებისთვის შემდეგი სტრიქონები:

გულს მისვენია ხატადა
ენა მთისა და ბარისა,
მე არც ერთს კილოს არ ეწუნობ,
თუა ქართულის გვარისა,
მოთაყვანე ვარ ყოველსა
იმაი ტკბილის და მწარისა.

პოეზია სიტყვით ნაგები, გრძნობის დულაბით შეკრული და ბგერათა გალობით სავსე წმინდა ტაძარია, ბატონებო, და, განა, ჯვრისა ან სვეტიცხოვლის, პეტრეს ტაძრისა და ... სოფიის მნახველი იმის ჩხრეკას დაიწყებს, სად აგური ჩასდო ხელოვანმა, სად ქვა და ლოდი? თქვენ ტაძარი იკითხეთ, ტაძარი... თუ ლუკა მართლა მარგალიტებს გითესთ, თუ მისი ლექსი საქართველოს უდგას მსახურად, მაშინ რაღა გქონიათ იმასთან სასაყვედურო? თავისი უღელი უცვეთია და თავისი ხნულიც გაუტანია. მაშ

ნუ შეგაშინებსთ, არ გავნებსთ
ჭორდან ყვირილი ხარისა...

დიდი მამულიშვილური ტკივილით არის გაჯერებული ლექსი „ილიას საღამო".

ვინ მოვკალით? — აი, კითხვა, რომელიც კვალდაკვალ მიჰყვება ლექსის სტრიქონებს. მოვკალით ადამიანი, ვინც მამულის ჭრილობებს არტახებად დააკრა თავისი სიცოცხლე, ვინც ღრმა ძილიდან გამოგვათრია და თვალები მოგვაფშვნეტინა, გამოგვაღვიძა. ჰოი, ფარისეველთა და სადუკეველთა — განა არ იცოდნენ, რომ ილია თვით ისტორიამ დაგვიდგენა მომავლისკენ პირველმავალად, რომ მისი მძლავრი გონება დასტრიალებდა ერის ავ-კარგს? რა თქმა უნდა, იცოდნენ და იმიტომ დაჰკრეს თოფები, გზაზედ დასცეს, ვითარცა შარაგზის ავაზაკი. მას ხომ ჯერ სამშობლო სწამდა და მერე ღმერთი. სულ ჩვენს ერთიანობას ქადაგებდა, გლეხისა და თავადის ძმობას გვასწავლიდა, რათა მტრისთვის აზვავებული ძალა და მხნეობა დაგვეხვედრებინა?

ამ რექვიემის შემდეგ ვაჟა იმის განსჯაზე გადადის, თუ რამ გამოიწვია საუკუნის ის სირცხვილი და დანაშაული, რასაც ილიას ცხედრის ლანძღვა ჰქვია. ამის მიზეზად პოეტს ხმაშეუწყობელობა, ეროვნულ ძალთა დანაწევრება მიაჩნია, ანუ უძველესი ქართული სენი, რომელმაც ჩვენი ისტორია გამოხრა, ახლა აწმყოს გვიჩრჩილავს და

გვიკვნეტს. ოჩანი ხარებივით განზე მიიწევენ სხვადასხვა პარტიები, ერთის „ჰო“, მეორის „არაა“ და საკუთარ პროგრამებში სტენიან საქართველოს წარსულსაც, აწმყოსაც და მომავალსაც .სადღა ეროვნული ინტერესები, სადღა საქართველო, სადღა მამული.

შავეს დრომ შავი ნაოფი
ჩამოვაბერტყა თავზედა;
ცრეშლი, ცეცხლი და მუქარა
ღარაჯად გვიდგა კარზედა.
ნეთუ არ არის ეხლა დრო,
ვმღერდეთ შეწყობილს ხმაზედა?

და მაინც კრწანისზე დაღვრილმა მოწამებრივმა სისხლმა თავისი ჰქმნა — თავი ჩააღუნინა ქართველს, ჩააფიქრა, მტერ-მოყვარე უკეთესად განარჩევინა, ავი და კარგი ცალ-ცალკე გააყოფინა. მაშ, წინ იარე, საქართველოვ, შენს ნარ-უკლიან გზაზე, ილიას ანდერძი წინ წაიძღოლე და იარე. მხოლოდ ეს თუ გაუმთელებს ერის მამას დაფლეთილ გულსა. ეს თუ დაეფინება ნატყვიარს შუბლზე მუხის გრილ ფოთლად.

ეს ლექსი 1910 წელს არის დაწერილი, ილიას მოკვლიდან 3 წლის შემდეგ. მართლაც, ბევრი რამ იცვლება ამის შემდეგ — ეროვნულიც შეგხებიან იბარტყა — ჯერ საქართველო, ჯერ საქართველო და მერე სხვა რ მ, ვერც დაიძრას რევოლუციის წითელი ნამქერი, გასწორდეს ბრძდი და მარადალი, მთამ დაიჩოქოს და ბორცვაკებს უაუტოლდეს; იაგრამ ჯერ საქართველო. 1915 წელი დგას. ლუკას ცოცხლის უკანასკნელი წელი. სიჭარმაგეში შეაბიჯა ვაჟამ — თმაში თეთრი უტირის, მთის მზესა და ფშავის ჰაერ-ნიავს სპილენძისფერად დაუკრავს პოეტის სახისთვის. ტანადაც ისევ მუხას ჰგავს, ღრმად ჩაფესვილს, წაუქცეველს, ცალი თვალის ფხაც უჭრის, მაგრამ მეორეს არა ეშველა რა, დაბლა ჩამოვარდნილი ქუთუთო წითლად უჩანს. თვალად ხომ ვითომ ესე, მაგრამ მაინც მოტეხილია ლუკა, ჭილყვავებივით ჩამოსხდნენ მხრებზე წლები — ფერდი რასმე ჩხვლეტს, უბეჭის, უწივის, ურუყრუყებს — ხანდახან სიცხე წაეკიდება ხოლმე და კვნესას მოჰპარავს. წაიღო ჯანი ხარ-გუთნის დევნამ, ცელის ტარზე გაკერამ, თუ არა გაჭირვებამ, მაშ რამ დააწერინა ის წერილი, ბარში რომ აახლა ქართველ ინტელიგენციას. თუ ჩემი ნაწერები რაიმე უღირს საქართველოს, ქალაქს ჩამიყვანეთ, რაიმე სამსახური გამიჩინეთ, რომ ოჯახი როგორმე ვარჩინო და თავსაც მივხედო, მაგრამ ვინ გაიგო, თუ მთაში ფრთამოტეხილმა არწივმა დაიყეფა? მაინც გულს არ იტეხს ლუკა, მაინც ქვა-კენჭივით არის. მაინც

არ უქვრება გულში ღვთიური ცეცხლი. იყოს, როგორც არის, მომავალმა განსაჯოს მრუდი და მართალი, ბევრს თუ დაჰვიწყებია ფშაველში დაკარგული ლუკა რაზიკაშვილი, ცოტას ხომ ახსოვს. აგე, როგორი ღღე გაუთენდა დღესა, გაზეთებთან ერთად განდეგილისა და შიომღვიმელის ლექსი ამოუტანა ფოსტამ. დახე, რა ნაღარასა სცემენ, რა ძნად შეკრული იმედი ამოუგზავნეს ვაჟას,— საქართველომ გაიღვიძა, ლუკაჯ, შენი დაჭრილი არწივი ისევ ცაში ავარდა, ისევ ფრთამთელი, ისევ რკინისბუმბულიანი და ჰა და ჰა ბრჭყალს გაჰკრავს მჭვარტლავით მოდებულ ყორნებსო, — ასე იწერებიან ის ხელმაძღლიანები

დაუმთელდაო წყლულები
არწივს, დაკოდილს მხარშია
დაუფანტეია ფრინველნი
მომაგრებულსა მკლავშია,
რომ დაჰსეოდნენ უმსგავსნი
ღალატით დაჭრილს გზაშია...

გახარებულია ლუკა, გახარებული და მზესავით მაღალი. მეტი რალა ინატროს, როცა ეს იმედიანი ხმა გაიგონა. არას დაგიდევს, თუ ტანზე სიღარიბე აცვია, თუ ლუკმა-პური დევის ლაშიდან უნდა მოსტაცოს გაჭირვებას, თუ ცოლ-შვილი კაბა-ჩუსტის ნატვრით დაელია, ყველაფერს გაუძლებს, ჭამარს დაიმოკლებს, ნაცრის ქუმელით დაპურებს ჯალაბს, ოღონდ ეს ხმა უგალობდეს და უმღერდეს. დაილოცეთ, დაილოცეთ, „განდეგილო“, და, დიდო შიო, ემაგ საალდგომო ოსანასთვის. ხალხური დალოცვის მადლითა და გენიის კამკამა ნათელით არის სავსე ლექსის ის სტრიქონები, რომლებიც ერის უღლეულში შებმულ ორ ლაბა ხარს მიუძღვნის ლუკა:

უკეთესს ვინ რას მახარებს,
თქვენ გენაცვალეთ თქმაშიაა!
აგავსეთ ია-ვარდითა,
დაბერდით იმის თელაშიაა!
სწყალეთ და ვერ უდიოდეთ,
ოფლი გდიოდესთ წყვაშიაა!
ისე სცურავდეთ კეთილში,
ვით კოვზის პირი ზღვაშია.

დაუკვირდი, მკითხველო, მირონის რა ღვთაებრივი სუნი ტრიალებს თითქოს გალობაში გატვრენილი ბულბული შემოშუქდარა თვითეულ სტრიქონზე ხალხური კეთილხმოვნების სიო ირხევა წერტილიდან წერტილამდე და გლეხის დარბაზის მყუდროება ჩამდგარა მთელ სტროფში.

გახარებულია ლუკა, გახარებული. ამ სიხარულმა წლები დაუფრთხო, „მოხუცი კაცი“ ჯერ ბიჭად აქცია, სითეთრედაკრული თმა-

წეერი ისეე შავად შეუღება, მაგრამ ერთი საწუხარი მაინც ფითრიეით სწოვს მის აღტაცებას — წინ წასული საქმე ისევ არ გამოჩნდეს და მხარში დაჭრილ არწივს გულში არ ჩასცენ ღალატი და ორპირობა:

ერთი რამე მაქვს სათქმელი,
იქნებ დაგიჯდეთ ჯეროშია,
მკერდში არავინ დაგეიჭრას
ჯვარი, დაჭრილი მხარშია.

ამ შიშსაც თავისი მიზეზი ჰქონდა — იცოდა ლუკამ ქართული ზნისა, იცოდა. განა ვინ გადაარჩენს დღეს საქართველოს? ვინ სჭირდება მის მომავალს? ვინა და თავდადებული, ვინც ქვეყნისთვის სისხლს დაიდენს, სიცოცხლეს მოუკვდება, რომ თავის სახელი აქ სალოცავ ტაძრად დაუტოვოს შთამომავლობას.

გყავს კი ასეთები, სამშობლოვ? გყავს, როგორ არა გყავს, მაგრამ, ვაი რომ, ცოტანი არიან, უფრო მეტი კი საკუთარ მუცელში ჩაიცქირება, სუქდება და იფაშვება, მარტო საკუთარ სავსე ჯამს ურბენს გარშემო, თავის კეთილდღეობას ეელება ძეძვის ღობედ, რომ ზედ არავინ გადმოაბიჯოს, ასე იღამებენ დღესა და ღამეც საქონელივით სძინავთ. ბედნიერანი არიან, ბედნიერანი, რადგან მძორი უყვავით. ასე უჭაობდებათ სიცოცხლე, ასე დაჰლევენ თავიანთ წუთისოფელს, ასეთ დალამება-გათენებას „თავისად სიცოცხლე“ ჰქვია, ქვეყნის ურგო, სამარეშიც ისე სწვებიან საიქიოში კვალსა და ნავალს არსად სტოვებენ. სხვისი კარგი სახელი ასეთებს შურით ხდით ავად და ისეთ ტლინკებს წააყრევინებთ ხოლმე, იმათ ბნელს ცხოვრებას რომ ეკადრება. ვაჟას ამ ნააზრევში თერგდალეულთა პოზიცია აშოიკითხება — სწორედ რომ მოძრაობა და ბრძოლაა, მისთვისაც „ქვეყნის სიცოცხლისა და ძალის მიმცემი“. განაჩენივით სწვდება ლუკას ხმა ამ სახეწაშლილ არარაობებს:

უქმად ჩაჰმალეთ სიცოცხლეს,
უქმად საფლავში სწვებითა.
დაჰკარგავთ საქაოსა,
ეერც საიქიოს სწვდებითა,
არ იცით, დასჩნდით რასადა.
ან რისათვისა ჰკვდებითა...

აი, ასეთთა ანტიპოდია კაი ყმა — რკინასავით უშიშარი ვაჟკაცი, ვინც ომის ცეცხლს და წითელ წვიმას არ უშინდება. ვაჟა გენიალური ბატალისტია, ჰომეროსისებური სიდიადით და ჰეროიკული სულით არის საუსე მის მიერ დახატული ომის სურათი — შუხლი იფლობა სისხლის ტბაში, სიკვდილი დაჰპატრონებია ბრძოლის ველს,

ხელიდან გასცვივნიათ ფარები ხმალ-შუბისგან სასიკვდილოდ დარეცილებს და აქა-იქ ჯღრდეებივით ჩაქუჩებულან, დაჭრილთა კვნესა სძრავს ჰაერს, ცეცხლი წრიალებს, წამწამებით სთხრიან ერთმანეთს თვალებს სამტროდ დაგეზებულნი, კრაზანებივით ბზუიან ტყვიები და შუბთა ცემის ხმა ეხლება ქვეყნის ოთხივ კუთხეს. მუზარადებსაც სისხლის წვიმა დასდით. ხოლო ბედნიერი სიკვდილი თეთრი სუდარების ჯრიალით „დაგელაობს". კაი ყმა სამშობლოს ბედით უნდა იყოს ავად, მტერს თავზე ქარივით დასტრიალებდეს, სიკვდილს არაფრად აგდებდეს და არც ნადავლზე შეუვარდეს თვალი, არც თოფ-იარაღზე. ლაშქარს რომ სძინავს, ეძას ცივი სიფხიზლე ედგეს, ტოლ-სწორთა ძილს სდარაჯობდეს, სიტყვად-ძალი, უტრაბახო იყოს, თვითონ საქებარი, სხვასა სახელს ამბობდეს.

*

პოეტური ნიჭი, აბა, როგორ აკლდა პავლე ხუცესის მოდგმას, მაგრამ ძმებს შორის მწერლობა უფრო ლუკამ და ბაჩანამ გაიხადეს პროფესიად. თევდორესაც უყვავის სტრიქონი, თუმცა ხანდახან თუ მიაკითხავს ხოლმე საყმაწვილო ჟურნალების რედაქციებს, უფრო კი თავის ბაღ-ვენახს დაჰგალობს და ფუტკრის სიბრძნეს სწავლობს — ლმერთო დიდებულო, უთქმელო და უხილავო, ეს საოცარი მწერი ციდან ჩამოსვი ამ ცოდვილ მიწაზე, თუ აქ გააჩინე ამოუხსნელ საკვირველებად? თვითეული სკა რესპუბლიკაა, სადაც ყოველგვარი პარტიების გარეშე დამყარებული ჰარმონია სუფევს.

ფუტკრის ნაყარის გუგუნი თევდორესთვის ხელთუბნური სიმფონია და თბილისში იშვიათად ჩამოდის. როცა ძმები მოენატრებ, ისევ ქართლისკენ ეძახის — ლუკავ, ბაჩუავ, სანდროვ, თქვენს ძმას, თედოს თქვენი უნახაობით თვალები ამოუშრა, ჩამოდით და ეზო-ეკვრე ხალისით ამოავსეთ, ქვევრები მოხადეთ, თორემ, აბა, რა არის, წელიწადში ერთხელ თუ გაჩნდებით ჩემს სახლში აღდგომის სეფისკვერივით, მოდით, ჩვენი დედ-მამის ცხონებამა, მოდით.

ბაჩუაც ჩარგლის კარიდან მოიტაცა სიყვარულის წყალდიდობამ და კახეთში გარიყა.

თემის ადათი დაარღვია, უტეხი სტეხა, როცა გვერდით ნაწოლი წაწალი ცოლად მოიყვანა, ხატი გაარისხა და წინაპართაგან ნაქსოვი რკალი ჩაარღვია.

სანამ ლოდს აკვნეტინებდნენ და ძალით აჰყრიდნენ, თვითონვე აეხლიჩა ფშავის მიწასა და მამა-პაპურ ლიბოს.

არ უნდოდა მოკვეთილის სახელი ეთრია ისეც ოღრო-ჩოღრო

წუთისოფელში. ბოლოს ამ ჭრილობასაც დროის მალამო გადაესვა და აფხუშოში გამართა სამოსახლო. იმის სახლის იქით სამოთხე იწყებოდა — იფნების ისეთი ჭალა, ახოები და ტყის ხილნარი ერტყა, თვალი და გული არ მოსცილდებოდა. გადაღმა კი ჩანჩქერი სცემდა — წყლის ქაფი და ბოლი მოჰქონდა ხოლმე მთის მოუსვენარს ნიავს.

იქვე, კარწინ კი ბინული მიკამკამებდა. იმ სილამაზის პატრონი და ისიც რაზიკაანთი ულექსოდ როგორ გაჩერდებოდა, ამიტომაც დაიგდო სურამის ქედის გალმა-გამოლმა ნიჭიერი პოეტის სახელი, თუმცა ისიც ყოველდღე ებრძოდა ღარიბი მთიელის მძიმე ცხოვრებას — ასეა, ბედი ზოგს ხინკალს უხვევს და ზოგს კიდევ ფუშრუკზე იყოლიებს — სწორად იტყვის ჩვენი უცდომელი ხალხი.

არც სანდროს აკლდა მელექსის გენი. ერთხელ ძმებისგან გაჯავრებული, მაგიდას მიუჯდა, ერთი ორჯერ თავი მოიფხანა და ისეთი ექსპრომტი გამოუცხო ლუკას, რომ ბაჩუამ ალტაცება ვერ დამალა:

— დახე, კაცო, ამ ჩემს ძმასა...

მიუხედავად ამისა, კალმის კაცობას ტელეგრაფისტობა არჩია, კარგი კოკარდიანი ქუდი დაიხურა კარგი „კაზიონი" კიტელი ჩაიცვა, თვალური ჯამაგირი გაიჩინა და ფშაურ სილარიბეს ქალაქური ცხოვრება ამჯობინა.

მხოლოდ ეს იყო, განგებამ შვილი არ მისცა. ამიტომ ლუკას ლევანი საგიმნაზიე რომ გაუხდა, ძმას ჩამოუყვანა: ანდე შენა და ანდე შენი ძმისშვილი, შენ ხელმწიფე და ეგ ნაზირი, ისეთი მიყოლიე, ჯერ საქართველოს გამოადგეს და მერე ლუკასაო, თქვენი ამაგიც არ დაივიწყოსო...

თვით სილამაზეს დაეხატა ამ სუსტი ფშაველი ბიჭის სახე და თვალ-წარბი. თვალის ცეცხლი მაშისა ჰქონდა, სინაზე და მიხვრა-მოხვრის კეთილშობილება კი დედისა, იმ საცოდავი, სიკეთილისგან ასე ადრე მიტაცებული კაკესი.

ლევანს ხელი კალმისკენ არ გაურბოდა და ლუკას უხაროდა:

— კიდევ კარგი, კიდევ კარგი, — ეუბნებოდა მეგობრებს, — მწერლობამ... კუჭის სიმშრალე იცის ამ ჩვენს საქართველოში. ამ ჩემს შვილებში ეგა და ვახტანგი სწავლას უნდა მოვანათვლინო, თორემ ეროგლიფებით ნაწერ წუთისოფელს ისე ვერ წაიკითხავენ, დამეჩაგრებიან, მართალია, სახლში იებიევით ქალებიცა მყვანან, მაგრამ გულქანა საქონელსა ჰყავს კუდზე გამობმული, თამარსა და მარიამსაც ფშაური კაბა-ქობა ურჩევნიათ აქაური მანდილოსნების შლიაპასა და „ხაბარდას".

ასრე ლევანი შერჩა წუთისოფელს, აქაც ჩაუტყდა ლუკას „ომელის ჩაღი", კიდევ კარგი იმ დროს დიდუბის მიწაში იწვა.

საბჭოთა ხელისუფლება რომ დამყარდა, ლევანი დუშეთის მაზრის მილიციის უფროსად დანიშნეს. მართალია, გარშემო მთები ეზვივნენ, მაგრამ კახეთში ქაქუცა ჩოლოყაშვილი ალავერდის ზარებს არისხებდა — საქართველოს ბოლშევიკური წითელა შეჰყრია, ისტორია გვიკვდება და, ვინც ქართველია, ახლა უნდა გამოჩნდესო.

კარგად იცნობდა ლევანი ამ კახელ თავადიშვილს. ერთად სწავლობდნენ გიმნაზიაში. მაშინ მხარკვერიანი, მაღალი ბიჭი ეთქმოდა, შავი, გაბმული წარბები, კეხიანი ცხვირი, თხელი ტუჩები და მკაწრავი მზერა ჰქონდა. ავაზის მსუბუქი ნაბიჯით დადიოდა, კეთილშობილის გრძელ თითებსა და თხელ ხელისგულებს სახეზე შემოიწყობდა ხოლმე და რაღაც დიდ ფიქრს მიეცემოდა.

ლევანსაც დაევალა ქაქუცას დაჭერა: ცეცხლად მოვიდეს, წყლად ექეც, ხოშკაკლად და — სიპადო, ჯილდოებით აგავსებთ, ოღონდ იმ ალაზნის ჭალების მგლის ტყავი გასაშრობად გაგვაკიდებინე და იმისი ცისფერი სისხლით ხელ-პირი დაგვაბანინეო, — უთხრა ჩეკას დიდმა ინკვიზიტორმა.

ამას ლევანს ეუბნებოდა, ვაჟას შვილს — ჭკუის სიბრმავე თუ სჭირდა იმ ცოდვილს.

მგლებისგან დაგეშილი ხარირემივით გადმოვარდა ქაქუცა თიანეთში და ერთ უმთვარო ღამეს ისე დანდობილად მიადგა კარზე გიმნაზიის მეგობარს, ფართო ეზოში გაშვებულმა ქოფაკმაც კი, ყეფით რომ გაფრენილ ჩიტს ჩამოიღებდა, კუდის ქიცინით გაატარა.

ღამის შავი ფარდები ეკიდა ლევანის სარკმლებზე, მაგრამ ისეთი ცრო იყო, საქართველოში ხის ფოთოლიც კი დამსმენის ენად იქცა.

გადაეხვივნენ მეგობრები ერთმანეთს, შუაში ღვინით სავსე ხელა და ჩაიდგეს. ის ბედნიერი წლები მოიგონეს, როცა ორივეს მარტო გიმნაზიელები ერქვათ და აბელი და იობი ჯერ კიდევ უსისხლო ძმები იყვნენ.

მთების წვერები რომ დაწითლდნენ და ნაჩხატებში ცისკარი შეფრთხიალდა, მაშინ დასცილდნენ ერთმანეთს.

წავიდა ქაქუცა. შინ შებრუნდა ლევანი — ვაჟას შვილი, ლუკა რაზიკაშვილის ძე.

ქაქუცა დამაჭერინეო, — ჭკუის სიბრმავემ თუ ათქმევინა დიდ ინკვიზიტორს...

მრუმე დღე გათენდა, ბერწი ღრუბლები ეკიდნენ ცაზე. არაგვის ხიეილი აფრთხობდა ნადირ-ფრინველს.

მძიმე დრო იდგა. რიყის ქვაც კი დამსმენის ყურად იქცა საქართველოში.

საიდანღაც გადმოფრენილი ყორანი დასტრიალებდა ლევანის სახლ-კარს, ჩხაოდა საზარელი, მყრალ გულ-ღვიძლში გამოვლილი ხმით.

სახლში შებრუნდა, ბერდანკა გამოიტანა და ტყვიები გაუწივლა იმ გლოვის მგოსანს. ააცდინა. არ ენიშნა კარგად.

მძიმე დრო იყო — ხალათის ღილიც კი დამსმენის თვალად იქცა საქართველოში და ეს ღვთისგან ნაბოძები ნიჭი...

— თვალი, ყური და ენა საზარელ სამებად იქცა. ყველგან რვაფეხასავით დაბობღავდა შიში, იღვრებოდა ზიზღი, წუთხი და წალაი.

შენ რაღა გადაგარჩენდა, ლევან!

დგახარ ახლა რკინის წკეპლით ნაცემი, ფერდჩალეწილი, თუ შენს დგომას დგომა ჰქვია.

აფთრის ხარხარი როგორ არ გაგიგონია დუშეთის ტყეებში, მაგრამ ახლოდან არ გინახავს. მაშ, ასწი თავი და შეხედე, როგორ იცინის დიდი ინკვიზიტორი.

— არ გამოგივიდა, რაზიკაშვილო, მზისა და მთვარის პაემანი. ჩვენ ყველაფერი ვიცით, ჩვენ შავ კატას სიბნელეშიც დავიჭერთ, მაშინაც დავიჭერთ, იქ რომ არ იყოს ის შავი კატა. — აგე ლოყაზე ახლაც ნალივით გაჩნევია ქაქუცას კოცნა, იუდავ, გამყიდველო, მოღალატევ, — ღრიალებენ კედლები...

კარები გაიღო და რვაფეხა შემობობღდა, ნაგზაურზე ლერთხი და ლორწო უყარდა...

— გაიყვანეთ! — ცივად წარმოთქვა რვაფეხის პატრონმა თავმა...

გაიყვანეს...

იმ დღეს თურმე მთაწმინდას ნისლი ეხვია, უცნაურად, გაძაბული, უცნაურად აწეწილი.

ნისლი კი არა, ვაჟას შეწუხებული სული.

ლევანის დაპატიმრებამ რამდენიმე ქართველი მწერალი მიაყენა დიდ ინკვიზიტორს.

კარგ ხასიათზე დაუხვდათ ცერბერი, იმ კვირას რამდენიმე ქართველი ინტელიგენტი გადაეყლაპა და ახლა განცხრომით ინელებდა.

— გისმენთ, ამხანაგებო, გისმენთ...

— ლევან რაზიკაშვილის საქმეზე გეახელით, შეიწყალეთ, შეინდეთ, რაც არ უნდა იყოს, ვაჟა-ფშაველას შვილია.

ისევ ჭექა-ქუხილი დადგა ოთახში. იყურებოდა ცერბერის ხახაში ქართული მწერლობის ოთხი ქურუმი. მრისხანების ცხელ ლავას მიჰქონდა ოთხივე.

— ვაჟა-ფშაველა რომ ცოცხალი იყოს, იმასაც დავხვრეტდით!.. — სადისტური სიამოვნებით წარმოსთქვა ინკვიზიტორმა, — თქვენ კი, გულკეთილო ბატონებო, დაიმახსოვრეთ, რომ რევოლუცია კეთილშობილ ქალთა სასწავლებლის პანსიონერი არ არის!

ლევანის შემდეგ ძმებს შიში და ეჭვი დაჰყვებათ უკან. სანდრო ქალაქში, საჭმეზე ფოსტაში დგას და ის უფრო საშიში უნდა იყოს.

იმ დღესაც სამსახურიდან დალლილი გამოვიდა, მოტეხილი ნაბიჯით აუყვა სოლოლაკის ალმართს. გზად ნაცნობი შეხვდა. სიტყვა ჩამოაგდეს თბილისის სიცხეებზე, გაწვრილებულ მტკვარზე, ძვირ სიცოცხლესა და იაფ სიკვდილზე.

ამ დროს თურმე ფილიპე მახარაძეს ჩაეცლო გურიელის ნაბიჯითა და წვერის ბერტყვით.

მანქანა რომ ათუხთუხდა, მაშინღა მოხედა უკან სანდროძ...

მოვედ, ღმერთო, და მოვიყარო მუხლი წინაშე შენდა... მოვედ სუფევითა შენითა, მახვილითა შენითა, შიშითა შენითა...

სანდროს ვიღაცა მკლავზე ეკიდება და აჩერებს, ახალგაზრდა კაცია, ლუკას ძმას ბულდოგივით უღრენს და ტუჩებზე მომდგარ დუჟს ილოკავს.

— რატომ არ მიესალმეთ ამხანაგ ფილიპეს, რაზიკოვ? — მღვრიე რუსულ-ქართულით კითხულობს უცნობი, — დაინახეთ და არ მიესალმეთ, თავი არ დაუკარით, რის თქმა გნებავთ ამით, რაზიკოვ?

— სრულიად არაფრის, — მხრები აიჩეჩა სანდრომ, — ჩემს ფიქრში ვიყავ წასული, ვერ დავინახე.

— ვერ დაინახა, ფილიპე მახარაძე ვერ დაინახა, — გადაიხარხარა უცნობმა, — მაშ ვის ხედავთ საქართველოში, რაზიკოვ? იქნებ ქაქუცა ჩოლოყაშვილს, ან თავად ფავლენიშვილს ჰა... ჰა... პირველი თუ წაგვივიდა და გიხარიათ, მეორე ვერსად გაგვიფრინდება, ალბათ, გაიგეთ რომ მისი მფარველი თონეთელი შაქრო თაყნიაშვილი ჩავაყუდეთ მეტეხში...

— არაფერი ვიცი, არაფერი მესმის, — ბუტბუტებს სანდრო. უცნობმა კი ცხვირთან თითი აუქნია და ახლა წინ მიიჭინჭრება.

სანდროს კი ფეხის ქუსლებთან ერთად გულიც უკან რჩება. მორჩა. გათავდა. მორჩა. რეკავს გონებაში.

— არა, ლუკა ამას ვერ მოითმენდა, ლუკა არ მოითმენდა, იმ თავის ქებულ სილას აჭმევდა, ან ხანჯალზე ააგებდა. ვერ მოითმენდა. ლუკა სხვა იყო, სხვა.

* * *

ვაჟას სახელის გაგონებაზე ბევრს შურის ჭია ხრავს. ბოლოსდაბოლოს ვინ არის ასეთი ლუკა რაზიკაშვილი, რომ ძირს ხალიჩები კუფინოთ. სიტყვაში ფშაველი უზის, ლექსებსაც ლამის ბუერას ფოთლებზე წერს. ილიამ ადიდაო, განა რა მოხდა. ალბათ, იმასაც სიტყვა გაექცა, იმ თავისი საძნე ურმებივით მძიმე ლექსების შემდეგ თუ მოეწონა ვაჟას მსუბუქი კილო და ამან ათქმევინა. არა, ბატონებო, ეს ნიღილიზმი არ გეგონოთ, ჩვენი ინტელიგენციის აზრია. ვაჟას უმაღლესი განათლება არ მიუღია. საოსტატო სემინარიებში რომ იჩეკებიდნენ დიდი პოეტები და მოაზროვნეები, ლიტერატურაში ჰენიოსებს ფეხს ვერ აუქცევდით. ვისაც გინახავთ, ალბათ, გემახსოვრებათ — წარმართის მკაცრი სახე და კამეჩის სიარული აქვს, ჩამოვა ხოლმე თბილისში იმ თავისი მთების ამალით, ახალუხში გამობნეული ხმიადით, ნივრის კბილითა და ღორის ყარტით, მიიყლ-მოიყლის და, კულტურისგან დაღლილი, ისევ ფშავში ავარდება ხოლმე. იმ ხანებში კი ღორების კოლტი ჩამოურეკავს დიდუბეში გასაყიდად. აბა, ქართველი მწერალი ამას რომ იზამს, იმისი რა უნდა გწამდეს? იქნება მის პოემებსა და ლექსებში არის რაღაც, მაგრამ კუნძი ბუხარში უნდა გიზგიზებდეს. იმისი ნაწერები ხალხური პოეზიის ნიმუშებია და ლიტერატურისგან რამდენიმე ვერსით შორს დგანან. აი, საყმაწვილო პატარა მოთხრობებს კი არა უშავთ — წაუკითხავ და ბავშვს კარგად დაეძინება, არც ენა გადაუტყდება ფშაური სიტყვა-კავურით, ბუნებაშიც ჰამაკს გაუბამს ამ ჩვენს ქალაქში დაზრდილ შვილებსა. მოკლედ ვაჟა საბავშვო მწერალია, ჩვენი ძია შიოს სიმაღლეა და ცას ტყუილად ნუ ეტოლება.

ვაჟა ამისთანებს ყურს არ ათხოვებს ხოლმე — წვრილმა ტოტმა უნდა იქანავოს, როცა ნიავი შეუბერავს, იმიტომ, რომ წვრილია, სუსტი... მაინც რამდენი მუმლი ეხვევა ამ ჩვენს ლიტერატურას, ვინც კი კალამი იშოვა, ყველამ ყურში გაირჭო, ამიტომ არც მაყალივით გახურებული პუბლიცისტიკა გვაკლია, არც ლუკას ციცასავით აკნავლებული ლირიკა და არც საფლავივით დარბაისელი პროზა. იმ ქვეყანას, სადაც აკაკის ღვთაებრივი ჩანგი გაითალა, ილიას მუზა დაიბადა, სადაც რუსთაველი, გურამიშვილი და ბარათაშვილი დაჩენილან, რა უნდა მისცეს ამ მოლიტერატურო პირთა კოჭლმა სტრიქონებმა? არა, ბატონებო, არა, მაჟალო რაც უნდა დაყვითლდეს, ვაშლი მაინც ვერ იქნება. კატაც ბევრს კნავის, მაგრამ ვეფხის ერთი წვეთია.

ღმერთო ჩემო. ეს რა უკუღმართი აზრი შეიქმნეს საბავშვო მწერლობაზე! თითქოს მართლა პატარებისთვის მისატანი ტკბილეული

იყოს და მეტი არაფერი, მაშ გოეთეს „რაინიკე ფელაც" გერმანელი ქერა ბალღი ყოფილა და არა დარბაისელი ბიურგერი, გერმანულის ჭკუით, შინაგანის კულტურითა და მომღიმარე იუმორით?

ეს თავისი შეხედულება ლუკამ ხმამაღლა გამოთქვა ერთ წვეულებაზე, სადაც შიო მღვიმელიც უჯდა მაგიდას. თუმცა ამას რაღა თქმა უნდოდა. შიო ლუკას მარცხენა მხარია და სადაც ვაჟაა, იქ შიო ან არის, ან მალე მოვა...

შიო პატარა კაცია, ბულბულივით ტანმომცრო, მუდამ ალერსიანი, კეთილი. მნათესავით ფუსფუსებს ქართული მწერლობის, კულტურის ტაძარში. წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზია აბარია და ვანმე ქართველი მოღვაწე სხვაგან თუ ვერსად ნახე, „შიოს მარანში" აქნება, სადაც ისე გაჩაღდება ხოლმე ლიტერატურული კამათი, უკანდაუხეველი დისკუსია, რომ კედლები ზანზარებენ და ჰაერს ცეცხლი ეკიდება.

ზის ახლა შიო, სახეზე მოკრძალებული ღიმილი დასთამაშებს და უსმენს, მასზე რას იტყვიან, რა მოასწრო ამ თავისი სიცოცხლის ნახევარ ხანში, ცოლ-შვილის რჩენისა და ზაფხულობით კოჯორში გაყვანის მეტი.

ენატკბილობდა თამადა. ერო და ბერო, მოისმინე და იცოდე — ეს პატარა კაცი მთვარე არ გეგონოთ, ქართული საყმაწვილო პოეზიის მზეა, ბალღებს მარტო წლები კი არა, მისი მშვენიერი ლექსებიც გვიზრდიან. არის ჩუმად, სკაში აფუსფუსებული ფუტკარივით. მისი გუთანიც რომ ხნავს ქართული კულტურის ყამირს, იმიტომ ვართ ეს ღარიბი ქართველები ასე მდიდრებიო, — თქვა და მართლა დიდი ბალღივით ჩაიკრა პატარა შიო ფართო მკერდში.

— დასვი, კაცო, დასვი, — გამოექომაგა ლუკა მეგობარს და დაუმატა, — ერთი ქოსების დუქანში განახა, როგორი გარდანქეშანია, ორი ჩელადის შემდეგაც ცალი თვალით თვრება, ყარამანია, ამირანი.

იცინის ძია შიო იმ თავისი ლამაზი ჩუმი სიცილით.

— ვინა სთქვა, — განაგრძო ვაჟამ, — ვინა სთქვა, რომ საყმაწვილო მწერლობა ნეკია და დანარჩენი ლიტერატურა ცერა თითი, ვინ გაყო ორად კალამი? მწერლობა ერთია, როგორც ღმერთი, როგორც საქართველო და ვინც სხვანაირად ფიქრობს, იმას ჭკუა ასჭრია და გემოვნება დასძმარებია.

ჩვენი შიო დიდი პოეტია, დიდი შთაგონების კაცი, საქართველოს მომავლის აკვანს რომ თლის, იმიტომ არის დიდი. ჩემო ძმაო და განუყრელო მეგობარო, ეგ შენი ღვაწლი უკვდავი იქნება ჩვენი ხალხის წინაშე. დიდზე სთეს და დიდზე მკი, შენც ილიას ტაძრისა ხარ, იმის

ერთგული ცხახური და მზესავით მდიდარი იმ შენის ოჯახით, შენის ხოხბებივით ლამაზი ქალიშვილებით, პურითა და ღვინით, შენის ნამდვილი და არა ზოგიერთივით გამოგონილის ქართველობით.

იცოცხლე, დიდო პოეტო და დიდო კაცო! მე და შენ ვიყოთ საბავშვო მწერლები, სხვებმა კი, დაე, დიდთა და მძიმეთა ჩიუყენონ კალაში. ვნახოთ, მომავალი ვისთვის რას იტყვის.

ცრემლი აუცურდა შიოს თვალებში, სახეზე სიამოვნების ალმური წაეკიდა.

სიტყვავ, დალოცვილო! როდის სამსალა ხარ საკვდინებელი და როდის მალამო სულისა.

* *

მიდის და მიიღვრება დრო. ლუკა ძველებურად ცხოვრობს. შრომამ წელში გატეხა. გაზაფხულ-ზაფხულში კიდევ რა უჭირს, ზამთარი რომ აყმუვლდება თეთრი მგელივით, მაშინ უფრო იგრძნობს იმ თავის მარტოობას, ჩაელრუბლება ფიქრები და თვითონაც ისეთ ნისლში გაეხვევა ხოლმე, კეკემ ლამის სანთელი დაუნთოს ლაშარის ჯვარს — ეგება ლუკა ამ დიდი გარინდებისგან გამოიყვანოს და ისევ ოჯახსა და ცოლ-შვილს მისცეს.

ფიქრი კი, ოხერი, ისევ აბლაბუდასავით იქსელება. რა არის და ვინ არის ლუკა? უღირს კი რაიმედ მისი კალმის ნაჟური საქართველოს, თუ ყველაფერი, რაც დაუწერია და, რასაც დაწერს, ფურცლის მტვერია, და დიდ პოეზიასთან ერთ ვერსზეც ვერ მივა? ნუთუ მის ნაწერებში იმაზე მეტს ვერ ხედვენ, რასაც თვალი აიტაცებს ხოლმე — არც საქვეყნო ტკივილს, არც კაცობრიულს რასმე საფიქრალსა და არც პოეტურს მირონცხებას? ნუთუ მისი ფანდურის გალობა მეტს ვერას ეტყვის საქართველოს მთის პატრიარქალური ყოფისა, ზნისა და წეს-ადათის მეტს? თუ ასეა, მაშ რიღასთვის სჯღაბნის, რიღასთვის აეწვის ხოლმე შუბლი შთაგონების ცეცხლით? ბეჩავ, ლუკავ, ბეჩავ, ემაგ კალმოსნობას, იქნება სჯობდა შენც სანდროსავით ტელეგრაფისტობა გესწავლა, ან მართლა ერთი უბირი ჩარგლელი ყოფილიყავი — დღისით მზისა და ღამით მთვარისა. იმავ წესით გეცხოვრა, იმავ უანბანო უმეცრებით. ვერ იქნა და ვერ შეურიგდა ბარი შენს კილო-ხმას, გულაბს შეჩვეულისთვის შენი ფშაური კილო პანტის ჩირია, ქერის ხმიადი და შენაც ერთი საშუალო რამ მგოსანი გქვია, კალამ-ქალალდისგან შებრალებული, პოეზიის ტაძრის კართან ფუტკარივით აბზუებული.

ან კი რა ჰქმენ, მაგ შენის მელექსობით — ქვეყანა მაცილს წაარ-

თეა, ერს მონობის ჯაჭვი შემოადნე, თუ მდიდრისა ღარიბს მიუზილე, მთა-ბარი გაასწორე და აღარც საქართველო გყავ ღია წყლულებით დაღარული? ბეჩავ, ლუკავ, ბეჩავ, ტყუილად დაგილლია სიტყვა, ტყუილად აგიძრახებია ფანდური. ვის ეხსომები ასეთი? ვინ შეგინახავს მომავალში? შენი სახელი და გვარი ერთმანეთზე გაფშენტილ ხელისგულებსთუ გასცვივა მერე იმასაც დრო დავიწყების ნავლს წაასვრის და დამარხავს.

აბეზარმა ფიქრებმა შეცვალეს ლუკა, — როცა მეგობრები ლექსს შეუქებენ, თავს ჩაჰკიდებს და ხმადაბლა იტყვის ხოლმე:

„აბა მე რის პოეტი ვარ, აგე რაებსა სწერენ გაზეთებში. განა იმიტომ ვიწერთ „ივერიას“ და „დროებას“, რომ მაგის ფშავურ სტვირებს ვუსმენდეთო... ჩემო ილიკო, ეგება უკეთესიც ყოფილიყო ჯერ სიმღერა მესწავლა, მერე მე, შენა და ქურჩულს ფეხდაფეხ მოგვეველოს ჩვენი საქართველო — ფულსაც ბლომა ვიშოვიდით და ხალხსაც ყურს დავუტკბობდით, თორო რა მომცა ამ ჩემმა პოეტობამ გარდა იმისა, რომ ნამდვილი გვარ-სახელი წამართვა“, — უთხრა ერთი სადილობისას ლუკამ ილია ნაკაშიძეს და ღიმილით დაუმატა, — კარგი სანახაეი კი ვიქნებოდი ამ ჩემი ფერამღვრეული ძველი ჩოხით.

— შენი ვერ გამიგია, ჩემო ლუკავ, აქლემისა რომ გიკვირს, ფურთხი რატომ იცისო. — პოეტის ნათლია დროა — ის არქმევს „დიდსაც“ და „პატარასაც“.

— ასეა, ასე, — ჩააკერა ნინომ, — საქართველოში მწერალი ჯერ უნდა მოკლან, რომ მერე აცოცხლონ.

ასეთი საუბარი მალამოდ წაესმოდა ხოლმე ეაჟას ნაჭრევ-დაკოდილ თავმოყვარეობას, მაგრამ ეჭვის ჭია მაინც უფუთფუთებდა სულში. არა, მაინც რა სამკალი დაამწიფა ქართულმა მწერლობამ — ილიას სახნისიანმა სიტყვამ, აკაკის კელაპტარივით დანთებულმა ლექსმა, ალექსანდრე ყაზბეგის ხანჯლის წვერით ნაწერმა, რისთვის, რისთვის ის ყველაფერი, თუ ერისა და საქართველოსი არაეის ეხსომება? თუ ბნელი ძალები ქვეყანას მოედებიან, სოციალ-დემოკრატობას დაირქმევენ და საქართველოს მტერსა და ოხერს მიუგდებენ? ამიტომ არადა ულირს ლუკას სიცოცხლე, მოვიდეს სიკვდილი, მოვიდეს პარბნელი და გაუქროს ეს კვარივით აბოლებული წუთისოფელი. „არად მიღირს“ — ისე დაურქმევია ლუკას ერთი ლექსისთვის, რომელიც ნატო ცაგარელის ალბომში ჩაუწერია. როგორ უნდა ლუკას, ეიძინოსავით ცერზე იდგეს, სულ ჩანჩქერივით სცემდეს და გრგვინაოდეს, ისიც მხიარული იყოს, ისიც ბედნიერი, თვალებით უკოცნიდეს ყველ-ყურს ლამაზ ქალებს.

მაგრამ არა. გულში ისევ ბნელია:
უმსგავსობა ეერსად გამიმხელია.
ვიმალები, უმსგავსი ვარ. შრცხვენია,
ბნელი ძალა ჯერ ვერ დამიძლევია,
ღირსი არ ვარ თქვენთან ყოფნის, სალმისა,
არც მღერისა, ქალაღდის და კალმისა.

აშულური ულვაშაგრეხით არის ეს ლექსი დაწერილი, მაგრამ სეედის მორევი კი დულს მასში.

საზოგადოების აუხსნელი გულგრილობაც აეჭვებდა ლუკას — რა აჯა არ მიართვა, ვისაც ჯერ იყო, ანტონ ფურცელაძემ ბანკში ალგილი რამ მომცეს. ჯამაგირს გავიჩენ, აწუწუნებულ ჯიბეს დავიწყნარებ, ლუკმა-პურს ვიშოვი და ლიტერატურაში ყელამდე ჩავჯდებიო, მაგრამ ამასაც თურმე ახალ თოელზე სწერდა. მაყაშვილმა შორს დაუჭირა, — ეგ როგორ გვითხარ და გაგვაწითლე, განა იმიტომ გვყავხარ ვაჟა-ფშაველად, რომ გაჩინოვნიკოთ, არა და ათჯერ არა, სარჩო საზოგადოებამ უნდა გაგიჩინოთ, ვალიც ჩვენა და ვახშიცო.

ქაც სამი თვის შემდეგ გამოუყო ეშმაკმა ლუკას ენა. მალე ის სარჩოც შეუწყვიტეს და ანტონთანაც სხვა მიუჯდა ჯამაგირიან მაგიდას.

სწყინდა ლუკას, სწყინდა, მაგრამ ამ წყენამ კლდედ ჩადგმული რწმენა ვერც ვერ შეურყია. ვინც რა უნდა, ისა თქვას — მას თავისი ხალოცავი აქვს, თავის ხატთან არის დაჩოქილი. სიმართლე წინ უფრიალებს ლუკას დაძენძილი დროშასავით, სხვისი ტანჯვა აკვნესებს, სხვისი სიცივე აკანკალებს, გულზე მზე და მთვარე უსენია, ღმერთთან ლაპარაკობს და ეს ეყოფა ბედნიერებად:

ბედნიერი მაშინ ვარ,
როს ვიტანჯი სხვისთვისა?
ქვეყანას კი ვაყვედრო?!
რადა, ძმებო, რისთვისა?

დიახ, ემღერება და იმღერის. განა იმისთვის, რომ ვინმეს თავი მოაწონოს, ორივ ხელის გულზე გამომცხვარი ტაში მიართვან, არა, ბატონებო, არა. განა ბუზი არ ბზუის, მწერი არ წუის? — იმად ჩათვალეთ ლუკა, დაე, მტერიც ბევრი გაუჩნდეს, მაგრამ იმ თავისი რწმენიდან კი ვერაფერი გადააყენებს. თქვენგან ნასროლი აუგი კალამს ვერ გაუჩერებს, მაინც თქვენი მონაა, თქვენი მიწა-მტვერი.

სიღატაკე გვერდით მოსდევს ლუკას ორღობეში ადევნებული ავი ქოფაკივით, ხან ჩოხის კალთას ჩამოჰგლეჯს, ხან წუღა-მესტებსა და შარვლის ტოტზე სწვდება, ხმელა პურიც ქადა-ნაზუქად დაუდო წინ,

მაგრამ ისევ ლუკა მდიდარი და თქვენ ღარიბნი, სიმართლე რომ თვალებს გწვავთ და გულს გირევთ, ეს უკვე ვერაფერი ბიჭობაა — ზოჭოს იმიტომ უხარია ნეხვში, რომ თბილია. აბა, ვინმემ ფიწალი დაჰკრას, რა სუნით მოიშხამება ჰაერი, ჰოდა თქვენაც, ბატონებო, ლიტერატურა, პუბლიცისტიკა იმ ფიწალივით გაშინებთ. ის გინდათ, საქართველოს ცხოვრება მწვანე, მობუყბუყე ჭაობად იდგეს და თქვენი სიმშვიდე არაფერმა შესძრას. ამიტომ ვაი პუბლიცისტს, თუ მისმა კალაპმა თქვენი სხეულის ბუნაგს და სულის სოროს მოაგნო. ამოჰყროლდებით, ამოიგესლებით და იმის სახელსა და გვარს მატყლივით გასწეწავთ, ნაბადივით გასთელავთ, ჩულივით სადღაც შიაგდებთ...

ამ წლევანდელს წელშია
კაცი გავტყდი წელშია,
შინდა რამე დავწერო,
კალამს ვიღებ ხელშია.
„არაფერი წამოგცდეს!“ —
მუშტებს მცემენ ფერდშია:

აბა, რა სიმართლე გაღვივდება ასეთ ყოფაში? ესეც ერთი მიზეზი ჩვენი ცხოვრების უძრაობისა. ვინ იცის, რამდენი ერის სამსახურისთვის ანთებული სული ჩაუქრია ასეთ ქართულ ლუარსაბობას, რამდენს დაჰკარგვია ხალისი და მთქნარებაში ჩასძინებია ჩვენდა სავალალოდ და სავაგლახოდ:

აღარაფერს არ დავწერ, —
ვამბობ, — მე ჩემს დღეშია?
კალამს ვაგდებ, ვამთქნარებ,
ბუზებსა ვთვლი ჭერშია?

ადრეც ვახსენეთ ვაჟას პოეტური სულის ნათესაობა დავით გურამიშვილთან. ამ ნათესაობის ერთი ასპექტი ისიც არის, რომ ლუკას ნათელი იუმორით გადმოგვცემს ხოლმე ხშირად თავისი ცხოვრების მძიმე ეპიზოდებს. აი, როგორ მიმართავს საკუთარ თავს წუთისოფლის აღმართზე წახრილი პოეტი:

გასწი, იარე,
სანამდის ვიდრე
არ გამოთავდეს
საზღვარი, კიდე —
და სადმე კლდეზე
არ გადიჩეხო,
ეგ მძიმე გოგრა
არ გაიჩეხო..

ან კიდევ:

მოგიკედა გმირო,
როგორაც ვირი —
თავის ქვეყნისა
ლიბო და ძირი...
მისთანა ბევრი
ქვენშია ძვირი...

იცოდა ლუკამ საზოგადოების ზნე — ოდითგან ასე სჩვეულა ხალხსა — იოლად არავის აღიარებს, გულს არ გაუხსნის, არ შეიტკბობს, ცივია, ბევრჯერაც თითქოს უგრძნობი, მაგრამ ამაებმა თუ გული გაუტეხა ერის სამსახურში ჩამდგარს, მაშინ არც ისა ყოფილა წმინდა ტაძარში მლოცველად შესული.

ვაჟას შემოქმედება ისეთ ბედნიერებად მიაჩნია, რომელსაც ვერავითარი სხვა რამ დიდება ვერ გადასწონის. შემოქმედი ღმერთის უმრწემესია, მისი ფიქრისა და ჭალის მოზიარე, ამიტომ იქ, ჩარგალში, ცეცხლის პირას მჯდომს ჩამოუვლენ ხოლმე ლუკას ანგელოზები ციდან, ჩამოაქვთ უფლის ამბავი, შემოუსხდებიან გარშემო და დაუთელიან კარგსა და ცუდს.

ბევრს იტყვის ლაქარდიანი ენა, მაგრამ ვაჟამ კარგად იცის, რომ ციხე-ქალად დგას ქართულ პოეზიაში და მის სიტყვასაც შევარდნის ფრთები ასხია. ილაპარაკონ, დასცინონ მის ძველ ჩოხას და ფშაურ კილოს, ენაზე ტყლაპიით დაიკრან მისი სახელი. მთავარი ის არის, ვინ რას არგებს ქვეყანას, რა მოაქვს და რას უტოვებს. ღარიბია განა ვაჟა, უქონელი, ეგრე იფიქრეთ, ეგრე, ბეჩავებო, მაგრამ ერთი მაშინაც ჰნახეთ, ანგელოზები რომ მოვლენ ხოლმე ციდან. იმათი გალობა, დარდი და სიხარული როცა გადააქვს ლუკას ფურცელზე, მაშინ წინ **და-ვარდი უყრია, ცაში აჰყავთ უფლის ქერუბიმებს და სულ ავიწყებენ** ამქვეყნის უგემურს ყოფას, ხან კიდევ გარშემო შემოუსხდებიან და ცისას ცალკე ეტყვიან, მიწისას ცალკე. ამიტომ მისი ლექსიც თუ ქართულ პოეზიაში ნახირში გარეულ ირემსა ჰგავს, ნუ გაგიკვირდებათ, ნურც იმის პასუხს მოსთხოვთ ლუკას, უფალს რატომ აგრე არ უყვარხართ და რატომ თქვენ არ გიგზავნით ფრთათეთრ ანგელოზებს...

ჩემს ანგელოზებს ვენაცვლე,
იმათ ფრთებს, იმათ სახესა!
სხვებს ისე არა სწყალობენ,
მე კარ თვალზე მნახესა:

ცაში ავყევარ, პირადსა
სულ მავიწყებენ დარდებსა...
არ მეტულობენ სხვებისთვის
საუკეთესო ამბებსა...

ნურც იმას იტყვით, ლიტერატურის ფარისეველნო, რომ ვაჟას ლექსი განდეგილი მგალობელი ბერი იყოს და ხალხამდე არ მიდიოდეს, სამშობლოს ცას და მიწას არ აყვარებდეს ახალ თაობას. დღეს კი ეს არის მთავარი, თორემ წვრილმანი თემები ისეც საკენკივით უყრიათ წვრილ-წვრილ კალმოსნებს, ჩვენი მწერლობის კულუარებში რომ კაკანებენ:

ჩემ ანგელოზთა წყალობით
სამშობლო უყვართ ბიჭებსა,
თვის მიწა-წყალი და ენა,
როგორც სალი კლდე ჯიხვებსა....

და მაინც გული სტკივა ლუკას — რატომ არის ასე, რატომ ვცემთ ჭინჭარს სამშობლოს ერთგულ შვილს, რატომ ვუმარხავთ სიცოცხლეშივე გვარ-სახელს და გოლგოთას შევუყენებთ ხოლმე? აბა, ერთი წუთისოფელი რას ეყოფა ვაჟას მამულის სიყვარულით გასაძღომად და მაინც ზოგის სიძულვილი უკან დასდევს ყეფითა და ყვირილით. ბაზოგადოების გულგრილობამაც შეუთრთვილა თმა-წვერი დიდ ფშაველს. ამიტომ უჟანგავს საყვედური სტრიქონებს, თუმცა კი თავისი სიცოცხლე ზვარაკად მიუბამს სამშობლოს საკურთხეველთან:

მე შენის ტრფობით ვერ გავძეღ,
შენ — ჩემის სიძულვილითა,
ვერ გიღალატებ მაინცა,
თუნდ ხორცს ვიგლეჯდე კბილითა,
გულ-დაკოდილი შენგანა
მით ღმერთს გახვეწებ სიტყვითა.

ვაჟას „ჯვარცმული ფიქრი“ დაბრუნავს თავზე მამულს, მასზე ზრუნვაში სცვეთს წუთისოფელს და, ზოგის აზრით, თითქოს ცხრილით წყალი ეზიდოს, თითქოს მისი პოეზია ცეცხლის ქშენა და ცხელი ცრემლების წვიმა არ იყოს. ან იქნებ ვაჟა არ მიადგა შავეთის კარზე პიროფლიან რაინდებს, მათი სულები არ გამოიხმო და მათი საქმენი წინ მაგალითად არ დაუდო ქართველობას? მაგრამ იყოს, როგორც არის და რაც არის — სამშობლოს ტრფობა სულს წკიდებული ცეცხლია. ეს იცის ვაჟამ და ამიტომ მოქნეულ სახრეს არსად გაურბის. შენ უწყოდე, ოღონდ, შენ, სამშობლოვ, რომ მისი ფანდურის სიჩუმეც შენზე ფიქრი და სიმღერაა, თუმცა:

შენ ამას არაფრად აგდებ,
მოხვალ, ზედ მდგები წიხლითა
უცვლელი ვერჩები მაინცა
ჩემის წადილით დიდითა..

წერილმან, ჩანჩალა აზრებს აბეზარი ბუზებივით იცილებს ლუკა, რომ ღმერთისკენ მიმავალ გზაზე მარტო სამშობლოს კელაპტარივით ანთებული სახელი უძღოდეს წინ.

ეს ლექსიც 1915 წელს არის დაწერილი. მძიმე და ტკივილიანი წელია საქართველოსთვის — ქართული პოეზიის პრომეთე — დიდი აკაკი ილიას სიკვდილის შემდეგ იმ მუხას ჰგავდა, ელვამ რომ ჩასცხო, მძიმედ დაჰქონდა დიდი სახელი, დინჯად იმკიდა იმას, რაც თავის იდეურ ძმადნაფიცთან ერთად წლების განმავლობაში ეთესა, მაგრამ მძიმე სენმა მალე სხეულის ნახევარი წაართვა. წუთისოფლით ღაღლილი პოეტი ბაშვიდად შეხვდა სიკვდილს. იქ, ზეციურ საქართველოში, ელოდა მას ილია, თორნიკე ერისთავი, ბიძინა ჩოლოყაშვილი და სხვები, ვისი სულებიც დაჰქათქათებდნენ და დანათოდნენ დამწუხრებულ ამერ-იმერს.

აღარ ჰყავს საქართველოს აკაკი... დადუმდა ჩანგი წინასწარმეტყველისა... შეწყდა ხმა, ტკბილი... უკვდავებაში შეაბიჯა წინამძღვარმა, ვისი ლექსიც ფსალმუნი იყო ქართული სულისა, ვისმა ჩანგმაც აპოვნინა ქართველს დღეის საზრუნავი და ხვალის მიზანი.

დიდ შვილებს კარგავ, საქართველოვ! ვინ მოგდის მათ სანაცვლოდ მოწაფლიდან? რას გიქადის ბედი? რა მოაქვს დროს?

ვაჟასთვის აკაკი მუდამ იყო ქართული პოეზიის სინდისი და დიდი პოეტის ნეშტს მისი ლექსიც ედგა მუხლზე. არა, აკაკი არ მოკვდარა, ან ვით მოკვდება პოეტი. ვისმა კალამმაც გაუცოცხლა ქვეყანას თამარი, ნინო, ქეთევანი, დავითი, თორნიკე და სხვანი, ქვიშა-სავით უთვლელნი და უთვალავნი. ამ „დიდის ივერის შვილებს“, უფლის ტახტის წინ მუხლმოდრეკილნი რომ დგანან. შეევედრება აკაკი სამშობლოს ხსნას, თვალცრემლიანი შეაბრალებს უფალს საქართველოს და ისმენს ღმერთი ნინოს ღაღადისს, ქეთევანის აჯას, თამარის ცრემლთა ჩურჩულს და ჯვარცმიდან ჩამოხსნის ღვთისმშობლის წილ-ხვედრ ქვეყანას. აკაკი, იქიდანაც, საიქიოდანაც გაამხნევებს ერს, ჩაუნერგავს იმედსა და სასოებას:

რაც ვიყავ საქაოსა,
იქითაც იგივ ვიქნები
ღვთი თუ გაცამტვერდება,
სულით არ გარდავიქმნები.

სახელის ძებნა ადამიანის სიცოცხლის ჭიზანი უნდა იყოს, და, თუ შენი გული, სიცოცხლე სამშობლოს ეკუთვნის, თუ დღე-ღამე მისთვის გაქვს, უკვდავი ხარ იმავ სამშობლოსათვის, ასე უნდა ვიყოთ და ვიცოცხლოთ, რათა ფუჭად არ ჩაელიოთ მოკლე წუთისოფელი, უკ-

ვალ-უვეშოდ არ გავქრეთ, ქართული სიზარმაცის ქონი არ დავიკრათ და ლუარსაბ თათქარიძის ტახტზე არ წამოვგორდეთ.

*

„ბახტრიონი“ ვაჟას კალმის რენესანსია, თვით მუზასაც რომ გააკვირვებს. ეპიკური ღრმა სუნთქვა და სიუჟეტის ხვეული, კლდოვანი კალაპოტი რომ არა, ლირიკული აგონია, ალბათ, უფრო აღსარებას და ლოცვას ამსგავსებს, რომლის ყოველი სტრიქონი მარგალიტის ასხმულაა.

ვაჟა ქმნის საოცარ სამყაროს, და შემოქმედთან წილნაყარობის ეს იდუმალი მისტერია მკითხველს თავისთავად მოაქცევს პოეზიის მაგნიტურ არეში, ანუ დასაწყისიდან ბოლო წერტილამდე იგი ვაჟას, ამ თვალშეუღწეველი მოგვის, მაგიური სიტყვის ტყვეა, მისი თანამოაზრე, მისი მხლებელი, ანუ მწირი და მლოცველი დიდი ფშაველის ჩელითა და მისნობით აგებული ტაძრისა...

პოემა დრამატიულია ფორმითაც და შინაარსითაც. ასეთი სიუჟეტური სისტემა თვით თხზულების თემატიკის განვითარების სპეციფიკით არის შეპირობებული, მაგრამ მას უდიდესი მხატვრული ფუნქციაც აქვს დაკისრებული. კერძოდ, მისი მეშვეობითაც არის, რომ იქმნება ცალკეული პერსონაჟის დამთავრებული, თითქოს გრანიტის კლდის ნახეთქისგან გამოქანდაკებული მხატვრული სახე, რომელსაც მუდმივი სიცოცხლე უწერია პოეზიის მარადიულობაში. სტატიკა თავიდანვე ამოხსნილია ვაჟას მხატვრულსა თუ ლოგიკურ აზროვნებაში, ამიტომ მისთვის არ არსებობს წარსული, აწმყო და მომავალი, როგორც ერთმანეთისგან გამიჯნული დროითი კატეგორიები. ეს ერთი დედაბის სამი ცოცხალი ვარჯია, და ამ დედაბეს სამყარო ქვია, რომელიც დედასავით ახლობელია და ამავე დროს იდუმალი, ბოლომდე აუხსნელი და უცნაური იმავე თავისი დედობით, ტბების ლურჯი თვალებით, მყინვარების ჭაღარა თოვლით, მედიდური მზით, ცაზე მცოცავი, მუდამ რაღაცის მძებნელი ჭოვარითა და მაღლიდან მზირალი ვარსკვლავებით. ამიტომ „ბახტრიონი“ ისტორიული პოემაა ჭეტად მშრალი პირობითობით.

როგორ ჩქეფს ვაჟას სტრიქონი, როგორი სუფთაა საკალმახე წყალივით, როგორ ლივლივებს შიგ დიდი პოეზიის თვალიპატიოსანი.

რა თქმა უნდა, ვაჟა რომანტიკოსია. როცა მისი სული ლუკა რაზიკაშვილის გვამიდან ვაჟა-ფშაველაში გადასახლდება, სამყარო მაშინ იძვრის, მაგრამ ეს რომანტიკა მხოლოდ მკაცრი რეალიზმის არტახების წყვეტაა და არა ხოხბის აფრენა, გინა თუ პეპელას ფარფატი

და არწივის გაშლილ ფრთაზე წოლა. ამიტომაც იტყოდა ხოლმე ვაჟა შინაურობაში: „მძულს პეპლების პოეტები“.

რეალობა კი სულის მომწამვლელია, რამდენადაც მეჩვიდმეტე საუკუნემ სიყმილი, ისლამი და შინაგაცემა კიდევ უფრო ჩააძირფესვა საქართველოში. ჯერ კიდევ ვერ გაუგია ქართველს, რომ ამერ-იმერი ერთია, ვითარცა დედის ორი ძუძუ, ბარი მთის ჩამოშლილი კალთაა და ქართველიც მანამდე გქვია, სანამ ქართული ენა გიტკბობს ენას, სანამ შუბლზე მირონი არ შეგშრობია და სვეტიცხოველისთვის ზურგით არ შეგიხედავს.

ვაი რომ ასე არ იყო...

იგმო სიწმინდე...

აიმღერა ნათელი.

კახეთის თავადობა ინით იღებავდა წვერებს.

ქართლსაც მორჩილება მართავდა და ირანის მზის შორეული ათინათივით ბრწყინავდა შაჰ-ნავაზ, თათებიდან ხშირად უვარდებოდათ იესიან-დავითიანი გვირგვინი ბაგრატიონთა გერბზე ატოტებულ ლომებს. ყველა ციხეში თათარი იჯდა თავზე მოელებული ჩალმის თეთრი ბაკმით, ალაზნის ველზე იატაგნით აჭრილი ვაზი იწვა და კვნესოდა მშობიარე ქალივით, თუთის ხეები თარაქამა ტომებმა აკაფეს. სადღა იყო ჭიის ნაღეჭი, ლაჟვარდისფერი კაბური აბრეშუმი. მომთაბარე ელი, ირიბად აჭრილი, გველური თვალებით შეჰყურებდა ცაში ავარდნილ ალავერდს, თეთრ გიორგის, გრემის ციხე-პალატებს, თვალმშვენიერ ფრესკებს, ირმებივით ყელმოღერებულ ქალებს, უკვირდა, რატომ ეპყრა ხელთ კედელზე გაცოცხლებულ პორფიროსნებს ჯვართაღიანი ტაძრები.

ნგრევის ველური ჟინი შეება შენების გენიას. ხვასტაგი კუდს მაინც მიიფარებს სარცხვინელზე მოშარდვისას, ელს კი ჯერ არ ესწავლა ეს სიბრძნე, გაშლილი, ალაჩახი ნაბიჯით დადიოდა ალლაჰისა და შაჰის ნაწყალობევ ედემში, რომელსაც ხორხის ჩამკაწრავი სახელი „კახეთი“ ერქვა, ემღერებოდათ და ყმუოდნენ ტრამალების მგლებივით, მათი ლხინიც აქლემების როკვას უფრო ჰგავდა, უყარდათ უნათლავი სხეული და სული.

ყოფნა-არყოფნის კიდეზე მდგომი კახეთი აჯანყების ალმა გაანათა.

ბარს უჭირდა და იქ, მთაში, შეინძრნენ მთები.

ნუ გააღვიძებ კლდის ნაპრალზე მძინარე ჯიქს, ხელს ნუ გაუწვდი ძიუვალში ჩადგმულ არწივის ბუდეში აჟიკლებულ ბარტყებს, მთების უფლისწულებს, ნუ დაიხვევ ელვას მკლავზე. ნუ იტყვი, მტერო, მთაში ნაზარდი ვაჟის დაჩაგვრას.

ეს ამბავი უდევს დვრიტად პოემას, ამბავი ამბავთაგანი საქართველოს ისტორიისა, არც რამით დიდი, არც რამით პატარა, ერის ცხოვრებისთვის ჩვეულებრივი ამბავი, როგორც დღისა და ღამის გაყრა და შეხვედრა.

ამ პოემის სიდიადე არა მარტო მის შიდა არსში, მაღალმხატვრულობასა და მაღალიდეურობაშია, არამედ ნაწარმოების მეთოდოლოგიურ გააზრებაში, ანუ იმ გულისშემძვრავ, ტრაგიკულ აკორდში, რომელიც მიწის გმინვას, ჰაერის კვნესას გამოსცემს და რომლის ხმათა ქვეშ დგას ქართველი დედა, საწყისთა საწყისი, იმედის ერთადერთი კონცხი დაუნდობელსა და აბობოქრებულ წუთისოფელში. სანამ არ მიხედავენ იმას, რაც მასში ცოცხლობს, საქართველოს მოსპობა შუნჯის ზმუილი და პეპელას მრისხანება იქნება. ჯერ ეს ლეჩაქი უნდა ჩაკუწოს მტერმა ცეცხლში, მერე დედათა ნისლად აცურებული სული ჩასწვას და ჩაანაცროს.

შავი კლაპტარივით ანთია სანათა ქმარ-შვილის საფლავებთან. სანათა, იერსახე ქართველი დედისა, მაგრამ, პირველ რიგში, მაინც მთიელი ქალი, სულის გაუბზარავი სიკერპით, რეალობის უშუალო და მკაცრი აღქმით, დიაცური, ცრემლად გამოხდილი სისუსტე-სინაზისა და სულხორცის მონოლითურობის საოცარი შერწყმით. ალბათ, ვერ მიესადაგებოდა სხვა ქართულ ტომთა წარმომადგენელ მანდილოსანს ვაჟას ნაამბობი, რომელიც გვამცნობს, თუ როგორ დაუკლავს სანათას საკლავი, გაუტყავებია. ეს მამრულად გარჯილი მკლავი დიაცისაა. თითქოს შეუფერებელია ქალისგან ამის ქმნა, არადიაცური საქმის კეთება, მაგრამ ამას არა მხოლოდ ფშავში შექმნილი სიტუაცია განაპირობებს, კერძოდ ის, რომ მამრი მტერს შესწყვეტია, არამედ მთიელი ქალის ხასიათიც — მთების მკაცრი ყოფით, ხშირად სისხლმდინარი ადათებით, რიტუალიზმით აღბეჭდილი ყოველდღიურობით, შეუცნობი მაგიითა და ანიმიზმით გაჯერებული.

განა ციხე-ქავებზე არ აკრავდნენ სვილისფერი ვაჟები მტრის მოკვეთილ, გასანთლული ძაფით ამოკერილსა და ამოჯორჯილ მარჯვენას? ეჩვევა, მკაცრდება თვალი, დუღაბდება ხასიათი და მთიელი ქალიც ცალი ბუძუთი თუ დიაცია, დედა, და, მეუღლე, ცალით ამორძალია.

ჰეროიკული, რომანტიკული სუნთქვა თავსიტყვიდანვე ჩაუდგა დიდმა ფშაველამ პოემას. ობოლი კვირიას შემოყვანა თხზულებაში ველ-მინდვრის სიოსავით აბიბინებს ვაჟას სტრიქონს და ისე ოსტატურად დაჰფარავს პოეტს მკითხველი რეალურისა და ლეგენდურის ბეწვის ხიდზე, რომ მხოლოდ უმაღლესი ესთეტიკური ტკბობა და სულის ზრდა გვხვდება წილად ამ ბედნიერებასთან ზიარებისას.

ასე რომ არ იყოს, აბა სად წვერ-ულვაშ შეკეკილებული, მტერთან საომრად აფიჩხული და ანთებული კვირია და სად მისი ობლობა? თუმცა ის მისი პირდაპირი მნიშვნელობით არ გვესმოდეს და მასში ის შინაარსი ჩავდოთ, რასაც თვით ვაჟა სდებს — მიუსაფრობა, ცისა და მიწის, ღრუბლისა და ნისლის შვილობა? როგორ არ უნდა მივუდგეთ, საითაც არ უნდა გქონდეს აზრი, ერთს გვერდს ვერ აეუელით, ობოლი კვირია ზღაპრის ღია კარიდან გამოსული პერსონაჟია, რომელსაც პოემაში ამაღლებულის თავისებური, უაღრესად ლირიული ნაკადი შეაქვს ლელასთან ერთად. თხზულების დანარჩენი პასაჟები თითქოს უფრო ყოფითია, ბატალური ჩანახატებია, თუმცა კი მზის ჰიმნივით იკითხება და ჰეროიზმის რომანტიკით სუნთქავს.

ცნობილია, თუ როგორ აღმერთებდა ვაჟა რუსთაველს — დიდ წინაპარს. მისგან ნასწავლი ხერხითაც ბევრჯერ წაუქცევია პოეტური შემოქმედების რთულ გზაზე შემოყრილი სიძნელე. ამ შემთხვევაში მხედველობაში მოულოდნელობის, უცხო სანახავის ეფექტი გვაქვს, რაც თავის მხრივ, რუსთაველმა, ალბათ, ქართული ზღაპრიდანაც იანდერძა.

სწორედ ხალხური ეპოსის მაღლი სცხია სანათასა და ობოლ კვირიას შეხვედრას, მათ დიალოგს, ერთმანეთის ამბის შეტყობას, ერთურთის ცრემლში ჩაზიარებასა და გაყრას...

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: ხალხური ეპოსის გმირისაგან განსხვავებით, კვირია გარეგნულად თვალშისაცარდნი არ არის — ჯალაში ნაზარდი იფანივით აწოწილს, უსწორმასწოროს, გრძელხელიანს და გრილსახიანს რომელი მზეთუნახავი მოინატრებს. ცხოვრებასაც თექასავით უბეგვია, სხვის ძაღლსა და ფარას, სხვის თეთრ სიმდიდრეს უდგას მწყემსად და დარაჯად, მისი მხოლოდ ძველი, ფერაყრილი ჩოხა და მეცხვარის გზებით დაღლილი მესტებია და კიდევ... ხმალი, წელზე რომ წნელით შემოურტყამს. დიახ, წნელით.

რა თქვა ამით ვაჟამ? ერთგანზომილებიანი პასუხი ამ კითხვაზე ცალთითა ფიწალი იქნებოდა. დიდი ფშაველის სიტყვა ხშირად ჰგავს შორიდან ნასროლ ქამანდს, შორს სწვდება ციდან ცამდე ნატყორცნი ელასავით და მასთან ესთეტიკური ზიარება მხოლოდ მაშინ ხერხდება, თუ ამ პოეტურ ფენომენის საიდუმლო კარს შეაღებ.

ასეა აქაც...

ვაჟა არ გვიხასიათებს კვირიას გარეგნობას, არ მიმართავს აღწერილობას. ზუსტად შერჩეული სიტყვები „ყარიბი" და „უშნო რამ" იწყებს და ასრულებს პორტრეტს. განსაკუთრებით ეს მეორე მონიშნებაა ეფექტური, თითქოს ფშაველის გარეგნობით აღძრული უარყოფითი ემოციების მოსაცილებლად ხელჩაქნეულად ნათქვამი. წნელით

შემორტყმული ხმალი აუცილებელი დეტალით ავსებს დიადი ფანტაზიით გაცოცხლებულ სურათს, ალბათ, კვირიამაც კარგად იცის, რა თვალმიმავალი და ტანბედნიერიც გაუჩენია ბუნებას და სიკოხტავეს აგრერიგად არც დაგიდევთ.

შაინც უნდა ითქვას, რომ ეს შტრიხი რალაც იდუმალების შუქს ჰფენს კვირიას, ბუნების ძედ და შვილად წარმოუდგენს მკითხველს, რაც შემდგომ მისიე სიტყვებითაც საცნაურდება. ბელისგან გაძარცულს თავისი არა აბადია რა, კომბალზე ჩამომხობილს შუბლს ულოკავს თუშეთის ნიავი, ციდან ჩამოჰყურებენ საავდროდ შეყრილი ღრუბლები, ლოგინად მიწა აქვს, საბნად ზეცა და ენატრება ფშავის დარბაისელი მთები, წაკუზულ სერებზე ქარის ძუნძული, სიპებზე ჩანჩქერის ცემა და ლაშარის კარზე ქუდმოხდით დგომა.

აგერ გადმოათეთრეს ცა წეროებმა.

ოქნებ მათ იციან ფშავის ამბავი, ისევ ისე წევსაა ნისლი აფხუშოს თავზე. ისევ თუ დაჰკივის არწივი გზაწვრილ ჭიუხებს. ვინ შაეთის კარი შეალო და ვინ კიდევ დაჰყავს ცოდვა-მადლს წუთისოფლის გზებზე.

სულის ეს ამოკვნესა, მშობლიური კუთხის ასეთი ლირიული მონატრება კიდევ ერთი მიახლოვებაა კვირიასთან — ეს ბოგანო, მზისგან დავიწყებული, სიღატაკესთან წილნაყარი ადამიანი უმდიდრესი და უბედნიერესია მიწის შვილთა შორის — ამ სიმდიდრის, სულის ამ ფუფუნების თავი და ბოლო სამშობლოა. სამშობლოს განცდა — აი, რა არის კვირიას ბედნიერების წყაროსთვალი, მისი სულის შინაარსი.

ის ხალხიდან არის, მისი სისხლის წვეთი და სუნთქვის რხევაა, და ეს კავშირი ისეთი მტკიცეა, როგორც ნაჭედი რვალი.

ეაჟას ეპოსი მონოლითური, მთლიანად ხასიათებით გამოირჩევა. ჩვენ არ ვიცით, რანი არიან მისი გმირები ყოველდღიურ ცხოვრებაში და ამას თითქოს მნიშვნელობა არცა აქვს. მათთვის რწმენა ის უმთავრესი რამ არის, რითაც მამრი მამრობს და დიაცი დიაცობს.

ზემოთ „ბახტრიონის“ მრავალპლანიანობა ვახსენეთ. თუ ხატოვნად თქმას გავბედავთ, ეს პოემა მყინვარიდან დაძრული წყლების ღონიერ ნაკადებს ჰგავს. თითოეულს თავისი კალაპოტი და დალმართი აქვს, მაგრამ ეს მოვარდნილი ნაკადები ბოლოს ერთ ღონედა და ძალად იკვრებიან, რომელიც ბახტრიონის ციხეს შეასკდება და მიუსავალეთში გადარეცხს მტერს.

ერთი ამ ნაკადთაგანი შეიძლება ასეც კი დაგვესათაურებინა — „ამბავი ლელა ბაჩლელისა“. ვერ დაიჯერებ, რომ ამ პასაჟის ხატვისას ეაჟას ღმერთი არ ეჯდა გვერდით. ნაწრთობი სიტყვა როგორ არ

გვსმენია, მაგრამ აქ იგი აქამდე უხილავი ფერებით ელვარებს, თითოეული სტროფი გაღვიძებული ვულკანივით ფეთქავს და მკითხველი, პოეზიის მაგიის მოწმე ხდება — ასეთია ეს ვაჟას ხელით გაწერთნილი, სულის განმჭაბუკებელი სტრიქონები. „ლელა ბაჩლელის ამბავი“ გენიის მხურვალებით გათანგული და მელანსმოწყურებული კალმით ნაწერი საკვირველებაა. ოდისევსის სიმღერასავით ნაღვლიანი, მაგრამ ცას. შეწყვეტილი საზეიმო ხმებით აგუგუნებული, ამაღლებულით აღბეჭდილი, თამამი, სუნთქვის შემკვრელი ხილვებით სავსე. მაგალითისთვის ისევ ლელას დახასიათებას მივუაროთ. ფუტკარივით დაჰბზუის ვაჟას პოეტური მუზა ქალს — მარადიულობის სიმბოლოს, სრულყოფილების, მშვენიერების განსახოვანებას და მისი ლექსიც მას შესცინის. ვერ ვიტყვით, რომ პოეტური სახეების ფერწერისას ვაჟა თავისუფალი იყოს ერთმანეთის მსგავსი ხილვებისგან — კერძოდ, დიაცის მშვენიერება ხშირად ახსენებს ვარდზე მბრწყინავ ნამს, მაგრამ მის კალამს მაინც მარგალიტი სცვივა და მაინცა.

„პატრიონი“ ვაჟას გენიის ის გამონაშუქია, თვალს რომ გვჭრის და სულს გვიფრთიანებს — ეს პოემა ანონიმური რომ ყოფილიყო, ალბათ, ოლიმპზე ღმერთების შეთხზულად მივიჩნევდით. აქ მთელი ძალით გამოვლინდა ქართული მუზის ყოვლისშემძლეობა. სიტყვის მხოლოდ ფერს, ჟღერადობას და გემოს კი არა, თითქოს მის მზერასაც გრძნობ და დიდი ფშაველის პოეტური სამყაროდან განწმენდილი, ნათელში განბანილი გამოდიხარ.

სწორედ ეს არის მეუფება სიტყვისა. ისე უბრალოდ ქმნის ვაჟა ამაღლებულს, მშვენიერს, თითქოს თავზე ხილაბანდწაკრული ურმის თვალს ჩასჯდომოდეს სათლელად თავისი მჭვარტლით გამოღამებული სახლის წინ, ხარის ენასავით პატარა ეზოში.

არა ჰქონია სიტყვას საიდუმლო ვაჟასთვის რომ არ გაემხილოს, თვით პოეზიად ქცეულა ეს პირხმელი, ცალ ქუთუთოში თვალჩაქცეული მთიელი, რათა ადამიანებს ის უთხრას, რისი თქმაც მხოლოდ მის ფშაურ ფანდურსა და უსწორ-მასწორო წუთისოფლის ავ-კარგით სავსე გულს შეუძლია.

ამ პოემის თემაც ჩვენი ისტორიის ძველი სკივრიდან ამოაქვს ვაჟას — მეჩვიდმეტე საუკუნის შუა წლებია, გაავდრდება — სისხლის წვიმა მოდის, გამოიდარებს — გველი გვიცემს კუდს ალავერდის ტაძარს და ვაზის ძუძუს უწმინდური გვიწოვს.

იქ, ისპაჰანში, სპარსეთის შაჰი მაჰმადას შუბლზე კითხულობს ქართლ-კახეთის განაჩენს — რაც ხმალმა ვერ ქნა, ის უწმინდურთა

ლოცვამ, ყურძნის შარბათით სავსე სურებმა, ჯოგ-აქლემმა და შოლტმა გააკეთოს.

ასე მოედვნენ კახეთს თარაქამები. გველის ცერად აჭრილი თვალები და აფთრის ყბები ჰქონდათ ალაზნის ველზე შავი ნიაღვარივით მიმშვებულ ველებს, ვენახებს, მართლა, ისე დაერივნენ, როგორც ცხვრის ფარას მგლები, თუთის ხეები ასხიპეს. გაწყდა კახეთში მთვარისფერი აბრეშუმი, არხებიდან თიხის მილები ამოყარეს და ქვალოდით ამოავსეს, ავად უღრენდნენ ქართულ მთებზე გადმომდგარ მზეს. ქვეყანა დაიმშა, ცხვრის ჩლიქით ათქერილ მიწაზე მარტო ვაციწვერა და ეკალა ბალახა თუ სისინებდა. ციხეებშიც თურქმენები ისხდნენ. მინარეთზეც მოლა იდგა და ცას ასტიროდა, ეკლესიები დაიცალა, დაშინებულმა ხალხმა ბნელ ტყეებსა და სახიზნებს მისცა თავი. ვინც ქალაქ-სოფელში დარჩა, ის აღარც ეშმაკისა იყო, აღარც ანგელოზის. სპარსელი როგორ არ ენახათ კახელებს, მაგრამ ესენი სხვანი იყვნენ, რაღაც ბაყაყურ ენაზე ლაპარაკობდნენ, თავებადაც მოუსვლელი ნესვები ებათ, მკალივით მრავლდებოდნენ. დედის ორი ძუძუ რომ არა ჰყოფნიდათ, ბალღები ჩაჩოქილ აქლემებს მიუსხდებოდნენ ხოლმე და გველის გესლივით ყვითელ რძეს თქვლეფდნენ.

ქალს არსით გაევლებოდა. ბევრი აატირეს იმ ცრემლებით, შერცხვენილ მანდილს რომ დაალბობს ხოლმე. ქართულ გენს გადაგვარების საფრთხე დაემუქრა, აქა-იქ რამდენიმე ისეთი ბავშვიც გაჩნდა ცხვირ-ნიკაპი რომ ქართველისა ჰქონდა, თვალ-წამწამი, ყბის ძვალი და კუპრში ამოვლებული თმა-ჯაგარი კი ელისა.

სდუმდა ქართული ზღაპარი, ყელი დაუწვრილდა ქართულ სიმღერას და თათრული ბაიათივით გაიწელა.

არც ვინმე გამკითხავი, არც განკითხული და იფეთქა ვულკანმაც.

1659 წელი იდგა, როცა აჯანყების ცეცხლმა ჩალოკა ალაზნის გაღმა-გამოღმა მხარე, კახეთი მძინარე ფალავანივით წამოდგა ფეხზე. ბოდბეში რომ ხმალსა ლესავდნენ, კარდენახს თოფის წამლის ბურნუთს და სამურაბე კაკლის სიმსხო ტყვიებს იმზადებდნენ. ალაზნიდან ამოყრილი კამეჩებივით იფერთხებოდნენ ქიზიყელებიც — ვაი ელსა და ელის დედასაო. ამ ზავის თავში ბიძინა იდგა, ჩოლოყაშვილი, ახმეტის ბატონი, ღონით სამსონი, სიბრძნით სოლომონი და სიშამაცით ნებროთი.

ახალგაზრდა ყოფილა ბიძინა, როცა მამულისთვის ხმალი უშიშვლებია. ქსნის ხევიდანაც ხმა მიუცია თალვა და ელიზბარ ერისთავებს — კახეთს თუ სტკივა, ქართლსაც ეწვისო — არაგვის გაღმა გაეარდნილა ეს ხმა და ზაალსაც ხანმოყრილი კაცის სიბრძნე და ერისთავის ხმალი ერთად უძგერებია ელისთვის.

კენჭი არ გდია დღესაც კახეთში, ეს ამბავი არ იცოდეს.

ალა, მთას რაღა გააჩერებდა — თუშ-ფშავ-ხევსურებს ცხენებისთვის კუდები აუკრავთ, კლდეებზე ნალესი სატევრები უშიშვლებიათ და ზვავივით დაშვებულან საქართველოს თავისუფლების ბარულ საქმეზე. თორემ მტერს იშვიათად შეუბედავს მთების იწროებში, სადაც სხვაგან ნაკუბ ლომსა, აფთარსა და ავაზას წასწყვეტია კუდი. მთიელთა ხმლის ცოცხალი ულუფა ბახტრიონში ჩამხდარი ელები გამხდარან.

უხვევიათ და ხინკალივით უყრიათ მდუღარეში. ბზარ-იღლივ ნახეპი თურქმენების სისხლმა ჩაღება ციხის კალთები, ჩალმიანი თავები ცვიოდა გალავნიდან და იმ ღამეს ცაზე ნახევარკალის ნაცვლად კარგა გამომცხვარი ქართული მთვარე აბრიალდა. დიდი ხნის შემდეგ პირველად გაიცინა ვაჟმა — გადარჩა საქართველო გათათრებას, სულის სიკვდილსა და მოსპობას.

ეს ყველაფერი ქართლის ცხოვრების გარდა, ზეპირსიტყვიერებამაც შეძოინახა. ბახტრიონის გმირი, თუში ზეზვა გაფრინდაული ბევრი ლექსის სამღერია.

ამას გარდა, აკაკი წერეთელმაც მიუძღვნა ამ ისტორიულ მოვლენას თვალის გამხარებელი და სულის შემძვრელი „ბაში-აჩუკი".

მაშ რაღად დასჭირდა ვაჟას კვლავ ციხბრუნებოდა ამ უკვე ძველსა და ჩამოფქულ ამბავს?

მიზეზი რამდენიმე ჩანს — დიდიც და მცირეც. ერთი ის არის, რომ, როგორც ეტყობა, მეცხრამეტე საუკუნის ქართველობას მთისკენ ახედვა ეგრერიგად არ უვარგოდა — თუშ-ფშავ-ხევსური თუ მთიელი უადარაყრელი მათთვის ისღა დარჩა, რასაც თვალით ხედავდნენ — ცხვრის დუმით ნაპოხი, თეთრ პერანგს უჩვევი, მიტკლის ლოგინზე უწოლი, ხმიადით კბილჩამტვრეული და სიღარიბით ჩაწიხლული, ცხოვრებას ჩამორჩენილი, უბირი, ბნელი...

ის კი არ უნდოდათ გაეგოთ, ამ ქვა-ციხის შიგნით როგორი კლაპტარი ენთო საქართველოს, სულის როგორი სიმდიდრე ელაგა, ზნეობისა და მაღალი მორალის როგორი მწვერვალები იყვნენ აწვდილი.

არ იცოდნენ.

ამიტომ იტყვის ვაჟა...

ეს ის დრო იყო, როდესაც
მთასა ჰლოცავდა ბარია,
რის სალოცავად ეიარნდათ
ველის ხალხის გვარია...

პოემის პრელუდია შეღამების სურათია. ეს ნაწილი თითქოს ცალკე ლირიკული შედევრის შთაბეჭდილებას ტოვებს — ქედანივით დაფრენილა ბინდი ფშავის მთებზე... დღემ დაისვენა. თითქოს ღამეულ ცაში ნამშვიდე უნდა დაეუფლოს ქვეყანას და მხოლოდ ცაში ნამგზავრი მთვარე ფხიზლობდეს... მართლაც, აღარ ბორგავენ გმირთა საფლავები, მაგრამ ცისქვეშეთი მაინც ვერ დალაგებულა, ღრუბელთა მოთქმა და ზარი ცას ავსებს და ღვართქაფებით ჩარეცხილი ფერდობები გადმოჰყურებენ ალაზნით სავსე ღრმა ღელეებს.

დელეგმიანი ღამის ეს სურათი, წინაპართა საფლავებში შეშფოთებული შიშველი ძვლები რაღაც საშინელების მოლოდინით გიკრთობს სულს — არ გვიკვირს, ეს ჩვეული ლიტერატურული ხერხია. სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, ილიას „განდეგილი“ და „აჩრდილი“ წინ გვიდევს, მაგრამ ამ მრისხანე პეიზაჟს უფრო მეტს ათქმევინებს ვაჟა — ქართულ მთა-ბარს, ცა-ღრუბელს რაღაცით ვერ დაუსვენია, სატკივარი და საფიქრალი რამ გასჩენია.

ასე რომ, ეს პასაჟი, ლირიკულის ეპიკური აჟღერების ბრწყინვალე ნიმუშად უნდა ჩაითვალოს ქართულ მწერლობაში, რაც უფრო მეტად მის მეორე ნაწილზე ითქმის, სადაც ვაჟა პირდაპირ ლოცვას აღავლენს თავისი მთამაღალი სამშობლოს მიმართ. ამ ქედების ძუძუს უზრდია პოეტი, მათ მშვენიერებას, სიწმინდეს და სიმაღლეს უქსოვია მისი ფიქრი და ღვთიური გრძნობით აუნთია მისი სული, გულიც კი ტიალი, უთქვენოდ გული კი არა, ხორცით სავსე პატარა პარკი იქნებოდა, მთებო, ფშავის დარბაისელნო, შენ პირიშზევ, მცინარო და, იავ პირმორცხვო, შემინდეთ, თუ თქვენი დედის რძის ცვარნამით შევრჩი წუთისოფელს. დრო წავა, დრო მოვა და ჩემს საფლავზე ჩამოსხდებიან ჩემი ლამაზი დები — დეკა და ღვია. კაცი ვარ, ორხელი და ორფეხი, ძვალ-ხორცად დავალ ამ დაბალ ქვეყანაზე, მაგრამ თქვენი ქვა-თიხის ნაწილი ვარ, ერთ მუჭა ნაელად საქცევი და შემდეგ თქვენშივე გაცოცხლებული.

რა უცოდველი ხარ, ბუნებავ...
რა უცოდველი ხარ, ადამიანო...

რა არის ეს — ცალხმიანი ლირიკული აღსარება თუ მრავალხმიანი ჰიმნი, ნაკადული თუ ჩანჩქერი?

შენი არ ვიცი, მკითხველო, და, მე კი ამ ხმაში ხოროს ბუბუნი ვესმის, „ბახტრიონის“ გმირთა ღაღადი უდგას ვაჟას თითოეულ სიტყვაში. ეს ფიცია, მოფერებაა, თავდადების პირობაა, სიყვარულია, გულში დაუტეველი და იქიდან ლოცვად და ლექსად ამოფრენილი.

კიდევ ერთი ნიუანსის შესახებ — ვაჟა მონათხრობის ვიზუალური აღქმის სრულ ილუზიას ქმნის, რაც განსაკუთრებით ჩანს სახატის

აღწერისას — მუხა-იფნების ჩრდილი დასცემია ყუჩად ნაწოლ სიპებს, ხავსიანი ლოდები დაყრილა ლიბო-დათხრილ კოშკებთან. სდუმან ბებერი ქვები და აქედან, მდუმარების ამ საუფლოდან, ისმის ქვითინი, ქალური. სმენით აღქმულ სურათს კვლავ ვიზუალური შთაბეჭდილება ენაცვლება, მზერას გტკენს ჩამორღვეული აკლდამები. ვაჟას ძალუძს საგნობრივი სიცხადე, ფიზიკური განზომილებანი შესძინოს სიტყვას, რაც ხმის ინტონაციურ რხევით მიიღწევა.

რამდენი სიპები აწყავ?
მოსჩანს აკლდამის პირები...

გაკვირვების, მოულოდნელობის ეს მარჯვედ დაჭერილი შტრიხი ამძაფრებს აღქმას, შთაბეჭდილებას აღიზიანებს და მკითხველს აღწერილი ამბების მოწმედ ხდის. ინტონაციური გრადიციები ლირიკულისა და ეპიკური მანერის მონაცვლეობით მიიღწევა. კითხვაში გამოხატული გაკვირვების, მოულოდნელობის ეფექტი, სხვა პოეტურ ნიუანსებთან ერთად, რაღაც იდუმალ, სევდიან, ტრაგიკულ, მაგრამ ამაღლებულ განწყობილებას ქმნის...

გმირთა სამარეს, როგორც ხატს,
სამთხეველად დაველირები,

იტყვის ვაჟა და იქვე დამცხრალი ხმით განაგრძობს:

ეს ფშაველთ სალოცავია.
ღვეს დღეობაა ამისა...

თუმცა შევარღენივით წყმოფრენილი პოეტური ფრაზა კვლავ ლირიკული ენერგიით ივსება:

არ ვიცი, თვალი მატყუებს,
მიშლის წყვდიადი ღამისა!
ხალხს სუთუ დაჰვიწყებია
წმინდა გიორგი თავისა?!...

ეჭვი, ნანახის დაუჯერებლობა მკითხველს იმისთვის განაწყობს, რომ რაღაც არაჩვეულებრივი, უენო, უსმენელი და თვალით უნახველი ხდება ფშავის ამ ღვთისა და კაცისგან დავიწყებულ ხეობაში.

აი, მხოლოდ ასეთი ლირიკულ-ეპიკური „დამუშავების“, პოეზიის სანთელ-საკმეველით განწმენდის, კათარზისის შემდეგ გვაზიარებს ვაჟა, მართლაც, მთების ჰომეროსის ყალმით დახატულ სურათს. ციმციმებენ სიპებზე მიკრული სანთლები, ბალახში ცალკე საკლავის თავი გდია, ცალკე გუდა-ტყავი. ხატის წინ დიაცი დამხობილა და ბატონს ადიდებს. რბილი, ქალური ხმა ეფინება ხავსიან ლოდებს, დიაცს კი, წუთისოფლის ამ საბრალო მგზავრს წინ ცრემლის თბილი

გუბე უდგას. სანთელიც საბრალოდ ბუჟუტავს, ირგვლივ ტრიალი რაბ ჩათელი ჩამდგარა და ყველაფერი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ფშავში ეზეს გველეშაპი დასტანებია ჩასაყლაპად, მხოლოდ არაგვი ძველებურად შემლერის ტყიან ფერდობებს, მიდის და მილოკავს გალმა-გამოღმა ფშავს.

ვაჟას მიზანს გამოცნობა არ უნდა. იგი გარდასულ წელთა სულს აცოცხლებს, საუკუნეთა სიღრმიდან ამოზიდავს და მაშულიშვილთა გრანდიოზულ სახე-ხატებს ქმნის. მისი მზერა თამამად სწვდება წარსულის იდუმალებას, მის თვალებში იცრება და გონებაში იწმინდება ყველაფერი. რაც მთავარია, ვაჟა ისტორიულ მოვლენებს, ფაქტებს მხოლოდ ჩონჩხის ფუნქციას ანიჭებს, მისი პოეტური ფანტაზია კი უფრო მეტად ლეგენდებისა და მითების მხატვრულ სამყაროში ტრიალებს, იქიდან ამოაქვს ფერსაღებავი, პოემის გმირთა ხასიათი, ამიტომ არიან „ბახტრიონის“ გმირები სწორედ ისეთნი, როგორიც ხალხის მეხსიერებაში ჩატოვა მრისხანე 1659 წელმა. ისინი ცხვარ-საძოვრის მწყემსები, გუთნისდედები და მხვნელ-მთესველები არიან, ამ მიწა-წყლის, ამ ცაში აღერილი მთების გულმართალი შვილები. მათი ფესვი ღრმად არის წასული, მათი ტოტი და ვარჯი შორს სწვდება. მათი სალოცავია ყველაფერი, რაც თვალის ახილვისას დაინახეს და რასაც ერთი მირონში ნახარში სახელი — საქართველო ჰქვია.

* * *

ბევსურეთი. არღუნისწყალს გადმოჰყურებენ სიპით ნაშენი კოშკები, საჯიხვეებზე იჩეჩება დილის ნისლი, ღილღველი ქისტივით ფერდობს მოსდებია მზით ნარწყავი სიმწვანე, ავსულები ხარხარებენ ბნელ ღრანტეებში და ჩანჩქერის ქუხილი აზანზარებს პირქუშ კლდეებს.

აქ ღრო არ იძვრის. წუთისოფელს გასწყვეტია კრიალოსანი. მოვა ხოლმე ფეხშიშველა გაზაფხული, გრძელი ზამთრის შემდეგ, ჩამოიმცერევა ქარის საყურში ნადგომი თოვლი, შეიბერტყებიან მთები და ხევსურმაც ამით იცის, რომ იმის სიცოცხლეს 12 თვე კიდევ დასცვივდა ნეკერჩხლის თორმეტი ყვითელი ფოთოლივით.

ფხიზლად გაიყურებიან კოშკების სამზერები. მგლების ხროვასაეათ გაეკვრებიან ხოლმე აიმ ბილიკებს სარბენად აყრილი ქისტები. აქეთ იწვდიან პირცეცხლთან სიათებსა და დუმით ნაპოხ ხმლებს, სანამ არღუნის წყალს დააწაფებენ ფრთებდაკეცილ ბედაურებს.

ბიღიან, რომ ან დავლა იშოვონ, ან ფრანგულით დაითიბნენ. მათი სულები კი დამფრთხალი ყვავებივით აფრინდნენ ცაში.

ეს რა ჩაშავებულა შატილიონთა კედლებზე, რას ვაცქერდებით ასე თვალშეშინებით?

შავი, ცივი ფრჩხილებით იფხაჭნებიან ხავსიანი სიპები, მაჯებში ნაკვეთი ხელები ისე ჰკიდია კაჩხებზე, როგორც კახელი გლეხკაცი გამოჰკიდებს ხოლმე აჯაგნულ მტევნებს უკვე ნაწველსა და ნადღვებ შემოდგომაზე.

ეს ვაჟას კონცეფციაა, მისი რწმენის ძალი და ღონე, არსი არსთაგანი.

სიცოცხლის სიხარული — დიდი ფშაველის მთელი შემოქმედების თავსიტყვაა, მაგრამ ამ სიხარულსაც თავისი შინაარსი, ღრმა აზრი უნდა ჰქონდეს: მწიფე თავთუხივით სიკეთედ უნდა იპნეოდე, შენი გამოღვიძება მზეს უნდა ახარებდეს, კაი ყმის სახელს სალოცავი ტაძარივით უნდა იშენებდე სამარის კარამდე, რომ შენი სიკვდილიც კი შავი გედის სიმღერა იყოს.

ასე ესმის ლუკას სიცოცხლის სიხარული და ამაშიც იგრძნობა ის უკვდავი ფესვი, ჩვენი ეროვნული ლიტერატურის ის უჭკნობი გენი, რომელიც მის დიდ ჰუმანიზმს, ჯაჭვის პერანგივით ნაქსოვ მის შემოქმედებას ასაზრდოებს.

სიცოცხლის ზეიმი უსასრულოა. ის, რაც ერთხელ გაჩენილა, არ უნდა მოისპოს, არ უნდა გაქრეს. იქ, სადაც სიკვდილმა ჩაიარა, სიცოცხლემ უნდა ამოიაროს, შთამომავლობამ შთამომავლობა ცვალოს და ვაჟაც თავს დაჰბუბუნებს ყოფნის სინორჩეს — ხმელი წიფლის მკლავ-ტოტზე ამოსულ ყლორტს, თოვლის ლილოჭრილოდან თვალგამოხელილ კესანეს, ადრე გაზაფხულზე მზვარეში ჩამომსხდარ ლურჯთავშლიან იებს, ბუდეში ჩათბუნებულ პირღია, ყვითელნისკარტიან ბარტყებს, აკვანში ჩაკრულ ყრმას თუ ეკალ-ბარდიან წუთისოფელში მარტოდ დარჩენილ შვლის ნუკრს.

შაშვიც გალობს და იმ თავისი გალობით იმას ამბობს, რის თქმაც ადამიანის ენას, ამ „ღვთიურ ინსტრუმენტს", ბგერათა ჯადოსნურ აკორდებსაც არ ძალუძს.

მირბის, მიჰქრის წუთისოფელი. უსასრულო და უმანძილოა მისი ქროლვა, წინ მიგელავენ შავი და თეთრი ბედაურები. მზე კი ბრუნავს და ბრუნავს ცარგვალზე, დაჰყურებს ცოდვილს ღედამიწას — აბა სად ულუმპაპური ღარიბი მყავს, სად ცრემლად ქცეული ობოლი და სად კიდევ გულ-ღორი, ოქრო-ვერცხლით მაძღარი მდიდარიო.

ცხოვრება ჰქვია ამ უსწორმასწორო, ამ აღმართ-დაღმართიან სავლელს, სიცოცხლე ჰქვია ამ ნატვრის ხესავით იღუმალსა და უცნაურ ნიჭს ქვეყნად ყოფნისა, მზისგან ნაჩუქარ ამ საუნჯეს, ამ წყალსა და პურს, ყვავილთა ამონათებას, იმ მგალობელი შაშვივით წამომ-

ფრთხალ ნიავს, ჯეჯილის დაპურებას, მხიარულ გაზაფხულს, მოუცლელ ზაფხულს, შუაბნის შემოდგომასა და ბებერ ზამთარს, კვდომისა და აღორძინების ამ უსაწყისო, უსასრულო ცვალებადობას.

გიხაროდენ...

გიხაროდენ, სანამ ცას აჰყურებ და მიწას დასცქერი, სანამ გული გიმღერის, სანამ სიკვდილი არ მოსდგომია შენს კარსა და დირეს.

და შაშვსაც ამღერებს, აკვნესებს, აგალობებს სიცოცხლის სიხარული.

ჰერიოკული სცენა — მუცალის სისხლით იწერება ამაღლებულის, მშვენიერების შესანიშნავი ნიმუში. აქ ორი რაინდი დგას ერთმანეთის პირისპირ. ორივემ იცის ვაჟკაცობის ყადრი. კრაზანებივით წივიან ხირიმებიდან ნაფეთქი ტყვიები. ალუდას ნასროლმა ქუდში გაუარა მუცალს და ძელის კენჭხოდან თმები ასთიბა, რასაც მისი აღტაცების შეძახილი მოჰყვა.

ოჰო, ქუდ გაუხვრეტია,
წვერებსა სტუსავს თმისასა...

ახლა მუცალის ტყვიამ კალთაზე მიაფშვნა ალუდას რქის საპირისწამლე. სად წაუვიდოდა ხევსური სიკვდილს, გუდანის ჯვარს რომ არ გამოეხედა ამ დროს მისკენ. იდიდოს ბატონი, იდიდოს.

გაიბარჯგა მკლავებედიანმა ალუდამ. მკერდნატყვიარ მუცალს ნაკვერჩხალივით უშიშინებს ჭრილობა, მაგრამ, სანამ თვალები გაეყინებოდა, ბრძამი-ბალახი ჩაიფინა ნაჭრევში და ერთხელ კიდევ გამოჰყეფა მისმა სიათამ გეზელივით ცერზე მდგარ ხევსურს. მერე თოფი გადუგდო ალუდას, სახეზე ფერი შეაშრა და მიწას გაერთხა აქეთ-იქით გადაყრილი მკლავ-ტოტით.

მუცალის ასეთმა ვაჟკაცობამ დაჰბადა მეორე ალუდა — დღესაც დიოგენივით რომ დააქვს ჰუმანიზმის ლამპარი.

რაღაც უცნაური ფერისცვალებაა.

ჯერ არ მოზელილა უკვე გამომცხვარა კიღეც.

ასეთი მეზღაპრეობა არ სწერია ვაჟას ხელოვნების თეორიაში.

გავიხსენოთ, რომ ალუდას ციხე-ქავზე „ხელებ ჯღრდესავით ჰკიდია".

იქნებ ეს ბრჯღალები ფურ-ირმებს ებათ, იქნებ თითისტარს ატრიალებდნენ და ფარტენები ეჭირათ ან რბილი სატევრები ერტყათ წელზე, ან იქნებ შინდის კურკით სტენიდნენ ქისტის შვილები ქუხილით სავსე ხირიმებს?

თუ ალუდას ამ უეცარ ამაღლებას დავიჯერებთ, მაშინ ისიც უნდა ვირწმუნოთ, რომ ყველა მათგანს ცხვარივითაც კი არ დაუბღავლია,

ისე გაუშვერიათ მკლავი ალუდასთვის მარჯვენის მოსაჭრელად. მაშინ ვერაფერი სახელი ექნებოდა შატილიონს, ვერც ხევსურები იამაყებდნენ მისი ფარ-ხმალით და ხატიც შუბლს შეუკრავდა ასეთ ყმას.

შეიძლება ამ შევარდნებში მუცალი უფრო ფრთამაღალია, უფრო უღონოელი და არღუნისწყალივით ლურჯი ფოლადი, მაგრამ ეს არაფერს ცვლის. როგორც ჩანს, იმან, რამაც ასე უცბად ამოხეთქა არხოტის მთებში, წვეთ-წვეთად გროვდებოდა ალუდას შეგნებაში, აქამდისაც უწვავდა შუბლს იმაზე ფიქრი, თუ რამდენად მართალი იყო ადათი, რომელიც ხევსურს მტრის მკვდარ მარჯვენას აჭრევინებდა. ან იქნებ ისიც ტყუოდეს, ვინც ამბობს, რომ მარტო ქრისტიანები არიან სამოთხისანები და სხვა ყველას კუპრის აბანო ელის საიქიოს? არც ხმალი უჭრის და გულიც შეშინებული მწყერივით უზის უბეში?

მოდის, მოინისლება, გუნებააბღვრეული, ფიქრის ძეძვში გაბმული ალუდა. კლდის თაუზე ჭიიბაწრება ბილიკი და, საცაა, შიშველი ბალღივით უნდა გადმოდგეს დილა არხოტის თავზე.

რა ხდება ალუდას სულში? რა ფიქრი გაჰკვრია შუბლზე, რატომ უტირის ნიკაპი? ალბათ, აფრენილი არწივივით დასტრიალებს თავზე მუცალის სული, ყურებშიც მისი ხმა აქვს ჩარჩენილი:

არც ახლა გჭირსა, რჯულძაღლო?...

ნუ დაგვაიწყდება, რომ ქეთელაურს, ტახტაზე მუცალის ძმის ჯერ ისევ ნედლი მარჯვენა უკიდია, ხოლო თვითონ მუცალი კლდეებს შეატოვა ზედ გადაფარებული ნაბდითა და ხმალ-ძეგლივით. სისხლის სუნი უკვე ეძახის ყელტიტველა სვავებს, აუყროლებიათ ჰაერი კლდისპირებიდან აფრენილ ყორნებს, მძორზე დაგეშილ ყვავებს.

თვალგაყინული სიკვდილი დასცქერის ორ მდუმარე ძმას. არც უფიქრია ქეთელაურს მათი დამარხვა — არც მკლავის მოკვეთისას აჰკანკალებია ხელი — ისე იჩქითად, მოაბასრა მარჯვენა მუცალის ძმას ნალესი ადათით, წამმაც ვერ დაინახა.

მაშ, ალუდას წელანდელი საქციელი, მუცალის ვაჟკაცური შებრალება ჯერ მხოლოდ წვეთ-წვეთად ნაგროვები არაგვის სათავეა, ჯერ სინათლის ნიაღვრად არ დაძრულა და მიძინებული მთები არ გაუღვიძებია.

ადათის არტახები უფრო უცვეთი გამოდგა, ვიდრე რელიგიისა — ეს თაეიდანვე თვალში ეცემა მკითხველს, თუმცა იგი შეიძლება ქეთელაურის სიტყვებმა შეცდომაში შეიყვანოს:

ვაჟკაცო, ჩემგან მოკლულო,
ღმერთმა გაცხონოს მკვდარიო...
მკლავზედაც გებას მარჯვენა,
შენზედ ალალი არიო...

მაგრამ რა ვუყოთ ტახტაზე დაკიდებულ მკლავს? ალუდა შესძრა მუცალის ვაჟკაცობამ და სწორედ ამან, სხვა რჯულისა და ადათის, სხვა ეროვნების წარმომადგენლის ღირსების შეგრძნებამ მისცა იმპულსი მის კეთილშობილურ საქციელს, თუმცა ადათს კი ვერ შეელია. ეს კლდე საკმაოდ მტკიცეა იმისთვის, რომ წერაქვის ერთი მოქნევით ჩამოინგრეს.

მაშასადამე, მკლავის მოკვეთაზე უარის თქმის ეს შემთხვევა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ქეთელაურს გაცნობიერებული ჰქონდეს ამ ცოდვიანი ადათის ანტიჰუმანური ხასიათი. მასში ახალი რწმენა ჯერ კიდევ გაუღვივებელი მარცვალია და ბევრი რამ უნდა მოხდეს, კონფლიქტების ქარიშხალი უნდა ამოვარდეს, სისხლითა და ცრემლით უნდა მოირწყას, რომ ხვარბლად და იფქლად იქცეს.

რომ არა კონფლიქტური გარემოებანი, ალბათ, ალუდა ძველი ქეთელაურივით მარჯვენასაც მოსჭრიდა თავისი გველისპირულითა თუ ბაზალით ნაშოვნ ქისტსა და სახეშიც ნამქერივით შეაყრიდა:

არც ახლა გკირსა, რჯულძაღლო?

მაგრამ სწორედ მუცალთან ბრძოლის მომენტიდან იხარშება ალუდას გულში ახალი გრძნობა, რასაც ისიც ემატება, რომ ქისტთან შერკინებიდან გამოყოლილ შთაბეჭდილებას მომყოლი დრო და ამბები კი არ აჩლუნგებენ, არამედ უფრო ამძაფრებენ, რომ ხევსურის პრაქტიკული ნაბიჯი თეორიულადაც იქნეს გააზრებული, გარკვეულ შეხედულებად ჩამოყალიბდეს, რწმენის დუღაბი შეიკრას.

როგორ სწყურიათ ხევსურებს სისხლი. როგორ ლეგა მგლებივით შეჰყმუიან ალუდას, როგორი გაკვირვებით ეკითხებიან ისეც ცრემლნასვამ ქეთელაურს:

მოჰკალ, მარჯვენა არ მოსპერ,
უკან მისდევდი მა რადა?

ალუდას ახალი რწმენა რომ ჩახოცილ ძმებთან ამოდუღებულიყო, ანუ არც ერთისთვის არ მოეკვეთა მარჯვენა, მაშინ ვაჟას ეს პოემა წყალზე ნაშენი ტაძარი იქნებოდა, რომელსაც არც ქურუმი ეყოლებოდა და არც მლოცველი.

ქეთელაურის ტრაგიკულობა იმაშია, რომ ის გააკეთა, რის აუცილებლობასაც თვითონ არ აღიარებს, პირიქით, რაც ლამის ზედმეტად მიაჩნია. ეს კი მისი კათარზისის სტიმული, მისი განსაწმენდელის აღსავალია.

მუცალს ხომ შეარჩინა მკლავზე მარჯვენა, მაშ რა ფიქრებმა შეაგდეს იმ საზარელ სიზმარში, რის თხრობაც ქეთელაურის ენას უმძიმს და სიტყვამზიან ალუდას ლამის ამუნჯებს?

ეს სიზმარი ალუდას სულის დრტვინვაა, ფეხზე წარმლვარი პროტესტია. მტერი მტერია, მაგრამ ისიც ადამის ძედ და უფლის შვილად დადის მიწაზე. მაშ, მკლავის მოჭრაც კანიბალიზმი, მკვდარი სიცოცხლის კბილით გლეჯა და თქვლეფა ყოფილა. განა რას მოუტანს მაღლა ცასა და დაბლა დედამიწას ასეთი თვალდაუხამხამებელი სისასტიკე? რაღასა ჰგავს მაშინ ადამიანი, თუ ცოდვა-მადლს ერთ ტაფაზე აცხობს და ერთ თონეში აკრავს? რიღათნი ვართ მეტნი ყურწვრილ აფთარებზე, ან პირუკუარს რიღასთვის ვიწერთ, ან მზეს რისთვისღა ავუურებთ?

სხვა რამით გასძეხ, ადამიანო, აგე რამდენი სილამაზე შემოგცქერის, მიწის რძე შეირგე და იმ ქვეყნადაც განწმენდილი მზენაწოვი წადი.

ის ღამე, ის წვრილვარსკვლავიანი ცა, ის ცხელკერძიანი სიზმარი ალუდას თვითგვემაა. ძნელი სათქმელია, რა ნაყოფს გამოისხამდა ეს განედლებული ხე, როგორ მოიქცეოდა ქეთელაური მომავალში, წინააღმდეგობები რომ არ დახვედროდა, რომლებმაც ფაქტობრივად, ალეხეს და გააფხაზეს მისი ჯერ კიდევ ბლაგვი რწმენა.

რით დაიწყო ადამიანთა მოდგმა? რამ ამოურღვია სათავე კაცობრიობას? რამ და სიბრალულმა, თანადგომამ, როცა სხვაში თავისი თავი იცნო ადამიანმა, მისი ტკივილები და სიხარული საკუთარ გამოქვაბულში შეზიდა. ამ მხრივ სიმბოლურია ქეთელაურის სიზმრის ის მომენტი, როცა ხევსურნი გარს შემოსჯარვიან მიცვალებულს და ხვადი ვეფხვის ცრემლებით დასტირიან. ალუდაც აქვეა, როგორც მთვარე ვარსკვლავებში. აქ უტაცა ხელი შუცალმა და ხანჯლის ტარი ჩაუდო ხელში, აქ ეხვეწება ალუდას, „მამკალო“, ისევ კლდედა დგას ქისტი, ტანზე რკალი უბრწყინავს და ქორულად შესცქერის მკერდზე თავჩამოვარდნილ ხევსურს.

ამ დეტალს თავისი შეფარული შინაარსი აქვს — მუცალი არ მომკვდარა. იმიტომ იტანჯება ნახევრადმკვდარი, რომ მისი სიკვდილი საცოცხლესთან ადამიანური გაყრა კი არ იყო, არამედ თვითონ სიკვდილის იდუმალი ცნების შეურაცხყოფა.

„მინდა სიკვდილი, არ ვკვდები“, — მუცალის სულის ეს გმინვა უთქმელის განთქმაა, პასაჟის დაფარული აზრის გამჟღავნებაა. თვით ალუდასთვის კი ეს ქისტი ყმა ცოცხალზე ცოცხალია, როგორც მისი მეორე, თანამდევი, მკიცხველი და მამხილებელი სული.

სიზმრებმა დატანჯეს ალუდა...

წინ უძღვას ორთქლიანი ჯამი. კაცის ძვალ-ხორცი უხარშავთ ქეთელაურისთვის. მოურია კოვზი წვნიანს და ამოაყოლა დამბალი ტუჩ-ულვაში, ძვლიანი ხელ-ფეხი.

— ჰამეო, — დასძახის სატანური ხმა.

კანიბალიზმი ჰკივის ამ ჩვენებაში. ხოლო გაცრეცილ სიბნელეში აი კვერ კიდევ შორეული მზის სხივი აღწევს.

რამ შეუნთო ცეცხლი ისეც ხმელ ისლად ქცეულ ალუდას, რამ აანთო და ააბრიალა? რამ და ადამიანურ ფასეულობათა იმ განსხვავებულმა გაგებამ, რომელმაც მისადმი ხევსურთა წინააღმდეგობაში იჩინა თავი. ქეთელაურს ტყუილი დასწამეს — თურმე ალუდა ფურივით იმიტომ ხმუის, რომ ქისტიშვილს გამოჰქცევია, საკუთარ მკურდს უსწრებდა თავქვეზე და ახლა ხევსურთა გაბრიყვებაც მოუნდომებია — ახალ-უხლებმა ხანჯლის წვერებივით უტრიალეს თვალები და ცალი ყბითლა ჰკითხეს

Გიკალ, მარჯვენა არ მასჭერ,
უკან მისდევდი მა რადა?...

მაშ, ვაჟკაცობა უხელ-ფეხო და უღონო მკვდარზე დანით მისვლა ყოფილა და არა რაინდული სწორფერობა, სხვითა სიკარგის დანახკის ნიჭი. აი, სად ჩაირღვა პირველად უფსკრული ქეთელაურსა და ბალანაჯაგრულ ხევსურთა შორის.

ადათი სამართლიანი, ანუ ჰუმანური უნდა იყოს, ალუდას რწმენით, რაც ვერ ითქმის მკლავის მოკვეთაზე. ამიტომ ქეთელაური პირველად განეწყობა კრიტიკულად იმის მიმართ, რაც ადრე მასაც უცვლელი და ხელშეუვალი ეგონა.

წეს არ არის მტრის მოკვლა,
თუ ხელ არ მასჭერ დანითა.

გუგუნებენ ხევსურეთის მთები:

ეი, აგეთას სამართალს,
მოწათლულს ცოდვა-ბრალითა,

ჩურჩულებს ქეთელაურის აბორგებული სული...

გასრულდა ალუდას რწმენა, ჩაიკირა და ჩადუღაბდა. მკლავის მოკვეთა ცოდვიანი ადათია, შავი ცოკანი ეშმაკისაა. მტერს მტრულად დახვდება ქეთელაური, მაგრამ მარჯვენას კი არ მოაჭრის, — ასე მიახლის პირში საარყე ქვაბებივით ათუხთუხებულ ხევსურებს.

ალუდა გუდანის ყმაა. ვინ იცის, რამდენჯერ დაუფარავს ხატისძალას, ნაქნევი ხმალი აუცდენია, მისკენ ნასროლი ტყვიისთვის გეზი უცვლევინებია. მაღლი ბატონს წყალობისათვის, არად გასწირავს კარგთა ყმათა, აეს გაარიდებს, მტერზედ გამარჯვებას არ მოუშლის. ალუდა მორწმუნეა. მისთვის ღმერთი ის ძალაა, რომელიც სამართალს ჰბადებს, მაგრამ ქეთელაურისთვის გაუგებარია, რა კავშირი აქვთ ცოთა შინა მეუფე ღმერთთან იმ რელიგიურ შეხედულებებს,

რომლებიც ღვთის სამწყსოს ერთ ფარად კი არ შეჰკრებს, არამედ ღვარძლსა და მტრობას უთესს კაცობრიობას. ჯერი უგლეთ, რას იტყვიან ქრისტიანები: მხოლოდ მათ ეთქმით ადამიანი, მხოლოდ მათი სამოთხე მწიფს და ჰყვაის, სასუფეველშიც მხოლოდ მათი სულები ინეტარებენ, სხვები კი კუპრის ცხელ მორევში იქშენენ, ეშმაკებთან ჩააბამენ ფერხულს. როგორ იქნება სხვა რჯულისა კარგი? ყველა მყეფარია, ძაღლია, მათი სიკვდილი სამართალია, სულს კი ეშმაკი წაათრევს, რათა გეჰენიას მისცეს.

ალუდასთვის ასეთი მსჯელობა გაუგებარია. მისთვის რჯული არარაა, თუ იგი სიძულვილის მსახურად წარმოსდგება. მთავარი თუ უმთავრესი კი ადამიანი და მისი ადამიანური ღირსებანია.

აქედან — კონფლიქტი სარწმუნოებასთან... და ალუდა მოიკვეთეს, მაგრამ მისი რწმენა ვერ გატეხეს. ის დროზე წინმავალია, მზისკენ ბელგაწვდილი მესიტყვეა ხვალინდელი დღისა, პროგრესისა.

ვინ იცის, რამდენჯერ შეჰღერია ქეთელაურს ქისტთა სისხლი. მისდევდა, მიჰკიოდა, ფრთაწერილი შევარდენი ღლიველთ შვილებს. შემდეგ გამარჯვებით გალაღებული ტახტაზე დაიკრავდა მოჭრილ მარჯვენას და გასცქერდა, როგორ კორტნიდნენ სვაეები წელან გულცხელი ვაჟკაცის ჯერ კიდევ თბილ ლეშს.

ჭაჟა არაფერს გვიწერს იმის შესახებ, თუ რას განიცდიდა ამ დროს ალუდა. იქნებ სიბრალულის გრძნობა უკაწრავდა მკერდს, იქნებ ერთი წამწამი მაინც უტიროდა, როცა სახსარს უხსნიდა მომაკვდავ ვაჟკაცებს?

დუმს ვაჟა ამაზე, მაგრამ ეს დუმილიც ისეთივე მოსასმენია, როგორც მისი ჩანგურის ლარებივით გაბმული სტრიქონების სულ უბრალო ჩქამიც კი.

რა თქმა უნდა, ქეთელაური, მანამდეც გულზიზღად ასრულებდა ჩკლავის მოკვეთის ტრადიციულ რიტუალს, მანამდეც ჩაჰფიქრებია მისი. ავკარგიანობის ცოდვა მაძლიან საკითხავს, სანამ ბედი თავის ტოლსა და სწორს შეახვედრებდა, თორემ სხვამხრივ წარმოუდგენელია ის უეცარი სულიერი შემობრუნება, რომელიც მუცალთან შებმასა და ამ უკანასკნელის მამაცურ სიკვდილს მოჰყვა. როგორც იტყვიან, მოწმენდილ ცაზე მეხი არ გავარდება, არც გრიგალი ამოვარდება ისე, თუ მაცნედ და მოციქულად წინ ფრთამოტეხილი ნიავი მაინც არ გამოიძღოლა.

„წესი არ არის"... — აი, ის მშრალი არგუმენტი, რომლითაც თემი იცავს მკლავის მოჭრის ადათს. მას არ შეუძლია დაასაბუთოს ამ კანიბალური ჩვეულების გარდუვალობა. ადათი ავორებული მთა არის და, ვაი იმას, ვინც წინ დაუდგება. ის „პაპით და პაპის პაპით" მო-

დის. ალუდასთვის კი იგი ცოდვის მზიდველი რამ არის — აგერ, მინდიას მოუტანია მუცალის მარჯვენა, რომელსაც ბალღები კავით დაათრევენ მტვერში, მზე თვალს არიდებს ამ საცოდაობას. ძაღლმაც კი არ დააკარა პირი „კაი ყმის“ მკლავს, რაც კიდევ ერთ საბუთად დააკრეს ხევსურებმა თავიანთ მოჭრილ სამართალს...

ძაღლი ძაღლის ძვალს არ სტეხსო,
ოქმულია იმავ თავითა.

უკვირს ალუდას, შუბლი ეკეცება, სინანული უბრჯღალავს გულს, მაგრამ ჯერაფერი გაუწყვია ფაფარაშლილი ლომების ხავილში. იცის, ეს თემია „თავის თემობის წესითა“, ამიტომ დაუყრუჯდნენ ქეთელაურს და მისი ნათქვამიც არღუნის წყალს გაატანეს.

რაღა უნდა ალუდას? მის სახელს მთა მთას გასძახის, ხატის რჩეული ყმაა, მაშ რიღასთვის თლის რკინას და ელვას მკლავზე იხვევს? განა არ იცის, რომ თემის რისხვა თეთრი ზავია, რომელიც, თუ ერთ დაჭანდა, მის სახლსა და ციხე-ქავს ქვა-ღორღად აქცევს?

ნუთუ იგი წინდაწინვე არ ჭვრეტს გარდუვალ დამარცხებას ამ უთანასწორო ბრძოლაში?

როგორც არა, მაგრამ რწმენის კლდოვანი გზიდან გადახვევა მისთვის საკუთარი ღირსების შელანძღვაა, ბრძოლის ველიდან გაქცევაა, რაც არსად სწერია „კაი ყმის“ მორალურ კოდექსში.

ნუთუ ალუდა სულ მარტოა ცას შერჩენილი ობოლი ვარსკვლავივით? ეს კითხვა ფეხაკრეფით მიჰყვება მკითხველს, ბოლო წერტილამდე, მაგრამ, სამწუხაროდ, პასუხს არავინ ჩაჰფიქრებია. ჩვენი ღრმა რწმენით კი ქეთელაურის სულისა და სუნთქვის კაცი მინდიაა. ალუდას მოკვეთის შემდეგ, ალბათ, ის შეუდგება მზისკენ მიმავალ ბილიკის გაკაფვას. ყოველ შემთხვევაში პოემის თვალჩაღრმავებით წაკითხვა გვაძლევს ამის განცხადების უფლებას.

მინდია ჭეშმარიტი რაინდია. თორმეტ ქისტს დასწევია მისი შუბი, რვალიანი ზერდაგი ირემს უგავს და სიტყვაც ფრთიანი, აწონილი იცის.

სწორედ ის დააშოშმინებს პირველად ცილისწამებით პირმოსვრილ, აჯაგრულ ხევსურებს — მას სწამს ალუდას სიმართლე. ქეთელაური ტყუილს არ იტყვის, ვერ დაიჯერებთ მინდიას, რომ წყალი იწვის და ცეცხლი წყალდება.

მართალია, მინდია ჯერ კიდევ შორს არის იმ მწვერვალისაგან, რომლიდანაც ქეთელაური გადმოჰყურებს ქვეყანას, მაგრამ ის თანაგრძნობა, რასაც იგი მისადმი ამჟღავნებს, ბევრის მთქმელის გარდა, ბევრის ალმთქმელიც არის.

აგერ ხევისბერმა ბერდიამ ცეცხლი ისროლა ისედაც ხმელსა და ასისინებულ ისლში — ხევსურებს ალუდას აკლება უთხრა ხატის ნება-დასტურით. დაე, ქეთელაურს, ელვიძოს, ბინა არ ჰქონდეს, ეძინოს — ლოგინი არ ეგოს, ცოლ-შვილიც ცრემლად ჩამოუდნეს, ხევსურეთი სიზმარშიც ველარ ენახოს, მოიწყვიტოს და მოიკვეთოს. მერე გუდანში გადადით, ხევსურნო — იქ ურბიეთ შიწმნი და ქალები.

აი, სწორედ აქ მჟღავნდება მინდიას ჯერ კიდევ მერყევი, მაგრამ ძაინც უკვე გარკვეული პოზიცია. მას ალუდას შველა უნდა, მაგრამ უკვე კაპასად ჟღრიალებენ რვალები, კაშკაშებენ ამოწვდილი ხმლები და ლუდნასვამი ხევსურები ალუდას ციხე-ქავისკენ მიიღვრებიან.

ამის გამგონე მინდიას
ბაეწყლიანდის თვალები,
ყელარასა ჰშველს ალუდას,
გულზე გადიწყვის მკლავებ

უძლურების ასეთმა შეგნებამ შეიძლება სხვა მოიქნიოს და ძირს დასცეს, მაგრამ მინდია სხვა სიპითა და დულაბით არის ნაშენები. რაც მთავარია, მას ფიქრი გაუჩნდა, ფიქრი ალუდაზე, მის საქციელზე, მისი რწმენის ტაძარზე. ამასთანავე მასზე, შეუძლებელია, სულის შემძვრელი გავლენა არ მოეხდინა ქეთელაურის შეხედულებათა უძერელობას — მან ხომ ყველაფერი გაწირა და თავის ახალ რელიგიას ანაცვალა?

მაშინ, როცა ხატის ყმები მუცალის მარჯვენას აქეთ-იქით ისვრიან, მინდია, ხაფის ხმით ამას იტყვის:

მუცალის მარჯვენა არი,
მიზეზი ხევსურთ რჩევისა, —
წყრომით იტყოდა მინდია, —
მიზეზი იმათ წყევისა
მკ მოვუტანე ალუდას,
ფერი დავადევ წუენსა.
რო არ მიღო ალუდამ,
სიღრმე ვაჩვენე ხევისა...

მარჯვენის მოჭრა მაინც მხოლოდ ერთი გამოვლენაა ალუდას ახალი რწმენისა. აქ მთავარი ის არის, რასაც ქეთელაური შემდეგ გააკეთებს, როცა შავ კურატს ხატის კარზე მიაყვანინებს.

როგორ ან რით უნდა აიხსნას ალუდას ასეთი მოქმედება? ხევსურთა ჯიბრით? რა თქმა უნდა, ესეც არის, მაგრამ არა მხოლოდ ეს. განა ქეთელაური ქრისტიანი არ არის? ან იქნებ ხატის ყმობის უღელი გადაიგდო კისრიდან?

არა, ალუდას ისევე სწამს ხატ-სანთელი, როგორც მის ცხელ

თვალწარბიან თანამოძმეებს. თავისი სალოცავის აუგს იგი ან ნატყორცნ ისარზე წამოაგებს, ან მოქნეული ფრანგულით შუაზე გააპობს.

მაშ რა მოხდა ისეთი, რომ ქეთელაურის სახელი ენის წვეროზე უხით ხევსურებს, მოსაკვეთად იმეტებენ და ფარ-ხმლით ეკვეთებიან? მუცალის მოკვლის შემდეგ ალუდა სულის სხვა სამზერიდან შეხედავს რელიგიას, კერძოდ ქრისტიანობას. განა ქრისტეს მოძღვრება სრულქმნილობისთვის არ არის? და, თუ ეს ასეა, მაშინ სრულყოფილებას უნდა ვცეთ თაყვანი, როგორც მიზანთა მიზანს. ადამიანის ღირსება, სიკეთე რელიგიის შინაარსი და დაგვირგვინებაა. სწორედ ამის განსახიერებად, თავისი სულის სწორფერად მიიჩნევს ქეთელაური მუცალს. იგი მისი „მოუნათლავი ძმაა". ამ სინტაგმას უდიდესი ხნიშვნელობა აქვს. ეს ის გასაღებია, რომელიც ქეთელაურის რწმენის ტაძარს გაგვიღებს, რომ ამაღლებულის მშვენიერებას გვაზიაროს. რა თქმა უნდა, ალუდა მორწმუნეა, მაგრამ მის ღმერთს კერძო რამ სახელი არ ჰქვია. მისთვის კითხვა-პასუხიანი პრობლემა ის არის, რომ მოუნათლავი ქისტი სრულყოფილების ისეთსავე კვარცხლბეკზე შედგა, როგორც რჩეულთა შორის რჩეულნი. აზროვნების ასეთ ფონზე თავის შინაარსს კარგავს მცნება „ურჯულო", ისევე, როგორც რომელიმე რელიგიური სისტემის ერთადერთობისა და უპირატესობის თვალსაზრისი, რაც კატეგორიულად არის ქეთელაურის მიერ განცხადებული:

ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ,
მარტო ჩვენ გვზრდიან დედანი,
ჩვენა ვცხონდებით, ურჯულოთ
კუპრში მოელით ქშენანი...

კიდევ უფრო მძაფრად ვლინდება ეს თვალსაზრისი ქეთელაურის სიტყვებში, რომელთაც არა ეჭვის, არამედ რწმენის დამღა აზით:

ყველანი მართალს იტყვიან,
განა ვინაცა ჰფიციან?!.

ალუდას ცა გაეხსნა. სხვაგვარად იქსოვება მისი ფიქრი, ამ ცხადსიზმარში, ამ ციკნის კუდივით მოკლე წუთისოფელში სიკეთემ უნდა გატაროს, სხვისა სიკარგე დაგანახოს, რომ საკუთარი თავის ცნობაც შეძლო — მუცალმა ჩაახედა ქეთელაური საკუთარ სულში და სწორედ განახლების კათარზისის გზაზე დამდგარი შუბლნისლიანი ალუდა ხიბლავს მკითხველს. აქ, ვაჟკაცურად დაცემული ქისტის ცხედართან, შეხვდა იგი პირველად თავის თავს, თავის ნამდვილ „მე"-ს, როგორც პიროვნებას, ინდივიდს და არა როგორც საზოგადოებრივი ყოფის, ზნეობის, რელიგიური ნორმების, ჩვევა-ადათის ცოცხალ გამო-

ხატულებას, თემის შვილსა და ხატის ყმას. მძიმეა სულის ეს თარხნობა, თავისუფლების ეს შეგრძნება, რამდენადაც ალუდა ახალი ზნეობრივი მრწამსის სათავესთან დგას, რომელიც თვითონვე უნდა დაამტკიცოს ცხოვრებაში, თვითონ უნდა ახაროს ეს უცხო ყვავილი ადათობრივი, რელიგიური ნორმებით ჩარაზულსა და ჩაკეტილ ხევსურეთში.

ადრე სხვა იყო, ადრე ქეთელაურის საქციელს ლიბოდ ის ედო, რაც საუკუნეებს ეწველათ და ედღვიბათ, ის ალმსრულებელი იყო და არა განმსჯელი, სწორედ ალუდაში სახიერდებოდა ხევსურეთის უძვრელი დრო და უბოძრაო საზოგადოება. ამ მხრივ იგი გამორჩეულია, როგორც მთვარე ვარსკვლავთა შორის. ხატის ყველაზე ერთგული ყმაა, ყველაზე მეტი ქისტი მის ხმალს შემოჰკვდომია, ქავის კედლებიც მოჭრილი მარჯვენებით აქვს ჩამოშაებული.

აქ ვაჟა თითქოს იმ შემთხვევას ალიარებს, რომელიც არცთუ უცნობია საზოგადოებრივი განვითარების ისტორიაში — ახლის მესიტყვედ და მედროშედ ხშირად ის გამოდის, რომელიც თითქოს ძველის ტიპურ განსახიერებად ჩანდა. იქნება ამ შემთხვევაში ზედმეტი არ იყოს ბიბლიური საულის, ქრისტიანთა სასტიკი მდევნელის გახსენება? ლომივით ბრდღვინავდა რომაელი ლეგიონერი და მართალია სისხლით იღებავდა ბეგთარს, მაგრამ შემდეგ იმ პავლედ იქცა, მსოფლიოს ეკლესიას რომ სიბრძნის, სიკეთისა და სათნოების ზეციურ გვირგვინად ადგას.

აზროვნების ასეთ მეთოდს, ან უფრო ზუსტად, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ასეთ ანალოგებს თავისი თვალში მოსახვედრი დიალექტიკა და შინაარსი გააჩნიათ. მანამდე უცნობის, სიახლის, პროგრესის გზაზე სწორედ პავლეს და ალუდასთანა ადამიანების, ანუ მანამდე არსებულის ტიპურ განსახიერებათა შედგომა პირდაპირ და განსაკუთრებული ძალით მოქმედებს მასაზე — ასეთ მაგალითებს უდიდესი დამრწმუნებელი ძალა აქვთ სხვათა მიმართ.

ალბათ, ესეც აქვს მხედველობაში დიდ ფშაველს ქეთელაურის მხატვრული სახის შექმნისას.

მაინც რამ გადააწყვეტინა ალუდას „ქისტისად საკლავის დაკვლა“? თავი რომ დავანებოთ მის მიერ მკლავის მოჭრაზე კატეგორიული უარის თქმას. განა მან არ იცის ის სინათლესავით თვალში საცემი ჭეშმარიტება, რომ ქრისტიანს „მაჰმადიანისთვის სულეთში ასეთი ზღვენის“ გაგზავნა ეკრძალებოდათ? ანუ ყველაფერი ის, რასაც განრისხებული, სიბრაზით ეკლდასხმული ხევისბერი დაჰბუბუნებს თავზე ალუდას...

გონს მოდი, ქრისტიანი ხარ,
ურჯულოვდები მაგითა...

ქეთელაური ის კაცია, მოგებისა და ავ-კარგის სასწორზე შეუგდებლად რომ არაფერს გააკეთებს. ამიტომ ამ, ერთი შეხედვით, უცნაურ საქციელსაც მხოლოდ ის მოტივირება არ უნდა ჰქონდეს რასაც ქეთელაური ბერდიას მდულარესავით გადაავლებს. კერძოდ ის, რომ მუცალი გმირი იყო, ლომი, ლომის რძით გაზრდილი, ღირსეული ვაჟკაცი, თუმცა არა ქრისტიანი, მოუნათლავი. ქეთელაურის ამ სიტყვაზე სახეზე ფერი შეაშრა ბერდიას, ფეხქვეშ მიწა აუტორტმანდა და ცა შეუბარბაცდა. სასმენად იმდენად უცხოა ყურისთვის და არსათქმელი ენისთვის.

მაგრამ ალუდა ამას ამბობს, კურატსაც თვითონ ჰკლავს, იგი იმდენად არის დარწმუნებული თავისი შეხედულების ურყეობაში, რომ საპირისპირო მოსაზრება მისთვის მხოლოდ ადამიანის ღირსებისა და, რაც მთავარია, თავად რელიგიის შეურაცხმყოფელ აბსურდია. განა მტკიცება უნდა იმას, რომ არლუნნი დაბლა დიან და მთანი ცას შესცქერიან?

მაშასადამე, ბერდიას აზრით, ალუდა ურჯულოვდება მუცალისადმი საკლავის შეწირვით, ხოლო ამავე აქტით ქეთელაური ქისტს „არჯულებს“. ეს მნიშვნელოვანი მომენტია, რამდენადაც ალუდას მსოფლმხედველობას არათუ რწმენათშემწყნარებლობის სიბრტყეზე მოათავსებს, არამედ უფრო მაღალ ფენომენად ჩამოაყალიბებს.

ერთი ფაქტია — ქეთელაურისთვის მთავარი ადამიანია. ეს არის მისი შეხედულებების ჰუმანიზაციის შედეგი. აი, სწორედ ამ კუთხით დგება შემდეგ თვით რელიგიის ფუნქცია-დანიშნულების, ანუ მისი აუცილებელი მეტამორფოზის საკითხი.

ხევისბერი გულწრფელად არის გაკვირვებული: რა ხდება, რამ ამოაგდო რჯულიდან ქეთელაური? ხმალი ხომ მუდამ ურჯულოს სისხლში ჰქონდა გარეული? ვინ იცის, რამდენი ლეკი უსხეპავს, რამდენი ქისტისთვის გაუცივებია მზე და ციკანი რაა, ისიც არავისთვის დაუკლავს. ან რა არის აქ საკითხავი? ურჯულო ურჯულოა — ეშმაკი ურწევს აკვანს. იქ ძაღლივით უბია მისი სული მაჰმადს. ადამიანი არ ეთქმის ურწმუნოს — მყრალი ძვალ-ხორცია და მეტი არაფერი. ხელს ჩამოისხეპს ბერდია, ემა ხანჯლით მკერდს ჩაინგრევს და რჯულის სავნოს კი არ იზამს. გონს მოდი, ალუდავ, მაცილს ჭკუიდან გადაუყენებიხარ, ბნელი ნათლად მოგჩვენებია, ხატის სამსახურიდან გადამდგარხარ და არც თემია ხევში გადასაგდები ჯღანი?

რასა იქმს ხოლმე ხევსური, როცა ნადგომი სისხლი შეაწუხებს? გარეთ გამაიდენს, რომ ტანის სიმრთელე შეინარჩუნოს.

გონს მოდი, ალუდავ.

ვერ გაუგეს ალუდას. ქვაღორღივით აცვივა თავზე ქეთელაურს ბერდიას მუქარა, რისხვით უთრთის ხევისბერის მზერით ნაკაწრი სახე. მშვენიერია ტრაგიკულის საგანთან მდგარი ქეთელაური, ცეცხლოვანი ისრები სცვივათ მშვილდივით დაზნექილ წარბებს, პირზე შელერილი მგლისფერი იმის ნიშანია, რომ გაზაფხულის ქუხილმა უნდა შესძრას ხევსურეთის მდუმარე მთები და ცაში აჩრილი საკიხვეები. ასეც ხდება — ბერდიამ თვალიც ვერ შეასწრო, როგორ დაიკრა ხმლის ვადაზე ხელი ქეთელაურმა, როგორ ამოხდა მზის შუქი და ეძიმედ ჩაეცა ყურატის თავი ბალახში...

„ალლადა ჰქონდეს მუცალსა", — ჩურჩულებს ხევსურის დამცხრალი სული.

რუბიკონი გადალახულია. მოსახდენი მოხდა. ახლა ქეთელაურის საქციელის სწორი წაკითხვაა მთავარი. ნუთუ არ იცის ხატის ყმამ, რომ საკლავის დაკვლა ხევისბერის მარჯვენას აწერია ცოდვა-მადლად? ეს რიტუალი თვალგაუწვდენიდან მოდის და მისი შებღალვა არ იქნება. იქნება ახლაც წინ უდგას წუხანდელი, კაცის ტან-ხორცით საესე ჯამი და ხმლის ეს მოქნევაც ნერვიული სტრესის შედეგი, გაუცნობიერებელი საქციელია? ასეთი მოსაზრება წყალზე ნაწერს ჰგავს და ხევსურის ქმედების მოტივირებად არ გამოდგება. რამდენადაც ქრისტიანისთვის მტრის ორთქლიანი ტუჩ-ულვაშის ღეჭვაზე შემაძრწუნებელი გაურჯულების შიში იქნებოდა, მაშ რა ძალამ ამოაზიდინა ქარქაშიდან სისხლის ნაპოხი ფრანგული? იგი ხომ ვინმე არ არის, ხატის საყვარელი ყმა, მოკვეთის შემდეგაც ბატონის სიყვარულით გულსავსე ერთგული მსახურია — სწორედ იგი აძლევს თავის ყმის ძალას.

მშვიდობით, ჩვენო ბატონო,
უკეთად მიეცემო ძალისა...

მაშ ქეთელაური თავისი რწმენით რჯულის, ხატის საწყენ-საძრახისს არაფერს აკეთებს. კაი ყმა თუ მიადგა ბატონს, უკან არ გაჰკაბრუნებს, აქაც დაამწყალობებს და იქაც, სულეთში, წინ გაუძღვება, ვინც უნდა იყოს იგი, რა პურ-წყლითა და კალთა-მარჯვენით გაზრდილიც.

ასეთია ალუდას მრწამსი.

ეს უკვე ჰუმანისტური კონცეპციაა, რომელიც რელიგიური რწმენის თავისებურ ტრანსფორმაციას ერწყმის.

ხატს არ მოუკვეთია ალუდა, არ გაუწვდენია მისკენ შურისმაძიებელი ხელი. პირიქით კი არის — ქეთელაურის სიტყვით, თვით ბა-

ტონმა მისცა მას ძალი და რწმენა, რომ ის ჩაეღინა, რაც აქამდე ხევსურეთში ახელილ თვალს ჯერ არ ენახა.

ეს არ მოხდებოდა, მთვარე და მზე ვერ შეიყრებოდნენ, ხატის ნება რომ არ ყოფილიყო, მაშინ ან ზეაღმართული მარჯვენა შეახმებოდა ქეთელაურს, ან ნაქნევი აუცდებოდა კურატის კისერს.

რად ვერ მიხვდნენ ამას ხევსურნი?. ეს კითხვა უკან მისდევს თოვლიან მთებში, თეთრ საფლობში ჯალაფთან ერთად მიმავალ ალუდას. მისთვის რელიგია ადამიანის ღირსების, მისი ზნეობრივ-სულიერი სრულყოფილების უმაღლესი სანქციაა და ეს ეხება საერთოდ რჯულის ცნებას, მაშასადამე, რელიგიურ სისტემას. ყველა დანარჩენი ეშმაკის ნამღერია, ან კიდევ ცოდვისა და განუკითხაობის მყრალი ნაყოფი.

ასე გამოეყო ქეთელაური საზოგადოებას, ასე დარჩა პირისპირ გააკებული ბრბოს წინაშე, რვალის ჟღრიალით რომ მიგუბდა მის ციხე-ქავთან.

არ გატყდა ალუდა, არ უღალატა თავის ახალ რელიგიას, თუმცა ხმა დააკარგვინეს, რაც თვალსიქით უხაროდა, მოიწყვიტეს, მკერდიდან მოიგლიჯეს და ხმელი ფოთოლივით ზენა ქარს გაატანეს. აი, რით დგას იგი ადამიანური სიმაღლის ზენიტზე, რით არის პიროვნულად მთლიანი, ურღვევი და უტეხი.

არა, არ წამოსცდენია ალუდას ბაგეებს ხევსურთა მდურვა, იმ საზოგადოების კიცხვა, ვისთვისაც ბევრჯერ ოფლითა და სისხლით განბანილა, ყის მტერზეც ხმალ-ხანჯალი ყუამდე უცვეთია. პირიქით, თვალშეუდგამი სიმაღლიდან, ღვთიურ ნათელში გარეული, გადმოსცქერის იგი ბნელში აბორიალებულ თანამემამულეებს, ეცოდება ისინი, რადგან მათი სიმართლე სიმართლე არ არის და უტყუვით თვალწარბი, უტყუვით ტუჩ-ულვაში, უტყუვით რწმენა. ვერ გაუგეს თავისივე მომავლიდან მოსულ ალუდას. თუმცა აქ რა არის საკვირველი და ხელებგასაშლელი? ქრისტესაც ხომ სცეს მახვილი და ჰოროლი, შუბიც ეკლის გვირგვინით შეუმკეს, მაგრამ მაინც ცას სწვდებოდა მის ნათქვამ-ნალოცი.

„შეუნდვენ, რამეთუ არა იციან, რასა იქმოდენ"...

რა ტკბილი ხარ ჩემო უარმყოფელო სამშობლოვ, რა ტკბილია შენი წივის ბოლი, რა ლამაზად გიდგას ხარ-ლალთა საფრენი საჯიხვეები, მაღლა აზვინული კლდეები, სხვაგან ასე სად იფიფქება მთვარის შუქის ფანტელებით შენი გზა-ბილიკი? ასე სად დარეკავს ხოლმე მთებზე გადმომდგარი ცისკარი, სხვაგან სად იცის არლუნისწყალმა ასეთი ხვივილი, სად შეათამაშებს ხოლმე ჩანჩქერის ნაჩქეფი რკა-

ლად მოხრილ, ტანწინწკლებიან კალმახს, სხვათა ქალების ნაკვთ ფარდაგებზე სად ხარობს ია და კესანე, ვინ რა იცის, როგორ გასძლებს ალუდა, თუ მზერა მშობლიურ კედლებს არ შეახალა, გზად მომავალმა მხარი მთა-ბეჭს არ წამოსდო.

ბშვიდობით...

აი, რა სულიერი ბორგვა და შეხლა-შემოხლა იკითხება ამ ერთ სიტყვაში, რომელიც ალუდას დასცდა.

საზოგადოება თავისი შინაგანი სტრუქტურით ისტორიული განვითარების ყველა ეტაპზე კონსერვატორული, უძრავია. ახლის, პროგრესულის კეთილი მორჩი მასში თავიდან ისე უხილავად, უხმაუროდ და უკითხველად იბადება, როგორც თვით სიცოცხლე. მანამდე კი შეხედულებათა, მსოფლმხედველობრივ სისტემათა რადიკალური შეცვლისთვის იგი არასოდეს არ არის მზად, ამიტომ შინაგანად იმის დაცვისთვის არის მოწოდებული, რაც მისი აწყოს განმსაზღვრელი და განმაპირობებელია.

ესეც ისტორიის ლოგიკაა, მუდამ პირუქცეველი, უტყუარი და უცვლელი. ამიტომ ქმნის იგი თავის სახელმწიფოებრივსა და სამართლებრივ სტრუქტურას, სხვადასხვა აპარატს, იდეოლოგიურსა თუ მსოფლმხედველობითს სისტემებს, რომ დაიცვას თავისი ყოფნა, რომელიც მომავლისკენ სწრაფვას ვერ ითავსებს.

1

მთელი ღამე ათოვდა ლუკას ფიქრები. ვინ არის მინდია, რა ზნისა და თვისების, რას ეძებს ამ სიგრძე-სიგანეში გაშლილ ქვეყნიერებაზე? რა ფიქრი უბრუნავს, რა საიდუმლოს უტრიალებს მისი გონება? არ ასვენებს ლუკას ეს ფიქრი, ფშავური ბნელი ღამე დასწოლია ჩარგალს. დალილი მთვარე შემომჯდარა ჯიჯახევის თავზე, არაგვი ეწყვიტება კლდეებს და ლეკები დაეხეტებიან ლარტყიან უფსკრულებში.

სძინავს ვაჟას ჯალაბს...

ლუკა კი საწერს უზის. წინ ულაგია სათქმელ-საფიქრალი. ვინ არის მინდია? გლეხია, ძმისკვე, მიწის გლეხი, ტანჯვერიანი ხევსური, აი ისეთი, დუშეთს რომ ჩამოდიან ხოლმე და ერბოთი სავსე დერგები ჩამოაქვთ. იქნება მზე ცხოვრობს იმ დერგებში, იქნება მთვარეც იფშვნეტდეს თვალებსა, მაგრამ მაინც ხევსურნი არიან ის ბეჩავნი, თავქვე საქართველოსი არაფერი იციან და თავიანთ მთებს, საარჩვე-საჯიხვეებს ქუჩიეთ მოსდებიან.

ბეჩავო მინდიავ, დეეთა ტყვეობას ადვილად იტყვის კაცის ენა, შიმშილსაც მგლის კბილი ასხია და როგორ იყავ, ცოდვის შვილო, ამდენ წელს უწმინდურთა ნახრავ-ნალოკის შემყურე?

ებრალება ლუკას, ებრალება მინდია და მზის სხივებით წნავს მის საოცარ ამბავს.

პოემა ხევსურთა იდილიური ყოფის აღწერით იწყება. ჩალისფერი ლუდი უდულებია წიქას, თასი ხელიდან ხელში გადადის და სასმელის სველი ცეცხლი წაჰკიდებია პირჭუშ, ნაჭრევსა და ნაჩეხ სახეებს. დასტურები დასტრიალებენ სალუდეს. მთები კი, მთები, ბეჩავნი, ისევ ცაში ეძებენ რაღაცას, ჩამოსცქერიან დაბლა ჩახევწილ კლდეებს, ნისლში ჩაკარგულ საჯიხვეებს. გაზაფხულს მოუქარგავს მზის გულზე ნაწოლი მზვარეები, ლამაზი ქალის თოლებით გაპოიცქირებიან აქაური ყვავილნი, ზოგი წითლად ღვივის, ზოგს მთვარისფრად მოუჩანს ყელ-გული. ზოგნი კი... აბა, ამ სილამაზეს რა სიტყვა ეყოფა.

ლაღობენ ხევსურები, ჰაერში დაცურავს სასმური, მაღლა ნისლებად ამოდის ხევის ნასუნთქი, ამოაყოლებს აქა-იქ დარჩენილი ძველი თოვლის ოხვრას, სველი ლოდების ნაფიქრს და უფიქრალს.

ცისკრის ვარსკვლავი რომ გამონათდება საკინძეჩახსნილ ცაზე, ისე ჩანს ამ ჯარიანზე ერთი ვინმე ხევსური. ფიქრი რამ უფუთფუთებს სახეზე, ხან ძირს დახრის მძიმე მზერას, ხან კიდევ მთებს გახედავს, სადაც საყუჩში ჩამჯდარი ქისტივით განაბულა ბექის ზურგს ამოფარებული ნისლი.

დასტურები მუხლზე უდგანანო ამ ფიქრიან ხევსურს, გვიამბობს ვაჟა.

— დალიე, მინდიავ, დალიე, კაი ლუდია, სვიანი, ეგება ფიქრი მოგირჩინოს, ბეჩავო, ტკივილი გაგიდნოს, შუბლიდან დარდის ლექი ჩამორეცხოს... დალიე, მინდიავ, დალიე...

ამ პოემას „ძველი ამბავი“ აწერია. ვაჟაც თხრობის ისეთ სტილს ირჩევს, ისეთ განწყობილებას ქმნის, რომ თვითონ მხოლოდ მთხრობელად ჩანდეს, თითქოს მისი არა იყოს რა გენიის იმ გამონაშუქში, სადაც მინდიას სული ტკივილივით იკლაკნება და პოეზიის ღვთაებრივი ცეცხლი უნთია.

თორმეტ წელიწადს ტყვედ ჰყოლიათ ხევსური ციკანის რქებიან ქაჯებს, ის წლები თორმეტი შავი ცხვარივით მოჰპარა მინდიას წუთისოფელმა. ვინ იცის, რა ტანჯვა გადაიტანა ქაჯთა ქალაქში, რა წყურვილი აშრობდა და რა შიმშილი ახმობდა ერბო-ხავიწსა და მთის ცივ ცრენლზე გაზრდილ ვაჟკაცს. რამდენჯერ აიღო თავი მაღლა, რომ ღმერთისთვის ჩუმი სიკვდილი ეთხოვა, მაგრამ აქაც ჩაუტყ-

და იმედი — გათენდებოდა ახალი დღე დიდი ღამის შემდეგ და მინდიაც ისევ ქაჯებს ემსახურებოდა.

ტიალო ბედო, უბედო კაცისა. ვინ იცის, რას მოუვლენ ხოლმე, რა კლდეში შეისვრი, სანამ მისი სიცოცხლის ბოლო წუთი არ ჩამოიცრემლება.

ნატყვევარ არწივს მხრები დასცვივა ხოლმე, აღარ ესიზმრება მაღალი ჭიუხები და შიშველ კლდეებში უფსკრულ თავზე გაფრენილი ხარჯიხვი.

ვაგლახ ეგრეთ სიცოცხლეს, ეგრეთ მზიან-მთვარიან სიკვდილს. ამას ისა სჯობია სამარეში იწვე და მკერდსა გწოვდეს საფლავზე ამოსული ნარ-ეკალი.

ასე უფიქრია მინდიას... თავს მოიკლავს, მისი ლეში თუ აქ დარჩება, სული მაინც წავა ბევსურეთს და დამფრთხალი ქედანივით შეეხიზნება წინაპართა სახატე-სალოცავს.

ერთ თეთრ დღესაც სადღაც გაკრეფილან ქაჯები, მინდიასთვის კი მაღალ ცეცხლზე ნადულ-ნახარში დაუტოვებიათ. საარყე ქვაბიდან გველის ტყავ-ხორცის ყროლი ცხელ ორთქლად სცემდა და იქაურობას სწამლავდა. უკანასკნელად ახედა მინდიამ მზეს, ცის უსაზღვრო ლურჯ მორევში გედებივით აცურებულ თეთრ ღრუბლებს და თავი სიკვდილს მისცა — საარყედან თეთრი ხორცის ნაჭერი ამოიტაცა და ის ცხელი სამსალა გაუღეჭავად გადაყლაპა. მორჩა, აღსრულდა, გადაესვენა მისი მზე, მიიძინა მისმა ვარსკვლავმა, ჩაქრა ღვთისგან ანთებული მისი სიცოცხლე, მოკვდა თორმეტი წლის ვარამი, სულისა და ხორცის მარტვილობა. ვაშად მოუხევალ, სიკვდილო, მწარე ფიქრებით დაღლილ მინდიასა.

მაგრამ არც ამაში ექნა ბედი. უბედოს. რაღაც სარქველი აეხადა მის სულს, ფიქრმა ენა ამოიდგა, რაღაც დიდმა და ახალმა გაიღვიძა მის არსებაში რიჟრაჟის წინ მთვლემარე მზესავით, ბუნება შეეცვალა მინდიას, გამეცნიერდა, ახლა წვრილად ესმოდა, სად ჩიტი რას გალობს, სად წყარო რას ბუტბუტებს, სად ხე რას ამბობს და ბალახი რას ჩივის. ყველაფერი გაუცოცხლდა, რაც მის ირგვლივ ყოფილა და აქამდე უხმო მკვდარი რომ ეგონა. აქ იხურება პირველი კარი ვაჟას საოცარი ხილვებისა.

საიდან აიღო ვაჟამ ქაჯთა მხატვრული სახეები? მაინც ვკითხულობთ, თუმცა პასუხი ლამის ხელის გულზე გვიდევს — განა ქართულ თქმულებებსა თუ ზღაპრებში სტრიქონებს არა ჰკიდიან ეს ქაჯური უტიფრობით საუსე არსებანი? რა შორს წასვლა უნდოდა ამისთვის ჩარგლიდან ლუკას, მით უმეტეს მთაში, სადაც ყოველ ბექზე ადგი-

ლის დედა მოკეცილიყო, ყოველ ხევში დევები დალაყუნებდნენ და ეშმა და ავი სული მიკიოტის ხმით გაჰკიოდა.

და მაინც „გველის მჭამელში“ ჩასახლებული ქაჯები ქაჯეთის ციხე-ქალაქის პატრონებსაც გვაგონებენ იმ თავიანთი უხვნელ-უთესველობით, ქაჯური ბუნებით, იმ საიდუმლოთა კარგი ცოდნით, რომელსაც ვერც კაცის გონება შესწვდებოდა და ვერც მისი ფიქრი.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ქაჯთაც უნდა ჰქონდეთ სამყაროს იდუმალებათა შეცნობის ის უნარი, რომლითაც „ვეფხისტყაოსნის“ გრძნეულნი გვაკვირვებენ.

ასე გვგონია, მათი ლიტერატურული დვრიტა შოთას პოემაშიც არის.

ასეა, ვაჟას დიდი ნიჭი რუსთაველის გენიის ვარჯიშია ნამყნობი. მინდია, ჩვეულებრივი ხევსური, მწვრთვალების და შიშველი კლდეების შვილია. ო, როგორ მონატრებია დიდ ტყეობაში თავისი მალალი სამშობლო, ბნელი, თვალჩაუწვდომი ხევები, ბასრი ჭიუხები, მთების ფერდობზე გაბმულ-გახლართული ბილიკები და თავისი მწირული ქოხ-სადგომი, სხვისთვის სილარიბის საცხოვრებელი, მისთვის კი სრა და სასახლე.

ზის ახლა მინდია თავის მონატრებულ თანამოძმეებში, სვეს უსინჯავს ბნელ ლუდს და თავისუფლებით ტკბება, თვალებში იგუბებს მთებს შორის ჩაღვრილ სივრცეს, წელზე სატევარი უცინის, მხარ-ბეჭზე კი ფარი ჰკიდია. მხოლ მის არსებას დიდი რამ სიმშვიდე დაჰპატრონებია, სახე კი ახლადამოსული მთვარესავით მკრთალი აქვს მინდიას, რაღაც ფიქრი უცოცავს შუბლზე.

დიდმა ფერისცვალებამ ნეტარებით დაუთრო სული ხევსურს, „გულის ხედვა გაუხსნა“, თვალის ჩინიც სხვაგვარად აუფხანა და აულესა, „ახალი ხორცი აისხა“, „ახალი სული ჩაიდგა“. თურმე აქამდე ბრმა და ყრუ ყოფილა, სმენაც ცრუობდა და თვალიც ატყუებდა. რა ცოდვილიანი ვყოფილვართ კაცნი, რომ თავის ირგვლივ ყველაფერი უსიტყვო-უსუნთქველი ჰგონიათ, რა მორევში ასდუღებიათ ბეჩავებს, რომ, რაც ირგვლივ არტყავთ, ყველაფერი უენოდ ჩაუთვლიათ, ასე კი არა ყოფილა, სულ სხვანაირად უხნავს და უთესავს უფალს — ყველაფერს სული სდგმია: ხესაც, ბალახსაც, შუბლშეკრულ კლდესაც და ხევისპირას მიწოლილ აიმ ქედსაც. ყველა თავისას ფიქრობს, ცოცხალის თვალით შესცქერის ზეცას, მათაც კაცსავით ცხოვრება აქვთ თავისი მზითა და მთვარით, თავისი ურვითა და სიხარულით.

ასე. ეზიარა მინდია დიდსა და უცნაურ საიდუმლოს, სიბრძნეს,

რომელიც კაცთა შორის მხოლოდ მას ერგო დიდ სიხარულად და მძიმე სატანჯველად.

მაინც რა მოხდა? რა დოლაბი აბრუნდა მინდიას არსებაში? ეს კითხვა განაბულა ვაჟას სტრიქონებში და ამ პოემის კვლევის სათავეც აქ არის ამორღვეული.

სანამ განსჯის აღმართს შევუდგებოდეთ, ჯერ „სიბრძნის“ ის შინაარსი გავარკვიოთ, დიდი ფშაველი რომ სდებს ამ ცნებაში. ვაჟას შეხედულებით, სიბრძნე ამ შემთხვევაში საწყაროს შეცნობის, მისი ხილულისა და უხილავის დანახვისა და გაცნობიერების სინონიმია. ეს ინტელექტუალური განძი, მართალია, იდუმალების მიღმა არის მიმალული და მისი შეცნობა კაცობრიობის საუკუნოვან რუდუნებას და ჭეშმარიტების შეცნობისკენ უკანდაუხეველ სწრაფვას მოითხოვს, მაგრამ მხოლოდ ასეთ თვითგვემასა და აზროვნების ასეთ გმირობას აჯილდოვებს ბუნება თავის საიდუმლოთა გამხელით. სწორედ ამიტომ ქაჯებმა თავისებურად, ქაჯური ხერხით დაუმალეს მინდიას ეს სიბრძნე — ქვაბ-წყალში ნახარშ გველად შემოულგეს ზედაგარზე, რომ ადამის შვილი ვერ ჩასწვდომოდა ამ მისნობას და მისტერიას.

ამიტომ მინდიამ

შეიგნო, ჯამა გველისა
ქაჯთაგან იყო ზმანება,
სიბრძნე არვენეს გველადა...
რომ სზიზღებოდა საქმელად,
თუმც „შენც ჭამეო, მინდიავ“
არა ზარობდნენ სათქმელად...

მაშასადამე, სიბრძნე, სამყაროს იდუმალებათა და არსის შეცნობა ქაჯთა, ბოროტ ძალთა ხელშია, ეს ძალა დაპირისპირებულია ადამიანთა საზოგადოებასთან, რაც ვაჟა-ფშაველას მიერ მინდიას დატყვევების ფაქტით ნათლად არის გამოხატული. რატომ არ სურთ ქაჯებს ადამიანიც ეზიაროს ამ ღვთაებრივ საიდუმლოს? ეს კითხვა ძოლი ასახსნელია — მისი შეცნობით ადამის ძე შეიცნობს საკუთარ თავსაც, დაუბრუნდება თავის პირველსაწყისს, ჩასწვდება თავის ღვთაებრივ ბუნებას, და იგი სიკეთის, ჰუმანურობის ნათელად დაიღვრება. მანამდე კი... მანამდე, სანამ იგი ცის ამ უმაღლეს წერტილს არ შესწვდენია, იგი ცოდვილია, და, რაც მთავარია, დიდი თუ მცირე ბოროტების ჩადენისას, ვერც კი გაიცნობიერებს იმას, რომ ბოროტებას სჩადის. დიდი ფშაველის აზრით, სამყაროს შეცნობა, მის კანონზომიერებათა ლაბირინთში გზის გაკვლევა პიროვნებისა და, შესაბამისად, კაცობრიობის ზნეობრივი კათარზისის გზა უნდა იყოს, ანუ ეს ორივე „ტაძრისკენ მიჰყავდეს“. პრობლემათა ამ წყებას

ღრმა რელიგიური ფესვები აქვს. მაგრამ დიდი პოეტი მათ უღებს არა რელიგიური მოაზროვნის, არამედ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრისა და მეოცე საუკუნის დასაწყისის მოქალაქის, იმ ეპოქის შვილის პოზიციებიდან, როცა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში საოცარი ძვრები ხდება და როცა ასევე მძაფრად დგას ადამიანის ზნეობრივი ფორმირების საკითხი. ბუნების შეცნობა, ვაჟას უდავო რწმენით, ღმერთთან მიახლოვების, ამაღლების ერთ-ერთი უდავო გზაა. რაც მის ცნობილ სტროფში ასე ნათლად არის გამოხატული.

მთას ვეყავ, მწვერვალზე ვიდექ.
თვალწინ მეფინა ქვეყანა,
გულზე მესვენა მზე-მთვარე,
ვლაპარაკობდი ღმერთთანა.

გვინდა თუ არა, უნდა ვალიაროთ, რომ ამ სიტყვებში პანთეისტური მსოფლაღქმის რეალიებიც იჩენს თავს. სამყაროს პირველსაწყისი, ღმერთი და შესაბამისად საკუთარი ადამიანური არსიც პიროვნებამ სამყაროს ინტელექტუალური, ონტოლოგიური შეცნობის გზით უნდა იპოვოს. ეს ვაჟას რწმენაა.

გველმა აცდუნა ადამიანი, როცა ეს უკანასკნელი ზნეობას გარდახდა და აკრძალული ხილი იგემა. სწორედ აქედან, სამოთხიდან გამოდევნით, ანუ თავისი ღვთიური ბუნების ხორციელებამდე დამცრობით იქცა პიროვნება „სოფლის შვილად“, ანუ აღმქმელ, მოაზროვნე და მაძიებელ სუბიექტად, რისი აღმძვრელიც ცხოვრებისეული, პრაქტიკული საჭიროებანი გახდა. ამის შემდეგ ძირითად პრობლემად იქცა ზნეობის, სულის გადარჩენის საკითხი, რაც ქრისტიანული რწმენის ძირითადი იდეაა და სოფელთან დამოკიდებულების ფილოსოფიურ-დოგმატიკური განსჯაც, ასე რომ, ამ მხრივ „გველის მჭამელში“ არა მხოლოდ რელიგიური მოტივები გვეცნობა, არამედ იგი ორგანულად უკავშირდება ძველ ქართულ მწერლობაში კარგად ცნობილი თემატიკის ერთ მთავარ ნაკადსაც, რაც ძირითადად „სოფლის სამდურავისა“ თუ „გაბაასების“ ჟანრის თხზულებებში აირეკლა.

ძველი ციხე-კოშკი უდგას მინდიას, დევის იღლიით ამოტანილი, ყუჩი ლოდებით ნაშენები. თვალლია სამზერები გაჰყურებენ ქისტეთისკენ ჩაწნულ ბილიკებს. ბევრი ვერ წაუვიდა მინდიას ხმალს, ვინც ხევსურეთში მტრობამ მოიყვანა. ვინ იცის, რამდენჯერ უკაფავს ნედლი ლელვით ქისტის შვილები, რამდენის მზე ჩამოუღია ციდან, მაგრამ ერთხელაც არ შეჰბრალებია ადამის ძე, მასსავით ტანხორციანი და რაღა ქვა-ბალანისა და ნადირ-ფრინველის სიკვდილს დასტირისო მხარნაქცევი ნატყვევარი — უკვირთ ხევსურებს, დიახ, დიდი გაკვირვებით.

ვინ მოგიგონა ასეთი, ტიალო ცხოვრებავ? სულ მორევივით ბრუნავ, სულ ღმა-დაღმა გვატრიალებ, სულ წუთისოფლის უღელში გიზიგართ, სანამ სიკვდილი არ წამოგვაყრის რთველსა და ნამქერს.

ვერც მინდია გადაურჩა შენს ძეძესა და ეკალს. შეუცოდია, ბეჩავს — ჯაზიერით ნადირი წაუქცევია, ხეც უჭრია და ჩაფიქრებული პალახიც უთიბავს. ეელარ გაუძლო ნატყვევარმა ცოლ-შვილის გამოშვერილი ხელების ცქერას: მინდიავ, გვშია, მინდიავ, უთივოდ საქონელი გვეხოცება, მინდიავ, უხორცოდ ბალღებს მკლავში რა ვაჟკაცობა ჩაუდგებათ.

მინდიავ... მინდიავ... მინდიავ...

რწმენის ღალატი წაქცეული კლდესავით აწევს მინდიას, ცის ქვეშ ადგილი ეელარ უპოვია. ხან ქარბორბალასავით წრიალებს, ხან კიდევ მზერაშეწუხებული ჩაჰყურებს ბუხარში ფრთაგაშლილი წითელი მამალივით აქათქათებულ ცეცხლს. ცალკერძ ცოლი უზის, ვარსკვლავის დაი, ცალკერძ კიდევ შვილები შეჰყურებენ ხმელი ფიჩხივით აბრიალებულ მინდიას.

რაღა ხარ, ვინღა ხარ, ბეჩავო მინდიავ, ის შავი კლდის ლოდი ვყოფილა, კლდის თავიდან უფსკრულში რომ ჩაიცქირება.

დალევს მინდია, დასტურო, ემაგ ხავიწისფერ ლუდს, ემაგ ჯიხვში გვალვას ჩაგიყენებს, მაგრამ იმის ვარამს მაინც არაფერი ეშველება, იმის დარდს ყევარი ხარი ვერ დასძრავს, შუბლი გაუთხელა ამდენმა ფიქრმა, მაგრამ სევდა-ნაღველის ნაგუბარს გზა მაინც ვერ მისცა.

— დალიე, მინდიავ, დალიე, კაი ლუდია, სვიანი...

— გებრალვით განა, მთებო, მტრისგან კი არა, დარდისგან მოკლული ვაჟკაცი, უსაფლავო მკვდარი, უცრემლო და უტირალი...

— კაი ლუდია, სვიანი — სადღაც შორიდან ესმის მინდიას დასტურის ხმა და მკითხველი ასე ბუნებრივად აღმოჩნდება იდუმალებით სავსე სამყაროში, სადაც ნათელი და ბნელი ებრძვის ერთმანეთს, სადაც მითოსური წარმოდგენები ცოცხლდებიან, ქაჯების როკვა არყევს მყარს და სალუდე ქვაბში იხარშება გველის ხორცი.

აქ, ამ ნაწარმოებში დუღს სამყაროს შეცნობის ფაუსტური ვნება, აქ იკვეთება ვაჟას მსოფლაღქმის ცხადი კონტურები და მერიდიანებს ფხრეწს ფიქრის გრიგალი. ამ საოცარ სამყაროში აანთო ვაჟამ ის ნათელი, რომელიც კაცობრიობის მომავლად უნდა გაღვივებულიყო, რომ ადამიანს არ მოჰკვდომოდა ლამაზი, მართალი, საიდუმლოებით სავსე, სამყაროს უსაზღვროებაში ცისფერ იმედად მზრუნავი დედამიწა.

როდინდელია მინდია? როდის ცხოვრობდა ეს უცნაური პერსო-

ნაჟი? ვაჟას განცხადებით, იგი თამარის დროს ჰყოლია ხევსურეთს. იმიტომაც ვერაფერს აკლებდა ღვარცოფივით მოვარდნილი მტერი ორ ზღვას შუა ამაღლებულ საქართველოს, ა"იტომაც ხან შამქორის ზვატი ლოკავდა მათ სისხლს, ხან კიდევ ბასიანის ბებერი მიწა იხრამებოდა სიცოცხლის წითელი წვენით. რა უნდა დაეკლოთ-მეთქი, როცა მინდია შუა გაკვეთილ მეომარსაც კი ფეხზე წამოაყენებდა-ხოლმე იმ თავისი მისნობით და ყვავილ-ბალახის რჩევით. რა არის ეს? მზესავით უკითხავად ამოანათა ამ პოემაში თამარის სახელმა, თუ რალაც სხვა აზრი მიიღვრება ვაჟას სტრიქონებში? არა გვგონია შემთხვევითი ეს რეალია. და, აი, რატომ: თამარის ეპოქა პოეტისთვის ქართული სულის ატაძრების, სიმაღლისა და პოლიტიკურ-ზნეობრივი ჰარმონიის განსახიერებაა. როცა სიყვარული ცხოვრების ნორმად იქნა გამოცხადებული და სწორედ მაღალი ადამიანური ზნეობა იქცა იმ კვარცხლბეკად, რომელზედაც უნდა შემდგარიყო ადამიანი, რომ „ღმერთი ეხილა". მინდიას მორალისტური კონცეფციის ძირითადი მიზანიც ჰარმონიაა — სამყაროს დიად კანონზომიერებაში ადამიანის ჭეშმარიტი ადგილისა და დანიშნულების მოძებნა.

ვაჟა დიდი პოეტია და, როგორც იტყვიან, სიტყვას მარტო ლამაზი ხმისთვის არ აამღერებს — ბუნებამ გული გაუხსნა მინდიას, კაცთაგან მანამდე უხილავ საიდუმლოებაში ჩაახედა. დადის გველისმჭამელი ველ-მინდვრად და ყვავილთა ტიტინს ისმენს — რომელი რისი წამალია, რა სენს ამოაშრობს და გამოიტყუებს სხეულიდან. იმიტომაც გაუჩენია უფალს, იმიტომ შესცქერიან ცას, რომ ტკივილი არ იკლაკნებოდეს ადამიანის ღვთიურ ძვალ-ხორცში.

მინდიას გარშემო ბუნება ცხოვრობს თავისი დიდი და რთული ცხოვრებით, იქნებ იმაზე რთულითაც, რაც ადამის მოდგმას აქვს. ეს მწვანე, ღვთიური ფენომენი მინდიასთვის კი არ არის მხოლოდ ცოცხალი, არამედ ასეთია თავისთავად, თუ მის სასმენად ყური გაგეხსნა და დასანახად თვალი აგეხილა. ამიტომ რა გასაკვირია, რომ მინდია ველარც ხესა სჭრის, ველარც ბალახს სთიბავს, ველარც მშვილდს გაიგდებს მხარზე ნადირის მოსაკლავად. აბა, როგორ მიადგეს ხეს ცულიანი, როცა აცახცახებული ეკედრება შებრალებას: რა დაგიშავე, მინდიავ, რომ სიცოცხლეს მტაცებ, ეიყო და ეიშრიალო.

უჭირს მინდიას, უჭირს, კაცია, ადამიანი. უცეცხლოდ რა კლდეს უნდა ეცეს, ან უხორცოდ რა გაზრდის კარგ ყმას? მკლავი გაუღონდება, მხარ-ბეჭს ვერ გაიდგამს და ილალე საქართველოს მტერი.

აი, რატომ მოსდებია ტყე-ღრეს მინდია — ხშელ ჯოყრებს, ხევის პირებზე ადიდებული წყლისგან გამონაფურთხ ძეძვსა და წიწკარს აგროვებს, რომ ცოლ-შვილს ცეცხლი არ გაუქრეს. ასეა, მაგრამ

„შაინც ღმერთს ჰმადლობს მაინცა, საღამოსა და დილასა...“ სწორედ აქ არის გველისმჭამელის საზოგადოებასთან კონფლიქტის სათავეც. აქ იჩენს თავს გარემომცველ სამყაროსთან დამოკიდებულების ორი განსხვავებული პოზიცია — ორიენს კლდის ფესვი და სიმაგრე აქვს — საუდრე ღრუბლებივით აშლილან ხევსურები — რას ამბობს, კაცნო, შინდია? ხე ებრალვის, ბალახი, ის კი რად დავიწყნია, რომ ეს ყველა ღმერთს ჩვენთვის გაუჩენია, ჩვენი ტურ-კოილისთვის, ჩვენის სიხარბისთვის. ამ სიტყვებში პრაქტიკის მიერ კარგად ნაკვერი და ნადღვები სიმართლე დევს — ადამიანი, მართლაც, ბუნების გვირგვინია თავისი დღითა და ღამით, თავისის მბრუნავი წუთისოფლით, არსებობისთვის ბევრი რამ სჭირდება და, თუ მარტო ცა-ღმერთის, წყარო-ბალახის მლოცველ მწირად იქცა, რაღა დაარჩენს ამ ქვეყნად. ეს, რა თქმა უნდა, იცის ვაჟამ და, თუ ასეა, მაშინ რას ემყარება მინდიას რადიკალური მოთხოვნა — ხელი არიდონ ცოცხალ ბუნებას? განა თავად არ იცის, რომ თუ ცულს ხე გაექცა, ტყეიას და დანას — ნადირ-ცხოველი, ცელის ფხაზე ბალახი არ აიჭრა, ისე კაკობრიობა დაილუპება, დრო გაბერწდება და მომავალს აღარ შობს? ამიტომ ჰგონიათ ხევსურებს მინდიას მოწოდება „ბოლვა“.

მაშასადამე, მინდიას მოთხოვნაში ბუნებისადმი მზრუნველი, სათუთი დამოკიდებულება უნდა ვიხილოთ.

არსთა გამრიგეს მშვენიერად მოუწყვია ქვეყნიერება — ამ თვალში დაუტეველი სიმდიდრის ბატონ-პატრონად კი ადამიანი გაუჩენია — არსება გონიერი, მოაზროვნე და ამ ადამიანს სულში მზე უნდა ეპრუნავდეს, დღენიადაგ ზნეობის თეთრ ტაძარს უნდა იშენებდეს, რომ ის ხელის გულზე დაგორებული პატიოსანი თვალი არ ჩაუქრეს, რასაც მწვანე ტყე-ველი, ლურჯად აკამკამებული ცა, ლამაზად მოქაქავი წყარო და ყვავილ-ბალახი ჰქვია: ბუნებას გაეუჩენიჟართ, ძალი რამ გადმოსულა ყველა სულიერზე, რასაც კაცნი „სიცოცხლეს“ ვეძახით და ისე როგორ იქნება, დედამ შვილებს არ უპატრონოს, ყველაფერი არ მისცეს, რაც ცოცხალთა მოდგმას არსებობისთვის სჭირდება? ასე ფიქრობს მინდია — იდუმალთან განდობილი გაბრწყინვებული გლეხი. თუ უზნეობად ითვლება ბუნების განუკითხავი ხელყოფა, იგივეა ისიც, როცა ადამიანს ხელსგარეთ რჩება მისთვის სარჩოდ და მოსახმარად განკუთვნილი. ეს აზრი უდიდესი ექსპრესიულობით აქვს ვაჟას გამოხატული პოემის მესამე თავში, სადაც შინდიას სამკალში ვხედავთ. აქ, მორევივით ბორგავს ვაჟას სული, კალამს სიტყვა უსწრებს და კალამი სიტყვას. ოქროს ცვარ-ნამი დაჰკურებია თვეში ჩამდგარ ყანას, მზე დაჰხარის თაუჩახრილ თავთა-

ებს, რომლებიც ლოცვითა და სიხარულის ჟრიამულით ხვდებიან ხელნამგლიან მინდიას. მომჭერ, მინდიავ, შენი კვნესამე, ნუ დამტოვებ, თორო წვიმა და ქარ-ღრიოში გამატიალებს, სეტყვა ჩამზელს და ჩემს ცოდვას ხუთი უღელი ხარ-კამეჩი რომ ჩაუბა, მაშინაც ვერ ზიდავ, ან ღმერთს რა პასუხს უგზავნი, ან კაცს რას ეტყვი მაშინ, მინდიავ. ვინ გაპატიებს, ვინ შეგინდობს ლაშარის კარგ ყმას? და მინდიაც აქეთ-იქით აწყდება, ათასი ხმისგან გაწეწილი, პიროფლიანი, ხან აქ გამოსთიბს ერთ ბღუჯას, ხან იქ გაუსვამს ნამგალს ხვეწნით ჩამოღლილ თავთავებს, თავსაც მალი-მალ აიღერებს მაღლა — ქორიკით რამ რო ეტყობა ცას, ღრუბელი არ იყოს, მთის წვერებიც ნისლმა შეათეთრა და ვაითუ სეტყვა დაიძრას. მაშინ, მართლა, სად წაუვა მინდია ამდენ სიკეთილს, თავთავთა ბოჟირსა და ვედრებას? ვერსად, ღვთის მადლმა, ვერსად. ცოდვის ზღვა აუღელდება და ქვესკნელში ჩაიტანს მის სახელს. ამიტომ უკიდია ცეცხლი ტან-ხორცზე, ამიტომ აწყდება ქადაგივით აქეთ-იქით და მერე, ძალაგამოცლილი, მიწაზე გაიშხლართება, სახეზე კი ფიქრის, მწარე ფიქრის აბლაბუდა აფენია.

ყანასა სეტყვა აშინებს...
კაცთ უსაზრდოოდ დარჩენა,
თორემ ვით ნამგალს, სეტყვასა
რით შეუძლიან წახდენა?“
კაცთ სარგოდ თავსა ზოგავენ
თავთავნი ოქროს ფერანი,—
არ სწადით ოხრად დარჩენა,
ჰკენკდენ ყვავნი და ძერანი...

მინდია ტრაგიკული პიროვნებაა, რადგან მისი არ ესმის ადამიანთა იმ წრეს, სადაც იგი ტრიალებს. ისინი სხვა მსოფლმხედველობით, ბრმა. და ყრუ პრაქტიკით განსჯიან ყველაფერს, თუმცა მათი შეხედულებებიც ლოგიკის მტკიცე სალტით არის შეკრული. ამ მხრივ მინდიას ყველაზე გამოკვეთილი ოპონენტი ჩალხიაა.

ხატობას სხედან ხევსურნი. მზე უკოცნით ფარ-ხმალს. ვისას გმირობას იტყვიან, ვისას სიბრძნეს და გვარიანობას, ხახაში იღერიან სვიან ლუდს, ორთქლში გახვეულან საარყე ქვაბებში ჩაყუდებული საკლავები. ხატსაც უხარის და კაცსაც. ალივით ავარდა ჩალხია: ხევსურნო, ხატის კარგნო ყმანო, რას იტყვის მინდია, საიდან ჩამაქვს ასეთი ფიქრები. განა ჩვენ კაცნი არა ვართ? განა ყური ჩვენ არ გვასხია? მაშინ, რატომ ჩვენც არ გვესმის ხისა და ბალახის ენა, იქნებ ყრუჯი ვართ, იქნებ ადამიანებად არ ვიყოთ ნაშობნი, მასსავით დედის ბუძუ არ გვიწოვავ და თექაზე არ გვძინავ. მიეცეს ლხენა ჩვენს ბატონს, დიდ ლაშარის ჯვარსა — შავიბრალოთ ყვაეილ-ბალა-

ზი, ნადირ-ფრინველი, მაგრამ, განა კაცის კვლა ყველა ცოდვაზე მეტი არ არის?

განა რჯული არ გვიკრძალავს კაცის სისხლისა და ხორცის მოსვრას? აქმ ორის თვალით მინახავს, შავის ანგელოზივით რომ ტრიალებდა მინდია მტერში, ხმალს რომ სისხლით ათრობდა და ძვალ-ხორცის გორებსა სდგამდა. მაშ შავიბრალოთ-ღა, ხევსურნო, მტერი, მივსცეთ-ღა აქა-იქ სათრეველად ჩვენი კაცობა, ვაწიწკინოთ-ღა წვერ-ულვაში? ვაბილწინოთ-ღა მამულ-დედული? არა, ლაშარის მადლმა, არა — თვითონ ღმერთს უბრძანებია მტრისად ხმლით მისვლა. მაშ, ხე და ბალახი რატომღა გვებრალებოდეს, რატომღა გვეტირებოდეს ხელში ცულისა და ცელის აღებისას? ცხოვრება გვინდა, კაცნო, სასმელ-საჭმელი, ჩასაცმელ-დასახური, აბა საით წაუვალთ წუთისოფელს უცეცხლოდ, უხორცოთ, უყველ-უპუროდ?

ჩალხიას სიტყვებში ორნახად არაყივით მღვრიე და მწარე სიმართლე დგას. მართლაც, ვერსად წაუხვალ ცხოვრების მოთხოვნებს, მის მაგნიტურ ველში დასაბამიდან წრიალებს ადამიანი და, რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო ხდება საკუთარი გაზრდილი მოთხოვნილებების მსახური. აი, სწორედ ეს არის კაცობრიობის „აქილევსის ქუსლი“, სწორედ ეს საშიშროებაა წინ წამოწეული ვაჟას გენიალურ პოემაში, მაგრამ მთელი სიძნელე იმაშია, რომ ყოველდღიურობის ვიწრო პრაქტიკულ ინტერესებს აყოლილი ადამიანი ვერ გრძნობს ამ საშიშროებას, ვერ გრძნობს, თუ როგორ უთხრის ძირს თვით მის არსებობას ზნეობისთვის დაუქვემდებარებელი მოქმედების სრული თავისუფლება. ვიმეორებ, ეს არის პოემის ძირითადი იდეა, რომელიც გამოხატულია ხაზგასმული მაქსიმალიზმით.

აქედან მოდის ჩალხიას სკეპტრიციზმიც, რასაც იზიარებენ სხვებიც, თუმცა კი მათ ეჭვს არ იწვევს მინდიას საოცარი უნარი.

რით უნდა აიხსნას ეს მაქსიმალიზმი. მინდია, იმგვარად წარმოდგენილი, როგორადაც იგი პოემაში გვევლინება, მართლაც, მიწიერი არსებაა. შესაძლებელია სწორედ ეს მომენტი იგულისხმებოდეს ვაჟას იმ მითითებაში, რომ გველისმჭამელმა

ახალი სული ჩაიდგა,
ახალი ხორცი შეისხა.

ხომ არ გველინება მინდიას ოპონენტად თვით დიდი პოეტი? ეს ისეთი მომენტთაგანია, რომლისთვისაც დღემდე სათანადო ყურადღება არ დაუთმიათ მკვლევრებს.

გინახავთ, როგორ მოდის ფშავში გაზაფხული, როგორ მოთხნათინობს? როგორ აიშლის ხოლმე არაგვი ფაფარს, როგორ ჩამოსცქერენ ციდან ანგელოზები დაბლა ქვეყნიერებას? უცნაურად ჩატკბება ხოლმე ჰაერი, ბარბაცით ჩაივლის ნიავი ყანისპირებს და გაბრუებული ფუტკარი დაჰბზუის გალიმებულ ყვავილებს. გასაპარსი ცხვრებივით აუყვებიან თეთრი ნისლები ფერდობებს, დატყვრებიან გაფუებული კვირტები და გამოიხედავს ტყე იმ თავისი მწვანე მზერით, ენას ამოიდგამენ ნაკადულები და აკვანში ჩაკრული ჩვილივით ლულუნებს გვრიტივით მოფრუნილი დილა.

ღმერთო, ასი თვალი რატომ არ მომეც ამ სილამაზის დამნახველს!

ერთხელაც არის, ჩამოიჭექებს და წავა, თეთრი მგელივით გადაიკარგება ზამთარი. გაშიშვლდება მზე, გაუცინებს მიწას და დიგრძელებს სხივთა წამწამებს.

ყველა ფშაველთან ცალ-ცალკე მივა გაზაფხული, ყველა გომში შეიხედავს, ააზმუვლებს საქონელს, ქედს აუქავებს უქმად ნაგდებ ხარებს, აუტყდებათ მთქნარება დიდი ძილისგან გამოღვიძებულ ნაფუზრებს. დაჭრიან ხარირმები გატოტვილ რქებს, გადმოდგებიან მთებზე და შეუზრახებენ თვალშორცხვ ფურებს. აგალობდება ჩიტბატონი, ხის ორკაპზე მოჰქსოვს ჩალის ბუდეს, შიგაც სულ თბილი ბუმბულის ქათიბს ჩაფენს ძველ წესსა და ადათზე.

მთები რაღას იქმენ, ის ჩვენი დარბაისელი მთები? ჯერ ისევ თოვლიან ბექებზე ამოაშუქებს პირიმზე, ამოვა, ამოყვავილდება და მზით ნარწყავი ველ-მინდვრის დანახვაზე აჩურჩულდება: სადა ხართ, ქალებო, სადა — იავ, კესანევ, შროშანავ, მოდით, თქვენ გახარებას; მოდით, უთქვენოდ არც სადმე სიხარულია, არც სიყვარულიო.

ჯერ ყოჩივარდა გამოუპარება მიძინებულ ზამთარს, მერე ლურჯკაბიანი ხელიხელჩაკიდებული იები მოვლენ, კიდევ უფრო დალამაზდებიან ნამის საყურეებით, მზის ალერსით, ნიავის ქათინაურებით.

ჩამოდნება აქა-იქ ჭუჭყიანი მატყლივით მიხვეტილი ძველი თოვლიც, მუხლს გაიმაგრებენ ხევის დაკოჭლებული წყლები, გასწევ-გამოსწევენ ნაპირებს, კლდეებს შეუყვირებენ, სიპებს გალოკავენ და წავლენ თავქვე დიდი წყლიანეთისკენ. სულ ბოლოს ცას მიჭრილი მწვერვალიც გამოჩნდება ღრუბლების ზემოთ ფარაში ჩამდგარი მწყემსივით. ჩამოხტებიან დაბლა აქამდე კლდეებს შეყინული ჩანჩქერები, წყლის მტვერი აუვათ ადულებულ მორევებს, აბრუნდებიან პა-

ტარა წისქვილების დოლაბები, ზღაპრების გუდები დაუსკდებათ ფშაველებს.

დაიწყება დღეობები, ხატობები...

ჩამოვლენ, მეავე წყლებზე ჩამოილეწებიან ჯიხვები, ავშნის ფოთოლივით რქაწვრილი ფსიტები.

ღამე ვარსკვლავები ბიბინებენ ცაზე. მთვარე კი ისე აბრიალებს იმ თაეის ცალ თვალსა, თითქოს ლუკასავით „ბედნიერი“ სჭირდეს. ამოვა ხოლმე, ამობრძანდება გორის იქიდან, დაფლეთილ სიბნელეს ძონძებივით ჩაყრის ხევებში და გორის ფხაზე ამაყად შემოჯდება ჩუში, შორეული, რალაც ცისიერით სავსე.

მთების ძილიც სხვანაირია, სულ სხვა ხიზმრებისა, ხშირად ჰკითხავენ ხოლმე ცას — ასე უდედამოდ დაჩნდნენ, თუ მათაც ჰყავთ პერპერა და წინაპარი. ან როდის გაუვა ყაელი ამ გულისმომკვლელ ლოდინს, ერთ ადგილას დგომას.

ვინ იცის, მთებო, ვინ იცის...

მარტო გაზაფხულია თქვენი ნუგეში — როცა გულ-მკერდი აგიყვავდებათ, შუბლს ერთ ანეულზე გაშლით, ხახეს მკლავზე გადაიწვენთ და ჩამოჰყურებთ თქვენს ამწვანებულ ფერდოებს. ხან კიდევ ელვას გაუდის ტკაცუნი თქვენს ტან-ფეხზე, თავზე გრიგალი გადაგიელით და გადაირეკავს ღრუბლების ნახირს.

ხანდახან არწივის ჭექა ჩამოიფშვნება ტინებზე, მაგრამ მაინც მაშინ უნდა გნახოთ კაცის თვალმა, როცა აგიზგიზდება ხოლმე თქვენს საუფლოში. მზე ჯერ მთის წვერებს შეაწითლებს, სვავივით ააფრთხობს სიბნელეს, მერე ამაღლდება, გაიესება და გვირგვინად დაედგმება ქვეყნიერებას.

ლუკა გაოცებული შეჰყურებს ხოლმე დღის დაბადებას. სახის წარმართული ნაკვთები უთრთის, უცხო რამ შუქით უნათდება სული და დაჩურჩულებს...

მთას ვიყავ. მწვერვალზე ვიდექ,
თვალწინ მელინა ქვეყანა.
გულზე მესვენა მზე-მთვარე,
ელაპარაკობდით ღმერთთანა...

როგორ ამოსკდება ხოლმე გულიდან ტიალი ლექსი, როგორი შვებით ამოისუნთქებს ლუკა, როცა კალმის ბეგარას მოიხდის. სულის ეს თანხმობა ძნელი საპოვნელია, მაგრამ რა თბილი ჟრუანტელი იცის შენის გონებისა და სულის ნაშობმა, თითქოს ხელახლა დაიბადე, სხვა თვალით ხედავ და სხვა ყურით ისმენ.

„ელაპარაკობდი ღმერთთანა“. ეს მაგიური სიტყვები მას უნდა ეთქვა, ვისი სულიც დიდი ხანია შეერწყა სამყაროს ხილულსა და

უხილავს, ვისმა კალამმაც უკვე შეაღწია იმ იდუმალებაში, რომელსაც მანამდე კარი არავისთვის გაუღია.

ეს კოსმიური ხილვები ისეთივე ჩვეულებრივი რამ არის ვაჟასთვის, როგორც შევარდნისთვის ფრენა.

ბუნება მისი შემოქმედების ქვაკუთხედია, თვითონ კი იმ ჯადოსნური კვერთხის მფლობელი, რომლის წინაშე განიხვნება ხოლმე კარნი სამოთხისანი.

სავსებით ბუნებრივია, რომ დიდი ფშაველი ასე უმღერდა, ასე შეჰკანკალებდა გაზაფხულს — ბუნების აღორძინების მისტერია საოცარი ძალით აელენდა მისი პოეტური გენიის თავისებურებებს. ალბათ, ამიტომ არის მისი ლექსიც ლიტერატურული აკადემიზმისგან თავისუფალი, ლაღი, სიმარტივის ეს სირთულე სწორედ „ღმერთთან ლაპარაკის“ ნიშანთაგანია, ანუ მაგიის ის გამჟღავნება, რაც ჩვეულებრივ მოკვდავს, შეიძლება, ზოგჯერ აღიზიანებდეს, მაგრამ დაუნდობლად კი ეუფლება მის წარმოდგენათა სისტემას.

* * *

ნუთუ ღმერთი მიატოვებს თავის შექმნილსა და ნაკურთხ ქვეყანას? ნუთუ მუდამ ცრემლი უნდა უხრიდეს წამწამს ქალსა ლამაზსა? ან იქნებ შავსა და ბნელს უწერია გამარჯვება თეთრსა და ნათელზე?

არა, ვაჟას რწმენა ვერ იგუებს ამას. სიკეთე მარტო არ არის, მასაც აბია წელზე ხმალი და ხელშიც ლახტი და გურზი უპყრია — როცა ქვეყანა ადგება, ბნელი იძვრის, სწორედ მაშინ მოუვა მშველელი კაცობრიობას. ციდან ღვთისშვილნი ჩამოუვლენ სიკეთეს — თეთრწვეროსანი კოპალა, ხელშუბიანი იახსარი და მათნი ძმანი.

„ქვეყნის მლეველები“ უნდა დაილივნენ, — ეს ვაჟას რწმენის „ანი“ და „ჰოეა“, — ნათელმა უნდა ჩასწვას და ჩააბურნუთოს ბნელი, სიკეთის მარჯვენამ უნდა ჩალახვროს ბოროტება. და, აჰა, მობრძანებულან ღვთისშვილნი, უფლის განგებით მოსულან, კვალითა ნათლითა, ?ლავითა ძლიერითა.

ვაჟას არა მხოლოდ ბოროტ ძალთა პერსონიფიცირებაში შეაქვს ახალ-ახალი შტრიხები, არამედ ასევე ახალი საღებავებით ავსებს და ამდიდრებს კეთილ და ბოროტ ძალთა შერკინების ბატალიებს. ამ დროს მისი კალამი ჰკივის, გრგვინავს, სტრიქონთ ნასროლი შუბივით შხუის და ოსარივით ზუზუნებს.

მაგალითად თუნდაც ღვთისშვილთა დევებთან ბრძოლა ვთქვათ. ჰაერი აუვსიათ ნასროლ ლოდებს, ისრის ზროს დაუბნელებია სამზეო, ცისარტყელასავით იძაბვის მშვილდის დაჭიმული საბელი, თი-

თო-თითოს თვალი ვერ იტევს. მაინც რამხელანი არიან წყეულები, „თითო გერგეტის სწორია“. რა ტყე უნდა ყოფილიყო, რაშსიმაღლე წიფლებითა და ნეკერჩხლით სავსე, რა მუხნარით ჩაბურული, რომ ესენი დაეფარა, ან „რა სჩრდილავდა გორია“?

გადასწურიათ დევური ძალა. ველარ დაუდგნენ წინ თეთრწვერა მოხუც ბერს — კოპალას ნასხლეტი ისრები უწოვენ სისხლს დევებს, იმისი ნატყორცნი შუბი უბვრეტთ ტყიანი მთების მსგავს სხეულს, უკვირთ — თვითონ რამსიდიდონი არიან და ეს ტანთხელი ბერი როგორ კეჭეჭივით მისჭრია დევთა ლაშქარს.

იღვრება დევთა მყრალი სისხლი — იმისი თითო წითელი ბაწარი შავ ასპიტად იქცევა ხოლმე და სხმარტალებენ, იგორგლებიან წელმოწყვეტილი უხსენებლები. ზვავებივით მიგორავენ დაბლა დევთა თავები — ნაბოტვარის სუნს ტოვებენ თავიანთ საგზოზე, ჰგლეჯენ დიყსა და შიმელებს...

გაწყდით, დამლეარს ქვეყნისა, —
ზედ დაჰყედროდა ბერია,
გაწყდით კაცთ ტომის მწამლავნო,
სიკვდილი თქვენი ჯერია...

ვაჟა მითოლოგიურ სამყაროს, თუ შეიძლება ასე ითქვას, არეალურებს, ასიმბოლურებს და უალრესად უახლოებს ცხოვრების პრაქტიკულ პრობლემატიკას, რასაც ხშირად შეაქვს იუმორის მომენტები მის მხატვრულ წარმოსახვაში. სხვა მხრივ, ვერ აღიქვამს მკითხველი „ფშავის მჭერელი“ იმ დევის პერსონიფიცირებას, რომელსაც ასევე დამახასიათებელი, სიმბოლური სახელი — „ბელელა“ ჰქვია. ისიც დევია, დიახაც დევი, ისიც ბანჯგვლიანი, ორიე იღლიაში ორი მთა რომ შეუძლია ამოიჩაროს, მაგრამ სასაცილოც არის იმ თავისი თავ-გოლორით, დევურის სისულელით და კაკლისხელა ცრემლებით. სახელიც იმაზე უმეტყველებს, რომ უფრო დევი კი არა, გლეხის, ხალხის სისხლით მაძღარი ბობოლაა — ბელელა, ვისაც სხვისი სარჩო-საბადებელი საკუთარ მარან-საბძელში, საკუთარ ბელელში შეუზიდავს და ამით გადეეებულა, დიდკაცის დოინჯი შემოუდგამს.

ბოროტება დათრგუნვის შემდეგაც ბოროტებად რჩება. როგორც შავ ცხვარს არ დასცივა პარსვისას თეთრი მატყლი, ისე ვერც დამარცხება აქცევს ბოროტებას სიკეთედ. უშალო, გათელილი და გასრესილი, მაინც სხმარტალებს, მაინც წლოკვით ოგესლება და იგველება, იქნება როგორმე ძალა მოიკრიბოს, დაკარგული ღონე იპოვოს და ისევ ღრუბლად და მეხად იქცეს. მრავალსახოვანია ბოროტება — როცა დასჭირდება, ანგელოზის ფრთებსაც დაიქნევს, უცოდველი ბალღის ხმაზე დაიძრახებს, ხელისგულზე სანთელს დაინთებს,

რომ ამით ქვეყანას სულ სხვა სახითა და თვალწარბით ეჩვენოს. ეს აზრი გამოსჭვივის დიდი ფშაველის ამ თხზულებიდანაც, რასაც თუნდაც ძალიან მრისხანედ, ხევ-ხუევში მობაჯბაჯე, ხელსახტიანი, ახლა კი ციცასავით აცუნცულებული ბელელას სიტყვებიც გვიდასტურებს:

რაად დაგეღუპე კოპალავ,
დევთ რად წაგვართვი ძალია?!
დევთაცა გქონდა ფიქრადა
ზეცას მიგვეპყრო თვალია
და დაგეპდია ქედზედა
ღვთის საამური ვალია.

დევის ეს აღსარება ცეცხლის ლოცვაა — განა სულის განბანვისთვის სჭირდება ეს ბელელას, განა მართლა ღვთისკენ მიურბის გული და გონება, არა — უბრალოდ უძალოდ ვერ ძლებს, ილაჯი გამოლეულა, წელან გონიერი და გრძელი, ახლა წამწამივით დავიწროებულა და დამოკლებულა... ამიტომ მართლა დევური ყბებით ჩამოღერღავს მკრეხელურ სიტყვებს:

მინდა ღმერთს შენებრ მივაჩნდე,
შენებრ სიწმინდის მქონია;
დევობის ძალა რომ მერთმის,
მინდა სხვად მქონდეს ღონია.

უკვირს ბელელას, ვიწრო შუბლზე უცოცავს ფიქრი — რატომ არის ასე? შემოზედავ — დევია, მუცელი უზანზარებს, თითო ბეჭზე თითო სოფელი დაეტევა, ზურგიც ტყიან ბექს მიუგავს, ბარძაყებიც ხიდის ბურჯებად ითქვას და დახე, კოპალამ როგორ აჯობა — სადაც ლახტი დაჰკრა, ცეცხლი წაჰკიდა და ბოლი ადინა, მისი შავი ბალანიც ტევრივით ჰკაფა მსტვინავი ხმლით, ტანზე ბზარი და ნაპრალი გაუჩინა. მერედა თვალწინ დიდად მაინც ჩანდეს. მკერდზე თეთრი წვერი უსვენია, წითელი ფარიც მზესავით უნათებს, წელზე კი გურზი ჰკიდია — ეს არის და ესა, განა მეტი რამა. მაშ, საიდანა აქვს ამდენი ძალა, გაფრენილ ირემს რო ეწევა, ცეცხლს რომ მკლავზე იხვევს და დევებსაც სულ შავი ცრემლი ადინა?

მიხვდა ბელელა — ეს ყველა უფლისგან ყოფილა, ღვთის ხელი რეულა მათ დარეცვასა და დაღუპვაში. მაშ, შაევედროს კოპალას — იქნება ღმერთმა ისიც უფლის წყალობით გაამდიდროს, თორემ მისი დევური ჯიში და თოხუმი უძალობას ვერ ჰგუობს:

მიშეამდგომლე უფალთან.
შენებრ შემმოსოს ძალითა,
მეშვლად გედგები ბრძოლაში
ძლერად, ძლიერის მკლავთა...

ვერა და ვერა, სიკეთეს ბოროტება ვერ დაეპატრონება, ცეცხლი წყალად ვერ იქცევა — ეს ამ წუთისოფლის კანონია და ღმერთმაც ნუ ქნას, სხვანაირად ყოფილიყო, მაშინ ფარ-ხმალივით აისხამდნენ ორივეს ბელელები და ეს ქვეყანა ეშმაკების კალოდ იქცეოდა. ან კი განა ბოროტებასთან ერთად სადღეები კეთილი კეთილად დარჩება? აი, რატომ ვერ უწვდინა ლაშნი ბელელამ წმინდა ჯვარს — თუმცა კი წელი წაიგრძელა და ლამის მუცელზეც გატყვრა. სამაგიეროდ, ცადან ელვა გამოიძახა — ნადევარს ტანზე ცეცხლი წაჰკიდა და ჩამწვარ ბურნუთად აქცია.

ასეა, სიკეთის სიბილწეზე გამარჯვების გარდუვალობა ვაჟას რწმენაა, რკინის ძაფით ნაკერი და ნაქსოვი.

თუმცა, სანამ ცოდვა-მადლი ერთ უღელში შებმულა და ორივე განი-განა ეწევა, ბოროტების თესლი მაინც სადღაცა გაღივდება ხოლმე, ამომყრალდება, ამოიყრის და ისევ სიკეთისკენ მისისინებს, ეიიკლაკნება, რათა ყვითელი გესლი ასვას... აქაც ასე მოხდა — ბელელას ფერფლში აფუდეღნენ „შავნი ბუჭუნი და ჭიანი“.

თითქოს არაფერი, თითქოს რა მოხდაო, მაგრამ ამ დროს ტყისპირა მზვარეებში იები რად სუტავენ მზის სხივსა და თალხკაბიანნი ძმაზე მგლოვიარე ქალებსა ჰგვანან, ერთი იმათაც ჰკითხოს ამისმა მკითხველმა. არიან საცოდავნი, ლურჯი ღილებივით აკერიან მიწას — ნიავი რისმე გაბრაზდება, იმათ აშინებს, საქონლის ტუჩი და ფეხიც მათი ჭირია, სხვა ბევრი რომ აღარ ითქვას და ისეც დღემოკლეებს ის შავი ჭიები მიუსახლდებიან, უხრიან, უჭმენ ფესვებს და „მერე გადაველენ თმაზედა“...

* * *

მითოლოგიასთან წილნაყარობის ბეჭედი აზის ვაჟას მეორე პოემასაც, რომელსაც „ეთერი“ ჰქვია. პოეტი თავისებურად გადაამუშავებს ცნობილ ხალხურ ლეგენდას ობოლ ეთერზე, ცას რომ ვარსკვლავად აკერია და მიწას ყვავილივით უხდება. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ეს ხალხური შედევრი ფაუსტური ენებებით არის დაშუხტული — შეუცნობადის შეცნობა აქაც ეშმასა და მაცილის დახმარებით ხდება, რაც თავისთავად ბიბლიური პარადიგმა უნდა იყოს. იღონდ იმ განსხვავებით, რომ ფაუსტი ჭეშმარიტების შეცნობისათვის ალუთქვამს სულს მეფისტოფელს, ქართულ ეპოსში კი ეს ყოველივე ბოროტების გამარჯვებასა და ზეიმს ეშსახურება. თუმცა სიკეთე, სიყვარული მაინც უფრო ძლიერი აღმოჩნდება ყოველგვარ ეშმაკეულზე.

ვაჟა კიდევ უფრო ამძაფრებს ხალხური ეპოსის მითოლოგიურ წარმოდგენებს, რაც, როგორც ითქვა, დამახასიათებელი მომენტია მთელი მისი შემოქმედებისათვის.

თავის ერთ პუბლიცისტურ წერილში, რომელიც პოეტური მთაგონების ცეცხლში გაგონილი, თუ ხალხის მეხსიერების წიაღში არსებული ამბის გადამუშავებას ეხება, ვაჟა საგულისხმო შეგონებას იძლევა. თავად ამბავი დიდი არა არის რა, თუ ნიჭისა და შთაგონების ემბაზში არ ამოიცლო, ახალი სიცოცხლე არ შეიძინა, ახლად არ დაიბადა, უამისოდ შემოქმედების რაიმე მნიშვნელოვანი რამ ნაყოფი ვერ მოიწიფდება, თავის წილ მზეს ვერ დაჰლევს და ვერც მკითხველის გულს იპოვის. დიდი პოეტი აღიარებს, რომ ასეთი შთაგონების შედეგად შეიქმნენ მისი საქვეყნოდ ცნობილი პოემები, რაც ვერ ითქმის ზოგ სხვაზე, თუნდაც ეს სხვა „ეთერი“ იყოს.

რას ვიზამთ, განა მზე კი ყოველთვის ერთნაირი ძალით ანათებს? და მაინც მწვერვალი გადმოგვცქერის ამ პოემიდანაც. იმდენი ალმასი ბრწყინავს პირველსავე თავში, თვალი მოგეჭრება და აღტაცებისგან სული შეგიგუბდება. ჯერ მარტო ბუნების ის სიტყვაგატყორცნით აღწერა რად ღირს, დასაწყისშივე რომ პოეზიის მოგვის მაგნიტურ არეში მოგაქცევს? — თითქოს ხედავ, როგორ შემოსდგომიან უდაბურ ჭალას დიდრონი მთები, ქარის შემოკრაზე წელში როგორ ირწევიან ტანმაღალი იფნები, ხალხური ლექსის კილო-ხმის რხევა საოცარად უკეთილშობილებს თითოეულ სტრიქონს და ყოველი მათგანი ფანდურის ლარივით ჟღერს:

სთვლობით გულგაცოფებულმა
ირემმა დაიღრიალის,
ან მოსქდის ზავი მთიდამა,
დაიძრას, დაიხრიალის;
ჭალას აძრახდის ხოხობი,
ზარივით დაიხრიალის ..

ახლა თვითონ ეთერი ვთქვათ, ტანად რომ ელვაა და სახედ — ცისკარი. ვაჟა ზომ ქალის სილამაზის, ძვალ-ხორცად ასხმული მშვენიერების ხატვის დიდოსტატია. თითქოს საკუთარ თავს ეჯიბრება სხვადასხვა ლექსსა თუ პოემაში ერთმანეთზე უფრო სრულყოფილი და შთამბეჭდავი სურათის შესაქმნელად და ყოველ მათგანში ტრადიციულ, უკვე ცნობილ ფერ-ხაზთან ერთად სულ ახალსა და ახალ შხატვრულ მიგნებებს სთავაზობს ისედაც პოეზიის ზეცის სიაბლოვით ათრთოლებულ მკითხველს:

ამ არე-მარეს სთელავენ
[illegible] ნადირი ტყისაო

და მწყემსი ქალი, ობოლი.
ცვავილი ედემისაო...
ეტყობა მიწას ლამაზი
ნავალი ეთერისაო.

განსაკუთრებით ეს ბოლო ორი სტრიქონი სულ სხვა შუქით გამოგვიბრწყინებს წინ ეთერს, მის ობოლ სილამაზეს, თითქოს ქალი კი არ მოდის, ნიავი მოირწევა ყვავილებით მოჩითულ ველზე.

ასე იცის ვაჟამ — მოგხიბლავს, გაოცების რეტს დაგასხამს, მზეში გაგხვევს და მერეღა დაგკრავს დიდი პოეზიის ელვას. რომ კარგა ხანს თვალდაუხამხამებლად ჰყავდე სტრიქონზე შიბმული. უდაოდ ასეთია მხოლოდ საეთეროდ გამეტებული, გენიის ემბაზში ამოვლებული სიტყვები:

თვალებზე ჩაჰქსოვებოდა
ზღვა-ხმელი ერთიანად,
მთელი ქვეყანა შიგ ბრწყინავს,
თაეის ხატ-ღმერთიანად...

ისმენ დიდი პოეზიის ამ კოსმიურ რეკვას და მონუსხულივით დაჰყურებ სასწაულებით სავსე ფურცლებს. ეს და ამდაგვარი პასაჟება ცალკე რომ ამოვალაგოთ, შესანიშნავ, მხატვრულად დამთავრებულსა და თავ-ბოლო გამოკრულ ლირიკულ შედევრებს მივიღებდით.

მანამდე კი ერთხელ კიდევ ვიგემოთ უკვდავების ხიდან მოწყვეტილი ნაყოფი. ვნახოთ, როგორ ისმენს ვაჟა ფრთაწვრილი ბულბულის გალობას, გულჩახურულ კლდეს რომ ააკანკალებს, წყაროს ცივი ცრემლებით აატირებს და ყვავილებს ჟრუანტელად დაუვლის ხოლმე:

გენაცვლე, ჩიტო. — დედენებ. —
ლამაზად ხმაობ ენასა...
ნეტავ რას ამბობ, ეიცოდე,
ნეტავი გამაგებინა:
შენსავით გული უფალსა
ჩემთვისაც ჩაადებინა!
ან მკვდარსა შენი ტკბილი ხმა
გულზე ქვად დაადებინა...

ეს უკვე ის არის, როცა სიტყვა უნდა გაგიჩუმდეს და თაყვანი სცე ღმერთს ადამიანთა შორის და ადამიანს ღმერთთა შორის.

ვაჟა ვერ ჰგუობს სტატიკას. მისი სტილია მოძრაობაა, დინამიკაა, რაც, სხვათა შორის, თითქოს გვაიძულებს თხრობის მომენტს და თვით ამბის მონაწილე თუ მხილველი ვხდებით. უფრო ჯეირანსა ჰგავს „გამომალებულს მინდვრითა“, იტყვის ვაჟა და ამით აშთავრებს

ეთერის პორტრეტს. განა რა, განა ჯეირანი ჯეირანად არ დარჩებოდა, ან ყელ-ყურის სილამაზე მაშინ აღარ შეამკობდა, ქარივით რომ არ იყოს ველზე გაკრული? მაგრამ არა, ვაჟასთვის დინამიკაში დანახული საგანი თუ არსება სხვა არის, უფრო ლამაზი, უფრო მშვენიერი, ამიტომაც არის, რომ სიტყვის ჯადოქრული ფლობით გვიხატავს არა მხოლოდ ტან-ფეხისა, არამედ ფიქრისა და გულ-გრძნობის მოძრაობასაც. მიდის ეთერი, „მიჰქსოვს“ წინდას და მიაცილებს ჩარგალელი გენიოსის აღტაცებული მზერა, ცას კი ლოცვად მიეჭრება მისი მღელვარე ამოძახილი:

რა კარგი სანახავია
ბალი, გასული ველადა...

ვაჟას პოეტური სტილის ერთი თავისებურება უდავოდ, თხრობის ინტენსიურობაა, ისე სწრაფად ცვლის სურათი სურათს, ისე მოსდევს მოქმედება მოქმედებას, რომ მკითხველის სულის მოთქმის საშუალებაც არა აქვს. მით უმეტეს, რომ აქა-იქ მიმობნეული პოეტური თვალი-პატიოსნის ხილვით შუბლზე აუფრინდება ხოლმე წარბები. მაშ სხვა რა დაგემართება ამის წამკითხველს:

დღებოდა ქალი, ვით გნოლი
ქორ-შევარდენის ნახვითა...

ამის გარდა, ვაჟა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ინტიმის შექმნის დიდებული ოსტატიც არის, უფრო ხშირად ამ ხერხით ითვინიერებს, დააურვებს ხოლმე პოეზიის ჰორიზონტებისაკენ გაჭრილ ლექსს. ამავე დროს იქმნება მოქმედების ბუნებრიობის, რეალობის განცდას საოცარი ილუზია. აი, მაგალითიც — უფლისწულმა ნადირობისას იხილა ეთერი. მართალია, ტანთ ძონძები ესხა, დახეული ჯუბა ემოსა, მაგრამ ძველმანსაც მისი სილამაზის ცეცხლი ეკიდა — ურთიერთშეცნობისა და საკუთარი ცხოვრების ავან-ჩავანის მოთხრობის შემდეგ გოდერძი წაყოლას სთავაზობს ობოლს. მაგრამ ეთერს არა უნდა რა, ღმერთს ქალწულად უნდა მიუვიდეს, ეს ტყე-მინდორი, საჩეჩ-საქსოვი, ძროხა-ნახირი ჰყოფნის იმის ბედნიერებას, ძველმანთაც პატრონი უნახავთ. განა ვინ არის, რომ ყვავილთა კაბა ეცვას. ობოლია, ხმელი ფოთოლივით უპატრონო, ეული, დედინაცვლის წყევლის მეტი არც არა იცის რა, როგორც ა იმა კლდემა. ხშირად მკლავტიტველია ქალი ეთერი, იმა ღრუბელივით შავი ფიქრები დაჰზრუნავს ხოლმე თავზე. როცა მოჰშივა, ხან ტყისა რამ ხილით ატყუებს შიმშილს, ხანაც თვითონაც ნახირივით წასძოვს ბალახსა. დაიღალა ეთერი, ცალკე თავისი მძიმე ცხოვრების გახსენებით, ცალკე კიდევ გოდერძის „გულსაკბენი“ სიტყვებით. და ამ ყველაფერს, თითქოს

ზღაპრულს, დაუჯერებელს, როგორც ზემოთ ვთქვით, რეალობას ილუზიას უქმნის მისივე სიტყვები:

ბევრს სჯა მოუბნებ, თე ძმა ხარ,
სჯა დამაღონე ძნელაო.
ვაშე, რა ძალიან დამცხა,
როგორ ძალიან ცხელაო...
ნაწნავით ოფლსა შებლზედა
ეთერი იშვენდა ნელაო.

როგორც ცნობილია, ხალხური „ეთერიანი“ ბოროტების გამარჯვებით სრულდება — ბურმანი დაისაკუთრებს ეთერს, სიკვდილის შემდეგ კი სატრფოთ საფლავებს შუა ეკლად ამოიხლართება და ვარდსა და იას, ერთმანეთის გადახვევა რომ სურთ, გაჰყრის ხოლმე. ვაჟამ თავისებურად გადაამუშავა ეს თქმულება — გვიჩვენა დასჯილი ბოროტების ტრაგედია და სიყვარულის უკვდავება. მართალია, ვეზირმა შერემ სული შაკი ცხვარივით მიუგდო სატანას და ეთერს მატლი შეჰყარა, მკერდზეც გველები აუსისინა, მაგრამ საწადელს მაინც ვერ ეწია.

ვაჟამ უფრო გააკეთილშობილა, ახალი სული შთაბერა ხალხურ ლეგენდას. „ეთერიანის“ შიხედვით ახესალომი სულმოკლე გამოდგა. მართალია, დიდის ოხერითა და თავში ხელების ცემით, მაგრამ მაინც შეელია ეთერს — მურმანს დაუთმო, ბოროტება აზეიმა, ვაჟა კი გოდერძის სახით ჭეშმარიტ რაინდ-მიჯნურს წარმოგვიდგენს, რომელიც სიყვარულმა არა მარტო აამაღლა სოციალურ წარმოდგენებზე და ბოგანო ქალი — მინდორ-ველის ასული შეართვევინა, ტანზე რომ ძონძები უფრიალებდა, არამედ ბოლომდე მისი ერთგული დარჩა კიდეც — ხელმწიფე მამისგან უარყოფილი გოდერძი ცალკე სახლს აიგებს — იქა ჰყავ ქალი-ეთერი, საუნჯე მისის თვალისა.

ამავე დროს ვაჟა ამ პოემაში პიროვნების თავისუფლება-დამოუკიდებლობის საკითხსაც წამოჭრის. განა არა სცოდავენ მშობლები, როცა თავის გულისად სწყვეტენ შვილების ბედსა?

* * *

ვაჟას დიდი და უღალატო მეგობრობა აკავშირებდა ალექსანდრე ყაზბეგთან. ამის მიზეზი მხოლოდ ის არ ყოფილა, რომ ორივე მთის ნაწველ-ნადღეებით იყო გაზრდილი. იქ, მწვერვალთა საუფლოში, აეყარათ მაღლა მხრები, შემოქმედებითი ბედითაც წააგავდნენ ერთმანეთს — ბარი ორივეს ცივი შუბლით და შეკრული წარბებით დახვდა. აი, ეს ტყაპუჭიანი ალუდები, მინდიები და ხევისბერები აკლდა

ქართულ პწერლობას, ისე ხომ სულ ბედაურზე ზის და ნავარდით ძიძისო — ქირქილებდნენ ლაგამწაყრილი ნიჰილისტები, მაგრამ ყბეპის ცახცახზე ეტყობოდათ, რომ ყველა სიტყვა შურის გესლსა და ეწვირეში ჰქონდათ ამოვლებული. როცა ქოსების დუქანში ჩასხდებოდნენ სველი ხელადის გარშემო, მაშინ თუ იტყოდა ალექსანდრე რაიმეს გულის ამოსაწმენდად და ვაჟას ლურჯი, ნათელი თვალების შუქს მიაყენებდა ხოლმე.

— რას გვერჩიან, ლუკავ, რატომ გვიღერენ კეტებს?

ვაჟა კი ერთი გემრიელად ჩაიხითხითებდა ხოლმე ქაშრამდე და კრთსა და იმავეს უპასუხებდა მართლა გაოცებულ ყაზბეგს.

— ვირმა თუ ტლინკები არა ჰკრა, ჩემო სანდრო, წელში არ გაიზნიქა და ყროყინი არ გააბა, რაღა ვირი იქნება, ვაითუ ვინმეს ცხენი ეგონოს.

შეხედავდა სანდროს, იმის გატანჯულ, ფერჩამქრალ სახეს და გული ეხანჯლებოდა ლუკას — ჩოხა ჩამოსძველებია, ნაადრევი სიბერე შეჰპარვია თმაში.

— შენც გცემია სილარიბე ავი ქოფაკივით, ჩემო სანდრო, შენაც ხევის ბატონის შვილს, — პეროზასავით იღრუბლება ვაჟა.

სანდრო თვითონ, აბა, რას ეტყოდა და სხვისგან კი გაუგია ლუკას, რომ მიხეილ ყაზბეგის თავნება ბედნიერი მაშინ იყო ხოლმე, როცა გლეხის ბიჭებში გაერეოდა და შინ მობრუნებული ცხვრისა და მთა-ველის სუნს შოიყოლებდა. განა მოსწონდათ მისი ასეთი საქციელი. ქალბატონები, თარხნიანი თუ ჩოფიკაანი, სიმწრით კავებს იწიწკნიდნენ ამის გაგონებაზე, მამა მიხეილიც ბოტივით იბღვირებოდა, მაგრამ რა უნდა ექნათ — ჩიტი ყოფილიყო და სანდროს უკითხავად გადაეფრინა ხიდან ხეზე. პატარა დესპოტი სასახლეში ნამდვილი ბატონიშვილი იყო, წარბებადრეკილი, უხედნი.

მხოლოდ გარეთ, გარეთ იყო თვალმახარა სანდრო. იქ, სადაც სტეფანწმინდელ ბიჭებს ხან ლახტი ჰქონდათ გაბმული, ხან კიდევ მწვანეზე ბატკნებივით დაეყრებოდნენ ხოლმე და ზღაპრებს დათვლიდნენ.

თუ არა გულზიზღით, ისე არ ახსენებდა სანდრო მამა-მიხეილს. ლუკამ ამის მიზეზი მაშინ გაიგო, როცა ერთხელ ზაქარიას წიგნის სავაჭროში მამის გახსენებაზე ალექსანდრეს სიბრაზემ სახე აუნთო, ცახცახმა აიტანა და ყელში გაჩხერილ სიტყვებს ძლივსღა ისროდა:

— მამაჩემი... განა რისთვის დაჰკრეს ის გენერლის ეპოლეტები, რისთვის მიჰყიდა სული რუსსა? იმიტომ, რომ ხალხი მუჭში გაეწურა, ბეგარით წელში გაეწყვიტა, საძოვარი წაერთო... ხევის ბატონი იყო, მაშ რა უნდა ექნა, — ისტერიულად გადაიხარხარა სანდრომ და

შერე თხელ ტუჩებში გამოსცრა, — როგორ არ ცხვენია ბალახს იმის საფლავზე ამოსვლა...

დიდხანს უგრილეს, უნიაზეს მეგობრებმა, სანამ ალექსანდრე დამშვიდდებოდა.

ეს ყველა იცოდა ლუკამ და ამიტომ შეიძლება მკითხველს ის აზრი გაუჩნდეს, რომ თავის მოკლე პოემაში „ილო" დავითის პროტოტიპი მიხეილი არის, ხოლო ილასი — სანდრო.

ჰგვანან კი, ღმერთმანი, ჰგვანან. გულბოყვიან, მიზეზიან დავითს გნოლავით ცოლი ჰყავს, როგორც ხევის ბატონს მიხეილს, მასაც დიდხანს არ ჰყოლია შვილი, მაგრამ შემდეგ განგებას გამოუმეტებია ვაჟი, „ალმასის კვრინწა", რომელიც ძიძებისა და გადიების კალთა-მკლავებში იზრდებოდა, ხოლო შემდეგ „წამოიზარდა, წამოიჩეჩა", თვალები ღვთიური მადლით აიავსო, გული კი — სიკეთით. ბატონიშვილი ბედნიერი მაშინ იყო, როცა გლეხის ბიჭებთან გაიმინდვრებდა. ასე იყო ეს ნამდვილ-ზღაპარი, მაგრამ შინ დაბრუნებულს მამის მრისხანებით აშიშინებული თვალები ხვდებოდა, ბევრჯერაც გალახეს, დააბეს, ბორკილიც გაუყარეს, მაგრამ მაინც ვერ შეაყვარეს ბიჭს სასახლე, ზარმაცი ფუფუნება, მაინც გლეხის ბიჭებთან

ცელქობს და დახტის.
იმათ გუდისა
ძას უყვარს მკადი...

უმანკო არსებას ვერა და ვერ ჩააგონეს, რომ ის ტლუ ბიჭები, ვისკენაც გული ასე მიუჩქაროდა, მხოლოდ ტეტიები, მიწაზე დასახალი გლეხები, მთისა და ველის, ტყისა და მინდვრის, თოვლისა და წვიმის შვილები იყვნენ, ყმები. თვითონ კი იმათი ბატონი იყო, ისინი დაბალი ჯაგები იყვნენ, თვითონ ალვის ხე, ისინი რიყის კენჭები, თვითონ ოქროს ზოდი.

შენ ბატონი ხარ,
ჩვენი ყმები,
ბიჭებთან ყოფნით
როგორ არ ჰკრთები;
გვარს რაზე არცხვენ,
შვილო, რას ჰშვრებიო?

მკაცრია-შეთქი დავითი, ბატონია და იმიტომაა, აბა, მაშ თაფლივით ხომ არ დაიღვრება ცხვრისტყავიან გლეხუჭებთან? ყმის ზურგზე საბრე უნდა ხტოდეს, შოლტი უნდა წიოდეს, თორემ იმ რეგვენებს უამისოდ ეგება თავი ადამიანიც კი ეგონოთ, აქაოდა ჩვენაც თქვენსავით ღვთის დაჩენილები ვართო. ამიტომ ისვრის ხოლმე ყმას პან-

ლურით განზე, ბევრჯერ მუშტიც წითლად შეულებავს მათი მუქი სისხლით. ბატონია და იმიტომა, განა ბირდაბირი კი გაბერხავს, აქეთ-იქით რომ არ გადი-გამოდიოდეს?

საწყალი ილო, პატარა ილო, კეთილი ილო მარგალიტის ღილივით ეკერება დედას მკერდზე და ჩურჩულებს:

დღეს მამა-ჩემმა
კიკოლას სცემა,
გული მომიკვდა
მით, ჩემმა მზემა,
ცხვირიდან სისხლი
საწყალს ადინა,
ესეთი საქმე
რად ჩაიდინა?

ბალღის ბუნებისთვის უცხოა ამგვარი გულქვაობა, ტკივილმა ჩახნა მისი გული, დარდმა ამოუღამა ცისფერი თვალები... დედას კი ვერ გაუგია, რად უნდა აწუხებდეს მის ნებიერს სხვისი ტანჯვა და ისიც ვისი, ყმისა, ხალხნო, მიწის ტკივილისა, ამიტომ სმენას უფხაჭნის მკითხველს დესპოტი ქალბატონის სიტყვები:

კაი, სულელო,
ეგ თუ გეწყინა?
შენ რა გაწუხებს?
იმას ეტკინა...

დიდებულია ვაჟას მიერ დახატული გულმყრალი და ზვიადი ბატონური ყოფის სურათი, შენ თვალწინ ზრდის ჰიპერბოლა თოლიის გუნდას მრისხანედ დაძრულ ზეავად. აივანზე ბრძანდება დავითი.

მინდორს დასცქერის,
როგორც მწყერს ქორი...

სულ უნდა იცოდეს, სად რიყეზე კენჭი უგდია, სად ჭალაში იფნი რამ ქანაობს. იმიტომ, რომ ეს ყველა მისია, საბატონოა... პირში ჩიბუხი სჩრია, ისიც ბატონკაცური და, აჰა, ვაჟას გენიალური ნიჭის კიდევ ერთი გაელვება:

რა ჩიბუხია
და ან რა ტარი?
ტარია სწორედ
ალვის ხის გვარი.
თვითონ სტამბოლს ზის,
ჩიბუხი განჯას;
ტარის წყალობით
იქ უწვდენს მაჯას.

მკაცრია დავითი. აბა სხვაგვარად როგორ იქნება, ბატონია-მეთქი. აბა გახედეთ. როგორ შხუის ხოლმე ჰაერი არწივის გამოჩენაზე, როგორ შეჰკრთება ხოლმე ტყე მგლის ყმუილზე. ასე იცის, ასე უხდება ბატონებს. მაშ ძვალრბილი და უმი ხასიათისა რატომ იჭნება?

ვაჟა სათქმელის გამოკვეთისთვის და კიდევ იმისთვის, რომ თხზულების იდეას საგნობრივი ხილვადობა მისცეს, კალმის ცახცახით გვიწერს, თუ როგორ ესროლა ლოდი ბატონმა ხის ტოტზე დაფრენილ ჩიტს, ყელიდან რომ სამოთხის ჰანგები ამოსდიოდა, თითქოს ცას ეხვეწებოდა: უფალო, ულხინე ყველა გაჭირვებულს, მიეც მწყურვალს — წყალი, მშიერს — პური, ობოლს — ბედი, ქვრივს — იმედიო.

სიკეთეზე გალობდა, სიყვარულის ზღვა თუ ედგა პატარა, ჩიტურ გულში.

ფუჰ, დასწყეველოს გამჩენმა ეს გულის დამლობი, სულის გამრყვნელი ხმები. არა, არ მოსწონს დავითს, განა ეს გალობაა? ქორს წივილი გააგონეთ, არწივს ყეფა, თუნდაც ყორნის ყრანტალი და ლეშით კუჭსავსე სვავის ყიპყიპი.

გაიქნია მკლავი ბატონმა. მოკვდა სიმღერა, მოკვდა სამოთხის ჩიტი... და ამ ჩიტივით დახუჭა თვალები ილომაც, რომელიც ჯაჭვით დაება მამას, რომ გლეხობას გადასჩვეოდა. ბიჭი კი, ის ღვთის ძე, ღვთის შვილი, გლეხის ბიჭებს თავის ტოლად და სწორად სახავს. განა არა, უფალო? განა ისინიც მასსავით ადამიანები არ არიან? მერე როგორ უყვართ ილო, როგორ უზით თვალში...

ყელში გამოისვა ყალმის დანა ბიჭმა:

სისხლის მორევი
ყმაწვილსა ჰსვამდა...
მკვდარი ილიკო
ანგელოზს ჰგავდა...

წავიდა, გაფრინდა იქ, სადაც ბოროტების თესლი არ ხარობს, სადაც სამოთხის ჩიტებს ლოდებს არ ესვრიან. აქაურ სამარეს კი თავს ყვავილები დასტრიალებენ:

და ერთი ჩიტი,
ტურფა, ნაცარა,
დაუსვენებლად
უმღერს წუნარ-წუნარა...

ახუნის თავზე თიბავდა ლუკა. მზე ჯერ კიდევ მაღალზე იჯდა და საფუტკრის ველობშიც ფერი-ფერს ეცილებოდა სილამაზეში. წამოუბერავდა გაუბედავი ნიავი, გადავარცხნიდა მწვანით შემკულ ბეჭებს და მერე შაშვივით შეფრთხიალდებოდა ტყისპირა ჯაგებში.

გალმა ჩანჩქერი რასმე უჯავრდება ნაცრისფერ კლდეებს. წყლის ქუხილი ჩაგუბებულა ხეობაში და ლოდებზე დახლილი ჭავლის ნამტვრევ-ნამსხვრევი ალმასივით ჰყრია ფერდზე, სადაც ირმის ტუჩებს, წყლის ვარდსა და კესანეს დაჰბზუიან მოუსვენარი ფუტკრები.

ლუკას ზურგს უკან კვდება ნათიბ-ნაცელი ბალახი.

გადაიარა ქედანმა.

„ცოდვილო, ცოდვილო", — ჩამოსძახა მთიბავს და შეერია ნიავისგან შემღვრეულ მუხნარს...

გამობრძანდა ტყიდან მელია. იწონებს თავს იმ თავისი წითლის ქულაჯით, მლიდარი კუდით და აზნაურის უდარდელი ნაბიჯით... გამოაცეცებს ლუკასკენ თვალებს. მერე ცხვირს ბალახში წაყოფს და ბილიკზე მიიპრანჭება. ეტყობა, შურთხის კვერცხი მოენატრა — უზმოზე მეტად მარგებელი ყოფილა, მზემაც ნახევარი ცა მოიარა და ის კი ლამის უსადილოდაც დარჩეს... თანაც წუხელის ცუდი სიზმარი ნახა — ვითომ იმ დაწყეველილ მწევარს დაეჭირა. ვითომ მკვდარიც იყო, ზემოდან კი კარგი მსუქანი დედალი დაჰკაკანებდა, ქათმის ცრემლებით სველი ტყავ-კუდიღა დარჩენილიყო ადრინდელი სიცოცხლისგან.

„მოგიკვდეს, ჩემი თავი, ნათლიმამ, მოგიკვდესო"... შუა სათიბში, წუთისოფლით დაღლილი, იფნის მარტო ხე დგას. ლუკასკენ გამოშვერილ ტოტზე ჩხიკვი უზის. ესეც ტყის გლეხობიდან არის.. თავადაზნაურობა შუადღისას მაძღარის ძილსა და მდიდრის მოსვენებას მიეცემა ხოლმე. მოუსვენრად გამოდის ტოტის ვიწრო ბილიკზე, თვალი ტყისკენ უჭირავს.

ლუკა ცელის ტარს დაეყრდნო, ცქერად და სმენად იქცა.

შენ დაილოცე, სიყვარულო, ყველგან რომ შენი მადლი ჰფენია.

იმ ბიჭის მოუსვენარი გაელა-გამოელის მიზეზი, აი, ის მეორე ჩხიკვი ყოფილა, გვერდით რომ დაუფრინდა და თავი მორცხვად ჩაჰკიდა...

— გამარჯობა, ზაქრო?

— გაგიმარჯოს, ქეთევან, მე კი სულელმა რა არ ვიფიქრე...

— ბიჭოოო... — ღუის ქეთევანი.

— გოგოოო... — ლულუნებს ზაქარია.

— ჩემი შენთან ყოფნა რომ იცოლეს, მომკლავს მამაი, — აკანკალდა ქეთევანი, — ჯერ უქორწილონი ხართ და ერთ ვერსზე ახლოს არ უნდა იყოთო...

— მაშ აგრე გაგონილა? — ფრთებს იქნევს ზაქარია, — ამ ძველი ხალხისა ვერაფერი გამიგია...

— გოგო ვარ, ზაქრო. თავი მომეჭრება. ვინმემ რო დაგვინახოს, აქეთობას ის მურდალი ყვავი შემხვდა, სად მიდიხარ გოგოო?.. მეხი კი დავაყარე, — ჩუმად, ფრთისქვეშ კისკისებს ქეთევანი, — შენი სიყვარული მაქვს ქეთოო. მერე რა რო შავი ვარ, კაცისა გული და ხასიათი იკითხეთ, ქალებო, გული და ხასიათიო...

უყურებს ლუკა, იფნის ქვეშ წელანდელი მელა გაბაბულა, თავი მაღლა აულია და ყელში გადავლილ ნერწყვს ხან ქეთევანს გადააყოლებს, ხან ზაქარიას.

— ბიჭოო... — ღუის ქეთევანი.

— გოგოოო... — ღულუნებს ზაქრო...

— მაშ ჩემი ხარ? — ფრთა მოახურა ზაქარიამ, — დახე, რა ცივმა ნიავმა დაუბერა, არ შეგციოდეს, ჩემო ყველავ, და თვალი არ დამიყენო...

— მოიწი, — ჩურჩულებს ზაქარია.

— გაიწი, — ბრაზობს ქეთევანი...

— შემიბრალე, გოგოვ, ხომ ხედავ ალარა ვარ, დავდნი და დავიღიე...

— შენს გარდა მეც არავინ მინდა ქმრად, მთელი საჩიტეთი მაჭანკლად რო მოუვიდეს მამაჩემს.

— გავიპაროთ, გავიქცეთ! — ამბობს ზაქარია.

— უი, ქა, ეს რა თქვი, — უკვირს ქეთევანს, — ისე ჯვარუწერელად, უთხოვრად?

— მაშ რა ვქნა, გოგო, მითხარ და მიშველე...

— არწივთან უნდა მიხვიდე...

— ვისთან?

— არწივთანა, ზაქრო, არწივთან, მამაი იმის ნებას ვერ გადავა, ქორწილიც ძველი ვქნათ, ნათესავ-მოკეთე დავპატიჟოთ.

— გოგოვ, შენი სურვილითა...

წყალში გავალ მეოო... — მღერის ზაქარია.

— წამიყვან და წამოგყვები,

დიდლი-დალალეოოო... — უხარია ქეთევანს...

— ქორწილიაო... — უკვირს მელიას.

— ქორწილიაო, ყვა, ყვა. ყვა, ყვა! — ხარხარებს ყვავი.

— ქორწილია, ხალხო, ქორწილი! — მინდორში გაფანტულ სოროთა ქალაქებს მოსდო წრუწუნამ.

— აბედნიეროთ, აბედნიეროთ...

მეორე დღესაც თვალი გალმისკენ ეჭირა ლუკას. დიდ საშზადისში იყო ტყე — მაშინ რო ქვევრები მოიხადა, ნაზუქი რო გამოცხვა, შეიწვა და მოიხარშა, იმდენი სხვაგან არ თქმულა...

კუნელის ვარდ-ყვავილში განაბულა ბულბული და ხმას იწმინდავს.

კლდის ქიმზე შემომჯდარი არწივი თვალს ავლებდა აფუსფუსებულ საყმოს — დიდ ქორწილს დიდი თადარიგი სჭირდება.

ჟამიდან ჟამზე გაიშხუილებდა ხოლმე შევარდენი — არწივის ბრძანება დაჰქონდა საჩიტეთში.

დიდ მზადებაში იყო ზაქარია — ცვრის ეს ორი წვეთი ქეთევანის საყურეს, ჩალის ეს ღერები კი ბეჭედსა და ყელსაბამს ეყოფა.

— ბიჭოოო... — ელის ქეთევანი...

— გოგოოო... — ოხრავს ზაქარია...

მზის გადახრისას ამოუვიდა ქშარს თამარი. ჯერი ამოუტანა.

— ლუკა კაცო, რას ხედავს ეს ჩასაქრობი თვალები, სათიბი ლამის მზემ ჩაწვას, შენ კი იფნის ძირში მიმჯდარხარ, ქაღალდები გაგიშლია და რაღაცას სწერ, ნეტარა მაშინ რას იზამ ის თეთრი მგელი რომ მოგივა.

— ზამთარი? — იცინის ლუკა.

— მაშ სულ ასე ხომ არ იქნები, კაცო, — უკვირს თამარს, — ან ბულული როდის შევკრათ, ან როდის ჩავზიდოთ...

— მოვასწრებთ, დედაკაცო, მოვასწრებთ...

— როდისღა, ლუკაის ჭირიმე, როდისღა, ის მაინც მითხარ, რაზე სწერ?

— ტყის ამბავია, ჩხიკვთა ქორწილი ჰქვია...

— ლუკავ, აბა კარგად შემომხედე, — სთხოვა თამარმა.

— კაცი, თუ ღმერთი ხარ, მითხარ და გაათავე, ასე უფრო მაშინებ ხოლმე, თუ ხატისგან ხარ დაკვეთილი, ეგეც გამაგებინე, თორო სახე და ტან-ფეხი რომ ფშავლისა გაქვ, მეც კარგად ვხედავ, — იცინის თამარი. მერე ფოცხს იღებს და ბალახს აბულულებს...

— ღვთისშვილია, ლუკაი, ღვთისშვილი, — ჩურჩულებს დიდებაშვილის ქალი და ჩინარივით ირხევა...

* * *

ივლისის ხვატი ცოტა განელდა. ყავრიაანთ მთებიდან ნიაღმა დაჰკრა და ჩათუთქული ჰაერი გააცოცხლა. სკოლის პირდაპირ გაბარ-

ჯღულ ურთხმელის დაგრეხილ ტოტებზეც ფოცხერებივით წევს სიცხე. მხოლოდ დაბლა, ალგეთის ხეობაში, იწეწება მრეში სილურჯე. ხშირად გაჰყურებს ხოლმე ჩაფიქრებული ლუკა იმ მგლიან მთებს, ალგეთში ჩაბანილ ფლატეებს, გოხნარის შუბლშეკრულ კლდეებს. ფშავი აგონდება ამ დროს, ფხოვის ფარდაგებივით ჭრელი მზვარეები, საკურდღლე სერები, ცაში მზირალი გრილი მთები და ალიღინებული სათიბები.

ზურაბ ერისთავივით ჩაივლის ხოლმე არაგვი ჩალმართებს, რას გახდება ბოროტება ამდენ სილამაზესთან, ამდენ სიცოცხლესთან, ამდენ ბედნიერებასთან?

ასეთია დიდი პოეტის კრედო.

აქაც ჰუმანიზმის წმინდა ლამპარი უპყრია ხელთ სიკეთისა და სილამაზის ქურუმს.

დიახ, გველი ღელისპირა ქვიშრობში წევს და გველურად იცინის. მზე კი, მზე ძველებურად ეალერსება ქვეყნიერებას, ნიავიც ძველებურად გალობს, ყანებიდან ისმის მწყრების კუთვა, მტრედი მარცნეც სხვაგან გამართავს ბუდეს, კიდევ გადაეფოფრება ფრთებით ნორჩსა. მაგრამ უკვდავ-უბერებელ სიცოცხლეს...

იცინოს გველმა. ვიწრო, ირიბად აჭრილ თვალებში ეჯდეს სატანა და იცინოს, მაინც საცოდავია და მაინცა...

ეს აზრი დიდი დრამატიზმით აღბეჭდილ იმ პატარა მოთხრობაშიც ვლინდება, რომელსაც „გოჩი“ ჰქვია. მთლად საქართველო მოუვლია ამ ლეგენდას, სანამ ვაჟას კალამს შეხვდებოდა. ეს თხზულება კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ჭეშმარიტებას, რომ არ არსებობს დიდი და პატარა თემა, არსებობს დიდი და პატარა მწერალი. ჭირს კიდეც მისი რომელიმე ჟანრში მოქცევა, ისეა გაჯერებული ფოლკლორული არქაულობით, პუბლიცისტური სიმკვეთრით, ნაზი ლირიზმითა და აზავთებული ტრაგიზმით. რა ლაღად, სიტყვის, ფრაზის როგორი თაეისუფალი ფლობით გვიხატავს ვაჟა გოჩის — ამ ნახევრად ნადირკაცს, რომელიც ხან ზღაპრიდან ღრიალით გამოვარდნილ დევს გვაგონებს, ხან კიდევ ვაჟას ფანტაზიისთვის ასე ნაცნობ მავნეს. დიახ, კაცობრიობის განთიადის ცრიატი და ბინდ-ბუნდი დგას ამ მოთხრობაში, როცა დედამიწა ჯერ კიდევ ყველგან მყარი არ იყო, როცა მთები ხან ჩაჯდებოდნენ, ხან ისევ ფეხზე წამოდგებოდნენ, როცა ვულკანები ცეცხლის შადრევანს ისროდნენ, იბადებოდნენ ლაბაზი მდინარეები, ერთმანეთს ებრძოდნენ ქარები, ბნელ გამოქვაბულებში ავსულები ხარხარებდნენ და ტყიდან მწვანეთვალებიანი ოჩოპინტრე გამოიმზირებოდა.

გოჩი ველურია, კანიბალი. შემაზრზენია სისხლით ნახატი პორტრეტი — თავდიდი, კბილდიდი, ცხვირდიდი გოჩი... ტანზეც სისხლშემხმარი, შავი ბალანი აცვია, ხელებზე კიდევ, თუ მკითხველის თვალი გაუძლებს, გრძელი, ბასრი „ადამიანის სისხლში ნათრევი დიდრონი ფრჩხილები". რას სჭამდა? — ყველაფერს, რაც ღია, ვარცლით განიერ პირში ჩაეტეოდა — ხან გველს გაჰკბეჩავდა, ხან ხელიკს ჩასწუწნიდა, ხან კიდევ მუჭში ნაგროვებ მწერს შეიყრიდა პირში, თურმე მძორსაც კარგად შეექცეოდა, მერე რა, რო მატლი ესია, მერე რა, რო მყრალი წუთხი და წალა სდიოდა, მაგრამ ადამიანის ტკბილი ხორცი გოჩის ყველაფერი ერჩია — გაშოხრავდა ფერცხალებს, ბრტყელი და განიერი კბილებით ააგლეჯდა რბილს ბარძაყის ძვლებს, დაჰფლეთდა გულს, დაჰკვნეტდა თითებს და გადაჰყლაპავდა მრგვალ, სველ თვალებს.

რა იყო გოჩისთვის ადამიანი? ხორცი, სისხლი, განზე მოსასროლი გახრული ძვლები და გემრიელი ტვინი, მეტი არაფერი. ვინ იცის, რამდენის სიცოცხლე აშოუბოყინებია მაძღარ გოჩის. ვაჟას თქმით, ხვის გულს რომ კბილით გლეჯდა და თვალებს სუტავდა, ეგონა უფრო გულადი იქნებოდა და მზერასაც ქვეყნის კიდეს გაუწვდენდა.

საზარელია გოჩი, თუმცა უწყინარი, რბილი ბგერებისგან შემდგარი სახელი კი ჰქვია. საზარელია და სასაცილო, როცა ქარს მუშტის-ქნევით უკან მისდევს, რადგან ცოცხალი არსება რამ ჰგონია. დააქვს გაბურდულ თმა-წვერში გახვეული ლოდივით დიდი თავი, კბილს კბილზე ილესავს და დააქნევს მუხის ტოტებივით მსხვილსა და გრძელ ხელებს. ,

დიდი გზა გამოიარა კაცობრიობამ გოჩიდან მეცხრამეტე საუკუნის დამლევამდე, ცივილიზაციამ დაუპატარავა ის ნიჩბებივით კბილები გოჩის, ტანიდან ბალანიც ჩამოსცვივდა, კაცის ტან-ხორცისა და ტუჩ-ულვაშის ღეჭვა-ყლაპვასაც გადააჩვია, კანიბალიზმი წარსულში დარჩა დინოზავრის გაქვავებული ნაფეხურებივით, მაგრამ განა ბოლომდე აშოშირკა და აშოაგდო გონების სინათლემ, კულტურამ მისი ფესვი საზოგადოებიდან, განა ახლა აღარ ჩაუჯდება ხოლმე ერთი ადამიანი მეორეს შესაჭმელად ოღონდ ისე კი არა, როგორც ამას გოჩი იზამდა, არა, როგორ გეკადრებათ! დანა-ჩანგლით, გულზე აფარებული თეთრი ხელსახოცით. განა უცვლელი არ დარჩა ის, რაც დიდკბილიანსა თუ თანამედროვე გოჩის ჰბადებს? ანუ ეგოიზმი. მაშ, რატომ არის, რომ სხვისი სიკეთე სახადსა და ციებას შეგვყრის ხოლმე? რატომ ვწიწკნით სხვათა წმინდა გრძნობებს, რატომ დასწიეის შური ჩვენივე მოყვასის სიკეთეს, რატომ ვუთხრით ხნარცვსა და ხაროს სიყვარულს, კაცთმოყვარეობას? — ეს კითხვები კრაზანე-

ბიევით შეჰბზუიან ვაჟას და იმიტომაც იბადება პუბლიცისტური შეზნებარებით ანთებული სტრიქონები: „გულს იმიტომ ამოვარიდებთ ხოლმე ერთი-მეორეს ამ მეცხრამეტე საუკუნეში, რომ იგი გული სამაგნებლად მიგვაჩნია ჩვენის მშვიდობიანობის და მყუდროებისთვის; თვალებსაც დავთხრით ხოლმე კაცნი ერთმანეთს, მაგრამ საჭმელად კი არა, არამედ იმიტომ, რომ ერთმა მეორე დავაბრმავოთ, — ხვეისა სიბრმავე გვიყვარს".

რა არის ის ძალა, გოჩის რომ მოერევა, მის ბნელ სულში სინათლედ ჩაიღვრება და ამ მხეცკაცს ადამიანად აქცევს, ჭუჭყიანს თვალებს დაუწმენდს, ბაჯბაჯს სიარულად შეუცვლის და გულს აუმღერებს? ეს ძალა სიყვარულია, ურომლისოდაც სიცოცხლე მარტო ცოხნად, ძილად და გაღვიძებად იქცევა. როგორ იტანჯება გოჩი, რომ ეს რაღაც აკლია, როგორი ექსპრესიით აგვიწერს ვაჟა მხეცკაცის ბორგვას, როგორ დასცქერის გოჩი თავის ნიჩაბივით დიდსა და ფიწალივით გრძელ თითებს, ზედ რომ ხორცის ნარჩენი და სისხლი შეჰხმობია. კლდე-ღრეს აწყდება, დიდრონ მუხებსა და რცხილებს ფესვიანად აბრუნებს, ზღვასავით ადის და ჩადის, დაბლა გაშხლართული ცას შეჰღმუის, გაწეწილი თავიც ნისლიანი მთასავით უჩანს, დორბლი ახრჩობს და უხილავი ცეცხლი უტრუსავს შაე ჯაგარს, ხელ-ფეხზე ეკიდება, უცაბაცახებს კლდეს მოწყვეტილი ლოდივით დაბლა ჩაქანებული ნიკაპი.

და მისცა ვაჟამ სიყვარული გოჩის — თვალწინ დაუსვა პატარა ნიბლია ჩიტის სახით, მერე მის ცით მოსული არსება ტყისკაცის ბნელ გულშიც შეფრინდა.

სადღა იყო ის ტურტლიანი, კერპი გოჩი, ის კბილსისხლიანი დევბიჭი? სულში აყვავებულმა გაზაფხულმა ჩამოადნო, თოვლიანი მთასავით დაყარა ნახევარზე მეტი ბალანი, ერთ წელს სდიოდა პირიდან მყრალი ქაფი. მისი ღრიალიც ქარიშხალივით გადაუვლიდა ხოლმე ზღვას, სანამ მთლიანად არ მისუსტდა და მზერაც ჩალის ღერივით არ გაუწვრილდა. რისთვის დასჭირდა ვაჟას გოჩის ასეთი მეტამორფოზა? ხომ არაფერ კავშირშია ეს მისი „გველის მჭამელის" პრობლემატიკასთან? პოემაში ხომ არ გაიშალა და მწვერვალებად დალაგდა აქ წამოჭრილი ნაფიქრ-ნაკითხი? ამას სხვა ადგილას შეეხებით. ახლა კი ისევ გოჩი მოვიკითხოთ — განწმენდილი, კათარზირებული გოჩი. თუმცა როგორღა იცნობა, როცა ასე ნაზად შეჰღიმის ყვავილებს, როცა ჩამობნელებული შუბლი ლამის გადაეწმინდოს, ხოლო ფრინველის გალობაზე თვალებიდან ორ ნაკადულად ჩამოღვრილი ცრემლი ურეცხავს ჭუჭყიან მკერდს.

ეს კიდევ არაფერი — სინანული მოუვიდა გოჩის, სინანული, თა-

ვის წინანდელობას დასტირის. თურმე რა ცოდვა ჰკიდებია, რა კლდე უთრევია. განა ეს გამოხრული ძვლები, ნაჯიჯგნი კანჭები როდესმე მისცემს მოსვენებას? ღმერთო დიდებულო, თუ ადამიანის ტანჯვა გინდა, სინდისი მიეც, ყოველისმგრძნობი და ყოველისმხედველი. ნუთუ მართლა კაცისმჭამელი იყო გოჩი? მართლა სვავივით გასივდებოდა ხოლმე ადამიანის სისხლით? უბედურები, უბედურები... ესენიც ხომ ერთ დროს ცოცხლები იყვნენ, ეხლა კი გოჩის მუცელში ჰყრიან, ეს რა ჩაუდენია, ეს რა მეხი დასცემია. შეუნდე, ღმერთო, შეუნდე...

თითქოს შეიცვალა გოჩი, თითქოს სხვად იქცა, სხვა თვალ-წარბის კაცად, მაგრამ...

ასე რომ იყოს, სიყვარული რომ სიბერესაც მუდამ ერეოდეს, მაშინ ხომ ქვეყნად არც ფარისეველნი იქნებოდნენ და არც სადუკეველნი...

გოჩის სიკეთისკენ სწრაფვა, მისი დაგვიანებული სინანული და თავის ქნევა, თხილისხელა ცრემლები ისეთივე სასაცილო რამ ყოფილა, დევი რომ ნეშის ყუნწში გაძრომას ცდილობდეს.

მაინც გოჩია და მაინცა...

მისი გადახალისება, სხვად ქცევის სურვილი ბუნების, კაცობრიობის განვითარების დიალექტიკური კანონის ყივილია და არა რწმენად ჩამოყალიბებული შეხედულება, რომელიც ისევე არ იცვლება, როგორც ცისა და მთვარის ბრუნვა ცარგვალზე.

ამიტომ აზავებს ვაჟა ფილოსოფიურ განსჯას ზიზღნარევი იუმორით...

გოჩისაც დაუდგა დიდი გამოცდის დღე, როცა წყაროს პირას, ბალახში მიმჯდარ დედა-შვილს გადააწყდა და ორივე ტორებში მოიქცია. დედას ქვით გაუჭეჭყა თავი, პატარა ბალღი კი განიერ ხელისგულზე დაისვა და თვალხარბად დაუწყო ცქერა. ფუნჩულა იყო, ხელფეხზე სინორჩის ნაკეცები ერტყა. განა არ ახსოვს გოჩის ბავშვის ხორცის გემო — ტკბილია და ისე გემრიელი, კბილის დასმაც არ უნდა, ისე ადნებოდა გოჩის ლაშებზე, სისხლიც წმინდა აქვს — პეშვით შეხვრეპდა ხოლმე გოჩი იმ თბილ სისხლს და წამოწვებოდა ტყისპირას, ან ზღვის ნაპირზე დაეგდებოდა ცოცხალი მორივით.

მაღალი ოსტატობით გადმოგვცემს ვაჟა ძველი და ახალი გოჩის ჭიდილს. ის, სულში ჩასახლებული სიყვარული თუ რაღაც დარღუბალა დაასმევინებს ბავშვს დაბლა — იცოცხლოს და იზარდოს, „ციც გოჩი, ციცო“... მაგრამ ძველმა ჩვევამ თავისი ჰქნა და ღრიალით შემოტრიალებულ მზეცკაცს შუაზე გაბლეჩილი ბალღი შერჩა აქეთ-იქით გაწვდილ ხელებში.

ამ ცოდვისთვის ღმერთმა გაუმაძღრობით დასაჯა გოჩი, გვაუწყებს ვაჟა. დადის თურმე უბედური, იყრის პირში საჭმელსა და უჭმელს, მაგრამ ძღომა ვერ მოჰკიდებია და მისი ღრიალი მაღლა ღრუბელს აფრთხობს, დაბლა სულიერს.

მთავარი ის არის, რომ სინანულის გრძობას არ მიუტოვებია გოჩი, მას შემდეგ, რაც მორიგ ბალღს შენთქამდა, ისეთ ცრემლებს ჩამოჰყრიდა, ისე იშენდა თავ-პირში ხელებს, იქნება მართლა შეგცოდებოდა.

სად არის ამ გამოცანის გასაღები? რატომ გაქრა და განქარდა გოჩის გულში ჩანთებული სიყვარული? რიღასთვის დახუჭა თვალები გაღვიძებულმა სინდისმა? რატომ ვერ დაიმყნო ჭინჭარმა ვარდი?

ამის პასუხი ვაჟას სულ ერთ სტრიქონში ეტევა: „ერთი წლის სიყვარულმა ასი წლის ჩვეულება ვერ დასთრგუნა“.

ეს მოთხრობა წუთისოფლის ბევრ საწუხარს იტევს. გოჩი ზოგადი სახეა სიყვარულისა და ჰუმანურობის ნიღბით მოსაარულე ბოროტებისა, გინა თუ თხელნაჭუჭყიანი რწმენისა, რომელიც ნიავის შემობერვაზეც კი ნამსხვრევებად იქცევა.

აქ ვაჟას მორალისტური სისტემის კიბე-საფეხურიც ჩანს — ადამიანი უფრო დიდ ხანს იყო ცხოველი, ვიდრე ადამიანია და დროთა ეს უფროს-უმცროსობა ხომ არ არის იმის მიზეზი, რომ დღემდე ვერ დამკვიდრებულა კაცობრიობაში საყოველთაო სიყვარულის, სიკეთისა და ჰუმანურობის მოთხოვნილება?

დიახ, მივდივართ წინ და ყოველი წელი, ყოველი საუკუნე გოჩის სიკვდილის წელი უნდა იყოს. იქნებ ისეთი მომავალიც მოვიდეს, როცა აღარც გოჩი იქნება სადმე და აღარც მისი განთქმული უძღომელობა, როცა ერთმანეთს თვალით თვალს აღარ გამოუთხრით და მხოლოდ იმაზე ეიფიქრებთ, წუთისოფელს რით დავამახსოვროთ თავი, კეთილი კვალი როგორ დავტოვოთ ამ ყოვლისმომთმენსა და ყოვლის ამტან მიწაზე.

სილამაზე გადაარჩენს ადამიანს და არა მარტო ადამიანს, მთლად ქვეყნიერებას — ეს აზრი ასდევნებია ვაჟას სტრიქონებს. ამიტომ მოუვა ხოლმე გაზაფხულის წვიმად მისი ლექსი ბეჭთა ნაჩრდილებში ამოსულ იას, კესანეს, ველის ვარდსა, სასუტელას თუ გუგულისკაბას.

ზოგმა ტუჩარტყელმა იქნებ ისაცა თქვას, ეს ია რაღა გახდა, რომ ლუკას ფშავის მინდორ-ველის დედოფლად უზისო. ამას ის იტყვის, ვისაც ფრთხილი ნაბიჯით არ უვლია ხშირ, უღრან ტყეში და არ უნახავს სადმე ბუჩქის ძირას ამოსული ია, გარშემო რომ მოტრფენი შემოხვევიან — აქეთ ახალგაზრდა რცხილა იწვდის იმისკენ ტოტებს,

რა არის სიცხეში უგრილოს, იქით მუხას ტოტზე შემომჯდარი ქედანი ობლის ზღაპარს უყვება სულ სევდიანი კუთვა-ღუღუნით, გრილი, ნელი ხმითა, აქედან კიდევ წვერხმელი ხეები უდგანან და, როცა მზე ნამეტანს იზამს, აგიზგიზდება და ღრუბლებსაც აანთებს, დაბლა დარჩენილი რტოებით აპკურებენ ნამს თავიანთ ლურჯთვალა დობილს, რა არის, სიცხემ გუნება არ წაუხდინოს.

ცოტა ხანს ცოცხლობს ია, სულ რაღაც ერთი თვისაა ხოლმე მისი წუთისოფელი, მერე ისიც კვდება: ჯერ ფოთლები ჩამოეყრება, ჩამოუჭკნება, მერე წელშიც გადასწყვეტს სწრაფი სიბერე და ისევ მიწაში ჩაბრუნდება, რომ მეორე გაზაფხულზე ისევ დაენახვოს მზეს, გაახაროს ადამიანის თვალი, ტყე, აი, ის ყუნტი კუნძი მის ტრფობაში რომ გალეულა და დღისით რაღაა, როცა ღამითაც კი იმ ბრუციანი ფუტუროთი გამოჰყურებს და გამოუშუქებს ხოლმე.

დობის მადლმა, ღირს ერთი თვის სიცოცხლედ ამდენი სიყვარული, ამდენი სილამაზე ღირს, როცა ამ ქვეყნად იმისთვის მოსულხარ, რომ უტყვსაც კი სიმღერა მოანატრო, გული სიკეთით აუვსო, თვალი დაუტკბო.

დახე იმ ღაბუა წიფლის ჩიტსა, როგორ შეჰფოფინებს ია, რა დღეშია, როგორ იცელის ხელ-გულზე ფერსა, ვითომდა მნახე, დობილო, მნახე, როგორი ვარ, როგორ მიყვარხარ და როგორ გიმღერო.

* * *

დედაშვილობა — როგორი სინაზით აუვსია ქართულ ენას ეს სიტყვა, როგორი მირონი დულს მასში. ბუნების ამ საოცარ მისტერიას — დედის ძუძუს დაწაფებისთანავე ვეზიარებით ხოლმე, მაგრამ მის გაცნობიერებას ლამის ერთი სიცოცხლე არ ჰყოფნის, ამიტომ ვაჟა ფრთხილად ეხება ყმაწვილის სულის იმ სიმს, რომლის აჟღერებაც მხოლოდ ჭეშმარიტი ხელოვანის მაგიას ძალუძს.

კითხულობს ყმაწვილი თხზულებას და მის წინ გადაიფინება საოცარი, ხილულით თუ უხილავით სავსე მთა-ბარი, დაბურული, უტეხი ტყე, ირმის ნაფრენით შემკრთალი სივრცე, „ხევი-ხევში ჩაყუდებული“. დააკვირდი მკითხველო, რა პოეზია ჩქეფს ამ ვაჟასეულ ფრაზაში. თანაც ნუ გეგონება, რომ ეს ნატვრისთვალი მხოლოდ აქ დაგორდა. ეს ვაჟას პოეტური აზროვნების ერთი სტილური მახასიათებელთაგანია — თითქოს მთის ბროლით ნაგები, გამჭვირვალე, მაგრამ ბოლომდე თვალჩაუწვდენელი მხატვრული ხილვა. გაიხსენე, როგორ დაჰნათის დიდი შემოქმედის პოეტური გენია ლელას — „ბახტრიონის“ ჟანა დ'არკს“.

ქალი ჰგავ სამოთხის ყვავილს
ნარწყავსა უკედაებითა,
სოროშესხელს სიყვარელსა ჰგავს
აურწყველს ურწყავებითა...

„აურწყველს ურწყავებითა“ — ამის თქმას ჰომეროსის ფანტაზია სჭირდება და კიდევ ვაჟა-ფშაველა... ანალოგიურია ქალის დახასიათება პოემიდან „სისხლის ძიება“... რა სახელი დაერქმევა მზერის დამატკბობელ იმ საოცრებას, ქოხიდან გარეთ რომ გამოდგა და „შუქი გამოჰყვა პირითა“? იქნებ ვარსკვლავთა კრებულია:

ეზო-სხივანი ცაზედა?
ან ღე ალმასი, ფრანგული,
ლალირებუ... ბ,ლაზედა?!
თუ ზღა არი მშფოთვარე
ყვირებელი ზღვაზედა?..

სიტყვის ასეთი გატყორცნა ვაჟას კალშისაა, მისი ბედნიერი ნიჭის გამონაშუქია და ისე უშურველად ხარჯავს პოეტი ამ სიმდიდრეს, როგორც მზე სითბოსა და სინათლეს...

დადის ფარას მოწყვეტილი ცხვარი ამ ცოდვა-მადლით სავსე დუნიაზე, „შესხლტა მარტოდმარტო, უშვილოდ, უბატკანოდ; მისი სიცოცხლე, მისი სიხარული — პატარა, ფუნჩულა, ბამბის ქულასავით ბატკანი ფარაში დარჩა უდედოდ“.

და შემდეგ:

„მარტოდ ყოფნამ გადარია ცხვარი: სხვა ყველაფერი დაავიწყდა, გარდა ერთისა — ეს იყო შვილი, თეთრი, თეთრი, როგორც უმტვერო თოვლი“.

სიკეთე და სინაზე ეფრქვევა ყმაწვილს ამის კითხვისას, სინაზე და სიკეთე... დედაშვილობის წმინდა გრძნობა გასაგნობრივდება მისთვის, რამდენადაც მისი გამომხატველი ცხვარია, ფეხმოკლე, ტანმატყლიანი, ნაცნობი და უცოდველი შინაური ცხოველი.

ვაჟას მიერ შექმნილი მხატვრული სინამდვილე დამარწმუნებელი, დამაჯერებელია, მიღწეულია მონათხრობისადმი მკითხველის ნდობის ეფექტი, ვწერთ ამას და კიდევ ერთხელ გავიცნობიერებთ, თუ მხატვრული სიტყვის როგორი რთული, საპასუხისმგებლო სფეროა საბავშვო მწერლობა. ტყუილად ფიქრობდა და დღესაც ფიქრობს ზოგი, რომ საყმაწვილო ამბავი იმ სატყუარას უნდა ჰგავდეს, ატირებულ ბალღს პირში რომ ჩასჩრიან ხოლმე. არა, ლიტერატურა ლიტერატურაა და ჭეშმარიტი ნიჭით ცხებული საბავშვო მწერლობაც ვაზიევით ეხვევა ხოლმე ყმაწვილის სულს.

„ცხვარმა თავი დაჰკიდა და თვალებიდან ცრემლის ცვარები ჩამოუცურდა და დაბლა ბუერაზე წკაპ-წკაპი დაიწყო“, თუნდაც მხოლოდ ეს რამდენიმე სტრიქონი ღაღადებს იმის ჭეშმარიტებაზე, რაც ზემოთ სიტყვას ვათქმევინეთ. აქ ყველაფერია, რაც თვალით დაინახება, გონებით გაიაზრება და ბალღური ფანტაზიით აღიქმება. არა, ვაჟას „წკაპა-წკუპი“ არ უთქვამს, თუმცა კალამთან ფრიად გაშინაურებული სიტყვა გახლავთ. სწორედ „წკაპ-წკაპი“ დაიწყო ცხვრის ცრემლის ცვარმა და თითქოს ესმის მკითხველს ეს „წკაპ-წკაპი“, თითქოს ხედავს კიდეც ბუერას სველ, დაღონებულსა და განიერ ფოთოლს.

დედაშვილობის მაღალ გრძნობას ალუვლინა ვაჟამ ჰიმნი და შემდეგ გაველებული ცხვრის ამბავი ბუნებრივად გადაიყვანა შვილისა ცხვრის მეგობრობის თხრობაზე, რომ პატარა მკითხველს ახლა ის ეგრძნო, თუ როგორ ალამაზებს ყველა სულიერს მეგობრობის, სხვისთვის ჭირნახადობისა და თავდადების წმინდა გრძნობა.

სიცოცხლის, მისი გაფრთხილების, თვითდაცვისა და გამრავლების ინსტიქტი — აი, რა წარმართავს ტყისა და მინდვრის, წყლისა და ჰაერის შვილთა ამა ქვეყნად არსებობას. მათაც ისე ულუღუ გულში ნაგრილიდან ამობუტბუტებული წყაროების, მთის სერებზე სვავებივით ჩამომწსდარი ნისლების, მწვანე მთებისა და თეთრი მწვერვალების სიყვარული, როგორც ადამიანებს, ღვთისგან ცისქვეშეთის ბატონად და პატრონად გაჩენილებს.

დიახ, პატრონად და არა მტრად, სისხლით ტუჩ-კბილშეღებილ ყაჩაღად, ცულმოღერებულ ავაზაკად, ბუნების ქურდად...

ეს გრძნობა აუცილებლად ჩაიბუდებს და ჩაიკვერცხებს ყმაწვილის გულში ამ მოთხრობის წაკითხვისას. ვაჟა დიდი ხელოვნებით იყენებს ხალხის სასაუბრო მეტყველებიდან ამოზიდულ ლექსიკას, რაც მის ფრაზას, ბჭიდროდ ნაქსოვ სინტაქსს მშვენიერ ბუნებრიობას ანიჭებს. სიტყვა, ფრაზის კონსტრუქცია პერსონაჟის ფიქრის, განცდის ადექვატურია და ამიტომ მასთან მკითხველის თანაზიარობის ეფექტიც თავისთავად მიიღწევა. გამოსახატავი მასალის შესაბამისად თხრობა ხან გრადაციულია, აღმავალი, დინამიური, ხან ტალღასავით ჩავარდება ხოლმე დაბლა, რომ მერე ისევ ზემოთ ამოიზიდოს და, როგორც ილია იტყოდა, კალმის „გენიოსური მოსმის“ მაღლი გვაგრძნობინოს. ისევ ხსენებული მოთხრობიდან მოვიტანთ ერთ პასაჟს: დიდს, დაბურულს, მწვანედ ჩაღრუბლულ ტყეში შველი და ცხვარი დგანან. ორივ თვალში ცრემლი უგორავს ცხვარს. — ეს მოკლე ფეხები, მძიმე გაქცევა და ორი გირვანქა დუმა კარგს ვერაფერს უპოვის ამ ათასი ხილულითა და უხილავით სავსე ტყეში,

სადაც ყველა ხევსა თუ ღრანტეში ნადირის თვალი ანთია — სად აფთრის ხარხარი ისმის, სად ფოცხვერის ხავილი, სად კიდევ ტურა ჰკივის. ბენტერაა ცხვარი, შინაური ცხოველი, ტყისა და ტყიურისა არაფერი გაეგება, ამიტომ ისევ შველი აცნობს ნადირის წუთისოფელს. მერე კი მშვენიერი გადასახედისკენ ეპატიჟება თავის ახალშეძენილ მეგობარს: „ასე, აბა, ახლა წავიდეთ ნლ-ნელა, შევყვეთ ამ სერს, აი, საღამომაც მოატანა, შევდგეთ ველებში, საღამოს ნიავით გავიგრილოთ გულ-მკერდი, გავახილოთ თვალი...“

როგორი ინტიმი, სიამოვნების როგორი განცდა ოგრძნობა ამ სიტყვებში, როგორ ძალდაუტანებლად, კალმის უწვალებლად იქმნება განწყობილება. თანაც ვიზუალურად აღიქვამ მოძრაობას, რომელიც საოცარი სიცხადით წარმოაჩენს გარემომცველ ბუნებასაც: „წავიდეთ ნელ-ნელა, შევყვეთ ამ სერს, შევდგეთ ველებში“. განსაკუთრებული სიცხადე შეაქვს სურათში სინტაგმას — „შევდგეთ ველებში“. საქმე ისაა, რომ ზმნათაშორისში ჩართული ფრაზა — „აი, საღამომაც მოატანა“ — თავისთავად ქმნის მშვიდ, იდილიურ განწყობილებას, რაც ისევ ფრაზის გრადაციული აღმავლით გვირგვინდება: „საღამოს ნიავით გავიგრილოთ გულ-მკერდი, გავახილოთ თვალი...“ რა ნებიერად წარმოთქმული სიტყვებია, სიცოცხლის როგორი სიხარული ფეთქავს ყოველ მათგანში. აი, სწორედ ამ სიხარულის განცდისათვის ღირს მოსვლა ხშირად დაუნდობელ, ნეკერჩხალ მოკლე და უსწორმასწორო წუთისოფელში. ამიტომ დიდი სიბრძნეა ჩაღვრილი შელის ნათქვამში: „დარდი, ბევრი ოხვრა ჩვენი საქმე არ არის, მე დარდისა არაფერი მესმის, მუდამ მხიარულად ვარ“...

ვაჟას პროზაში ბუნების რეალური სურათი წარმოსახვით ასოციაციებშიც იხატება: „ზევით უტყეო, შიშველი მთები თავებს იბურავენ ჯანღით, თითქოს ნაომარნი არიან, ხმლით დაჭრილნი და წყლულებს იხვევენო“. ხალხური საგმირო პოეზიიდან წამოფრენილი ეს მხატვრული სახე ორგანულად ერწყმის თხრობის მანერას, აუცილებელ შტრიხებს მატებს სიტყვაში გაზავებულ ფერს. და ეს მონაცვლეობა სამყაროს ბელეტრისტული და პოეტური აღქმისა ვაჟას სტილის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანთაგანია.

დიდი ფშაველი რეალობის ილუზიას არა მხოლოდ დიდოსტატურად შერჩეული სიტყვის ფაქტორით ქმნის, არამედ ფრაზის ზუსტი ინტონაციით, სამყაროს ვიზუალური და წარმოსახვითი, პოეტური აღქმა სმენითი, ბგერითი ხედვითაც არის გაჯერებული: „ჩამი-ჩუმი არაფრისა ისმოდა. მხოლოდ ერთმა საზარელმა ხმამ დაარღვია ეს სიჩუმე. მეგობართა ცოტა მოშორებით გაისმა: უუუ! და ამავე ხმით,

მხოლოდ უფრო ბიბად უპასუხა მეორემ გაღმიდან: „გაწყვეტა თქვენის ხმისა...“

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ისეთივე გენიალურია ვაჟა პროზაში, როგორც ლირიკასა თუ დრამატურგიაში. მხოლოდ დიდ მწერალს, სიტყვის ქურუმს შეუძლია სულ რამდენიმე წინადადებაში, გინდაც თუ თხზულების პატარა მონაკვეთში დასამახსოვრებელი ხასიათი შექმნას, მიაგნოს იმ ძირითადს, დამახასიათებელს, რაც არა თუ ცოცხლად წარმოგვიდგენს პერსონაჟს, არამედ განუმეორებლის, ერთადერთის სახითაც მოველინება მკითხველს. ამის ნათელსაყოფად თუნდაც ხალისით, სიხარულით სოფლური იდილიითა და ჰეროიზმით სავსე მოთხრობა „სათაგური“ ავიღოთ, რომლის თავი და თავი ერთი უბრალო ქართველი გლეხია, ნაბდის ქუდისა და ქალამნის შვილი, პატიოსანი თვალ-წარბის, მზიანი ბუნების, ტკბილი ესტატე, თავისზე ხნით მაღლებიც რომ „ძია ესტატეს“ უძახიან გამოულეველი სიკეთისა და შაქარმოყრილი სიტყვა-პასუხის გამო. მოთხრობა საბავშვოა. მწერლის მიზანიც ის არის, ყმაწვილში სიკეთის გრძნობას, ჰუმანურობას გაუდგას ფესვი, მოძმისთვის თავდადების, ღირსეულის დაფასების კეთილშობილურ გრძნობას აზიაროს, თეთრი სიბერის პატივისცემას ტანის აყრამდე შეაჩვიოს. განა რატომ ვერ იმეტებს ჩვენი ესტატე იმ თავის წლებისგან ნაცვეთ, უკვე მუხლდაღლილ, ბებერ ცხენს, ყავარჯნის სისწრაფითღა რომ აუყვება ხოლმე სოფლის გზას? იმიტომ, ჩემო კეთილო, რომ ამაგდარი, პატიოსანი პირუტყვი ყოფილა, სიბერე კი ზამთარსა ჰგავს, სადაც არ უნდა დაეშალო, მაინც მოგიყა, შენს კარზეც ჩამოჰყრის თოვლს, შენს ახალგაზრდობასაც მინამქრავს... „ბებერი ვარ, მაშ ჩამსვით გოდორში და დამაგორეთ კლდეზე!. ეგ არის თქვენი სამართალი?!“ — უკვირს ესტატეს და ამ ეკალაყრილი სიტყვებით გაისტუმრებს ხოლმე ცხენის საყიდლად კარზე მომდგარ ჩარჩებს... „მხიარული, ღაჟღაჟა, მუდამ მცინარი, გადაპენტილი სახის“ ესტატე წუთისოფელს ბრძენის თვალით უყურებს — ვისთვის რა გაუტანებია საწუთროს, რომ ადამიანმა აქ ცუდისა და ავის ქმნისთვის იცხოვროს, ძმის სისხლი ხვრიპოს, ფეხი ცოდვაში ედგას? „რა გაჩხუბებთ, თქვენ კაი კაცებო, განა სულ ცოცხლები ვიქნებით, ხომ უნდა დავიხოცნეთ?! ეს ჩვენი წუთისოფელი — წუთია; სიამოვნებით გავატაროთ, იმას რა სჯობია! სისხლი სისხლით არ დაბანილა, არც დაიბანება; სისხლს წყალი დაჰბანს მხოლოდ. აბა, მოდით, პროშტი: ჯერ მე მაკოცეთ, მერე ერთმანეთს აკოცეთ. თუ რამ საჩხუბარი გაქვთ, იმას რა სჯობია — დინჯად მოლაპარაკებით გავათავოთ“...

იცის ესტატემ, ღიმილი სიტყვის ლოცვაა, სულის თარხნობაა და

თვითონაც ამ სიბრძნისაა — ერთმანეთს უნდა მოვეფეროთ, ერთმანეთს ყავარჯნად შევეხიდოთ, ერთმანეთი გავახალისოთ, თორემ ისე ვინ დასწევია ამ გაქცეულ წუთისოფელს? ასეთია ხალხის, მხვნელ-მთესველთა წიაღიდან ამოზიდული ამ კოლორიტული ხასიათის ძირითადი შტრიხი.

ვაჟა განწყობილების შექმნის თუ სურათის გამოკვეთის საჭიროებით ზოგჯერ სიტყვის გამეორებას მიმართავს, რაც განსაკუთრებით რაიმეს კითხვისას იჩენს ხოლმე თავს, სწორედ კითხვისას, რამდენადაც კითხვა თავისი არსით დინამიურია, რასაც ცნობისწადილი აპირობებს და, ამდენად გამეორება ამ შემთხვევაში არა მხოლოდ ექსპრესიულობა, არამედ თვით შეკითხვის არსზე ყურადღების გამახვილებაა:

„— ძია ესტატეს გამარჯობა! საიდან, საიდან?

ქალაქში მიმდინარს თუ შეეკითხებოდა ვინმე:

— საით? საითკენ გაგიწევია?

— იერუსალიმშიო, — უპასუხებდა და თან გულიანად იცინოდა."

ხასიათის გაშოკვეთის ერთი სტილური თავისებურება ვაჟას პროზაში უდავოდ ხალხური ფრაზიოლოგიის გამოყენებაშიც ჩანს.

„არა ეგ ოჯახ-ქორები, რომ მკითხავენ, საით მიემგზავრებიო, როგორ არ იციან, კატის მანძილი საბძელია. არა, თუ არ დაგიშლია, მე და ჩემი ცხენი განჯა-ერევანს, ტრაპიზონს ან თეირანს წავალთ? ეგეც ერთი რამ სალმის სანელია..."

როგორი იუმორით სუნთქავს ყოველი სტრიქონი, რა ენიალური უბრალოებით იქმნება სათანადო განწყობილება, თითქოს ფშანების სიმყუდროვე დგას სიტყვაში. ვაჟა ისეთი ხელოვნებით ხატავს ყოფით დეტალებს, აუცილებელ შტრიხებს, რომ სურათი თვალწინ გაქვს და გხიბლავს საოცარი ფერთამეტყველებით.

ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს ჩვენი უწყინარი, ჭაღარით თავჩამობანილი, სიკეთით გასპეტაკებული და გაკელაპტრებული ესტატე „ცოტა გადაკრულშია", თანაც ქალაქიდან გაბარებული, ფრთიანი შოდის ჯალაბს: ცოლს — ეფემიას, რძალს — სოფიოს. შვილიშვილებს საჩუქრები ამოუტანა — ვის დარბაისელი ქიშმირი, ვის კამკამა აბრეშუმი, ვის კიდევ ჩუსტები და „ფლოსტები".

ასე დაგვიხატა მწერალმა და თითქოს ვხედავთ, როგორ გაჰყურებს თავის ბავშვობას მჭვარტლიან ბუხართან მიმჯდარი ვაჟა, როგორ იხსენებს მამის — პაველ მღვდლის ხევსურეთიდან ჩამოსვლებს. ზოგჯერ ისეთ ყიამეთში, ცისა და მიწის შეხლაში მოსდგომია კარებს, დედა გულქანს პირჯვარი აერეოდა ხოლმე.

მოვიდოდა პაულე, მიაბამდა ცხენს მარგილზე და სიჩუმეს მერე-ღა ვასტეხდა.

„ოჯახიშვილებო, ვინა ხართ შინა, გამოიხედეთ გარეთ“! ეს ბალ-ღობის ნახსოვარი ახლა ამოტივტივდება გონებაში ესტატეს შინ მოსვლა-მობრძანებისას. ესტატემ „ცხენი თავის ერთსართულიან სახლის მოაჯირთან ისე ახლო მიაყენა, რომ „მერანს“ თავი დერე-ფანში გადააყოფინა და დაიძახა: „ოჯახიშვილებო, გამოიხედეთ, სტუმარი არ გინდათ?“.

ესტატეს ცოლი ტანბარაქიანი, ჩამრევალებული ქალი ყოფილა და ვაჟა ისეთ სიტყვიერ ფაქტურას არჩევს, პერსონაჟის ხასიათის გამოხატვასთან ერთად ამაღლებულ, მხიარულ განწყობასაც რომ მი-ესადაგება, მაგრამ, სჯობია, ისევ სიტყვაამღერებულ ესტატეს და-ეუჯდოთ ყური.

— „ოჰ, საღამო მშვიდობისა, ეფემიავ! ჰაა, როგორა ხარ, სული-კოჯან? მე კარგადა ვარ, ძალიან კარგად. ცოტა შემცივდა“.

გამეორება აქაც აქცენტირების, ყურადღების გამახვილების ხერ-ხად არის მოხმობილი, ხოლო „სულიკოჯან“ და ისიც მრგვალი ეფე-მიას მისამართით ნათქვამი მთელ პასაჟს სიკეთის, ღიმილის შუქში ჰფენს. თანაც ერთხელ კიდევ შეგვახსენებს ესტატეს მხიარულ ბუ-ნებას და სიტყვაშაქრიანობას. ეფემიას სიტყვა-პასუხსაც დედა გულ-ქარს გაახსენება აკეთილშობილებს:

„— ღმერთმა მშვიდობა მოგცეს! რა არის, კაცო, ამ ღამე სიარუ-ლი, სხვა არა იყოს რა, ნადირის მაინც არ გეშინია?“.

ლამის იმავე სიტყვებით შეხვდებოდა ხოლმე გულქანი ქარისგან გაშოლტილ, წვიმისგან სახედაკენკილ, სიცივისაგან დაკბენილ პავ-ლეს.

ადრე ვთქვით, რომ რაზიკაშვილებიდან მხოლოდ უმცროს სან-დროს ეცვა მოხელის მუნდირი, ფოსტაში იჯდა, ქალაქურად პირგა-პარსული, თვეში კაი სამი თუმანიც ჰქონდა და ბედისკვერი რატომ დაეწვებოდა?

ესტატესაც შვილი სანდრო ჰყავს, ისიც ქალაქშია, იმასაც თვეში სამი თუმანი აქვს და ჯამაგირი კიდევ მოუმატებიათ.

დიახ, ბევრ რამეში ჩანს რაზიკაშვილთა დიდი და ღარიბი ოჯახი ამ მხიარულ მოთხრობაში, რაღაც გაუგებრობის გამო რომ საბავშვო ნაწარმოებად არის მონათლული. განა ესტატეს გაკვირვება ქალაქუ-რი ამბებით, ლოთბაზარა ხალხით, დღედაღამ დუქნებში რომ ჰყრიან და საკუთარ სტომაქებს დასცქერენ, დიდი ერისკაცის ამოკვნესა არ არის? როცა ერს მძიმე გუთნეულში შებმული, მამულზე ფიქრითა და ზრუნვით შუბლშემღვრეული კაცი სჭირდებოდა, ხალხის დიდ ნა-

წილს წუთისოფელი გაჩაღებულ სმა-ჭამად ექცია, თვალღიას ეძინა და ვერც კი გრძნობდა, რა უფსკრულს უთხრიდა ქვეყანას მათი ასეთი ყოფა. ესტატე გლეხია, მზისა და მიწის შვილი, შეუმცდარი ალღოთი შეჭურვილი და გრძნობს, რომ ხელ-ფეხის უქნარობასთან ერთად ლირსების დავიწყებაც ღუპავს ადამიანს, ხოლო საკუთარ ფაშვზე შეყვარებული საზოგადოება ვერაფერს ჰისცემს კარზე მომდგარ მომავალს, ისედაც ღარიბ, ისედაც მუხლზე დაცემულ საქართველოს.

ამიტომ ოხრავს ჩვენი კეთილი ესტატე:

„ოჰ, ღმერთმა მშვიდობა მისცეს ასეთ ლოთობას! კაცი დავბერდი და ჩემს სიცოცხლეში ამასთანას არას მოვსწრებივარ: მეტის-მეტი ლოთობაა; უქმი და საქმი არ გააჩნიათ: სარდაფები მუდამ ღღე სავსეა ხალხით; დიდი, პატარა, მდიდარი, ღარიბი, ყველა ლოთობს"...

როგორც ეტყობა, ყორანივით ასდევნებია სოფლისაკენ ამგზავრებულ ესტატეს ეს ფიქრი, და სწორედ ამაში ჩანს ის ეროვნული დერიტა, ჩვენს გლეხს რომ ედგა, ის ფესვი, რომელზედაც ქვეყნის მომავალს უნდა ამოეყარა.

„ღმერთმა მშვიდობა მისცეს ასეთ ლოთობას".

ეს სიტყვები შეშფოთებული კაცის ლოცვაა, გამჟღავნებული შიშია. ეს არის ამ მოთხრობაში მთავარი და სათქმელის ფორმა არამც და არამც არ უნდა მივიჩნიოთ მის შინაარსად.

ქალაქი ქალაქურად ცხოვრობს. აქ სხვა ცოდვა-მადლი ტრიალებს, სხვა არშინით იზომება ყველაფერი. სოფელი კი მაინც სოფელია, სადაც ესტატესნაირი კეთილი ხალხი არ გამოილევა. სხვანაირია ახლა ქართული ქალაქი, იმ თავისი ქულბაქებით, ღვინის სარდაფებით, უჩინოთი და ჩინოსანით, სხვა ფიქრით თავბრუდახვეული— ყველას გამდიდრება სწყურია, ოქროს სიყვითლე შეჰყრიათ და ცხვირსაც მარტო „ხვირისთვის" აცემინებენ. ამიტომ არის, რომ მოხერხებული კაცები ასე თავისუფლად გადი-გამოდიან ნემსის ყუნწში, სიმდიდრესაც მეტი რა უნდა — გარყვნილ ქალსა ჰგავს — დასაბამიდან ეშმაკის ლოგინში გორაობს. სულ რამდენიმე ოსტატურად გავლებული შტრიხით გვიხატავს ვაჟა ბურჟუაზიული ქალაქის სპეციფიკას — ესტატესა და მისი მეუღლის დიალოგში ეცნობით, რომ ეფემია-ქალის ბიძაშვილი ზალიკა ახლა თურმე ქალაქში სახლობს. ადრე ბზით უვაჭრია — აჰკიდებდა ხოლმე კალათს სახედარს და გაუყვებოდა მილეთის გზას. დაუღლელი, ქვასავით მომთმენი და არაგვივით დაუსვენებელი კაცი ყოფილა და, აჰანდე — ახლა ასი თუმანი ნალდი ჰქონია, ადრე კი ფული მარტო სხვის ხელში თუ ენახა. ასე ცოცხლდება ჩვენს თვალწინ XIX საუკუნის 80-იანი წლების ქალა-

ქი — გლეხის პატიოსანი თვალით დანახული, გენიალური შემოქმედის მხატვრული ხედვის პრიზმაში გადატეხილი.

დიდ ფშაველს არასოდეს დავიწყებია, რომ მწერლის კალამს დიდი ვალი და კვალი აქვს — საზოგადოების წყლულსა და ძირძიტას ერთნაირად უნდა აჭიმობდეს, მთავარი არ უნდა დაივიწყოს და წვრილმან ამბებს არ უნდა ეზიდებოდეს მწერლობაში. ამიტომ, აბა, რა საკადრისია, ამ მოთხრობაში მართლა თაგვები და მათი ოინები დავინახოთ. არა, ბრძენის სიცილში მზის სიბრძნე და სიკეთეა. ან ის რატომ დავივიწყოთ, რომ მცენარეს, თუ ცხოველს ვაჟას შემოქმედებაში ადამიანური გამოხატვის ფუნქცია აქვთ დაკისრებული.

დიახ, სტრიქონს მიღმა კიდევ სტრიქონი იკითხება ამ მოთხრობაში და დიდი ეროვნული ფიქრით შუბლდამძიმებული წერს ლუკა ამ ვითომდა მარტო მხიარულს, საშობაო ზღაპარივით ლამაზ ამბავს.

გავიხსენოთ, როგორი მზრუნველობით დასტრიალებს თავს ესტატე სიბერისგან „მუხლჩატეხილ მერანს". როგორ გაიმეტოს გასასყიდლად, როგორ გასწიროს, როცა მისი ამაგი ახსოვს, უმადურობა, დამსახურების დაუნახავობა როგორ იქნება. ან რა ადამიანი გქვია მაშინ, ან რა საზოგადოება — უბრალო ორფეხა რუმბი ხარ, სიცარიელით სავსე, სასაცილო და სავაგლახო.

ამას ვაჟა წერს, ის ვაჟა, ცხენი რომ მოუკვდა და იმისი ლეში ყვავ-ყორნებს ცაში კი არ აატანინა, ის პატიოსანი ცხოველი ჯვალოში გაახვია და გორისძირას დამარხა. იქნება არაფერია ამ ამბავში საგულისხმო, იქნებ ლუკას და ესტატეს საქციელი თვალების სენტიმენტალური ფშვნეტა და ცრემლის ცისფერი წვიმაა? ვაი რომ არა, ბევრი ჩუმი და თავდადებული მოღვაწე ჰყავდა საზოგადოებას ჩრდილში მიყენებული, უფრო მეტიც — ზოგი ვირთავა ჭინჭრით დასდევდა ამ ერისთვის მწირველებსა და შეწირულებს, არც მათი ღვაწლის დანახვა სურდა, არც მათი გვარ-სახელის მოსმენა. რაღა შორს წავიდეთ, თვითონ ლუკას რამდენჯერ ესროლეს ხელუკუღმა ტალახის გუნდა, რამდენჯერ უკბინეს უკბილო პირით, რამდენჯერ გაულანძღეს ენა და კალამი. რა ჰქვია ასეთ საქციელს? შური? უმადურობა? სხვისი სიკეთის ვერდანახვის ქართული ნიჭი? რა ვიცი, სახელი ნურმც დარქმევია ამ ნალუკუღმა სიარულს. ისევ მკითხველმა განსაჯოს ზნე ამ უზნეობისა.

ამ დროს კი, ამ დროს ისეთებიც იყვნენ, სიტყვების კორიანტელს რომ აყენებდნენ — დახეთ, რიყეზე ქვა ვიპოვეთო, და თავი მამულიშვილებად მოჰქონდათ. ხომ არ გვაგონებს ასეთ პირბნელ პატრიოტებს ის მჩხავანა კატა, ესტატეს რომ ჰყავს თავის გლეხურ დარბაზში და ბუხარზე ხრეშითა და ტუსვით ტურის ბალანიეით შესწითლე-

ბია ბეწვი? თაგვების დაჭერაზე ხომ ისე უკაცრავად არის, შორიდანაც არ დაენახვება.

აი, ასეთი წანამძღვრების შემდეგ გვიამბობდა ვაჟა ფიცხელას გმირულსა და საოცარ თავგადასავალს. ფიცხელა სათაგვეთის „კაი ყმაა" — ცეცხლივით უშიშარი, ქარივით სწრაფი და მოძმეთ მოყვარე. ბევრი სასახელო ამბები გადაბდენია თავს, ბევრი „ბიჭობა" უქნია და, სადაც სიკარგეა, სადაც სახელია, შურიც რომ იქვე გდია ხოლმე გველის ყვითელი ცოცხალი გორგალივით? დიახ. იგვსლებიან, მაგრამ საზოგადოება მაინც ჯანმრთელია, თუ სასახელო შვილის ღვაწლის დანახვის უნარი არ დაჩლუნგებია. ასეთი საზოგადოებისთვის უგვანი და დაუნახავი შვილები არაგვის ნარიყია და მეტი არაფერი. იჩხავლონ უბედურებმა, მალალი ნაბიჯით იაროს, სულ ერთია, სიკვდილის შემდეგ მათი სახელი ისე გაჭრება, როგორც ნიავისგან ერდოზე ახვეტილი ნაცარი.

გულადი ფიცხელა სათაგურში მოექცა.

არც აქეთ, არც იქით, არც წალმა, არც უკუღმა. ვერც კედლებზე ბღოტიალმა და ვაჟკაცურმა წრუწუნმა გაუღო კარი, ვერც მავთულები გადაღრღნა იმ თავის წვრილი და ალმასი კბილებით.

ამ დროს კი, ამ დროს მკითხველი ტკბება თბილი, იდილიური სურათით, რომელშიც იუმორის ათინათიც დახტის და გუთნეულივით გაბმულ ფიქრებსაც აღუძრავს ადამიანს. სოფლის გზაზე მოდიან, მობორძიკობენ საშობაო თოვლის ამონაშუქში გახვეული სტუმრები. წინ ჩვენი ესტატე მოუძღვით. მოდის, მოაცურებს ქალამნებს, მზიარულ გუნებაზეა, იცის, შინ პურ-ღვინო დახვდება. ეფემია, ალბათ, დილიდანვე დარბაზში დაგორავს და რძალთან ერთად თადარიგს იჭერს. არც მღვდელი მაქსიმეა მოწყენილი, ბზის წითელ ჯოხს უკან მოჰყვება, მხიარულად მოლაპარაკობს და გაჟინჟილებულ სახეზე ეტყობა, ღვინო და ჩარექა არ უნდა ეჯავრებოდეს. ახლა „ასტავნოი კაპიტანი" მიხეილი ვთქვათ, რუსეთ-ოსმალეთის ომის გმირი სოფელში სახლობსო, გვეუბნება ვაჟა, აქ იტკბობსო დარჩენილ წლებს. ჩაუდება თურმე მიხეილი გლეხებში და ჰყვება გარდასულ ამბებს. ჰქუხს ზარბაზნები, ცეცხლი და მიწა ერთმანეთში ირევა, დუნაი სდუღს, რუსული ხიშტების საჩეჩელზე ჩამომხობილა ბულგარეთის ცა-ღრუბელი, მთები ბარბაცებენ, ჰაერი შიშინებს, მიიღვრებიან სისხლის ღელეები, ალაჰისა და ქრისტეს ამ ერთმანეთთან შეწყვეტაში ყველაზე დიდი გმირი კაპიტანი მიხეილია, თეთრ ცხენზე ზის, თეთრი კურტაკი აცვია, მაგრამ სისხლით ისაა შეღებილი, ლამის მეწამური მეგონოს, გარშემო კრაზანებივით უბზუიან თურქული ტყვიები, მაგრამ წარბიც არ ჩაუტყდება ხოლმე. დაახლოებით ასეთ ასო-

ცაციებს აღძრავს ქვეტექსტი, რომელიც ვაჟასეული სტრიქონის ქვეშ დევს, მღვდლის გვერდით დიაკვანი მოიპარება, მასწავლებელი სპირიდონი აქა ჩანს. უკან კი რამდენიმე გლეხკაცი ჩამდგარა, მოლიან, უღლებიდან გამოშვერილი ხარებივით მოხვეტავენ თოვლს.

გარშემო ისეთი სპეტაკი ადგას ყველაფერს, თითქოს ბოროტებას ფეხი არასოდეს დაედგას ცოდვილ დედამიწაზე.

ჩაიარა ნიავმა მოსასხამის ფრიალით... კალმახივით შესხლტა და გაუჩინარდა...

ვაჟას მიერ დახატული ყოფითი სურათი მუდამ ამოწურული, დამთავრებულია. მწერალი დიდ ყურადღებას აქცევს დეტალს, რომელსაც ისეთ ბუნებრივ ადგილს მიუჩენს ხოლმე, რომ აღწერილობა საგნობრივ, ვიზუალურ იერს იძენს. კერძოდ: „ეფემიამ დაინახა რა მომავალი სტუმრები, მაშინვე შეუდგა სუფრის გაშლას და გადაფინა ტახტზე გრძელი, ლურჯი სუფრა, დაალაგა პურები, დადგა შუა სუფრაზე „ბლუდი“, რომელზედაც ჯერ ისევ ორთქლი ასდიოდა აღმა ფეხებაშვერილს დედალს. ჩაამწკრივა ბოთლები.

ვაჟა XIX საუკუნის მეორე ნახევრის სოფელს ხატავს და კოლორიტის შესაქმნელად მიმართავს ისეთ ლექსემებს, რომლებიც ქალაქური მეტყველებიდან შეჭრილა პერიფერიებში. ასეთია, მაგალითად, ზემოთ მოტანილ აღწერილობაში „ბლუდი“, ისევე, როგორც ხურჯინის ამოლაგებისას ესტატეს ფრაზაში ნახმარი „ვაგონი“ (აბა ვნახოთ, რა არის მეორე ვაგონში“).

ყაჩალდა პურობა ქართული, პურობა გლეხური, პურობა ჩვენებური.

სათაგვეთში კი დიდი ბჭობაა, დიდი ამბები ხდება — ფიცხელა იღუპება. იკარგება ბიჭი და მერე რა ბიჭი, რა გულის, რა მკლავის, რა წვერ-ულვაშის პატრონი. რამდენჯერ დაუდვია თავი მოძმეთათვის, სად არ შემძღვრალა, საიდან არ გამომძვრალა და ეხლა? მახლეს! სად დაეწია ბედი-მდევარი.

მაგრამ ვაჟკაცის გული სიკვდილსაც ვერ გაუტეხავს. თუმცა ვის უნდა ჰადესის ცეცხლოვან ბილიკებზე სიარული და ფიცხელასაც ერთხელ, მხოლოდ ერთხელ ჩაუქრა, ჩაეწირპლა თვალები, ძლივსღა აძვრილა ნემსივით წვრილ მზერას სათაგურის გარეთ, მაგრამ აბა ერთი სუსტი წუთი ვის არ ჰქონია წუთისოფლის გაუთავებელ კრიალა [illegible]? აქიტომ ისიც ცოტა ხნის შემდეგ ძველი ფიცხელა იყო — გაუტეხელ, მართალი, გულადი.

შურიც ხომ დასიცხულ მორიელსა ჰგავს — გაინაბება, მაცდურობს, რომ უფრო მოხერხებულად ჩასცეს შხამიანი შაშარა სიკვდილს, [illegible].

და, აჰა, აგერ ნემსაც — მისცუცქებია ფიცხელას და გარედან ქოქოლას აყრის; ვითომდა რაო, სულ რომ წინა გვყავდი, სულ რომ შენი ჩრდილი გვეფინა, მაშ რა გეგონა — ახია შენზე, ახია, შესწრუწუნებს ისიც უცებლოდ დამწვარ ვაჟკაცს.

მაგრამ „ნემსა“ ერთია, სულმატლიანი, სინდისდაკარგული. დარჩენი სათაგეთი კი თავდადებით იბრძვის ეროვნული გმირის გადასარჩენად — ერთმანეთის კუდზე ჩაბმულები მიათრევენ სათაგურს ხორციკენ, რომ როგორმე იხსნან ფიცხელას მზე დაბნელებისგან...

რა ნახეს ესტატეს სტუმრებმა, როცა ეფემიამ სათაგური გაიძიღო, ზედ ასხმული თაგვების ცოცხალი აკიდოთი...

საჭირო ამბავია, თითქოს საშობაო, სახუმარო, მით უმეტეს, რომ ცელქმა მღვდელს ღვინიანი ჭიქა წაუქცია, ცქმუნა კაპიტან მიჩეილს მიახტა მკერდზე და რუს-ოსმალეთის გმირმაც ხმლის ვადაზე გაიელო ხელი, ფხორამ კი მამასახლისის წვნიანში გაადინა ტყაპანი.

საჭირო, დიალაც, საჭირო, რომ ამ სიცილს ფრიად სერიოზული საფანელი არ ედოს...

საითაგეთში ეგრე... მაგრამ როგორღაა საზოგადოებაში, ცეცხლის რკალზე გაკრულ ქართველობაში? განა ასე ჩავკიდებთ ხოლმე ხელი ხელს ჩვენის და ჩვენთვის თავდადებულის გადასარჩენად? განა აგრე გამოვიდებთ ხოლმე თავსა? თუ ორივე ხელში ქვას ვიგროვებთ, რომ დავკრათ და დაეკრიბოთ?

ვაჟკაც, რომ ასეა...

სვრელივით გააქვს ვაჟას კალამს ყოველი სტრიქონი, სიცოცხლის, სიკეთის, ჰუმანურობის საგალობელია ყოველი მათგანი, თუნდაც ეს პატარა, სინაზით სავსე მოთხრობა ეთქვათ „ტრედები“ რომ ჰქვია.

ვაჟა პირველი ფრაზებიდანვე, პირველი პასაჟიდანვე ჰქმნის განწყობილებას, რომელიც მკითხველს ნაწარმოების ბოლო წერტილამდე თან სდევს და მონათხრობის განცდის გრძნობას უმძაფრებს. აქაც ძუნწი ფერებით ნახატი, მაგრამ ჭეშმარიტად ფერწერული სურათით იწყებს მწერალი თხრობას. ფრაზები მოკლეა, კატეგორიული, თითქოს მელანს და ქაღალდს იზოგავდეს კვარის ჩირაღის ბინდბუნდში მაგიდასთან მიმჯდარი დიდი ფშაველი: „გაზაფხულდა, ჯეჯილები გამზიანდა, თოვლის წყლებმა დაიწყეს ცელქად დენა მინდვრად და ხევებში“. ბიბლიური იერი დაჰკრავს „ქედგასქელებული“, ფერნაცვალი ზღვის იქიდან დალლილ-დაქანცული მტრედების მოფრენას. ტიტანური მზატვრული ძალით, გენიალურის უბრალოებით გვიხატავს ვაჟა სამშობლოს მონატრების მწველ გრძნობას — ზღვამ კი გადმოუშვა მტრედები; მაგრამ კიდევ რამდენი წყალ-ცეცხლი, ტყე-მინდორი

უნდა გაიარონ, რამდენ ღმერთამდე წვერაწვდილ მთას უნდა გადაუფრინონ, რომ იმ ადგილას ჩააღწიონ, სადაც ხშირსა და ბნელს ტყეში, გორაკის თავზე, ქორაფი დგას. ედიდგულება ხოლმე ცელქი ნიავი, აუშლის ტოტ-ფოთოლს, გაიხლართება მწვანე კორომში და ფართხალებს საცოდვილოდ. იქვე ცივი, თითის წამწყვეტი წყაროც ყოფილა, სიცხეში სულის ჩამბრუნებელი. არც მლაშე წყლები და მლაშე ქვიშა ჰკლებია, არც ბალი და მატილა, მაგრამ განა ერთია ამ ღვთისგან გაჩენილს ქვეყანაზე ასეთი ალაგი, თვალს რომ გაგითბობს და გულს აგომზიანებს? მაგრამ ტრედებისთვის ამაზე უკეთესი არსად იქნება, გინდა იმ არემარეში არც ჟღალი მიმინო აზნაურობდეს, არც არწივი მეფობდეს, არც ქორი წიოდეს და არც სადმე მელია დაიპარებოდეს იმ თავისის მსუნაგის პირ-ტუჩით.

სამშობლო ერთია, სხვაზე გაუცვლელი, განუმეორებელი. ამიტომ ლოცვასავით გაისმის დედა მტრედის გულში ჩამწვდომი სიტყვები: „ლამაზს ადგილსა ვდგევართ, შვილი.“.

ალბათ, არასოდეს ექნება დასასრული ამ ქვეყნად სიკეთისა და ბოროტების ჭიდილს, უცოდველ, სამშობლოს დანატრებულ მტრედებს ხან მიმინო დაეტანება, ხან ქორი, ხან კაცი მიუშვერს თოფის ლულას, მაგრამ ისინი მაინც გაკვრით მოფრინავენ იმ ერთადერთი ქორაფისკენ, იმ ერთადერთი ბექისკენ, სადაც ბუდე უდგას თვალცრემლიან დედამტრედს, სადაც შვილი გაზარდა, ახლა რომ მის გვერდით ფრთებაწურული სხედს ჰაერს.

ეს ნოსტალგია, სამშობლოს ერთგულებისა და მონატრების ეს ულეველი გრძნობაა ამ ნათელი მოთხრობის ერთი თემათაგანი, მეორე კი კეთილის ქმნა და ძალმომრეობის ანათემაა.

ამ ქვეყნად მადლისთვის ვიბადებით, სიკეთისთვის გვასხია ხელფეხი. მტრედებმა შეიბრალეს მიმინოს ბრუჟღალით თავდაკოდილი მწყერი, ისევე, როგორც წეროებმა ხიფათით სავსე ცისგან დაღლილ-დაქანცული მტრედები. ასე თანდათან, წყაროს მიდგმული ხელადასავით ივსება თანალმობის მშვენიერებით ეს პატარა მოთხრობა.

მაგრამ განა მარტო სიკეთე დადის დუნიაზე. არა, ბოროტებაც დაზანზარებს, დაბობღავს და მყრალ კვალსა ტოვებს თავის გზანავალზე. დაგვანახებს, დიახაც დაგვანახებს თავის მაგიური სიტყვით დიდი ფშაველი, როგორ აზის ზემოდან აყიპყიპებულ წეროს არწივი, როგორ ულვივის თვალები აშიშინებული ნაღვერდალივით, როგორ ავლებს გარშემო ელვასავით მზერას და მოკაუჭებული ნისკარტით უფლეთს გულს განწირულ სიცოცხლეს.

აპოკალიპსური საშინელებასავით იკითხება დედა მტრედის სიზმარი, რომელსაც ვაჟა კალმის დიდოსტატური მოსმით გვიხატავს.

ცაში ტევა აღარ იყო... არწივებს აევსოთ ცა. დადიოდნენ, დაბაჯბაჯებდნენ სქელი, შებუმბლული ფეხ-ბარკლით ფრინველთა ტვინამოწოვილ თავებში. და ყარდა ცა ლეშის სუნით. „ყველგან ისინი ბუმბერაზობდნენ, გასავალი აღარსად იყო“. „არწივებს მოესრათ მთელი ფრინველები და იმათის სისხლით მოესვარათ ქვეყანა“.

ეს ტრაგიკული ხილვა გაფრთხილებაა, დიდი ჰუმანისტის შეურიგებლობაა ძალმომრეობის თავხედობასთან, იმ დისჰარმონიასთან, რომელსაც საზოგადოება ხელისკვრით მიჰყავს გაბრწყინისა და ზნეობრივი სიკეთილისაკენ.

ამ შემთხვევაში არწივობა ნასისხლობის, ბოროტების სინონიმია და არა სილაღის, ვაჟკაცობისა და სიმამაცე-თავისუფლების, როგორც ეს ვეჟას სხვა შედევრებში გვხვდება.

განა მხოლოდ არწივობა არის კაცობრიობის მტერი? არა, სიცრუე, ეელური ქვებუდანობა, სხეულში სულის აყროლებაც ხდის ადამის ძეს სიკეთის, თვით სიცოცხლის მტრად. ასეთ აზრს სდებს ვაჟა იმ პასაჟში, რომლის გმირი პირში ლალღაგაჩრილი მელიაა, ჯერ რომ მოტყუებით ცდილობს მტრედების ხელში ჩაგდებას, მერე კი, გაწბილებული, წიფლის ტოტზე ჩამომჯდარსა და შიმშილით აწივლებულ ძერას მიასწავლის დაღლილი დედა-შვილის ძდგილ-სადგომს. ასე დაიღუპა მტრედი. დედა კი ცოცხალი გადარჩა, თუ შვილის დამკარგავი დედის სიცოცხლე ითქმის.

დიახ, ხდება, იღუპებიან შვილები, სიკვდილის შავ ანგელოზს მიჰყავს ისინი, მაგრამ მამული ცოცხლობს, სამშობლო ცოცხლობს, თუ მათი ნაბუდარი, ნაადგილარი არ მოიშალა, თუ ფესვის სინედლეს ინარჩუნებს. უბედურება ის არის, როცა შენს ნაფუძარს, შენი სულის სამოსახლოს სხვა დაეპატრონება, უკითხავად, უბოდიშოდ მოსული, თვალსისხლიანი გულაფთარი, დაუნდობელი. მაშინ იწყება შენი არყოფნის ჟამი, შენი მოდგმისა და ნათესავის დაღუპვა. ის — მოსული უტიფარი სითამამით იბარტყებს, იმრავლებს სხვის ნაბუდარში, ფურთხითა და შარდით მოგირწყავს წინაპართა საფლავებს, შენს წმიდა სალოცავში სახედარს დააბამს, ხსოვნას მოგიკლავს, ანბანს აგირევს, ენას აგიმღვრევს, როკეითა და ყროყინით გადაგჩეხავს ისტორიის უფსკრულში.

იცის ეს ვაჟამ, ქართველია და იცის, ამიტომაც აგვიწერს ასეთი გულისტკივილით დედა-მტრედის უმანკოებისა და სიწმინდის ტრაგედიას. რას არ გადაურჩა საბრალო, და ბოლოს, შვილმკვდარმა, ფრთებდაღლილმა, გასავათებულმა მიაღწია იმ სანატრელ ქორაფს, იმ აღთქმულ ფერდობს, სადაც უკვდაეების ციკი წყარო იღვრება ბებერი წიფლის ფესვებიდან, სადაც თვალი მკვდარსაც კი აეხილება.

ო, რა საამო, რა სულის გამთბობი ღუღუნით დაფრინდა მტრედი ფორაქის ტოტზე, რომელიც სიყვარულით ძოველო თვალი მშობლიურ მიდამოს, ალსრულდა, ახლა ნატვრა, ელირსა აღორძინდი სიცოცხლეც, აფეთქე სიხარულო.

ვაი რომ ნაადრევი გამოდგა ეს სიხარული...

„— ეგ ვინ-ღა ოხერია?! — მოისმა ძირის ტოტიდამ ხმა, — აქ ვის კარ-მიდამოში ხარ ეგრე თამამად, ტრედო? შენ სიცოცხლე ხომ არ მოგჭარბებია?!

ეს ქორის ხმაა... ნამტრედალში რომ განივრად ჩამჯდარა, ბუდე განი-გან წაუღია, ზის ახლა ნამძორალი, სისხლით გადალესილ ჩალა-ბალახში და ავად ანთებული თვალებით ამოსცქერის მტრედს.

თითქოს იმ ორი თვალითაც ამას ამბობდეს: „გაგონილა, ვეჟო, შინ რომ მიხტები, ვინა გგონივარ, გასაწყვეტნი ხართ, წერილნისკარტიანები, გასაწყვეტნი, ან მხარი გივარგ-დეთ, ან ბრჯღალი, რისთვის ჰყრიხართ ამ დუნიაზე, თუ არა ჩვენთვის, ჩვენს ლუკმად და ბიყინად?“.

და რეკს საქართველოს ციდან უცხო, ქორული ხმა.

„ეგ ვინღა ოხერია!“

რეკს გაფრთხილებასავით, განგაშის ზარივით... საბავშვო მოთხრობაა „ტრედები“, მაგრამ ტკივილს ასაკი არა აქვს, არა აქვს, არც სიყვარულს აქვს ასაკი...

რაზეც არ უნდა წერდეს ვაჟა, მისი ფიქრი, ოცნება საქართველოს დასტრიალებს, მის ბევრ ჭირსა და ცოტა სიხარულს. მასაც ის სტკივა, რაც ერის მოწინავე შვილებს პარტახტად აყრიათ — საქართველო იყიდება... ხელგაშლილ ქართველს არაფერი უჭერდება გაშლილ ხელებში, ნაფუზრები უცხოთა ოქრომ იყიდა, თავადს კი კოპზე დასადები შაურიანიც რომ არა ჰქონდეს და ცალი მესტი-ღა ეცვას, ბრიყვულ ფუქსავატობას მაინც არ მოიშლის — დუქნებში ახურდავებს მიწას და მამულისშვილობას. ისევ მკლავით და ხმლით იქადნება, ისევ წარსულში სძინავს და ვერ გამოფხიზლებულა, ვერ გაუგია, რა გველეშაპი შემოჰხვევია იმის დარღვეულსა და დაშლილ სახლ-კარს.

აი, ასეთი ბატონიც გამოჩნდება ვაჟას ამ მოთხრობაში. ფუტუროლესჯდომია ყავრული სახლის სვეტებს. ყავარიც ჩამპალა და ჩამოშლილა. ნადიმი, წინწილის, ჩანგის ხმა კი გამოულეველი ყოფილა ამ სახლში, როგორც ვაჟა გვამცნობს.

რაღა დარჩენია თავად ზაალს — შოტლეპილი თავისა და რამდენიმე ნაბდის გაშლა „მამულის“ მეტი, სადაც თითო-ოროლა მზისგან და ქარისგან შეწუხებული ჯაგის გარდა არაფერი ჩანს? დიდი იუმო-

რით აგვიწერს მწერალი, როგორ გამოიტანს ხოლმე დროისგან გაძარცული თავადი დურბინდს და გასცქერის თავის „სათაყვანო მამულებს“, თან წარსულს ელაციცება, როცა ბატონი ბატონობდა, უნდოდა, ულვაშს ააგლეჯდა დარბაისელ გლეხსა, უნდოდა, წამოაქცევდა და როზგქვეშ დააწვენდა.

აფსუს, რა დრონი წარვიდნენ?

აი, ვისი მსხვერპლი ხდება საბრალო დედა-ტრედი, დაღლილი რომ ჩამოჯდა ბატონის ეზოში და ბატ-ინდაურებში გაერია — მარცვალს დაუწყო კენჭვა.

იჭექა ბატონის ჯაზაირმა.

გმირობა ესე დიდმან თავადმან ბატონმან ზაალმან ჰქმნა ღვინობისთვის დღესა, ჩყ წელსა, თუმცა „ქართლის ცხოვრება“ ამაზე არაფერს გვეუბნება.

დიდი, დიდი სამამულო ფიქრი ბრუნავს ამ პატარა, „საბავშვო“ მოთხრობაში. თუმცა, რატომ საბავშვოში?

ტკივილს არა აქვს ასაკი...

არც სიყვარულს აქვს ასაკი...

ვაჟას მოთხრობებიც უასაკოა, დიდთა ვნებათა, დიდთა ფიქრთა და დიდთა ტკივილთა დამტევი.

ყველა მათგანში კლაპტარივით ანთია ვაჟას სული, სული უკვდავი...

*

ქუჩი გენიალურობის ის გამოშუქებაა, რომელიც კათარზისის მშვენიერებას აზიარებს მკითხველს. უფრო კი ჰიმნია, გინა თუ დიდი მოგვის სულის ხმამაღალი ლოცვა და ღაღადისი პუნების მთლიანობაზე, ერთ კონად შეკრულ ცოდვა-მადლზე, სასრულსა და უსასრულოზე.

სადაც დიდი ფშაველის მზერა შეანათებს, იქ აღარ არსებობს პუნების საიდუმლო — ის უკვე პოეზიის საკუთრებაა, სიტყვად გადმოღნარი და შთაგონების წმინდა ცეცხლში გამოტარებული.

ვაჟას არ დარჩენია რაიმე ნახატი. ფერთამეტყველება, ფერწერა არ ყოფილა მისი სტიქია. ცოდვა გამხელილი სჯობია, იქნებ სხვა დროს და სხვა პირობებში დიდი ფშაველის რენესანსული მრავალჭრელოვნების სხვა ჩანახატებიც აელვარებულიყო, მაგრამ ამ შემთხვევაში სხვა რამის თქმა გვწადია. „ქუჩი“ — მშვენიერი ფერწერული ტილოც არის, რომელშიც მაღალი პოეზია და ღრმა ფილოსოფიაა

ჭანფენილი. ვაჟა ეძიებს, ეძიებს ბუნების ჰარმონიულობის არსსა და მისი გამოვლენის გარეგნულ ფორმებში ჩადებულ შინაარსს. მტანჯველია ძიების ეს პროცესი, რამდენადაც სამყაროს კანონზომიერებანი ჩქარად ვერ ეტევა ადამიანური განსჯის ლოგიკის სფეროში. ერთ-ერთ ასეთ „ამოვარდნად“ ამ მოთხრობაში ძალმომრეობა, უფრო სწორად ძალმომრეობითი სიკვდილი ჩანს.

ვაჟას მსოფლაღქმაში სიკვდილს — ამ შიშით ბრძენს ფრიად საპატიო ადგილი უჭირავს. სიცოცხლე სიკვდილით არის, როგორც დღე-ღამით, თეთრი — შავით და სილამაზე — სიმახინჯით. ზოგიერთი სიკვდილი უდიდესი მისტერიაა, ისევე აღიზიანებს ვაჟას ფანტაზიას ადამიანის თვალებში ჩამჭკნარი სინათლე, სიცოცხლის უარყოფისა და სხვად ქცევის დიალექტიკური პროცესი, როგორც თვით სიცოცხლის, არსებობის ფენომენი. ძალმომრეობით დაჩქარება იმისა, რაც გარდუვალობის ლოგიკით უნდა მოხდეს, აბსოლუტური უაზრობაა, ასეთი აზრი ამოტივტივდება ქუჩის მსჯელობაში.

რა აწუხებს მთის ბალახს, კლდის შვილს? რა ფიქრი გაჰბმია თავალწინ აბლაბუდად? რაზე სწუხს მისი მწვანე სული? — ამ კითხვას ლამის ცენტრალური ადგილი უჭირავს მოთხრობაში.

რამ აგამღვრია, რამ აგშალა ფიქრად, კლდის შვილო?

ამ კითხვის პასუხი ის არწივი ყოფილა, ქუჩთან ახლოს რომ ბუდობს. ჰაერს შეაკანკალებს ხოლმე იმის გაღვიძებაზე. გადმოდგება კლდეზე, საზარელი ბრჭყალებით ცივ ნაპრალს ჩაფრენილი, გადაჰფენს უფსკრულზე იმ თავის მეფურ ჩრდილს, საზარელი ყეფით წავა ზევით, ცას აკრული ღრუბლებისკენ და ვერ კი ამჩნევს შიშით აკანკალებულ, ზაფრით კიდევ უფრო დაპატარავებულ ქუჩს, თავის დიდ დედას, ზავით ჩალესილ კლდეს რომ მიჰკვრია ცივ მკერდზე.

არწივი არწივია, კრუხ-წიწილის საკენკი ბუნებას მისთვის არ გაუჩენია, ხორცი შია, ცოცხალი ხორცი, სისხლით უნდა დათვრეს, თბილი სისხლით, მსხვერპლის ნაფლეთების კვნესა უნდა ესმოდეს, გაწიწკნილი ძვლებით სავსე სუფრა უნდა აულაგოს მთის ნიავმა და მერელა მიეცეს მეფურს მოსვენებას.

ჩამოღადრავს ხოლმე სისხლი კლდისპირს, გულისპირზე ეწურწურება ქუჩს, ზედ ეგლისება წითელი, ბლანტი სითხე, მერე მზე გამობრძანდება ღრუბლებიდან, ზედ შეახმება იმ ცოდვის სიწითლე და იტანჯება ბალახი მთისა, ტირის უხმოდ, უსუნთქველად. იცის, რა საზიზღარია ამ დროს, როგორ არიდებენ თვალს გალმა ფერდოზე შეყრილი ყვავილები.

ქუჩის მონოლოგი აღსარებაა, სიცოცხლის საგალობელია, ამ ქვეყნად ყოფნის სიხარულითა და ტკივილით სავსე. ვაჟა-ფშაველა

მთლიანად ეუფლება მკითხველის ფანტაზიას და ბუნებრივად ჩართავს მას შემოქმედებით პროცესში, ასე იქმნება გამოგონილი სინამდვილის სრული ილუზია, მხოლოდ ჭეშმარიტი გენიის ხვედრია ფრაზის ისეთი კეთილშობილება, გრძნობის ისეთი გასაგნობრივება, როგორსაც ქართული მწერლობის ამ შედევრში შეხვდებით. მხოლოდ ვაჟას შეუძლია წყლის წვეთში დაგანახოს მთების ურჩ შვილად დაბადებული, ნაპირებს შეწყვეტილი მდინარე, სიპზე დაგიწეროს კლდეთა ფიქრი და სხვადასხვა მდუმარე თავგადასავალი, მინდიას გრძნეულებით აგიხსნას ყვავილთა ლამაზი სიზმრები. ეს, რაღაც სხვისთვის აუხსნელი და იდუმალი ცხოვრობს ვაჟას შემოქმედებაში, მხოლოდ დიდი ჩარგლელის ყველგანმავალი თვალით დანახული, მხოლოდ ბუნების ტყუპისცალისთვის მისაწვდომი. ეს მომენტი ხანდახან ცისკრის ვარსკვლავივით გაკრთება ხოლმე მოთხრობის მხატვრულ ქსოვილში. ასეთი შინაარსისაა, მაგალითად, ქუჩის მიერ ტკბილი ამოკვნესასავით ნათქვამი: „ვინ იცის, თუ მე პირიმზე მიყვარს“?

არა, კაცობრიობა თავისი დასაბამიდან ემზადებოდა ვაჟას მოსვლისთვის. ვინც სინათლეს თვალს აუხელდა, თამამად შეაღებდა ბუნების საიდუმლოებათა კარს და მსოფლიო ჰარმონიის მშვენიერებას ხელახლა აზიარებდა ცივილიზაციის მძიმე ტვირთით დაღლილ ადამიანს. განა კი მანამდე არ უცდია ადამის ძეს ბუნებასთან ახლოს მისვლა, განა, თუნდაც ქართულ ენას რძესა და პურს ჩვენი სულისა, არ ეტყობა ბუნების შეცნობის, მის მანამდე უხილავსა და უგრძნობელში შეჭრის ვნება? მაშ რატომ დაარქვა თუნდაც ამ პატარა, თბილ ყვავილს პირიმზე? განა ამ სიტყვაში არ იგრძნობა ვაჟას მსოფლაღქმის პულსი? განა ცოტას ამბობს ამ მხრივ ჩვენი ზეპირსიტყვიერება? გაიხსენეთ:

ფარავნის ველზე მივდივარ,
უკან მომყვება ქარიო,
ჯინ შემეგება პეპელა,
წითლად უჩანდა მხარიო,
სალვარლის კაბას ვამსგავსე,
ღმერთო, დამწერე ჯვარიო...

იცის ეს ვაჟამ, იცის, როგორც ქართველმა და პოეტმა, ამიტომ წერს კიდეც „მიყვარს ეს ყვავილი... იმას კაცები პირიმზეს ეძახით, რადგან პირი და თვალები მუდამ მზისკენ აქვს მიპყრობილი, მზის მოტრფიალეა, როგორც შვილის თვალები თან დასდევს დედას და ცდილობს, არსად დაკმალოს დედა, ისე ამისი. მზე დედაა, პირიმზე — შვილია მზისა“.

დაუკვირდით ვაჟას სტილს. როგორი უბრალოებით, როგორი ეჭვშეუტანელი უშუალობით ავსებს სტრიქონებს, არაფერი ზედმეტი, გარეგანი მზერით მიკრული და მიტმასნილი. იგი თითქოს იმის კონსტანტაციას ახდენს, რაც იყო, არის და იქნება. ასეთია ბუნების ამ დიდი ეგზეგეტიკოსის მზატვრული კრედო, ყოველ შემთხვევაში იმ პროზაული თხზულებების მიხედვით მაინც, რომელნიც ბუნების სურათებს გვიხატავენ.

დიახ, ადამიანმა შეიძლება იცოდეს, რომ პირიმზე „შვილია მზისა“, იმიტომაც ეძახიან კაცები „პირიმზეს“, მაგრამ ვის შეუძლია ჩასწვდეს ქუჩის ფიქრთა და გრძნობათა სიღრმეს? ვის შეუძლია მიხვდეს, რომ ასე გახელებით შეჰყვარებია მზეს თეთრი ქალწული, „კაცები რომ პირიმზეს ეძახიან?“ აქედან იწყება სწორედ ვაჟას სამყარო.

ქუჩის აღსარება, ალბათ, ისევ თავისი აღსარებითი ფორმის გამო „შვლის ნუკრის ნაამბობს“ გვაგონებს. ეს არის სიცოცხლის სიხარულის ღვთიური ფენომენის, ცოდვა-მადლის, ყოფნა-არყოფნის ფილოსოფიური განსჯა, რომელიც ასე ორგანულად არის შეზავებული ძძაფრ ლირიზმთან. შეყვარებულ ქუჩს ავიწყდება „ქედზედ მოკიდებული ხავსი და ობი“, „თავი პირიმზე ჰგონია“ და „გიჟივით ამბობს: „შენი ჭირიმე, ლამაზო, შენი!“

აქ და სწორედ აქ იბსნება ვაჟას მსოფლაღქმის ახალი კარედი, მისი შეხედულება სიცოცხლის არსის ყოვლისმომცველობაზე.

ვერა, მზერას ვერ დაგიტკბობს, ქუჩი, პიტალო კლდეზე აბაბღებული ბალახი მთისა, ართვალია, არჯალი, ლოდიდან ლოდზე გაბმული. აბა, სად ისა და სად გაღმა ფერდაზე ამოშუქებული ყვავილები? გონჯია ქუჩი, ბზისავ, გონჯი და რაღაც უშნოდ გაბარტყული. ჯერ ასე რა არის და მერე არწივის უცოდველ მსხვერპლთა ზედ შემხმარი სისხლით ჩაძინებულ-გაღვიძებული რა უნდა იყოს! მაგრამ ამავ დროს რა ლამაზია ქუჩი იმ თავისი წმინდა ფიქრებით, სიყვარულის დიდი უნართ, ყოვლისშეცნობის მოუთოკავი სწრაფვით, როგორ ალაპაზებს სიცოცხლის სიხარული! სამყაროს ჰარმონია აბსურდი იქნებოდა, ამაყი მშვენიერების გვერდით თავდაბრილი და მოკრძალებული სიმახინჯე რომ არ იდგეს. და, მეორეც, მშვენიერება სულის საუნჯეა, განცდათა და ფიქრთა შინაარსშია, უპირველეს ყოვლისა.

დიახ, ალამაზებს ქუჩს სიცოცხლე, მის არსში წვდომის წყურვილი თვით სილამაზის დანახვისა, მისი აღფრთოვანების ნიჭი, მრისხანებასთან, სხვის დაჩაგვრასა და დამდაბლებასთან შეურიგებლობა, სიბრალულის თანაგრძნობისა და თანალმობის სწრაფვა.

ბუნება საიდუმლოებით არის სავსე, რომლის შეცნობა ადამიანს ძალუძს, თუ იგი განიწმინდება, განიშორებს იმას, რაც არსშივე ეწინააღმდეგება სიკეთის ცნებას, მაგრამ ამ შეცნობასაც თავისი საზღვარი აქვს, რომლის იქით გადაბიჯებაც მოკვდავს არ ძალუძს და ეს საიდუმლო რჩება, როგორც კაცთა მოდგმის ფიქრისა და მარადიული განსჯის საგანი.

ეს სიკვდილის საიდუმლოა...

ამიტომ ჰკვნესის ქუჩი...

„სეტავ ვიცოდე, სად მიდიან ზამთრობით ყვავილნი?“ ეს კითხვა უწეწავს ქუჩს. ფიქრებს? სად მიდიან ყვავილები, რატომ ჩაქრება ბოლმე გვიან შემოდგომით გალმა ათასფერად ანთებული ფერდობი, ვით მიაქვს თოვლად, ნამქერად და ზვავებად ჩამოწოლილ ზამთარს ეს სილამაზე?

ქუჩი ცნობადისაკენ მიმავალ გზას ეძებს. მან არ იცის, რა არის სიკვდილი, არყოფნის სიცარიელე და სიბნელე. ბედნიერია იგი ამ არცოდნით, რამდენადაც გარემომცველი სამყაროს მარადიულობის, მუდმივობის ილუზია სულიერ სიმშვიდეს ანიჭებს. მისთვის ყვავილები არ ჭკნებიან, არ ქრებიან, მხოლოდ სადღაც მიდიან. სამყაროს ასეთი ბავშვური აღქმა თავისთავად დიდი პოეზიაა, მაგრამ იგი ვერასოდეს ვერ შექმნის გარემომცველი სინამდვილის ჭეშმარიტ ხატს, რამდენადაც არ აღიარებს ამ სინამდვილის მუდმივობას მის ცვალებადობაში, ანუ არ მოიაზრებს ყოფნის არსს არყოფნის ფენომენში, რის გარეშეც ბუნების ჰარმონიულობაზე მსჯელობა მხოლოდ ხელეპის მოფშვნეტა თუ იქნება.

ამიტომ არის ქუჩი „ბენტერა“, როგორც დაბლიდან აშოსძახა კლდეს მო ყვეტილმა, ცივმა, არ-წვიმისაგან ნაკენკმა და ნაკოდმა ლოდმა.

ადრეც ხედავდა ქუჩი არწივის სისხლიან მეფურ ნადიმს, მაგრამ ვერ ხვდებოდა, რომ მაღლიდან სწორედ სიკვდილი მოწვეთავდა სიპებზე და ჭიაფრად ღებავდა წვიმისგან ჩარეცხილ პიტალოს. მის არსებაში პროტესტი მხოლოდ ძალმომრეობის აქტმა გააღვიძა. „ბენტერა“ ქუჩი მოვლენებს ზედაპირულად აღიქვამს, მისი მზერა მხოლოდ გარემოს ხილულს სწვდება, მაგრამ უხილავს, ანუ იმას, რაც გონების თვალით არის დასანახი და განსჯით განსასჯელი — ვერა.

ისევ პირქუშმა, მძიმედ ნაგდებმა ლოდმა აუხილა თვალი.

„ქუჩო, შე ბენტერავ, ამას სიკვდილი ჰქვია“... „სიკვდილი“ — ეს სიტყვა ქვეწარმავალივით მოსისინდა ქუჩთან. მაშ, ყვავილები სადმე კი არ მიდიან, კვდებიან. ჩაუჭკნებათ ხოლმე ის მშვენიერი ფერები,

მზე და ქარი ჩაახმობთ, რომ შემდეგ მთის ნიავმა სადღაც გადაკარგოს მათი მშვენიერი სიცოცხლისგან დარჩენილი ნავლი.

მაშ, სიკვდილი ძალმომრეობა ყოფილა, მკაცრი, ცივი და გაუგებარი სინამდვილე, აუხსნელი, გაუშიფრავი ჭეშმარიტება. ამიტომ ვერ გაუგია ქუჩს, რატომ აირია ერთმანეთში დაბლა ვაკეზე მხედართა ორი გუნდი, რატომ გარბოდა მინდორი ცხენების ფლოქებქვეშ, რატომ ამოაშუქებს ხმლები ქარქაშებიდან და რატომ აივსო ჰაერი აწივლებული ისრებით, ზრიალით გაფრენილი შუბებით...

მერე რა ლამაზები ყოფილან ეს ჩაქურებიანი, ახალ შუბლზე ქოჩორშეყინული ვაჟები, ახლა იმავ მინდორზე რომ წვანან, მკერდზე მთვარის შუქი რომ ემცვრევათ და ახლო-მახლო ლაშლაშით უსხდებიან ლეშის მოტკბო სუნით გაბრუებული სვავები.

ეს ყოფილა სიკვდილი...

სწორედ ამ საიდუმლოს ამოხსნის შემდეგ უნდა გაიხსნას ქუჩისთვის სამყაროს ჰარმონიულობის რთული და საოცარი მშვენიერება. ასეთია ცხოვრების ლოგიკა. ცხოვრების ლაბირინთებში შეჭრის სტიქია. შეცნობის ეს წადილი და მისი შედეგიც, სავსებით ბუნებრივია, რამდენადაც რეალობაა, მაგრამ ამ ცნობადის შემდეგ, ალბათ, დაიკარგება უშუალობის, მშვენიერი გულუბრყვილობის მომხიბვლელობაც და ასე, ცხოვრების სირთულეში, მის იდუმალში გარკვეულებს სამუდამოდ დაგვავიწყდება ულამაზესი და უნაზესი კითხვა.

„ნეტავ სად მიდიან ზამთრობით ყვავილები"? მაშ როდის არის ადამიანი ბედნიერი? როცა ცნობადის ხის ნაყოფით ტანდამძიმებული განსჯის ჭაობში მიტოპავს, თუ, როცა უკვირს, „სად მიდიან ყვავილები ზამთრობით?" როცა არ იცის, რა არის სიკვდილი და მხოლოდ სიცოცხლის სიხარული დაჰნათის თავზე?

დიახ, ამ პატარა მოთხრობაში რომანია ჩატეული, კაცობრიობის ტანჯვით, უცნობადიდან ცნობადისაკენ ლტოლვით სავსე ცხოვრებაა ჩაზავებული.

ჭეშმარიტების შეცნობა მტკივნეული პროცესია, მაგრამ აუცილებელი, ფაუსტური სითამამით უნდა მისდევდეს ადამიანის სულის იმ ძახილს, რომელსაც სწორედ აქეთკენ მიჰყავს იგი.

!

*

ვაჟას პროზა რომ არა, მართლაც, შეუძლებელი იქნებოდა ვაჟა-ფშაველას ფენომენის სრულყოფილი აღქმა, რამდენადაც მის ბელეტრისტიკაში ღვთაებრივი ნიჭის ახალ-ახალი მიჯნები იშლება.

პატარა მოთხრობაში „დათვი" ძალუმად იგრძნობა ვაჟას იუმორის

ძალაც. გარდა ამისა, იქმნება რეალურობის სრული ილუზია. ზუსტად შერჩეული ლექსიკა, ნიუანსებით მდიდარი ფრაზა, მოქმედების განვითარების ბუნებრიობა არა მხოლოდ საამო საკითხავად ხდის ამ თხზულებას, არამედ ბელეტრისტული ოსტატობის აშკარა ნიმუშადაც წარმოგვიდგენს.

ეჭვი არ არის, რომ დიდ პოეტს იგი იუმორისტულ თხზულებად ჰქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ ეს იუმორი ცხოვრების სინამდვილიდან უნდა ამორჩეფილიყო, თვით გლეხის ყოფაში, კერძოდ დათვზე სანადირო სამზადისსა, მონადირეთა განცდებს და თვით ნადირობის კურიოზებში გამოვლენილიყო, ანუ თვით სიტუაცია ყოფილიყო ღიმილიანი. და ეს ასეც არის. მკითხველს თვითონვე ხალისიან განწყობილებაზე აყენებს კეტებით, ნაჯახებით, ჟანგიანი ფილთა თოფებით შეიარაღებული კრებულის სილვა — დათვზე გადამჯდარი თევდორე, რომელსაც გაუგია, რომ მისი დამორჩილება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ ყურებზე ხელს ჩაავლებ, შიშით სულმკვდარი სოსიკა ბიჭი, დედისაგან მისი დატირება და ა. შ.

კიდევ ერთი მომენტი უნდა გამოიყოს, რომელიც ასე აახლოებს ვაჟას და დავით კლდიაშვილის იუმორს (ვგულისხმობთ იუმორის აღმძვრელი პასაჟების სავსებით რეალურ პლანს), რომელიც თავისთავად სასაცილოს არაფერს შეიცავს. პირიქით, უაღრესად ზუსტი და სინამდვილის თარგზე უზადოდ გამოჭრილია.

გლეხობა დათვზე სალაშქროდ ემზადება. სწორედ სალაშქროდ, რამდენადაც ნადირის კბილი ვერც სიმინდით გაძღა, ვერც კამეჩითა და ვერც კერატით. ეხლაღა გამოუტანია გლეხკაცობის დიდი ხნის დამუნჯებული მაჟარები, ჟანგით ნახრავი სიათები, ძელიხეებზე გადებულა, დავიწყებული შუბები. ვის წალდი გაურჭვია ქამარში, ვის კიდევ პირგაბასრული ცული გაუდგია მხარზე. სიტყვის სამუნათოდ ვთქვი თოფმაჟარი, თორემ იმათაც ზოგს ჩახმახი მოშლია, ზოგსაც ფალია დასჟანგებია და გადაყლაპული ტყვია ლულიდან ვეღარ გამოუგდია. რა სევდა ამოიჭინჭრა, მკითხველო, ამ თითქოს უწყინარი იუმორით გაჯერებულ სტრიქონებში. ისა, ჩემო კეთილო, რომ ეს ის ქართული სოფელი აღარ არის, წინათ რომ მტერს მოქნეული ხმლებითა და აყეფებული თოფებით ხვდებოდა, სადაც ყველა გლეხი, გლეხის გარდა, რაინდიც იყო. აი, ისეთი, როგორიც ელვა-მეხიანი ალუდა, სულკურთხეული ლუხუმი, და თუშეთის ჰექტორი — ზეზვა გაფრინდაულია... რუსულ მშვიდობას, სულის ხანგრძლივ უძრაობას ფაფასავით უხარშავს მათი ნებისყოფა, ჩაუკლავს წინაპართა გმირული ნიშატი და დროს საწყალ გლეხებად, ჩამოკონკილ-ჩამოგლეჯილ ტეტიებად უქცევია დიდებულ გმირთა გვარ-ნაგრამი.

ამიტომ ვაჟას იუმორი, თანაგრძნობის, თანალმობის იუმორია, იუმორი სევდანარევი, რომელშიც წარსულ დროებზე დარდის გარდა, გარდასულის ნატერის მარგალიტიც ბრწყინავს.

ასეთია ამ „საბავშვო“ მოთხრობის ერთი პლანი.

გააჩსენე, მკითხველო, როგორ დასტირის შიშისგან სუნთქვაგანაკვეთ სოსიკა ბიჭს დედა და შეადარე იმ ჩვენი წარსულის დედა-შვილობას, როცა ქართველი დედა ჯერ ზურგს შეუთვალიერებდა შინ მობრუნებულ მეომარს — ნახმლევი ან ისრის ნანესტრალი ხომ არ სჭირდა მისთა ძუძუთა სამარცხვინოდ.

თითქოს სულის ამ ჭრილობის პირის შესაკრავად დაუწერია ვაჟას თავისი კალმის ერთი სიამაყეთაგანი „ბათურის ხმალი“ — პოლოგია გმირობისა, კაი ყმობის უკვდავი ჰიმნი. ბათურიც გლეხია, ისიც ფშავური წყალ-ჭალის გაზრდილი, წარბზე მიმინო უზის და ქვეყნის მტერს ომებში გაწვრთნილი ხმლით პირველი ხვდება. ბევრჯერ ვადამდე შელებილა მომხდურის სისხლით ბათურის მძიმე ხმალი, ბევრჯერ უზიდავს სიკვდილი მტრის ბანაკში და უსახელებია პატრონი.

მოთხრობა ბათურის დატირებით იწყება. არა, ეს არ ჰგავს მოკვდავის გლოვას, ასე კვდებიან ჰომეროსის პოემებში ტროას კედლებთან მებრძოლი, მსუბუქი ხიტონებითა და „გრძელჩრდილიანი“ შუბებით, სპილენძის წითელსხივიანი ფარ-მუზარადებით შეჭურვილი ღმერთების შვილები.

საშობლოს ნამდვილი შვილი არ უკვდება და წუთისოფლის კარებს მხოლოდ იმიტომ გაიხურავს ხოლმე, რომ უკვდავებაში შეაბიჯოს.

ასეთ სიკვდილს ეზიარა ბათურიც იმ თავისი სახელიანი, ქარცეცხლიანი სიცოცხლით. როგორ არ წაგვიკითხავს კაი ყმის დატირების რიტუალის შესახებ ძველ საქართველოში, მაგრამ ვაჟამ და ალექსანდრე ყაზბეგმა ამ უძველეს ყოფით ადათს სხვა სული შთაბერეს.

აი, ახლაც საკაცით ამოიტანეს ბათური თავის სამშობლოში, თავის ფშავში. ტანს შეჰყინვია ფოლადის აბჯარი და თავთაც რკინითვე დარახტული ცხენი უდგას. მძიმე უზანგები ჰკიდია აღკაზმულ უნაგირ-ჩოსართავს. ქვეყანას მოუკვდა კაი ყმა და გლოვა ცასა სწვავს, მაგრამ ამ მწუხარებას ზენა შუქსა ჰფენს ვაჟკაცის სახელი, რომელსაც ისევე ვერ მიეკარება სიკვდილი, როგორც მზეს ვერ ჩააქრობს ავსულის წყევლა.

თუ არ ვცდები, აქამდე არავის შეუნიშნავს ბათურის ხმალში ერთი ადვილად საცნობი და ამოსახსნელი რეალია — ბათური თავი-

სი გოლიათობით, ბექიევით მძიმე ცხენით სხვებისგან უძვრელის ხშლითა და შორს ნავალი სახელით ვახტანგ გორგასალის ასლი და კვალია, რაც ამ ორი გმირთაგმირის სიკვდილის მსგავსებითაც წაიკითხვის. აი, რას წერს ამის შესახებ ვაჟა: „თავად ბათურსაც მტრის ისარმა მოუღო ბოლო, გააფთრებულს ბრძოლაში, ხმლის ქნევის დროს, ისარი დაჰკრეს იღლიის ძირში, რადგან იმას არ უფარავდა ჯაჭვი“.

ანალოგია ვახტანგის ისტორიასთან იმდენად ნათელია, რომ ეს დამთხვევა რემინისცენციადაც ვერ ჩაითვლება, გინა თუ უბრალო ანალოგიად. ამ ორ მსგავსებას უდაოდ ავტორისეული გარკვეული გააზრება უდევს საფუძვლად.

„ბათურის ხმალი“ ზეალმავალი ჰიმნია დიდი და სახელოვანი წარსულის უკვდავებაზე, ვაჟას გენია ჩახჩახებს ამ პატარა მოცულობის თხზულების ყველა ფურცელზე.

დიდ შემოქმედს არ სწყმს მკვდარი ნამყო. დროს თუ ჟანგი მოედო, თუ ჩახმა გენეტიკური კოდი, მაშინ წარსული პატიოსან მიცვალებულად რჩება, ვისაც ცრემლის სველი მარცვლები აყრია გულზე და არა იმ ბრძენად, რომელიც აწმყოს მომავლისკენ სავალ გზას უწვალდავს.

ვაჟას ეს შედევრი მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს სინამდვილით არის დაღდასმული და ისტორიულ წარსულზე „თერგდალეულთა“ შეხედულების მხატვრულ ხორცშესხმად აღიქმება.

ქართველმა რომანტიკოსებმა კლასიკური ტრადიციები დაუნთეს საქართველოს წარსულს, ცრემლებით ალბობდნენ „ქართლის ცხოვრების“ კაბადონებს, ბულბულის კვნესითა და თალხი გრძნობებით სავსე ლექსებით დასტიროდნენ სარკოფაგში ჩაკეტილ თვალიქითა საქართველოს, წინაპართა უდრეკი სულის უძვრელობას, გარდასულ დიდებას. რომანტიზმის ცისფერი ბურუსი ხვალინდელი დღის ხილვას ხელს უშლიდა და ერის საშომავლო ფიქრს ბურნუთივით ახშობდა. ახლა ცოცხალი წარსული იყო საჭირო, მკვდრეთით აღმდგარი, ფარხმალასხმული და უკვდავებასავით ცოცხალი, თორემ იღუპებოდა ძველი საქრისტიანო, მონობის უღელი და აპეური ახრჩობდა საქართველოს.

სად გაგონილა არწივი კრუხად დაჯდეს და ბოხბის ლაპები დაჩეკოს? დიდმა დიდი უნდა შვას. აკი დიდი ილიაც ბრძანებს. გლოვაჩივილს მოვეშვათ და ყევარში ერთ მზარეს ჩუმი საქმე შევაბათ, მეორეში კიდევ მამულის უანგარო სიყვარულიო. აი, მაშინ გაუთენდება ხალხსაც და ქვეყანასაც.

ასეთი საფიქრალი სწერს ბათურის ხმლის ამბავს. ამასვე გულისხმობს ომებში ნასერ-ნაჩეხი რაინდის — ხეტეს სიტყვები.

როგორც ზემოთ ითქვა, დიდის პატივით დამარხეს ბათური, სამი წელი გადასდიოდა მის საფლავ-სადგომს ცრემლის ალაზანი, მაგრამ შემდეგ ყორანივით გაფრინდა მწუხარება და მარტო დარჩა ბათურის ხმალი, ირმის რქის კარჩხაზე ჰკიდია გულდაგულ ნაპოხი და ლუმით მაძლარი.

შვილები როგორ არ ჰყავს ბათურს — ლეგა ბიჭებს სვილისფერი გადასდით სახეზე, ომშიაც ქარბორბალასავით ბრუნავენ, მაგრამ, ვაი რომ, მამის ხმალი მუხლამდეც ვერ ააქვთ, მაშ წელზე როგორღა შემოირტყან და ელვად აუნთონ საქართველოს მტერს?

ეს იყო ეპოქის წყევლაკრულვიანი საკითხავი.

არავინ აღმოჩნდა აწმყოში, ვისი მკლავიც დასწვდებოდა გმირის მახვილს. ერთადერთი, ღირსი ბათურთან წილნაყარობისა, ხეტეა, მასთან ერთად ბევრ ცეცხლსა და მორევში ნავალი, ღრუბელივით ჩაჭუფრული, ულვაშებგაბმული, ნაისრალი და ნაჩეხი ვაჟკაცი, სიტყვაძვირი, მაგრამ საქმემრავალი, კელაპტარივით ანთებული მზერით, ხარის ქედითა და ახალი მთვარესავით წმინდა შუბლით. ვალმოხდილის ღირსებით დგას ხეტე ჯარიანში. მის სიტყვას წონა და ფასი აქვს. იგი გაუტეხელობის, სულის უძვრელობის მაგალითია, ხატივით წმინდა, ხატივით ზეიადი და ერის წყლით ნაკურთხი. მზურვალედ დასტირის ხეტე ბრძოლებში მკვლავნაცვეთ მეგობარს, სახეზე რომ სიკვდილი შეჰყივნია და ცას ჩამოწყვეტილი ღრუბელივით წევს ცივ სარეცელზე. ტყუილად არ წერს ვაჟა, რომ ხეტეს გლოვა „ვეფხვის რუხრუხსა ჰგავდა“, ხოლო მისი ცრემლზე კლდის მწარე ნაწურსა და ნაჟურს უფრო იტყოდი. დიახ, გლოვა, ცრემლით სველი გულისპირი დიაცთ შეშვენით, ასე მოდის და მოექანება კაცთა მოდგმის სათავიდან, მაგრამ ბათურის მსგავს გმირებს არ ტირიან, მხოლოდ მკერდს ჩაიმჯიღავენ გზას შემომდგარი მოძმენი და ალესილ მზერას მკერდზე მიაბჯენენ თავისი მიწა-წყლის მტერს, რათა ისევ ბათურისთანა გმირების ნალვაწ-ნასისხლი უმრავლონ ქართულ მიწა-წყალს.

არა, ხეტე არ ტირის. ეს ლომისებური ბუხუნი თუ ვეფხვის რუხრუხი აქილევსის რისხვაა, ვაჟას მიერ ჰომეროსის თვალით დანახული და გენიის ემბაზიდან ამოზიდული.

რას უქნიან ვაჟას ფიზიკური სიკვდილი, ძვალთან ხორცის გაყრა, სულის თარხნობა, როცა სამზეოზე სახელი რჩება — სხვათა სახელთა გამზრდელი. საგლოვი და თავში საცემი მაშინ არის, როცა ერი წრიოკდება, ხელ-ფეხი უგრძელდება და უიმედობის ჟანგი მოედება, როცა აღარ იძვრიან წინაპართა საფლავის ლოდები.

აქ დევს ამ მოთხრობის სიმძიმის წერტილიც.

ბათური ცამ აიტაცა. ღმერთების საფიხვნოზე თუ ზის გმირთა-გმირი, ვარსკვლავები თუ შესცქერიან იმ თავისი ლამაზის თვალების კიაფით, მთვარე თუ გაუშლის ღამით ლოგინს, მზე თუ შესტრფის იმ თავისის მზიური მშვენიერებით.

ეჰ, რა უჭირს, ბათურს, ბედნიერს — ბედნიერის სიკვდილით ცხონებულს, მაგრამ არც იქ მოუსვენია წინაპარს, თუ ქართველს ქართველობა რბილს ბალიშსა და მუთაქაზე გაუცვლია, თუ მამულს მისი კვალის წინ გამძღოლი არ შერჩენია.

წარსული აწმყოში ცოცხლობს — აქ არის მისი ტოტი და ვარჯი ამოყრილი. აქ მოწმდება მისი ძალა.

*

აქეს ვაჟას დაუმთავრებელი მოთხრობები, პოეტის მღელვარე სუნთქვით აბიბინებული სტრიქონები ბოლომდე უთქმელი ტკივილითა და სიხარულით არის სავსე. ის ერთი მაინც, უსათაურო, ალბათ, მაშინ არის დაწერილი, როცა ცისა და მიწის სიბრძნე ხელისგულებზე ედო ლუკას, ხოლო მისი აღმაფრენა სამყაროს უსასრულობის უხილველი და შეუცნობი იდუმალებისკენ მიჰქროდა.

ეს შედევრიც ჩარგალში, საქართველოს ვაიმარშია დაწერილი. მთელი ნაწარმოები მეტყველი მდუმარებით სავსე ტაძარს თუ საკერპოს ჰგავს, რომლის კედლებზე პოეზიის დიდი ქურუმის ფიქრთა ფრესკები დაბორიალებენ.

სიკვდილი სიცოცხლის სიცხადეა, თუ იმ ამაოების დასასრული, რომელსაც კაცნი ცხოვრებას ეძახიან.

რის თქმა უნდა, მზეს, ყოველ დღე რომ აპირებს და ვერ გაუბედავს.

რა აპურებს ჩვენს იმედს მანამდე, სანამ სამარის ცივი სიჩუმე ალაგეპატრონება?

რას ჰკივის ჩვენი სული, როცა სიკვდილი გაღეჭავს ხოლმე ჩვენსავე ძვალსა და ხორცს?

თაუზე აცვივა კრასთან მიმჯდარ პოეტს ეს კლდეს მომწყდარი ლოდებივით მძიმე კითხვები მთელის თავისი აპოკალიპსური სიცხადითა და გარდუვალობით.

აქ არაფერია ისეთი, რაზეც ადამიანი ვაჟამდე არ დაფიქრებულა და რისი პასუხიც ან ცას არა სცოდნია, ან დედამიწას. ჩვენთვის საყურადღებოა სულის ის ძრწოლა, რომლითაც ეს თხზულება განსაკუთრებულ ადგილს იკავებს პოეტის შემოქმედებაში. თუმცა ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ვაჟა პესიმიზმის აპოლოგეტი

იყოს. ამ მოთხრობაშიც მეფობს მეწამული მზე, აქაც სუნთქვას უკრავს პოეტს სიცოცხლის სიხარული. თუმცა ხილვას ხილვა ცვლის, ჩვენებას — ჩვენება და პოეტის წინ ეშმა როკავს.

ლოცვად დაიდგარა ვაჟა — „ღმერთო, შენ დაიხსენ სული უმანკოთა, სული უცოდველთა, რომელთაც ჯერ ხეირიანად არ დაუნახიათ ცა და ცაზედ ბრწყინვალე მზე და მთვარე".

ღმერთო...

თითქოს განგების ხმა სწვდება ცეცხლთან მიმჯდარ, ქუთუთოში თვალჩაქცეულ გოლიათს — ეს შენ ხარ განა, ვინც მთელ სიცოცხლეს ეყმობი, თითქოს ამ ქვეყნად სიკვდილი არსად იყოს, ან თუ არის, დიდი ვერაფერი ავი და შავი ყოფილა, თუ ადამიანი ვერც ცივი მკვდრით შეუშინებია, ვერც მიწაში ჩაქცეული საფლავებით და ვერცა ხორცგაცვივნული ძვლებით. არა, ლუკავ, არა, ტყუილად გგონებავ ასე, თავს იტყუებ, ბეჩავო, მზითა და მთვარით, აყვავებულის მთა-ველით, ბალახის სუნთქვით.

ეს ყველაფერი ცოდვილის მოჩვენებაა, ზღაპრის ტყუილია და არა თვალხილული სინამდვილე. აბა, გახედე ამ შემოდგომის ფშავსა — აგე როგორ ჩამოუქინძრიათ თავები მთებს, როგორ აბუზულან საწყლები, როგორ სწეწავს ქარი ცის ღრუბელს. გაღმა ჩანჩქერი ჩამოჰყინვია დაღვრემილ კლდეს — ადრე კი როგორ ჰქუხდა, სჭექდა, ბობოქრობდა, თავი უძლეველი ეგონა, ტორსა სცემდა დაბლა ჩამომხობილ ფლატეს, მომკვდარან შენი ლამაზი დობილებიც — ლურჯკაბებიანი იანი, ყური დაუგდე, როგორ ჰყმუის ქარი და იცნობ, რომ სიცოცხლე ჩიტის გამოღვიძებაა, ზაფხულის ღამის სიზმარია, წამწამზე მოკლე და ბულბულზე უღონო. სიკვდილია, პოეტო, უძლეველი, ცისქვეშეთის მარადიული მფლობელი. ვერცა ვინ მოერევა, ვერცა ვინ სადმე წაუვა.

— ღმერთო მართალო, შენ შეიბრალე საბრალონი, — ისევ ტახტზე „ბამბის ქულებივით" ერთმანეთის გვერდით მიწყობილი ბავშვებისკენ გაურბის მზერა ვაჟას.

მაშ, რა ყოფილა პოეტის ბედისწერა? რა და, სიკვდილის აპოლოგია, საფლავთა ოდისეა, უიმედობის შესხმა.

ვაჟა ხატავს სიკვდილის შემზარავ სურათს და ეს სურათი მოჩვენებიდან ლამის რეალობად იქცეს მკითხველისთვის, იმდენად პლასტიკურია მთელი პასაჟი. ჩასძინებია ლუკას ცოლ-შვილს ღარიბთა ძილით. ის კი ფხიზლობს ამ ნაკვერჩხალიევით, ხან რომ თვალს გაშოახელს, ხან კი ნაცარში გაეხვევა და ამ დროს მოხდა საოცრება, რამაც ფრჩხილებიც კი აუკანკალა ვაჟას. სადგომს ჭერი აეხადა, ღა-

მე გამოჩნდა, უვარსკვლავო, ჩაპირქუშებული. ცა ღრუბლებს ეჭირათ. მერე გაირღვა თავანი და მაღლიდან ზღვა გადმოიღვარა, დელგმამ და წყლის ზათქმა შთანთქა ყველაფერი. მაგრამ ეს კიდევ რა საზარელი, ძვალზე ძვალის ცემისა და ჩხრიალის ხმა ისმის? ან ვინ გადმოაყარა ლუკას თავზე ადამიანის შიშველი, მიწისგან გალოკილი ძვლები? თვალბნელი თავის ქალები, მკლავ-კანჭის ძვალ-სახსარი, ხერხემლის მალების თეთრი მძივები? ვინა და იმან, ვაჟას რომ „უყვარს“ — პირბნელმა, შავმა კაცმა, ვისაც, როგორ იქნა, მისწვდა ლუკას თვალი.

რა აზრი იმალება ამ, მართლაც, აპოკალიფსურ ჩვენებაში? სიკვდილის ამ საზარელ მოჩვენებაში? ამ მდუმარე ალეგორიებში?

ვაჟას ფიქრი წუთისოფლის გამოცანას უტრიალებს, რა არის და როგორი არის, რატომ ან რისთვის გაუჩენია ღმერთს ადამიანი, სად სათავე აქვს ბუნების ამ საოცრებას და სად ბოლო, რომლის იქითაც იგი მხოლოდ მტვერია, ერთი საბრალო ნაკლი რამ.

მშიერი ძუ მგელივით ყმუის სტრიქონთა ნაპირებს ადევნებული სიკვდილი, ამაოების მძაფრი შეგრძნებით იმუხტება სიტყვა და თითქოს ვხედავთ კიდეც პოეტის ცრემლებით ჩამოღარულ სახეს, ბალღივით ატირებული ვაჟა იმ განწირულს ჰგავს, ბიბლიურ წარღვნაში რომ ჩალის ღერს ეძებს, როგორც გადარჩენის ერთადერთ იმედს.

სიკვდილი კი, ეს საზარელი შავი არსება, ხარხარებს, ჰკივის, ზრიალებს, მხიარულად აჩხარუნებს ადამიანის ძვლებს.

ნუთუ სულ ესა ხარ, წუთისოფელო, ნუთუ ყოველიე ტყუილია, გარდა ამაოებისა, ნუთუ ყველა ცრუობს — მზეც, ბალახზე გაბრწყინებული დილის ნამიც, ვარსკვლავიანი ცაც და მაკე ფურივით აბღავლებული გაზაფხულიც?

იქნებ სიხარულზე მართალი მწუხარებაა, თვითგვემა და სინანულის თბილი ცრემლი, რომ ადამიანად დაიბადე, იმ არსებად, ვისაც შეუძლია იფიქროს, განიცადოს არსებობის უაზრობა, აღსასრულის გარდუვალობა?

იქნებ?

სადა ხარ, ჭეშმარიტებავ? რომელი გზა მოდის შენსკენ გზა-ბილიკით სავსე წუთისოფელში? მოვედ, მოვედ და მოიტანე ნუგეში, დაკარგული იმედი.

ამ საოცარი მოთხრობის პირველი თავი ცივი ჟრუანტელით არის სავსე, ჟრუანტელითა და ამაოების სასტიკი აპოლოგიით და გიკვირს, გიკვირს მრავალსახეობა გენიისა.

* * *

გინახავთ, როგორ გამოიდარებს ხოლმე დიდი ავდრის შემდეგ? თუმცა რას ვამბობ — ავდრის კი არა, დელგმისა, როცა ღრუბლებში ელვა წითელი გველივით სისინებს, წვიმა ბუქნავს და ცა ჰყვირის, მთები იძვრიან და კლდეები ზანზარებენ? და თუ გინახავთ, ალბათ, დაჰკვირვებიხართ, როგორ გადაიდარებს. ჯერ ერთ ალაგას დაჯდება ხოლმე მთა-კლდეთა სიმძიმე, ღრუბლებიც დაღლილი კამეჩებივით მიეყრებიან ცის უსიერში, წვიმაც, წელან რომ ციდან მიწამდე იყო ჩამობმული, სველ ტირეებადღა მოდის მაღლიდან. ქარიც კოჭლობით ჩაივლის და სინათლის რამ სხივიც გამოკრთება. მერე მზის ლოცვა დააწყნარებს ქვეყნიერებას და გახსნილი ანგელოსი გაიღიმებს...

ასეთ გამოდარებას ჰგავს ვაჟას მეორე ჩვენება. ვიღაცამ გაჰკრა მხარზე ხელი ბნელ საფიქრალში წასულ პოეტს.

„გველდით მედგა ის ტურფა ასული, ის ჩემი იმედი, ჩემი ნუგეში, ჩემი წარსული, ჩემი აწმყო, ჩემი მომავალი — ჩემი სამოთხე“ — ასეთად წარმოგვიდგება ვაჟას სიტყვებით ეს იმედად მოვლენილი საოცრება, და ეჭვი არ არის, რომ იგი სიცოცხლის სიმბოლოა, უბრალოდ სიცოცხლისა, მიწის შვილობისა. ტყუილად არ აცვია ტანზე „ისევ ძველი კაბა“, ხოლო ხელში მუხის ხმელი ტოტი უპყრია. იგი უბრალოა, როგორც ძველი და უბერებელი წუთისოფელი. მას მოაქვს პოეტისთვის ნუგეში და უძველესი შეგონება: „ნუ გეშინიან, გულს ნუ გაიტეხ, იმედს ნუ დაჰკარგავ“.

„იმედს ნუ დაჰკარგავ“, — ზარივით ჰკიდია ეს ხმა იმ ტაძარს, სადაც ვაჟა ლოცულობს.

რთული და მრავალსახოვანია ცხოვრება — აგერ პოეტის წარმოსახვაში მასთან შეყრილი მეგობრები, მხიარულობით განათებული სახეები, ეპიკურული მასლაათი, ვინ ვის უყვარდა, როდის უყვარდა... რა ლამაზი ხარ, ბრძენო წუთისოფელო, უბერებელო მზეო, ვაშად მოსულო სიცოცხლევ. მაგრამ მაინც დაჰჭროლა ქარმან სასტიკმან და მონადიმეთა სახეებს ზედ შესხმო ღიმილი.

„წამოგვეპარა რალაც ფიქრი, საერთო ფიქრი და ყველამ ნელა, ნელა, ნელა შუბლები შევიჭმუხნეთ, თავები დავჰკიდეთ და ერთბაშად ყველამ ერთად დავიწყეთ ტირილი... ვსტიროდით... ვსტიროდით...“

კითხულობ ვაჟას კალმის ამ ამონაკვეს და გახსენდება ტატოს ერთი წერილი, ფრთამოტეხილი მტრედივით მიფრენილი და მაიკო ორბელიანის ხელებში აღუღუნებული:

„ისევ მომწახა ჩემმა ჩვეულებრივმა მოწყენილობამ“... რა არის ამ საერთო ურვის მიზეზი? ვაჟასთვის ეს, პირველ რიგში წარსულსა და აწმყოს შორის ჩატეხილი ხიდია. ქართული მკლავი რომ ვეღარ მკლავობს, ბათურის ხმალი რომ წუხს, წინაპართა ხირიმი და სიათა, ფარ-სამკლავე საფუხრები და ჩაბალახ-მუზარადები რომ საცოდავად იბუზებიან და კარგი პატრონი მოჰკვდომიათ, მათი შემცვლელი კი აღარ უჩანთ საბრალოებს, ამიტომ შნო და ლაზათი დაჰკარგვიათ. „უმადლოდ დაკიდებულები, კაჩხაზე ადგილს იჭერენ“.

* * *

ისევ ტატოს დაკოდილ სულს მოვუსმინოთ — ასპარეზს რომ ეძებს, აქეთ-იქით რომ აწყდება და იქით გზა ვერ გაუგნია, საითაც ბედისწერა უხმობს, მიზანთა-მიზანი ეძახის ტატოს. რბილი ქირქილით დასცინის „სუდა ი რასპრავას“ მოხელის მაუდის მუნდირი, კოკარდიანი ქუდი და ახითხითებული ბოროტი სული!

როგორ ესმოდა ლუკას დიდი წინაპრისა! განა თვითონაც ამ დღეში არ იყო? ისიც ხომ ტატოსავით ლუკმა-პურს ჰყავდა შებმული უღელში — მასაც ოფლის ანაწურით უნდა ერჩინა წვრილშვილი, თორემ ლექსით ნაყიდი ნავთი და მარილიც კი არა ჰყოფნიდა. განა მას კი უგებენ, მისი ესმით? როგორ ჰგავს ლუკა იმ ლომს, ჯაჭვით რომ დაჰყავს პატრონს. მაინც რა დიდებულია, დალოცვილი, როგორი მეფური ნაბიჯით დადის, როგორ გასტეხს ხოლმე ჰაერს მისი ზავთიანი ღრიალი და, აბა, რა სანახაობა იქნება თავის მშობლიურს გარემოში „ხშირს, დაბურულს ტყეში“.

ცოდვა თუა ლომია, ცოდვა იმ თავისი დაუხარჯავი ლომობით, დაგუბებულის ღრიალით და საყელურზე გამობმული მძიმე ჯაჭვით, თორემ მაიმუნი ვის შეეცოდება?

„დიდხანს არ გაუვლია, რომ ახლა სხვა გვეწვია. ვინ იყო? მაიმუნის პატრონი. მაიმუნს ათამაშებდა. ყველანი გავჩერდით, ცქერა დავუწყეთ. მაიმუნის ოინებსაც ისე ვუცქერდით, როგორც ლომს, მაგრამ გრძნობით იმას აღარ ვგრძნობდით; ის, რაც ლომმა გვაგრძნობინა, გაქარწყლდა, გაჰქრა და ყველამ ერთად ამოოხვრით წარმოვთქვით: „ეჰო“.

ამ სურათის ნახვის შემდეგ ყველა რაღაცამ გამოაფხიზლა. ყველას საქმე გაახსენდა, თავ-თავისი წვრილმანი საქმეები, მხოლოდ ვაჟა დგას გაოგნებული, ადგილზე იტკეპნება და იმ თავის გზას ეძებს, რომელზედაც სიარული მხოლოდ იმის ხვედრია, მძიმე და აუცლელი ხვედრი, მაგრამ ვაი რომ არ ჩანს გზაი იგი.

„წაველდი, არ ვიცოდი თუმც, სად უნდა წაჭსულიყავი“...
ისევ ტატოს ნაკურთხი სტრიქონები გავიხსენოთ:

ძნელი არის მარტოობა სულისა,
მას ელტვიან სიამენი სოფლისა...

სულის მარტოობის ეს საოცრად გამძაფრებული შეგრძნებაა, ალბათ, ვაჟას შემოქმედების თავისებურებათა ერთი მთავარი კარის გასაღები მაინც.

თხზულების მეოთხე თავი ისევ ჩვენებათა ლანდებში ტრიალებს — მესროფი მომკვდარა, დიდი მესროფი, ვის სიმდიდრესაც ზღაპარიც ვერ დაიტევდა, ვისი სახელიც ზვავივით ჰქუხდა, ახლა კი სასაფლაოსკენ მიასვენებენ უძლეველ მესროფს. საკაცის უკან რაღაცით დაბნეული, თვალსველი ბრბო მისდევს — ვის ეგონა, თუ სიკვდილის ცელი ამ მუხასაც კაჭკაჭივით მოსთიბდა, ვინ იფიქრებდა, რომ დიდი მესროფი ასეთ საბრალო, უძრავ ლეშად იქცეოდა. მაშ ყველაფერი ამაო ყოფილა — ქვეშასავით უთვლელი ქონებაც, სახელიც — ყველაფერს ამაოების ჭია ბრავს და ბოლოს ადამის შვილი იმად უნდა იქცეს, რისგანაც ღმერთმა შექმნა მიწად, მშრალ თიხად, რამდენიმე მუჭა თეთრ მტვრად.

ასეთი ყოფილა ცხოვრება, მის წეს-განგებას ვერავინ შეცვლის — ვერც ერი, ვერც ბერი.

ასეთი ფიქრი შუბლს უკაწრავს ლუკას, თავზე ღრუბელივით დასტრიალებს და ამ დროს ისევ ფერმკრთალდება სახე იმა ქალწულისა, წელან რომ სინათლის ხმაურიან ჩქერალად შეიჭრა მის არსებაში.

იქნებ ისიც მოჩვენება იყო, როგორც ყველაფერი ამ ოღრო-ჩოღრო წუთისოფელში? იქნებ არცა ვცოცხლობთ და ჩვენი ყოფნა მხოლოდ თვალის მოტყუებაა, ბალახის კვნესაა, მთიბავის ცელი რომ უახლოვდება ხოლმე.

ვინ იცის... უჩინ-მაჩინს სახე არ უჩანს. არც ამ კითხვას დაეძებნება პატიოსანნი პასუხი.

ვაჟა კიდევ უფრო ღრმად ჩასცქერის წუთისოფლის უძირო უფსკრულს, თვალითა და ფიქრით ჩხრეკს ადამიანის სულის კუთხე-კუნჭულს, მისი ხასიათის ყველა ნაოჭს...

უფალო, შენ დაგვიფარე! თურმე მკვდართაც ჰყოლიათ მპარავნი, აფთრის თათით თხრიან, ბარ-ნიჩაბით ამოჰყრიან ბელტებს, რომ სიკვდილიც გაძარცვონ, მოჰპარონ, წაართვან, წაიღონ.

სად არის შენი დაცემის ბოლო. წერტილი ადამიანო, ვითომ ანგელოსო, ვითომ უფლის ხატო და სახევ, ვითომ ყოვლის შემძლევ, მაგ-

რამ მაინც არარავ, ულონო ბუმბულო, სოფლის ჭორო, ძვალხორციანო მოჩვენებავ?!

მეხვიით ეცემა ეს კითხვა თხზულების დასასრულს და უკვირს ვაჟას — რატომ ან რისთვის უსისინებთ ამ ადამიანებს ყელში ბოროტი სული, რატომ სჩადიან ამისთანობას, თუ ისინიც იმავე მიწად უნდა იქცნენ, რომელსაც ახლა მყუდროებას ურღვევენ?

ამას იტყვის ვაჟა და შექსპირული ნაკადის მძლავრი ტალღა აიზნიქება სტრიქონში, რომ ფიქრად, ენებად, ეჭვად და იმედად გადმოიშალოს. გენიალური უბრალოებით დახატული კვდართა გაცოცხლების სურათი შემზარავ შთაბეჭდილებას ახდენს. ჯერ პეპლებივით ამოფრინდნენ მკვდართა სულები გარღვეული საფლავებიდან, მერე თვითონაც წამოდგნენ ცივი პირისახის სრესითა და მთქნარებით, ჩაუბეს ფერხული შუაში ჩაყენებულ მესროფს, როკავენ— ვის კანჭის ძვალი უჩანს ხორცმზერალი ფეხიდან, ვის შიშველი თავის ქალა. მღერიან, იცინიან, ტირიან, მოსთქვამენ.

არც რა ყოფილხარ, წუთისოფელო, არც რა...

სანამ ადამიანი ამ სოფლისაა, მისი სიცოცხლის ხეს ხან შური ხერხავს, ხან მტრობა არყევს, ხან კიდევ წყევლა და შეჩვენება ახმობს.

ბოლომდე წაუკითხავია ადამიანი, ბოლომდე თვალგაუვლელი, შეუცნობი, ხან მყრალი ჭაობი, უკეთური სიბინძურე, ხან კიდევ სინათლითა და სიყვარულით სავსე. ან კი სად არის ისეთი მდინარე, მხოლოდ ერთი ნაპირი რომ ჰქონდეს და სიცოცხლეც ხომ მდინარეა, ისიც ხომ მიდის და მიექანება?

საფლავი და მესაფლავე — ორი ჭეშმარიტება, ადამის მოდგმის ორი თანამდევი. თითქოს ჰამლეტის ხმა ისმის ვაჟას სიტყვებში, როცა სიბნელიდან მაღლა ამოჩრილ მესაფლავეს ესაუბრება: ნუ, მოხუცო, ნუ, ბარს ნუ უღერებ ლუკას, ალბათ ქურდი გგონია, მძარცველი. განა მკვდართა მძარცველებიც არიან? შე კაი კაცო, განა რასა ჰფიქრობენ მაშინ, თვითონ კი არ დაიზოცებიან, თვითონ კი არ დაჰყრიან დაბლა ძვლებსა?

არიან, როგორ არ არიან. სადაც ყარაულია, იქ მპარავიც იმალება. ასეა და ასე ყოფილა.

მაშ, ჯერ შეუგნიათ ცოდვილებს, რომ ყველაფერი არარაობაა და დრო ყოველივეს ჰკლავს...

ჰოი, ადამიანო, ვითომ უფლის სახევ და ხატო, ვითომ სიბრძნის შუბლო, ვითომ ნათელში განბანილო, ვინ ჩასწვდეს შენი სულის ფსკერსა და სიღრმეს?

იძაბება ფიქრი, ტანჯვით იმუხტება პოეტის სული. არაფერი

აღარ უნდა, არაფერი აღარ ახარებს და ეძებს, ეძებს თავის დაკარგულ „მეს“, ამ ქვეყნად ყოფნის უჩინარ არსს. საზარელი გულგრილობა ეუფლება ლუკას, თითქოს ქრება, ჰაერში ლღვება მისი სხეული და მხოლოდ ფიქრი რჩება, ეული, მწარე ფიქრი ტანჯვად ქცეულ წარმავლობაზე.

ჯერ რა აქვს ლუკას და ისიც იწვის. რა მზიარულად უტრიალებს ცეცხლი მის სახლ-კარს, როგორ ურბენს გარშემო. აგერ საბძელსაც უტაცა ხელი, მერე გომურში შევარდა, საქონელი აბღავლა, სახურავზე ახტა და ბოლოს, სვეტად ქცეული, ცაში აიჭრა.

უტირის ლუკას ცოლ-შვილი. რიღათღა ლუკავ, რიღათი, ან დღეს, ან ხვალ, ან ზეგ...

ცეცხლი კი იმ ბოშა ქალივით ცეკვავს, ხანდახან ჩარგალში რომ გამოჩნდება ხოლმე ჯაჭვზე გამობმული მაიმუნით.

ცეკვავს, უხარია.

ასეა, ყველაფერი ამაოებაა და ყოველივე ამაო არს, ყოველივე და ყველაფერი.

თითქოს სამყაროს კიდეებს ეხეთქება ვაჟას სული. ჭეშმარიტების მიგნების წყურვილი ცეცხლივით მშრალია, თავნებაა. იგი აიძულებს პოეტს ადამიანთა ცხოვრების ხილულსა თუ უხილავს თავისი ნამდვილი სახელი მოუძებნოს, მიუდგომელი მსაჯულის ცივი განსჯითა და მოყვასის ცხელი გულით ნაგრძნობ-დანახული კი მაღალი შემოქმედების წმინდა ცეცხლზე გამოაწრთოს. ცხოვრება ამაოება, მართლა წამწამის თამაში თუ ცის სიბრძნეა, მიწაზე ნაწერი და სულის თვალით წასაკითხი.

რა ხარ და ვინ ხარ, ადამიანო, როგორ შერიგდა შენში ცეცხლი და წყალი, ტყუილი და მართალი, ღმერთი და ეშმაკი?

მტანჯველია ძიების ეს გზა, რამდენადაც ამ გზის მგზავრი ჯერ საკუთარი თავის შეცნობით უნდა დაადგეს სოკრატესებური განსჯის ცეცხლოვან ბილიკებს.

ასე იწერება ის აღსარება, რომელსაც პოეტმა „გაბრიელის დღიური“ დაარქვა. ეს თავისებური ფილოსოფიური ტრაქტატია, დიდი ხელოვანის იდუმალი ავტოპორტრეტი, მისი სულის გაცხადების იშვიათი ნიმუში.

თხზულების შინაარსი და აგებულება, მართლაც, ამართლებს სათაურს. პოეტის სულის ნაკური, მისი ფიქრის ჩურჩული თუ კივილი მკითხველს ხან საფლავის ღია ორმოში ჩაახედებს, ხან ადამიანური ბუნების მღვიმეებში ატარებს, ხან კიდევ მზეს გაუგორებს წინ, რწმენითა და სიხარულით ავსებს. შექსპირული, ტუჩებდაკვნეტილი ტკივილით არის სავსე ზოგი თავი, ვაჟა კი შეუმცდარად წაგაკი-

ღიბებს ადამიანის იეროგლიფებით სავსე შუბლს. მისი განსჯა მასშტაბურია და ზუსტი, რასაც ზოგჯერ იუმორის თხელი ნიავიც წამოუბერაეს ხოლმე, რომ ფიქრით გახურებული სახე გაგიგრილოს შებრალებულ მკითხველს. დიახ, კითხულობ ვაჟას და გრძნობ, რა მშვენიერი, მაგრამ რა მწველიც ყოფილა მზესთან ახლოს დგომა, გენიის შუქში გახვევა.

ფიქრები შემოსჯარვიან ლუკას, შემოპბლავიან მარიელს დანატრებული ხარებივით. ხანაც ცივი ნისლებივით აბოლდებიან და უსასრულობაში ქრებიან. ის კი, მთების მამასავით ზის მთათა შორის, ლაშარის ფშავში, გულზე მზე და მთვარე უსვენია და ღმერთთან ლაპარაკით შემკრთალ სახეზე შემხმარი ნაღველისა და სიცოცხლესავით უჭკნობი სიხარულის კვალი ატყვია.

ო, რა ძნელია, თან სახნისს უკან დასდევდე, თან კიდევ იმ ბელტებში მიწის უჩინარსა და დამალულ სიბრძნეს კითხულობდე, შენი სიმდიდრე საქართველოში ვერ ეტეოდეს და ღარიბი ფშაველი გერქვას, რა შორი მანძილი დებულა ლუკა რაზიკაშვილიდან ვაჟა-ფშაველამდე!...

ყველას თავისებურად ესმის ცხოვრება. ხომ არიან ისეთებიც, ვისაც წუთისოფელი ყბადაუსვენებელი ჭამა-სმა ჰგონიათ, ბულბულის გალობას ჯან-თეფშისა და ჭიქის წკრიალი ურჩევნიათ, თქვლეფენ, ბრაენ, კბეჩენ და ღეჭავენ თავიანთ წილ სიცოცხლეს, სანამ სიკედილი მიწის საბანს არ წაახურავთ. ვაჟას თქმით, ასეთ ბაყბაყებს „დაობებული თაეები“ ასხიათ და ეს „გასიებული გაბლუნძილი სულიერები“ მყრალი სუნთქვით ირგელივ ყველაფერს სწამლავენ. თუ სადმე აზრი წამოენთო, საკურთხეველზე მოკამკამე სანთელივით ჩაქრობენ, ფურთხს ესვრიან. ვაი, რომ ასეთები უფრო ფართოდ გალაჯულან, უფრო ბევრნიც არიან. აბა, სად ისინი და „სად ის მაღლის სადგური, უფალმა რომ „ადამიანი“ დაარქვა. აზროვნება, მით უმეტეს ქვეყნის ბედზე ჩაფიქრება, მათთვის სოროში თაგვის ფხაკუნი ან კიდევ დასიცხულის ბოდვაა, თუ არა ქვანასროლი სიგიჟე. იცის ეს ვაჟამ, იცის და ამიტომ წერს: „ვზივარ ჩემს პატარა ოთახში, როგორც თაგვი სოროში და ველაპარაკები კედლებს“... ან კიდევ: „უნდა აგსდგე და დავუყვირო: მყუდროებას ნუ გაარღვევთ, თქვე ღორმუცელებო-მეთქი, მაგრამ ვაი თუ გიჟი დამიძახონ–მეთქი. ამ ფიქრის გამო ვერ ვბედავ და ვდუმდები“.

საზოგადოებას სული ასჭრია, გრძნობა გასციებია. სიბრალული, სხვისი თანაგრძნობა ისევ გიჟის ახირებაა და მეტი არაფერი. ამიტომ ღუდიათ გულისთვის მძიმე ურდული ადამიანებს, არავის არ

უნდა შეშლილის სახელი გაუვარდეს, კისერზე კეთროვანის ზარი ეკიდოს და თეთრ კამეჩად ვინმემ ჩასთვალოს.

ვაჟას ის აწვალებს, ის უმღვრევს მელანს, რომ ბევრი ისე შეჰგუებია ადამიანური ღირსების დაკარგვას, სხვაგვარი ცხოვრება ვერც წარმოუდგენია. აბა სხვისი ჩექმის ლოკვას შეჩვეული ლაქია პატრონმა დაითხოვოს, ნახე, იმ მაიმუნივით მოიწყენს თუ არა, გალიაში რომ შეაგდეს და კარი მიუხურეს. საბრალო (თუ უფრო საძაგელ) ოხვრას მოჰყვება, თავს უბედურად ჩათვლის, რომ ლაქიობა დაკარგა, ადამიანის წმინდა ვალად მიაჩნია ვაჟას ასეთების შენჯღრევა, შერხევა. უნდა ჩასძახო, ჩაჰყვირო, რომ ადამიანია, მაშასადამე, საკუთარი ღირსების გრძნობაც უნდა ჰქონდეს, მაგრამ არც იმან უნდა გაგაკვირვოს, თუ ამისთვის იმ მოწყენილმა მაიმუნმა ერთი ბედნიერი სილა გაგკრას — შენ რა იცი ჩემი ან სიხარული რას ჰქვია, ან მწუხარება, რა კანში მიძვრები და სულში მეჭედებიო, სხვამ კი ისევ გიჟის სახელი ეჟვანივით შეგაბას.

შეიძლება, მაგრამ მაინც უნდა იყვირო, იღრიალო, იკიელო, იქნებ ამ კივილმა შესძრას მის სული, ძარღვი შეურხიოს, მაგრამ ამას ბევრი ვერ ბედავს.

„აბა, მე როგორ გავბედავ ცხოვრებას პირდაპირ შევხედო, ვინაობა ვკითხო! ვერ გავბედავ, ვერა. ვერც დავუშლი ავს, ეს მაწუხებს, ესა მკლავს. ვაი სირცხვილო, ვაი სირცხვილო!“

სიკვდილ-სიცოცხლის მიეთ-მოეთზე ბევრი უფიქრია ვაჟას. იქნებ არც რა იყოს სიცოცხლე წამიერი, უხანო, მაგრამ სიკვდილი, ეს შავი მოჩვენება, იმასთან შედარებით მაინც ერთი კუზიანი ტკაცმასხარაა. მოვა, მოგვეპარება და მოგვტაცებს დღის სინათლეს, იმედს, ოცნებებს, მაგრამ მაინც ქურდია და მაინცა. იმისი არავის ეშინია და, თუ ეშინია, სულელი ყოფილა. განა უსაფლავოდ ვინმე გაჩენილა ან ვინმეს უცოცხლია? ზოგს კუბოს დანახვა თვალებზე ხელს ააფარებინებს ხოლმე, თუმცა აქ საშიშარი არაფერია ის რომ არ იყოს, ავეჯი ჩვენი სხეულისა, რითღა გადაიტანდნენ კონტრაბანდისტები თამბაქოს ინგლისში, რითღა დაისქელებდნენ ჯიბეებს?

ამიტომ ყვავია სიკვდილი, ბინძური ყვავი...

ვაჟა-გაბრიელი ყველაფერს თავის სახელს არქმევს, ყველგან სიმართლეს ეძებს, რომ ბოლოსდაბოლოს ცხოვრების, ადამიანთა ურთიერთობის არსს მიაგნოს, თუნდაც ეს პროცესი თვითგვემას ჰგავდეს გაბმული რწმენით. ადამიანი მოქმედებისთვის არის გაჩენილი. იმიტომ გაუჩინა ღმერთმა ორი ხელი და მისცა გონება, რომ სიხარმაცისთვის, მზარ-თეძოზე უქმად გდებისთვის ვერ მოიცალოს, მაგრამ გაბრიელის წუხილს ის იწვევს, რომ ბევრის სიცოცხლე მარტო ფუ-

ტუროს გაძონათებაა და მეტი არაფერი, ასე მისდით უნაყოფო დღეები, ერთხელ რა არის, ერთხელაც არ გადაუსვამენ მალაშოს ქვეყნის სატკიეარს. კიდევ კარგი, თუ ეს უქმობა, დამბლადაცემული სიცოცხლე სინანულის ცრემლს მაინც ადენთ. ასეთნიც არიან, ისინი არიან, ვისაც ასპარეზი ვერ უპოვიათ, ფეხქვეშ სავალი გზა დაკარგვიათ. ამის მიზეზებზე არას ამბობს გაბრიელი, მაგრამ მისი დუმილი კი მაინც იმას ჰყვირის, რომ ასეთი ცრემლთაღენის მიზეზი ჭაობივით ჭრელი და ყროლამოკიდებული საზოგადოებაა, წყობილებაა, რომელიც ადამიანს სუნთქვას უკრავს, გასაქანს არ აძლევს, ამასობაში საზოგადოებრივი მორალიც გაშეძავდა, გაირყვნა. ღვთივ ჩაბერილი სპეტაკი სული გაიწრწნა და ჩაქუცმაცდა, გვირგვინი დაკარგა ადამიანმა, გვირგვინი, რომელიც ღმერთმა უკურთხა და ბუნებამ დაადგა, ვითარცა თავის რჩეულს. აი, სათავე იმ ცრემლთა ნაკადისა. რა მაღალ იდეალებზეა ლაპარაკი, როცა უმეტესობას თავისი ბნელი მუცლის მეტი არაფერი აწსოვს, მას შესტრფის და შეჰხარის, თუ ქვევრსაყით უბუყბუყებს, თუ სიმაძლრით უხვნეშის და უგალობს, მეტი აღარაფერი უნდა. ჯანი გავარდეს ყველაფერს, თუ შუბლს შეუწუხებს და მხარქვეშ მუთაქას გამოაცლის, თუ ქართული ძილიდან გამოიყვანს დ› თვალებს მოაფშვნეტინებს ისევ საკუთარი თავის დასანახად.

ვაჟას ცხოვრების გამოსწორების, პროგრესის ძირითად პირობად ადამიანის სულის გაკეთილშობილება მიაჩნია. ჯერ მორალი უნდა აღსდგეს, ადამიანში მზემ გაიღვიძოს, პიროვნებამ თავისი ნამდვილი დანიშნულება შეიცნოს, თორემ ქვეყნის წეს-წყობილების შეცვლა ამის გარეშე ხეიბრის ცეკვა იქნება და მეტი არაფერი. „ქვეყანას უნდა კარგი წეს-წყობილება მივსცეთო, ჰყვირიან, იმას კი როდი ამბობენ, ქვეყნის სული და გული გავაუკეთესოთ ჯერ, რადგან გაუკეთესებული სული ქვეყნისა მუდამ კეთილის წესის დამადგენელი იქნება“.

წეს-წყობის შეცვლა ქარიშხლის მოვარდნასა ჰგავს, ქარიშხალი კი არც არაფერსა სთესავს, არცა მკის, შხოლოდ ანგრევს და მტვრად აქცევს. შენ თესვა მითხარ, ქვეყნის სარგებელი საქმე მითხარ, იმ ქარიშხალგადაველილზე რას და როგორ ააშენებ, — ადამიანს თავისუფლებას მისცემ, სალოცავ ტაძრად მიიჩნევ, თუ ისევ ამირანის პალოზე მიაბამ, გულს გაუკეთილშობილებ, თუ ისევ ძილ-ბნელში გეყოლება.

ასე მსჯელობს ვაჟა-გაბრიელი და ამ მსჯელობაში იხსნება დიდი პოეტის ბიოგრაფიის ერთი მომენტიც: ადრე, ჯერ კიდევ გორის საოსტატო სასწავლებელში შეცირდობისას, ლუკა „ერთობის“ იდეებმა

გაიტაცა. ეს ის დრო იყო, როცა უცხო სიომ შეაბიბინა ქვეყნის ახალგაზრდობა, როცა თავისუფლების წყურვილით ყელგაშრალი ხალხი დასიცხულის ნეტარებით დაეწაფა იმ მაცოცხლებელ წყაროს, საქართველოშიც რომ ამოჩუხჩუხდა, როცა ნასროლი ყუმბარასავით ჰქუხდა სიტყვა „ამხანაგი“. კრება არსად გაიმართებოდა, პოლიციელის მათრახი არსად გაიშხუვლებდა, რომ იქ ლეგა, ჯმუხად ტანშეყრილი ახალგაზრდა ფშაველიც არ ყოფილიყო. ლუკა გატაცებით კითხულობდა რეფერატებს, სუნთქვაშეგუბებული უსმენდა ტრიბუნაზე დანთებულ ორატორებს, უბით დაჰქონდა პროკლამაციები და ნიკოლოზის ტახტისკენ ისიც იშვერდა ხელებს, რათა ბოროტება ძველი სამყაროს ნანგრევებში ჩამარხულიყო, ხოლო ახალს ვარჯი და ყლორტი ამოეყარა...

აღსდექ, მუშავ, შენ...
ნუ გძინავს შენ...

მთელ საქართველოსთან ერთად გრგვინავდა ერთი კალთა გორიც. მაგრამ, შემდეგ ის ენთუზიაზმი უცბათ გაუცივდა ლუკას — კრებებზე იმდენად აღარ ჩანდა, სამაგიეროდ წიგნებს უფრო ჩაუტკბა. განმარტოებით იჯდა ხოლმე ბებერი იფნის ქვეშ და კითხულობდა.

მეგობრებს ვერ გაეგოთ, ასე რატომ ჩაირაზა ეს ფშაური ციხე-ქარი, რა ბზიკმა უკბინა. ცეცხლი ასე რამ დაალბო და გააცია. ჩანჩქერი ზამთარში თუ გაჩუმდება-ხოლმე და ახლა ხომ გაზაფხული იწყებაო, უკვირდათ საოსტატოს შეგირდებს.

ამ ფერისცვალების მიზეზი არც ვაჟას გაუმჟღავნებია პირდაპირ. ეს კი არის, რომ მისი პასუხი, მისი პოზიცია მისსავე შემოქმედებაში გამოვლინდა, სადაც პოეტი კაცის კაცობის, ადამიანური არსის, მორალისა და ზნეკეთილობის უძველეს პრობლემებს უტრიალებს — ჯერ ადამიანი და მერე ქვეყანა, სახელმწიფო ისეთია, როგორიც მოქალაქენიც ჰყავს. განა სკა სკასა დაემგვანება, იქ ფუტკრის მაგივრად კრაზანას მართვემ რომ ჩაიბუდოს?

ამიტომ ჯერ ადამიანი უნდა ამაღლდეს სულით, ხელი ცას მიაბჯინოს, გასპეტაკდეს, გალამაზდეს და მერე ის მომავალიც მობრძანდება, თორემ მარტო წეს-წყობილების შეცვლა ბევრი ვერაფერი ბედნაა — ერთს კიდევ გაერთობა ისტორია და ამით ჩამთავრდება ყველაფერი. ეს ახალი მაინც ვერ იქნება ის, რაზეც ოცნებობდნენ კაცობრიობის რჩეული შვილები. ასეთია ვაჟას ალტერნატივა, არეკლილი მის გენიალურ შემოქმედებაშიც.

„სხვა რად გავამტყუნო, როცა მე თვითონაც ერთ დროს ასე

ვსჯიდი და ბოლოს კი ჩემავე თავმა მაიძულა, ენისათვის კბილი დამედგა, თითზედ მეკბინა".

ასეთმა პოზიციამ თავისი კვალი ვაჟას პიროვნებასაც დაამჩნია. ახსოვთ მუშტივით ჯიუტი, უკან ფეხმოუცვლელი, ზოგჯერ თითქოს ბოლივით ახირებული ვაჟა, მთას აქეთ რომ თვითონ იდგა და მთას იქით ვინმე ბეჩავი დაჩაგრონ, იმ მთას გადაიფრენს, გეზელივით დააცხრება თავზე მოძალადეს და ბარაქიანი სილით აუნთებს ყბებს.

ბრიყვი კაცი ეჯავრება. სიბრიყვემ და სირეგვნემ დალუპა ქვეყანა. თითქოს აქ რა უნდა იყოს ნერვების მომწამვლელი, ასანთები? იყონ და იარონ ბრიყვად ამ ბრტყელ ქვეყანაზე, ამ სირსველივით მრგვალსა და პატარა დედამიწაზე, მაგრამ ლუკას სხვაგვარად მოქცევა მაინც არ შეუძლია — ვერ შეუნდობს და ვერ აპატიებს...

ამიტომ არის ახირებული კაცი. ვერც იმის მოწყენისას გაიგებ რამეს, ვერც სიხარულისას.

ახირებული რომ არ იყოს, მაშ რა სჯიდა, მეზობლის ქალს რომ გადაუვარდა და ეიკლო?

არა, გაბრიელ სხვა კეთილი კაცია, სხვა რამ აწუხებს და სუნთქვას უხუთავს, ეს როგორ ხდება, რომ ზოგს გულად სიპი უდგას, უგრძნობი, სველი? რა აწუხებს ვაჟას, რა უჭინჭრავს გულს? ისა, რომ ამ ქვეყნად ვინმე ადამიანი მოიძებნება, ვისაც მასზე მეტად უღელავს გული და გრძნობისთვის აპეური ვერ ამოუბია, ვინც ქვეყნის ტკივილს მტლად დაედება, ეწამლება, მაგრამ სად არიან ამისთანა ადამიანები? არ არიან, არ არსებობენ.

ჯიუტი ვაჟა — ხან აბორგებული, მიუვალი, შუბლნაპრალებიანი, ლმერთივით მაღალი და ფიქრებში ჩაძირული, ხან კიდევ ლამის საბრალოც კი ძველი ჩოხით, თავზე წაკრული ხილაბანდით, წუთისოფლის ავან-ჩავანით დალლილი სახით, ბუხლებზე ჩამოწყობილი დიდი, მშვიდი ხელებით. თითქოს შერიგებია ცხოვრების უსამართლობას, საკერებლებით დაფარულ სიშიშვლეს, ადამიანთა გულგრილობას, მაგრამ მტკიცე მზერა, სახის კეთილშობილური თვალი, ფართო ნიკაპი გაგრძნობინებს, რომ მისი მოდრეკა, წელში გატეხვა ჯერ ვერ მოუხერხებია ცვალებადსა და ავ-კარგის მჭურჩნელ წუთისოფელს. პირიქით, რაღაც თვალისთვის შეუმჩნეველი სინაზის, შინაგანი ღრმა სიკეთისა და კეთილშობილების შუქი გადაჰღვრია წუთისოფლის ამ უცნაურ შვილს, თავისი სავალი გზა უდევს წინ, ცხოვრების მიზნადაც რომ დაუსახავს — ამ ქვეყნად არავინ თესავდეს ბოროტებას, მარტო სიყვარულის ნერგი ხარობდეს ღვთისგან მოზელილსა და მზისგან გამომცხვარ მიწაზე. სიღარიბეს ცოლ-შვილი არსად უწიოდეს,

ადამიანმა მზე არ დაკარგოს, სიცრუემ არ ისისინოს და სამართლიანობა ფეხქვეშ არ ისრისებოდეს. მერე რა, თუ სხვები სულ დაბლა ტოტებიდან ჰკრეფენ იმ ხის ნაყოფს, წუთისოფელი რომ ჰქვიან, სულ კალთაში უცვივათ კარგი და უკეთესი? ეს იმიტომ, რომ სიჯიუტე აკლიათ, მიზანი არ უმწიფთ და ამიტომ, საითაც ჩიავი გადაიხრება, ისინიც იქით გადაიზნიქებიან ხოლმე. ადვილია ასე ცხოვრება, ადვილია, მაგრამ ვაჟასი არ არის. აგე, გაბრიელსაც არ მოსწონს — სიცოცხლეში რომ ახირებულ კაცად იცნობენ ამ უცნაური სიჯიუტის გამო, სიკვდილის მერეც ტუჩაბზუებით გაიხსენებენ, — ათრიე, გაბრიელ, სიმართლის საპალნე, ათრიე და ეგეც შაეეთის კარიო. მაგრამ, მაინც ღმერთმა დასწყეველოს და დაჰბუგოს სხვანაირი ყოფნა. ასე ფიქრობს გაბრიელი და ამ ნაფიქრალში ვაჟას წუთისოფლის კვინტესენცია ჩანს.

— რას სჩადი, კაცო, რასა სზიზარ და ჰფხაჭნი, ნეტაი ჩვენს სიბეჩავეს მაგით რასა ჰშველი, — ჭინჭარივით მოიქნევდა ხოლმე თამარი საყვედურს, როცა ლუკას ქაღალდზე თაეჩაზრილს ნახავდა დიდ საქმობისას.

არ სწყინდა ვაჟას არც ეს მარტო ტუჩებით კბენა და არც სამართლიანი საყვედური: — თამარი ქალია, სულ საქმეშია, სულ მწიფე თავთუხივით იპნევა, თორემ მარტო ლუკას ნათიბ-ნათესი რას ეყოფოდა მის ოჯახს, ამიტომ ხანდახან ასეთი ამოკვნესის უფლებას ვერავინ წაართმევს. ასეთ დროს ლუკა დაბლიდან ღიმილს შეაშუქებდა ხოლმე ქარდაკარგული ჩინარივით მობუზღუნე თამარს და ეტყოდა: „აბა, რა გითხრა, წიგნი არ იცი, უსწავლელი ხარ, შე ბეჩავო, და ეგრე იმიტომ ლაპარაკობ“. გულში კი, გულში, დიდი, თბილი სიყვარულისა ტალღა დაუვლიდა — რა ხარლაღი იქნებოდი, ლუკავ, ქვერში ეამისთანა ფური რომ არა გყავდესო. ეს სიყვარული თბილ ნაკადად გადმოიღვარა გაბრიელის დღიურშიც. „აგერ ჩემი ცოლი თუმცა არ გისმენს, მაგრამ გული — გულში კი მწყეველის, დუდუნებს ტუჩებს ქვეშ „შენ თუ დღიური სწერე, შენმა მზემ, ვითომ ჩემთვის საკაბე გიყიდნიაო, სულელი, ბღაჯნის რაღაცაებს...“

ღიმილისგან მოჭუტული თვალებით არის წასაკითხი გაბრიელი-ვაჟას შემდეგი სიტყვებიც:

„სირცხვილი რომ არ იყოს დედაკაცის ცემა, ვსტაცებდი ნაწნაეებში ხელს, დავაჭანჭყარებდი, დავაბჯენდი ყელში დანას და ვეტყოდი: აბა თუ ბიჭი ვარ-მეთქი“...

იუმორის ბინული სცემს ამ ნათქვამ-ნაწერში, სევდიანი, ტკივილიანი იუმორის. რამდენად დიდი სინაზე, ერთგულება, რაინდული

კრძალვა და მადლობა იხატება ცხოვრების ერთგული თანამგზავრის — მზეს ადევნებული მთვარისადმი.

სხვა ქარი რამ სცემს ვაჟას ფიქრის იალქანს: ადამიანი ჯერ თვითონ უნდა იყოს მზესავით მართალი, რომ სითბო და სინათლე სხვასაც მიაწვდინოს, — ასე ჰფიქრობს „გაბრიელის დლიური“. განა ცოტაა ისეთი ამ საუსე დედამიწაზე, ვინაც სხვის დარდსა და გასაჭირს ფრჩხილსაც არ შეუშვერს, ოღონდ თვითონ სითბილოდეს, ყებში საცოხნი ელაგოს და ტან-ფეხზეც არაფერი სტკიოდეს. გაცივდა ქვეყნის გული, გაგრილდა სისხლი. 1%-ღა თუ იპოვი, შუბლს რომ მირონი უნათებდეს, ბეჩავისთვის ტირილი, თანაგრძნობა შეეძლოს, შურისგან განიბანოს და გასპეტაკდეს?

თუმცა რატომ, შური ბაძვის ცუდი ძმა არის, მეორე თუ აბელია, პირველი კაენი იყოს, მაგრამ, თუ იქნება, მაშინ ისევ სხვისი შობრალულობა, კეთილობა შეგეშუროს, რათა ადამიანები ერთმანეთს ვეჯიბრებოდეთ სიკეთის ქმნაში.

ესეც ვაჟას მსოფლმხედველობის, მისი ეთიკური სისტემის ერთი ჩუქურთმიანი ქვაა.

საზოგადოების გაკეთილშობილების აუცილებელ პირობად გაბრიელს განათლების შუქის მოფენა ესახება — თანაც ეს სიმდიდრე თუ ყველას შეხვდა, მაშინ დედამიწაზე ბედნიერს სადღა იპოვი? კაცთმოყვარება, სიკეთე იმეფებს მზისქვეშ, გასწორდება მრუდე წუთისოფელი, დალაგდება აწეწილ-არეული ცხოვრება. „მინდა, რომ ნასწავლი ვიყო, ძლიერ ნასწავლი, სულ ვიცოდე წუთისოფლის თავი და ბოლო, მაგრამ ის კი არ მინდა, რომ მარტო ვიყო ასეთი ნასწავლი; არა, ყველანი, მთელი კაცობრიობა ჭკუითაც, სწავლითაც. მაშინ რა იქნებოდა? ის, რომ ქვეყანა გაბრიელი იქნებოდა და გაბრიელი ქვეყანა“.

რა არის ეს? ვაჟას უტოპიური რწმენა, თუ მსოფლმხედველობის დუღილი? ალბათ, ეს მეორე, რადგან „გაბრიელის დლიურს“ შემოდგომის ღრუბელივით ასდევნებია იმედგაცრუების, სურვილისა და სინამდვილის დაშორიშორების მძაფრი განცდა.

რა მიიღო გაბრიელმა წუთისოფლისგან? მხოლოდ წყენა, ბრიყვის დამცინავი ქირქილი, მუშტის ქნევა და ანათემა. ვითომ რა რჯის? რატომ თავის ქერქში არ დაეტევა? დაანებოს ქვეყანას თავი, რატომ შეჰბზუის ფუტკარივით დაკეტილ სარკმელს? რატომ იტკივებს აუტკივარ შუბლს? ამის პასუხიც ისარივით სწორი და პირდაპირი აქვს გაბრიელს — „არ მემეტება ბრიყვი სიბრიყვისათვის, ბრაზიც იმიტომ მომდის“.

დიაღ, თუ ადამიანად ჰყავხარ ცხოვრებას, მაშ გონება რამ ჩაგიქ-

რო, ავი და კარგი, შავი და თეთრი ერთმანეთში რატომ აგირევია, თვალღიას რატომა გძინავს, საკუთარ თავს ერთხელ მაინც რატომ არ დაჰკითხავიხარ, ვინა ხარ და რატომ ხარ დუნიაზე. იქნება იმიტომ, რომ ხორცით გაფუჭდე და სულით მჭლეჭდებოდე? არა და, არა აქვთ პასუხი ამ კითხვებს და ის — გაბრიელი დონკიხოტივით ებრძვის ქარის წისქვილებს, განსჯის, ანალიზის საცერში ატარებს თავის საქციელს და თვალს კარგა შორს გაადევნებს ხოლმე მტრედებივით წარმომფრთხალ ფიქრებს.

არა ჩანს, არ ჩანს გამოსავალი. ამის შეგნება გუნებას უმღვრევს ვაჟა-გაბრიელს, სულს უწამლავს საზოგადოების ინერტულობა, საკუთარი უძლურების შეგნება, მისი სულის კვიცი არავის ესმის უდაბნოდ ქცეულ ცისქვეშეთში — ყველა თავის ქსელსა ქსოვს, თავის სოროს თხრის, თავის ქვაბს ჩასცქერის. ძნელია, ძნელი საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენა, ფიქრებთან კამათი. თითქოს ყველა და ყველაფერი ზედ დასძახის გაბრიელს, რომ მისი ცდა წყლის ნაყვაა, ოცნების ნებივრობაა და მეტი არაფერი. თითქოს საზოგადოება განგებ არის ისე მოწყობილი, რომ ადამიანის კეთილშობილური აზრი ფესვშივე ჩასჭრას და ჩასთიბოს, მამაცი დაალაჩროს, თავდადებული შუბლჩარაზულ ეგოისტად აქციოს: „რაც ვიბრძოლე, სრულად უნაყოფოდ. ვრწმუნდები, ჩემდა გულის საკლავად, რომ არ შემძლებია უსამართლობის შემუსვრა, ამის გამო დღითიდღე ტვინზედ ობი მეკიდება და გულზედ ჟანგი... ეტირი ცხარე ცრემლით ჩემს მოტყუებულს რწმენაზედ“.

ასე ჩივის ახალგაზრდა, დიდი საღვაწისთვის მზად მყოფი ვაჟა და ეს ვერთერისებური ვნებანი „შიშველი ძარღვებივით თრთიან „გაბრიელის დღიურში“.

კითხულობ დიდი ფიქრით ნაშობ სტრიქონებს და თითქოს შორეული მომავლიდან დაძრული ხმის ექო გცემს:

რაც უნდა ჯირი მომკერძონ,
ბილწთ არ შევეკერი ზავითა...
რწმენას ვერ მოეკვლევინებ
მოზღვავებულის ავითა.

„დავბერდები და მოვკვდები უსამართლობის მტრად და მესისხლედ“, — ჰკივის დღიურის ერთი სტრიქონიც...

„საწყალო, საწყალო და კიდევ საწყალო გაბრიელო!“

ახალგაზრდობა სიცოცხლის გაზაფხულია. ამ დროს ადამიანის სული ჰყვავის, უბეში მზე უფართხალებს, ასე ჰგონია, მთასაც კი მოიქნევს, მზერით მყინვარს ჩამოადნობს და ვარსკვლავებს ხელს აუწვდენს. დაილოცოს... დაილოცოს... მაგრამ ცხოვრება სხვა რამ ყო-

ფილა, სხვა გზა-კვალისა — არც ასავალი უჩანს, არც დასავალი — არის ასე ჩახლართულ-ჩანასკული და, აბა, ისეთი ვინ იქნება, ამ აგორებულ გორგალს წვერი და პირი უპოვოს. ამიტომ, გაბრიელის აზრით, ბედნიერი ის არის, ვინც თავისი იდეალების გაცრუებას არ შესწრებია, „ვისი სიკვდილი ახლად გაფურჩქვნილის ვარდის მოწყვეტასა ჰგავს“, აბა, ქარიშხლისგან ტოტებმოლეწილი, ხმელი ხის სიკვდილი ან ვის მოუკლავს გულსა და ან ცრემლს ვის აღდენს?

ვაჟაც თავმობრუნებით გაჰყურებს თავის სიჭაბუკეს, შეგირდობის პერიოდს. რა სანეტარო დრო ყოფილა, დალოცვილი. იმედით სავსე, ნათელი. როგორ უხაროდათ, როცა მამლის ყივილს ახალი დღე მოჰქონდა. როგორ ეტანებოდნენ საკითხავს. საკენკზე მიშვებული წიწილებივით. მზესავით ამოუბრწყინდებოდათ ხოლმე დიდი ადამიანების აზრები იმ წიგნებიდან, ბრძოლა სწყუროდათ, მთა-ბარის გასწორება, მაგრამ ცხოვრებამ თავისი თქვა და ძველი რწმენა ბევრს ხუხულასავით მიუნგრია. „იდეალების სამეფოში დავფრინავდით“, იტყვის ვაჟა „გაბრიელის დღიურში“ და ამ აღიარებას თან დიდი ტკივილიც ახლავს.

სადა ხართ ახლა, რად გაგფანტათ ცხოვრებამ, ბიჭებო, ვინ რა საქმეს ადგიხართ, საკუთარ ბედსა ჰქსოვთ, თუ საქეყნო ფიქრი ისევ ჯანღად გახვევიათ? ან იქნებ თქვენც ორ კლდეს შორის ისრისებით ლუკასავით — ერთს რომ ილუზია ჰქვია და მეორეს ცხოვრების სინამდვილე?

მაშ სად არის წამალი დაღლილი სულისა, სად არის წუთისოფლის ღელვასა და ტალღების ცემაში იალქნებდაფხრეწილი ნავის მყუდრო საყუდელი? სად იპოვოს სულმა ნანატრი სიმშვიდე, სად მიიდრიკოს თავი, სად დაისვენოს? სად დაიტიროს მკვდარი იდეალები და სად აკუროს ცრემლი? ამ კითხვას ერთადერთი პასუხი აქვს, ცისკარივით ანთებული, იმედის შუქით გაბრწყინებული — სიმღერაში, მხოლოდ სიმღერაში. ის არის დაჭრილი ჟინების მალამო, გუნების განმწმენდი...

განა ღაღი ვარ, მიტომ ვმღერ? —
გულისა დარდსა ვიქარვი...
ვინც ჩემზედ იტყვის ღაღია,
ჩემსავით ღაღიმც ის არი!

კიდევ რა, კიდევ რამ უნდა უშველოს გაბრიელის დარდს, რამ უნდა ააწევინოს ჩაქინდრული თავი? რამ და — სიყვარულმაო, — ხმამაღლა გვეტყვის „გაბრიელის დღიური“ ვაჟას სათქმელს:

სად ვერა ვიშველს გულმოკლულს,
ტრფობა შემასვით ხშირადა,

მაშინ დატკბება სიცოცხლე,
თუნდ ვეგდო რიყის პირადა.

მაშ ასე — სიმღერა და სიყვარული — ვაჟას წუთისოფლის ორი განუყრელი მეგზური.

გაბრიელის უბედურება მაინც ისევ რწმენაა, ამიტომაც დააქვს ახირებულის კაცის სახელი. აბა, ასეთი კი ან ბოქაულს როგორ ეამება, ან მაზრის უფროსს? ხალხიც იმიტომ უყურებს წარბაწევით, რომ ახირებულია.

გაბრიელს ერთი სიყვარული უნთია კელაპტრად, იმას უდგას ოთხივ მხრივ, იმ ნათლისმცემელსა და გაუქრობელს: სამშობლო უცოცხლოს ღმერთმა და მეტი არაფერი არ უნდა. სხვას ჰქონდეს დიდებაც, სახელიც, ქონებაც. თვითონ ნაბდის ქუდი და ქალამანი ეყოფა.

ანალიტიკოსის თვალით სჭვრეტს ვაჟა რთულსა და უცნაურ მსოფლიოს — აგე, რამდენი სახელმწიფო ალაგია დედამიწაზე და ყველა მათგანს სხვისკენ უჭირავს თვალი, რომ ყელში ეცეს, სისხლი გამოსწოვოს. საფრანგეთიც კი, ქიშმიშივით რომ გადმოაპენეს ხოლმე „ძმობა, ერთობა, თავისუფლებაო“, სხვის მიწებს ელერება. რა მოელის საქართველოს? რას უმზადებს მომავალი? შეინახავს თუ ისევე დაკარგავს, როგორც ბევრი დიდი თუ პატარა ქვეყანა და ხალხი დაუკარგავს ისტორიას უსიერ დრო-ჟამში?

ვინ იცის?...

ზოგს გოლიათის ძილითა სძინავს, ჩამყუდროებულ ვულკანს ჰგავს, მაგრამ ეს ძილი მოჩვენებითია. ერთხელაც იქნება, დაიქუხებს, ცხელ ლავად წამოვა, აგუგუნდება და გუგუნი იგი ათას ხმად და ტოტად გაიშლება. ასეთ ქვეყნად ჩინეთი ეჩახება გაბრიელს, რიცხვდაუთველი, ჯერ დაუხარჯავი სასიცოცხლო ენერგიით დამუხტული.

ხომ არ გაისრისება საქართველო დიდთა შეხლა-შემოხლაში?

აბა, ასეთ დროს უნდა იყო ახირებული, თუ იქნები, თორემ ქართველი თუ ოდესმე რამეს დაუღუპავს, ისევ შურსა და ქართულ მზარეთეძოს. ფიქრია საჭირო, ახირებული კაცის ახირებული ფიქრი, ეს ახირება კი მეტი არაფერია, თუ არა პირადულზე უარის თქმა და სიცოცხლის სამშობლოს საკურთხეველზე მიტანა.

ახირებული კაცია გაბრიელი...

ახირებულია ვაჟა საქციელით, საქმით, ლექსის კილო-ხმითა და იმითაც, რაზედაც ასე ახირებულად მღერის:

სამშობლოს არვის წაეართმევთ,
ჩვენც ნურვინ შეგვეცილება...

ღარიბია საქართველო? დროს უკან დარჩენია? ჯღან-მანი ვერ მოუცილებია, კონკები უჩანს? იყოს ეგრე, იყოს, ვენაცვალე, მაგრამ, სანამ გაბრიელს გაბრიელი ჰქვია და „ახირებულსაც“ ეძახიან, არ დაანებებს „ყორანს კაცსა“...

თავზედ დამატყდეს ცა რისხვით,
სხივი ნუ ენახო მზისა მე,
მაღალი ღმერთი გამიწყრეს,
თუ რამ ვინდომე სხვისა შე...

მაგრამ სამშობლოს კი არვის დაუთმობს გაბრიელი, არავის ჩაათელვინებს ამ მაღალ მთებს, არავის ჩააფურთხებინებს არაგვსა და ალაზანში.

„არვის, არვის“... კარგად გეყურებოდეთ ახირებულის ძახილი.

მაგრამ, ვაი რომ, ყველა გაბრიელივით არ ფიქრობს. ზოგი მაინც ისეთია, ნება რომ მისცე, ქართლოსის მიწა-წყალს თვალ-წამწამის დაუზამზამებლად გაჰყიდის, ოღონდ ჯიბეში ოქრო ჩაიჩხრიალოს, ვერაფერი აძლებს იმის დევის მადას, პირი რომ კარგად დაალოს, ალავერდს გადაყლაპავს, ალაზნის ველს თარაქამას მიუგდებს, ქვეყანას რომ უჭირდეს, ნეკსაც არ შეიწუხებს. ყველაფერი თავისთვის უნდა, რაც არის და რაც არ არის, ან ისიც კი, რაც იქნება.

ასეთი ცხოვრობს ბედნიერად, უზრუნველად, დაფასებაც კარგი აქვს, არც ვინმე ახირებულს ეძახის, იმიტომ რომ ტკივილი დალაგებული აქვს და არა საქეყნო ფიქრით აშლილ-აწეწილი.

ბედნიერია, ბედნიერი, თუ ამ წუმპეში გდებას და წვერ-ულვაშის გარყვნას ბედნიერება დაერქმევა.

ისე კი ღმერთმა განსაჯოს და განიკითხოს, ვინ უფროა ბედნიერი — ისა თუ ახირებული, ფიქრით შობლდამძიმებული გაბრიელი.

ნეტავ როდის იგაბრიელებს ქვეყანავ?

როდი... როდის...

აქამდე თუ მუგუზლებს ისროდა გაბრიელი და თვალებში რისხვა ედგა, აბა ახლა ნახეთ, როცა „ქვეყნის მყლაპავის“ ზოგად სახეს ქმნის, რომელსაც „სარდიონს“ არქმევს და „მგელ-კაცად“ ნათლავს. წუმპედან ამომხტარი ბაყაყივით ლიპია სარდიონი. „სქელი ტუჩები გუთნის ნაკვალევს მიუგავს“. როგორ უნდა მგელ-კაცს, რომ მზეს მარტო ის უყვარდეს, მარტო თვითონ მიუდგას ღია პირი ყველაფერს, რაც იჭმევა და ისმევა. ადამიანი, მოყვასი მისთვის რიყის ორი კენჭია — დასწვდი და შორს მოისროლე. თვითონ უნდა იყოს მთაზე ერთი კისრით მაღალი, ზღვაზე ერთი კოკით სავსე, სხვაზე ერთი შუბლით უფრო ჭკვიანი. მეზობელს თუ ცხვარმა მოუგო, სარდიონი მართლა მგელ-ცოფად იქცევა ხოლმე — აქეთ-იქით ეხლება, თითებს იკ-

ვნეტს, წვერ-ულვაშს იწიწკნის, ღმერთს მუშტს უქნევს — ეს როგორა ქნა, რომ იმასაც მისცა. აბა როგორღა დატკბეს მაძღარი სარდიონი მშიერის ყურებით, თუ სხვასაც ექნა სარფა და სარგო.

ალბათ, ბოროტებასაც შეეზიზღებოდა მგელ-კაცი, როცა სხვათა სიკეთით გახელებულს, პირიდან მორიელები სცვივა, გული კი, ის უძღები გული უკვნესის: „რადა აქვს, რადა, შენს მოყვასს ერთი ლუკმა პური? წაართვი, მოსტაცე"... შეუძლებელია, სულ რამდენიმე წინადადებით, სულ რაღაც ნახევარ გვერდზე უფრო კარგად დახატოს ხელოვანის მაძღრიანმა მარჯვენამ მიწის ეს საზარელი ცხრაფეხა.

„მგელ-კაცს უნდა სუყველაფერი თვითონ იყოს, ყველაფერი იმას ჰქონდეს, რაც კი რამ სასახელოა წუთისოფელში — გონება და ქონება".

სარდიონობა ისეთივე ქართული სენია, როგორც ამძორებული „ლუარსაბობა". რამდენის სიცოცხლე გამოუხრავს და დაუობებია ამ სახადს. განა „სარდიონებზე" არ უთქვამს არჩილ-მეფეს:

> ასე სჩირს საქართველოსას დიდებულთ, განა მცირეთა
> აზეავდებიან, იტყვიან, უჩემოდ ვინ იმღერეთა?...

იცის ვაჟამ, სანამ ერს ასეთი მუწუკი აყრია, მისი სული ნათელში ვერ ამოეკლება, მომავლის მზეს წყვდიადიდან ვერ ამოაგორებს, იცის და ამიტომ უშენს სარდიონს ერთმანეთზე უფრო ალესილ სტრიქონებს. „სარდიონობასთან" შერიგება ქვეყნის ღალატია, სინდისის ამჟავებაა, სვეტიცხოველის დაქცევაა. უნდა ამოიძირკვოს ქართული მიწიდან ამ შხამბალახას ფესვი, უნდა გაჩრეს და განქარდეს, მაგრამ, ვაი რომ, ამ ურჩხულს მარტო სიმართლე თუ ჰკლავს, სიმართლე და ქვეყნის სიყვარული, ასე რომ გამოლეულა ვაჟას საქართველოში.

„გაიღვიძე ერო, აღსდექ, შენი რისხვა დაუნთე „სარდიონობას", ადამიანის სულის ამ მუდრეგობას..." წარსულიდან შემოგვკივის „გაბრიელის დღიური".

გირკალივით გაშრუდებულა ცხოვრება — სიმართლისათვის ტყუილი დაურქმევიათ და სიცრუისთვის ჭეშმარიტება. მგელკაცს რომ უთხრა: აბა სარდიონ, შენს ბიჭობასა, ვის სისხლს უფრო შეხვრეპდი და ხორცს გაჯიჯგნიდი, — გაბრიელისკენ გამოიშვერს ხელს, რადგან მარტო ის, მარტო ის ერთი თუ ცდილობს ამ ცხელი ჯოჯოხეთის განლებას. ამიტომ ეხვეწება იგი ღმერთს: „რომ გაბრიელი მოკალიო", რადგან მავნე კაცია, „ბუნტოვჩიკი," გლეხებს არიგებს: „მგლებს ნუ ეკლესიინებით, ნუ ეჭმევ-ეგლეჯინებითო".

რა წააქცევს ამ ბაყბაყ-დევს, ვაჟას შეხედულებით? რა და გლეხობის ერთპირობა, მათ მიერ ცხოვრების, დროის ცნობა, სანამ საკუთარ ბედს თვითონ არ მოუვლიან, „ბანკს“ არ მოიწყობენ, „თავისათვის დუქანს არ გამართავენ“, მანამდე სარდიონის კუჭიდან ვერ ამოხტებიან.

მიეცი, ღმერთო, მგელკაცს იმდენი ძალა, რომ გაბრიელისთანა „სოციალისტი“ ფარნებზე დაპკიდოს და ფეხები აათამაშებინოს, ციმბირში დაჰკარგოს.

ვაჟას მრისხანება წამომდგარა ფეხზე ამის წერისას, ვინ იყო მაშინდელ ფშაუში, იმ წყნარ მთებში და გასაკრეჭი ცხვრებივით თვინიერ ფშაველებში ის ერთი, ვინც უსამართლობას თავ-პირს ამტვრევდა, ვინ უგზავნიდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებს ხმელ-ხმელ პუბლიკაციებს, სადაც გლეხის მჩაგვრელი და პირიდან ლუკმის გამომგლეჯი სიტყვის ალზე იწვოდა? რატომ სწვავდათ ენას ლუკას ხსენება ბობოლებს, მაზრის უფროსს, ბოქაულებსა და არყით ულვაშებდაფუფქულ სტრაჟნიკებს? ვაჟას გაბრიელობა არ მოსწონდათ, ვითომ ღარიბია, კაცო, ხანდახან იმდენიც აბა აქვს, ლუკას ლუკმა მიაყოლოს და, დახე, რას სჩადის, ქვეყანას სიტყვა როგორ გაუწვლინა, ღმერთმანი, ღირსი იყოს, ან აქედან ჩავლილს, ან ქალაქიდან ამოვლილს ჩავუსაფრდეთ და ტყვია მივუკითხოთო.

სცადეს კიდეც, მაგრამ შიშით დატენილი თოფი არ გავარდა. ვაჟას სიმაღლისა ეშინოდათ, დიდი სიმართლისაც ეშინოდათ, დიდი პოეტი სიტყვაში რომ გამოხვევდა ხოლმე.

ლუკას პატიოსნების ამბავი ხომ ფშავ-ხევსურეთში კარდაკარ დადიოდა. ალალ ლუკმას იფშვნიდა ჯამში და არც ჯანი აკლდა — არწივი იყო და ისეთი ბრჯღალის გაკვრა იცოდა, ტანზე ტყავს არავის შეარჩენდა.

ეშინოდათ და შურდათ...

შურდათ „სარდიონებს“: „ეს მთები ჩვენი ფარებით არის ჩამოთოვლილი, ოქრო ჩვენ გვიცინის და სახელი რატომ ლუკას უნდა ევსებოდესო...“

შურდათ და ეშინოდათ...

ლუკას კი გაზაფხული ედგა — შემოქმედებითი გაზაფხული. წინ იყო ზაფხულის მწიფობა და ხვავიანი შემოდგომა.

ბევრი დასცინოდა ვაჟას, — ეგ თუ მართლა პოეტია და „გაზეთსაც აკეთებს“, რატომ ჯღანები ვერ გამოუცვლია, ნათლი მაინცა ჰქონდეს მაგ ბეჩავს, ფიჩხის სინათლეზე რომ რასმე ჰბღაჯნის, ქაღალდს ცეცხლი არ უწვავდესო.

ეხვეოდა შუმლი ლუკას...

ქართველმა ხომ ასე იცის — რაჟამს განძღეს და განსუქდეს, მერე სახელიც მოუნდება ხოლმე კარგი არისტოკრატის სუფრაზე ჩამორიგებული ტკბილი დესერტივითა.

ბევრი მაძღარი ცოდვილობდა მაშინაც, რათა იმის გვარი და სახელი კენჭად მაინც დარჩენილიყო ისტორიის რიყეზე.

ვაჟა ასეთებსაც წარმოგვიდგენს მგელ-კაცის სახით. რატომ სარდიონის „ემენია“ არ უნდა იცოდეს მაღლა მთამა და დაბლა ქალაქმა, თუ საშოლტე და სამათრახე გაბრიელისა იცის? განა ეს სწორი სამართალია? გაზეთი იმანაც უნდა „გააკეთოს“, რომ თქვან: „დახე, კაცო, სარდიონს, დახე, როგორი რამ ყოფილაო“.

წერს სარდიონი, ღლის კალამს, უტურტურებს ყოვლისმომთმენ ქართულს, ტყრუშულივით წნავს აზრებს, მაგრამ დახეთ, ვის ხელში ყოფილა ქართული გაზეთი. იმის გალობა ქალაქში სახედრის ყროყინად ესმით. ეტყობა, კარგად არ იციან, რა დოვლათისა და შეძლების კაცია, რა „ემენიისა“, თორემ გაბრიელი ვინ არის, გაჰკრავს წკიპურტს და არაგვს გაღმა მიაგდებს. რა უნდა ასწავლოს სარდიონმა ქვეყანას იმ თავისი ფრთამოტეხილი ბატებივით აყიყინებული წერილებით? აი, კითხვა, რომელიც ვაჟას გუნებას უმღვრევს. პასუხი მკითხველისთვის მიუნდვია მწერალს. თვითონ მიხვდეს, რას უქადის ერის აწმყოსა და მომავალს სარდიონობის გათარეშება, რა შავსა და ბნელს მოიტანს ეს გალაღებული ჭირი.

სანამ სარდიონი საქართველოშია, ჩვენს წყალსა სვამს და პურსა სჭამს, მანამდე ცუდი და მრუდი არ გამოგველევა, ბოროტება არ ჩახმება და ვერც მართლა მამულიშვილი დაფასდება.

ასეთი მყრალი რამ არის „სარდიონობა“, ღმერთო, ამოაგდე და ამოშანთე საქართველოდან სუფევა მისი.

ფარისეველია სარდიონი, უსაყდრო და ულოცავი, მაგრამ ჯარსა და ჯამაათში გარევა კი უყვარს, იმიტომ. რომ დაინახონ, იმიტომ, რომ „ემენია“ აქვს, იმიტომ, რომ თქვან: „დახე, კაცო, სარდიონი როგორ ლოცულობს, კაცი კი არა კელეპტარია, კელეპტარიო“.

თორემ ქრისტეს შობაცა და ადგომა-ამაღლებაც მისთვის თოხლის ბლავილია, მოყვასის სიყვარული კი ვიღაც ბეჩავის მოგონილი უნდა იყოს. სულელები... სულელები... ილოცეთ... ილოცეთ... მამა გიცხონდათ, ღმერთმა სარდიონს არ წაარვას და თქვენ არ მოგცეთ. იცინის სარდიონის „ემენია“, პირზე ხელაფარებით ჭირქილებს, როცა ამდენ სისულელეს ერთად ხედავს, ცხვრები ხართ და იბღავლეთ, სარდიონის ჯურს კი მგლის ყმუილი ეამება. ვენაცვალე ლეგა ბიჭსა. ის და იმისთანები რომ არ იყვნენ, ქვეყანას სიბრალული გამოხრავ-

და, დიდ-პატარა ერთმანეთში აირეოდა, ძალა და უძლურება ერთ ბარში გავიდოდა, საობრო და საწყენი აი, სწორედ ეს იქნებოდა, თუ იქნებოდა. ღმერთს ნუ ექნა წუთისოფლის ასეთი გაგაბრიელება.

აი, სარდიონის აზროვნების აპოთეოზი, აი, რატომ არის, ვაჟას აზრით, საშიში, ეს ერთი შეხედვით თითქოს სასაცილო და სახარხარო სირეგვნე.

.მაშ რატომღა შედის მგელა საყდარში? იქ რა დარჩენია, როცა ხორცში სული უყარს? არ მოტყუვდე, მკითხველო, დახე, როგორ წვრილი სანთლები დაუნთია საკურთხეველზე, როგორ აცეცებს თვალებს მწევრისაგან დაფეთებული მელასავით, როგორ თრთის და კანკალებს. შორიდან იქნებ მართლა მორწმუნეც კი გეგონოს, ხატის წინ დამხობილი მუხლებს რომ იცვეთავს და შუბლს ფილაქანს ახლის. არა, მგელია აქაც სარდიონი და ვაჟას სიტყვით, ამ წმინდა ალაგსაც ქრისტესა და ხატებს იმას ეხვეწება, მარტო იმას დააბღერტონ სიკეთით საცსე კალთა, მარტო მის სულს ულხინონ, თორემ, აბა, ეს მიწისფერი გლეხები რისი ღირსნი არიან. იწერონ გაშავებული ხელებით პირჯვარი, შენ კი მხოლოდ სარდიონს ხედავდე, ქრისტე ღმერთო, შენაც კალთაბედნიერო ღვთისმშობელო, შენაც, ხატ-სანთელო. დაე გულზე დასჯდნენ „გაბრიელები", საკერებლად ამოიკრან ის რაღაც „სოციალისტობა" და ეგრე იარონ, გაზეთიც თვითონ აკეთონ, შენ კი სარდიონი აცხოვრე, ალაღე და გაავსე.

სიმბოლურად ჟღერს ვაჟას შემდეგი სიტყვები: „მგელა მაინც მიჩრდილავს ქრისტეს შობის სურათს, მიშლის, მინდა უცქირო და აფარებს თავის მიგრეხილ-მოგრეხილს გოგრას ეს საზიზღარი ადამიანი"...

შემდეგ:

„მოდი, ერთი ხელი ვსტაცო ამ ღვთისა და ქვეყნის მატყუარას და გავაქანო კარებისაკენ, რომ არ სწამლავდეს თავის სუნთქვით წმინდა სადგურს ღვთისას-მეთქი". მგელი ამ დროს იუდას ჰგავდა...

აქ აშკარად არის გაცხადებული ვაჟას კრედო. დიახ, სარდიონისთანა ადამიანები სწორედ რომ „გვიჩრდილავენ ქრისტეს შობის სურათს", ანუ სიკეთესა და სიყვარულს აეფარებიან ხოლმე საავდრე ღრუბლებად, თავიანთი არსებობით წამლავენ ჰაერს, ცხოვრების წინსვლას ბორკავენ, საზოგადოებას ჰრყვნიან.

ვაჟას სულს უფორიაქებს სარდიონობა და საერთოდ ყველაფერი, რაც ზნეობას ხრავს, ადამიანს დასცემს, კაცის სახეს დაუკარგავს და ბერწი ფურივით ააზმუვლებს. სტრიქონებს შორის გამოკრთება ხოლმე პოეტის ფიქრიანი სახე, ცხოვრების ფილოსოფიის კითხვით დაღლილი, ფერშეყინული უკაცურობას, ეერაგობას, მავანთა ბაყაყურ

ცხოვრებას, წუთისოფლის მიეთ-მოეთს უქცევია გაბრიელი ფილოსოფოსად. დაკვირვებას იმდენი რამ უსწავლებია, აღარაფერი უკვირს, ამიტომ თითქოს გულგრილი კაცის პოზა უჭირავს. ვითომდა იდინე, წუთისოფელო, მე არა მეკითხებაო, მისი პირისკანი „მღელვარებას შესჩვევია“, ნერვებიც ფშაური ჩანგურის სიმებივით დასჭიმვია. აღარაფერი უნდა, აღარაფერი აინტერესებს, მაგრამ მაშინ ეს მისი „დღიური“, ვულკანის ეს ბორგვა რაღაა?

ვინ შეარიგა ცეცხლი და წყალი, ვინ შეაყვარა ერთმანეთს ნათელი და ბნელი? განა შეიძლება „გაბრიელებმა“ „სარდიონები“ შეიწყნარონ? ასეთი თვალებდაბუჭული სიკეთე ხომ სახარებაშიც არა სწერია. თუმცა მგელი კი ცდილობს თავი ისე აჩვენოს, თითქოს უიმისოდ არაგვი აღმა დაიწყებს დინებას, მყინვარზე თოვლი ატირდება და ქვეყანას ცრემლის წარღვნა წაიღებს. ეს იმიტომ, რომ „ემენია“ საჭიროა, აუცილებელია. ამიტომ დადის სარდიონი მამლის ნაბიჯით, ამიტომ ხან ვერცხლის ზარივით წკრიალებს, ხან არაგვივით ხვივის, ხან კიდევ მორევივით სდუღს ხოლმე.

მაღლობა ღმერთს, რომ ქვეყანას არ სჯერა სარდიონებისა, მისი არაფერი უნდათ — არც ავი, არც შავი, მაგრამ უკულმა რომ მოხდეს? ცხვარმა რომ მგლის კეთილშობილება დაიჯეროს? ქათამმა რომ ძერაზე დაიწეროს ჯვარი? მერე, მერე რა იქნება? ძირშაგარანავით უბურღავს ვაჟას სულსა და ტან-ხორცს ეს აუცდენელი კითხვა.

იცის ლუკამ, წუთისოფლის სიმრუდეს მხოლოდ განათლება თუ გაასწორებს. ან როგორ გერბილება თავქვეშ ამოდებული ბალიში, როცა სოფელშიც დევები ჩამოსხდებიან და ერთი „გადი-შემოდი“ ქქვთ. გლეხის ოფლით თვრებიან და გლეხისგანვე ათლილ მსუქან ლუკმებსაც ბელტებივით ყლაპავენ. ტყუილად არ უწოდებს ვაჟა ასეთ ადამიანებს „სოფლისყლაპიებს“.

პოეტი სწუხს, რომ სოფელს „ხელმძღვანელი, გზის მაჩვენებელი არავინ უჩნდება“, რომ „ყველა თავის მუცელს ჩაჰხარის“ და ჩაჰგალობს.

განა ლოთიბაშობა გადაარჩენს ქართული მიწის სიხარულს — ჩვენს სოფელს? არა და არა! ასეთი რწმენა ურწმუნობაა. მზე უნდა ვუმრავლოთ, ზე, გლეხს დახუჭული თვალისჩინი უნდა ავუხილოთ, მტერ-მოყვარე კარგად დავანახოთ, მეცნიერების შუქით გავაბრწყინოთ, რომ მზნელ-მთესველმა მუქთამჭამელები მხრებიდან გადმოიყაროს, მკერდი გაშალოს და სოფელიც მაკე ცხვარივით გაიცხოს.

აი, რომელ გზას უნდა ადგეს ქართველი, თუ ის ქართველია და არა წუთისოფელის სახელდაკარგული მოხეტიალე მგზავრი, ასოჭა-

მია ინტელიგენტი, ვისი სისხლიც დოსაეთ ჩამჟავებულა და ერის მომავალსაც აჭრითა და განადგურებით ემუქრება...

ბევრს გაუწვდინა ვაჟამ გონების შუქი, მხოლოდ კეკლუც იდეებს აღეკნებული მამულიშვილობა ვერაფერს მოუტანდა საქართველოს, თუ მის შვილებს მათი ხორცშესხმის უნარი არ ექნებოდათ.

აქაც წინასწარმეტყველია გაბრიელი.

აქაც შეუმცდარად კითხულობს მომავალს ვაჟა. მანამდე კი, მანამდე შენი ქართველობა იღლიის ქვეშ უნდა ამოიდო, თუ გინდა არავინ დაგცინოს, ქოქოლა არ მოგაყაროს, როგორც ჩამორჩენილს, დაურდომილს, ისტორიის მაჩანჩალას.

შენ უწყოდე, ღმერთო, მართალი და მტყუანი, მაგრამ აქ რომ ცხვირს ქართულად დააცემინებ და პეტერბურგიდან საყვედურს გეტყვიან, ნეტავ ამას რა ჰქვიან ჩვენი ყოვლისმთქმელი და ყოვლისარმთქმელი ქართულით?

ასე განსჯის „გაბრიელის დღიური“ ქართული სულის, ქართული ფენომენის ანსაც და ჰაესაც.

ეს ვაჟას სულის ამოყვირებაა, მისი შინაგანი სამყაროს გაცხადების სულშეხუთული ცდაა. ბევრია ნათქვამი, მაგრამ უფრო მეტი უთქმელი იძირება სტრიქონქვეშ.

ჰოი, ქართველო, უბედურო შენის ქართველობით, ვის უნდიხარ, რატომ ხარ, იქნებ გგონია, რომ მომავალი გიპატრონებს? სცდები, სცდები და სტყუვდები, იმიტომ, რომ ქართველობა ეხლა ფეხქვეშ გასასრესი რამ არის და მეტი არაფერი, ნურც ქართველ ქალს მოიკითხავ სალოცველ ტაძრად, დრომ ისიც გაძარცვა. სწორადაც უქნია, დაღეღლებული კაცი რითღა განსხვავდება ხელფარტენიანი დიაცისგან?

არაფრით, ღმერთმანი, არაფრით...

დიდი ტკივილით კვნესის „გაბრიელის დღიური“... ჩვენ კი, ჩვენ, შთამომავლები, კიდევ ერთხელ ღრმად ვხრით თავს ვაჟას გენიის წინაშე, რომლის სხივი და ნათელიც ასე მისწვდა მომავალს. გავა ხანი, მცირე ხანი, ჩაველის, ჩაიკვნესებს წუთისოფელი და ჩვენს ლიტერატურას შემოანგრევს ჯაყო, „ტყიდან გამოვარდნილი ნადირი“, მაგრამ სიცოცხლის წვენით საავსე, ღატაკი შუბლისა და სულის ოსი, მაგრამ თვალწვრილი პრაქტიკოსი, პრაგმატიკოსი, იქვე გაჩნდება თეიმურაზ ხევისთავი. უხერხემლო, უგემო და უგერგილო ცვედანი.

ფიქრობს გაბრიელი... შუბლი ეწვის, აზრი აზრს ეზმის. ეს იქნებ იმიტომ ხდება, რომ ქართველი კაცისგან მარტო შარვალ-ზალათიღა დარჩა? ღმერთო მწყალობელო, შენ იყავ მტყუანისა და მართალის გამრიგე, მაგრამ სადღა არიან პირღრუბლიანი, მტერთან შესაბმელად

თვალებდანთებული ვაჟები? ალარსად ჩანან, დროს გაუქრია მათი სახელები და დღეს ვინღა გვყვანან? — ღარიბი შუბლის კაცები, ძალაგამოცლილი მანეკენები, შეპუდრული ცვედნები. ვაი, საქართველოვ, რომ შენი მომავალი მათ ხელშია! იქნებ სხვებიც არიან, იქნებ სხვათაც უძგერთ გული, მამულის ბედზე ფიქრობენ, მომავალს სჩხრეკენ? მაგრამ ასეთები ცოტანი გყვანან. უმეტესობა თევზის თვალებით შეჰყურებს ქვეყნის აწმყოსაც და მომავალსაც?

გაპუდრული ქართველი „შახურ-მახერი“ რა ნაყარს დაჰყრის, რა ძალა ექნება იმის მხარ-მკლავს, რა სილაღე იმის გენს, დადედლდა ქართული სული, გაცვდა ქართული მკლავი, გაბერწდა ქართული გენი.

იგლოვე, საქართველოვ, იგლოვე...

შური — კაცთა მოდგმის მურმანი. ვისთვის მოუტანია კარგი გველის ამ ნანთხევს, რომ ხელოვნებას მოუტანოს? ასე სჯის ვაჟა და თითქოს მომავალს უგზავნის რისხვით აბრიალებულ სიტყვებს: „შური მგოსნობის ნიჭს მოსწამლავს, მოჰკლავს, ამოჰრეცხს, ამოაშრობს გულიდამ აღმაფრენელს გრძნობას, ურომლისოდაც მგოსანი აღარაა, ჩემის ფიქრით, და შეიძლება კი რომ ნამგოსნარი დაერქვას“.

შური და მგოსნობა ერთმანეთის გამაქარწყლებელია, როგორც ცეცხლი და წყალი.

რაღა ეთქმის პირს ამას საპასუხოდ, ალბათ იგივე „ქრისტე აღსდგას“ ძახილს, რომ მივაგებებთ ხოლმე

„ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად“...

რამდენი ტკივილი იკლაკნება დიდი ხელოვანის ამ სიტყვებში, განა შურის ნაკბილევი არ ეტყობა თოვლ-ზვავიან ცხოვრებას? და მაინც ბედნიერი იყო, რადგან მისი გული არასოდეს უთხრია ამ მანკიერებას, მკერდზე შუდამ გაზაფხული ეხატა, სულში სიწმინდე უდუღდა და მწვერვალივით გახედავდა ხოლმე სხვათა სიმაღლესაც.

დიახ, ვაჟას პიროვნებას შური არ გაეკარა. განა იმიტომ, რომ სხვა სანთლის მლოცველი და სხვა მირვნისა იყო, ვიდრე დანარჩენი ქართველები. არა, უშურეელობა მისი რწმენის ნაყოფი გახლდათ, თორემ ზოგჯერ თვითონვე უთვლის ხოლმე თითებზე ნაკლს საკუთარ თავს, თუმცა ეს ყველაფერი ხმელი წიწკარია დიდს, დაბურულს ტყეში.

ეროვნული საქმე, იმავ რწმენის მიხედვით, არ გაკეთდება, თუ სადავეს ნარცისები ეწევიან. მაშინ ისეც სწრაფი და ფრთიანი დრო წვრილმან კინწლაობას, „გამიშვი-გამოუშვის“ შეელევა და საქმეც უთესვარი და მოუმკელი გამოვა. ამიტომ წუხს ვაჟა-გაბრიელი. განა ცოტას ხედავდა თავის გარშემო ამისთანებს? რამდენი უკრავდა სა-

კუთარ თავს ტაშს და „ბრაეოს“ ღრიალებდა. „ერო და ბერო, დამინახეთ, საქვეყნო საქმეს ვპატრონობ, გახურებულ თონეში ვდგავარ, არ დაგაგვიანდეთ, ჩემი სახელი „ქართლის ცხოვრებას“ ჩააბარეთ შესანახად, ვიწველები თუ არა, რას კითხულობთ, მეწველი ფურივით ხომ ვუშვიეარო.“

ბევრია ასეთი, ბევრი...

მართლა მოღვაწეები კი ხარ-კამეჩად არიან ჩაბმული ქართულ უღელში, სანთლებივით ჩუმად ანთიან. ილია და აკაკი რომ აღარა ვთქვათ, იაკობ გოგებაშვილიც გვეყოფა — მუდამ ნამარხულევი ბერივით წმინდა, მუდამ საუღლედ ქედდახრილი, ბრძენი და რძესავით მართალი.

აი, რას პასუხობს ვაჟა სიზმარში მოვლენილ ანგელოზს: „მე და შური შორიშორსა ვართო, ვეუბნებოდი. ანგელოზმა გაიცინა — ალბათ, ვერ შეგინიშნია შენი თავისთვისაო, ქართველი არა ხარო? ნამდვილი ქართველი გახლავარო, — ვუპასუხე. მაშ რაღას ლაპარაკობ, შენ დალოცვილო, სთქვა მან და გაჰქრა... არც ეს მიკვირს“.

არცთუ ისაიამოვნოა ასეთი დასკვნა, მაგრამ რას იზამ, ზოგს მგელი სჭამს, ზოგს მღილი. შური ყოფილა ქართული სისხლის ჭია და, რაღა გვეთქმის, როცა წარსული და აწმყოც თავს გვიქნევს.

იწერება „გაბრიელის ღიური“ და სტრიქონებს შორის ხშირად გაკრთება ხოლმე ვაჟას მუდმივი საწუხარი — უფულობა. არ გვიკვირს — მაშინ თამბაქოს ეწეოდა ვაჟა და ძალიანაც ეწეოდაო. მაგრამ ზოგჯერ რამდენიმე შაურიც კი არ ეგდო ახალუხის ჯიბეში, რომ ეს მწარე სიამოვნება მაინც ეყიდა. შინ კიდევ თამარი არ უჩუმდებოდა და იყო ლუკა ჯვარზე გაცმული. აკი თვითონაც გულს აიხდის ხოლმე და ისე გვეტყვის — არ დავმალავ, სიღარიბე ავი ქოფაკივით სულ კარწინ მება, ალბათ, იმიტომ ქონებიანობამ ჩემს სადგომში ცალი თვალითაც კი არ შემოიხედაო...

ალბათ, ეს არის დიდთა და გამოჩინებულთა ბედი... ალბათ...

და ვაჟაც სჯერდებოდა მარტო კალმის სიმდიდრეს თავის ფშაურ წუთისოფელში.

სად დაჰლევია ვაჟას იმედის სხივი, რომ „სარდიონის ღიური“ დაელიოს... ამიტომ სიფხიზლის ამ მაშალს კუდიც მშვენერი აქვს. არ დაკარგულა უპოვნელად. ხომ არ დაგავიწყდათ სარდიონი, ან იმისი „ემენია“? აი, სწორედ ის სარდიონი დამეგობრებია გაბრიელს. რათაო? იტყვით, იმათა, რომ თურმე მაზრის ნაჩალნიკობა გაბრიელს პატივსა სცემენ. ზედ ელესებიან, „კაზიროკთან“ მკლავის აღებით, ხელის რბილი ჩამორთმევით, არ ვიცი, ეს სიყვარული შიშმა შვა, როგორც მგელმა ბატკანი, არ ვიცი, მართლა ელირსებათ.

ვინ გაიგებს იეროგლიფებით სავსე კაცის გულსა.

წუთისოფელო, ტიალო, სულ კიბორჩხალასავით მრუდედ დადიხარ, წახვალ, წამოხვალ და სარკეს მზეთუნახავს კი არა, მახინჯს დაუდგამ-ხოლმე, რად უნდა გაბრიელს წიგნის ცოდნა, რა უყიდა, რა მოუტანა, რა სარგებელი მისცა — გამემეტებინა სარდიონისთვის და მერე მენახა, რა ბედაურს მოახტებოდა, რა ოქროს ჩამოსწველიდა ცხოვრებას.

ასე ფიქრობს ეს საკუთარ გვარ-სახელზე სახედარივით გადამჯდარი სარდიონი.

როგორც იტყვიან, უკეთურება სალაფავი არ არის, რომ გაცივდეს და ღორმაც კი პირი არ დააკაროს.

სარდიონებიც ისეთი ცალი გვერდია წუთისოფლისა, როგორც ძვირად საპოვნელი სიკეთე.

* *

გიყვარდეთ, კაცნო, ერთმანეთი — ეს სიტყვები კელაპტრად უნთია ვაჟას შემოქმედებას, გიყვარდეთ, რადგან სიყვარული შობს, სიძულვილი სპობს. ეს აზრი ლაიტმოტივია იმ მოთხრობისა, რომელსაც „ამოდის, ნათდება...“ ჰქვია. როგორი წუხილი ბორგავს ამ ორ სიტყვაში. ვის ეშინია სინათლის, ვინ სწყევლის ვაშად მოსულ მზესა და მისი სხივების ცეცხლით გამთბარ მთვარეს? ვის აშინებს, კაცნო, ნათელი? ვისა და იმათ, ვის სხეულშიც ადამიანი მომკვდარა და აპოკალიპსური მხეცი გაჩენილა, ვისი ცხოვრებაც ერთი გაუთავებელი „მშია“ და „მაჭამეთ“ არის. თუ ასეთები მომრავლდნენ, მაშინ საზოგადოება მგლების ჯოგს დაემსგავსება და ისტორიაც ყმუილით, ძვლითა და ლეშით აივსება, ტაძარი არსად აშენდება, სანთელი არსად დაინთება, კაენის ხარხარი ჩამოანგრევს კლდეებს, გააპობს მთებს და სისხლის წარღვნა ჩარეცხავს ცოდვილს დედამიწას, მაგრამ ვაჟას რწმენა სიკეთის, ჰუმანიზმის უძლეველობაზეა დამყნილი, ვერ გაიმარჯვებს ბოროტება, ვერ დაჰკრავს ტაშს სატანა, ვერ ჩაყლაპავს გველეშაპი ცხელ მზესა და ციურ მთვარეს.

ბოროტებას კბილები მაშინ სცვივა, როცა სიკეთე სინათლით ავსებს ქვეყნიერებას, აი მაშინ, გაუცივდებათ ნადუღი გესლი, ყმუილი უძლურ კნავილად შეეცვლებათ და კაენი კაენს მოუქნევს ზურგს უკან დამალულ კეტს.

მზე კი ისევ დალოცავს სიცოცხლის სავსე დედამიწას, ბალახს და ყვავილს, კალოს და საბძელს, ხარსა და მეხრეს.

ასეთია ცხოვრების კანონი. დიახაც, ამოვა მნათობი, რომ სიბნელე შავი ავაზასავით წამოაგდოს და სხივთა შუბებით დაცხრილოს.

ეს აზრი ალეგორიის მშვენიერი მოსასხამით დადის მწერლის პროზაშიც. აგერ, სოფლის განაპირას დაყუნტულან მგლები, ზოგი მიწას დაჰკვრია, ზოგი ნაზამთრალ ბალანს ილოკავს, უფრო ახალგაზრდებს ფეხი ფარეხისკენ მიურბით, მაგრამ ბებერი, ბევრჯერ სისხლში ნატოპი და ტყვიის ცეცხლით ნატრუსი ტოტია განა ასე იოლად მოაკლევინებს სოფელს ლეგაჩოხიან ახალ-უხლებს? სხედან კუდებზე, სისხლში უბრუნავთ თვალები და შესცქერიან აღმოსავლეთით წითლად შელებილ მთისწვერებს, მოდის სინათლე, ჯერ გაუბედავად ამოიწვერა მთვარე, მერე სიბნელიდან გამოგორდა და ლამის ტოტისა და კბილის მისაწვდენზე დაენთო ხსივასთან.

დაბე, როგორის სითამამით ზის გორის ფხაზე, როგორ ივსება და იზრდება. ო, ერთი მაგის სისხლში აბანავა, მაგის ფაშვი აგლეჯინა ამ შიმშილით ბალანჩამოყრილ ხროვას. სიბნელე შავი ცხვარია, ეს სინათლე კი სიკვდილია, დალუპვაა.

ყმუიან, კბილს კბილზე სცემენ, ერთმანეთს ეგლისებიან, ერთმანეთს უღრენენ, ტოტებს უჭნევენ.

„ამოდის, ნათდება"...

საბრალო ტოტია... ჩოხანაცვეთი, სიბერისგან ძვალგალეული ტოტია ისე გაფლითეს თანამოძმეებმა, ისე სწრაფად მოიქციეს ყბებში, გაკვირვებაც ვერ მოასწრო.

ასეთია მგლური ყოფის კანონი...

მთვარე კი ცის კუთხე-კუნჭულს დაჰპატრონებოდა, სხივები დაეგზავნა მთა-ბარში. აბა, სად სიცოცხლეს ჯანსაღი ძილითა სძინავს და სად კიდევ მგლად ქცეული ადამიანი ყმუის და ბნელ ხახაში იყრის თანამოძმის ხორცსა და ძვალს, შავ სანთელს უნთებს ბოროტებას, რომ ამ ქვეყნად მარტო ის სუფევდეს.

თუ ადამიანის გულში სიკეთეს ღვიძავს, საზოგადოებაც წინ მიდის, ცივილიზაციის მაღალ ალმართებს მუხლჩაუხრელად აივლის, მაგრამ თუ ზნეობის ნათელი დაუშრა, მაშინ მღვრიე ბრბოდ იქცევა, ათას ნაკადად დაიწრიტება და ჭაობივით აბუყბუყდება.

ეს საფიქრალი უთუთქავდა შუბლს XIX საუკუნის საქართველოს ჭეშმარიტ შვილებს — რა არის, ფეხი აედგმევინებინათ დაკუტებული მამულიშვილობისთვის. ჰუმანიზმის, სიკეთის დიდმარხვას დიდი გაზსნილება უნდა მოჰყოლოდა.

• • •

დადიოდა ვაჟა ფშაველის გზა-ბილიკზე და კითხულობდა ფოთოლზე, კლდეთა პიტალოებზე, უფსკრულების თავზე წამოყუნტულ ლოდებზე ნაწერ სიბრძნეს.

არა არის რა სხვა...

მხოლოდ ხელოვნებაა ის ძალა, რომელსაც შეუძლია სიკვდილის მირონი სცხოს შუბლზე ადამიანს, მისი სული შეძრას, თვალებში ცისკარი აუნთოს და განწმინდოს. ამ ფიქრით წერს ლუკა ჩოხის მასრაში ჩასატევ მოთხრობას და „სვავს“ არქმევს. ეჯავრება ვაჟას ეს ძველი თოვლისფერი, ლეშით კუჭსავსე ფრინველი. ნეტავ რა უშნოდ იცის ბაჯბაჯი, თანაც თუ მაძღარია და მძორით დამძიმებული გვამი ჰაერში ვერ აუტანია. აბა, ყორანზე რაღა ითქმის, ხანდახან ისეთ ყრანტალს ატეხს, ისე შემჭვარტლავს ცას, მაღლა ახედვა აღარ გინდა, შერე ჩამოჯდება სახლის ბანებზე, საბძლებზე, ღობისპირებზე და თავისი ბინძურის ხმით გალობს ეპიტაფიებს.

ჭალაში კი, მით უმეტეს, როდესაც მშვიდი ლამაზი საღამოა, ბულბული გალობს, შეაწკრიალებს იმ გალობით ცაში ვარსკვლავებს, აათრთოლებს ვერხვის ფოთლებს, ცრემლს ადენს შავად ჩაქუფრულ კლდეს. იმა გალობამ ყორანსაც კი აუნთო სული, თვალი აუხილა და მშვენიერება დაანახა. ო, როგორ იგრძნო მაშინ თავისი ყორნობა, როგორ შეეჯავრა საკუთარი თავი. რისთვის გააჩინე, უფალო, რისთვის მიეც სიცოცხლე, განა მხოლოდ იმისთვის, რომ სიკვდილსა და უბედურებას უგალობდეს ამ თავისი ცივი, ხრინწიანი ხმით? რა არის ასეთი სიცოცხლე, რა ჰქვია ასეთ ყოფნას?

ცრემლი სდის ყორანს, სინანულის, განწმენდის ცრემლი. სვავიც კი, რომელიც ურწმუნო თომას სიჯიუტით უარყოფდა ბულბულის რაიმე ნიჭს, ლაშის მართლა ძველი თოვლივით ჩამოდნა იმ ყუნტზე, რომელზედაც განივრად იდო. ღმერთო, დიდებულო, რა ყოფილა, გენაცვალეთ, ეს ბულბული, საიდან ამოსდის ღვთაებრივი ხმა, ვინ მისცა ამდენი სილამაზე მის კვნესას თუ ლოცვას.

რაზედ მღერის ბულბული?

სიცოცხლეზე, ბატონებო, სიცოცხლეზე. იმაზე, რომ ამ ქვეყნად სისხლი არსად იღვრებოდეს, ბეჩავი არსად დაკანკალებდეს, ქვრივობოლი ცარიელ ჯამს არ ჩასტიროდეს, წყარონი დიოდნენ, ტყე შრიალებდეს, მზე მადლსა თესდეს და ათბობდეს დედამიწას მადლიანი სხივებით, ბოჰყვანდეს მოსაუალი, მოჰქონდეს სითბო და სინათლე, რომ დედამიწის ზურგზე აღარსად იყვნენ დაჩაგრულნი, ვის ნაშრომ-

ნაოფლარსაც სხვები გადაიწყობენ ხოლმე თავიანთი ტუჩ-კბილის სა-ამოდ.

აქ კიდევ ერთი რამ არის განსასჯელ-განსაკითხი, მართალია, დიდი რამ არის თავად სათქმელი, მაგრამ იმასაც გააჩნია, როგორ იტყვი, ანუ რა ფორმას შეურჩევ იმა სათქმელსა. აქ ვაჟა შინაარსისა და ფორმის მიმართების ძველ პრობლემას ეხება, რაც მეტად მტკივნეული რამ იყო იმ კაცისთვის, ვისაც მათრახი გადაუკრეს ლომს, რადგან პერალდიკური მოძრაობა ჰქონდა და ქალის სინაზისა არაფერი ეცხო, ანუ ენა დაუწუნეს, ეგ შენი ლექსები და პოემები — შინაარსოვი ფშაური ფარდაგები, მანდა გქონდეს, ფშაურში, ძირს დაიგე და ზემოდანაც დაიხურე. ბარულ ლიტერატურას თეთრი ლოგინი უგია და ეგენი არა სჭირდებაო, ამოუძახეს დაბლიდან. ის კი ვერავინ გაიგო, რომ ლუკას მთის კილო-კავებს ფარ-ხმალივით იმიტომ აისხამს ხოლმე, რომ მისი მხატვრული ენა, უამისოდ მუნჯი მუტრიბი იქნება.

ან ისეთ რა ხმაზე წერს ლუკა, რომ ბარს ყურის ბიბილო მოაკენიტა. რა არის გაუგებარი მის ლირიკაში? აქა-იქ თუ ხმა ფშაურად მოუქცია და ერთი-ორი აქ, მთაში შენახული და ბარში დავიწყებული კარგი ქართული ჩასვა სტრიქონში, განა ამით სალიტერატურო ქართულს წამწამი დასცვივა და ენა გაუშრება?

ფორმა, ბატონებო, მხატვრული ფორმა ნუ დაგავიწყდებათ, თორემ ზოგიერთს რომ ჰკითხო, ლიტერატურას მხოლოდ სათქმელი ჰყოფნის, ხმა და ფორმა რაღა ბედენა არისო? ამიტომ არის, რომ ყუნტზე ჩამომჯდარ სვავს და შავ ყორანს, მართალია, არ მოსწონთ ბულბულის ნამღერი, ან კი როგორ მოეწონებათ, როცა ორივე წვრილი ფრინველის სარჩო-საბადებლის გამტიალებლად სწერია იმ სიმღერაში არწივთან, შევარდენთან, ძერასა და ორბთან ერთად. მაგრამ ისეთი ტკბილი ხმა ამოსდის ყელიდან ამ პატარა ჩიტს, ისეთი მოხდენით ამბობს სიმართლეს, რომ გული ამოგვარდება.

უსმენენ სვავი და ყორანი ბულბულს. გაჰყურებენ მთვარის სხივებით ნაქსოვ ცას, შუქ-ბნელში გახვეულ ჭალას, მთის ფერდობზე მიძინებულ ტყეს და ოხრავენ, კვნესიან, ცრემლის თბილი წვეთები სცვიათ.

ბოლო სტრიქონამდე ისე გგონია, თითქოს ვაჟა ხელოვნებას იმ ტაძრად მიიჩნევდეს, სადაც ცოდვილთა სულები ანგელოზის ფრთებს შეისხავენ, რომლის საკურთხეველზეც ის კელაპტარი ანთია, რომელთანაც მიახლება საკმარისია, რომ განიწმინდო და იქ შესული გარეთ ამაღლებული და თარხანი გამოხვიდე.

არა, ასეთი თვალსაზრისი შორსაა დიდი ფშაველის შეხედულე-

ბისგან. ვაჟას აზრით, ხელოვნება უფრო ზევსის გრგვინვა უნდა იყოს, მთას მოწყვეტილი ზვავის ძალა უნდა ჰქონდეს, რათა ქვეყნად ცუდი და მრუდი ამობირკვოს, ფესვიანად ამოაგდოს, თორემ უამისოდ ხელოვნება მწირის ლოცვა და დიაცის მოთქმა იქნება.

აგე, წელან როგორ იკრეს ფრთები თავში სვავმა და ყორამმა, როგორ დაითხარეს ცრემლით თვალები, როგორი ჩმუჩვნით ისმენდნენ ბულბულს. თითქოს სიკეთის წყაროსაც დაეწაფნენ, მაგრამ განა ასკილის აყვავება იმას ნიშნავს, რომ ეკლიან რტოებზე ვარდებს დაიყრის?

ამიტომაც ბულბული გაჩუმდა თუ არა, სვავსა და ყორანს კუჭიდან შიმშილმა ამოსძახა, დაჰკრეს ფრთები ერთმა მუხის ხავსიან ტოტს, მეორემ ყუნტს და ბნელ ხევში ჩაეფარნენ, სადაც ნადირისგან ნათრევ ლეშს დაასხდნენ და წიწკნა დაუწყეს.

განა სალამური გველს ნატვრისთვალს დასტყუებს, გველური ბუნებიდან გადააყენებს და გესლს გამოუშრობს?...

ვერც სვავსა და ყორანს დაავიწყა ლეშის გემო ბულბულის აკვნესებულმა სულმა.

მებრძოლი ხელოვნება, გამხილებული სიტყვაა ვაჟას სტიქია, თორემ ბიწიერებას რომ სიტყვის მალამო არჩენდეს, აქამდე მოისპობოდა ის ყველაფერი, რაც ადამიანის სულს ლოდივით ჰკიდია.

და მაინც სწამს ლუკას ღვთისგან გაჩენილისა. ყველა საბრალოა, ყველა, ვისაც ციურმა ძალამ სიცოცხლე მისცა, არსებობის უნარი მიანიჭა. თუ არის, ცოცხლობს კიდეც, თავისებურად, მისთვის გამეტებული სიცოცხლით და ბედნიერებაც ეს არის. ერთნაირად საბრალოა დიდ ზამთარში ჩარჩენილი, ფრთანაიარევი, ყინვით გათოშილი მწყერიც და ლოგინად ჩავარდნილი მარტოხელა გიგოლაც, ვისთვისაც წუთისოფელს ცოლთან ერთად ოთხი მხარგრძელი ვაჟკაცი წაურთმევია.

* * *

ვაჟა ბრწყინვალედ იცნობდა ფშაველთა ყოფას. მათი სიბეჩავე თავადაც საკერებლად ედო ჩოხაზე, ისიც იცოდა, რომ ფშაველის წუთისოფელი სათრეო კლდე იყო. ამ მწირი, ტყიანი მთების შვილს მზიდან მთვარემდე რომ არ ეშრომა, საკუთარ წელებზე არ შემდგარიყო, ოჯახი შიმშილით აუწივლდებოდა, როცა ზამთარი თეთრი მგელივით მოუვარდებოდა და თვითონაც სალექსო უნდა გამხდარიყო, ამიტომ, სადაც ფარდაგისხელა ადგილს მოიხელთებდა, აჩაჩა გუთნით ხნავდა, დაბალი ქერი მოჰყავდა. საქონელსაც კუდზე ჰყავდა

გამობმული, რადგან ქორწილი იყო, ნათლობა თუ მკვდრის დამარხვა არც უსაკლაოდ იქნებოდა, არც უპუროდ და არც უარყოდ...

სხვა კიდევ რამდენი „წესი" და „რიგი" გამოუშვერდა ხოლმე ხელს. ხატს თავისა მიჰქონდა, ადათს — თავისა და ყველა ამას მისი ორი ხელი უნდა ჰყოფნოდა.

ისიც გავითვალისწინოთ, რომ მთა, მისი ცხოვრება ჯერ კიდევ კარგად ვერ იცოდა ბარის ქართველმა. იქაური საქართველო თავისი არ ეგონა, ან იმ მხარედ მიაჩნდა, სადაც მთებს დევების ფერხული ჩაებათ. ღამით ყველა წყაროსთან ალი იჯდა, სახატეებთანაც წარმართი ხევისბერი ბუბუნებდა და უწიგნურ მთიელებსაც შუბლზე ხავსი მოსდებოდათ.

ის კი არ გაეგებოდათ ბეჩავთა, რომ აქაც ერის სული სდუღდა და პირიმზე თამარი დაჰნათოდა მთათა საუფლოს.

სანამ მთის ყოფა ბელეტრისტიკაში აისახებოდა, ჯერ ალ. ყაზბეგის და ლუკა რაზიკაშვილის ეთნოგრაფიულ წერილებში ეზიარა მას ქართველი მკითხველი. ამ პუბლიკაციებში სიმართლეს ეჭირა ხელში კალამი, დაკვირვებულ თვალს ყველაფერი შეენიშნა, ფშაველ-ხოხეეთა ცხოვრების წესი წაუკითხველ წიგნად გადაეშალა საქართველოსთვის

აქაც ხომ ქართველები ვართ,
ყვავილი აქაც ჰყვავისა...

იქნებ მართლებიც იყოთ, დარბაისელნო, რომ მთიელს ცხვრის სუნი უდის, თეთრ, ქათქათა ლოგინსაც მხოლოდ ზღაპარში გაუშლის ხოლმე ფშაველი მზეთუნახავს, თვითონ კი, ბეჩავი, ტახტზე გაშლილ ნაბდებზე, ჩულებსა და ფარდაგებზე მიეგდება ხოლმე, ზემოდანაც თბილ ტყავებს წაიხურავს და ასე სძინავს, სანამ ცა თვალს გაახელს და განთიადი შეფრთხიალდება, მაგრამ რაოდენი სიწმინდე, მამულის სიყვარული, მოყვასისთვის თავდადების როგორი ადათი მოსდგამთ, ისიც იკითხეთ. განა ჩანჩქერი ბოხი ხმით დაიწუნება და არაგვი ურჩობით?

ფშაველსაც აქვს თავისი განუმეორებლობა, ის, რაც აქაურია, რაც წარსულს უზრდია და აწმყოსთვის გადმოუცია.

ლუკას ბევრი სხვაც აქვს დასაწერი, კალამი უმღერის, მაგრამ ჯერ ფშაველის წუთისოფლის აღწერას უნდა ჩაუჯდეს. რა რიგის ქორწილი ეციან, რა რიგის ცოლ-ქმრობა, შვილების დაზრდა და მიცვალებულის წესის აგება, როგორ მიდი-მოდიან ერთმანეთთან, ხმის როგორი სიო აქვთ, როგორ აღამებენ და ათენებენ, ლაშარის ჯვარს შახვეწილი ხატივნები.

და ასე შეემატება ქართულ მწერლობას კიდევ ერთი შედევრი, ეთნოგრაფიული მოთხრობა „ფშაველი და მისი წუთისოფელი", სადაც ვაჟამ ფშაური წუთისოფლის ცოცხალი სურათები დაგვიხატა.

ჯერ მარტო წაწლობის მისეული აღწერა რად ღირს...

ეს ფშაური „ქალვაჟიანი" მუდამ იზიდავდა მკვლევარ-ეთნოგრაფთა ყურადღებას. ამიტომაც შემოგლიმებს, მკითხველო, ამ მოთხრობიდან სანდო — გულზე რომ შიბი უწკრიალებს. დახე, როგორ ჟინჩად დადის ელიზბარიც, იმისი წაწალი — სანდოს ლოგინის ნახევარი ელიზბარისაა და, სანამ ქალს მკათათვე მოუვა, სანამ გათხოვდება, წაწალი გვერდითა ჰყავს, ერთადა წვანან, გული გულს მიდებულები, სულ ერთმანეთს ეძებენ მზე და მთვარესავით, მაგრამ იცის ელიზბარმა, ეს თაფლით სავსე ჯამი იმიტომ არ მიუდგეს, რომ ბოლომდე ამოლოკოს. წაწლების სიყვარული სხეულთა უხმო სიმღერაა, რომელიც მხოლოდ ბალიშსა და საბანს ესმის. ერთი თემისანებს ერთმანეთის შერთვა ადათით ეკრძალებათ და ვინც ამას გასტეხს, ფშავიდან უნდა გადავარდეს, როგორც ეს ვაჟას ძმას — ბაჩანას მოუვიდა.

ფშაველის რწმენით, წაწალი ქალის ძმა არის, მისი ოჯახის ახლობელი. ქორწილია, ჭირი თუ ლხინი, სახლიშვილივით უნდა ტრიალებდეს წაწლის ბინაში და ამიტომ ამ ლამაზი მოთხრობის ერთერთი გმირის კარახელის ოჯახში მას კვარიც იცნობს, სკამ-საკიდარიც და ქვაბში ჩაყრილი, თხის ჯიქნებივით დაბერილი ხინკალიც.

საიდან მოდის „წაწლობის" ეს საოცარი ადათი, ვაჟა არაფერს გვეუბნება. ისე კი იგი თემის ცალსისხლიანობის, თემისშვილთა ერთსულობის ნიშატი უფრო უნდა იყოს, მაგრამ მასში, ალბათ, შორეული წარმართობის ყივილიც ისმის.

ლუკას მიზანი მხოლოდ ფშაური ადათ-ჩვევების აღწერა არ ყოფილა. იგი, ამ მთა-ხევთა უპირველესი შვილი, კარგად ხედავდა, რომ ზოგი ადათი, მართლაც რომ წაქცეული კამეჩივით აწვა ზედ ფშაველ გლეხკაცს — ასეთი უფრო მკვდრის გასტუმრება ყოფილა და მწერალიც კარახელის სიკვდილის შემდეგ მისი ოჯახის ასავალ-დასავალს რომ გვიყვება დაწვრილებით, როგორც თვალით ნანახს, ყურით ნასმენს, მომსწრესა და მონაწილეს ეკუთვნის, ისე აგვიწერს ყველა იმ წვრილმანს, რომელიც ფშაველმა შავ ხილად უნდა გაატანოს იმ ქვეყნად ამგზავრებულს.

ასე რომ, როცა წლის ხარჯს მოითავებს და მკვდარს „კარგად დამარხავს", მისაკითხ-მოსაკითხს აუვა, ფშაველი ლამის ბედნიერადაც კი გრძნობს თავს. ცის ქვეშ ამაყად დადგება ხოლმე — ხუმრობა ხომ არ არის, თავი სირცხვილს არ შეუშვირა, ხალხი არ აცინა, სა-

ლექსო არ გახდა, ვალი მოიხადა. არაყიც ასვა თავის მკვდარსა, ღვინოც, პურიც აჭამა და იქ გასატანებელიც ბევრი გაიმეტა.

ხალხის ნათქვამი შენდობაც თეთრი მტრედივით მიუფრინდება კარაბელს საიქიოში.

ვაჟა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მიცვალებულის გლოვისას ცოლი არ ტირის, უწვიმარი და ღრუბელივით უნდა იყოს შავად მოქცეული, ცრემლშეკრული, კერპად ტუჩმოკუმული.

ახლა ძნელია იმის ახსნა, ზეპირი კოდექსის ეს მუხლი საიდან მოდის, რა უდევს ძირად და ლიბოდ, ერთი კია, რომ ქმრის სიკვდილის შემდეგ დედა მიიჩნეოდა ოჯახის თავკაცად, ყველაფრის გამრიგედ და შვილებსაც მის თვალებში უნდა წაეკითხათ დღევანდელი თუ ხვალინელი საკეთებელი.

ესეც ჩვენი ძველი და ბრძენი ხალხის დადგენილია.

ვის, ვის და ვაჟასაც შშვენივრად ესმოდა, რა მისცა საქართველოს ჯვარმა და საზარებამ, უხსოვარიდან მოდის მზესთან ერთად დაბადებული ქართველი ხალხი, მოარღვევს დროს, ხნავს და თესავს. ეს ქვისპერანგიანი ყელთეთრი ტაძრები, ბებერი ბაზილიკები მისთვის მზოლოდ სულის განსაწმენდი და განსაბანელი არა ყოფილა — ქრისტე უხუჭავდა თვალებს მამულისთვის თავდადებულ ქართველს, ამერ-იმერიც ჯერ ქრისტიანობამ შეკრა ერთ ციხე-გოდოლად, მერე ხმალმა და ერის ნებამ.

ეს ჭეშმარიტება დაშაშრულ ხელისგულზე უწერია ლუკას და ტყუილად ირჯებით, ბატონებო, იმის ახსნისთვის, თუ ქრისტეს მცნებამ როგორ დარგო საქართველოში უკვდავების ხე. ტყუილად იოფლიანებთ ენას, ტყუილად შემოჰყვირით მთას, რომ აქ ისევ წარმართობის ბინდ-ბუნდი დგას, რომ სანთელს დევის ლაშზე ვანთებთ და ხატობაზეც ბანჯგვლიანი ქაჯები გვისხედან სალუდსთან. ეს როგორ იფიქრეთ. მთაც საქართველოა, დალოცვილებო, მაღალი საქართველო და იმასაც იმით უცხოერია, რითაც იერის, ალაზნისა თუ რიონის ბარი მოსულა დღევანდელს დღემდე.

ლუკა თუ წინდისა და ქალამნის კაცია, თქვენ ხომ გაშლილ წიგნთან ზიხართ. აბა, გაიხსენეთ, რა იყო და როგორ იყო. განა ქრისტიანობამ სულ მართალი ნაბიჯით კი იარა? განა საზარების ზნეთსწავლულება არასოდეს დარღვეულა? განა ცოტანი ყოფილან და არიან ისეთი ხუცესები, ფიჩოსანნი, ვისთვისაც ეკლესია დუქანია და თავადაც მედუქნენი არიან? ღმერთს ცას ვინ წაართმევს, არის და იქნება,

მაგრამ, როცა მღვდლის სიტყვა და საქმე გალმა-გამოლმა დევს, იმას რალა სახელი დავარქვათ ამ ჩვენი კურთხეულის ქართულით? მით უმეტეს, რომ დღეს კავკასიაში ქრისტიანობის ალმდგენელმა საზოგადოებამ ყველა კუზიან ბორცვზე შიგნიდან თავლასავით გამოთეთრებული ეკლესია წამოასკუპა, სადაც ეგზარხოსის ცხვირის დაცემინებასაც კი ღვთის წყალობად თვლიან, ლოცვასა და ლიტანიას შეაგებებენ, ერისა კი ისე არაფერი ეკითხებათ, როგორც ქრისტიანს ღლიდა ქისტისა.

აბა, დახეთ, როგორი ფაშვები დააქვთ ამ წმინდა მამებს. იმისა მაინც რატომ არ შერცხვებათ, დიდმარხვისას ბოყინი რომ აუვარდებათ და წირვაზე ყაურმის სუნს დაატრიალებენ ხოლმე?

მთიელი ხანჯლის პირია, ნურას უკაცრავათ, თუ არც ასეთი ეკლესია იწამოს, არც ასეთი მღვდელი და არც დიაკვანი.

ან ეს გვიბრძანეთ, როდიდან გახდა წარმართობა სანეხვეზე გადასაგდები? იმ ჩვენს ძველ სალოცავებსაც უზრდიათ ჩვენი ერის სული, გამოუკვებავთ ჩვენი ნებისყოფა, სანთელივით ჩამოუქნიათ ქართული ენა, უწერიათ და უშენებიათ. ამიტომ ამის დავიწყება იგივე იქნება, ცოცხალ მამას საკურთხს უდგამდე და მკვდარი პაპა აღარ გახსოვდეს. ეს დალოცვილი დრო არაფერს კარგავს, წარსული, აწმყო და მომავალი წმინდა სამებაა, ერთარსება და მათი დაწალიკება მარტო თხელ ჭკუას და თხის აზროვნებას თუ შეუძლიან.

უკაცრავად კი თქვენს კეთილშობილ ყურთან, ბატონებო, მაგრამ სწორედ მთამ შემოინახა ის, რასაც ერის სულის წარსული ჰქვია, ახალ რწმენას — ქრისტიანობას მინდვრის ყვავილივით ჩააწნა და თავზედაც შემოევლო.

მთიელი მორწმუნეა, სამებას, ღვთისმშობელს, წმინდა გიორგის მუხლზე უდგას, მაგრამ ყველა ხევში დევების საბრძანისი ეგულება, ყველა წყალ-წყაროსთან ალი უზის, ყველა ყორე-ნაყორალთან თუ ხავსიან სიახთან ხვთიშვილები უცდიან, ძილიდანაც ხშირად წამოაგდებს ლაშარის ჯვრის ბეგთრის ჟღრიალი და ამ რწმენიდან ვერ გადააყენებენ, გინდა ოთხივ კუთხივ ცეცხლი შემოუნთო.

ასეთები არიან, ისტორიის ძმანი, აქაური „ბათარეკები“, „ივანენი“, „ალუდები“, „ღვთისუნელები“, „ჯოყოლები“ და დიდი მადლობა ამ ხელხმლიან ვაჟებს, რომ ჩემს ნაწერებში შემოაბიჯეს, პაჭიჭებით, რბილი ბანდულებით, თავისის ავითა და კარგით. სტუმრები დიდებულნი გყვანან, მასპინძლად კი როგორი ვარ, დრომ განსაჯოს, დარბაისელნო, და არა როჟიო შუბლმა.

მთიელნი სასოებით ინახავენ ყველაფერს, რაც მათ წინაპრებს შთამომავლობისთვის ჩაუბარებიათ, და, თუ თავიანთი ხეირსებერები,

დასტურები მღვდლებსა და დიაკვნებზე მეტად სწამთ, ამასაც თავისი ლიბო და სარჩული აქვს, მაგრამ ყოველივე ამას მათთვის ხელი არასოდეს შეუშლია, რომ საქართველოსთვის იქ ჩაკაფულიყვნენ, სადაც წმინდა გიორგის შუბი დასცემია ჩვენს მტერსა და დუშმანს.

დიახ, ასეა და, ვისაც უნდა გაიგოს, როგორის ერთგულებით ემსახურება მთის ხალხი თავის ხატ-სალოცავს, ისევ ლუკას ორი პატარა მოთხრობა წაიკითხოს, ერთს „ბერიძე გაუტეხელი" დაარქვა, მეორეს — „დროშა".

ვინ არის ბერიძე? ისიც ერთ უბრალო, ხაჭო-ხავიწით გაზრდილი მთიულია იმ თავისი სამოცი წლით შეფიფქული, სიბერეში გადამდგარი, როცა კაცს აღარც მუხლი მოჰყვება, აღარც ძველებური ფილფო და შეღერება.

შობის წინადღეს ხდება ეს სევდიანი, მაგრამ სიამაყის აღმძვრელი ამბავი. ქარიანი და სუსხიანი ამინდია. მოთხრობის დასაწყისშივე გეშლება თვალწინ ვაჟკაცური ხელუხვობით დახატული ზამთარი — თოვლის ცივი სუნთქვა ჰყინავს ყველაფერს. მთა ბობოქრობს, ქარი სისინებს, თოვლის ბელტებს ჰგლეჯს და ყველაფერს დაბლა ახეთქებს, რაც ჯერ კიდევ ფეხზე სდგას. აი, ასეთ ტაროსში გამოჰბმია გზას მოხუცი ბერიძე, ხალხში „გაუტეხელის" სახელი რომ დაუგდია თავისი შეუპოვრობით. რამდენჯერ შეჰბმია ბერიძე გაავებულ ტყიურს, რამდენჯერ გეზელიკით დასცემია მტერს და ერთხელაც არ მოუხედავს უკან — ჯიქის ნახტომითა და ნაფრენით მოსულა სიბერემდე და ახლა ის წასული წლები უკან ეწევიან: „შეჩერდი, ვაჟო, ხომ ხედავ, ის აღარა ხარ, რაც იყავ, კლდეც კი ჟანგდება, როცა დროის ობი მოეკიდება და შენ ხომ ძვალ-ხორციანი ადამიანი ხარ, უკან დაბრუნდიო", მიჰკიეიან, მაგრამ „გაუტეხელს" არც მათი ვედრება ესმის, არც იმას დაგიდევს რამედ, ქარი რომ თეთრ კორიანტელში ხვევს, ფეხქვეშ მყარს აცლის და ხან კიდევ მკერდზე დაჰკრავს ხოლმე ტორს.

უკანდახევა და ბერიძე?

მერე რა დროს... შობის წინა დღეს, როცა ხვალ ხატობას შეყრილი ხალხი ელოდება სალუდე კოდებთან აბღაველებული საკლავით, დიდის რიდით და სიხარულით.

მაშ გამაგრდი, ბერიძევ, ამ ქარტიალას და თეთრ ბუქს გაუძელ, სალოცაოში ჩადი, ხატის დროშა ერთხელ კიდევ შეაყრიალე და მერე ქნას თავისი სიკვდილმა.

* * *

მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიანი წლებია. ვაჟა უკვე მზარ-ბეჭიანი ვაჟკაცია. შუბლზე ელვრება წაბლისფერი, ურჩი თმების არილი. მოკლე წვერი უყენია. ფშაური ჩოხაც ტანზე აკვდება და მუხლადაც ისეთია, იქნება არაგვს ჩაასწროს მცხეთაში. იმ დღეს ბე-სო შანიძის დუქანში ერთი მთიელი აუხირდა — „თუ ჯანით მართლა ისა ხარ, რა ხმაც დაგიდის, ე ამან თქვასო“ და ლუკას მაგიდაზე ხა-რის ნალი მიუგდო.

ცოტა ხნის მერე ის ურწუმუნო ზემოური ვაჟას თითებში აჭყლე-ტილ ნალს გაკვირვებული დაჰყურებდა, გაქონილ ტყაპუჭზე ხელებს იცემდა და ერთსა და იმავეს ბუტბუტებდა:

— უფლისაი ხარ, ვაჟო, უფლისაი...

ხან ჩარგალშია ლუკა, ხან დუშეთ-თიანეთში. აქაურ ამბებს „ქი-თაბში“ ჩაიგდებს ხოლმე, რომ მერე მოკლე კორესპონდენციები და-უცხროს „დროებისა“ და „იმედის“ რედაქციებს, დრო კი, ტიალი, მიდის და მიიმცერება, ახალ ამბავს თუ იმ დღითვე არ ჩაუჯექ, ხვალ უკვე სიძველის მტვერს წაიყრის და მთქნარებით წასაკითხი იქნება, ამიტომ მისდევს ლუკა ფეხდაფეხ ფშავ-ხევსურეთისა თუ მთიულეთ-გუდამაყრის ცხოვრებას, ამიტომ სწველის გაქცეულ ფურირემს. სატკივარი კი, მართლა ბევრი შეჰყრია აქაურობას. თვალებახვეული უმეცრება თქვას მთისა, ყბაგაუნძრეველი შიმშილი, თუ გაუთავებე-ლი სიღატაკე? რა არის მთიელის წუთისოფელი? ერთი გაბმული კვნესაა და მეტი არაფერი. აი, რატომ იციან ქედნის ღუღუნივით სევდიანი სიმღერა. აბა, ბნელ ხევებსა და შიშველ კლდეებს რა ეკითხვით, როცა თვით სამაზრო დაბა-ქალაქი თიანეთიც ჭორის სა-ნაგვედ ქცეულა და იქაურებს უფიქრალ შუბლზე აბლაბუდა გაჰ-ბმიათ?

არა, ლუკამ კალმით უნდა გამორწყას ეს ძირმაგარა, სიმართლე თეთრი ხარივით უნდა მიუბას თიანელებს კარებზე. ასე იწერება ვა-ჟას კორესპონდენციების ის სერიალი, რომელმაც მათ ავტორს ბევ-რი უხსენებელივით აუსისინა. ვინ არის, ნეტავ, ეს მეელიკა ხინკალ-ჭამიაშვილი, რომ გრძელ სახრეს გვიქნევს, ჩვენს ფიქრებს თუ უფიქ-რალს ასე უდიერად უსმენს, ჩვენი ღირსება რომ სახედარს გადაჰ-კიდა. რა ჰგონია, ან გუბერნატორი არსად არი, ან მაზრის უფროსი და პრისტავი? ხეპრე ვინმე იქნება, ტყის შვილი, ხელეჩოთი გასათ-ლელი რეგვენი, თორემ ამ კორესპონდენციებს ნივრისა და დაბალი ხაჭოს სუნი არ აუვიდოდაო, ხითხითებენ თეთრგულა ფრაკები.

მაინც რამ გააწყარა თიანეთის საზოგადოება, რატომ დააკრეს ქარს ლუკას კორესპონდენციები?

ერთი მიზეზთაგანი ის ყოფილა, რომ თიანელებს რის წვალებითა და ხელკეთილობით გახსნილი საქართხველო ბანკის სათანაშო სახლად უქცევიათ, ქართული ლაპარაკი პირსა სწვავთ. თურმე ვისი რა საქმეა, თუ აქაურ ნაზუქს რუსული „პიროგი" ურჩევნიათ: ეგღა აკლიათ თიანური პროვინციული კილო-ხმით აყროყინდნენ. აბა, რას გაიგებს მგელიკა ხინკალჭამიაშვილი სიასპირიით ლბილი რუსულის გემოს. აქაური ჟურნალ-გაზეთები იკითხეთ, დროს ფეხი ააყოლეთო. მეხი კი ჩამოვამტვრიეთ იმ უმწიფარ თავზე, კარგი ვინმე ის იყოს...

მერე რა, თუ ქალებიც გავშლით ხოლმე ბანქოს, მა, ერადა ფთილა-თითისტარს ჩავუჯდებით უბირი ღედაკაცებივით.

ვაჟა ჩოურიდებლად აქბელს ადგილობრივი ინტელიგენციის პირმსუნაგობას, ზნეობრივ უწმინდურებას. საბრალო თიანელი გლეხობა; რაქდენი ბჭამელი და მუზმუზელა ახის ზურგზე, რამდენ რეგვენს უყვავის სახელი ამ ბნელს, უმზეო და უმთვარო თიანეთში. ვაჟა განსაკუთრებული სიმკაცრით ესხმის თავს ადგილობრივ ესკულაპეს, მედიცინის დოქტორსა. ამ ვაჟბატონს დისერტაცია დაუცია სტავროპოლის სანიტარულს მდგომარეობაზე და თავი ჟირაფივით მაღლა უჭირავს, თუმცა მისი მეცნიერობა რიყის კენჭადაც არა ღირს და ის რაღაც დისერტაციაც მეოთხე კლასელის საკლასო თხზულებად თუ ჩაიგდება. ასეთია ვაჟას აზრი ამ გამოჩინებულ ხალხზედ. ლუკას გააფთრება უფრო იმან გამოიწვია, რომ გრილშუბლიანი ესკულაპე ხალხის უბედურების ერთადერთ მიზეზად თიანურ სიბრძნესა თვლის და არა სოციალურ უსწორმასწორობას, თანაც იმდენად გათავხედებულა და თავი ღრუბლებში წაუყვია, რომ ბარათაშვილიც კი შეუწუხებია და მისი უკვდავი სიტყვები ბეჭდვით დაუკრავს თავისი ნაშრომისათვის, — მე რაც საქნელი ვქენი, რაც უგზო-უვალზე კვალი გავავლე, რაც სოფლის ჭირწყალი ვლვარე. ცუდად ხომ მაინც არ ჩავლის და შეძლეგ ჩემს თანამრძმეებს სიძნელეს გზისას გაუადვილებსო.

მოკლედ, თიანეთი იმ უპატრონო საყდარსა ჰგავს, სადაც ეშმაკებს ფერხული აქვთ ჩაბმული. უბრალო მწერალი რა არისო, კითხულობს ვაჟა, კანცელარიის კუთხეში მიმჯდარი და ისიც კი ორ-სამ წელიწადში რამდენიმე სახლს წამოჭიმავს ხოლმე. იქაური თუ ავად გახდა, ფეხზე ისევ თიანურმა ჰაერმა უნდა წამოაყენოსო, თორემ ექიმმა სასაქმებელი ზეთისა და ქინაქინის მეტი არა იცის რა. უბედურება კიდევ ის არის, რომ იმაშიც სნეულმა ერთი წლის ნაწველ-

ნადღვები უნდა მიუზიდოს სიცოცხლის იმ გაქსუებულ მეუფეს. დიახ, სიტყვა უკვნესის ვაჟას, როცა კალამს იმას აამბობინებს, თუ როგორ ჩამოართვეს მთიელ გლეხობას სოფლის ახლოს მიფენილ-მოფენილი ნოყიერი სავარგულები ჯარების საბანაკოდ. ხალხიო? იკითხავთ, ხალხი ჩექმიდან მოსაცილებელი ტალახია ამ ვაჟბატონებისათვის. მთავარია თიანელი „არტემები“ და „გიორგები“ და სხვანი კისრამდე ქონში ჩასხდნენ და სხვისი ოფლით გაიპოხონ. ეინ ფიქრობს განათლებაზე, სკოლებზე. ნეტავი შენა, ფშაველის წუთისოფელი უწიგნოდაც კარგად მიიზლაზნება უღელში ქედნაცვეთი კამეჩივით.

ვაჟას თიანურ კორესპონდენციებს დიდი სუსხი და ქარბუქი დაუყენებია თიანელ საზოგადოებაში. „დროებიდან“ რუსულ „ნოვოე ობოზრენიესაც“ გადაუბეჭდავს მგელას კალმის ნაჭირნახულევი და ამას კიდევ უფრო აუნთია იქაურები. — ვინ ოხერია ეს მგელა ხინკალჭამიაშვილი, რაღა ჩვენი მოსახდელი სახადი გახდა, დადგეს და დაგვაყენოს მაგ უცოლ-უძიროდ დასაბერებელმა. ღმერთმა კი დასწყეველოს მაგის თავიცა და იმის ეკლით ნაწერი რაღაც კორესპონდენციებიცო. აკაკანდნენ თიანელი და დუშელი მანდილოსნებიც. რა მაგის საქმეა, ჩვენი კაცები გაზეთს კითხულობენ, თუ ქაღალდსა შლიან, ულვაშს მაღლა აიგრეხენ თუ დაბლა ჩამოიშლიანო. ლუკა კმაყოფილი იყო. აგრე, აგრე, ხომ გაჭამათ მგელამ ფშაური მაჟალო წითელ თურაშაულს მიჩვეულებს. ახლა იმისათვის მაინც გადაიკიდებათ ქართულ ჟურნალებს, სადმე კიდევ არ იყვეს ამ შავი ფშაველის ქავ-ციხესავით შეუვალი სტატია.

უყვარს ლუკას თიანეთის მიდამოები. მთების უბე-კალთაში ნებივრად ჩამჯდარი სოფელი, წმინდა ჰაერი, ერთმანეთს მზრებით მიყრდნობილი მთები, მუხლისთავს აწვდენილი ბალახით აღაღანებული მინდვრები და ტყე-ხევის გაუტეხელი მყუდროება. ბევრს ჩამოიყვანს ხოლმე აქ ეს სილამაზე ზაფხულის ხვატით ადუღებული ქალაქიდან კალას არ ნახავ ამ პატარა დაბაში. ხან ფარ-ხმლიანი, ჩაფხუტით შეიარაღებული ხევსური ღრუბელივით უბღვერს სასყიდელზე ჩამოსულ ქისტს, ხან ფეხჩითიანი თუში, თეთრნაბდიანი ლეკი თუ მოხევე-გუდამაყრელთ გადაეყრება ოღრო-ჩოღრო გზაზე. ყველა მთის შვილია, ყველას თოვლიანი მწვერვალების შუქი ადგას, მაგრამ ერთმანეთს მაინც ბევრში არ ჰგვანან — საკუთარი იერი სცხიათ სახეზე. საკუთარი ჩვეულება ულაგიათ მამაპაპურ სკივრებში და ამ მხრივ კავკასია, მართლაც, ეთნოგრაფიული იშვიათობაა.

რა თქმა უნდა, ლუკას კორესპონდენციები მთიელთა საყოფაცხოვრებო წერილმანითაც არის გაჯერებული. აქ ხშირად ენაცვლე-

ბიან ერთმანეთს მხატვრული სიტყვის ოსტატი, სოციოლოგი, ეთნოგრაფი და ხალხის მწარე ბედით თვალატირებული პატრიოტი. იშვიათად აუმღერდება ხოლმე ლუკას სიტყვა ამ კორესპონდენციებში. ისიც მაშინ, როდესაც სასამართლო კრებულის მიერ ადგილობრივი ზნე-ჩვეულებებისა და ადათ-წესების გათვალისწინებაზე წერს საქმის გარჩევის დროს, მაგრამ მაინც ტკივილი უფრო მეტია ამ კორესპონდენციებში. ისევ პროვინციის ჩაკეტილ ცხოვრებაზე ჩივის ლუკა, პროვინციისა, სადაც განათლებულ ახალგაზრდა კაცს, ქვეყნის სამსახურისათვის გულანთებულს, იმედების მწარე გაცრუება მოელის, თუ რაიმეთი გამოირჩა და თიანეთის მთვლემარე ცხოვრებას ფეხადგმული მკვდრის მდორე ნაბიჯით არ აჰყვა.

საქმე, ბატონებო, საქმე და მერელა სიტყვა, თორემ ამ ქართულმა ღაუდეერობამ ლამის ბეჭებზე დაგვცეს და თვითონ წაქცეული კამეჩივით დაგვაწვეს. აგე, საგლეხო ბანკი დაიწყეს თიანელებმა, მაგრამ თურმე საპნის ბუშტებს კი უშვებდნენ მარტო გარეშე თვალის მოსაჭრელად. ეს კარგი წამოწყება ძველი საბძელივით დაიშალა, რადგან ქართულმა უწესრიგობამ, დაუდეერობამ გადახვია მხრებზე ხელი და იმ ბანკში განივრად მოიკალათა. როდისღა უნდა ვისწავლოთ ქართველებმა ევროპული ყაირათიანობა, როდისღა უნდა გამოგვივიდეს ცივი რაციონალიზმი, ურომლისოდაც წინ რომ წახვიდე კიდეც, გზას ბარაქას ვერ დააყენებ.

— მაინც რა სენი სჭირს ქართულ ინტელიგენციას, — უკვირს ვაჟას, -- ოღონდ ტრიბუნაზე შედგნენ, დაბლიდან მაღლა აიხედონ და მეტი არაფერი უნდათ... მარტო სველ სიტყვას ქვეყანა არ აუშენებია, დანგრევით კი, იცოცხლე, ბევრი უნგრევია. შემოჰკარით, ბატონებო, დაირას, შემოჰკარით და ხელები ფართოდ გაშალეთ, ჰგრიხეთ გრძელი რეჩები, დააყრუეთ ხალხი „Господи слава"-ს ძახილით და ეს არის, ვითომ საქმეს ქამარი შემოურტყამს. მერედა რისთვის ითხოვთ სიტყვას, რისთვის იწყვეტთ ხელებს. იმისათვის ხომ არა, რომ შემდეგ დიდის ამბითა და ხმის გაბერვით გვამცნოთ, — „Я вполне согласен с г-ом Парпатадзе".

ალბათ, როგორც მკითხველი ხედება კარგი მწარე წიწაკითა და პუბლიცისტური სანელებლით შეუზავებია ლუკას ეს თიანური კორესპონდენციები. ლბილი იუმორითა და კრაზანასავით აბზუილებული სატირით სურს გამოაღვიძოს ადგილობრივ ინტელიგენციაში გამჯდარი მთვლემარება, შესძრას, შეანჯღრიოს პროვინციული ცხოვრება. ისევ ჩვენ, ჩვენ უნდა ვუშველოთ საკუთარ თავს, თორე ბარი ვერ ამოგვწვდება. არც დიდად ვაინტერესებთ. აბა რას დაგიღევს ბარელი ინტელიგენტი, ფშავის ხევში დათვი საით გააბოტებს?

სანამ მთას გაქონილ ტყაპუჭს გახდი და ჩვეულებრივ სამოსს შეაჩვევ, ალბათ, ნოე ბეორედ შეჰკრავს კიდობანს, — ასე ამბობენ ბარში მთიელებზე საქვეყნო ფიქრით შუბლშემჭკნარი მოღვაწენი. მთა შუა საუკუნეების დაკეტილი მუზეუმი ჰგონიათ, სადაც „ბერიკები“, „ღვთისოები“ და „აპარეკები“ ხვრინავენ და გახდილი ქალამანივით ჰყრია ხავსმოდებული ადათ-წესები. იმის მაგივრად, რომ თიანელები თეთრ საყელოსა და საქვეყნოზე ფიქრობდნენ, ყოველ გალაჯებაზე დუქნებსა ხსნიან, რომელთა წინაც ხეზე ჯაჭვით მიბმული დათვი დაბაჯბაჯებს. აბა რა შთაბეჭდილებას მოახდენს უცხოელზე მთის ეს უპატიური პერალდიკა?

დრო კი მიდის და მიიმცვრება...

ისევ ახალი ამბავი ამოუვიდა ლუკას თიანეთიდან. ერწოს საგლეხო მიწები თავად ხიმშიაშვილს დაუჭერია. სამაზრო სასამართლოს წევრები ქრთამით დაუპოხია, პურმარილით დაუძღია, და კანონისათვის რქებში ხელი უტაცია. დევმა წყალი დაიჭირაო და ჩვენებური გლეხკაცი მანამდე უზიდავდა ხოლმე იმ უწმინდურს შესაჭმელ მზეთუნახავებს, სანამ ზღაპარი ან ხმლით არ მიუვარდებოდა წყლის თავზე მჯდომ მავნეს, ან გულში ისარს არ გაუგდებდა. ახლაც აკივლდა იქაური გლეხკაცობა, ქუდები მიწაზე დასცეს, ეგ მამულები ხიმშილაშვილს აქაღდე სიზმრადაც არ უნახავს, მამა-პაპით საგლეხოაო, მაგრამ უყურო სამართალმა ვერაფერი გაიგონა, უენო სიმართლე კი უკან გადგა, ლუკამ თმის ბეწვიდან ქალამნის თასმამდე იცის მთიელი გლეხკაცობა. დიდი ხანია მის გულში ჩაიცქირება, მისი სიბრალულიც უბეში აქვს შენახული, ამიტომ 19 აგვისტოს კორესპონდენცია, რომელსაც უბრალო სათაური — „ფშავის ხევიდან“ უზის, იმ თავისი ღრუბელივით აშლილი ფიქრებით აავსო, კერძოდ კი სიტყვა ფშავში სასკოლო საქმის ოჩნობაზე ჩამოაგდო. აბა, საიდან უნდა გაიღოს გლეხმა საწრეკლო სკოლისა და „უჩიტელის“ შესანახი ფული, როცა თავად ტანზე ტყავი არ უჩერდება, როცა ნაცვალი თუ ურიადნიკი გადაუხდელ ბეგარაში ქვაბსა და ცულსაც კი დაუგირავებენ ხოლმე წუთისოფლის ამ გაუცინარ გერს? ფშაველის სიღარიბეს მაშინ დასცვივა სკოლისათვის საჭირო კაპიკები, თუ ხატობებში დაკლული საქონლის ტყავებს მღვდელ-დიაკვნები კი არ დახვეტენ, არამედ ხალხისა ისევ ხალხს დაუბრუნდება — ეს ტყავეული ფულად იქცევა და საშრევლო სკოლებს გამართავს. რამდენი გულისტკივილი, თვისტომთა ბედზე როგორი ზრუნვა იკითხება ამ პატარა საგაზეთო უსტარში! ვაჟა ღვთით, დაბადებით შემოქმედი და მოწოდებით, სამწო სააშქვეყნო საქმით პედაგოგი გახლდათ. მასწავლებლის მაგიდა

ჩისთვის წმინდა რამ საკურთხეველი იყო, რომელთანაც სანთელი ენთო და ქვეყნის მომავალზე ფიქრი ძილის დროსაც ხმელი ფიქალივით თავქვეშ ედო. ამდენს კი განა რამდენი იზამს, ამიტომ „უჩიტელობა“ ზოგს მარტო გლეხის თონეში ხელის ჩაყოფა და იქიდან ნაშუქის ამოგდება ჰგონია, ყდიდან ყდამდე თითო წიგნი არ წაუკითხაეთ და ყრმის გონებას რაღა სარჩო უნდა მისცეს? რას იზამ, წმინდა ტაძარს ფარისეველნიც უტრიალებენ. ლუკას ისიც სმენია, რომ ზოგი სინდისჩამბმარი „უჩიტელი“ თავის ვითომ ნასწავლობა-განათლებას წინ ფარდაგივით გაიფენს, უბირი გლეხობის ნდობას იშოვის, ნათლიადაც ბიჭიდება და მერე იმ თავის ნათლულს ნაბუშარს გააგდებინებს ხოლმე. რაღა უნდა სწამდეს ამის შემდეგ ხალხს მასწავლებლისა? რა თქმა უნდა, ასეთი, უკაცრავად პასუხია, ინტელიგენტი ჩოსათიბი ჭინჭარია, სუნავარდნილი ლეშია, რომელიც ირგვლივ ყველაფერს ყროლის სუნით სწამლავს.

ვაჟა თვით იყო ლაშარის ხატის ყმა. მის შეხედულებაშიც უნთია სანთლები ფშავ-ხევსურთა სალოცავს, მასაც შეუწირავს საკლავი წინაპართა საველრებლისათვის, სისხლითაც „გაუნათლავს“ მხარმკლავი, დაუთოფავს მკვდრის სულის ხსენისათვის სამიზნედ ჩადგმული კვერი, დაწყალობებულა და ატეხილ შუღლში მომრიგებლად ჩამდგარა, მაგრამ ყველაფერს ლუკა რაზიკაშვილი იქმოდა, ჩარგლელი გლეხი, სხვა ფშაველებივით ღარიბი და ურმის თვალზე გაკრული. ისიც კარგად მოეხსენებოდა, მთის ხალხი მღვდელსა და ეკლესიას გამოღმა რატომ ედგა, მაგრამ, როგორც შეხედული, მოაზროვნე თანამოძმეთა ჭირნახვაში მამულიშვილი, იმასაც კარგად ითვალისწინებდა, რომ ხატი თუ დეკანოზი ცრურწმენების, უგზო-უმეცრებისა და ფეხათრეული ჩამორჩენილობისათვის სწირავდა მთათა მაღალშუბლიან შვილებს, ვისმა ბუნებითმა ნიჭმაც ამდენი ობოლი მარგალიტი აანთო ხალხური პოეზიის სალაროში. ვაჟას ფიქრი იმ კორესპონდენციებში, რომლებსაც ხევსურეთის ამბები ჩააქვთ ბარში, ისევე აყირავებულ ფერდაზე ხის აჩაჩა გუთანს გამობმულ, დაგლეჯილ დურატყავში ძვალ-ხორცგამოხეულ მთიელს დასტრიალებს, ვინც ასეთი საცოდაობით შოულობს წლიურ სარჩოს.

როგორ შეიძლება ვაჟა გაჩუმდეს, როდესაც საკუთარი თვალით უნახავს, ღარიბ, უხარ-უძრახო, ფშაველსა თუ ხევსურს როგორ მიუყვანია ხატის კარზე ერთადერთი მოზვერი და „ბატონისათვის“ შეუწირავს. ახლა ხომ ეს ხატი დაიმწყალობა, ახალნახადი ლუდითაც ჩამოისველა გულისპირი, მლოცავში გაერია, სიმღერითაც ყელი აეხიწმინდა, მაგრამ მერე რაღას იზამს, საცოდავი, როცა ზამთარი თეთრი მგელივით მიუხტება, თოვლი ჩამოჰყრის და ისედაც დაკარ-

გულ ფშავ-ხევსურეთს კიდევ უფრო დაჰკარგავს? დიახ, ხატის კარ-ზე ცხვარივით აბია ყველა მთიელი, თოკად კი ცრურწმენა აქვს ნაგ-რები. წერილში „ერთი კვირა ხევსურეთში“ სწორედ ამ ცრურწმე-ნებზე და ქადაგ-მკითხაველების უკულმართობაზე ქუხს ვაჟა. სწორედ ეს პირმრუდი მკითხაველები არიან, ხალხის უმეცრებაში ყოფნა რომ სურთ, რათა უფრო ღრმად ჩაყონ ხელი მთიელის ჯამში. ბუც ხომ იქა ჰკივის, სადაც სიბნელე გამჯვარტლულა და სასაფლაოს მდუმა-რებას დაუსადგურებია გარემო?! ვაჟას თავისი თვალით უნახავს ბა-რისახოს სკოლის მასწავლებელი, რომელიც თურმე მკითხავთაგან ისე ყოფილა შეწუხებული, რომ ლამის იქიდან გადაკარგულიყო. თურმე მკითხავები ხატ-სალოცავით აშინებდნენ ბალღების მშობ-ლებს — ავი და მავნე დაგრეცავთ, ბარაქა გაგვარდებათ, ხატი გი-წყენთ, თუ თქვენს ბალღებს „უჩიტელს“ მიურეკავთ და წიგნებს შე-აჭმევინებთო. ხევსურმაც რა ქნას — ბატონის რისხვას ისევ ის ურ-ჩევნია თავისი ყმაწვილი საქონლის კუდს გამოაბას და ის თავისი ახალ-უხალი უმეცრებას გაუზარდოს. ვაჟა სიხარულს გამოხატავს იმის გამო, რომ ბარისახოში შეგირდებისათვის სადგომ-საცხოვრე-ბელი შენდება. თუ ევროპაში შვილის აღზრდა სავალდებულო რამ არის, ქართველი რაღად უნდა ოჩნობდეს იქ, სადაც ფეხის გაჩქარე-ბაა საჭირო?

მიდი და ეძებე, ამ კითხვის პასუხი ხევსურეთში რომელი ქვის-ქვეშ დევს. ერთი კი არის — ვაჟა გადაჭრით იხრება იმ აზრისაკენ, რომ ფშავ-ხევსურეთში ჭეშმარიტი ეკლესია და სამღვდელოება შე-ებას უმეცრების შავ დევს. ქრისტიანობა წიგნიერი რელიგიაა, უნათლ-უსანთლოდ არ ითქმის და განათლების სიკეთე თან დასდევს.

ვაჟა მიიჩნევს, რომ ფშავ-ხევსურეთში, დიახაც, ძალით უნდა მი-იყვანონ შეგირდები სკოლაში, იმათ მშობლებსაც სწავლა-განათლე-ბის მადლი როგორმე შეაგნებინონ, თორემ თვალდათხრილი უმეცრე-ბა კიდევ უფრო შორს გადაუკარგავთ მომავალს. ამ ღვთისა და კაცის საქმეს, პოეტის რწმენით, ფიჩოსონი მამანი, მღვდელ-დიაკვნები უნ-და აკეთებდნენ. მაგრამ, აბა, ამაებისათვის სადა სცალიათ, როცა ხა-ტობებში საკლავის ტყავების ხვეტაში ისე უღამდებათ და უთენდე-ბათ, პირჯვარი არც კი გააბსენდებათ ხოლმე, თანაც ვის გზავნიან ფშავ-ხევსურეთში მღვდლებად? ვისა და ნაბოლარა ნახუცრებს, რომლებმაც „ჟამნი“ და „დავითნიც“ ძლივს იციან, ხუცურს ღერღი-ლივით ჰფქვავენ და კითხვისას, აბა, ხმას ქრისტიანულად როგორღა დაიტკბობენ, როცა წაკითხული გულიდან არ ამოსდით?

მერე კი პატივცემულნი გვამნი შოთებივით სტატიებს დააცხო-ბენ — მთაში კერპთაყვანისმცემლობა ღვივის, ფშავ-ხევსურთ ჯვარ-

სა და წმინდანის ხატს სალოცავ ყორეებში ემალება, შუა საუკუნეები იქაურებს დურა-ტყავებად აცვიათ და, არიქა, უშველეთო.

პოეტი კმაყოფილებას გამოთქვამს კორესპონდენციის დასასრულს, რომ სოფელ ბარისახოში და ზოგან სხვაგანაც ცდამ თავისი ქნა და ეკლესიაში წირვაზე ლამის ორას სულ ხევსურსაც ნახავ, მათ შორის ისეთებსაც, ვინც ადრე მარჯვენას მოიჭრიდა, მაგრამ ხატის იქით სანთელს არ დაანთებდა.

განა მარტო ეს სატკივარია ჩაგებული ამ პირმართალ წერილში. აბა იმას რალა სახელი დაერქმევა, წიდღვანსა და მშობიარე დედაკაცს ხევსური „სამრეველოს“ სიმარტოვესა და სიჩუმეს რომ მიუგდებს ხოლმე, ან მკვდრის სხვისა ძველა საფლავში დამარხვა რა სათქმელ-საკეთებლია, იქნებ ქალების ძალად მოტაცება და ცოლად დასმაა ვაჟკაცის სახელის ამყვავებელი? ეს ყველა უნდა მოისპოს, ძალით თუ ნებით უნდა ამოვარდეს, ამიტომ დიდ იმედებს ამყარებს ვაჟა ბლაღოჩინ კ. სემიჩზე, რომელიც ფშავ-ხევსურეთში თურმე დაკარგული ცხვრებივით აგროვებს გზადაბნეულ სულებს, რომ ქრისტეს მიურეკოს, ხალხი ჯვარსა და მირონს მიაჩვიოს, ბნელი გაჰკაფოს და ნათელი მოჰფინოს ამ დავიწყებულ კუთხეს.

კიდევ რა ჭინჭარი ჰკბენს და რა ცეცხლი ლოკავს ფშავ-ხევსურეთს? ბევრი, დასათვლეთზე ბევრი. ღმერთმა ნუ ქნას და სველი ამინდები არ დაიჭიროს, ან უცვარო ზაფხული არ ჩაუდგეს ან ქარები არ ახსნას, თორემ მთიელს შიმშილი შინ შეუვარდება და მეორე შემოდგომამდე ფეხს აღარ მოიცვლის — უსმენს ატირებულ ბალღებს, ქალის ქვითინსა და კაცის კვნესას. სწორედ ასეთ უბედურებას უყვება მკითხველს ვაჟას კორესპონდენცია „მთის ვითარება“. ნაალრევი ყინვები გამტყვრალა მთაში, ჭირნახული თრთვილს შეუჭამია და ფშავ-ხევსურეთში ჩიტის ასაკენკი ქერი აღარსად დარჩენილა. ან ხმიადი რითა, ან ლუდი რითა, ან ერისა და ან ღვთისა.

„რითა“? ეს კითხვა ჰკივის ამ ნაღელიან წერილში. განა არა, არზები მიურთმევიათ მთიელებს მთავრობისათვის, დაგვეხმარეთ, შეგვიბრალეთ, წყალობა ჩვენი და ცხონება თქვენიო, მაგრამ ის არზები ვიღაც-ვიღაცეების პორტფელებში დახოცილან, გამკითხავი კი ას ვერსზედაც არ გამოჩენილა.

სტკივა ვაჟას, სტკივა ღარიბი მთა...

საქონელიო — იკითხავთ. მდიდარი ცხვარი, კლდე-ღრანტეებს ეშმაკის მძებნელი თხა, დარბაისელი კამეჩი, ერბო-ყველით სავსე ფური, რკონაკვნეტი ტახ-ბურვაკი და ნეზვები სადღა ჰყავთო ეს ღარიბ ფშაველებსა და ხევსურებს?

ამის პასუხიც სამელნის გვერდით უდევს ვაჟას. თურმე იმ მო

სავლიანობამ და სიყმილმა ქისტი უფრო გააქისტა. თიანეთიდან ისე არ ჩავა, ან მოტაცებული ძროხა არ მიაბას ბოძზე ან ცხენი, ჩავა და უბე-ჯიბე სირცხვილით აევსება. დამსწრეთ საფიხვნოს ხევსურები და ქისტების ძველებურად, მამაპაპურად დალაშქრა დაუდგენიათ, „ისე ვიქმთ, ბატონის მადლმა, ქალ-რძალი კი არა, ღრუბელიც კი გაუბერწდეთო," ამასღა ფიქრობს გაბრაზებული და გამწარებული ხალხი და ის კი ავიწყდება, ამგვარ ლაშქრობას რა შედეგი ექნება".

სიფრთხილის ზარს შემოჰკრავს ვაჟა — საყურადღებოთ, თორემ, ეგება ქისტ-ხევსურების ისეთი ომი გვანახოს მთის შიმშილმა, თათარ-სომხებისა რომ ვნახეთო.

მშობლიური კუთხის ჭირისუფალ კორესპონდენტს არც ამ შემთხვევაში ღალატობს ობიექტურობის გრძნობა და ქაღალდ-ფურცლებზეც ჰუმანიზმის ნათელი ემცვრება — განა სხვისა დამრბევს კი აქვს შენდობა, მაგრამ იმ შიშველი კლდეებისა და წყალწეეთით ნაცვეთი ლოდების პატრონმა ქისტმა რაღა ქნას? ბევრს იმდენი შიწაც არა აქვს, ზედ ნაბადი გაშალოს, ან კიდევ საფლავი გაიჭრას, ამიტომ ჯაუქურდდათ თვალი და გაუმრუდდათ ზელი.

ამ რთული ვითარებიდან ვაჟა ერთ გამოსავალს პოულობს — ქისტეთი ჭთავრობამ გროზნის ოლქს მიაწეროს, რომ აქეთ გადმოსულ მარბიელს ზეპირი საბუთი ენაზე არ ეკრას — „თიანეთს ნაჩალნიკთან ვიყავ", „სუდში" ვებარე და სხვა ათი და ათასი.

და მაინც ყველაფრის თავმიზეზი უმეცრებაა. ღამე და მთვარის შუქი ვერც ჯეჯილს ამოამაღლებს და ვერც მოსავლით გაგახარებს, მხოლოდ მზეს მოჰყავს, სითბოსა და სიმჯურვალეს ყველაფერი, რითაც ადამიანი უფლის თვალქვეშ ცხოვრობს.

ეს მზე სწავლაა, ცოდნაა, განათლებაა.

ამ ყველაფერს ეწამლება, მთას ეშველება, თუ იმ წყლულებს შირაქის ველ-მინდვრებით შეიხვევს. ბარი მაინც ბარია, სხვანაირად ნაკურთხი, სხვანაირად ნალოცი. მშიერი მთიელი თუ იქ საძირკველს გაიღებს, ათ მკლავს კიდევ გამოიბამს, ვაზს ისიც ეყმობა, შიშველ ველებს, ახლა რომ მარტო ცხვრის საკორტნ-საძოვრად უჭირავთ თუშებს, პურის ყანებით გაავსებს, მაგრამ რატომ შეაჩერა მთავრობამ მთიელთა იქ ჩასახლება, რა ამბავია, კიდევ ვინ ესროლა წიხლი ამ კარგ საქმეს?

ისევ ბობოქრობს ვაჟა, ისევ საქვეყნო სატკივარი ახვევია ტანზე ცივი და მძიმე მგუდავივით.

ამ კორესპონდენციასაც თარიღად 1908 წ. უზის. წელი სისხლიანი, წელი ცრემლიანი, ილიას ჯერ კიდევ შეუმშრალი სისხლის მოწმე წელი...

* * *

შირაქი ვაჟას ფშავ-ხევსურთა ერთადერთ მხსნელად და იმედად ესახებოდა. გაუჭირდა ხალხს ჭთაში. შეშაა, თრევა თუ სათიბ-სამკალი მთიელს ჭირად და მოსარჩენ სახადად უხდება. მოკლე კორესპონდენციის „ფშავის ხევის" ავტორი კიდევ ერთხელ შეახსენებს მკითხველს, რომ, სანამ ზამთარს თეთრი წინდები აცვია, ფშავ-ხევსურეთი შინ უნდა იჯდეს. ღარიბი შემოდგომის მოსავალი, ისიც რა — ფხიანი ქერი, დამბალი ხაჭო და მაზოხი იმყოფინოს, ხან კიდევ ისეთი ფერდობიდან ზიდოს თივა, სადაც ხვლიკიც კი ვერ მოიკიდებს ფეხს — იქნება დათვებზეც გაინადიროს, თუ მუხლი შერჩა და ნადირთა ქალღმერთმაც წყალობა უყო.

მარტიდან იწყება ამ ბეჩავი ხალხის გოლგოთა. ოთხი თვე ოფლით უნდა ალბოს უღონო, უბარაქო მიწა, შიგ უნდა ჩაიქცეს, როგორმე წუთისოფელს შერჩეს. სწორედ ეს სიღატაკე მიაჩნია ვაჟას შირაქისაკენ ლტოლვის მიზეზად. რა ქნან ბეჩავებმა, სხვა რა ილაჯი აქვთ — ტოვებენ მამა-პაპათა საფლავებს, ნისლებით აბოლებულ მთებს და შირაქში ჩადიან. ეს ქართული ელდორადო მათაც დაპურებს, ქვევრს ჩაუდგამს, ყანას აუმღვრევს, მათ კარ-მიდამოშიც აიგრეხს ვაზი ულვაშს და წელმიწყვეტილი სიღარიბე შორს გადაიკარგება. კიდევ ერთი საწუხარი უწიწკნის ლუკას გულს — შირაქი დიდი ხნის უწველავი ფურია, ალალი მარჯვენა და ისეთი მოსავალი მოსდება, ურმები ალარ ეყოს.

მადლობა ღმერთს, უბირი ხალხი, მიწის ნათლული გლეხი აქეთ ჩამოდის და კიდევაც ჩამოვა, მაგრამ ქალაქის პროლეტარიატს კი შირაქი შაჰის საზანო ჰგონია. ზოგიერთს ის ურჩევნია იქ ლუკმაპური ენატრებოდეს, სამსახურის ძებნაში იყოს და სოფლისკენ კი ერთხელაც არ გაიხედოს. მერე როგორ დაამშვენებდა შირაქს განათლებული, ჯანით საუსე პროლეტარიატი, მაგრამ ისიც კარგად იცის ვაჟამ, ჩვენებურ განათლებულს რა სენია სჭირს — რაზან წიგნში ჩახედულია და შუბლი გაშდიდრებია, აუცილებლად უშრომლად უნდა იცხოროს, საქმით ხელები კი არ უნდა დაისვაროს, ზურგსუკან დიდკაცურად უნდა შემოიწყოს და ვაცივით გააბოტოს — არიქათ და გზა მიტიეთო.

ეს წერილი 1906 წელს დაიწერა... ოთხმოცი წელი გავიდა მას შემდეგ და ქართულ სოფელს ისევ ისა სტკივა, რაც მაშინ ულუღებდა გულს ქართული მიწა-წყლის დიდ მესაიდუმლეს ჩარგლელ გლეხსა და ეროვნული პარნასის სიამაყეს — ვაჟა-ფშაველას.

* * *

1907 წელი იდგა.

ფშავ-ხევსურეთს ისევ მოუსავლიანობა დაატყდა თავს. ამას ისიც დაერთო, რომ გაზაფხულის სიხარულმა არაგვი გააგიჟა. მოდის მთებიდან, აწყვეტილი, მოაღრიალებს ტალღებს. მყვირალობისას გადმოვარდნილი ხარ-ირემივით თამამია და შეუპოვარი. მიდის, მილოკავს ჭალებს, ძირიანად მოთხრილ ხავსჩამჯდარ წიფლებს წიწკარივით ათამაშებს, თავი მოსწონს, რომ ეგრეთია, რომ მთიულეთის არაგვია, რომ მთების ძუძუმ გაზარდა ასეთი ფეხადი და მამაცი. იმას კი აღარ დაგიდევს, ჟინვალის ერთადერთი ხიდი რომ მტკვარს ჩაუტანა. საიდანღა უნდა ზიდოს მთიელმა ფქვილი და სიმინდი, თუ დუშეთისა და ფასანაურის გზა არ ექნა? სად გაყიდოს სულადი? რომელი ჭკუათმყოფელი გაბედავს საპალნიანი ცხენით მოდიდებულსა და მღვრიე არაგვში გასვლას, როცა სალთითაც კი ძნელი წარმოსადეგნია?

მოკლე კორესპონდენციას აფრენს ვაჟა ქალაქში, მოხედე, საქართველოვ, მთის გაჭირვებას, მთავრობამ ყური გაიხსნას და მთიელთა საველრებელი შეისმინოს, სანამ შიმშილით არ გამწყდარან და მათი ძვალ-რბილი საყორნედ არ გამხდარა.

ამ რისხვა-ვედრებაში ვაჟას წარბების ელვაც ანთია — ისიც სხვათა ღლეში იყო, არც მისი ამბარი ყოფილა ხმიადით მაძღარი და არც მის ცოლ-შვილს გასთენებია უზრუნველი დღე. ქართული საქმე როდის სადმე გაკეთებულა, რომ უთანხმოება ყალყზე არ შემდგარიყო და ძმას ძმისთვის ტალახი არ მოუზილა?! ასე მოგვდგამს მას შემდეგ, რაც ჩვენი თესლი და ჯილაგი მკვიდრობს ამ კურთხეულ მიწაზე. ეს ქართული სენი შირაქსაც შეეყარა. ადრე ეს ზემო ალაზნისპირი თუშებს ეჭირათ საძოვრებად. მთელი შემოდგომა თოვლივით იდო ხოლმე მათი ფარები ფრთხილი ნიავისაგან აღიღინებულ ველებზე. საითაც ეს თეთრი ნამქერი ჩაიელიდა, უკან მოკორტნილ-მოხოხნილი ყლორტები, შავად მიფანტული კურკლი და თავჩაჩეჩქვილი უხსენებელი რჩებოდა. მაგრამ ამ მიწას უფლის სხვა, უფრო დიდი მადლი ემართა — სახნავ-სათესად, საგუთნედ იყო გაჩენილი ეს თოვლ-წვიმისაგან ნაპოხი, თესლს მონატრებული სავარგულები, აღსრულდა კიდეც და მიწათმოქმედ მთიულთა სოფლები გაჩნდნენ შირაქში: ზემო ქედი, ქვემო ქედი, არხილოს კალო. გაიბა გუთნეულში „ოროველა“, დაორწა ულელი, ამოიხვნეშა ბელტმა, კომლი კომლს მოება და სწორედ ამან გაამწარა მეცხვარე თუშები. ასე რათაო, ცასა ჰკრეს კომბლები, ჩვენი საცხოვრებელი ცხვარია და ამ უფლის პირ-

უტყვეს რალა, თუ ქედელებმა და არხილოსკალოელებმა მთელი ტარიბანა გადაჩიჩქნეს. დაიკრეს ჯიბეზე ხელი, გაიძრეს ჩითები, რკინის ქალამნები ამოისხეს, თავიანთი ტომის განათლებული კაცები მიიყვანეს და შოლტივით გრძელი საჩივრები აფრინეს დიამბეგ-გუბერნატორთან: შირაქი ჩვენია, ე. ი. ცხვრისაა და მთიელები ქედიდან თუ არ აიყრებიან, არხილოსკალო მაინც დაცალონ, თორემ ჩვენი თოფებიც ტყვრება და ჩვენს ხანჯალსაც გააქვსო. მაშ, რა სამართალია ესა — ცხვრის გასატარებელი გზა აღარ გვაბადია, მატყლი ვერსად მოგვიქუჩებია და ბინა ვერსად გაგვიმართავსო. ეს საჩივრები მრუდე კალმით იყო ნაწერი, მაგრამ ქრთამით განათებულ ბნელ გზაზე კარგა შორს კი იარეს... და ვინ იცის, ეგებ თუშებს გაფრენილი არწივისათვის ფრთებიც კი დაეჭრათ, რომ საქმეში ვაჟა არ ჩარეულიყო და იმ თავისი კალმისათვის ნაპერწკლები არ ეყრევინებინა. მისი წერილიც „ქართველთა ახალშენი შირაქში" ამ შირაქულ პრობლემას ეძღვნება.

ამ პატიოსან წერილში დიდი პოეტი თუშ ინტელიგენციას იმას მოაგონებს, რომ მოძმეთა წაკიდება, ერთმანეთისადმი ბღვერა, თვალწამწამის სიმრუდე მხოლოდ მტერს ეამება. იქნებ ესეც მოხდეს — შირაქი ორივეს ხელიდან გამოეცალოს და სხვისმა უძლომელობამ მოინელოს, როგორც არაერთხელ მომხდარა ამ ჩვენს დაკეპილსა და დაკუწულ საქართველოში.

ამას სწერს ვაჟა, მაგრამ ნეტა ვის ესმის? თუშმა რახან შუბლზე კოკარდი მოიგდო, ადვოკატობა ან ჩინოვნიკობა გაიკრა, საერთო ქართულ საქმეს რუსული „ზაკონითა" და თუშური მიკერძოებით მიუდგა. ის კი არა, ზოგი მათგანი თანამოძმეთ აქეზებდა კიდეც. ქედელებმა თუ არ გაიგონეს, თოფიც უფეთქეთ და ხმალიც გაუსვით. გაიგეთ თუშნო, მაგათ ყანები ცხვრებს გიჭამენ. აბა დახედეთ, განა წელს დოლი ისე გიბღავით, შარშან და შარშანწინ რომ გიბღავოდათო.

ინტელიგენტები კი ჰქვიათ. — ზიზღით ამბობს ვაჟა მათი მისამართით.

საქართველო თუ ტაძარია, ამდენი ფარისეველი სხვა სალოცავს ვეტყავ თუ ოდესმე ჰყოლია?

მესაქონლე — მიწათმოქმედის გენი ძალუმად იგრძნობა ვაჟას ნაუბარში. რა ნოყიერად წერს ლუკა შირაქული მიწის ბარაქაზე, როგორის თვალჩაკვირვებითა და ცოდნით განარიგებს მოდავეთა ტყუილ-მართალს — სად რამდენი დესეტინა ოუშებს უჭირავთ ცხვრის საძოვ-სახნავად და რამდენი სხვა მთიელებს. შორს გაიყურება ვაჟას გონების თვალი — როდის იქნება, რომ შირაქში წიგნიერება, განათლება და კულტურა მოიკიდებს ფეხს. იმ ორ-სამ სოფელში თითო-

ოროლა სახლი თუ ყოფილა ისეთი, ადამიანს რომ ეცხოვრებოდეს, დანარჩენი მთიელები ბნელსა და ნესტიანს სოროებში შემძვრალან. იმ მიწურებიდან კაცმა გარეთ რა ჯანი უნდა გამოიტანოს?! ისე კი კაგიხარია, თანამედროვე სამეურნეო მანქანები უდგათ კარ-მიდამოში — სამკალს იტყვი, სახვეტსა თუ სათიბს. თვისტომთა უწყლობით ვაჟასაც უშრება ყელი. სადაც კი ახლო-მახლო წყაროა, ყველამ ქედისა და არხილოსკენ უნდა იბრუნოს პირი. ამ საქმეს კი კარგი ჰიდრავლიკა სჭირდება. ამის მოგვარებაც ლუკასათვის უკითხავთ მთიელებს. ხელის საფასურს ქედელები ხალისით გადაიხდიან, ოღონდ სოფელში სასმელი წყალი ადგაფუნდეს და ბალ-ბოსტანსაც რუმ მიუხალისოს.

კარგი ხარ, შირაქულო მოსავალო, მაგრამ რითა, დალოცვილო, რითა? მარტო გლეხის მარჯვენის ღვლა რას გეყოფოდა ამ უწვეთესველო, ამ წყალ-უსმელ ველებზე?

ამ საიდუმლოს გასაღებიც იცის ლუკამ — დაილოცოს ღმერთების საცხოვრისი, თოვლითა და ყინულით შემკული კავკასიონი. იქიდან აფრთიანდება ხოლმე ის ცივი ნიავი, ჯერ რომ ალაზნის ველის დაბლობ ადგილებს მოივლის და მერე აქ, შირაქში, ჩაუდგამს სულს თაკარით გულშეწუხებულ ყანას, შეაშრიალებს, გააცოცხლებს, წელში აბრის, გააგრილებს და გაახარებს.

ფეხდაფეხ აქვს ლუკას მოვლილი შირაქის ახლო და შორი. ამასწინადაც იქ იყო და ჩარგლამდე შიში ყორანივით მისჩხაოდა. ეს შიში კი მინდვრის თაგვებმა გაუჩინეს ლუკას. მთელი ეს ველოვანი ვათგან იყო დახრულ-დახვრეტილი, ძალუმ გამრავლებულან და, ასე თუ გაგრძელდა, სანამ ქედელები ნამგლებს დალესავენ, ყანას ეგენი მომკიან. თაგვი ყანის მონღოლია — დაუნდობელი, დაუხეველი, უძღომელი. ბევრგან ჩამოუგდია შიმშილობა და შირაქიც იმ ბევრში არ ითქვას. წამალია საჭირო, მუსრს რომ გაუგდებს მინდვრის ლეგა ყაჩალებს და მოსავალს იხსნის, მაგრამ ქედელები არას დაგიდევენ, „ნეტავი შენა ლუკავ, რაღაც შხამია, მოსავალს წაგვიხდენს, პური აღარ შეგვეჭმევა, თაგვია, ტიალი, მდევი ხომ არა, დაიცა აციოდეს, გამოისხას სუსხმა ეკალი! მერეღა ნახე ერთიღა თუ სალმე იყოს“.

იქნევს თავს ლუკა. რაღა თქვას, რითღა დაარწმუნოს შირაქელები. კლდეს უთხარ — გაიგონებს, მთიელს კი, თუ მის წადილია, მთებმა რომ ფეხი აიდგან, ვერ დაინახავს, ზღვა რომ ზღვას დაეჯახოს, ვერ გაიგონებს.

თავისკვერაა, კერპი, უთქმელი.

თითქოს შირაქელთა ჯინაზე ისეთი შემოდგომა დაიჭირა, ნოემბრის გასულამდე მზე სჩხვერაკდა დედამიწას, მთელი ზამთარიც

უგუნებოდ გახლდათ ბუხარი — ყინვა კი არა, თოვლმა მყუდრო ფერდობებში და ბნელ ღელეებშიც კი ვერ მოიკიდა ფეხი.

გაიხარეს თაგუებმა, ისეთი ახალთაობა დაზარდეს, მალე ორი შირაქიც არ ეყოფოდათ. ასე იცის კერკეტმა სიკერპემ და ვაჟაც ახალ კორესპონდენციას აფრენს გაზეთში — ხალხი თუ უბირია და თვალაუხელელი, ადმინისტრაციას რაღამ წაართვა ხელ-ფეხი, რატომ რასმე ღონეს არ იძიებს, სანამ მინდვრის სახადი შირაქიდან დაბლა კახეთსაც არ შეჰყრია?!

უდაბნოსა შინა ღაღადი ვინ გაიგო მღაღადებლისა გარდა?!

*

ვაჟას კორესპონდენციებს არ აკლიათ სურათოვნება, პროზის სურნელი, გენიალური შემოქმედი ყველგან იგრძნობა — სიტყვის გახედვნაში, ღვარცოფივით მოვარდნილი სტრიქონის დაურვებაში, ზმის აკრეფა-ამაღლებასა თუ დატალღულ აზროვნებაში, მაგრამ ვაჟას მაჯა პირველ რიგში მხატვრისა აქვს, და საგაზეთო კორესპონდენცია ხან გლეხის ცხოვრების რაიმე სურათს გაუფენს წინ მკითხველს კარგად ნაქსოვი ფარდაგივით, ხან კიდევ სავსებით დამთავრებულსა და ცოცხალ ხასიათს ქმნის. ამ ბედაურს კარგი უნაგირის დადგმაღა უნდა, რომ მოთხრობა გამოვიდეს, მაგრამ მაინც საგაზეთო მასალაა და ამიტომ ლუკა ზოგჯერ „სურათს" დაარქმევს ხოლმე. ასეთია, მაგალითად, დრამატიზმითა და სოციალური უთანხმოების სუსხით დათრთვილული „ხმა მთიდამ", სადაც პოეტი ისევ მთიელის სიბეჩავეს, მის გამოუვალ მდგომარეობას მიუყენებს იმ თავისი მადლიანი კალმის ნათელს. ეს „სურათი" მშვენიერი ბუნების აღწერით იწყება. გაზაფხული საცაა ფშავის აღმართებზეც ამოივლიდა და ქალის სუნთქვასავით თბილი ნიავი ამიტომ ეხვია ხანგრძლივი ძალისგან გამოფხიზლებულ მურყანსა და თხმელას. ისინიც, მეტიჩარანი, საქორწილოდ მორთულები, თეთრად გადაპენტილები, თავს იწონებენ ჯერ ისევ შავად ჩაფენილს ტყეში. დარბაისელი მუხები კი რაინდული ღირსებით ეგებებიან დიდ ბუნიობას. გაბარჯღულ ტოტებზე ცა უწევთ და ტანზე კორძებად ასხმულ წლებს უკვდავთა სიდინჯით იმშვენებენ.

გულში ეცინებათ არყისა და ტყემლის დიდგულობაზე. ისინი კი, ალბათ, ამ ბებერ რაინდებს ჭირდავენ: რა უხასიათონი არიან, სულ ვაგლახი და ვარამი როგორა სჭირთ. ასე ხატავს ვაჟა ადრეული გაზაფხულის სურათს და ძალუმ იგრძნობა ტიტანის მაჯისცემა ელვასავით მოქნეულ სტრიქონებში. ამას შემდეგღა გამოეცხადება მკითხ-

ველს „წითლად და ყვითლად აყვავებული ხევსური“, ზანზარით მიმავალი, მხარიღლივ გადაკიდებული გამჭვარტლული ფარითა და ნაპოხ-ნალესი ხმლით. კინკრიხოზეც დროისგან ნაკორტნი და ნაფლეთი, ბეწვგაყრევინებული ჯიხვის ტყავი ჩამოეცვაო, ამთავრებს ლუკა წუთისოფლის ამ დაღლილი მგზავრის პორტრეტს.

რისთვის ჩამოზვავებულა ფშავში კლდეს მოწყვეტილი ლოდივით? იქნებ სასისხლოდ არის გადმოვარდნილი და ხმლის ვადა უქავს?

დიდებულად, თუმცა სულ რაღაც სამიოდე სტრიქონით ხსნის ძწერალი ბუნებისაგან ლომად შობილი ვაჟკაცის სულიერ ტანჯვას მასივე გარეგნობის ზოგიერთი, ზუსტად მიგნებული შტრიხით: „ვაჟკაცი ლომად შექმნილი იყო, მაგრამ ძალიან გატეხილი სახე ჰქონდა, თვალებს უცხოვლად ავლებდა აქეთ-იქითო“.

ამაზე თუ იტყვიან — ცეცხლი ენთო და ნაცარიღა დარჩაო.

მართლაც რა გაჭირვება უნდა მისდგომოდა კარს ამ ბეჩავს, რომ მზად არის, თვითონვე ჩამოითალოს მხარი, ფარ-ხმალი დააგირავოს და ჯალაფს საღეჭ-საზოხნი აუტანოს, რომ შიმშილი თავისი ქაფციხიდან დროებით მაინც გარეთ გამოიტყუოს?!

მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციანი წლებია, საქართველოში რუსობაა, ჩინოვნიკობა და სოფლის უჩიტელის კოკარდიანი ქუდის დანახვაზეც ხევსური მძიმე ტარით მოიზვეპს ნაკეჭნსა და ნაჭრევ თავს.

„ბატონ ადღეგრძელოს ღმერთმა“...

დიდია ძალა კოკარდისა. აბა, რას დაიჯერებდა ის ბეჩავი, რომ „უჩიტელსაც“ წლიდან წლამდე ძლივს აუდიოდა აჩაჩა გუთნითა და შრომაში ჩამდნარი მარჯვენით მოყვანილი მოსავალი. ვაჟა-ფშაველა კი ერქვა, ჩვენდა სასახელოდ და სამარცხვინოდ...

* * *

1905 წელია...

საბრჩობელის ყულფი ქანაობს. რევოლუციის ცხელი ნაცარი ჯერ არ განელებულა. ბარში დატრიალებული გრიგალი მთებშიც ავარდა და ფშავ-ხევსურეთი ფეხზე დააყენა. კმარა, კისრიდან უნდა ჩამოიყაროს მთიელმა ტურებივით აჩხაველებული მოხელენი, მსუქანი მიკიტანი, ფაშვიანი მღვდელი, დიამბეგი, „მიროვოი სუდია“ თუ სხვა ყაჯარნი და მტაცებელნი. რა მოუტანათ რუსის კანონმა ცივი ჯაჭვისა და ცხელი სახრის მეტი? ფშავ-ხევსურთ ზურგი კლდეს უყუდიათ და უკან არსაით დაიხევენ. რაცა სტკიოდათ და რაც ასტკივდათ, ყაბალახივით გრძელ დეკლარაციაში დაწერეს, ერთპირო-

ბის ბეჭედს დააჰკრავენ და შიშველ ხმლებზე დაიფიცებენ, რომ საერთო საქმის მოღალატეს ლუკმა-ლუკმა გაატანენ ყვავ-ყორანსა. ლუკამ კი მათ სათხოვარს ამ თავისი მადლიანი კალმით რვალის სიმტკიცე მისცეს და გაზეთში აფრინოს. დაე, მთელმა საქართველომ გაიგოს — მოთმინება ფშავ-ხევსურთ ნიკაპამდე შესწვდათ. მონობაში ყოფნას, სხვისაგან თავისას წართმევას კი ხმალზე სიკვდილი ურჩევნიათ.

ასე იწერება „ფშავ-ხევსურეთის დეკლარაცია" — პოლიტიკური დოკუმენტი, რომლის ყოველი სიტყვა მშრალი დენთით არის დატენილი. მაინც რას მოითხოვენ მთის შვილები, რით ასდულებიათ წკერდი: უცნაურსა და უთქმელს არაფერს. მხოლოდ მაღლა დაკიდებული სიმართლისაკენ იშვერენ ხელებს, წამწამაუნძრეველად გაჰყურებენ — როდის აიწყვეტს კავკასიის ქედზე მიჯაჭვული ამირანი, რომ ქვეყანას გული სიმართლით აუვსოს და შუბლი სიკეთით გაუთბეს. ფშავ-ხევსურეთის ტყეები „აბეშიკებმა" თავისად დაიჭირეს. სათემო საკუთრებას ჯიბეში რომ იჩხრიალებენ, რა ჰგონიათ — ხევსურებს ხმლების ნაცვლად იქნება თითისტარები ჰკიდიათ? ისა სჯობს, აქედან აიყარონ და ჯანდაბას იქით გადაიკარგონ. ან რუსის მოცემული სამართალი რა მიწას მოუხნავს და ქერს მოუმკის ფშავ-ხევსურს, როცა ადათსა და თემის ყრილობას მასზე უფრო მართალი სიტყვა და სწორი ტუჩ-პირი ექნება. როდის იყო, რომ შევარდენი ჯვრებას სხვისაგან სწავლობდა? ფშავ-ხევსური ყრმობაშივე ეჩვევა სმლისა და თოფ-ფინთიხის ზნეს, ამიტომ არც რუსის სალდათში წავა. თუ მტერს სიკვდილი მოუნდა, ძველებურ წესზე დაიბარონ, მილიცია შეადგინონ და მერე ხმლისა ფარს გაუკეირდეს და ფარისა — ხმალსა. უიარაღოდ კი ნუ გაატარებ მთიელს, თავიდან ქუდს ნუ მოხდი. რაღა უიარაღო ხევსური და რაღა ნაკოდი ხარი — დიაცებს უნდა ჩაუჯდეს სართველ-საჩეჩელში. არც გადასახადს გადაიხდიან, სანამ კანონი სუფთა ხელს არ გაუწვდით, თორემ ჯიბე თუ ერთია, შიგ ათი-თხუთმეტი სხვისა მკლავია ჩაფლული, ქისტ-ლეკები ძველებურად არა, მაგრამ მაინც მგლურად მიუხტებიან ხოლმე ჩვენს მთებს, ჯალაფსა და საქონელს უწუხებენ ფშავ-ხევსურს, ამიტომ თუ ხმალზე დაიკრეს ხელი პირაქეთელებმა და მომხდური ღირეკეს, მთავრობამ ხიშტი და სალდათი, ზეკუცია და აკლება არ ინებოს, თორემ სისხლის წვიმა თუ წამოვიდა, კარგა ხანს იწვიმებს. ხეობაში ვაჭარი რომ გამოჩნდება, აქაურმა უნდა იცოდეს, საქონელს რა მაზანდა აღევს, თორემ იმათმა მსუნაგობამაც გაუწყვიტა ბარაქა ისედაც თითებგალოკილ გლეხებს. არც ხატობებში დაკლული საქონლის ტყავები დავიწყნიათ. სინდი რომ მოჰკრეფს ხოლმე და წაილებს, ამით

ფშაველსა თუ ხევსურს რა ქადა უცხვება და ხინკალი ეხარშება? ფანაც უკიეიან — წარძართები ხართ, კერპთაყვანისმცემლები, ნახევარი ფერდი სატანისა გაქვთო, ამიტომ ტყავეულიც იქ დარჩეს, სადაც მანამდე საკლავი ბღაოდა.

დეკლარაციას ვაჟა ორი ყევარი პუნქტით ასრულებს და ეს ორივე დიდი ეროვნული საქმის მძიმე უღელშია შებმული — ქართველს, სადაც თვალი უჩვენებს და გული ეტყვის, იქ უნდა დასახლდეს ამ ჩვენს სხვისა ნაბიჯით საფსე. საქართველოში, ხოლო სკოლებში სწავლა დედაენაზე უნდა აიწყოს. თანაც მარტო ენის საფხან გუმანიტარობას კი არ უნდა ვასწავლიდეთ, საშეურნეო და საკომერციო განყოფილებებიც უნდა გავუხსნათ. დროა, გავიხსნილოთ ქართველებმა, ჩოთქი და ანგარიში ვისწავლოთ, თორემ სხვა დრო დგება, სხვა ნიავმა დაჰკრა ევროპიდან. ცივი რაციონალიზმი, რიცხვის ენა, ვაჭრობის გეში თუ არ ვისწავლეთ, ისეთ ეკონომიკურ აბლაბუდაში გავებმებით, გარეთ ფეხი არ გამოგვეყოფოდესო.

ღვთის სიტყვა იწერება ვაჟას კალმით.

ხევსურის ენით რომ ვთქვათ, „არეულობაში“ იმდენი პრობლემა შობა და სწრაფადაც გაზარდა, თვლა აღარა ჰქონდა. დასელები, თუ სხვადასხვა პარტიელები ერთმანეთს მწყურვალი კამეჩებივით დაეტაკნენ და ბლინებივით აცხვეს პროგრამები, წესდებები, ლოზუნგებსაც მარჯვედ ამოაყლებდნენ ხოლმე ათასგვარი დაპირებების ბადაგში. რევოლუციონერებისა და სოციალ-დემოკრატობის წითელა სამღვდელოებასაც შეეყარა. ზოგმა ანაფორის კალთაში ბომბი გამოიხვია, ზოგი კი ისეთ წიგნებს ჩაუჯდა, „სახარებისაგან“ ერთ ვერსზეც არ წაიკითხებოდა. არ მოსწონს ვაჟას ეს ვინაობადაკარგული მღვდლები. სად მიძვრებიან ამ იდეების ზედახორაში, რას ეძებენ, ან ისოციალისტონ ან იმღვდელონ — ნაზარეველის ფეხთნაბანი აიაზად ასხურონ ცოდვით დამძიმებულ კაცობრიობას. ამიტომ სწამს ვაჟას, რომ მათ მომავალი პროგრესულ ელემენტად ვერ ჩასთვლის. საღვთო წერილი, როგორც არ უნდა აბრუნო, ბუნტის წიგნად ვერ გამოდგება, ამიტომ მათი მოღვაწეობაც „მხოლოდ და მხოლოდ მიზნებს აღუზრდის ქვეყანას და არა ნამდვილს მამულიშვილებს და მოქალაქეებს“.

სარწმუნოების მსახურთ მუდამ ხელისუფლებისაგან გამოწვდილი საავე ჯამი ედგათ და ეს წესი დღესაც წესად ზის. აგე, გაპონმა რა ჰქნა... ვაჟას აზრით, ისა სჯობია, მღვდელმა იმღვდელოს, ოღონდაც მას წმინდა რამ შუქი აღგეს და სიტყვაც თავთუხივით ეპნეოდეს, ის გამართოს, რაც ღვარძლად და თარხმად შეუწყდა იესოს მოძღვრებას.

იქნებ სოციალისტმა მღვდლებმა ანაფორები გაიძრონ და ისე იქადაგონ ის თავისი მოწინავე აზრები? აჯობებდა, კი... აჯობებდა...

ვაჟა მკითხველს ფშავ-ხევსურეთის სასულიერო მამათა „საქმიანობასაც“ წვრილად აღუწერს. ჯერ ის რა იყო, კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ რომ ყველა ბექზე შიგნიდან თეთრად შეფეთქილი საყდრები წამოსვა და მერე იქ მივლენილი მღვდელი რა ვთქვათო... მათი მოძღვრება ჯამაგირია, კაი მსუქანი წლიური 600 მანეთი და დანარჩენი კი რა მათი საკითხავია?! რომელი წმინდანები ისინი არიან, რომ საკერპონი არღვიონ და ცთომილთა სულები იხსნან? წელიწადში ერთხელ დაენახვებინა მრევლს სინას მთაზე მოვლენილი ნაზარეველივით, სასწრაფოდ გადაუხსნიან ენაარწყლებით ნათქვამ ქადაგებაში ხევსურებს იმ თავიანთი რწმენის ბოლჩას და ისევ თავქვე, მყუდრო და თბილი ბარისკენ დაეშვებიან, თან მოკრეფილ ტყავებს მიაფრიალებენ.

ასეთი „ერთჯურა“ მღვდლები უვის ხევსურეთს. თხა რისაა, თუ ნეკერს არ ეტანება? ამ პუბლიცისტური ბარაქით სავსე წერილში „მღვდლების ვინაობა“ არც „ღენერლებს“ დააკლო ლუკამ ფშაური მათრახი — ნუ იტყვით და, თურმე ამ ეპოლეტებით მხრებდამძიმებულ „ვოენის“ კაცებს არ მოსწონებიათ თავადაზნაურებისაგან სათათბიროში გაგზავნილი მიმართვა და მისი შინაარსი სულ ულვაშების კვნეტითა და პირსახის მანჭვით უკითხავთ. ამ მიმართვის „დეორიანსკოე სოდერჟანიეს“ თვალები აუწვავს და გული გაუბასრავს ამ ჩვენი ჩინოსანი ფიტულებისათვის.

განა რაო, რატომ გაგვიკვირდეს, არ ვიცოდეთ მაინც, ვის ნადულნაბარშს მიირთმევთო. „ურიის პური ჭამე და ურიის ხმალი მოიქნიე“ — ასკვნის ლუკა და გასამხნევებლად ხმამაღლა შეუძახებს კიდეც: „აი, მალადეც, გენერლებო, ორბელიანებო, ჭავჭავაძეებო, ერისთავებო და სხვებო, მართალნო ამა ქვეყნისანო“...

დაუწვით, დაუწვით საქართველოს ტაძარი და უკვდავყავით თქვენი სახელი — ქართველო ჰეროსტრატებო. ომის ცეცხლი იგრიხებოდა მსოფლიოში. ამ დიდ სახორცეში უკვე იმდენი გაიჟლიტა, ერთ დიდ სახელმწიფოს დაასახლებდა და იმდენი სისხლი დაიღვარა — ბარე ას წისქვილს რატომ არ აბრუნებდა! 1914 წელი მაინც ძალიან ცხარე გამოდგა. ვაჟას მშვენივრად ესმოდა. რომ ამ სასაკლაოს სალახი მაშვრალის სისხლით ტკაპიევით გატენილი ბურჟუა იყო, თუმცა გაზეთები მამულის ინტერესების დაცვასა და სამშობლოსათვის თავდადებაზე გაჰკიოდნენ. ჯერ იყო, იაპონიამ აუწვა ბალანი საიდან სად გაწოლილ თეთრ გოლიათს, პორტ-არტურიდან „პარტიანკებით“

გამოაქცია და ახლა რომ კაიზერმაც გაიმარჯვოს, მსოფლიოს პოლიტიკურ აუქციონზე რუსეთის ფასი რაღა იქნებაო.

აიმღვრა, აირია დრო. იმპერიას თეთრი აგონია სწვავდა და ფეხარეული ბარბაცებდა. შიგნით პარტიები და ფრაქციები კაპასი ნაგაზებივით გლეჯენ ერთმანეთს, გარეთ კი ძველი მეძავი-დიპლომატია ხლართავდა ცბიერი პოლიტიკის ქსელს.

სწორედ სჯიდა ვაჟა, რომ თუ ამ არეულობასა და მღვრიეში არ გავარდა ორთავიან არწივს საქართველოს სარგო რამ, შემდეგ ვეღარაფერს ელირსება. წინასწარმეტყველებაა, მამულიშვილური სულის კივილია ეს, თუ გენიალური გონების კიდევ ერთი კაშკაშა გელვება? ალბათ, ყველაფერი ერთად. „თუ რუსეთი ეხლავე, ამ თავით რასმე მოგვცემს და რეფორმებს შემოიღებს ჩვენში, ხომ კარგი, თუ არა და შემდეგ ჩვენ ვერას ვეღირსებით და არც არაფერს ჰგვაღირსებენ. ამიერიდან რუსეთი გონებაზე მოვა თანდათან და ნამდვილის ჭეშმარიტის ძლიერებით შეიძლება შეიმოსოს. მაშინ უფრო გაგვიჭირდება ჩვენ ამასთან ბრძოლა და ამიტომ, ვიდრე სნეული ლოგინში წევსო, ხომ გაგიგონიათ?“

ვაი, რომ ბედი სხვაგვარად სჯიდა დასაქართველოს უკუღმართი წამების გზები ელოდა. ამ გზაზე დაეცემა ლუკას უსაყვარლესი შვილიც, ტანატყორცნილი, განათლებული და კეთილშობილი ლევანი, ხოლო მის სახსნელად მისულ ქართველ მწერლებს, ღორეშელი ღარიბი აზნაური, საკუთარი ხალხის სისხლით ყელსავსე „მგზნებარე რევოლუციონერი“ სერგო ორჯონიკიძე ასე ეტყვის:

„ვაჟა რომ ცოცხალი იყოს, იმასაც დავხვრეტდით“.

ჩარგალში, თითქოს ღმერთისთვისაც დაკარგულ ხეობაში მცხოვრები ვაჟა, ხან რომ სათიბში დგას, ხან გუთანს ჰკიდია და ხანაც ნამგალს ამღერებს ქერის დაბალ ყანაში, ნაზევრად მშიერი ვაჟა, მუხლსქვემოთ ხშირად შიშველი ვაჟა ისროდისღა პოულობს დროს, რომ ყველაფრის საქმის კურსში იყოს, რაც მსოფლიოში ხდება. „ქართულ ამბებზე“ რაღა ვთქვათ, როცა ყველა ეროვნულ იარაღს დიდი პოეტის ფიქრიანი სტრიქონის არტახი ადევს, ჩარგლელი მინდია ციეი პოლიტიკის ციცაბოებზე ისე თამამად დადის, როგორც ეგვიპტელი ქურუმი ფარაონთა სამარხის დახლართულ ლაბირინთებში. ამა თუ იმ საკითხის განსჯა მისთვის მომავალთან მიახლოებაა, ერის ხვალინდელი საფალის განჭვრეტაა. ისტორიამ იმპერიები ერთმანეთს შეახეთქა და კატაბრიობა ცოფიან კამეჩს დაემსგავსა, რა მოელით ამ დროს უფლის კალთაში დაზრდილ პატარა ერებს? ისტორიის ბნელ უფსკრულში გადაჩეხავთ ულმობელი დრო, თუ შერჩებიან მაღლა მზესა და დაბლა დედამიწას? რამ გაახარა კა-

ენი, რატომ ძლება სიკვდილი ალაპიანის ძვალ-ხორცით? პოეტის აზრით, ამ უკეთურების მიზეზი ჰუმანიზმის მაღალი ცნების დაკარგვაა, იმ თითქოს უბრალო ჭეშმარიტების დაივიწყებაა, რომ ადამიანები ციცინათელებივით უნდა ვენთოთ, რათა ერთმანეთს გზა გაეუნათოთ და არა ყუტი ფუტუროსავით ებჟუტავდეთ.

„შებრალება“, „შეწყნარება“-აო, რა დაუწმენდს კაცობრიობას ამღვრეულ თვალებს, მაგრამ ეს ორივე თუ საქმით არ ითქმის და მხოლოდ სიტყვას შერჩება, მაშინ სანთელი ეშმაკის რქაზე დაგინთია.

„მიიხედ-მოიხედე, სად არის ეს შებრალება, — კითხულობს ვაჟა, — კაცი, ძვალ-ტყავად ქცეული მემუდარება, მეხვეწება: „კაცო, ღმერთი-რჯული, მთელი ერთი კვირაა მშიერი ვარ, სული ამომდის, ეს არის ვკვდები, წყალობა მოიღეო“. მაგრამ ვის ესმის მისი ცხელი მუდარისა — პურის ნაფხვენსაც არავინ გაუწვდის იმ საბრალოს, და თავსაც გაიმართლებენ ქვეყნის წინაშე და თანაც თავიანთ უსაქციელობას „ხრიკიანი მოძღვრებითაც“ დაასაბუთებენ... ახლა მოძღვრებით ვიღას გააკვირვებ, როცა ათასგვარი პარტიები, სათათბიროები, საბჭოები კრუხად სხედან და ირგვლივ ახლადგამოჩეკილი ათასგვარი იდეები წივწივებენ“.

მწარე ირონიით კაზმავს ვაჟა სიტყვას, როცა მოითხოვს, რომ „მაღალ სახელმწიფოებრივ ადგილებზე დედაკაცები ისხდნენ, რადგან მას შემდეგ, რაც ღმერთმა ევა შექმნა და სული ჩაბერა, ქალში ეს ღვთაებრივი თიხა არ გამხმარა, სიბრალულისა და თანადგომის გრძნობა ორი ძუძუსავით მკერდით დააქვს დედაკაცს. ასე რომ მომზდარიყო, ვაჟას რწმენით, „დღევანდელი გამწვავებული და გამწარებული ცხოვრება რუსეთისა შალამოს დაიდებდა და საჭირო რეფორმებს მალე ვეღირსებოდით“.

ამაზე ითქმის სწორედ — მაგრად გაწნული პუბლიცისტური სიტყვაო. მაგრამ ამაზე არ წყდებიან ვაჟას სადღეისო ფიქრები მეგობართან გაგზავნილს წერილში, წეროებივით რომ გამოჰბმიან ერთმანეთს. ლუკა ახლა დიპლომატიის სპეციფიკაზე და საქართველოს შიდაპოლიტიკურ მდგომარეობაზე მსჯელობს. არწივივით მძიმედ დაპბრუნავს უსტარის ამ ნაწილს ლუკას ფიქრი. ყოველი სტრიქონი სანთელივით ანთია, ღრმა აზროვნების ცხელ ქურაშია გამომწვარი და თავისუფლად შეგვიძლია იგი შთამომავლებისათვის დატოვებულ პოლიტიკურ ანდერძად მივიჩნიოთ.

დიპლომატია ვაჟას ფერუმარილით სახეშეთხუპნულ იმ მეძავად მიაჩნია, დღეს რომ ერთს უთმობს ლოგინს, ხვალ — მეორეს. „ფლიდია, უპირო, დაუნდობელია მაშინაც კი, როცა სახეს ღიმილი უთბობს

და პირიდან ბადაგი ელვრება, ჭრელი გველია, თვალისათვის საამო ფერებით მოხატული, მაგრამ ყვითელი გესლით სავსე". ვაი იმას, ვინც მოტყუვდება და უბეში შეისვამს, ან მის ფარისევლურ სიტყვას საბუთად მიიღებს, ერის სიფხიზლე სწორედ მისი ტყუილ-მართალის გარჩევაშია. თავისი მოსაზრების დასასაბუთებლად ვაჟას რუსეთ-იაპონიის ზავი მოაქვს — ჯერ რომ სისხლით გაძღა და ადამიანთა ძვლები დახრა, მერელა ჩაისო გულში ანგელოზი, კაცთმოყვარეობის გაცვეთილი ნიღაბი აიფარა ძველმა ჯამბაზმა, რომ სიკეთის მეკვლედ მოსჩვენებოდა ხალხს. რუსეთი და იაპონია შერიგდნენ — პატარა იაპონელმა მაღლა შემართული კეტი ძირს დაუშვა, ნაბეგვი თეთრი დათვი კი ნაჩეჩქვსა და ნაიარევს ილოკავს, მაგრამ აქაც ხომ ისევ დიპლომატიის ორპირობა გამოჩნდა — ვისაც თავში გონება ულაგია, განა ვერ მიხვდება, რომ პატარა კუნძულები ინგლისმა და ამერიკამ დააცხრო, თორემ ხარბინთანაც რომ გაემარჯვათ, იქნება ოკეანეც გაეტოპა და მაშინ...

ინგლის-ამერიკამ ჯერ რუსეთს შეუნთეს ცეცხლი, მაგრამ მერე იაპონიის ვაძლიერებისა შეეშინდათ და იმ ბავშვივით დატუქსეს, ჩხუბმა და აბეზრობამ რომ გადაიყოლა: გაჩერდი, თორემ მაგ პატარა ყურებს აგახევო...

ეს ყველაფერი ისევ იმავე თეთრი სიბინძურის შედეგია, რასაც დიპლომატია ჰქვია და ისეთი ცუდი და მყრალი არ არსებობს, დასაბამიდან მას რომ არ უკადრია და არ იკადრებს.

დასწყევლოს გამჩენმა...

„ყოველ ერს თავის თავი ენანება, ყველა თავის ცეცხლს უკეთებს და თავის კერძს ჩასცქერის და სხვისთვის ხეირი იმდენად უნდა, რამდენადაც თავადაც გამოადგება იგი".

დიდი მოაზროვნის ეს თეზისი საზოგადოების, კაცობრიობის განვითარების კანონების ღრმა ცოდნითა და მკაცრი ლოგიკის დუღაბით არის ნაშენები. თუ ხალხმა საკუთარი ნაცარი გააცია და სხვის ნაღვერდალს დაუწყო ბერვა, ეშმაკისა და უკუღმართისთვის ჩაუბარებია თავისი სწმყო თუ მომავალი. ასე სწამს ვაჟას. ერმა, აბა, სხვაგვარად როგორ უნდა იფიქროს და იაზროვნოს, თუ მის სულზე ძირმაგარა არ გაბარტყულა. საკუთარს დედას ძუძუს ახევდე და დედინაცვლისას ლოცავდე, მამის საფლავზე ეკალ-ბარდი იხლართებოდეს და სხვისაზე ვარდს რგავდე...

ასე რამ უნდა გაგიმრუდოს შუბლი, რა წყევლა უნდა ჩამოგეღვაროს თავზე ან რა ეშმაკმა უნდა დააფეხძიმოს ქალი, რომ ასეთი შვილი შვას?

სწორედ ამ პოზიციიდან უტევს ჩარგლელი ბრძენი „დასელებს",

თითქოს გრძნობს, რომ მისი ქვეყნის ბედს ერთხელ კიდევ ჩაზელს და ჩაწიხლავს მათი მონღოლური ფილოსოფია, თითქოს ნათელმხილველის თვალმა დაინახა იმ მამულიშვილთა სახეები, წითელმა დელგმამ და ვიწროშუბლიანთა კანიბალიზმმა რომ შეიწირა.

„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო", — აი, მათი დანაშაული წითელი ფერის წინაშე.

ნათელმხილველი, დიდი ვაჟა...

რას ფიქრობენ „დასელები". აბა სად ინდაური და სად ინდური ფილოსოფია. კამეჩი მორევში კამეჩია, მაგრამ დიდი ზღვა და ოკეანე კი ვინ იცის, სად წაიღებს და რას უზამს. აი, რა დაივიწყეს პროლეტარიატის კათაკმეველებმა „სხვა გავაბედნიეროთ, გავაძლიეროთ, და ამით ჩვენც ძლიერნი შევიქმენითო". „გაძლიერებული რუსეთისაგან ისინი მოელიან წყალობას. აბა საიდან სადა. ნუთუ ძლიერი მეზობელი არ არის საშიში უძლურისათვის, ნუთუ ჰგონიათ, რომ ბატონობის მისწრაფება და სურვილი ცალკე ერების დამონებისა შეუმცირდება გაძლიერებულ რუსეთს? არა და ცხრაჯერ არა".

დემოკრატიულ ცენტრალიზაციას ვაჟა იმ ბორკილად მიიჩნევს, წვრილ ერებს ხელ-ფეხზე რომ აასხამს რუსეთი და თავის ნებაზე დაატრიალებს პოლიტიკის კარუსელს.

კითხულობ და გიკვირს, გიკვირს და მეორეჯერ კითხულობ ამ წინასწარმეტყველურ სიტყვებს. პოეტის იდეალი ცენტრალიზაცია კი არა, პოლიტიკურ-ეკონომიკური დეცენტრალიზაციაა, როცა ყველა ერი თავის თავს უპატრონებს და ღვთისაგან მიცემულს თავის ჭკუაზე მოიხმარს.

ალბათ, ლუკას ეს შეხედულებები უწვავდა სახეს ღორეშელ წელდაბალ აზნაურს, რომელსაც მკვდარ ვაჟას დახვრეტის განაჩენი გამოუტანა და სიხარულისაგან ულვაშები აუცეკცდა.

დიახ, სამართალი მაშინ დადის ქვეყანაზე, როცა წვრილი ერები დიდთა და მსხვილთა ფეხებშუა კი არ იხლართებიან და ცოდვილობენ, რომ არ გაისრისონ, არამედ, როცა მათაც აქვთ „საშუალება ამავე გაძლიერებისა". აქედანაც, „უხეირო დეცენტრალიზაცია სჯობია საუკუთესოდ მოწყობილს ცენტრალიზაციას".

ღრმად სჯერა ვაჟას — მხოლოდ სრული თვითმართველობა აღორძინებს ერის სულსა და სახელს, აჯანყებს მის ენერგიას, დიდ საქმეში ჩაწურავს მის ნიჭს, გამოავლენს მასში მთვლემარე ძალებს. აპეკუნობა, სხვათა შემყურეობა კი აჩლუნგებს გონებას და აღორებს მუცელს.

ერთა ამ დიდს აღორძინებას კი დედა ენა, მასზე სწავლა და ყველგან მისი მეუფება უნდა ედგას ბალავარად.

ამ საფიცარ პუბლიკაციას ინტრიგის შუქით ათბობს სათაური „საიდუმლო წერილი მეგობარს“...

* * *

ეს რა სენი გვჭირს, ეს რა სიტყვის სურდო შეგვყრია ქართველებს, რომ ყველას ტრიბუნა გვინდა ზედ ენის გადმოსაკიდებლად. თანაც მარტო ჩვენი აზრი გვგონია სიმართლის კალთიდან აკრეფილი. მუდამ იმასა ვცდილობთ, ჩვენი მოკამათე ქონდრის კაცად ვაქციოთ ხალხის თვალში — ვითომდა ეს ვინ არის, რას გადი-გამოდის, ეს რა აზრებს იფურთხებაო. ავჭიმავთ ცალ წარბსა, დავიბრძენებთ სახეს და ვაყრით დაღლილ წისქვილს მარტო ჩვენს საფქვავს, თითქოს სხვას არც მოსავალი მოსდიოდეს და არც რიგი უნდოდეს.

კამათის წესრიგი, ერთმანეთის დაფასების, აღიარებისა და ტაშის დაკვრის შინაგანი კულტურა გვაკლია. თუ ჩვენგან განსხვავებული აზრი გვაქვს, არცა ყოფილხარ და არცა ხარ. ეს დღესა, მკითხველო, მაგრამ დახე, რომ ეს პარტახი ჩვენს განათლებულს გვამებში თურმე წარსულშიც ჰყვავოდა. ესეც კარგად დაუნახავს ვაჟას და სულ ხელისგულისოდენა წერილისთვისაც, სადაც ამ სატკივარს ეხება, ასეც უწოდებია — „შას ვამჩნევ“. წუხს პოეტი — აბა ეს რა არისო, რას გვიგავს ჩვენი ერთმანეთისადმი პირში მივარდნა და ტუჩიდან სიტყვის აცლაო. უცხომ რომ გვნახოს ამ დროს, ან ჩვენი ყაყანი შაესმას, ველურები ვეგონებითო. მოკამათე ინგლისელი კი ასე იტყვის: მართალია ამა და ამ აზრში მოტყუებულა გლადსტონი, მაგრამ მაინც დიდებული კაცია, მაინც დიდებაა ინგლისისაო“.

იბრძვის ლუკა, ავარვარებს კალამს, მაგრამ რა ჰქნას, თუ ქართული ჟურნალ-გაზეთები დაბერწდნენ, საფანტივითა ცვივა წერილმანი აზრები, აკაკანებული გონების დასაპურებელი ნაწმენდი, ჭეშმარიტ, ფასეულ იდეებს კი რედაქციების დახურული კარები და დაბლეერილი რედაქტორები ხვდებათ. ამიტომაც აირია დრო, ცუდი და კარგი ერთმანეთში გაითქვიფა, და ამისთანებში საღი აზრიც საზუდარში ჩარჩენილი კვერცხივით მალე გალაყდება ხოლმე. ვირაზრები ისვრიან ტლინკებს, აბამენ ყროყინს. ბედაური იდეები კი იხოცებიან. დაუდგებათ კი გაზაფხული, რათა ისევ აღორძინდნენ და აყვავდნენ?

„ქვეყანა რომ გაირყვნება, აზრებიც გარყვნილია მაშინ“, — ასკვნის პოეტი, მაგრამ რაც კი თქვა, ვაითუ ბედაურ აზრად მიიღოს გაზეთმაო და ამიტომ ლაშარის ჯვარს გვეფიცება, სხვათაშორის მოგახსენეთო. დაწერილსაც „სხვათაშორის“ ჰქვია.

ვაჟას იუმორი, სატირა და ირონია, გროტესკი თუ სარკაზმი ცალკე შესასწავლია, თანაც რთული შესასწავლიც, რამდენადაც უცხო რომ შენადნობივით ამტკიცებს და აფოლადებს მისი პუბლიკაციის ისედაც ტხარე სტრიქონებს. ერთი კი აშკარაა, ვაჟა მაღალი სატირული ნიჭითაც იყო ცხებული, რაიც დიდი ფშაველის პოეზიასა და ბელეტრისტიკასაც ხან ფშაურის გულღიაობით გააცინებს, ხან თავჩაკიდებული ჩაფიქრებით გააღიმებს, მაგრამ მუდამ და ყოველთვის ჰუმანიზმის საკურთხეველზე ალაგებს პოეტი ნაწერს, ჩანაფიქრსა და ნააზრევს. არ უყვარს, ზოგი რომ საკუთარ სახელს ბაირაღივით აფრიალებს. ნიჭი ფუტკარია, ჩუმი, ყვავილ-ბალახის მესაიდუმლე, წმინდა რამ მადლი ღვთისა, უნიჭობამ კი ჩიტირეკიაობა იცის — არც რომ ხაჭოა, არც ყველი, არც ღო, არც რძე, არც თაფლი, არც სანთელი...

ჩიტირეკიაა, ჩიტირეკია...

სწორედ ასეთი ჩიტირეკია მწერლები მიაჩნია ვაჟას ერის სირცხვილად. ისინი ხომ იმიტომ ჭყივიან და ჭიკჭიკებენ საერო საქმესთან, რომ იქიდან თავიანთთვის სარგო და სასარგებლო რაიმე გამოკენკონ. ასეთი კლმოსანნი ვისგანაც არაფერს გამოელიან, იმას ლანძღავენ, უსამართლოებს ეძახიან. ვითომდა სიმართლის მოყვარულნი დახტიან, დაწიწკნებენ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე, ხან ერთმანეთს უნისკარტებენ, ხან აქ არიან, ხან იქა, სანამ დრო მათ სახელებს ლიტერატურიდან ნაგავივით არ გაიტანს და სკორეზე არ მიჰყრის.

ასეთია ლუკას სავარაუდო განაჩენი მათ მიმართ, ვისაც კალამი სიმსუქნისათვის აუღია ხელში.

ჩიტირეკიებს კიდევ რა უჭირთ, ჯღაბვნა მაინც იციან, მაგრამ იმათზე რა უნდა ითქვას, ვისაც ქართული ანა-ბანით ენა მოუჩლექია. „უცხო მწერლობისა არაფერი ესმით, ხელოვნებისაც აგრეთვე". ფილოლოგია ხომ იმათთვის შავი გედია და მწერალს კი თითის ქნევით ურჩევენ, სად რა სიტყვა იხმაროს და რა კილო-ხმა აამღეროს, ენას უსწორებენ „სპეციალისტობა ლექსიკონსა და რითმებს უდგენენ". აი, უგნურების რა საპალნე ჰკიდია ზოგ, უკაცრავად პასუხია, „ინტელიღენტს".

მართლა შამლის „ყიყლიყო" კი არ ათენებს ღამეს?! სწორად აგონებს მავანთა ასეთი პოზიცია ვაჟას კლასიციზმის პერიოდს, ან კიდევ ქრისტიანული ხელოვნების პრინციპებს, რომლებიც შემოქმედს ფრთებს აჭრიდნენ, ფუნჯს უშრობდნენ და კალამს უბლაგვებდნენ. მხოლოდ მათი ნაღვაწი შემორჩა ისტორიას, ვინც ამ დახშული წრიდან გამოიჭრა და სამყაროს მშვენიერებით აიესო. ამ დროს ნი-

ჭი არტახებით და ბორკილებით შებოჭილი იყო. არა ჰქონდა სახსარი თავისუფლად მოძრაობისა, მაგრამ ბოლოს მაინც ისევე ნიჭმა შეძლო საზოგადოების ასეთი გემოვნება, „თეით ნიჭმა აღზარდა იგი სხვა წესზე, გაამტვრია ზღუდე სიჯიუტისა და თავისუფლად დაიწყო მოქმედება. აწ ჩვენც ვიგემოვნებთ ნაყოფსა მისსა".

მაშ, თავი და თავი ადამიანის თუ ერის ამ ქვეყნად ზეობისა განათლება ყოფილა. ეს ორივე კი შეიძლებოდის ქარს არ მოაქვს. ახალთაობის ისეთი გაზრდაა საჭირო, რომ ამ გაზრდილმა მამულს უკვდავების ხე დაურგოს და მისი კეთილი ნაყოფიც დაურხიოს. ამას კი ვაჟას უძვირესი შეხედულებით სკოლა სჭირდება — შეგირდი და მასწავლებელი. გლეხის შვილის მასწავლებელი სახრეა, წიგნი კი ზღაპარიო — აი, როგორ მსჯელობდა ჩვენი გლეხკაცობა და ვინ იცის, ვაჟამაც რაღდენი ომი გადაიხადა ამ თვალებჩაყინულ უმეცრებასთან. როცა კარდაკარ დადიოდა შეგირდების შესაკრებად, წინ გამოუვარდებოდა ხოლმე ძონძებმოსხმული, დურატყავიანი ფშაველი და სახეში ნამქერს შეაყრიდა: ეს ბალღები რომ მიგყავს, ლუკავ, საქონელი წყალზე ვინ უნდა ჩამირეკოს, ხბორებში ვინ უნდა გავრიოთ, ან ფიჩხი და წიწკარი განა თავისით მოგვივა „სახჩი", თანაც ისე გაისიებდა წარბებს, ისე შესცქეროდა „უჩიტელს", თითქოს ლუკაზე დიდი მტერი ფშავ-ხევსურეთს ჯერ არ ჰყოლოდა.

წუხს ვაჟა ამისთანა სიბეჩავეს, შეგნების ოჩნობას — შვიდი-რვა წლის ყმაწვილი ტუჩებიდან ჯერ კიდევ დედის ძრძეს ილოკავს და განა რა სარგებელი უნდა მისცეს ოჯახს მისმა პატარა შკლავებმა, ჩიტის გულმა და ღონემ? განა სწავლის ნაყოფს ეს სამსახური წინ დაუდგება? აბა სად ჩალის ღერი და სად მზის სხივი? განა სწავლის შეძლეგ „ერთნაირად მეტს არ შეეწევა მამას, ვიდრე უსწავლელი"? ხე ფესვიდან იზრდება და ლუკაც იმ შეხედულებისაა, რომ სკოლასა და შეგირდში „იმალება ყოველი ხალხის მომავლის ბედი და უბედობა". იმის გარეშე ხალხი, ერი ცხვრის ფარას დაემსგავსება, არც რომ მწყემსი უჩანს და არც სარქალი, სანამ საიდანმე მგელი არ გაუჩნდება, რომ შიშველ ყელზე კბილი გაუსვას...

ჭია ხომ იმ ფერისა ხდება ხოლმე, რა ფერის ფოთლითაც იკვებება. ვინ არის ინტელიგენტი. რა ადგილი უჭირავს ერის ცხოვრებაში, რატომ და რისთვის მოჩუხჩუხებს მისი სული? აი, კითხვები, რომლებიც ხშირად შეხვდება ვაჟას პუბლიცისტიკის მკითხველს. პასუხიც იქვეა — ინტელიგენტი სინათლის წყაროა, კამკამა სანთლებით გაბრწყინვიალებული ტაძარია, ნათლისმფენელი და ნათლისმხილველია. „მან უნდა მოჰფინოს ნათელი უმრავლესობის ბნელ გო-

ნებას, განასპეტაკოს ერის გრძნობა, მოაშოროს ჟანგი და ჭუჭყი მის გულს“...

გვყვანან კი ასეთები?

გვყვანან, როგორ არა გვყვანან, ცალ ხელზე დასათვლელნი. მაგრამ იმ ჭირს რა ეუწამლოთ, რომ უპრავლესობა თავის ცოდნას და ინტელიგენტობას საკუთარ ჯიბეს უყენებს მსახურად ან გაქონილს ღუქნებში სხედან და ფაშვებს ალაღებენ, ჩვენებურად... ძველებურად... ქართულად.

ნეტავი ჩვენა, ნეტავი ჩვენა, ამისთანა უდარდელობისათვის. აბა პერიფერიის ინტელიგენციაზე რაღა ითქმის, ხან ბანქოს შეექცევიან, ხან ჭორებს ჰქექვენ სანაგვესავით, წუთისოფელი კი „მიდის, მიდის და მიდისა“...

არა, არ მოსწონს ლუკას ასეთი ყოფა, სიცოცხლის ასეთი უხელფეხობა. თუ ხარ, იყავი კიდეც. ნუ დაჰხავსდები, ნუ მოიკიდებ ძირს ხევში წამოყუნტული ლოდივით. იქნება იმ ლოდმა აღმოჩინის ას სიცოცხლეს აჯობოს ერთ ადგილას ხანგრძლივად გდებით, მაგრამ, ვაი ასეთის ყოფნას — არც ფიქრი რამე, არც ოცნება. არც მწუხარება და არც სიხარული. ნამდვილ სიცოცხლეს სიკვდილის არ ეშინია, რადგან მისი კვალი აქა რჩება სხვა ცოცხალთა შორის, კეთილ სახელს ტოვებს, ამაყია, მაღალი, წმინდა. „სიცოცხლესთან სიკვდილიც ერთი მადლია, ერთი მშვენიერებათაგანი, დამძიმებული, ამაღლებელი ჩემის კაცობისა“.

მწერალს, მოღვაწეს უფრო მეტი კვალი აწევს ცისა და ქვეყნისა... რადგან განგებას ღვთიური ნიჭით დაუსჯია. საკურთხეველზე უნდა იწვოდეს წმინდა სანთელივით, შუქად და სანთლად დნებოდეს, ერის ფიქრებს აფრებად შლიდეს, მის ტკივილებს წამლად ენაყებოდეს. ეს თუ არა, თუ ჩაქრა, გამოილია. გაცოფდა და დაიღალა, „გაიხიზნოს სადმე უდაბნოში, რადგან იგი მკვდარია მაშინ, ცოცხლებში გამორეული, — ისეთი მკვდარი, რომელსაც თუმცა სული კიდევ უდგას, მაგრამ ეს სული ჰკლავს კიდეც მას და სიცოცხლეს უმწარებს“.

ცოდოა... ჰო, ცოდოა, მაგრამ საბრალო კი არა... მაინც ბედნიერია, იმ თავისის გარდასულის ბედნიერებით...

* *

ვაჟა პედაგოგადაც დარჩა სიცოცხლის ბოლომდე. ამ აზრის ჭეშმარიტებას მისი ის წერილიც დასცემს ბეჭედს, რომელსაც „საუბარი ბავშვებზედ“ ჰქვია. ამ წერილში მწერალი დაწვრილებით საუბრობს ბავშვის განვითარების ეტაპებზე, სამყაროს თანდათანობით

შეცნობის სპეციფიკასა და შშვენიერებაზე, იმ შთაბეჭდილებაზე, რასაც მოზარდი ბავშვობის პერიოდიდან იღებს, რომ შემდეგ სამარის კარამდე გაჰყვეს და მისი, როგორც პიროვნების, განვითარებაზე გადამწყვეტი გავლენა მოახდინოს.

მძიმეა გამზრდელის მოვალეობა, მაგრამ ნაყოფისა მისის გარეშე ვერც აქამდე მოვიდოდა კაცობრიობა და ვერც მომავალს შერჩება. დიდი პოეტის პედაგოგიური შეხედულებები მეცნიერული არგუმენტაციის მშვენიერ ნიმუშებადაც უნდა მივიჩნიოთ.

* * *

აქვს ვაჟას პატარა-პატარა პუბლიცისტური ჩანახატები, რომელთაგანაც ზოგიერთში გაულვივარი მარცვალით დევს მთელი რომანის თემაც კი. ერთ-ერთი ასეთია „საკვირველი კაცი", სულ თექვსმეტსტრიქონიანი ჩანაწერი. მაგრამ როგორი ვულკანი შიშინებს თითოეულ სიტყვაში, როგორი აზრი ბრუნავს მძიმე დოლაბივით. „ზედმეტი ადამიანის" ცხოვრებისაგან ტალღანაცემი და სადღაც გარიყული პიროვნების ტრაგედიას გვიხატავს აქ ლუკა. აგონდება ლუკას ერთი თავისი ძველი მეგობარი — მუდამ ბამბასავით ჩუმი, ცხვარივით მშვიდი და იობივით მომთმენი. აქვე გვაწვდის პოეტი ერთ ფრაზას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მინიატურის გმირის ხასიათის შეცნობისათვის. ეს ჩუმი ადამიანი თურმე „წინაპირველად ძლიერ გულფიცხად მოეჩვენებოდა კაცს".

1882 წელმა გაჰყარა მერხის მეგობრები... ერთი ქვეყნა ქარმა წაიღო, მეორე — ზენამ...

„ფერმკრთალი ვანო ერთს წელიწადს შემდეგ ვნახე. დაგლეჯილი წალები ეცვა იმას ფეხზედ, ტანზედა — არა ნაკლებ წაძველებული ლეგა პალტო... თვალებზედ ჩამოფხატული..."

დაუმთავრებელია ფრაზა, მაგრამ ბევრის მთქმელი. ფიქრიანი ვანოს გარეგნული სიმშვიდე მისი ქარიშხლიანი და აწეწილი სულის ნავთსაყუდელი ყოფილა მხოლოდ. ვერ უცხოვრია სხვათა ჩვეულებრივი, ყველაფერს შერიგებული, ლუკმა-პურიანი და ძილ-ღვიძილიანი ცხოვრებით. ის ვერ ულოცნია, რაც არა სწამდა, ის ვერ უთქვამს, რაც არ სჯეროდა და ამიტომ გარეთ უსერია ცხოვრებას, ცბიერ, ურწმუნო და უპრინციპო საზოგადოებას. ეს ყველაფერი სწორედ მისი შეურიგებელი, ფიცხი ხასიათის გამო შეჰხვედრია, იმ რწმენის გამო, რასაც მთელი თავისი შემოქმედებითა და ცხოვრებით უკმევდა ვაჟა გუნდრუკსა. ტან-ხორცი ჩვენია, სული კი კაცობ-

რიობისა. გაზრწნის წინ აჰყვავდება ხოლმე ლეში, მაგრამ მაინც ლეშია.

ცოცხალს კი უნდა გეხეროს
ნამესის ქუდი თავზედა...

ან კიდევ:

ვერ მააწონებ კარგს ყმასა,
რაც არ უჯდება ჰკეთშია...

ასეთია ჩვენი ფიქრიანი ვანოც — ქართველი პეჩორინი...

ადრე აღვნიშნეთ, რომ ვაჟას კალამი არასოდეს არ ხითხითებს, გულიან სიცილსაც გადასჩვეულია ქვეყნის ბედით დამძიმებული, მაგრამ ირონია კი მისი სახნავ-სამკალია. შეხედავ ამ დროს ლუკას და ერთი ყბა რომ ვითომ ჩამოსტირის, მეორე უცინის. ყუასაც კი აჭრევინებს, როცა ირონიის მახვილს გაუქნევს ხოლმე ქოსმენივით ქონში აცურებულ დიდკაცობას, ჩინოვნიკთა თვალდაუხამხამებელ სიბრიყვეს, გატყლარჭულ პატივმოყვარეობას ან კიდევ იმ ქართველ ჰეროსტრატეებს ხელში რომ ანთებული ჩირალით დარბიან და დიანას ტაძარს ეძებენ საქართველოში.

სწორედ ირონიის საუკეთესო ნიმუშია ლუკას წერილი „ბიუროკრატის ჩივილი", რომელსაც ილიასა და აკაკის სატირული ფელეტონებისა თუ რუსული სატირის საუკეთესო წარმომადგენელთა ლიტერატურული ტრადიციების შემოქმედებითი ათვისების შადლი სცხია.

ამ პუბლიკაციაში სანაგვეზეა გამოტანილი ცარისტული რუსეთის მთელი ჭრელი სიდამპლე, რაც იაპონიასთან ომმა კიდევ უფრო აააროლა, ხოლო პორტ-არტურმა მსოფლიოს ცხვირ-პირში შეაფრქვია. უზარმაზარი იმპერია დაჭრილი გველეშაპივით ზანზარებდა, იარებს ილოკავდა და მეფის ტახტსაც ქათმის ფეხები გამოება.

იაპონიის ომმა გამოაჩინა, რომ თეთრ გოლიათს სიკვდილისწინა მხურვალება სჭირდა და დღეს თუ არა ხვალ ლეშის ზვინად იქცეოდა.

ეს კარგად ესმოდა ვაჟასაც.

ესმოდა და, აკი, ამიტომაც ამოიმღერებდა ხოლმე:

კიდევაც ენახავ გაზაფხულს,
ყელმოღერებულს იასა...

აქე, იქუხა კიდეც... ახლოს იყო გაზაფხული...

ამ რწმენის ხალისით სუნთქავს ხსენებული ფელეტონის ყველა სტრიქონი. ჟურნალ-გაზეთებში ხშირად იბეჭდებოდა შოცლილი კალმოსნების ცხელი სტატიები, ეს ვაჟბატონები მისდგომიან და ძველი ფარდაგივით ბერტყავენ, მტვერს ადენენ ბიუროკრატიას. სწორედ ამ უპატიოდ გალახულმა ძველმა ნაცნობმა დაულბო ლუკას კალამი და მის „დასაცავად“ ეს გვრიტის ღუღუნივით „ტკბილი“ ფელეტონი დააწერინა.

ოკეანეში იმდენი ტალღა არ დაითვლებოდა, რამდენი გემიც რუსებს ჰყავდათ. მაგრამ ვერც ბევრმა ტყვია-წამალმა, ვერც ზარბაზნების ცხელმა ხორთუმებმა ვერ უშველეს რუსის ჯარს. აბა რა შუაშიაო აქ ბიუროკრატია, კითხულობს ლუკა, თუ უკან დახევისას თვით რუსის ლაშქარმა თვითონვე დაწვა ფეხსაცმლით სავსე საწყობები და ჯარისკაცები კი ლამის ფეხშიშველნი სცემდნენ მარშსა და „ურაზე“ გადიოდნენ? „ღმერთო, შემიწყალე, სად ფეხსაცმელები, სად ბიუროკრატია“... ჰაი, თქვე კალამდაწყეველილო კრიტიკოსებო, კათაკმეველნო და ფარისეველნო, ბიუროკრატიას რომ აასხით ამდენი ცოდვა, აღარც ღმერთი იცით და აღარც სამართალი? ლუკას დაუჯერეთ, ნამდვილს ის გეტყვით — პოლკის უფროსობა „ჰზოგავდა, ინახავდა წაღებს საბოლოოდ და ამით ხაზინას მფარველობას უწევდა“. არიქა, იაპონიამ ისეც ბევრი ოქრო აპნევინა ჩვენს მირონცხებულ ხელმწიფეს და უფრო არ გაგვიღარიბდესო — ამისთვის წმინდა ანას ორდენი ეკუთვნით და არა ლანძღვაო, — უცინის ვაჟას სიტყვა.

საწყალი, საწყალი, საცოდავი ბიუროკრატია...

ანდა რუსი ჯარისკაცი თქვით რა არის და იქნება იაპონელი სალდათი დაამჯობინოთ? დიდადაც შესცდებით. პირველი ნამდვილი „ვოინია“, მომხიბლავი სიბრიყვით გატენილი, უფროსის ბრმად მორჩილი და ისეთი მოყვარული, რომ ის რომ მოუკლან, აღარ იცის, თოფს სად ლულა აქვს, სად კონდახი, იბნევა, იბნევა და ისევ იქითკენ გამორბის შინლის ფრიალით, საიდანაც გაიქცა. მერე რა ბოყინი იცის კარგი „შჩის“ შემდეგ? როგორ იძახის „ურას“. ღმერთმა ნუ ქნას მათ რაიმე განათლება ჰქონდეს, ან საკუთარი აზრი, ეს ყველაფერი ხომ „გრძნობებს უვითარებს ადამიანს“. „თუ მკითხავთ, განათლება კიდეც აწყენს“, რადგან ლმობიერი გახდება, საკუთარ თავში ადამიანს დაუწყებს ძებნას და მერე რალა „ვოინია“, რალა იმედი „ვოინსტვენნი“ იმპერიისა.

ღმერთო, შენ დაგვიფარე ამისთანებისაგან. „ჯარისკაცის ღირსება ორია უმთავრესი და უაღრესი: გაბაცობა და მორჩილება“. აი, მათი „უსტავისს“ თავი და ბედი.

არც რუსი „ლაშქრის“ ოფიცრობას დააკლო ვაჟამ ციცი ხოშკალა. მეფის რუსეთის ბიუროკრატიულმა სისტემამ არა მარტო არწია აქცია ცხვრის ფარად, უფროსობასაც უნტერის თხელი ჭკუა და გონება მისცა. რა არის ამის საფუძველი? ვაჟას შეხედულებით ბნელ უმეცრება, საერთოდ განათლების სისტემის ქრონიკული უვარგისობა. თუ ქვეყანაში ქაღალდი გაბატონდა, მიწერ-მოწერის თეთრი ნიაღვარი დაიძრა, იქ საქმე ეშაფოტზე დგას და, ხელებდაჭრილი, თავის მოკვეთასაც ელოდება.

ასეთ სახელმწიფოზე იტყვიან: ნეტავი შენა და ნეტავიო...

მოკლედ ბიუროკრატია, უცოდველი ბალღია. ვერა და ვერ დაიჯერებს ლუკა, რომ რუსეთი თუ ბარბაცებს, მისგან ბარბაცებს, ან განათლების სისტემასთან რა ხელი აქვს, მისი უვარგისობა იმას რატომ უნდა დაებრალდეს? ნეტავ რაღა უნდა ექნა ამ ჩვენს ისედაც ქაღალდებში ჩაფლულ ბიუროკრატიას? აბა, ან სკოლა რას არგია ქვეყანას, ან სწავლა, თუ განათლებულმა ხალხმა ცხოვრებაში ფეხი ვერ მოიკიდა, თავისი ალაგი ვერ იპოვა? „ვინც ისწავლა, იმათთვისაც აღარ არის კანცელარიებში „ვაკანსია“ და ზედმეტი განათლებული ბრბოს შექმნა რაღა საჭიროაო, კრაზანის მწარე თაფლად იღერება ლუკა. მაშ, აქაც მართალი ყოფილა ბიუროკრატია, განათლების საქმეს რომ აპეური ამოუჭრა, ესეც ქვეყნის კეთილდღეობისათვის უკეთებია. მოდი და ნუ დაინახავ.

განსაკუთრებულ სუსხს აუშვებს ვაჟას ირონია, როდესაც სოციალური უთანასწორობის საკითხს შეეხება. გამოსულან, თქვენი ჭირიმე, ზოგ-ზოგნი და შთა-ბარის გასწორებაზე ყბედობენ. აბა, სად ხეპრე, უანბანო, პირდაუბანელი გლეხი, მწარე წუთისოფელში ამოგანგლული, და სად „დამსახურებული კაცი“, ან მემამულე თავადი? განა ეს ორი რომ ერთნაირად იყოს, სიმართლეს არ შერცხვება, კანონი არ გაწითლდება? მერე რა, თუ ღმერთმა ყველა ადამიანად გააჩინა, ღვთაებრივი სული ჩაუდგა. ღმერთისა ღმერთმა იცის, კაცისა — კაცმა. ამისთანა აზრებმა არიეს დავთრები, მძინარე სირეგვნე გააღვიძეს და ხელში კეტი დააჭერინეს — თანასწორობა მოინდომეს. გაგონილა? დალოცვილი ბიუროკრატია! ამ არეულობაში ისევ ის შერჩა ხელმწიფის ერთგულება. ნეტავი რას ერჩიან, რას წიწკნიან ყვავ-ყორნებივით, თითქოს სანაგვეზე მიგდებული ჩყარალი რამ ლეში იყოს?

ქებათა-ქებას „აღაელენს“ ლუკა იმათ მიმართ, ვინც ნიბლიასავით განაბულა, ჩუმად კენკავს და ჩუმადვე ინელებს, მოწინავე აზრები სასაქმებელი ზეთივით გულს ურევს, ცოცხალ „ცირკულარად“ ქცეულა და უფროსის სიტყვა ქაღალდზე დასაკრავ ბეჭდად ჰქონია. აი,

გინ არის ქვევნის ბურჯი, ულვაშისა და ბაკენბარდების ღირსი. ასეთები ხელმწიფეს აამებენ და თვითონაც იამებენ ხოლმე „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკობას“, ოქროსფოჩიან ეპოლეტებს, ორდენებსა და დუმასავით სათლელ „პენციას“.

მართლაც რომ სატირული პუბლიცისტიკის ბრწყინვალე ნიმუშია „ბიუროკრატის ჩივილი“. როგორ მოჩუხჩუხებს სიტყვა, როგორი ენერგიით არის სავსე არაგვივით მოვარდნილი სტრიქონი, როგორი ნაკერი შეხედულებები ამშვენებს ქართული საზოგადოებრივი აზრის ამ უდავო შედევრს! თუმცა, რა არის საკვირველი?

ეს ვაჟაა, ვაჟა ფშაველა...

მართალია, რუსეთ-იაპონიის ომმა იმპერიის მთელი შინაგანი სიდამპლე გამოავლინა, მაგრამ მმართველ წრეებს არაფრის შეცვლა არ ეწადათ, ცხოვრება კი კარდინალურ რეფორმებს თხოულობდა, თუმცა ვაჟას არც ისინი მიაჩნდა იმ უებარ წამლად, რომელიც მომაკვდავს ფეხზე დააყენებდა — უნდა დანგრეულიყო ხუხულასავით ნაშენები იმპერია, სულის ამ წყეულ სახუთავში ძალით შერეკილ ხალხებს თვითონ უნდა აეშენებინათ თავისი შომავალი. ეს იმდენად ცხადი რამ იყო, რომ იმ უბირ ხევსურ თოთიასაც კი ესმის, ვისი პირითაც პოეტი თავის შეხედულებებს გამოხატავს.

კოლორიტული რამ არის ეს თოთია „საშვნეოდ დაყენებული ულვაშებით“ (რაკიღა ომიანობაზე უნდა ჩამოუგდოს ლუკას საუბარი) და თავისი გაუტეხათი გონებით, ძველი სკივრით, სადაც მხოლოდ დროის ნავლწაყრილი რწმენა-წარმოდგენები, თუ თქმულება-ლეგენდები ულაგია. დაწერილს რასაც ნახავს, ყველას „ატრატას“ ეძახის შუა საუკუნეების ეს ფარ-ხმლიანი რაინდი. ვერ წარმოედგინა თოთიას, თუ რუსის ჯარს რაიმე დაჰლეოდა და მოერეოდა, ვერც წარმოედგინა მისი რწმენით, აქაც მავნე ურევია, რადგან თურმე შავი და მძიმე ღრუბელი მიუვა რუსის ლაშქარს და ხორხოშასავით დააყრის ტყვიას. თოთიაში არ ჩამქრალა ძველი საქართველოს დიდება. მისი რწმენით, იაპონიის ლაშქარში ბაგრატიონების გვარის კაცი, ერეკლეს ნაგრამი გადასულა და ისა ჰლევს რუსის ჯარს, რუსთ ხელმწიფესაც დავლურსა და კეჭნაობაში იწვევს.

თოთიას მარტო ქართველი სალდათები კი არ ებრალებოდა, რუსის „ვოინების“ სიბრალულიც შეჰყრია — რაზე აღუპინებს თეთრი ხელმწიფე იაპონიას ამდენ ხალხსა, საჩხუბარი თუ აქვს, თვითონ გაუვიდეს ხმალდახმალ ბაგრატიონს. რატომ უნდა დაჰხუჭოს თვალი ქართველმა უცხო ცის ქვეშ, რატომ უნდა გაიჭრას საფლავი სხვათა მიწაში. „რა უნდა იაპონიაში ჩვენ შვილებს“? პროტესტის ამ ხმას სოციალური გაუძლისობის საპალნეც ამძიმებს — აღარ ეცხოვრება

ადამის შვილს. საით უნდა წაუვიდეს ამდენ გადასახადს, ხარჯსა და ბეგარას? რა აბადია თვითონ, რომ კიდევ გაფცქვნან და ჩასთალონ? არაფერი — ერთი დაღლილი სულის მეტი და ისიც უფლისაა.

შესანიშნავად იხატება ამ ხევსური „ლელთ-ღუნიას“ როგორც ფიზიკური, ისე სულიერი პორტრეტი, რომელშიც ორგანულად არის შერწყმული ზოგადი კონკრეტულთან. თოთიას სჯერა, რომ იაპონელები, დასტურ, ხევსურთა ხატ-სალოცავის ყმები უნდა იყვნენ. ხევსურეთში ხმა დადის, ხახმატში სალოცავად უნდა ამოვიდდნენ, საკლავი მიართვან, სისხლით მხარ-მკლავი გაინათლონო.

ასე რომ არ იყოს, მაშინ რუსეთის ისეთი ვაჟანი როგორ იქნებოდნენ, რუსთა ლაშქარი ასე დაელიათ და გაესრისათ?

ასე ფიქრობს თოთია, მაგრამ ასე არ სჯის „მოსკოვსკიე ველედმოსტი“, ეს რეაქციული შავფურცლიანი გაზეთი. ვაჟა კვლავ ნახევრად ირონიული ტონით საუბრობს მის პოზიციაზე — რუსეთში შესაცვლელი არაფერი ყოფილა, ცვლილებები მხოლოდ დალუპავს ამ ძლიერსა და ღვთითდაცულ სახელმწიფოს. იაპონია კი არჯაკელივით უნდა გასრისონ, ომი გამარჯვებამდეო და ამათი კუნძულებიც რუსულ მიწა-წყალს მივუმატოთო.

დავიპყროთ, დავიმორჩილოთ, მივუმატოთ, აი რისთვის გაბოტილა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ეს ამოდენა იმპერია, ჟანდარმის სერთუკი ყელში რომ უჭერს და სისხლში იხრჩობა.

ასე იხატება ვაჟას პუბლიცისტურ წერილში მილიტარისტული, რეაქციული სახელმწიფოს შემზარავი პროფილი, მისი წინააღმდეგობებით დაღრღნილი შინაგანი ცხოვრება.

ვინ არის მართალი? — კითხულობს პოეტი, — განათლებული „მოსკოვსკიე ველედმოსტი“ თუ პირჩამოუბანელი თოთია?

მიმდინარე მოვლენათა, პროცესთა ანალიზი ვაჟას ყოველდღიურობაა. დიდი პოეტი სიმართლის ზუსტ სასწორზე სწონის ყველაფერს, რაც მის თვალს დაუნახავს და გულს უგრძვნია. ამ „ყველაფერში“ ძირითადი მაინც ის არის, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების შინაგანმა ლოგიკამ მოითხოვა იმის შეცვლა, რაც აქამდე უცვლელ-უძვრელი ეგონათ. ცხოვრების მომწიფებულ მოთხოვნებს ვერაფერი შეაჩერებს. ისინი მთიდან დაბრუნ ნიაღვრებს ჰგვანან, როგორც მათ „ვერავინ შეაჩერებს, ისე ცხოვრების წადილს, მის მისწრაფებებს“.

აი, ნუგეში მომავლისა, სილამაზე და სიკეთე დროჟამთა სვლისა. „მომწიფებული აზრი ცხოვრებისა, თუ მისი მოთხოვნილება დროზე არ დააკმაყოფილე, ბრაზდება, ცხარდება. მისი დაჩუმება, დადუმება ყოვლად შეუძლებელია. ასე ყოფილა სხვაგან, ასევე იქნება ჩვენში“.

მთავარი ის არის, ამ მიმდინარე პროცესთა მიმართულებას აუღოს ადამიანმა ალღო, კალაპოტი უპოვოს. მისი განზე გაქცეული ნაკადი მთავარი ღელინარე არ ეგონოს, როგორც წინათაც ბევრჯერ მოსელიათ და ახლაც ხშირად მოსდით...

* * *

ვისგან ესწავლებოდა ვაჟას მშობლიური ენისა და მწერლობის მნიშვნელობა, თვითონ ქართული სიტყვის ურიცხვი საუნჯის მფლობელი ბრძანდებოდა და იცოდა. სიმდიდრე თაობებს უნდა ეთვალათ და ვერ დაეთვალათ. ენა, თუ ამ საგანზე მისი პუბლიცისტური წერილების სერიალის დედააზრს გავითვალისწინებთ, ის ჭიგოა, რომელსაც ვაზივით ეხვევა ჩვენი სული. ასე ფიქრობდა დიდი პოეტი და აბა როგორ შეურიგდებოდა იმას, რომ მავანნი დიდად მამულიშვილობდნენ, სიტყვით გულზე იხლიდნენ კრწანისსა და მარაბდას, მაგრამ საქმე კი სულ სხვას უყიყინებდათ — ქართულად ლაპარაკით ტუჩებს როგორ გაისვრიდნენ — რუსულად უბნობდნენ და სტატიებსაც რუსულად სწერდნენ ეროვნულ სატკივარზე. ამასაც არ დასჯერდნენ — რუსულად დაუწყეს გაზეთებს გამოცემა. თან როგორ ყელყეელაობენ, როგორ მოსწონთ თავი სხვათა ენის ამ მამლუქებს. ვაჟას თქმით, მათ რუსი საუკეთესო მწერლების „ფრაზების ლექსიკონი აქვთ შედგენილი და იმით აკოპწიავებენ თავიანთი კალმის ნაყბედს". ასეთი პოზიცია პოეტს მშობლიური კულტურის, მწერლობის ტრადიციების, ქვეყნისა და ენის ღალატად მიაჩნია. ნუთუ არ ესმით ამ ვაჟბატონებს, როგორ ურყვნიან საქართველოს მომავალს, რადგან სხვათა წყლით ნარწყავი და გაზრდილი ახალთაობა ის არ იქნება, რაც უნდა იყოს. რა შეცვლის მშობლიურ ხმათა სიტკბოს, კილოთა მშვენიერებას, ეს ხომ იგივე იქნება, ყმაწვილი დედის ძუძუს მოსწყვიტო და დო ასვა? სავსებით მართებულად აფასებს ვაჟა მეორე პოზიციას ინტერნაციონალიზმის დამახინჯებულ გაგებად. ინტერნაციონალიზმი შენის და თავისის სიყვარულზე იზრდება, ჰყვავის და იტოტება. სხვა შეხედულებაში ეს გადაგვარებაა, უზნეობაა, ღალატია. თავისი შეხედულების დასამტკიცებლად ვაჟას ქართულ კლასიკურ ლიტერატურას მიმართავს — იქნებ შესძლოს ვინმემ იმის წარმოდგენა, რა იქნებოდა ჩვენი ეროვნული მწერლობა, რომ ნ. ბარათაშვილს, ალ. ჭავჭავაძეს, გრ. ორბელიანს, ა. წერეთელს და ღვთაებრივ ილიას რუსულად რომ ეწერათ, ან შოთას „ვეფხისტყაოსანი" ამღერებულიყო იმავე ხმით ან თათრული ბაიათით. „ბოლა ნასრედინს რომ სტამ-

ბოლში ფლავი ედგას წინ სინით, ტფილისში მე რა, ან შენ, მკითხველო? — კითხულობს ვაჟა სხვათა და სხვათა გასაგონად.

ისედაც უჭირდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, ისეც ქვის სეტყვისა და დაუმსახურებელი საყვედურებისათვის უნდა შეეშვირა თავი გამომცემელს, რომ ერის პურს თონე არ გასცივებოდა, ახლა კი კიდევ უფრო მოაკლდა ხელისშემწერები, რაც იღური ზიანის გარდა, ფინანსური გაძვალტყავება არგუნა ხვედრად ქართულ გამოცემებს.

ეს ურისხებს კალამს, ეს უწვავს ჩოხის კალთებს ვაჟას.

მწერალი ქვეყნის ღალატში სდებს ბრალს რუსულით ჭკუანაშყნობ კალმოსნებს. ან იქნებ არ უწყიან, რასა სჩადიან? არა, ასეთი უტიფრობა წინდაუხედაობის შედეგი არ არის. ვინც საბძელში ცეცხლს აჩაღებს, ისიც კარგად უწყის, ამას რა მოჰყვება.

ხელი აიღეთ ამ სახიფათო მოღვაწეობაზე, — ფშავის მთებიდან გადმოჰყივის ქართული პოეზიის არწივი ეროვნული ინტერესებისაგან დაცლილსა და გამობერტყილ „პუბლიცისტებს“.

არა, შორს არის პოეტი ორლობესავით ვიწრო სეპარატიზმისა თუ შხამნარევამი შოვინიზმისაგან. ვაჟას მიაჩნია, რომ ეს ორივე ერთნაირად არის საზიანო ქართველი ერისათვის. საქართველო თუმცა სხვის უფლებისქვეშ მოქცეულა, მაგრამ მაინც ცალკე ქვეყანაა, ხალხით, ქარცეცხლში ნაშობი კულტურით, ხასიათით, ადათებით, უკვდავ-უცვეთელი ტრადიციებით და მას განვითარების, ზრდის საკუთარი გეზი უნდა ჰქონდეს. იმდენად თანამედროვედ ჟღერს ვაჟას ეს აზრი, თითქოს ახლაღა დაეწეროს. მწერალს და მელანი ჯერ არ შეშრობოდეს. როგორ შევიკავოთ თავი ვრცელი ამონაწერის მოტანისაგან, როცა ასე ეხმიანება ყველაფერ იმას, რის გამარჯვებასაც დღეს საქართველო დროშას უქსოვს? აი, ეს ნატვრის თვალებივით აკრეჭილი, უკვდავი სიტყვებიც: „საქართველო რუსეთის სხეულში, ორგანიზმში კი არ უნდა იყოს გათქვეფილი, როგორც უსულო სანოვაგე, არამედ მას ეკვეს გვერდით, როგორც ცოცხალი, სალი არსება, რუსეთთან ერთად მოსიარულე. პროგრესის გზაზე თავის თავის მცნობელი, თავის თავისა და კარგის მგრძნობელი“.

ასეთ საქართველოს კი ენაც თავისი სჭირდება, მომავლის სანერგე — სკოლაც და წერა-კითხვაც — ქართული ენისა და ეროვნული სულის ეს უპირველესი ტაძარი...

„ვაგლახ, რომ ჩვენში წინააღმდეგს ეხედავთ,“ — უკვნესის ვაჟას ამ ეპოქალურ წერილს ბოლო სტრიქონი.

დიდხანს არ უცოცხლია ვაჟას. რა არის 53 წელი, როცა სტრიქონი გიმწიფს, გულზე მზე და მთვარე გისვენია და ღმერთს ესაუბრები?! სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა ლუკას — არც მზის საკითხავი პოემები შეექმნა, არც მანამდე უგრძნობითა და უხილავით ამღერებული ლირიკა, არც წმინდა რამ ტაძარივით ნაგები პროზა, დრამატურგიასა და თარგმანებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მხოლოდ პუბლიცისტური წერილები დაეტოვებინა შთამომავლობისათვის, მაინც გენიალურ მოაზროვნედ, სიტყვის დიდოსტატად შერაცხდა ერი.

დიდი შემოქმედის ბევრი პუბლიკაცია პოლიტიკური აზროვნების კლასიკურ ნიმუშად უნდა ჩაითვალოს. ერთ-ერთი ასეთია „რა არის თავისუფლება“?

„თავისუფლება მოქმედებაა, განხორციელებაა ნებისა, აზრისა, გრძნობისა და არა განსვენება, უქმად ყოფნა,“ თავხესავით უდევს ეს ფილოსოფიური შეხედულება პოეტის ლაღ, ურღვევი ლოგიკით შეკრულ მსჯელობას.

მწერლისათვის არ არსებობს პიროვნების თავისუფლება იმ ერის თარხნობის გარეშე, რომელსაც იგი წარმოადგენს, წინააღმდეგ შემთხვევაში მავანი და მავანი საზეწაშლილი კოსმოპოლიტი, უსამშობლო და უწინაპრო რამ იქნება.

არავის არა აქვს უფლება, ამა თუ იმ ხალხს, გინდაც იგი თავის სიმცირეს თითებზე ითვლიდეს, თავისუფალი განვითარების ღვთით ბოძებული უფლება წაართვას, თვალები მისი ზიზღით აივსოს და ბეჭზედ მტაცებლის ტორი დაადოს.

ყველა ხალხმა თავად უნდა მოიხმაროს, რასაც ქმნის, რაც მისი ამქვეყნად არსებობის სახსარი და საშუალებაა. ვისა აქვს უფლება უთხრას — სკოლებს ნუ გახსნი, შენის ხარჯით უნივერსიტეტს ნუ აარსებო.

კაცობრიობის განვითარების, წინსვლის ჭეშმარიტი გზა თავისუფლების გარეშე ვიწრო ლაბირინთად იქცევა, ხოლო მჩაგვრელისადმი ზიზღი და მძულვარება, იძულებითი მონობა, ადამიანს იმ დიდ მშვენიერებას წაართმევს, რასაც „სიცოცხლის სიხარული“ ჰქვია.

პიროვნება თავისუფალი ხდება მაშინვე, როცა იგი ბნელი ძალების წინააღმდეგ ბრძოლას იწყებს, სწორედ ამ უკანასკნელშია ადამიანური არსებობის არსი, ხოლო მტარვალთა შემუსვრის გრძნობა, მათდამი სიძულვილით, ისეთივე ბუნებრივი რამ არის, როგორც მაღლა ცა და დაბლა — დედამიწა.

თავისუფლებისათვის ბრძოლა მაშინ იწყება, როცა „უკიდურე-

სობამდე მიდის“ ღიდთა ბოროტება და პატარათა გაძლება. მაშინ იბადება ერთადერთი, შეუვალი სურვილი — ან მოკვდე ან ჩემის ქვეყნის თავისუფლებას ველირსოო. ასეთია ლუკას პოლიტიკური კრედო, საზოგადოებრივი ცხოვრების მისეული ანალიზით მიღებული დასკვნა.

თავისუფლება ბედნიერებაა, ადამიანური ყოფის პური და წყალია, მაგრამ სულის ამ ფუფუნებასაც გონიერი გამოყენება უნდა. ის ტვირთიც არის, ძნელად და ფრთხილად სატარებელი, თვალ-პატიოსნით სავსე სამალნე.

„რას თხოულობს თავისუფლება ადამიანისაგან? როგორ უნდა იქცეოდეს თავისუფალი ადამიანი?“.

ამ კითხვას ასევე ლოგიკის სალტეებით შეკრული პასუხი მოსდევს:

„თავისუფალი ადამიანი უნდა იქცეოდეს ისე, რომ თავის ყოფაქცევით, სხვას არ ჰვნებდეს, მით უმეტეს საზოგადოებას, არამედ მისი მოქმედება უნდა იყოს მიმართული ქვეყნის საბედნიეროდ“.

უსმენ ვაჟას, უსმენ და პატარა ჩარგალი საქართველოს ვაიმარი გგონია. გენიალური უბრალოებით მსჯელობს ვაჟა ურთულეს საკითხებზე. ასე იჩარხება ხოლმე ალმასი დიდლსტატის ხელში. მართალია, თავისუფლება ნების თავისუფლებაა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, საკუთარ საქციელს აპეური წაჰყარო, ნიაღვარივით მოუშვა, ინსტიქტები კი ავი ქოფაკებივით აუშვა. განა ავაზაკი თავისუფალი არ არისო, გეკითხება ვაჟა, მაგრამ ავაზაკი ჰქვია, მკვლელი, ყაჩაღი, რადგან პირადი სარგებლობისათვის გადაუდვია თავი, აბა სად ესა და სად კიდევ ჭეშმარიტი თავისუფლება, როცა იგი ქვეყნის ბედნიერების ჭაპანს ეწევა?

რამდენი იყო საქართველოში უმისამართო ქართველი, შაღალ ფრაზებს რომ გაჰკიოდა, სინამდვილეში კი თავისუფლება სიტყვის უკონტროლო თარეშად, თავდაუჭერელ საქციელად ქიაჩნდა?

მათ ზურგზეც წივის ვაჟას მათრახი. პირველ რიგში მათ დაჰბზუიან ფუტკრებივით დიდი მოაზროვნის სიტყვები:

„იმაში არ გამოიხატება თავისუფლება, რაც გნებავთ, ის ილაპარაკო, სწერო, აკეთო, არა! უნდა ყოველს სიტყვას და მოქმედებას საერთო, საზოგადო ბედნიერება ედგას სარჩულად“.

იქნებ გაბატონებულ ერს ან ადამიანს ჰგონია თავი ბედნიერი? არა და კიდევ არა, რადგან მათ გარშემო ზიზღის მყრალი ჭაობი ბუყბუყებს. სხვისა დამშონებულ სახელმწიფოს ეს გონება თავად ექცევა სულის იმ ჩუმ მღრღნელად, რომელიც საბოლოოდ გამოხრავს შის მოჩვენებით ძლიერებას და ვითომ ' იალბუზს ხოშკალის მარ-

ცვლად, ისტორიის უბადრუკ მაჩანჩალად აქცევს, ზნეობრივი გახრწნილების წუმპეში ჩაახრჩობს, ათას ჭირსა და ვარამს აუშლის, მომაკვდავის კრუნჩხვას შეჰყრის. ასეთს შუბი და ხიშტი წინდისჩხირად ექცევა, ხმალი ჭილოფის საბერტყ ხელნად, ჯარი და სარდალი ცხვრის გაშლილ ფარად და გზაარეულ სარქლად.

მაგალითისათვის შორს რატომ გაეწვდინა ხელი ლუკას. აგერ, იაპონიამ რა ცხელი ძმარი აღვრევინა რუსეთს — ამ თეთრ დევს ფუყე მკერდი, მღვრიე ჭკუა და დედაკაცის მკლავები აღმოაჩნდა.

„მაშასადამე, თავისუფალი უნდა იყოს არა რომელიმე ერთი წოდება, არამედ ბოლო ერი". უნდა მოისპოს წოდებრივი უპირატესობა, თორემ, სანამ ეს მაჯლაჯუნა აწევს კაცობრიობის სულს, მანამდე თავისუფლება, პატიოსნება, თანასწორობა მხოლოდ ცისფერ ოცნებად დარჩებიან.

წერილს ვაჟა ჭეშმარიტებით სავსე ღეჭულებით ასრულებდა:

„მარტო ქონებრივი უზრუნველყოფა არ არის გარანტია, ერმა შეინარჩუნოს თავისუფლება, უკეთუ მას თან არ ახლავს ერის საერთო გონებრივი სიმშვიდე, განათლება და ცოდნა".

ღვთაებრივი, დიდი ვაჟა...

* * *

წინა წერილში აღძრულ საკითხებს ვაჟა შლის და აღრმავებს სხვა პუბლიკაციაში „რას ჰქვიან თავისუფლება". რა თქმა უნდა, შენთხვევითი არ არის დიდი მოაზროვნის დაინტერესება ასეთი პრობლემატიკით — პასუხი უნდა გასცემოდა სუსხიანი დროის, ეპოქის აშლილ კითხვებს, რომელთაგან ძირითადი მაინც მომავლისაკენ სავალი გზების გარკვევა იყო.

თავისუფლება კი ყველა ჭეშმარიტი მამულიშვილის ფიქრის გაშლილი აფრა იყო, თუმცა ბევრს უკუღმართად ესმოდა ამ სიკეთის შინაარსი...

ვაი საზოგადოებას, რომელიც მონებს ზრდის.

ვაი ქვეყანას, რომელსაც სკოლები იშიტომ აქვს, რომ სიბრიყვესა და სიყეყეჩეს უკმიონ საკმეველი.

ვაი სახელმწიფოს, თუ იგი ყოველგვარი ბოროტების ბუდეა, სადაც პატივი აუყრიათ პატიოსნებისათვის, დაუმდაბლებიათ ის ფასეულობანი, რომლებიც ადამიანს ადამიანად ხდიან.

ვაჟა შეჰხარის ადამიანის ამ ქვეყნად მოვლინებას. იდუმალებათა ამ იდუმალებას დიდი სიკეთე ახლავს — ადამიანი თავისუფალი იბადება, როგორც საწყაროს ნებისმიერი შვილი, მაგრამ შემდეგ საზო-

გადოებრივი სტრუქტურების, გარემომცველი წრისა და სხვათა გავლენით არტახებს გადაუჭერენ ხოლმე ბუნების ამ ნაბოძვარს.

ვაჟას გარდუვალად მიაჩნია ის გარემოება, რომ ყმაწვილში უნდა განვითარდეს დედაბუნებისაგან ბოძებული თავისუფლება, რასაც მრუდედ ნაშენები საზოგადოება, უკულმართი სოციალური სისტემა უშლის ხელს — ასე იზრდება თავისუფლებისათვის დაბადებულ მონად, ასე წააყრიან ხოლმე ნაგავსა და ცივ ნაცარს ნათლის სხივს. აბა სად პროგრესი და სად ამისთანა სახელმწიფო? ის უფრო ყეყეჩთა, ჩერჩეტთა სანაშენოა, რადგან ასეთია; რადგან ბუნების წინააღმდეგ მიდის, მისგან დანათლულს ართმევს ადამიანს, და, თვითონაც დასაღუპად არის განწირული.

ან კი ეთქმის ასეთ ჯოჯოხეთს სახელმწიფო? უფრო ბუდეა „ყოველგვარი ბოროტებისა", ციხეა, სულთა საპყრობილე, სადაც სიცივე, სიბნელე და უმეცრება სუფევს, სირეგვენე გაბოტილა, ხოლო ღირსება ყველასგან მიტოვებულ, ბოგანი ლირად ქცეულა.

თავისუფლების საფუძვლად ვაჟა თავმოყვარეობას თვლის აუცილებელ ფაქტორად, მაგრამ არა ქოსმენურ თავმოყვარეობას — მე გავსუქდე, ქონი დავიდო და სხვას გინდა ძვლები კანსგარეთ გამოპყრიაო, არამედ ისეთს, საკუთარი თავის სიყვარულად მოყვასისათვის თავდადება, საზოგადოების ერთგული სამსახური რომ მიაჩნია, ერთობას თანასწორობას სიტყვით ქადაგებს და საქმით ემსახურება.

ვაჟა იმ დასკვნამდე მიდის, რომ სოციალურ ჯღმართ-დაღმართზე მავალ საზოგადოებაში არც მძლავრი, მჩაგვრელია თავისუფალი, რამდენადაც თავისი პრივილეგირებული მდგომარეობის შესანარჩუნებლად მუდმივი შიშით უნდა იღლებოდეს, ათასგვარ სიმრუდეს სჩადიოდეს, სხვათა სისხლითა და ცრემლით იბანდეს ხელ-პირს. მაშასადამე, თავისუფლება ისეთი სოციალური თუ ფილოსოფიური კატეგორიაა, რომელიც გამორიცხავს ერთეულთა ინტერესთა სხვაობას, მათ პრივილეგიებს მრავალთა ინტერესებისა და პრივილეგიებისგან. თავისუფალი ბოლოლო თავისუფალთა შორის შეიძლება იყოს ადამიანი. როცა იგი არც სხვას ართმევს არაფერს და არც მას მისწვდება მტაცებლის ბანჯგვლიანი კლანჭი. აქედან გამომდინარე, ჩარგლულ ბრძენს, ბუნებითი კანონის აღსრულებამდე, თავისუფლებისადმი წმიდათაწმიდა სამსახურად მიაჩნია ის, როცა უქონელნი და ბევრნი, ბიდართა და ცოტას ებრძვიან, რათა ის დაიბრუნონ, რაც მათთვის წაურთმევიათ, ურომლისოდაც წუთისოფლის ბორბალი უკუღმა ტრიალებს, ანუ თავისუფლება დაიბრუნონ და ამით აღდგეს ის ღვთიური ჰარმონია, ურომლისოდაც საზოგადოება ტყეურთა ჯოგს უფრო ჰგავს, ვიდრე ადამიანთა კრებულს.

კანონებს ხალხი უნდა ადგენდეს, თავისი ცხოვრების წესს თვით იგი განსაზღვრავდეს და არა მაძღარი უმცირესობა.

თავისუფლებამ უნდა მოგვცეს სიამოვნება. ეს თეზისი ძალიან ბევრის მთქმელი და უფრო მეტის აღმთქმელია. ვაჟას იდეალი ისეთი საზოგადოება, ისეთი სოციალურ-საზოგადოებრივი სისტემაა, რომელიც პიროვნების ყოველმხრივი განვითარების შესაძლებლობას შექმნის.

ასრულდება კი ნატვრა ჩარგლელი მინდიასი?

* * *

სად ხარ ლუარსაბ თათქარიძევ?!

თითქოს ნათლის სვეტად ჩამოდგა საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარი. სიბნელემ თვალი გაახილა, განათლებამ ნაბიჯი გაიმაგრა, დაიხსნა სკოლები, საზოგადოებრივმა აზრმა კარგი კვირტი და ნაყოფი გამოიტანა, თუმცა მეოცე ასწლეულის მისადგომებთან ჯერ კიდევ იყვნენ ისეთები, ვისაც ეს სულიერი აღორძინება გიჟის როკვა ან უსაქმურობის გართობა ეგონა.

ვინ იყო მწერალი მათი შეხედულებით? ვინა და ყველასგან დავიწყებული ბოგანო, საცოდავი მჯღაბნელი, ქაღალდს ჩაციებული, უპატივო, ბეჩავი ვინმე.

აბა, კაცი რომ ასეთ გზას დაადგება, იმისი რა უნდა იწამო? არც გაღმისაა, არც გამოღმისა, არც ესა, არც ისა, თორემ ამ დალოცვილს, დღიური საქმე რამ გამოულია, — ასე ბსჯელობდა მწერალზე არა მარტო მიწას გაკრული გლეხი, არამედ ბევრი ისეთიც, ვისაც ანაბანაც ესმოდა და ჟურნალ-გაზეთებიც გამოწერილი ჰქონდა. ვაჟა ურმის თვალზე აკრავს ასეთ აბდაუბდას, დაწვრილებით განიხილავს მწერლობას, როგორც ერის სულიერი ძალ-ღონისა და ნიჭის გამოვლენის ერთ საშუალებათაგანს, ურომლისოდაც ქვეყნის სამსახურს ღვთის მარჯვენა დააკლდებოდა, მაგრამ არც ის მიაჩნია სწორად, როცა ყველაფერს, რასაც კალამი მიჰკარებია, მწერლობას არქმევენ. მაშინ, როცა თავთუხი კი არა, ყანაში შეპარული სარეველაა, არც რომ ამბარს არგია, არც ჩალა-თივას.

თუ მწერალს ერის მკერდზე ყური არ უდევს, მისი სატკივარი არ ესმის და მისთვის წამალს არ ეძებს, ასეთი კალმოსანი სიტყვას ვერ დაიურვებს და ყველეურივით ვერც აზრს ამოიყვანს თავისი მსჯელობის შრატიდან.

ასე გინდ წერე, გინდ ნუ გიწერია.

არა ხარ და არა...

მარტო მელანს ღვრი, ქაღალდს სტანჯავ, კალამს აცოდვილებ.

ნეტამც დაისვენო და სხვაც დაასვენო — ეს უფრო დიდი მადლი იქნება ერისათვის, ვიდრე შენი, უკაცრავად პასუხია, და მწერლობა. აი, ვაჟას აზრი უნიჭობის სიბრიყვესა და თავგასულობაზე.

ვაჟას არ სწამს მხოლოდ „ფრაზებით სავსე" ლიტერატურული თხზულება, თუ მასში ცხოვრების ავან-ჩავანი მთელი თავისი სიგრძე-სიგანით არ ჩანს. ამას კი მწერლის მახვილ თვალთან ერთად გამოცდილებით ნაჩარხი, ალესილი ნიჭი სჭირდება. ვაჟა მოკლედ მსჯელობს იმ განსხვავებაზე, რაც მხატვრულ პროზასა და პუბლიცისტიკას ერთმანეთისაგან მიჯნავს და ბელეტრისტიკის დიდ ღონედ სწორედ ტიპების შექმნა მიაჩნია. პუბლიცისტიკა ვერ იზამს ამისთანობას, რადგან ბელეტრისტი თუ ჰკაზმავს თავის სიტყვას, ნოყიერის ფერებით ხატავს ცხოვრების სურათს, პუბლიცისტი ლოგიკას, მსჯელობას, ციც დასკვნებს უნდა დასჯერდეს.

სწორია დიდი პოეტი, მაგრამ, ალბათ, იმის თქმაც იყარგებდა, რომ გენიით ცხებული პუბლიცისტისათვის არ არის უცხო საბოლოოდ ჩამოყალიბებული ტიპობრივი სახე თუ არა, მისი შთამბეჭდავი მონახაზი მაინც.

ამის მაგალითი თვით ვაჟას კალმის პუბლიცისტური ნაამაგევია.

ლიტერატურული ტიპი მწერლობის ძალთა ძალია, ალბათ მისი მიზანთა მიზანი, რამდენადაც მასში განივთდება ხოლმე ეპოქის ნაფიქრ-ნააზრევი. მაშინ იტყვიან: აი, მწერალი და აი, ზენაარი ნიჭის მადლით.

აბა, სად მე და სად რუსთაველი, სად ჩაცუცქული ბორცვაკი და სად მწვერვალი, ცა რომ აუბევია და უსასრულობაში წასულა? — ხშირად უთქვამს ლუკას თავისი მეგობრებისათვის, როცა ან ქოსების დუქანში მსხდარან, ან კიდევ ზაქარია ჭიჭინაძის წიგნის სავაჭროში შეყრილან...

— განა დავით გურამიშვილიც მაგას არ ამბობდა, — შუბლი გაშალა შიომ, — მართლაცდა სხვაგან სად გინახავთ, რომ სიტყვა ასე უყვარებდეს ღვთისშვილსა...

— ჰომეროსი... შექსპირი, — თავისთვის ჩაილაპარაკა ზაქარიამ და თაროზე სქელყდიანი წიგნი შეასწორა.

— იქნება ეტყუივართ, ზაქრო, მაგრამ შოთას მაინც სხვა მადლი სცხია, ღვთის მარჯვენა თუ ება, დალოცვილს, ღვთისა, — ჩაჰკრა კრიალოსანს შიომ და სახეზე ნალოცი ბერის ნეტარება გამოესახა.

— კეისარს კეისრისა, ჩემო შიო, დუნია დიდია, გენიოსებიც მარტო ფალავნობით ჰგვანან ერთმანეთს, თორემ ყველა იმასა სდღვებს, რასაც დრო და ეპოქა იწველება, — მოკეცილი გაზეთი ახალუხის ჯიბეში ჩაიდო ლუკამ, — ეგ კი არა, აგე მარი რასა სწერს: — შაგ თქვენ არწივს ბატის ფრთები ჰქონია, სპარსული რამ მოთხრობა უპოვია და ის უთარგმნია, იმით დაუგიჟებიხართ ქართველებიო, — ბწყარე ლიმილმა აუსერა სახე ლუკას, — კაცი ამას რომ იტყვის, ლავაშისხელა საბუთი მაინც უნდა ეჭიროს ხელში...

— აკი გვპირდება, დედანი ბრიტანიის მუზეუმში მივისო, — ჩაიცინა ზაქარიამ, — ნეტაი სად გაუფრინდა მარსა ის ხელნაწერი?

— ტყუილმა მოსტაცა, ზაქრო, ტყუილმა, — გადაიხარხარა შიომ, — აჰა, ზედ რაწესა ხედავ? — გაუშვირა ზაქარიას ხელისგული.

— მერედა ის მაძაცხონებული, რო გაჭენდა, რატო ვერ დაინახა, რომ ცხენი უკან დარჩა? — აენთო ზაქრო, — ასეთი რამ ქარაქუცა მწიგნობარს თუ კიდევ ეპატიება, მარს არ ეკადრება, დიდი ცოდნისა და გონების რამ არი...

— ტყუილისათვის წვერი ვერ გიპოვია, ჩემო ზაქრო, — აღელვებამ ფეხზე წააყენა ლუკა, — განზრახ გვითხუპნიან სიმართლეს, ფაქტებს ამახინჯებენ, ამისთანა რამის უსაბუთოდ განცხადება ზნეობრივი დანაშაულია, თორემ კრიტიკასთან რა ხელი მაქვს, კრიტიკა ბწერლობის ძიძაა, უინისოდ არც ბწერალია, არც საერთოდ შემოქმედი. ასე არ არი, ჩემო შიო?

— გულს გვიკლავენ, ლუკავ, გულსა. ვითომდა რა წარბი გაგიშლიათ ქართველებს, თუ გყავთ, ვინა გყავთ. ერთი უბრალო მთარგმნელი ბრძანებულა ეს თქვენი რუსთაველი, მარტო ლექსი უკეთებიაო. ასეა, ვაჟავ, ჩვენი მართალი კუტად ჩაგვივარდება ხოლმე, იმათი ტყუილი კი ნაზუქივითა ცხვება.

— წყალში წაელენ და წამოვლენ, — ახმიანდა აქამდე ჩუმი ზაქრო, — მთას კი წკიპურტი ვერ წააცევს.

— ყველას პასუხი უნდა გავცეთ, პასუხი, — აბრიალდა ვაჟა, — დასაბუთებული, ფიჭასავით ნაგები პასუხი, ვინც ჩვენს სალოცავში იგინება. ილიას სიტყვები ხომ გახსოვთ, რუსთაველი ჩვენთვის მარტო პოეტი და მოაზროვნე არ არის, რაც მის წიგნში სწერია, სულ ქართული სულის ჭირნახულია, სულ ცვარ-ცვარ ნაგროვები მარგალიტია და ამის დაუნახავობა ან ძალად სიბრმავეა, ან ერის პირდაპირი მტრობა.

— ვინც რქა გამოიბა, ყველამ ჩვენ გვირქინა, კაცო, — აკენესდა შიო, — ისიც არ უნდათ, თვალზევით წამწამი გვქონდეს, თქვი, ლუკავ, თქვი, ასეა თუ არა?

— ასეა, ქუჩუკაშვილო, ასე, ბ-ნ მარს ავიწყდება, რომ ხელოვნების ნაწარმოები სულ სხვა არის, ვიდრე მეცნიერული რამ ტრაქტატი, შემოქმედებითი პროცესი სულის მისტერიაა, ქურუმის ლოცვაა. გენიალური თხზულება მაშინვე იცნობა, თუ წამკითხველს ისა აქვს, რუსები „ნიუხს“ რომ ეძახიან. ყველა მთარგმნელს რომ ისეთი სიყვარული მოეხვეჭა, როგორიც რუსთაველს მიაგო ერმა, მაშინ გენიოსებს მზარს ვერ აუქცევდით. ასეთი პატივი მარტო იმისია, ვინც თავისი ხალხის ხასიათი, სული, ზნეობა ეპოქათა სიხარული, ტკივილები სიტყვის ფოკუსში მოაქცია, შიგ საერთო-საკაცობრიო რამ ჩადო და ეს ყველაფერი შემოქმედების ღვთაებრივი ცეცხლით გაანათა, „ნიუხ“, ბატონო მარრ, „ნიუხ“. შენისოანა კაცმა როგორ არ უნდა იცოდეს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ იგივე საქართველოა და პირიქით. მაგრამ ,დამიჯერეთ, აქაც ნიჰილიზმის უკბილო ხერხი გადი-გამოდის, — მეგობრებს გაღახედა ლუკამ.

— მარს დიდი გავლენა აქვს მეცნიერებაში, მზესავით სუფევს და მის აზრს უკითხავად ეყრდნობიან ხოლმე, — გააგრძელა ზაქარიამ.

— მერედა ასე შეიძლება? — უფრო აიმაღლა ხმა ლუკამ, — საკუთარი გონება ღმერთს იმისათვის მიუცია, რომ შავი თოვლი და თეთრი ნახშირი არ დაიჯერო, მაგრამ მეთოდი არა აქვთ, ზაქარ, სწორი მეცნიერული მეთოდი, თავს კი სწავლულებს ეძახიან, ტროსტებით დაბრძანდებიან. ვაი, ასეთ მეცნიერსა და იმათ ნათეს-ნამკალ მეცნიერებასაც. თანაც აქ სხვა მიზეზებიც არის, ოღონდ პატრიოტობა, შოვინისტობა არ დაგვწამოს ვინმემ და ლომის ყველაფერი ნიავ-ქარს გავატანოთ. ხომ გახსოვთ, ზოგიერთებმა რაები დაწერეს იმ თავისი გარყვნილი კალმით — ჩვენი არხიტექტურა ხომ სომხურის ტყუპი და ცალი ყოფილა, ენასაც თუ ნაღები აქვს მოგდებული, ისევ სომხურის გავლენით. რუსთაველსაც ამიტომ უტაცეს ხელი უზანგზე — მოპარულ ბედაურზე ზიხარ, ჩამოხე და ჯაგლაგზე გადაჯექიო. მაშ, ჩვენს ძველებს არაფერი უკეთებიათ, წყალი უცხვიათ და ქვა უფცქვნიათ, განა ამისი მთქმელი უნდა ქართველობდეს, — ცხარობს ლუკა, — აქაოდა ჰაოს და ქართლოს ძმები იყვნენ, ამიტომ ქართულ-სომხური კულტურაც ერთ მარჯვენას უშენებიაო, „საკვირველ არიან უფალო, საქმენი შენნი“... თქვით, კაცნო, განა ისეთი თვალისა და ყურის გამხარებელი არაკი, როგორც „ვეფხისტყაოსანია“, სპარსეთში რომ მართლა ყოფილიყო, ან ფირდოუსი ან ჯამი, ან ჰაფეზი და სხვა ბევრი ხელიდან გაუშვებდა? თქვენაც კარგად იცით, ერთი ამბავი ბარე ოთხ-ხუთ სპარსელ პოეტს აქვს ხოლმე დამუშავებული. ბარაქალა შობას ბიჭობასა, სპარსელებს თვალწინ ედოთ და ვერ დაინახეს, იმან კი, აგე, სად უწვდინა ხელი...

— მაინც რამ დააწერინა, კაცო, ესე ამბავი სპარსულიო, როცა მთელი პოემა „ქართული სუნთქვასავითაა“, — გაიკვირვა შიომ, — ეს რა განხეთქილების ეშლი გაგვიგორა იმ სულკურთხეულმა?

— ეგა ლუკასა ჰკითხე? — ჩაიცინა ზაქრომ.

— სწორედ მაგისთანა ჩაკეტილსა და ჩაკუჭებულ ამბავს უნდა თვალის ჩაწვდენა, — დააწია ლუკამ, — შენა, ჩემო შიო, კაი სპარსული ჩალმა-ხალათით რომ მოგართო, განა ქართველი აღარ იქნები?

— კაი სანახავი კი გვეყოლება, — ხითხითებს ზაქარია, — ნუ აწყენინებ და, რახან ყაენად დასვი, ჰურიებიც მიუსხი, ლუკავ...

— განა პატარა იმიტომ გამაჩინა ღმერთმა, თქვენი სამასხარო ვიყო, — ვითომ გაბრაზდა შიო.

— ჰოდა, ასე, ჩემო კეთილებო, — საჩვენებელი თითი შემართა ლუკამ, — პოემის ფორმა და ამბის ყაიდა აღმოსავლურია, მაგრამ „ქართულად ნათარგმნები“, ანუ საქართველოს ყოფა-გარემოს აღწერს რუსთველი. მარტო რუსთველის ნიჭის ნაწველ-ნაძღვები არ არის „ვეფხისტყაოსანი“, ვინც სიტყვის ზნესა და ხასიათს ჩასწვდება, მიხვდება, რომ შოთას ლექსი ქართული შაირის ხმაზეა აწყობილი, — დინჯად ჩაერთო ზაქარია, — ვთქვათ და მართლა აღმოსავლური რამ ლეგენდა გამოიყენა, ამით მითამ რა დააკლდება მის დიდებას?

— არაფერი, სრულიად არაფერი, მაგრამ, ეტყობა, მარსა ჰგონია, რუსთაველმა სპარსული მზა თხზულება დაიდო წინა და სულ სტრიქონ-სტრიქონ გადმოაბრძანა ქართულზე, — თავისებურად ჩაეღურტულებით ჩაიცინა შიომ, — კაი რამ მეწველი ფურია ფანტაზია, თქვენმა მზემ.

— სიტყვის ნირი შოთას არ შეეშლებოდა, „თარგმანება“ მისადაგება, აზრთა და ფიქრთა გადმოშლაა, განმარტებაა და არა თარგმნა, — ხმაში ფოლადი აუჟღერდა ლუკას, — შუაში დიდი მზღვარი უზით. თუ ამბავი პოეტის სულის ცეცხლმა არ მოიხარშა, მისმა გრძნობა-გონებამ არ შეაზავა, ისე არაფერი გამოვა. განა რამდენმა დასცა ყიჟინა და შეუტია „ფაუსტის“ ზღაპარს, მაგრამ ზოგის ჯაგლაგი გზაშივე დაეცა, ზოგისა კიდევ თევზის სიმღერა გამოდგა. მხოლოდ ისეთმა გენიოსმა შეძლო მისი სიტყვაში ჩამოსხმა, როგორიც გოეტეა. აი, რის გაგება არა სურს მარს.

— მერე კიდევ, კითხულობ ამ დალოცვილს და ამ დიდ გზაზე ერთი ჩვენებური მთა არ წამომიდგება წინა, არც ქართული წყალ-ჭალაა, არც სადმე არაგვი მოჰქრის და არც სადმე მტკვარი მიბუტბუტებს. ასე მგონია, სულკურთხეული, ჯერ პოემაში გადაიხვეწა საქართველოდან და მერეღა გაუდგა იერუსალიმის გზას.

— საქმეც მაგაშია, — სიტყვა აართვა ლუკამ, — მთელი პოემა ალეგორიაა, სიმართლეს პოეზიის ბისონი წამოასხა რუსთაველმა... განა ისეთ ნაწარმოებს დიდი პატრიოტის გარდა ვინმე დასწერდა? შოთას დროს მარტო საქარავნო გზები კი არ იყო გაბმული სპარსეთ-საქართველოს შორის, ერთმანეთის კალმის ხმაც კარგად ესმოდათ, იქაურ ლიტერატურას, თქმულებებს მშვენიერად იცნობდნენ და შოთას ნაცრუებს არავინ დაიჯერებდა. მაშ, კარგად სცოდნიათ, რომ პოემაში არავითარი სპარსული ამბავი არ იყო და ყველა სტრიქონში ქართული სული სუფევდა, საქართველოს ყოფა და ამბავ-ხაბარი იყო მოთხრობილი.

— ემაგ აზრს წვეთი არ გავარდება, — დაჰკრა წერტილი ზაქარიამ.

— მაშინ სწორედ სპარსული თუ უფრო მოსწონდა ალმოსავლური შარბათებით ტუჩჩამტკბარ არისტოკრატიას. მაშინ წვრილწვრილი პოეტებიც ბლომად ჟივჟივებდნენ, რომელთაც სწორედ სპარსული გადაპრანჭული ლექსები ერჩივნათ. ისინი არიან, შოთა რომ ლახტსა სცემს ფეხებში და წვრილფეხა ნადირზე დაგეშილ მონადირეებად გამოჰყავს. რუსთველისა და სარგის თმოგველისთანა გენიოსები კი არ იკადრებდნენ ამ გაველენის ყმობას, ეს ისე ვიცი, როგორც შენ შიო ხარ და შენ — ზაქრო, — რატომღაც ბრაზგარევით დაამთავრა ლუკამ, — მოკლედ, ამბის სპარსულობა რეკლამაა, გემოვნების სურათია და მეტი არაფერი.

— მერე რა კარგად იცის, დალოცვილმა ალმოსავლური აეწან-ჩავანი, იქაური ყოფა-ცხოვრება, დასახურავ-ჩასაცმელი, ადგილების სახელები, — უკვირს ზაქარიას.

— განა მარტო ეგა? ხელოვნების თეორია? — იკითხა ლუკამ, — აბა შეხედე, როგორ ლექციას უკითხავს პოეზიის გასახედ-გამოსახედზე წვრილფეხა პოეტებს.

— ახლა განათლება თქვი, კაცო, განათლება, — თვალები აენთო შიოს, — სულ იცის, დაბლა რა ხდება და მაღლა ვარსკვლავებით რა ხწერია.

— შენა, ჩემო შიო, ნუ გაგაკვირვებს, ცხვარი რომ თეთრია, — შეჰღიმა ლუკამ, — შოთას დროს სხვა იყო, სხვა მირონი გვიდუღდა მცხეთაში ქართველებს, სწავლა-განათლება დიდი გვქონდა, აკადემიები გვედგა, მთელ ალმოსავლეთს წინ ვედექით.

— ეჰ, რა დრო იყო!

— „ოქროვანი საუკუნე“ ტყუილად კი არ დაარქვა სოლომონ დიდაშვილმა, — ამოიოხრა ზაქარიამ და ეაჟას მიუბრუნდა, — ლუკავ,

იმაზე რას იტყვი, თამარს რომ სიყვარულს შეჰგალობს შოთა, განა იმისთანა დიდებულის კაცისაგან ეს კადნიერება არ იქნებოდა?

— იქნებოდა და მეტიცა, ეს სტროფნი, ჩემო ზაქარ, რუსთაველისა არ უნდა იყოს, მისი სიკვდილის შემდეგ ჩაუდგიათ პოემაში, ეგება სულაც სახელის გასატეხად უქნეს ეს შოთასა.

— მე კი სხვა აზრი უფრო მწიფე მგონია, — ჩაფიქრდა შიო, — რუსთაველისათვის თამარი ქალთამზეა, მზესავით ერთადერთი, მდედრის ხატი და სახიერება, ამიტომ იმისადმი მიმართული სიტყვები კონკრეტულად თამარს კი არ ეხება, არამედ საერთოდ ქალსა.

— დასცა შოლტი და კლდე გახეთქა ჩვენმა შიომ, — გაიცინა ლუკამ, — იქნება ევრეც იყოს, თუ საკარო პოეზიის ავან-ჩავანსაც გავითვალისწინებთ, მაგრამ მე მაინც იმ აზრზე ვდგავარ, რომ შოთას თამარი მართლა უყვარდა, იმით ედგა სული და იმითვე შეჰხაროდა მზესა.

— იქნებ, იქნებ, — თავი დაუქნია ზაქარიამ.

— ტარიელი თავად რუსთაველი უნდა იყოს, — გაარკვია ლუკამ, მისი სახე-ხატი, იმასაც ტარიელივით ულბობს სახეს ცრემლის ღვარი, ანუ თავის მდგომარეობას ტარიელისას ამსგავსებს.

— ასეა თუ ისე, ქართული ლექსის ფალავანი შოთაა, ამას წინ ვერაფერი დაუდგება, — მეგობრებს შეავლო თვალი შიომ, — დახე და რა ამაყად ამბობს დასაწყისში, — ამა ობოლი, მარგალიტის ხელის გულზე გაბგორებელი მე ვარ, რუსთაველიო, ძალაც შესწევდა ქადილისა.

— ემანდაც მისი ქართველობა ჩანს, — შეეხიდა ლუკა, — ჩვენი მთქმელებიც ხშირად თავიანთ ვინაობას მიაბმენ ხოლმე ლექსსა — ეს და ესა ვარ, ეს მიჭირს და ეს მილხინსო, შოთამაც ამ წესს თუ გადაუხადა ხარკი და სარგო.

— რა იცი, ლუკავ, იქნებ თავის დროზე ბევრს არც კი მოსწონდა რუსთაველის ასეთი მაღალი ნაბიჯი, ვინ იცის, იმითაც კი ამუნათებდნენ — შენს ტყუილს ეჟვანი ჰკიდია, აბა, რა სპარსული ამბავი ეს არის, მესტვირეობას შესდგომიხარო, — ვაჟას გამოხედა ზაქარიამ და ნაადრევი ჭაღარით შეფიფქული წვერი ხელით ჩამოიწურა.

— მაგაში მე დარწმუნებული ვარ, ჩემო ზაქრო, შენ მარრი დაეჯერე და ქოსებთან ისეთ პურმარილს გაგიშლი, ჩიტის რძეც კი სურებით გვედგას, — ფართოდ გაიღიმა ლუკამ.

— შენი ჯიბის ამბავი რომ ვიცი, იზამ, — ჩაუნისკარტა შიომ, — კაცო, ორ თუმანს რომ იშოვი და იმასაც ქალაქს შეაჭმევ ხოლმე, ჩვენი რძალი თამარი რას გეუბნება?

— ბომაყრის ერთ მუჭა ქოქოლას და ერთი ორი დღით ლამაზად

გამებუტება, ვითომ არ იცოდე ფშაველი დედაკაცების ამბავი. პოდა თქვი, ზაქარ, მოაქცევ მარსა, თუ ქოსებზე უარს ამბობ?

— ეჰ, თქვენმა სიცოცხლემ, ჩვენ აქ ცეცხლი გვეკიდება, მარმა ასე რატომ თქვაო, და, აგე, თვითონ ქართველები როგორ სძიძგნიან შოთას ნაჭირნახულევს — ხან ერთ სტროფს ისერიან გარეთ, ხან მეორეს.

— არც უმაგისობა იქნება, — შეეკამათა შიო, — გადამწერლებმა, მართლაც, ბევრი ისეთი ნაცოდვილარი ჩაუსვეს პოემაში, თვალს აგიმღვრევს, აბა სად თავანკარა ღვინო და სად მაჟალოს წვენი.

— სტაცა თუ არა კუდში ხელი აფრენილ ხოხბებს ჩვენმა შიომ, — უცბად გამხიარულდა ზაქარია, — განა ამსიდიდე პოემაში რამდენიმე სუსტი ადგილი არ იქნებოდა? შენმა დაბერებამ, ლუკავ, მართალი თქვი, განა ზოგჯერ კალამი არ გაგიკერპდება ხოლმე და ლექსიც ცალფრთიანი არ გამოდის.

— უმაგისოდაც არ იქნება, ზაქრო, მაგრეა, მაგრამ ეს ჩვენი მეცნიერები ხორუმივით რომ ჩაებნენ „ვეფხისტყაოსნის“ გარშემო და ბუქნასა სცემენ, ის ვაინც იკითხონ, რომ ემა თუ იმ სტროფის ყალბად გამოცხადებას თვითონ ნაწარმოების შეგნებასთან ერთად კაი ფრთხილი ყურიც სჭირდება, დახვეწილი პოეტური გემოვნებაც.

— ამდენი სიმდიდრე ერთად ვის ექნება, ლუკავ?

— მაშ, ეგ არის საქმე, რომ ერთმა მეცნიერმა 32 სტროფიდან სამიღა დაუტოვა რუსთაველს, დანარჩენები კი სასახლეში შეპარული ქურდებივით დაიფრინა? არა ზაქრო, არა, პოეტისას პოეტი უფრო გაიგებს, აქ ცოდნის გარდა ოქრომჭედლის ალღო და მისანის თვალია საჭირო.

აქამდე ჩუმად მჯდომი შიო ფეხზე წამოდგა, მოკლე ბოლთა დასცა და თითქოს საკუთარ თავს ჰკითხა.

— ვინ იტყვის ნესტანზე, რომ ქართველი ქალი არ იყოს ან ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი ჩვენი მიწისა და ცის ძენი არ ბრძანდებოდნენ, აბა სად პარამხანების აღმოსავლეთი და სად ამათი თავის გადაგება თავიანთი მიჯნურებისათვის.

— მერე კიდევ სიტყვა-პასუხი, მისვლა-მოსვლა, დავჯდომ-ადგომა, ზნე-ხასიათი, — დაუმატა ლუკამ, — სურათებიც რომ ქართული კალმით აქვს ნახატი? აბა გაიხსენეთ, ტარიელმა როგორ დახოცა ლომ-ვეფხვი. ამისთანა მშვენიერებას კაცის თვალი იშვიათად შეხვდება, მერე კიდევ ხან თუ ვერხვის ფოთოლივით უთრთის ლექსი, ხან მუხის შრიალი გააქვს, აღელვებული ზღვასავით წამოდგება ხოლმე ფეხზე სტრიქონი, აიშლება, აიფაფრება და მაშრიყ-მაღრიბსა სცემს ტალღას.

— დიდ არს ძალა სიტყვისა, — აღმოხდა ზაქარიას.

— სიტყვას უნდა დაურვება, თუ უნდა, — დაუმატა შიომ, — აი, ჩვენი ლუკაც მაგის ოსტატია.

— ცოდვას ნუ სჩადი, მღვიმელო, — წარბები შეჰყარა ლუკამ.

— ჩვენ გარდა ეს საუბარი ვის ესმის? — გარშემო მიმოხედა ზაქარიამ, — დაჯექ, ლუკავ, და რაცა ვთქვიო, ყველაფერი დასწერე, „ვეფხისტყაოსანზე“ შენი ფიქრები ფთილა-ფთილა დაულაგე შოთას მტერსაც და მოყვარესაც, შენებური ლოგიკით გამოჰკვერე და მერე ვნახოთ — ვინ ვისა? — ჯიქურ მოსთხოვა ზაქარიამ.

— ვნახოთ, ვნახოთ, ფიქრად კი მაქვს...

— რაღა ნახვა უნდა, დალოცვილო, შენი გამოცდილებაც მოიტანე, როგორ წერდი იმ ციკრის თვალიეით ლამაზ პოემებს, რა ამბავი გქონდა ხელთა, თორემ იმასაც ამბობენ, ლუკამ ხალხში ნათქვამი თავისი ხელეულივით შეჰკრა და თავისი სახლის ქვეშ დააგდოო, ამ პირლაშიანებსაც ხომ უნდა პასუხის გაცემა.

— მართალი ხარ, შიო, მართალი, მაგრამ აბა, სად მე და სად რუსთაველი, სად მაღალი მწვერვალი და სად ბორცვაკი?

მართლაც, მოკლე ხანაში რამდენიმე წერილი გამოაქვეყნა ლუკამ „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. ყველა მათგანში გენიოსის თვალი ბურღავს გრანიტივით შეკრულ პრობლემას, დიდი გემოვნების ნათელი ადგას ყოველ ამ წერილს, სიტყვაშიც პუბლიცისტური მგზნებარება გიზგიზებს და ეს ყველაფერი შარავანდედ ადგას ქართული კრიტიკული აზრის ამ შედევრებს.

ამაოდ ელოდა მარრი ბრიტანეთის მუზეუმის ხელნაწერს. 20 წელიწადი ელოდა, მაგრამ „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“. ამის მიუხედავად მაინც თვალის წვერითა სჩხრეკენ ვაიმეცნიერები პოემის სპარსულობას, რა არის, რუსთაველს იღლიიდან გამოჩრილი შოპარული ქამლის ბოლო უპოვონ. აღარც მელანსა ჰზოგავენ, აღარც ოაუსა, თითქოს ამბავი რომ მართლა სხვისი გამოდგეს, ამით შოთას დიდებას დაფნა დაუჭკნება... რაბან ასეა, ლუკა თავისი შემოქმედების იდუმალს გაუხსნის მკითხველს, რამ აღძრა მისი ფანტაზია ამა თუ იმ პოემის შექმნისას, რა ხალხიდან აიღო და რა მისი შთაგონების გახურებულ თონეში გამოაცხო, რა კანონები მართავს შემოქმედებით პროცესს, იქნება მაშინ მაინც მიუხვდნენ რუსთაველს, მაშინ მაინც დაიწერონ ხელისგულზე, რომ თავად ამბავი დიდი არაფერი ბედენაა, მთავარი ის არის, ამ მადნიდან ვინ რას გამოადნობს, ვის რა გამოუვა.

თქვენ კი ქართული ლიტერატურისა და მეცნიერების ფარისეველნო, სანამ აძრახდებით, მანამდე გაგაჩუმებთ ლუკა, განა არ იცის,

ფშაველამ, რომ ტლინკებს გაჰყრით, აღმუელდებით და აჭიხვინდებით — ერთი ამ თვალჩაქცეულ ფშაველს დახედეთ, რუსთაველს ეტოლება, მის სიმაღლეს ეპოტინება, ის კი ვერ გაუგია, რომ ბორცვაკი მწვერვალს დაბლიდან შესცქერისო. ნუ, აღელდებით, ბატონებო, წვერებს ნუ დაიგლეჯთ, ეს თქვენზე კარგად იცის ლუკამ, მაგრამ განა ბორცვაკი უფრო არა ჰგავს მწვერვალს, ვიდრე ტირიფონის დაბლა გაკრული ველი? აბა სად ვარსკვლავი და სად მზე-ბედნიერი, მაგრამ რაც უნდა იყოს, ორივე მნათობია, ერთი ზნისანი არიან და ლუკასაც ეს აბლევს უფლებას თავისა გითხრათ.

ჭაშ ასე, თუ ცოდვას რამეს სჩადის, შეუნდეთ, ძმანო ქრისტიანნო! განა რამ დააწერინა „ბახტრიონი“, რა მასალა მისცა ხალხის ხსოვნამ? ვინ არ იცნობს კახეთის ციხის მთიელთაგან აღებაზე შექმნილ ზეპირსიტყვიერებას?! ეს ლექსები თუშ-ფშავ-ხევსურთ ადიდებენ თარაქამა ელის გაწყვეტისათვის ალაზნის ველზე — ზოგით პირველნი ფშაველები აცვივნულან გალავანზე, ზოგით კიდევ ფეხჩითიანი თუშები, წინ რომ ხმალგაცინებული ზეზვა გაფრინდაული მიუძღოდათ. შემდეგ იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“ ჩავარდნია ხელში ლუკას, სადაც ბერი იონა ხელაშვილი უყვება ბახტრიონისაკენ მიმავალ ფშაველს, თუ როგორ დაიფრინეს შუაფხოს ჩადაბლებაზე, დევის ქვაბებთან ფშაელის შვილებმა შაჰ-აბასის ლაშქარი, როგორ აყრევინეს უკან გაქცეულებს ნალები. ეს ყველაფერი დიდი ქეთევან წამებულის მადლიც იყოო, ლაშარის მლოცავი ყმისა, უთქვამს ცისა და მიწის ამბების მცოდნე ბერს. აღელვებულა თათრის სისხლნასვამი ჟინვანის წყალი, წითელ მორევებად ჩაგუბებულა. არც თუშები მსხდარან ამ დროს გახურებულ კერასთან — იმათაც ხმლები დაულბიათ ურჯულოს სისხლით.

იქნებ იკითხოთ, ბატონებო, სუმელჯი და სანათა საიდანღა დაჩნდნენ ჰოემაში? იქნება ეს სახელები იმ დროიდან მოდის, როცა თუშ-ფშავ-ხევსურნი ერთმანეთს ლაშქრავდნენ — ჰოდა, დაძრულან ერთხელ თუშები ფშავისაკენ, ნიავი ჰკოცნიდათ მოღეღილ, ბალნიან მკერდზე ურა კვიცებზე ამსხდარ ვაჟებს. ბელადად წინ თიღისძე ედგათ; ისიც კლდეკაცი, ისიც ბნელში ნაბამი ბუღასაით თვალებანთებული, მაგრამ ხოშარის გორზე შავი დღე გასთენებიათ თუშებს — ჯერ რომ ვიწრო ხეობაში გამოჭყლიტა ნიაღვარივით გატოტვილი ლაშქარი, მერე კიდევ ფშაველების ისრებმა მიალურსმნეს თუშები გაზაფხულის სუნთქვასავით გამთბარ ფერდოებს. თიღისძეც სუმელჯის მკლავს შესწირვია, ისიც არწივისფრთიანი ისრით დაკორტნილი მიწოლილა მოძმეთა გვერდით. ამ შავ დროს თურმე ვინმე სანათა ამხნევებდა თუშებს. გაუტეხელი დედაკაცი რამ ყოფილა, სიტყ-

ვაუცდენელი. ხოლო ლელა და კვირია მხოლოდ ლუკას ფანტაზიის შვილები არიან, მათაც ლუკამ შეაპკურა უკუდავების წყალი, როცა ორივე ბახტრიონის ციხეში ააკაფვინა თათრებს. ეს არის და ესა, მაგრამ განა ამ ყველაფერს „ბახტრიონად“ სხვა რამ გახდიდა, თუ არა მწერლობის მადლი, თუ არა ის, რითაც შემოქმედება შემოქმედებად ითქმის და არა სიტყვის უკითხავ გათარეშებად...

იმ ტოტშიც ნაყოფი ძევს, ჯერ კიდევ ნაადრევი ზამთრის ჭირხლი რომ ასხმია, მაგრამ შემოქმედება ამ მომავალი ნაყოფის აკვირტება, ყვავილობა, ყვავილიდან გამოხედვა და სიმწიფეა, ანუ ისეთივე მისტერია, როგორც საერთოდ სიცოცხლის დაბადება ამ იდუმალებით სავსე სამყაროში.

თქვენ კი, ბატონებო, კალთაზე ხელებს იცემთ ჰარიქა და ჰარიქა, რუსთაველს რაღაც ზღაპარი უსინჯავსო. ასეთი მსჯელობა მხოლოდ ამ ჩვენს ბეჩავ საქართველოში თუ შეიძლება, თორემ განათლებულსა და წინმავალ ერს ეს არ მოუვა.

* * *

არაგვზე თუ აგიელიათ და ყინჩ ფერდოებს აჰყოლიხართ, იქ, სადაც კლდეები ერთად შეყრილან, კობალას სალოცავია. დაბლა მორევი უბრუნავს, მაღლიდან ზავსიანი წიფლები დაჰყურებენ, უფრო იქით კი თეთრი ირმებივით გადმომდგარან თოვლიანი მთები. აი, ამ სალოცავში ერთი ბრტყელი რამ ქვა გდია, სიმძიმით მიწაში წასული, წვიმის ნაკენკი და წლების ნაჭამი. კლდის ეს ნახეთჭი ადრე გმირ კობალას დაუგდია სადღაც, აფხუშოს თავზე, მერე კი აქ ყოფჩელ გოგოთურს ჩამოუტანია, მხრიდან მსუბუქად ჩამოულია და მუხის ძირას მიუგდია. გოგოთურიც ზიათი რამ ვაჟკაცი ყოფილა, თანაც ცეცხლივით უშიშარი. რომ მოენდომებინა, არაგვს უკან გააბრუნებდა. გოგოთურობა ენატრებოდა ბალღობიდანვე ლუკას, გოგოთურობდა კიდეც და ამ ხალხური გმირისა მართლაც ბევრი ეცხო — ცხოვრების ზნით, ხასიათით, რწმენით.

ხომ მყინვარივით იდგა ხოლმე გოგოთური, ხომ ფეხადგმული მთასავით დაზანზარებდა, მაგრამ გული ბალღისა ჰქონდა. სადმე ობოლი რომ დაიკვნესებდა, იქ გაჩნდებოდა, ვინმეს თუ ცრემლი დასდინდებოდა, კალოსხელა ხელისგულით შესწმენდდა.

ეჯავრებოდა ხელმრუდი, სხვისა ჯამში ჩამყურე ადამიანი, სინდისი სალესავი არ არის, ილეოდეს და ცვდებოდეს, იტყოდა ხოლმე და მართალ პირჯვარსაც გადაიწერდა. ღვთისაგან მგლის სასჯელი მგლობაა, მაშ ადამიანი ისე რამ უნდა ჩამოაქციოს და ჩამოაბნელოს,

სხვისა სარჩო დაიტაცოს, მოჰპაროს. ამისთანას სათნო გოგოთური საკუთარ მარჯვენაზე ჩამოახრჩობდა.

ასე უცხოვრია იმ დალოცვილს და იმ ფიქრებითვე მომკვდარა.

აკი გასწყრომიათ სალოცავი ორ ხევსურს — ღამის სიბნელეს საქურდბაცაცოდ შერევიან, რომ გარყვნილი ხელები ნაპარავით გაეხარებინათ. მაგრამ ორივე გოგოთურის აქეთ-იქითა იღლიაში გაზერილა. შეუყვანია სახლში, ერთი კარგად დაუბერტყია ორივე და ერდოზე მიუყრია, მერე კი დაუჭექია.

— დედაკაცო, სალაფავი მოადუღე, ძაღლები დაგვემშაო, — და შზერა ჯერ ერთისთვის დაუცია შუბივით, მერე მეორისათვის.

ქმრის სურვილი ფშაველი დედაკაცისათვის ხატის ბრძანებაა, — გამოუტანია იმასაც ქატო და დიდი ქვაბით წყალიც შეუდგამს.

აი მაშინ კი გადასხმიათ მდუღარე ხევსურებს.

— გოგოთურ, ა, გოგოთურ, აქეე დაგვხოცე და ემაგ სალაფავს ნუ გვაჭმევ, სალექსოდ ნუ გაგვხდი, გვარს ნუ გაგვიტიალებ, ან გაგვიშვი და უფრო ხელებს დავიჭრით, ვიდრე კიდევ ვიქურდოთ... მაი, გაგვიტეე მაი, ისრეც რაღანი ვართ, რა სიცოცხლე-ღა გვეთქმის.

გაუშვია გოგოთურს მახეში გაბმული ის ორი მგელი, იმათაც აუთრევიათ ნატკენი ფერდები და ხევსურეთში აკოჭლებულან. აი, სულ ყველაფერი, რაზეც ვაჟას თავისი მშვენიერი პოემა „გოგოთურ და აფშინა“ აუგია — ეს, ერთის მხრივ, ვაჟკაცობის, სათნოების სადიდებელი ჰიმნი და, მეორეს მხრივ, კიდევ დაკარგული ღირსების სეედიანი რექვიემი. ან სხვა რა მისცა ხალხურმა თქმულებამ ლუკას ზვიადაურის გარდა? მართალია, ისიც უთქვამთ, რომ მას ქისტები იჭერენ, დარლას საფლავზე ჰკლავენო და ხევსური კი არ ეწირება, მაგრამ განა „სტუმარ-მასპინძელი“ მარტო ეს არის? დიახ, ამბავი, შემოქმედისათვის ფრთების მოსაქნევი ალაგია, საიდანაც უნდა წამოფრინდეს, მაღლა წავიდეს, აწრიალდეს და არწივის თვალით დახედოს დაბლა დარჩენილ ქვეყნიერებას, ადამიანთა ცოდვა-მადლის, კეთილის და ბოროტს, ცუდსა და კარგს. დიდი პრობლემები წამოაგორის ერთ ადგილას ნაგდები, უძვრელი ლოდივით, ადამიანს ფიქრები აუშალოს და ნუგეში სცეს.

ახლა რამდენიმე სიტყვა „გველის მჭამელზე“, ვაჟას უპირველეს შედევრზეც ვთქვათ. როგორც თვით პოეტი გადმოგვცემს, არც ამ პოემისათვის ჰქონია უხვი მასალა. მაინც რას ამბობს ხალხი? რითი და როგორ დამდგარა უბირი ხევსური მეწამლე და ჯანაოზი? ბევრს არაფერს. — მინდია დევებს ჰყოლიათ, მოწამლის მიზნით გველის ხორცი უჭამია. ის კი არა თუ მომკვდარა, სხვად ქცეულა — ყვავილ-

ბალახის ენა შეუმეცნებია. ამის შემდეგ მთა-ველს მოსდებია, მინდიას წამალი უკეთებია და სნეულები ურჩენია.

კარგი და კეთილი. მართლა ბრძნული ამბავია, მაგრამ ეს ხომ მაინც ელვა და ერთი მაგარი დაქუხებაა, რომელსაც გაზაფხულის შხაპუნა ავდარი უნდა მოჰყვეს, რომელიც მიწას დაალბობს, თესლს მოანათლავს, სიცოცხლეს მისცემს და მიწის პირს ააბიბინებს? ეს ყველა უკვე შემოქმედებითი პროცესის მადლია. თქვენ კი, ბატონებო, „რუსთაველმა სპარსული ზღაპარი თქვაო", — საკვირველ არიან, ღმერთო, საქმენი შენნი.

ვაჟა არც იმას უარყოფს, რომ შემოქმედებით „მანგანაში" გამოუვლელი ამბავი ისევ ამბად რჩება, ღვთაებრივი ცეცხლი აკლია და გონებაშიც ისე გაივლის, დიდ კვალს არ დატოვებს ხოლმე. მეც ასე დამემართა „ნახევარ-წიწილას" წერისასო, აღიარებს დიდი პოეტი და მაგრად პირმოკრული დასკვნით კრავს თავის მსჯელობას: „პოეტმა თუ ყოველივე ამბავი თავისებურად არ შეიმუშავა, თავის გრძნობა-გონების საკუთრებად არ გადააქცია, ამაოდ დაშვრება, მის ნაწარმოებს არავინ ჭკვათმყოფელი ხელოვნურს არ უწოდებს. ეს ჭეშმარიტება ღღესავით, მზესავით აშკარაა."

და ისევ...

ნუ, ბატონებო, ნუ შვრებით ამაოდ, რაც არ უნდა ეცადნეთ, მზეს ვერაფერს ჩაშოსტეხავთ. შოთას სპარსული ამბავიც რომ დაემუშავებინა, მაინც ის იქნებოდა, რაც არის და რასაც თქვენდა სავალალოდ ვერ მიმხვდარხართ. ადრეც მითქვამს და ახლაც ვამბობ გაიხედ-გამოიხედეთ. სხვა თუ არა „ფაუსტი" მაინც გაიხსენეთ. მაგრამ იქნება ტყუილად დავშვერ — იმის მტკიცება უფრო ძნელია, თეთრი რომ თეთრია.

„ვეფხისტყაოსნის" შესახებ მსჯელობისას ვაჟა ხშირად მიმართავს ადრევე მოტანილ საბუთებს. პოეტს განსაკუთრებით ის ნაჰილიზმი აღიზიანებს, მეცნიერები ქართული კულტურის შეფასებისას რომ იჩენენ. და ეს მაშინ, როდესაც უცხოელი სწავლულები ჩვენი კულტურის ძირსა და ფესვს ურარტულშიც ამჩნევენ. განა ურარტული არ არის მთელი მცირე აზიის კულტურის დედაო, კითხულობს პოეტი, მაშ რაღად დასჭირდებოდა ქართულ ენას ხელგაწვდილი მისდგომოდა სომხურსა და საყელპურო სიტყვები ესესხა?

რა თქმა უნდა, ყველაფერში ვერ დავეთანხმებით პოეტს. თუმცა მისი ასეთი რეაქცია საგნებით გასაგებია. ეს ის დროა, როცა სომეხი მეცნიერები ჩვენს კულტურას, არქიტექტურას და სხვა სულიერ მონაპოვარს ეჭვის ქვეშ აყენებენ, როცა მეცნიერებაში ნალმივით იფეთქა ილიას „ქვათა ღაღადმა", როცა „კატკოვები" და „იანოვსკე-

ბი“ ჩექმების ლანჩებიდან აყრილ ტალახს საქართველოსაკენ ისვრიან. ამ დროს კი, ვაჟას გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ქართველი „მჟავე“ პატრიოტები თვითონ აკნინებდნენ იმას, რასაც ობიექტური შეფასება და დანახვა უნდოდა.

აქედან გამომდინარე, ვაჟას კატეგორიული დასკვნაც: „ჩვენი მკვლევარნი მეტად უზრდელად უხირდებიან „ვეფხისტყაოსანს“.

ოჰ, ეს სალაყბო და ყელში მშრალი ლუკმასავით გაჩხერილი „ინტერნაციონალიზმი“. განა ერთა დაახლოება, ძმობა-ერთობა ყალბი მეცნიერული მეთოდებით და კიდევ იმით უნდა გაკეთდეს, რომ ერთს წაართვა და მეორეს მისცე? და განა ასეთ საქმიანობას მეცნიერული მუშაობა დაერქმევა? არა და არა. ერთმანეთისაგან მეტად შორი-შორ არიან და იმიტომ.

თორემ ქართველს ვინ ასწავლის მეგობრობის მირონსა და სანთელს? რაც ამ ქვეყანას არის, სხვისთვისაც არის, მოსულისა და გაჭირვებულისათვის არც ზურგზე უკრავს ხელი, არც კარი გადაურაზავს, მაგრამ შენ ღირსებას რომ ჯობს უქნევენ, მაშინ მხოლოდ ერთადერთი იარაღი უნდა მოიმარჯვო — სიმართლე, ობიექტურობა და პატრიოტობა.

თორემ ისე ინტერნაციონალისტი კი არა, მშრალი რამ მტვერი ხარ, ქარისგან ასახვეტი და გადასაკარგავი.

შოთას პოემის ქართული სულისა და ბუნების შეუგრძნობლობა იგივეა, ალაზნის ველზე ვაზი ვერ დაინახო და შირაქში ცხვრის ფარები. ნესტან-დარეჯანი, თინათინი ქართველი ქალები არიან ქართულის ყელ-ყურით, საუკუნოებით ნადღვები სიბრძნითა და აღნაგი სულით. სად აღმოსავლეთის ჰარამხანების ზამბახებივით აყვავებული ჰურიები და სად ეს ზნითა და ნებისყოფით სავსე ქალწულები, თავზე რომ შარავანდედად ადგათ პიროვნული სრულყოფა?

დიახ, მეგობრებო, დიდია შოთა, დიდია „ვეფხისტყაოსანი“ და ამ გოლიათის ქონდრისკაცად ქცევა არავის გამოუვა, გინდაც მეცნიერების ღმერთის ნათლული იყოს და მარრი ბრძანდებოდეს.

ვაჟა წამოდგა, ნერვიული ბოლთა დაჰკრა და მერე სარკმელთან მიდგა, თვალი მთაწმინდას გაუსწორა და ყრუდ თქვა:

— რამდენჯერ გაბასრა ილიამ თავისი მჭრელის კალმით ეს ვაი-მეცნიერები, მაგრამ ძაღლს ყეფას ვინ გადააჩვევს.

— რუსთაველის გენიას ვინც არ იწამებს, იმას გონების სიბრმავე და სიყრუე ერთად შეჰყრია, ლუკავ, და შენ რას უშველი? — მიაგება ზაქარიამ.

— ღმერთი მაღალია, ჩემო ზაქრო, მაგრამ განა ყველა ცოდვა შეენდობა კაცსა? — ისევ მრისხანედ აიქნია ცალი წარბი ლუკამ, —

ემაგისთანა პოეტს, შოთა რომა გვყავს, დრო იშვიათად შობს. ვერ მარტო ის რად ღირს. ტარიელს რომ ლომ-ვეფხვს ახოცვინებს, აბა გვიჩვენონ სხვა მწერლის მაგალითი, რომ მას თავისი საყვარელი ვეფხვად წარმოედგინოს და სიყვარული ვეფხობად. მთელი სურათი გენიოსის კალმით არის ნაწერი. განა ამის მიხვედრას მეცნიერობა და ტყინის ფხანა უნდა? — უკვე თავისებური, წვერ-ულვაშში ჩაბუდებული ღიმილით დაამთავრა ლუკამ და მზერა ჭერს მიაპყრინა.

„უფალო, შეუნდე, რამეთუ არა იციან, რასა სჩადიან“...

შ ი ნ ა ა რ ს ი

რედაქტორისაგან	3
პავლე რაზიკაშვილი	5
გულქანი	33
„მშვიდობით საყიხვებო“	57
„ხარს ვგევარ ნაიალღარს“	205